

ბ. ა. ჯორბენაძე

**ზმნის გვარის ფორმათა
ნარმოებისა და ფუნქციის
საკითხები ქართულში**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თ ბ ი ლ ი ს ი 1975

4 F
499-562.1
X 711

ნაშრომი ეხება ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიის—გვარის ფორმირებისა და წარმოების საკითხებს. მოცემულია მისი ფორმობრივი და შინაარსობრივი ანალიზი, განხილულია გვარის ურთიერთობა ზმნის სხვა კატეგორიებთან, ყურადღება ეთმობა მის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ სოგეერთ სინტაქსურ თავისებურებას.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი-ფილოლოგების, ასპირანტების, პედაგოგებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

С თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975

Д $\frac{70191}{\text{т.—608(08)—75}}$

ნაწილი პირველი

გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგადი საკითხები

I. შესავალი

ზმნა, როგორც მეტყველების დამოუკიდებელი ნაწილი, ჯერ კიდევ უძველეს გრამატიკებში იყო გამოყოფილი და დახასიათებული.

ზმნის მრავალფეროვან კატეგორიებს შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ზმნის გვარს უჭირავს. ჯერ კიდევ დიონისე თრაკიელი ახასიათებდა ზმნას, როგორც მეტყველების ნაწილს, „რომელსაც მოეპოვება დრო, პირი და რიცხვი და რომელიც გამოხატავს მოქმედებას ან ვნებას (მოქმედების განცდას)“. „მას ფაქტიურად შემოჰქონდა ზმნის გვარის ცნება და გამოყოფდა მის სამ სახეს: მოქმედებითს, ვნებითსა და საშუალს.

გვარის კატეგორია მჭიდროდ უკავშირდება ზმნის სხვა კატეგორიებს და ზოგი მათგანის ბუნების გარკვევა მხოლოდ ზმნის გვარის წარმოქმნისა და წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი. ზმნის გვარი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზმნის უღვლილების სისტემაზე, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ უღვლილების ტიპები ქართულში სწორედ გვარის მიხედვითაა განაწილებული (მოქმედებითი გვარის ზმნების უღვლილება, ვნებითი გვარის ზმნების უღვლილება, მედიოაქტიურ და მედიოპასიურ ზმნათა უღვლილება).

ზემოაღნიშნული არის მიზეზი იმისა, რომ გვარის ფორმების შესწავლით ჩავიდანვე დაინტერესდნენ ენათმეცნიერები. ჯერ კიდევ უძველეს ენათმეცნიერულ ნაშრომებშია მოცემული ცდა გვარის კატეგორიის ბუნებისა და წარმოების თავისებურებების გარკვევისა. მეცნიერების წინსვლასთან ერთად თან-

¹ Хрестоматия по истории языкознания XIX—XX в. в. Составил В. А. Звегинцев, М., 1956, стр. 13.

დათან იცვლებოდა და ზუსტდებოდა ზმნის გვარის ცნება, ხდებოდა უფრო ფართო მასშტაბის პრობლემების დასმა (ვა მათი უფრო ღრმა შესწავლა.

მიუხედავად საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ლიტერატურისა, გამოიყოფა რამდენიმე საკითხი, რომელიც ან ჯერ არ ყოფილა მეცნიერულად დამუშავებული, ანდა ხელახლა შესწავლას საჭიროებს.

გვარის გრამატიკული კატეგორია უნდა განვიხილოთ ორი ასპექტით: მორფოლოგიურითა და სინტაქსურით, რადგან მათი მჭიდრო ურთიერთობა განსაკუთრებით ხელშესახები სწორედ გვარის კატეგორიის შესწავლის დროს ხდება. ფუნქციისა და კონსტრუქციის საკითხები ზმნის გვართან დაკავშირებით სინტაქსის შესწავლის საგანია, ხოლო მორფოლოგიური კვლევა ამ შემთხვევაში ზმნის ფორმის ცვლილებების შესწავლით შემოიფარგლება. საერთოდ ცნობილია, რომ მორფოლოგიური კატეგორიები სინტაქსურად არიან განსაზღვრული. რადგან მათი ფუნქცია სწორედ კონსტრუქციაში ვლინდება.

აღინშნულია, რომ „ზმნის კატეგორიათა სისტემაში გვარის კატეგორია წარმოადგენს საკმაოდ გაურკვეველ, საკმაოდ სადისკუსიო პრობლემას“.¹ ეს დებულება ვრცელდება როგორც ინდო-ევროპული, ასევე თურქული, მონღოლური, იბერიულ-კავკასიური და სხვა ენების მიმართაც.

გასარკვევია აგრეთვე ზმნის გვარის გრამატიკულ კატეგორიად გამოყოფის საფუძველი, გვარის ფორმების წარმოება, გვარის შინაარსობრივი სტრუქტურა. გვართან დაკავშირებით — მარტივი წინადადების პრობლემა, გვარის ფორმების წარმოშობის საფუძველი, გვარის კატეგორიის ურთიერთობა ზმნის სხვა კატეგორიებთან.

ცალკე კვლევის საგანია აგრეთვე ე. წ. ანალიზური (აღწერითი) ფორმების როლი ზმნის გვარის ფორმათა წარმოებაში. საქმე ისაა, რომ იმ შემთხვევებში, როცა ზმნას არ შეუძლია სინთეზური ფორმებით აწარმოოს რომელიმე კატეგორია (მაგ., გვარი), იგი მიმართავს აღწერით საშუალებებს, რომლებიც სინთეზურ ფორმებთან ერთად ქმნიან ერთიან პოაღივმულ რიგს. ზოგი ავტორი აღწერით ფორმებს განიხილავს როგორც სინტაქსურ ერთეულს და არა როგორც მორფოლოგიურ ოდენობას. ამ ავტორების მიერ ასეთი ფორმები გაგებულია როგორც ორი დამოუკიდებელი სიტყვის ურთიერთკავშირი (მაგ., დაწერილიყო მათთვის იგივე ოდენობაა, რაც კაცი იყო წინადადებაში: აქ წელან ვიღაც კაცი იყო...), სხვა ავტორები კი პირიქით, ასეთ ანალიზურ ფორმებს მიიჩნევენ მორფოლოგიზებულ ერთეულებად.²

სპეციალური კვლევის საგანია აგრეთვე ზმნის გვარის ფუნქციური მხარე. ზოგიერთ ენაში (მაგ., ხუნძურში) ზმნის გვარს არ მოეპოვება სპეციალური მორფოლოგიური ფორმა. გვარის შინაარსი გადმოიტემა სინტაქსურად: სახელობითში დასმულ ქვემდებარესთან ზმნა გარდაუვალაა, მოთხრობითში დასმულთან — გარდამავალი, თვით ზმნის ფორმა ორივე შემთხვევაში უცვლელია.³ ე. ი. თუ ერთი ტიპის ენებისათვის (მაგ., ქართლისათვის) გვარი ფორმალურად ფუნქციური კატეგორიაა, მეორე ტიპის ენებისათვის (მაგ., ხუნძურისათვის) გვარი მხოლოდ ფუნქციურ კატეგორიას წარმოადგენს.

¹ M. M. Г у х м а и л. Развитие залоговых противопоставлений в германских языках, М., 1964, стр. 5.

² იქვე, გვ. 18.

³ არხ. ჩიკობავა, ი. ევრეკაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, გვ. 242-245.

ამდენად, გასარკვევია გვარის ორი მხარე — ფუნქციური და ფორმალური, და მათი ურთიერთობა. ეს ორი მხარე დაიყვანება ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაზე, რაც გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით მეტად რთულ და საინტერესო სურათს იძლევა. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის შემთხვევები, როცა ფორმა და შინაარსი ურთიერთწინააღმდეგობაშია. მაგ. წერს, ხატავს და მისნ. ფორმითაც და შინაარსითაც თანამედროვე ქართულში მოქმედებითი გვარის კუთვნილებას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ზმნები: ელაპარაკება, იგიწება, პირდება — ფორმით ვნებიითა, ხოლო შინაარსით — მოქმედებითი. ეს მოვლენა საგანგებოდაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში: „ამ გარემოებას ანგარიში არ ეწევა“ და „მძიმე უღელს ეწევა“. — პირველ შემთხვევაში ზმნა პასიური შინაარსისაა, მეორე შემთხვევაში — აქტიურისა, მაგრამ ფორმით მათ შორის არაა განსხვავება“⁶

დასმულია საკითხი იმის შესახებაც, თუ თავისი ფუნქციით რას მიეკუთვნება ზმნის გვარი — ფორმათწარმოებას თუ სიტყვათწარმოებას.

ყველა ეს პრობლემა ზმნის გვარს ერთ-ერთ ურთულეს კატეგორიად წარმოგვიდგენს.

საკმაოდ რთულ საკითხად არის მიჩნეული ზმნის გვარის განსაზღვრა, მისი გრამატიკული დახასიათება. მიუხედავად განმარტებების სიუხვისა, ავტორთა უმრავლესობა ცალმხრივად უდგება საკითხს და ესეც თავის მხრივ ადასტურებს იმ სირთულეს, რომელსაც შეიცავს ზმნის გვარის შინაარსობრივი და ფორმოობრივი მხარის გრამატიკული დახასიათება. სირთულე გამოწვეულია, აგრეთვე, ზმნის ამა თუ იმ ფორმით განპირობებული ცვლილებებითაც წინადადების კონსტრუქციაში. მოსაზრება, რომ „მარტივი წინადადების სტრუქტურა-მექანიზმს ძველ ქართულში განსაზღვრავს ზმნა“,“ შეიძლება გავრცელდეს როგორც ახალ ქართულზე, ასევე სხვა ენებზეც. წინადადების კონსტრუქციისათვის ქვემდებარის, შემასმენლისა და დამატების ურთიერთობას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც თავის მხრივ განპირობებულია გვარის ფორმათა მიხედვით ზმნის ცვლილებით. ამ ასპექტით ზმნის გვარის განსაზღვრის აუცილებლობამ თავისებური სიჭრელე შეიტანა ტერმინოლოგიასა და განმარტებაში.

2. ზმნის გვარის რაოზისათვის

არსებობს ზმნის გვარის ნარგვარი განმარტება. ყველა ავტორი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, ცდილა თავისებური თვალსაზრისი წარმოედგინა, რომელიც წინარე მოსაზრებასთან შედარებით უფრო სრულად ასახავდა საკითხის ვითარებას. მაგრამ ამ მოსაზრებებს შორის მაინც არის რაღაც საერთო, შემგები წერტილები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს ეს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი განმარტებანი მსგავსების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად დაეყოთ. ძირითადად გამოიყოფა ოთხი ასეთი ჯგუფი:

I. ერთ-ერთი განმარტების თანახმად ზმნის გვარი ასახავს მოქმედების ან

⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 307.

⁶ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, მეორე გამოცემა, თბ., 1968, გვ. 232.

მდგომარეობის დამოკიდებულებას ობიექტისადმი. აქვე შემოვა ის განსაზღვრებანიც, რომლებიც გვარს განარჩევენ გარდამავლობის მიხედვით, რადგან სწორედ ამ დროს ენიჭება არსებითი მნიშვნელობა მოქმედების დამოკიდებულებას ობიექტისადმი.

II. გვარს განმარტავენ როგორც ზმნით გადმოცემული მოქმედების დამოკიდებულებას სუბიექტისადმი. აქ უკვე ხდება გვარისა და გარდამავლობის კატეგორიების გათიხვევა. გვარის ცნება ძირითადად უკავშირდება სუბიექტს, ხოლო გარდამავლობის ცნება — შემასმენლისა და ობიექტის ურთიერთობას.

ამავე ჯგუფში შემოვა ზმნის გვარის ის განმარტებანი, რომლებშიც, მართალია, სხვა კუთხით, მაგრამ არსებითად ისევ ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობის მიხედვით ახასიათებენ ზმნის ამ კატეგორიას. ამ განმარტებათა თანახმად, გვარი წარმოადგენს ზმნის ფორმას, რომლის მიხედვით ირკვევა ქვემდებარის აქტიური ან პასიური დამოკიდებულება ზმნით გადმოცემული მოქმედებისადმი, ამასთან, მოქმედი სუბიექტი შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნას, თუშეცა იგი უფრო გარდამავალ კონსტრუქციებს განეკუთვნება.⁷

III. გვარს განმარტავენ როგორც მოქმედების დამოკიდებულებას სუბიექტისა და ობიექტის მიმართ. როგორც ვხედავთ, გვარის ეს განმარტება თავისებურად აერთებს წინა ორ განსაზღვრას.

IV. სხვა განსაზღვრის თანახმად, ზმნის გვარი ასახავს დამოკიდებულებას მოქმედების სუბიექტსა და ობიექტს შორის.

ცალკე უნდა გამოიყოს ის განმარტებანი, რომლებიც ან სრულიად განსხვავდებიან ზემოთაწხილულთაგან, ანდა მათ თავისებურ ვარიანტებს წარმოადგენენ.

ასეთია, მაგალითად, განმარტება, რომლის თანახმადაც, „ზმნის გვარის კატეგორია გამოხატავს მოქმედების მიმართებას სუბიექტისა და ობიექტისადმი და ამით ასახავს ურთიერთდამოკიდებულებას სუბიექტსა და ობიექტს შორის.“⁸

სხვა სახისაა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვით „გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა პირდაპირ დამართებული, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განცდილია სხვისი ზემოქმედებით.“⁹

ყურალსაღებია მოსაზრება, რომ „ქართულ ზმნას შეუძლია საგანგებო თავსართ-ბოლოსართით აღნიშნოს, მოქმედება წარმოიდგინება მოქმედის თვალსაზრისით (სუბიექტიდან ამოსვლით) თუ მოქმედების ობიექტის თვალსაზრისით

⁷ Duden, Grammatik der deutschen Gegenwartssprache, 4. J. 1962. стр. 114—115.

⁸ В. И. Никитевич, Грамматические категории в современном русском языке, М., 1963, стр. 217.

⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 289.

(სუბიექტიდან განჯენებით), ე. ი. ზმანს შეუძლია აღნიშნოს გვარები -- მოქმედებითი და ვნებითი.¹⁰

აღნიშნულია, რომ „მოქმედებითი გვარიცა და ვნებათაც გულისხმობს მოქმედების სუბიექტის გარდა ობიექტსაც“ და იძის მიხედვით, თუ ზნისივლი პროცესის განხილვისას რაა ამოსავალი — სუბიექტი თუ ობიექტი, „იცილება განხილვის თვალსაზრისი, პროცესის რეალური შინაარსი კი ერთი და იგივეა“.¹¹ უკანასკნელი დებულება გულისხმობს ურთიერთობას კონვერსიულ ფორმებს შორის.

ამდენად, გვარის განმარტებისათვის ამოსავალი პოზიცია ორგვარია:

1. სინტაქსური, რომელიც გვარს განიხილავს ქვემდებარის, შემასმენლისა და დამატების ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით. აქ გვარი დახასიათებულია როგორც შემასმენლის კატეგორია, ანუ: გათვალისწინებულია მისი მხოლოდ შინაარსობრივი მხარე, მისი ფუნქცია წინადადების კონსტრუქციაში, სტრუქტურაში.

2. სინტაქსურ-მორფოლოგიური, რომელიც ეყრდნობა ზემოთ განხილულ სინტაქსურს, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად ითვალისწინებს, რომ ეს სინტაქსური დამოკიდებულება სპეციალური აფიქსებით ფორმდება ზმნაში, ანუ ქმნის ზმნის სპეციალურ მოდელს.¹²

აქ უკვე გვარი დახასიათებულია როგორც ზმნა-შემასმენლის კატეგორია. ანუ გათვალისწინებულია მისი როგორც შინაარსობრივი, ფუნქციური, ასევე ფორმალური მხარე.

თურქოლოგიაში ცნობილია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „გვარის კატეგორია გამოხატავს დამოკიდებულებას საერთოდ თურქული წინადადების სტრუქტურულ ელემენტებს შორის.“ ამ მოსაზრებას ავსებს მეორე განმარტება, რომლის თანახმადაც „ცვლილება ზმნის გვარში მიკვირითუნს განსხვავებაზე წინადადების კონსტრუქციაში.“¹³

ო. იესპერსენის აზრით, ნებისმიერი ენის სინტაქსში უნდა გამოიყოს მხოლოდ ისეთი კატეგორიები, რომლებმაც მასში ფორმალური გამოხატულება ჰპოვეს,¹⁴ ანუ სხვაგვარად: სინტაქსური ურთიერთობა შინაარსია, ხოლო მორფოლოგიური ფორმა — გარკვეული ყალიბი ამ შინაარსისათვის. მისივე

¹⁰ არს. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 050.

¹¹ არს. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 276—277. იხ. აგრეთვე: O. Espersen, Философия грамматики, М., стр. 185—187.

¹² შტრ. განმარტება, რომლის თანახმად „გვარი ასახავს სუბიექტის აქტურობას ან უმოქმედობას, რაიმელოც ჩვეულებრივ, მაგრამ არა აუცილებლად, გაუმოკემა სპეციალური ფორმა“, М. Ф. Резникова, По и face. еи и fu в сложных глаголах. лексически противопоставленных по залоговым значениям; Автореферат кандидатской диссертации, Киев, 1963.

¹³ Э. В. Севортян, Аффиксы глаголообразования в азербайджанском языке, М., 1962, стр. 448—449.

¹⁴ O. Espersen, დასტელებული ნაშრომი, გვ. 52.

განმარტებით „როგორია ზმნა სინტაქსური თვალსაზრისით — აქტიური თუ პასიური, — დამოკიდებულია მხოლოდ მის ფორმაზე.“¹⁵

ანუ: ფორმა განმსაზღვრელია შინაარსისა.

ამ ფორმაში ორი რამ შეიძლება ვიგულისხმოთ:

1. ჭერ ერთი, თვით ზმნის ფორმა, მოდელი, რომელიც იცვლება გვარების მიხედვით: აწუხებს-წუხდება-წუხს. აქვე შემოვა გვარის ფორმათა აღწერითი წარმოებაც „გაღებულ იქნა“ ტიპისა, რომელიც ზოგიერთ ენაში ძირითადია გვარის ფორმათა წარმოებისას.

2. წინადადების სტრუქტურა, კონსტრუქცია, რომელიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად გადმოსცემს გვარის შინაარსს. მაგალითად:

ა) ხუნძურში: როდესაც ზმნა-შემასმენელს ახლავს რეალური სუბიექტი და რეალური ობიექტი, იგი ქმნის ერატიულ კონსტრუქციას და ეს კონსტრუქცია ეტოლება მოქმედებითი გვარის შინაარსს. ხოლო როდესაც ზმნა-შემასმენელს ახლავს (უკავშირდება) მხოლოდ ერთი სახელი სახელობით ბრუნვაში. კონსტრუქცია უტოლდება ენებითი გვარის შინაარსს, თუმცაღა თვით ზმნა ორივე შემთხვევაში ფორმით უცვლელია, „არც მოქმედებითია და არც ენებითი“. მაგალითად, ვაცაახა შიშა ზეჟანა (ქმამ ბოთლი გატეხა) — შიშა ზეჟანა (ბოთლი გატყდა).¹⁶ აქ გვარის შინაარსობრივ გაგებას ორი რამ ქმნის. სუბიექტის ბრუნვა და კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების არსებობა ან არარსებობა. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: თუ დავუშვებთ, რომ კონსტრუქცია ქმნის სხვაობას მოქმედებითი და ენებითი გვარის ზმნებს შორის ხუნძურში, ანუ თუკი ხუნძურში გვაქვს გვარის სინტაქსური კატეგორია, ხომ არ გამოიწვევს ეს გარდამავლობა — გარდაუვალობის განმსაზღვრელი ნიშნის უგულვებელყოფას ან ტოლობის ნიშნის დასმას გარდამავლობისა და გვარის კატეგორიებს შორის? სინტაქსურ კონსტრუქციათა სხვაობა ხუნძურში იძლევა საშუალებას გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების გამოყოფისათვის, მაგრამ რამდენადაა შესაძლებელი იგივე მომენტი გვარის გრამატიკული კატეგორიის გამოყოფის საფუძველიც იყოს?

მაგრამ საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული სრულიად არ გულისხმობს ხუნძურის ტიპის ენებში მოქმედებითი ან ენებითი გვარის ფორმების არსებობას. აქ გვარი მხოლოდ ფუნქციონირებს არსებობს, ანუ სხვაგვარად: ამ ტიპის ენებში მხოლოდ აქტიურობისა და პასიურობის კატეგორიაა ჩამოყალიბებული, გვარი კი აქტიურობა-პასიურობის კატეგორიის მორფოლოგიურ გაფორმებასაც გულისხმობს. რასაკვირველია, ამასთან უშუალოდ არის დაკავშირებული გარდაუვალობის პრობლემაც, უფრო მეტიც: „გარდამავლობასა და გვარს შორის გარკვეული კავშირი ივარაუდება“.¹⁷ მაგრამ, ვიმეორებთ: გვარის სინტაქსურ ფუნქციაში მაინც აქტიურობა-პასიურობა იგულისხმება და არა გარდამავლობა, რომელიც თავად (ისევე როგორც გვარი) ძირითადად ამ სინტაქსური კატეგორიითაა განსაზღვრული და თავის მხრივაც რიგ შემთხვევაში აქტიურობა-პასიურობის განმპირობებელია: გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში სუბიექტი ძირითადად აქტიურია, და პირიქით: გარდაუვალი ზმნა არსებითად პასიურ სუბიექტს გულისხმობს. თუ ამას გავითვალისწინებთ, შესაძლებელი გახდება

¹⁵ იქვე, გვ. 188.

¹⁶ არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 243.

¹⁷ იქვე, გვ. 243.

იმის დაშვებას, რომ ხუნძურის ტიპის ენებში გვარის კატეგორია არსებობს სინტაქსურად, ანუ სხვაგვარად: არსებობს გვარის ფუნქცია, ხოლო ფორმა ამ ფუნქციის გამოსახატავად ამ შემთხვევაში მთელი კონსტრუქცია იქნება ეს კი უკვე ერთგვარ საფუძველს ქმნის გვარის კატეგორიის ფორმობრივი ჩამოყალიბებისათვისაც.

ბ) ერთგვარად მსგავსი ვითარება დასტურდება თურქული ჯგუფის ზოგიერთ ენაში, სადაც თავისებური ურთიერთობაა იმპერსონალურ, მედიურ და პასიურ კონსტრუქციებს შორის: თუ წინადადებაში ქვემდებარე არაა დასახელებული, ან შეუძლებელია მისი დასახელება, მაშინ ზმნა გამოდის იმპერსონალური მნიშვნელობით. თუკი ქვემდებარე ასეთ წინადადებაში დასახელებულია, ზმნას აქვს ენებითობის ან მედიურობის მნიშვნელობა. თავის მხრივ ამ ორ უკანასკნელს შორის განსხვავება დამოკიდებულია შესაძლებლობაზე წინადადებაში ჩაერთოს ირიბი (ქართულთ — უბრალო) დამატება (ანუ: რეალურად მოქმედი პირი): თუ ასეთი დამატება შესაძლებელია, ზმნას ენიჭება ენებითის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ზმნას საშუალო გვარის ფუნქცია აქვს.¹⁸

ანალოგიური მაგალითების დაძებნა სხვა ენებშიც მოხერხდებოდა.

ჩვეულებრივ კი გვარის ფორმაში მხოლოდ ოვით ზმნის მოდელს, ფორმას გულისხმობენ.

ამდენად, იმ ენებში, სადაც აქტიურობა-პასიურობის ფუნქცია მორფოლოგიურად გაფორმებულია, არსებობს როგორც ზმნის გვარი, ასევე აქტიური და პასიური კონსტრუქციები, ხუნძურის ტიპის ენებში კი — მხოლოდ აქტიური და პასიური კონსტრუქციები.

მაშასადამე, პირველ შემთხვევაში გვარი არსებობს როგორც ფუნქციურად, ასევე ფორმალურად, მეორე შემთხვევაში — მხოლოდ ფუნქციურად. პირველ შემთხვევაში გვარი მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიაა, მეორე შემთხვევაში — მხოლოდ სინტაქსური, თუმცა ამ დროსაც მოქმედებს მორფოლოგიური ფაქტორი (მაგ., სუბიექტის ბრუნვა და სხვა), მაგრამ ეს უკვე შეეხება მთლიანად კონსტრუქციის და არა ზმნის ფორმის დახასიათებას.

ტრადიციული შეხედულების თანახმად კი „გვარის მოდელი უნდა შეიცავდეს გრამატიკულ მნიშვნელობასა და გრამატიკულ ფორმას. ამ ორი შემადგენელი ელემენტის გარეშე არ არსებობს გვარის გრამატიკული კატეგორია“¹⁹

ზმნის გვარის განმარტებისათვის, როგორც ცნობილია გვარის კატეგორიაში ერთმანეთს თავისებურად უკავშირდება სიტყვის შინაარსი და ფორმა. გვარის (ისევე როგორც სხვა კატეგორიების) ფუნქციაა წარმოადგინოს გარკვეული სინტაქსური ურთიერთობა მორფოლოგიური საშუალებებით. ეს სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობაა. რაც შეეხება შემასმენლისა და დამატების ურთიერთობას, იგი განეკუთვნება გარდამავლობის კატეგორიას. მაგრამ დგას საკითხი: ქვემდებარისა და შემასმენლის როგორი ურთიერთობა ივლისსმება ამ შემთხვევაში?

გვარი აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით.

¹⁸ Э. В. Севортян, დაახლებული ნაშრომი, გვ. 499—500.

¹⁹ М. М. Гухман, დასახლებული ნაშრომი, გვ. 6.

ეს არის საკითხის სინტაქსური შესარეკ.

მორფოლოგიური მხარეა ამ სინტაქსური ურთიერთობის ზმნაში სპეციალური ფორმანტებით აღნიშვნა.

ამდენად, გვარი ქართულში არის სინტაქსურ-მორფოლოგიური, გრამატიკული კატეგორია, ზმნა-შემასმენლის კატეგორია, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით (მოდელით) აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით (შემასმე-
წლით ვადმოცემულ მოქმედებაში).

[ხოლო გარდაამავლობა აღნიშნავს ზმნის ლექსიკის, მოითხოვოს თავისი მოქმედების უშუალო ობიექტი კონსტრუქციაში, ჩართოს წინადადებაში პირდაპირი (რეალური) დამატება. გარდაამავალი ზმნის მოდელი ქართულში ზუსტად ემთხვევა მოქმედებითი გვარის მოდელს, ხშირ შემთხვევაში (წუხს, ქრის, ცურავს..) საშუალო გვარის მოდელს (რაც თავისთავად მოქმედებითი გვარის ფორმათა იდენტურია, რადგან საშუალო გვარს „ფორმა უმეტესად მოქმედებისაა აქვს“.²⁰)

საერთოდ, ზმნები (მაგალითად, აწუხებს-წუხდება-წუხს) თავისთავად „წმინდა სახით“ არც ერთ გვარულ დამოკიდებულებას არ აღნიშნავენ. ისინი გადნოსცემენ გარკვეულ მოქმედებას, გარკვეულ პროცესს ან მდგომარეობას, მაგრამ განეკუთვნებიან გვარის ამათუბ ფორმას მხოლოდ იმეტომ, რომ თავის თავში გულისხმობენ კონსტრუქციას, რომლითაც ვადმოცემულია ნაირგვარი დამოკიდებულება ქვემდებარესა და ზმნით ვადმოცემულ მოქმედებას შორის. ამ მოქმედებაში ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით.

წინადადებები: 1. მზე ამწიფებს ყურძენს; 2. ყურძენი მწიფდება; 3. ყურძენი მწიფს — ისეთი კონსტრუქციებია, რომლებიც შეიცავენ მითითებას გარკვეულ კონკრეტულ საგანზე; ამდენად, კონკრეტული (დაკონკრეტებული) წინადადებებია.

ფორმები: 1. ამწიფებს; 2. მწიფდება; 3. მწიფს — აბსტრაქტული (აბსტრაპირებული) წინადადებებია. ყოველი კონკრეტული საგანი (წინადადებაში წარმოდგენილი ქვემდებარის ან დამატების სახით) აბსტრაპირდება ზმნის ფორმაში ფორმანტების საშუალებით. მაგალითად, ფორმაში მწიფდება ფორმანტი -ა (III სუბიექტური პირის ნიშანი) აღნიშნავს რაღაც ზოგად საგანს. რომელიც განიცდის მოქმედებას. ყოველ კონკრეტულ კონსტრუქციაში იგი შეიძლება იყოს ნაირგვარი საგანი (როგორც ყურძენი, ასევე: ატანი და ა. შ.).

ამდენად, ზმნის გვარი თავისი შინაარსით აუცილებლად გულისხმობს წინადადების გარკვეულ კონსტრუქციას, გულისხმობს სუბიექტის გარკვეულ დამოკიდებულებას ზმნით ვადმოცემული მოქმედებისადმი. ეს დებულება შეიძლება გავრცელდეს ყველა ენის მიმართ. რაც ნიშნავს ამ სინტაქსური მოვლენის მორფოლოგიურ გამოხატვას, ეს სდება მხოლოდ ენათა გარკვეულ ნაწილში.

ენაში დასტურდება ნაირგვარი დამოკიდებულება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, რაც შეიძლება აისახოს ან არ აისახოს ზმნაში ფორმანტების საშუალებით, ანუ: რაც შეიძლება აბსტრაპირდეს ან არ აბსტრაპირდეს. თუ

²⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 312.

პირის ნიშნებში აბსტრაქტიზდება კონკრეტული პირი, გვარის მოდელში აბსტრაქციას განიცდის მთლიანად კონსტრუქცია, ამ კონსტრუქციის შემადგენელი ნაწილების ვარკვეული ურთიერთობა.

ზმნის გვარის ზემოაღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამაა გასათვალისწინებელი. კერძოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მხოლოდ აქტიური და პასიური, მხოლოდ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები, რადგან ოდენ ქვემდებარის აქტიურობის მიხედვით ქართულში გაძნელებოდა მოქმედებითი და საშუალო გვარის გამოჩენა; რაც, ვარაუდობენ, ხერხდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, „მოქმედება სხვა პირზე დამართებული, თუ არა.“ (ა. შანიძე).

დაიწყებთ იმით, რომ გვარის განმარტებაში მოქმედების პირდაპირ (რეალურ) ობიექტზე მიმართების შეტანა მიზანშეუწონელი ჩანს, რადგან მაშინ იგივეობის ნიშანი უნდა დაგვესვა გვარსა და გარდამავლობას შორის, ეს კი შეუძლებელია, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ზოგიერთ ენაში (და ამის მაგალითები საკმაოა) შესაძლებელია გამოიყოფოდეს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები, მაგრამ გვარის კატეგორია კი არ იყოს ჩამოყალიბებული. რაც შეეხება ე. წ. საშუალო გვარის ზმნებს, საჭირო ხდება სპეციალური თვალსაზრისის შემუშავება მათი გამოყოფის საფუძვლის დასადგენად. ერთ ძირითად ფაქტორად შეიძლება მათი სტატისტიკური მიგვეჩინა, მეორედ — მათი თავისებური უღვლილება, რითაც ისინი გარკვეულად უპირისპირდებიან მოქმედებითი გვარის ზმნებს და მათგან განმხოლოებულად დგანან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშუალო ფორმების გამოყოფა არსებითად მათ ფუნქციას ემყარება, მოდელი კი ძირითადად მოქმედებითი გვარისა აქვთ. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ზოგჯერ ისინი აქტიური ზმნების უკუქცევით თუ სტატისტიკურ ვარიანტებადაა მიჩნეული, რაც უთუოდ გასათვალისწინებელი ჩანს და რის თაობაზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. აქვე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა გვარის კატეგორიის განსაზღვრის სხვა სირთულეზეც. საქმე ისაა, რომ თვით მოქმედებითი და ვნებითი გვარის განმარტებასაც ახლავს გარკვეული წინააღმდეგობა. ასე მაგალითად, ვნებითად ჩვეულებრივ გამოვყოფთ იმ ზმნებს, რომლებშიც სპეციალური ფორმით გამოხატულია პასივობის ფუნქცია. მაგრამ ფორმით ვნებითი გვარის ზმნა შესაძლებელია აქტიურ მოქმედებასაც გამოხატავდეს. ამის მაგალითები — დებონენსები — საკმაოა ქართულში: იგინება, იმუჭრება, ეზიდება, ელაპარაკება და სხვ. ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი განმარტება გვარისა მხოლოდ ცდაა შემოისაზღვროს ქართულში გვარის ფორმათა არე, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი გახდება გვარის ფორმებისა და, საერთოდ, გვარის კატეგორიაზე მსჯელობა. ქართულში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა გამოყოფის საფუძველი ფორმალურ-ფუნქციურია და ეს ფორმა და ფუნქცია ხშირად წინააღმდეგობრივ ურთიერთობას ქმნიან. ე. წ. საშუალო ზმნების გამოყოფის საფუძველი კი, როგორც უკვე ითქვა, არსებითად მხოლოდ ფუნქციურია, მათ გვარის სხვა ფორმებისაგან განსხვავებული საკუთარი მოდელი არ მოეპოვებათ. თუკი ფორმით ისინი მოქმედებითი გვარის მოდელს იმეორებენ, ფუნქციურად, მიუხედავად გარკვეული სიახლოვისა, გაპირდებოდა მათი აქტიურ ზმნებთან გათანაბრება. მათ ზოგჯერ გამოყოფენ ცალკე, სტატისტიკურ ზმნებად და არ შეაქვთ გვარის გრამატიკულ სისტემაში. მაგრამ ეს სტატისტიკური ზმნები მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებთან ერთად

თად აშკარად ქმნიან საერთო ჭკუფეს, ერთიანდებიან ერთ გრამატიკულ მნიშვნელობაში (წვეს-აწვენს-წვება; დულს-ადულებს-დულდება. ან პირიქით, როცა ამოსავალია დინამიკური ფორმა: წერს-იწერება-სწერია და მისთან.); ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ გარდამავალი დინამიკური და გარდაუვალი სტატიკური ფორმა (აბალახებს-ბალახობს), მესამე, დინამიკური გარდაუვალი ფორმა ქართულში არ დასტურდება. ამიტომ, ამ ფორმათა მსგავსი გრამატიკული შინაარსის საფუძველზე, შესაძლებლად მიგვაჩნია აღნიშნულ ფორმათა გვარის სისტემაში შემოტანა, ოღონდ, რასაკვირველია, არა როგორც „საშუალი გვარი“, რადგან სხვა რომ არაფერი იყოს, თვით ეს ტერმინიც კი მიუღებელი ჩანს (იხ. ქვემოთ), თუკი მხოლოდ პირობითად (ტრადიციული ტერმინოლოგიის შეცვლასთან დაკავშირებული აზრობრივი თუ სხვა სირთულეების გამო) არ გამოიყენებთ მას. აღნიშნული ზმნები თავდაპირველი სტატიკური უგვარო ზმნებია, რომლებიც გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდგომ შესაბამის მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს დაუპირისპირდნენ, მაგრამ ეს დაპირისპირება მხოლოდ ფუნქციური აღმოჩნდა.

8. ზოგადი თეორიები გვარის კატეგორიის წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესახებ

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ზმნის გვარის მნიშვნელობა დგინდება და განისაზღვრება წინადადებაში, კონტექსტში. ²¹

ზმნა მეტყველების ნაწილად ფორმდება აფიქსების საშუალებით, მაგრამ ეს აფიქსები აწარმოებენ არა თვით ზმნას განყენებულად (თუმცა ზოგ ენაში, სადაც ინფინიტივი დასტურდება, შესაძლებელია ასეც მომხდარიყო), არამედ— ზმნურ კატეგორიებს (პირს, რიცხვს, გვარს, ქცევას და ა. შ.). ამდენად, ზმნის კატეგორიების წარმოშობასა და გაფორმებასთან არის დაკავშირებული ზმნის, როგორც მეტყველების ნაწილის, ჩამოყალიბება. ამ კატეგორიების ერთობლიობა ზმნის მოდელში ქმნის ზმნის ფუნქციას, მის მნიშვნელობას. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აუცილებელია, რომ ამ პროცესში ზმნის ყველა კატეგორია იღებდეს მონაწილეობას და თითქოს ამდენად, ზმნის ყველა კატეგორია წინ უსწრებს ზმნის, როგორც მეტყველების ნაწილის, გაფორმებას.

ჯეროთი და იგივე აფიქსი შეიძლებოდა მეტყველების სხვადასხვა ნაწილს დართოდა. მაგრამ ეს იშვიათად თუ იწყებდა აღრევას, რადგან ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს იქმნებოდა განსხვავებული მოდელი: ძ ე-ნ-ი! შ ო კ ე-ნ-ა. გარდა ამისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძირის-სემანტიკას. აფიქსების გამოყენების საჭიროება კი წარმოშვა კონსტრუქტიაში წინადადების წვერთა ძირებით გადმოცემული ზოგადი ცნების დაკონკრეტების აუცილებლობამ.

არსებობს ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი, რომლებიც იმდენად გვარის ფორმათა წარმოშობის საფუძველს კი არ ეხებიან, რამდენადაც ცდილობენ გაარკვიონ ამ ფორმათა წარმოშობის მიზეზი. მაგალითად, ვნებითი გვარის

²¹ В. В. Виноградов, Русский язык, М. Л., 1947; И. И. Мещанинов, Глагол, Москва, 1949; М. М. Гухман, Развитие залоговых противопоставлений в германских языках, Москва, 1964; Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960 и др.

ურთიერთგამოყოფა და ცალკე სინტაქსურ კატეგორიებად გაფორმება ხდება. მედიუმის ფორმები, სადაც „სუბიექტი თავისივე მოქმედების ობიექტია“, უძველესი მღვდმ. რგობის ანარქული ჩანს. მოქმედებითი და ენებითი გვარის ფორმებს შორის დაპირისპირება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ქვემდებარე და დამატება საბოლოოდ გამოიყვანნენ ერთმანეთს, როგორც დამოუკიდებელი კატეგორიები: „მანამდე ქვემდებარისა და შემასმენლის მარტივი კავშირი აღნიშნავდა როგორც პასიურ, ასევე აქტიურ ურთიერთდამოკიდებულებას.“²¹ ყოველივე ეს კი თავის მხრივ უკავშირდება აქტიურობა-პასიურობის ფუნქციისა და წინადადების ევოლუციის პრობლემას.

ყველა ეს მოვლენა ურთიერთგანმსაზღვრელია და ურთიერთშემავსებელი, ამავდროულად ურთიერთისაგან გამომდინარე. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისინი არ არსებობენ. მიუხედავად ამისა, საჭირო ჩანს ცალ-ცალკე დახასიათდეს მათი როლი გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებაში.

ა) გვარი და გარდამავლობა. გარდამავლობა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებაში. გარდამავლობა უკავშირდება ძირითადად ობიექტს, მაგრამ მკრდრო კავშირია სუბიექტთანაც, რადგან ობიექტის ცნება თავისთავად გულისხმობს სუბიექტის არსებობასაც.

თავდაპირველად ზმნები არ განირჩეოდნენ გარდამავლობის მიხედვით. ამ გარჩევის საფუძველი თვით ზმნური ძირის შინაარსშია. მაგალითად, ფორმის თვალსაზრისით დღევანდელ ქართულშიც კი ძვეს და ხვეს იდენტურია, განსხვავება მათ შორის მხოლოდ შინაარსშია, რაც განაპირობებს პირველის გარდაუვლობას, ხოლო მეორის გარდამავლობას. მათი ფორმობრივი გარჩევა მხოლოდ უღვლილის პარადიგმებში ხდება შესაძლებელი: იღო და დახაა.

სუბიექტი ორგვარად არსებობს რეალობაში — აქტიურად და პასიურად. სუბიექტის ამ ორგვარ მხარეს კონტექსტი გამოხატავს, რაც იწვევს სიტყვათა შესაბამის დაჭფუებას. ამ ჯგუფებში მკვიდრდება შესაბამისი გრამატიკული ფორმები, რომლებიც უკვე ფორმობრივად ასხვავებენ გარდამავალი მოქმედების შემცველ წინადადებას გარდაუვალისაგან. ეს გვაძლევს განსხვავებას გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორისაც. ხოლო თვით ამ ზმნების გარდამავალ და გარდაუვალ ვარიანტებს შორის განსხვავებას მივეყვართ ზმნის გვარის ფორმათა გამოყოფამდე.²²

ამდენად, რომელიმე კონკრეტულ ენაში განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყალიბდება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ჯგუფები, რაც თვით ამ ზმნების ძირის სემანტიკითაა განპირობებული. მაგ., თბება — შინაარსობრივად გარდაუვალი ზმნაა წერს — ძირის სემანტიკის მიხედვით გარდამავალია ყოველივე ეს გარდამავლობის კატეგორიის კუთვნილებება, მაგრამ პირველი ტიპის ზმნებისაგან შეიძლება ვაწარმოოთ გარდამავალი ფორმა — ათბობს, ხოლო მეორე ტიპის ზმნებისაგან — გარდაუვალი: იწერება. ფორმათა დაპირისპირებაზე: თბება-ათბობს, და წერს-იწერება აიგება გვარის კატეგორია. თავის მხრივ: ათბობს და იწერება — ორივე ნაწარმოები ფორმაა. ხოლო ამ წარმოების საფუძველი თვით კონსტრუქციამაა საძიებელი.

თავდაპირველად ზმნები არ შეიცავდნენ გარდამავლობისა და გარდაუვა-

²¹ Г. Пауль, დასახილებული ნაშრომი, ვვ. 334.

²² И. И. Мещанинов, დასახილებული ნაშრომი, გვ. 93—95.

ლობას მუდმივ მნიშვნელობას. არსებობდა ე. წ. „ნეიტრალური ძირები“ (გარდამავლობის მიმართ). წინადადების შედგენილობის მიხედვით ყოველი ზმნა შეიძლება ყოფილიყო გარდამავალიცა და გარდაუვალიც. ეს ძველი ვითარება ზოგიერთ ზმნას ღღემდე შემორჩა. ამგვარი ვითარებაა რუსულში, ძველ ეგვიპტურში, თურქული ჯგუფის ზოგიერთ ენაში და ა. შ.³⁰ ანალოგიური ლაბილური კონსტრუქციები ზოგ მთის კავკასიურ ენაშიც შეინიშნება. მკვეთრად წარმოიჩინილი განსხვავება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის შედარებით გვიანდელი მოვლენაა, რაც ხდება ერთ-ერთი პირობა სტაბილური კონსტრუქციების ჩამოყალიბებისა.

ბ) მედიოპასივისა და პერფექტის ურთიერთობის საკითხისათვის. მოქმედების გამომხატველი ზმნების უმრავლესობა ემთხვევა გარდამავალ ზმნებს, ხოლო მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნების უმრავლესობა-გარდაუვალებს. ვარაუდობენ, რომ პასივის წარმოქმნის ადრეულ პერიოდში ენებითი გვარის ფუნქცია დაიყვანებოდა საგნის ან პირის მხოლოდ მდგომარეობის ჩვენებამდე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პასივი წარმოიქმნა მდგომარეობისა და გარდაუვალობის შინაარსის გადმოცემი ფორმების ბაზაზე.³¹

მდგომარეობის კატეგორიასთან ყველაზე უფრო დაკავშირებული პარადიგმული ფორმაა პერფექტი, რადგან სწორედ იგი გადმოსცემს მდგომარეობას როგორც ჩადენილი მოქმედების შედეგს. ეს იძლევა საფუძველს დასკვნისათვის: „პერფექტში ყველაზე ადრე განვითარდა პასიურობის მნიშვნელობა.“³²

ე. ი. ამ დებულების თანახმად გვარის ფორმების ჩასახვა მკიდროდ უკავშირდება დროისა და ასპექტის კატეგორიებს და, საერთოდ, უღვლილების კატეგორიას.

დროთა უძველეს ფორმებად ინდო-ევროპულ ენებში მიჩნეულია აწმყო, აორისტი და პერფექტი. უკანასკნელი წარმოიშვა მდგომარეობის გამომხატველი ფორმებისაგან, შესაბამისად აწმყო და აორისტი-მოქმედების გამომხატველი ფორმებისაგან. ვარაუდობენ, რომ მედიუმის, როგორც გვარის ფორმის, არსებობა დაიწყო იმ დროიდან, როცა მდგომარეობის კატეგორია გაიყო ორ გრამატიკულ ფორმად, რომელთაგანაც ერთმა მიიღო გვარის მნიშვნელობა, მეორემ კი — ასპექტის. ხოლო თავის მხრივ „უძველესი განსხვავება მედიუმსა და პერფექტს შორის იყო შემდეგი: მედიუმი გამოხატავდა მდგომარეობას როგორც პროცესს, პერფექტი — როგორც ფაქტს. ესენი იყვნენ მდგომარეობის კატეგორიის ორი სახესხვაობა.“³³

ეს პროცესი რომ მეტ-ნაკლებად საერთო იყო და სხვა სისტემის ენებშიც მოქმედებდა, ამაზე ეს ფაქტიც მიუთითებს: ძველ ეგვიპტურში ზოგი ზმნის ვნებითი გვარის ფორმა მოქმედებითი გვარის პერფექტულ ფორმას ემთხვეოდა.

³⁰ იხ. მაკალითაძე, В. В. Виноградов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 621—622
Э. В. Севортян, დასახელებული ნაშრომი, გვ. 456—457; М. А. Коростовцев
Введение в египетскую филологию, М., 1963, стр. 144; Б. А. Ильинш, История
английского языка, 1939, стр. 270.

³¹ М. Ф. Резникова, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4. М. М. Гухман, Страда-
тельный залог индоевропейских языков и проблемы залоговой дифференциации.
Труды ВИИЯ, 1, М., 1945.

³² М. Ф. Резникова, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5—6.

³³ А. Н. Савченко, Категория среднего залога в индоевропейском языке:
(Автореферат), Ленинград, 1967.

და, საერთოდაც, ეკვიპტურში ვნებითი გვარის მნიშვნელობა არაიშვიათად ძველი პერფექტით გამოისატებოდა.³⁴

მათალია, ამ ფორმებს განვითარების სულ სხვა საფუძველი აქვთ, მაგრამ მაინც საგულისხმოა მათი ტიპოლოგიური მსგავსება ქართულში დადასტურებულ მოვლენასთან. ვგულისხმობთ ე. წ. „ენიანი“ ვნებითის წყვეტილისა და მოქმედებითი გვარის II თურმეობითის ფორმების ურთიერთ-დამთხვევას: 1. დამეწერა (<მეწერება) — ის მე (ვნებითი) და 2. დამეწერა (<ვწერ) — მე ის (მოქმედებითი).

3) ზმნის გვარი და უკუქცევითობის კატეგორია. გვარის ფორმათა წარმოშობის პრობლემის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზმნის უკუქცევით ფორმებს.

გარდამავლობის მიხედვით უკუქცევითი ფორმები ორგვარია:

1. გარდაუვალი, რაკელიც აღნიშნავს იმავე მოქმედებას. რასაც უკუუქცევი მხოლოდ „თავის სუბიექტში ჩაკეტილს“, ობიექტზე გარდაუვალს, აღნიშნავს, რომ სუბიექტს უბრუნდება თვით მოქმედება. ამ ფორმებმა შემდეგ მიიღეს ვნებითი და საშუალი გვარის მნიშვნელობები.

2. გარდამავალი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტს უბრუნდება მოქმედების რეზულტატი და რომელსაც შემდეგ დაუკავშირდა მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფუნქცია.

ამასთან დაკავშირებით, ქართულ ენაში აღნიშნავენ მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის საერთო წარმომავლობას,³⁵ ხოლო მათი მაწარმოებელი ფორმანტის თავდაპირველ მნიშვნელობად მიჩნეულია რეფლექსურობა, უკუქცევითობა,³⁶ ქართულში არსებობს იმის საფუძველი, რომ ი-პრეფიქსი უკუქცევითი თუ კუთვნილებით ნაცვალსახელოვან ელემენტად იქნეს მიჩნეული.³⁷

უკუქცევითმა ფორმებმა მხოლოდ ენათა ერთ ნაწილში შეიძინეს გვარის გამოხატვის ფუნქცია, ხოლო სხვა ენებში ისინი გვარის ფორმების ჩამოყალიბებაში არ მონაწილეობდნენ. ეს ფორმები გვარის ცნების მიღმა მდგარი ენობრივი წარმონაქმნებია და ენათა ნაწილში მხოლოდ შემდეგ იქნენ გამოყენებული გვარის ფუნქციით. მაგალითად, აღნიშნულია, რომ უკუქცევითი ფორმები გერმანიკული ენებიდან მხოლოდ სკანდინავიურში აღმოჩნდნენ უშუალოდ დაკავშირებული ვნებითი თუ საშუალი გვარის ფორმირების პროცესთან. ტიპოლოგიურად მსგავსი პროცესი დასტურდება სლავურ, ბალტიურ, რომანულ ენებში.

³⁴ М. А. Коростовцев, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 152; 160.

³⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 363-365.

³⁶ Арн. Чикобава, *Грузинский язык, Языки народов СССР; том IV, М. 1967, стр. 47.*

³⁷ Н. Я. Марр, *Грамматика древнеинтературного грузинского языка*, Ленинград, 1925, § 216, стр. 176. ე. კ ა ვ თ ა რ ა ძ ე, *ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისთვის ძველ ქართულში, თბილისი. 1954, გვ. 265; გ. რ ო გ ა ვ ა, კუთვნილებითი იფიქსი ი ქართულურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქუყვასა და ბრუნვაში), ხაქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომებ, III, გვ. 211.*

ამ ენებში მედიუმის გამოხატვის სხვა ს:შედეგების გვერდით გამოიყენებოდნენ უუქცევითი ფორმები, ხოლო იმ ენებში, სადაც გვარის ძველი ფორმები მეტნაკლები სისრულით შემოგვრჩა (ბერძნული და ძველი ინდური მედიობასივის ან ხეთური მედიუმის ტაპისა), უუქცევითი ფორმები ან მცირე გაცრეცელდა, ან გამოიყენებოდა მეტად ვიწრო უუქცევითი მნიშვნელობით. ა ცნობილია ვარაუდი, რომლის თანახმადაც სკანდინავური საშუალო გვარი წარმოიშვა მოქმედებითი გვარის ფორმის უუქცევით ნაცვალსახელთან შერწყმის გზით.³⁶ თავისი წარმოშობით უუქცევითი ფორმები ახალიზურია: წარმოადგენენ ზმნისა და უუქცევითი ნაცვალსახელის შერთებას. ზოგ ენაში (მაგ., რუსულში) ნაცვალსახელი მიუხორცდა ზმნის ფუძეს და ფაქტიურად ფორმანტარცდა, ზოგში კი (მაგ., ბულგარულში) — არა.

უნდა აღინიშნოს, რომ უუქცევით ფორმას თანაბრად იყენებენ საშუალო და ენებითი გვარის ფორმები. ხოლო ქართულთან შეპირისპირებით — მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფუნქციის შემცველი ფორმებიც. შდრ., აღიღაცეს — იცვამს (მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევა); *колышется* — ბიბინებს (საშ. გვარი); *пишется* — აწერება (ენებითი გვარი). ზედნუტი არ იქნება აღინიშნოს ისიც, რომ ბერძნულში ზმნის ერთი და იმავე ფორმით გამოიხატებოდა როგორც სათავისო ქცევა. ასევე ენებითიც: *Παίδησμαι* — ვიზრდილავიზრდები (მოქმედებითი გვარი: *Παιზάω* — ვზრდი).

უუქცევითი ფორმები შეიძლება მივიჩნიოთ ცალკე გრამატიკული კატეგორიის. უუქცევითობის კატეგორიის, კუთვნილებად, რომელსაც მკიდრო ეპეშირი ქვეშაშნის ვვართან.

რამდენადაც უუქცევითი ფორმების წარმოშობა ისევ გარდამავლობას უკავშირდება, მისი წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი ისევ გარდამავლობის კატეგორიის განვითარებაში უნდა ვეძიოთ. ამდენად, ეს პრობლემა ისევ გარდამავლობას, აქედან კი სუბიექტობიექტის ურთიერთგამოყოფისა და ჩამოყალიბების პრობლემას უკავშირდება.

ღ) ზმნის გვარი და სუბიექტობიექტის ურთიერთგამოყოფის პრობლემა. გვარის ფორმების დაპირისპირება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ქვემდებარე და დამატება საბოლოოდ გამოეყენენ ერთმანეთს როგორც დამოუკიდებელი კატეგორიები.

გვარობად დაყოფისათვის ამოსავალი ჩვეულებრივ წინადადების სენანტიკა, რომელსაც ექვმდებარება ზმნის სქანსტარცა. წინადადება ქმნის ზმნის და ამიტომაც ზმნაში აბსტრაქტიზებულია მთელი კონსტრუქცია. წინადადებაში ობიექტის არსებობა ან არარსებობა, სუბიექტის აქტიური თუ პასიური მნიშვნელობა განსაზღვრავს ზმნისა (ზოგადად) და მასთან ერთად გვარის, გარდამავლობისა და უუქცევითობის კატეგორიების ბუნებას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გვარის გაფორმება უშუალოდ უკავშირდება სუბიექტისა და ობიექტის შინაარსობრივ ურთიერთდამოკიდებულებას წინადადებაში. ამით კიდევ ერთხელაა წარმოჩენილი საერთოდ ზმნის გვარის სინტაქსური ბუნება, რომელიც ყოველ ენაში ამ კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი ფორმით ვლინდ-

³⁶ M. M. Г у х м а н, დასახელებული ნაშრომი, გვ. 207—208.

³⁷ Г. П а у л ь, დასახელებული ნაშრომი, გვ. 335.

ბა. ან სხვაგვარად: ზოგადი სინტაქსური თვისება რაოდენობრივად განსხვავებული ფორმით გამოიხატება სხვადასხვა ენათა სისტემაში.

სუბიექტ-ობიექტის ურთიერთგამოყოფა უშუალოდ უკავშირდება საკითხს წინადადებას კონსტრუქციის შესახებ, რადგან სუბიექტ-ობიექტის ჩამოყალიბება სწორედ წინადადების კონსტრუქციაში პოულობს თავის საფუძველს, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ბრუნების სისტემის გაფორმებასთან.⁴⁰

ე) მიმღეობიანი კონსტრუქციები. მიმღეობა ითვლება სახელისა და ზმნის ერთგვარ სინკრეტულ ფორმად. მართლაც, მიმღეობა სხვა არაფერია, თუ არა ზმნური ძირი (მოქმედებისა ან მდგომარეობის შინაარსის შემცველი ძირი) გაფორმებული სახელადი აფიქსებით.

თუ რუსულ (ასევე სლავურ) ენაში ზმნის გვარი მკვეთრად გამოყოფილი გრამატიკული კატეგორია არ არის, ამ ენაში გვარის შინაარსის გადმოცემ ფორმათა ძირითად ბირთვს მიმღეობა წარმოადგენს,⁴¹ რადგან გვარის ფორმათა ოპოზიცია სწორედ რუსულ (სლავურ) მიმღეობაშია ნათლად გამოხატული და გამოიჭნული. ასევე ფინურ-უნგრული ჯგუფის ზოგიერთ ენაში (ყარელიურში, უნგრულში) მიჩნეულა, რომ გვარის ფორმები მხოლოდ მიმღეობებს ახასიათებს.⁴²

მიმღეობურ წარმოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ენებშიც, სადაც გვარი, როგორც ზმნის კატეგორია, ფორმობრივად უკვე ჩამოყალიბებულია. ქართულშიც დასტურდება გვარის აღწერითი ფორმები, რომელთა წარმოებაშიც მიმღეობას დიდი როლი აკისრია: გაცემულ იქნა, გაღებულ იქნა და მისთნ. თვით ახლა სინთეზურ ფორმად გაგებული გაყიდულია, აღებულია და მისთნ. თავისი წარმოშობით აღწერით ფორმებს წარმოადგენენ (გაყიდულია აღებული არის და მისთნ.). მოქმედებითი გვარის შესაბამისი ფორმები მხოლოდ სინთეზურია: ყიდის, იღებს... ამდენად, ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ერთ ფორმას უპირისპირდება ვენებითი გვარის ორი ფორმა: ერთი სინთეზური წარმოებისა, მეორე — ანალიზური:

გ ა ყ ი დ ა < გ ა ი ყ ი დ ა (სინთეზური)
გ ა ყ ი დ უ ლ ი ა (ანალიზური)

III სერიაში ორივე ფორმა (სინთეზურიცა და ანალიზურიც) მიმღეობურ ფუძეს იყენებს. გაყიდულა, გაყიდულიყო, გაყიდულიყო.

ამავე ტიპის მაგალითია:

გ ა ა უ ქ მ ა < გ ა უ ქ მ დ ა (სინთეზური)
გ ა ა უ ქ მ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა (ანალიზური)

III სერიაში: გაუქმებულა, გაუქმებულიყო, გაუქმებულიყო.

ამ ტიპის ფორმებს (გაუქმდა-გაუქმებულ იქნა-გაუქმებულა) განსაკუთ-

⁴⁰ შდრ. ზოგი თანამედროვე ევროპული ენა, სადაც სუბიექტისა და ობიექტის გამოყოფა შესაძლებელი ხდება მხოლოდ წინადადებაში მათი აღგლის მიწვევით (ბრუნვითა სისტემის უქონლობის გამო).

⁴¹ М. М. Г у х м а н, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

⁴² Языки народов СССР, т. III, стр 70; К. Е. М а й т н с к а я, Венгерский язык, 1, М., 1955, стр. 205.

რებული ადგილი უჭირავს ქართული ზმნის გვარის ფორმათა სისტემაში. გაუქმდა-გაუქმებულ იქნა ფორმებს შორის განსხვავება (გვარის თვალსაზრისით) შეიძლება ასეთი იყოს: გაუქმდა ფორმას თან ახლავს მედიალური შინაარსიც, მაშინ, როდესაც გაუქმებულ იქნა ფორმა აშკარად ენებითია, აშკარად გულისხმობს ე. წ. გრამატიკულ სუბიექტად პასიურ, უმოქმედო პირს. რაც შეეხება გაყიდულია, გაუქმებულია ტიპის ფორმებს, ფუნქციურად ისინი ახლოს დგანან პერფექტულობასთან: მოქმედება ჩადენილია წარსულში, რეზულტატი აწმყოს კუთვნილებაა (რაზედაც, სხვათა შორის, მათ საწყის ფორმებში: გაყიდულ(ი) არსიარის, გაუქმებულ(ი) არსიარის, — მიუთითებს მეშველი ზმნა არსიარის, მაშინ როდესაც სახელადი ნაწილი წარსული დროის მიმღეობაა). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე გაყიდულია-გაყიდულა ფორმების დაპირისპირება, მათი მსგავსებისა და განსხვავების თვალსაზრისით.

თანამედროვე ქართულში ამგვარი აღწერითი ფორმების არსებობა ადასტურებს იმას, რომ გვარის ფორმათა წარმოქმნა თუ ენაში უკვე არსებული მოდელების გვარის მნიშვნელობის გამოხატვით აღჭურვა შედარებით ახლო წარსულს პროცესია და, რომ მას საბოლოო სახე დღესაც არა აქვს მიღებული.

ქართული ენისათვის საერთოდ სინთეზური ფორმებია დამახასიათებელი, მით უფრო მნიშვნელოვანია და საყურადღებო სინთეზურის გვერდით აღწერითი ფორმების გამოყენება საერთოდ, და, კერძოდ, გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით. საინტერესოა ეს მოვლენა იმითაც, რომ ეს აღწერითი ფორმები უღვლილების პარადიგმებშია გამოყენებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ ენებთის სინთეზური ფორმები სტილისტურად უპირისპირდებათ ენებთის აღწერითი ფორმებს: გააღეს კარი — გაიღო კარი, მაგრამ: გაიღეს თანხა-გაღებულ იქნა თანხა⁴¹. ასეთი განსხვავების მიზეზი ისევე ზემოთ ნახსენებ მოვლენაში უნდა ვეძიოთ: პირველ ფორმას (გაიღო) თან ახლავს მედიურობის შინაარსიც, „საკმაოდ ძლიერია წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ კარი თვით არის მოქმედი“ (დ. ნ. ოესიანიკო-კულიკოვსკის გამოთქმით), ხოლო მეორე ფორმა (გაღებულ იქნა) გრამატიკულ სუბიექტად აშკარად გულისხმობს პასიურ, უმოქმედო პირს და, ამდენად, ენებთობის ფუნქცია ამ ფორმაში გაცილებით ძლიერაა წარმოჩენილი.

მაგრამ ქართულში გვარის ფორმების ჩამოყალიბებაში მიმღეობას მინიჭებენ მიუძღვის არსებითი ხასიათის წვლილი, როგორც ეს ზოგიერთ ენაში მოხდა, სადაც მან გადამწყვეტი როლი შეასრულა. ე. წ. II მიმღეობის შეერთება დამხმარე ზმნასთან მიჩნეულია გერმანიკული ენების ენებთითი გვარის სისტემის ფორმირების საფუძვლად, რომელიც თავისი მორფოლოგიური ტიპით ინდოევროპული ერთობის ეპოქის კუთვნილებაა. თუმცა აღნიშნავენ იმასაც, რომ ასეთი წარმოება არაა დამახასიათებელი მთელი რიგი ინდოევროპული ენებისათვის.⁴²

3) გვარის ფორმათა შენაცვლების შემთხვევები ბევრი ენისთვის არის ნი-

⁴¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 304.

⁴² М. М. Г у х м а н. დასახელებული ნაშრომი, გვ. 144—145. იხ. აგრეთვე: А. Д о з а г. История французского языка (перевод с французского), М., 1956, стр. 235—236.

შანდოლოვი ვენებითი გვარის ფორმების გამოყენება მოქმედებითი გვარის ფუნქციით. ეს განსაკუთრებითაა წარმოჩენილი ე. წ. დეპონენსებში: შდრ. ქართული: ი წ ყ ე ე ლ ე ბ ა, ი გ ი ნ ე ბ ა, ე ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა, ე კ ი თ ხ ე ბ ა და მისთნ. ასევე ლათინურში: arbitror (ვფიქრობ); polliceor (ვპირდები)⁴⁵ და სხვ.

ზედმეტი არ იქნება აღნიშნოს ისიც, რომ, მაგალითად, ბირმულ ენაში⁴⁶ „პასიური მნიშვნელობა გამოიხატება გრამატიკულად აქტიური ფორმის კონსტრუქციით.“⁴⁶ არაბულშიც „ვენებითი გვარის ფორმა ინარჩუნებს მოქმედებითი გვარის კონსტრუქციას.“⁴⁷ ინგლისურ ენაში დადასტურებულია შემთხვევებში, როცა ფორმით აქტიურ ზმნას ზოგ კონსტრუქციაში პასიურობის მნიშვნელობა ენიჭება: He sells the book (ის ყიდის წიგნს) — The book sells well (წიგნი კარგად იყიდება). ზმნა sells ორივე კონსტრუქციაში მოქმედებითი გვარის ფორმითა წარმოდგენილი. პირველ შემთხვევაში ფუნქციაც მოქმედებითი გვარისა აქვს, მეორე წინადადებაში — ვენებითისა. ასევე: Persia began the war (სპარსეთმა ომი დაიწყო) — The war began (ომი დაიწყო)⁴⁸.

ყველაფერი ეს ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ გვარის სხვადასხვა ფორმების წარმოშობას საერთო საფუძველი აქვს. სხვაგვარად ვერ აიხსნება მოქმედებითისა და ვენებითის ფორმების ასეთი სიახლოვე. შდრ. ქართულში: დაიწყო მან-დაიწყო ის; ან თუნდაც: დაეწერა მას ის-დაეწერა ის მას; განსხვავება მათ შორის გვარსა და მწკრივებშია: დაეწერა მას ის — მოქმედებითი გვარის II თურმეობითის მწკრივია, დაეწერა ის მას — ვენებითი გვარის წყვეტილის ფორმა. დაიწყო ფორმა ორივე შემთხვევაში წყვეტილია, მაგრამ განსხვავდება კონსტრუქციით: 1. სპარსეთმა ომი დაიწყო. 2. ომი დაიწყო: პირველი მოქმედებითი გვარის ფორმაა, მეორე — ვენებითისა.

აღნიშნულია აგრეთვე ვენებითისა და საშუალი გვარის ფორმების სიახლოვეც და მათი ურთიერთშენაცვლების ფაქტი. მაგალითად, საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ „ზოგჯერ შეუძლებელია განისაზღვროს გვარი: Поезд останавливается, მაგრამ: поезд останавливается сигналом стрелочника, опытной рукой машиниста, ან თუნდაც: поезд останавливается по требованию пассажира, — ეს არის ვენებითი გვარი, თუ იგულისხმება დამატება განუსაზღვრელი პირის სახით; თუ ასეთი დამატება არ არის, — ეს არის საშუალ-უქუქცევითი ფორმა.“⁴⁹ ანალოგიური მაგალითების დაძებნა რუსულში

⁴⁵ იხ. ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, ვვ. 305-309; სიმონ ყაუხჩიშვილი, ლათინური ენის სახელმძღვანელო, 1967, გვ. 70—72 (ფორმა: ვპირდება ქართულშიც დეპონენსია).

⁴⁶ Maun Maun Ньюн, И. А. Орлова, Е. В. Пузыцкий, И. М. Тагунова, Бирманский язык, М., 1963, стр. 63.

⁴⁷ И. В. Юшманов, Краткая грамматика арабского языка, Ленинград, 1964, стр. 54—55.

⁴⁸ О. Еслерсен, Философия грамматики, стр. 188—189; Б. А. Ильинш, История английского языка, стр. 269.

⁴⁹ А. А. Шахматов, Синтаксис русского языка; В. В. Виноградов, Русский язык, стр. 633.

ადვლად მოხერხდება: 1. Мальчик косит глазами, 2. Мальчик косит глаза на угол стола.⁵⁰

ამ შემთხვევაში ერთი და იმავე ფორმას ეკისრება საშუალო და მოქმედებითი გვარის ფუნქციის გადმოცემა; კონსტრუქციის მიხედვით იგი ხან გარდაუვალია, ხან გარდამავალი. ქართულში კი აღიარებული ფაქტია, რომ უმეტეს შემთხვევაში საშუალო და მოქმედებით გვარს ფორმა იდენტური აქვს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ზმნის გვარის ფორმათა ჩამოყალიბების ფუნქციური საფუძვლის გარკვევა და შესწავლა. სწორედ ფუნქციური დაპირისპირებაა ამოსავალი გვარის მიხედვით დაპირისპირებულ ფორმათა მორფოლოგიური გაფორმებისათვის. სწორედ იგი უქმნის საფუძველს გვარის კონკრეტული ფორმისათვის შესაბამისი მოდელის ჩამოყალიბებას. შინაარსი ქმნის, ანდა იყენებს ენაში უკვე არსებულ ფორმას ახალი მნიშვნელობისათვის.

*) კაუზატივისა და გვარის კატეგორიის ურთიერთობის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კაუზატივისა და გვარის კატეგორიის ურთიერთობის საკითხს. ეს ორი კატეგორია იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ ზოგი ავტორი აერთიანებს კიდევ მათ და გვარის სისტემაში გამოყოფს კაუზატიურ გვარს. მაგრამ ეს გაუმართლებელი ჩანს თუნდაც იმიტომ, რომ კაუზატივი მოეპოვებათ როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმებს (აქერივნებს—ეჭერივნება, აღანძვინებს—ელანძვინება), ხოლო გვარის კატეგორიის (და საერთოდ ყველა კატეგორიის) სისტემაში იმ გრამატიკული მნიშვნელობის შეტანა, რომელიც ამ კატეგორიის ფორმებისათვის ცალ-ცალკეა დამახასიათებელი, შეუძლებელია. გარდა ამისა, თვით გრამატიკული მნიშვნელობა გვარისა და კაუზატივისა სხვადასხვაა, მათი ზმნურ კატეგორიებად გამოყოფის საფუძველიც განსხვავებულია; გვარი — აქტიურობა-პასიურობის ფუნქციის მორფოლოგიური საშუალებებით გამოხატვავა, კაუზატივი კი იმას გვიჩვენებს, „სუბიექტა თვითონ ასრულებს მოქმედებას თუ მოქმედება სხვა პირის მეშვეობით სრულდება.“⁵¹ მაგრამ კაუზატივის აღნიშნული მნიშვნელობა უკვე გულისხმობს მის სიახლოვეს (და არა იდენტურობას) გვარის კატეგორიასთან. ეს კონკრეტული მაგალითებითაც დასტურდება, კერძოდ იგულისხმება შემთხვევები, როცა მოქმედებითი გვარის ფორმები კაუზატიური წარმოშობისაა. ეს მოვლენა კარგადაა წარმოჩენილი ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც გვარის კატეგორიას არ გამოყოფენ, მაგრამ კაუზატიური ფორმა სხვა ენების მოქმედებითი გვარის ფორმას უტოლდება. გარდა ამისა: მანჭურულ-ტუნგუსურ, მონღოლურ, თურქულ ენებში, გავრცელებული ვარაუდის თანახმად, კაუზატივისა და ვნებითის გამოყოფა-ჩამოყალიბება ადრე არსებული მათი ერთიანი ფორმის დიფერენციაციის შედეგია.⁵² ზოგიერთ (მაგალითად, სამ-

⁵⁰ Современный русский язык (Под редакцией проф. Е. М. Галкиной и Федорук), 1964, стр. 157.

⁵¹ ან. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება; ქართული ენის განმარტები-ლი, ლექსიკონი, ტ. 1, 1950, გვ. 050.

⁵² Э. В. Севортян, диссертация на звание д-ра, გვ. 522; В. Котвич, Исследования по алтайским языкам, М., 1962, стр. 198—199; Г. Санжеев, Сравнительная грамматика монгольских языков, Глагол, М., 1963.

ხრეთ-ტუნჯესურ, მახჭურულ) ენაში კი კავზაციისა და ენებითის წარმოება ერთმანეთს ემთხვევა (მნიშვნელობებს წინადადების კონსტრუქცია განასხვავებს მხოლოდ).⁵⁴ ანალოგიურ ენობრივ მოვლენაზე ლაპარაკია იაპონური და ჩინური ენის გრაჰატიკებშიც.⁵⁵

თ) დინამიკურობა-სტატიკურობა და გვარის ფორმათა წარმოების საკითხები. ქართულში დინამიკურობისა და სტატიკურობის ცნება გამოიყენება როგორც ვიწრო, ასევე ფართო მნიშვნელობით. ვიწრო მნიშვნელობით ამ ტერმინს იყენებენ მხოლოდ ენებითის მიმართ, და ისიც იგულისხმება არა „ყოველი ენებითი“, არამედ „ისეთი. რომელსაც მოეპოვება საპირისპირო ფორმა სტატიკური ზმნის ნიშნებით.“⁵⁶ ამის მაგალითებია: ითვისება-სთვისია, იწერება-სწერია და ა. შ. ვარაუდობენ, რომ „სტატიკურ ზმნებთან მნიშვნელობით ახლო დგას მელოპასივი.“⁵⁶

ფართო მნიშვნელობით დინამიკური და სტატიკური ზმნები ქართულ ზმნების ერთერთი ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია.⁵⁷ ამ დებულების თანახმად, ქართული ზმნები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: დინამიკურ და სტატიკურ ზმნებად. დინამიკური ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიცა და გარდაუვალიც, სტატიკური ზმნა გარდაუვალია.

აღნიშნავენ, რომ ქართულში დინამიკურებთან შედარებით სტატიკურა ზმნები შეუღარებლევ ცოტაა, მასთან „სტატიკური ზმნები განვითარების ძველისძველ საფესურს წარმოგვიდგენს.“⁵⁸

სტატიკურობა-დინამიკურობის კატეგორია წინ უსწრებს გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებას.

დინამიკურობა-სტატიკურობის პრობლემა მკიდროდ უკავშირდება დროცილობა წარმოებას, ერთი მხრით, და გვარის ფორმათა წარმოებას, მეორე მხრით.

ვარაუდობენ, რომ მაგალითად, ინდო-ევროპულ ენებში პერფექტი მდგომარეობის გამომხატველი ფორმებისგან წარმოიშვა, ხოლო აწმყოს და აორისტი — მოქმედების გამომხატველი ფორმებისაგან (იხ. ზემოთ). პერფექტისათვის საერთოდ დამახასიათებელია სტატიკურობის ფუნქცია. რადგან იგი მიუთითებს მდგომარეობაზე, რომელიც მოქმედების შედეგს წარმოადგენს. არსებითად, პერფექტი აწმყოსა და წარსულის თავისებურ კონტამინირებულ ფორმას წარმოადგენს: მდგომარეობა (მოქმედების შედეგი) განეკუთვნება აწმყოს, ხოლო მოქმედება — წარსულს. თავის მხრივ მდგომარეობა შეიძლება ორგვარი იყოს: აღნიშნავდეს მხოლოდ მდგომარეობას ან აღნიშნავდეს მდგომარეობას, როგორც მოქმედების შედეგს. პირველი ფუნქციის მატარებელი ფორმებია: დგას, ზის,

⁵⁴ Б. К. Пашков, Маньчжурский язык, М., 1963, стр. 33—34.

⁵⁵ И. А. Сыромитников, Становление повояпонского языка, с. 265; И. Т. Зограф, Очерк грамматики среднекитайского языка, М., 1962, стр. 87, 91.

⁵⁶ ა. შანიძე, ქართული გრაჰატიკის საფუძვლები, გვ. 324.

⁵⁷ იქვე, გვ. 328.

⁵⁸ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 051.

⁵⁹ იქვე, გვ. 051; ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

წევს, სძინავს და მისთნ. მეორე ფუნქციისა — აფენია. აბია, აწერია, (სწერია), აკრავს და ა. შ. მამასადამე, უკანასკნელთ პერფექტული გაგება აქვთ.

ისმის კითხვა: რომელ ი გვარის კუთვნილებაა მეორე ფუნქციის მქონე ფორმები? თუკი მათ შეეცკვლით, აღწერითი ფორმებით: აფენია|დაფენილი არის; სწერია|დაწერილი არის და ა. შ. მაშინ ისინი, მართლაც, ვნებითი გვარისა აღმოჩნდებიან.⁵⁹ მაგრამ ფორმის თვალსაზრისით ისინი აშკარად უახლოვდებიან მოქმედებითი გვარის ზმნებისა და რელატიური (ორპირიანი) ენებითების თურმეობითებს: შდრ. წერს-დაუწერია, ეწერება-დასწერია, და სწერია; ან: უკეთებს-გაუკეთებია, უკეთდება-გააკეთებია და: უკეთია; აკლებს-დაუკლია, აკლდება-დააკლებია და: აკლია (უკლია). როგორც თურმეობითები, ასევე ზემოაღნიშნული სტატიკური ფორმები პერფექტული შინაარსისაა, ხოლო პერფექტი-სათვის საერთოდ დამახასიათებელი ჩანს მედიოპასიურობის მნიშვნელობისაკენ გადახრა, რაც მიაჩნიათ იმის დამამტიკებელ საბუთად, რომ ენებითობის მნიშვნელობა თედაპირველად პერფექტებში განვითარდა (იხ. ზემოთ). ეს ეხმაურება ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომ „დროთა მესამე ჭჯფუში ყოველი ზმნა ან ენებითის სახეობას წარმოადგენს, ან საშუალო-ენებითისას ან საშუალოსას.“⁶⁰

ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე დგინდება, რომ ზოგიერთი ევროპული ენის პერფექტის შესაბამისად ქართულში თურმეობითები გამოიყენება.⁶¹ თავის მხრით კი პერფექტი გამოხატავს მდგომარეობას, სტატიკას. თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, მაგალითად, მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყო (ან წყვეტილი) და I თურმეობითი ერთმანეთს ისევე უპირისპირდება, როგორც ერთი და იმავე ზმნის დინამიკური და სტატიკური ფორმები.

თუკი I თურმეობითი უტოლდება სხვა ენების პერფექტს, II თურმეობითი ამ თვალსაზრისით უთანაბრდება იმავე ენების პლუსკუამპერფექტს. პლუსკუამპერფექტი კი აღნიშნავს წარსულ მდგომარეობას ან მოქმედებას, რომელიც რეზულტატია მისი წინავე მოქმედებისა⁶²: ამდენად, თავისი ფუნქციით II თურმეობითი სტატიკის კუთვნილებაა. მართალია, აღნიშნავს, რომ I თურმეობითი ფორმით არის სტატიკური. ხოლო II თურმეობითი (და III კავშირებითი) ფორმით დინამიკურია. მაგრამ, ჩანს, ეს მოვლენა ამ უკანასკნელის ფუნქციურ მხარეზე არ ვრცელდება.

ამდენად, ჭარბამავალი ზმნის ზოგი მწკრივი ქართულში გადმოსცემს მოქმედებას (I და II სერიის მწკრივები), ხოლო ზოგი მწკრივი (III სერიის მწკრივები) — მდგომარეობას, როგორც აქტიური მოქმედების შედეგს. აქ მიღებულია ამ მწკრივების ძირითადი მნიშვნელობა, თუმცა ფუნქციური ვარიანტი თითოეულ მწკრივს შესაძლებელია ბევრი ჰქონდეს. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პლუსკუამპერფექტის ფუნქციის გამოხატვა II თურმეობითს თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათად ეკისრება.

⁵⁹ შდრ.: ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 323-324.

⁶⁰ არნ. ნიქოზაძე, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968, გვ. 143.

⁶¹ ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კლთა წარმოებისათვის ქართულში, იკვ. ტ. VII, თბ.: 1955, გვ. 87, 97.

⁶² Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, М., 1960, стр. 212.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულში დინამიკურობასა და სტატიკურობას ერთი და იმავე გარდამავალი ზმნის უღვლილების პარადიგმები გაწარჩევენ. ეს ვარაუდი შეიძლება გავრცელდეს გარდაუვალი ზმნების მიმართაც.

გარდამავალი		გარდაუვალი	
დინამიკური	სტატიკური	დინამიკური	სტატიკური
წერს	დაუწერია	იწერება	დაწერილა
დაწერა	დაეწერა	დაიწერა	დაწეულიყო

დინამიკურობა და სტატიკურობა თავის მხრივ მკიდროდ უკავშირდება ზმნის გვარის ფორმათა წარმოების საკითხს. ხოლო ორივე უშუალოდ უკავშირდება უღვლილების პრობლემას

აღნიშნული იყო, რომ:

1. უღვლილების სხვადასხვა პარადიგმი დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით განარჩევს ერთსა და იმავე ზმნას;

2. ქართულში აწმყოს ჭგუფი აქტიურია (გარდამავალ ზმნებში), ნამყო ძირითადის ჭგუფი „სპეციფიკურ-ინდიფერენტულია,“ ხოლო III სერიაში „ყოველი ზმნა ან ვნებითის სახეობას წარმოადგენს, ან საშუალო-ვნებითისას თუ საშუალოსას.“⁶³ ე. ი. ამ ვარაუდის თანახმად გვარიც შეიძლება „უღვლილების კატეგორიად“ გამოიყოს.

ამ ორი დებულების ურთიერთდაკავშირების შედეგად მიიღება ის, რომ გარდამავალი ზმნის დინამიკური ფორმა გვარის მიხედვით არის ან აქტიური (I სერიაში) ან „სპეციფიკურ-ინდიფერენტული“ (II სერიაში), ხოლო იმავე ზმნის სტატიკური ფორმა (III სერიის ფორმა) — წარმოადგენს „ან ვნებითის სახეობას, ან საშუალო-ვნებითისას თუ საშუალოსას.“

საერთოდ, ქართულში მართლაც შეინიშნება მწკრივების მიხედვით აქტიურობა-პასიურობის „ხარისხების“ გარჩევის ტენდენცია. მაგალითად, წერს და დაუწერია ერთი და იმავე გარდამავალი ზმნის ორი ფორმაა (აწმყო და I თურმეობითი). ამდენად, თუკი წერს ზმნა მოქმედებითი გვარისაა, მისი პარადიგმიც დაუწერია მოქმედებითი გვარისად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ აშკარაა, რომ დაუწერია ფორმა არ ამჟღავნებს აქტიურობის ისეთ ხარისხს, როგორც წერს ფორმისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ, თითქოს ფუნქციურადაც განსაზღვრულია ის, რომ მოქმედებითი გვარის III სერიის ფორმები თავისი მოდელებითაც ემთხვევა შესაბამის ვნებითებსა თუ „საშუალო-ვნებითებს“. შდრ. მაგალითად: სწერია (რელატ.: უწერია) და დაუწერია (უსრ. ასპექტ.: უწერია), ან: დაეწერა (ის მას: <ეწერება) და დაეწერა (მას ის: <წერს). ანალოგიური ვითარება დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც. ამგვარი ვითარება იყო ძველ ქართულშიც: უპყრის, მპოსის (სტატიკური

⁶³ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 143; (იხ. აგრეთვე, ზევილი).

აწმყო) და დაუპყრის. შეუმოსიეს (მოქ. გვარის თურმეობითი). საგულსამაზაგალითებს იძლევიან ამ მხრივ ქართული ენის დიალექტებიც.

საანტერესოა აღინიშნოს:

1. ძველ ქართულში I თურმეობითის დაბოლოება იყო -ი -ე -ს (მხ. რიცხვ.): დამიწერიეს, დაუპყრის და ა. შ. შესაბამისად სტატიკურ ფორმებსაც იგივე დაბოლოება ჰქონდათ: მიწერიეს (სწერიეს), უპყრის და ა. შ.

2. ახალ ქართულში ზემოაღნიშნული დაბოლოებები შეიცვალა -ი -ა დაბოლოებებით: დამიწერია, დაუპყრია და სხვა. შესაბამისად შეიცვალა სტატიკურ ფორმათა დაბოლოებაც: მიწერია (სწერია), უპყრია და ა. შ.

3. ხევსურულში ფორმათა უნიფიკაციის საფუძველზე I თურმეობითში ყველა სუბიექტური წყობის ზმნასთან -ავ (ი) მაწარმოებელი გვაქვს.⁶⁴ მაგალითად, დაუჟიდავ-(ი-ს), დაუფენავ-(ი-ს) და სხვა. ნაცულად „დაუჟიდა, დაუფენია“ ფორმებისა. შესაბამისი სტატიკური ფორმაც ანალოგიურად არის ნაწარმოები: ხვიდავ-(ი-ს),⁶⁵ ხფენავ-(ი-ს), ნაცულად ჰჟიდა, ჰფენია ფორმებისა. სალიტერატურო ქართულში სტატიკურ ფორმებს -ი -ა დაბოლოება აქვთ მაშინაც კი, როდესაც -ავ, -ამ თემისნიშნით ზმნებთან გვაქვს საქმე; შდრ.: ხატავ-და-უხატავ-ს, ხოლო სტატიკური ფორმა იქნება: ხატა; მაგრამ დიალექტთა უმრავლესობა კვლავ დადგენილ კანონზომიერებას გვიჩვენებს (იქნება: დაუხატა). სალიტერატურო ენაში მხოლოდ რამდენიმე ზმნას აქვს სტატიკურ ფორმაში -ავ დაბოლოება. ასეთია, მაგალითად, (ჰ)ხურავს ზმნა; შდრ.: ხურო, სახლს ხურავს (დინამიკ.) — თავზე ქუდი ხურავს (სტატიკ.) ამგვარი ტენდენცია შეინიშნება ბურავს ზმნაშიც: ნისლი მთას ბურავს (ნისლმა მთა დაბურა) — მთას ნისლი ბურავს (მთას ნისლი ებურა); შესაბამისად გარდამავალი ზმნის თურმეობითის ფორმა იქნება: დაუხურავს, დაუბურავს...

ამგვარად, I თურმეობითისა და სტატიკური ფორმების ერთგვარი მოდელით წარმოების ტენდენცია ნათელი და დადასტურებული ფაქტი ჩანს.

ანალოგიური ვითარება დასტურდება აგრეთვე II თურმეობითისა და სტატიკური ფორმების შედარებისას. თუკი ერთმანეთს შევუდარებთ სტატიკური ფორმების წყვეტილისა და II თურმეობითის ფორმებს, მათი სრული დამთხვევა უცილობელი იქნება. მოქმედებითი გვარის II თურმეობითის ფორმა არა მარტო სტატიკური ზმნის ნამყო ძირითადად ემთხვევა, არამედ ენიანი ვნებითის ნამყო ძირითადად (რადგან სტატიკური ფორმა ნამყო ძირითადში სწორედ ენიანი ვნებითის ფორმებით ივსებს ნაკლებ მწკრივებს):

აწმყო: ეწერება	—	ნამყო ძირითადი: (და)-ეწერა
სწერია	—	„ ეწერა
წერს	—	II თურმეობითი: და-ეწერა;

⁶⁴ ა. კ. ი. ნ. კ. ა. რ. ლ. ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 120.

⁶⁵ ეს ფორმები რომ მხოლოდ ხევსურელისათვის არ იყო დამახასიათებელი, ამას ვახტანგის თხზულებაში გამოეყენებულ „ჰვიდავს“ ზმნა გვიჩვენებს: ეკლესიის ბქესს ჰჟიდავს კარი...“ (ვახტანგის, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 152).

მსგავსი ვითარება დასტურდება უფრო გვიან ჩამოყალიბებულ III კავშირებისა და სტატიკური ფორმების II კავშირების შედარების დროსაც. თავის მხრივ ამ ფორმათა იდენტურია ენიანი ვნებითის II კავშირებითაც.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებითი გვარის ზმნების I თურმეობითი ფაქტიურად უწერია, უხატია ტიპის სტატიკური ფორმების ინვერსიის გზითაა მიღებული. შესაბამისად, მოქმედებითი გვარის ზმნების II თურმეობითი სტატიკური ფორმის ნამყო ძირითადის ინვერსიას წარმოადგენს:⁶⁶ შდრ.:

სტატიკური: უწერია (აწყო) ის მას — I თურმეობითი: დაუწერია

(<წერს) მას ის

ეწერა (ნამყო ძირითადი) ის მას — II თურმეობითი: და-ეწერა

(<წერს) მას ის

უნდა აღინიშნოს, რომ დაუხატავს-ხატია, დაუწერია-სწერია, დაუჯიღია-ჯიღია, დაუფენია-ჰფენია და მისთნ. ფორმებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც დასტურდება დაუდგამს-დგას, დაუწვენია-წვეს და მისთნ. წყვილებში. და მართლაც, თავისი ბუნებით ხატია, სწერია, ჯიღია, ჰფენია ტიპის ფორმები მედიოპასიური არიან. ლიტერატურაში ეს სათანადოდ არის აღნიშნული, თუმცა იქვე ამ ფორმებს ახასიათებენ, როგორც „სტატიკურ ვნებითებს.“⁶⁷ ზემოაღნიშნული სტატიკური ფორმები უღვლილებითაც ემსგავსებიან მედიოპასიურ ზმნებს: ნაკლულ მწკრივებს შესაბამისი ვნებითის ფორმებით ივსებენ: ჩვეულებრივ იყენებენ ენიანი ვნებითის ფორმებს: სწერია-ეწერება-ეწერა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიალექტებში მედიოპასიურ ზმნას ზოგჯერ უჩნდება პარალელური ფორმა, რომელიც ზემოაღნიშნულ სტატიკურ ფორმათა მოდელითაა ნაწარმოები; მაგალითად, გურულში: დევსიდვია; დგასიდვია და მისთნ: ასევე: სჭირია (სალიტ.: სჭირდება) და სხვა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ნაბია, ჭამია, რქენია, ყლაპია, ჭერია, ცოხნია, ღია, ბუშტია ტიპის ფორმები. მათი რიცხვი არც თუ ისე მცირეა სალიტერატურო ქართულში. დიალექტების მონაცემები კი ალბათ უფრო გაზრდიდა მათ რაოდენობას. ეს ფორმები მიმდებარის თავისებურ ტიპადაა მიჩნეული.⁶⁸ ამ ტიპის ფორმებს რომ მიმდებარის ფუნქცია აქვთ ახლა, ეს უეჭველია და პარალელური ფორმებითაც დასტურდება. (ჭამია-ჭამამელი, ჭლახნია-ჭლახნელი, ხტუნია-მხტუნავი, ყლაპია-მყლაპავი; ოლონდ ეს კია, რომ მათ შორის სტილისტური ნიუანსი უთუოდ შესამჩნევია, სხვა მხრივ განსხვავება არა ჩანს), მაგრამ წარმოშობით ისინი სულ სხვა ენობრივი

⁶⁶ არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., ტ. 1, გვ. 5.

⁶⁷ ა. შანიძე, დასახლებული ნაწრომი, გვ. 323-324; 327-332.

⁶⁸ ფ. ერთელიშვილი, მიმდებარის ერთი ტიპი ქართულში, თსუ შრომები, 71, 1959, გვ. 54-57; ოსიძე, მიმდებარის წარმოება ქართულში. თსუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 197.

.ოდენობა ჩანს და ვეარაუდობთ, რომ სწერია, ხატია, ტიპის ფორმებს უნდა ამოუდგენენ გვერდით. ანუ სხვაგვარად: წარმოშობით ქექია, გრეხია, წყენია. ყლაპია, ცოხნია; ღია ტიპის ფორმე ი სტატიკას, მდგომარეობას გამოხატავენ და მხოლოდ შემდგომი გადააზრებების საფუძველზე ვახდა შესაძლებელი. რომ მათ თვისების გამოხატვის ფუნქცია მიეღოთ (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: წყენია — ვისაც ადვილად ეწყინება ხოლმე: ცოხნია-მცონარა, დოყლაპია); ამრიგად. ერთი მხრითა გვაქვს:

წერს — იწერება — სწერია
ხატავს — იხატება — (3) ხატია და მისთნ.

ხოლო მეორე მხრით:

ალებს — ილება — ღია (სტატიკა, აქედან: ის, რაც ღია არის, რაც გაღებულია)

აბეუტებს — იბეუტება — ბეუტავს|ბეუტია (სტატიკა, შდრ.: ანთია; აქედან: ის, რაც ბეუტავს)

ნაბავს — ინაბება — ნაბია (სტატიკა; აქედან, ის, რაც ან ვინც ინაბება, ვისაც განაბუა სჩვევია).

ერთი კია: ამგვარი ფორმების უმრავლესობაში უკვე ქირს აღნიშნული ზმნური ნიშან-თვისების წარმოჩენა, მაგრამ შეუძლებელი მაინც არ უნდა იყოს.

ამგვარი ფორმებისაგან მკვეთრად უნდა გაიჩჩეს ფორმოზრივად მსგავსი, მაგრამ უკვე სახელისაგან ნაწარმოები ფორმები: კულდაგრძელი-კულდაგრძელია, ღვინო-ღვინია, ლეღვი-მეღლეღვია და მისთნ. ზემოთქმული მხოლოდ ზმნური წარმოშობის ფორმებზე ვრცელდება. ეს საკითხი შემდგომ კვლევასა და დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ ამჟერად სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ.

ნიშანდობლივია, რომ ქართულში გარდამავალი ზმნის თურმეობითის ჭკუ-ფის ფორმებს პირთა ინვერსიული განაწილების თვალსაზრისით ემთხვევა ზოგი სტატიკური ზმნა, რომლებსაც ინვერსიულ გარდაუვალ ზმნებს უწოდებენ.⁶⁶ ასეთებია: მსურს, მყავს, მაქვს, მძულს, მიყვარს, მნებავს, მღვიძავს, მძინავს და შ. ამ ზმნებს რომ მართლაც ახასიათებს ინვერსიულობა, ამას უნდა ამტკიცებდეს წარმოშობით ორიპირიანი. მაგრამ ახლა ერთპირიანად ვავებული ფორმები: მღვიძავს, მძინავს ტიპისა. პირის დაკარგვა ამგვარ ზმნებში იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ თავდაპირველად ობიექტური პირი შემდეგ სუბიექტად იქნა ვავებული. ანალოგიური ვითარება უნდა იყოს მაციებზს, მაცივლებზს ტიპის ფორმებშიც. როგორც ჩანს, სტატიკურობის გამომხატველი ფორმებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ინვერსიულობა. ეს მტკიცდება როგორც ზემოაღნიშნული სტატიკური ფორმებით, ასევე გარდამავალი ზმნის თურმეობითითაც. თუ ყურადღებას ვავამახვილებთ მაცივლებზს, მაციებზს ტიპის

⁶⁶ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968, გვ. 135. შდრ. ა. შანთძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნისთან; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7.

ფორმებზე, თითქოს შეუძლებელი არა ჩანს იმის დაწევა, რომ პირთა ინვერსია ხელს უწყობს დინამიკურობის მნიშვნელობიდან სტატიკურობის შინაარსზე გადასვლას. და მართლაც, რომ ავიღოთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილი მაგალითი აცივებს (აცივებს). ეს ვითარება ნათლად წარმოგვიდგება. „ღვინოს აცი(ვ)ებს“ კონსტრუქციაში ზმნა ორპირიანია (აცივებს ის მას); დინამიკურია. მაგრამ იგივე ზმნა, „თუ ის გარკვეულ ავადმყოფობას გულისხმობს“,¹⁰ ერთპირიანი ხდება და სტატიკურობის მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, დინამიკური ფორმის ობიექტი, ზმნის სტატიკური მნიშვნელობით დატვირთვის შედეგად, სუბიექტის ფუნქციას იძენს. ანალოგიური ვითარება დასტურდება მაცახცახებს, მათროფებს, მაქანკალებს, მაჭრჭოფებს და მისთნ. ზმნებში.

თუ ეს მართლაც ასეა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგიერთ დინამიკურ ზმნაში გრამატიკული სუბიექტური პირის დასუსტებისა ან დაკარგვის შედეგად ხდება სტატიკურობის მნიშვნელობაზე გადასვლა. შესაბამისად გრამატიკული ობიექტი სუბიექტის ფუნქციით იტვირთება, რაც წარმოადგენს კიდევაც ინვერსიას. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ამგვარ ზმნას შემდეგ ისევ დაუკავშირდა რეალურად მოქმედი პირი, მაგრამ ამჯერად, როგორც ეს ჩვეულებრივ ვნებითი გვარის კონსტრუქციებში დასტურდება, დამატების სახით; შდრ.: შოიი აცახცახებს. დამფრთხალ კურდღელს (შიშმა ააცახცახა დამფრთხალი კურდღელი) — დამფრთხალ კურდღელს შიშისგან აცახცახებს. პირველი ტიპის კონსტრუქცია ქართულში აღარ დასტურდება. ეს მიუთითებს ზემოაღნიშნული პროცესის სიძველეზე.

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ სტატიკურობის გამოშხატველი ზმნება ახალ ქართულში ჩვეულებრივ I და II პირში მეშველზმნიანებია. ე. ი. აქაც თურმეობითების ანალოგიური ვითარებაა. შდრ.: დავუხატავარ, დავუხატოვარ; ვხატოვარ; ხატობარ; ვდგავარ, დგახარ და ა. შ.

დინამიკურობა და სტატიკურობა არ უთანაბრდება, არ ფარავს გვარის კატეგორიას ან თუნდაც აქტიურობისა და პასიურობის ფუნქციას. მიუხედავად ამისა, მათ შორის მკვიდრო კავშირი აშკარაა. დინამიკური ზმნები შეიძლება იყოს როგორც მოქმედებითი გვარისა, ასევე ვნებითი გვარისა, მაგრამ გარკვეულ მწკრივში მათ შეიძლება მოიპოვონ სტატიკური ზმნის მნიშვნელობა. ეს მწკრივი ქართულში არის თურმეობითი.

დინამიკურობისა და სტატიკურობის კატეგორია წინ უსწრებს გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებას. ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე შესაძლებელი ხდება სტატიკური ფორმებისაგან დინამიკური ფორმების წარმოება, რაც ძირითადად აფიქსაციით მიიღწევა: წუხ (სტატეკა) — წუხ-ებ (დინამიკა); უკანასკნელი ფორმისაგან შესაბამისი აფიქსების დართვით იწარმოება გარდამავალი და გარდაუვალი დინამიკური ფორმები: ა-წუხ-ებ-ს და წუხ-დ-ებ-ა.

შესაბამისი ფორმების ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე შესაძლებელი გახდა გვარის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბება.

¹⁰ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. გვ. 195-196.

ზმნის გვარის პრობლემას მთის კავკასიურ ენებში მრავალი ენათმეცნიერი შეეხებოდა (პ. უსლარი, პ. შუხარდტი, ნ. მარი და სხვა). მიუხედავად ფრიად საგულისხმო დაცვირებებისა, მათი თეორიები არსებითად მოუღებელი აღმოჩნდა, რადგან კვლევა-ძიება ძირითადად მიმდინარეობდა ან ინდო-ევროპული ენების თვალსაზრისით. ანდა მცდარი ამოსავალი დებულების საფუძველზე.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ „იბერიულ-კავკასიურ ენათა მეტ წილში გარდამავალი ზმნა გვარებს არ განარჩევს“, ამდენად. ამ ენებში გარდამავალი ზმნა არის „ინდიფერენტული ანუ ამორფული (კვარების თვალსაზრისით).“⁷¹ ცალკეა განხილული ის იბერიულ-კავკასიური ენები, სადაც გვარები გარჩეულია (ქართველური ენები) და მიღებულია დასკვნა, რომ „გარდამავალი ზმნა ქართული ენისა მოქმედებითი გვარისაა. (და არა ინდიფერენტული).“⁷² ეს დებულება ვრცელდება სხვა ქართველურ ენებზეც, მაგრამ ეს ვითარება მეორეული ჩანს. ამდენად, ისტორიულად ქართველურ ენებშიც არ იყო მოქმედებითისა და ვნებითის გარჩევა. ენებითი მეორეულია ქართულში. დაპირისპირება მოქმედებითსა და ენებითს შორის ქართულში მკვეთრად იგრძნობა! სერიაში, უფრო სუსტია ეს დაპირისპირება II სერიაში. ასე რომ. „ქრონოლოგიურად ძველ ნაკვეთებში ენებითი გვარი ისე არ არის დიფერენცირებული. როგორც შედარებით ახალ ნაკვეთებში (ასეთია აწმყო და მისი წყება).“⁷³

ამდენად, თავდაპირველი ვითარება ქართველურ ენებშიც კავკასიური ენების მსგავსი იყო: მოიპოვებოდა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნა, მაგრამ არ გაიჩნეოდა მოქმედებითი და ენებითი გვარი.

ეს ვითარება მთის კავკასიურ ენებს დღემდე შემორჩა. მაგრამ ეს ეხება ამ მოვლენის ფორმობრივ მხარეს. რაც შეეხება ფუნქციურ მხარეს, აქტიურობისა და პასაურობის ცნების გამოყენება ამ ენების მიმართაც შესაძლებლად მიაჩნიათ. ეს კი უკვე ერთგვარ ბაზას წარმოადგენს გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებისათვის. ეს ტენდენცია მეტნაკლებად მართლაცაა წარმოჩენილი კავკასიურ ენათა ერთ ნაწილში. ასე, მაგალითად, ხუნძურში ზმნა გარკვეულ კონსტრუქციებში შეიძლება გაუტოლდეს როგორც მოქმედებითი, ასევე ენებითი გვარის ფორმებს. გარდა ამისა, იმავე ხუნძურში „გარდაუვალი ზმნისაგან შეიძლება დაწარმოთ გარდამავალი ზმნა სტაბილური კონსტრუქციისა“. რაც აგრეთვე ერთ-ერთი პირობაა ფორმათა გვარის მიხედვით დაპირისპირებისა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ კაუზატიური ფორმები „შინაარსის მიხედვით . . . შესაბამის გარდაუვალ ზმნებს უპირისპირდებიან, როგორც გარდამავალი ზმნები უშუალო გზისა“ და მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში აქვთ კაუზატივის მნიშვნელობა. ამის საფუძველზე ფრიად საყურადღებო დასკვნაა მიღებული, კერძოდ, ხუნძურში „ნასახელარ გარდაუვალ ზმნას უპირისპირდება მისგან დაწარმოები კაუზატივი, როგორც გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნა — გარდაუვალი ენებითი გვარის ზმნას მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბება, ჩანს,

⁷¹ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961, გვ. 121.

⁷² იქვე, გვ. 122.

⁷³ იქვე, გვ. 122-123.

კუხატცივს უკავშირდება და ეს მარტოოდენ ხუნძურს როლი ახასიათებს. ანა-ლოგიური ვითარება ვეაქვს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (კერძოდ, ქართულშიც).⁷⁴ ანალოგიური თვისებებსა ჩანს კუხატცივი აფხაზურშიც.⁷⁵ საინტერესოა ისიც, რომ აფხაზურში შემინვეა ტენდენცია სხვა ენის ენებითი გვარის ფორმები სპეციალური, შესაბამისი ღორმით გაღმოიყოს. ამ მიზნით გამოიყენება: ლაბილური კონსტრუქციის ზმნების გარდაუვალი ვარიანტები, გარდამავალი ზმნების გარდაუვალ-სტატიკური და გარდაუვალ-დინამიკური ფორმები, გარდამავალი ზმნის III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რეფლექსივის ელემენტარული გარდამავალი ზმნა.⁷⁶ გარდაქვეითობის სუფიქსი ნასასელარის ზმნებისა.⁷⁷ ყველა ეს მოვლენა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ჩანს სხვა შიის კავკასიური ენებისთვისაც და, რაც ამჭერად უფრო საყურადღებოა, მოგვაგონებს ქართულში გვარის ფორმათა ჩამოყალიბების პროცესს.

ამდენად, აშკარაა საერთო ტენდენცია იბერიულ-კავკასიური ენებისა გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებაში. მაგრამ საერთო ტენდენცია და მხოლოდ! თვით გვარის კატეგორიის ჩამოყალიბება სხვადასხვა გზით წარიმართა; კერძოდ, აქტიურობა-პასიურობის ფუნქცია მხოლოდ ქართველურ ენებში გაფორმდა მორფოლოგიურად.

ნ. პართულში გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებისა და პანფორმის ურთავი საკითხები

ჭერ კიდევ ძველ ქართულ გრამატიკებში შეტანილი და სათანადოდ დახასიათებულია გვარის კატეგორია. ანტონ პირველი თავის გრამატიკაში ცალკე გამოყოფდა ზმნის ერთ-ერთ „მდევარს“ (კატეგორიას) — გვარს (მისი ტერმინოლოგიით „ნათესავს“) და ასახელებდა გვარის სამ ფორმას: შემოქმედებით (მოქმედებით), ენებითსა და უმეზუ (ობით (საშუალს).

ვარაუდობენ, რომ გვარი, როგორც ზმნის კატეგორია, ქართულში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და მისი ფორმირების პროცესი დღესაც არ არის დასრულებული. სათანადო შრომები მიეძღვნა გვარის ფორმათა მწარმოებელი ფორმანტების შესწავლას. ჩამოყალიბებულია გვარის ფორმათა წარმოების, ძირითადი ტიპები.

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ გვარის ფორმები ყალიბდება გარდაუვალი და გარდამავალი ზმნების ურთიერთდამპირისპირებულ ფორმათა საფუძველზე, აღმოჩნდება, რომ ენა სპეციალური აფიქსების დახმარებით აწარმოებს არა მარტო ენებითი გვარის ფორმებს, არამედ მოქმედებითი გვარის ფორმებსაც. მართლაც, თუკი ძირის სემანტიკის მიხედვით წერს გარდამავალია, ხოლო თბება გარდაუვალი, ისევე როგორც პირველი ფორმისაგან გარდაუვალი

⁷⁴ არნ. ჩიქობავა, ილ. ტერცვაძე, ხუნძური ენა, გვ. 242-247.

⁷⁵ К. В. Ломтадзе, Абхазский язык, Языки народов СССР, том IV, М., 1967, стр. 117.

⁷⁶ Грамматика абхазского языка, Фонетика и морфология, Сухуми, 1968 стр. 180.

⁷⁷ ქ. ლომთათიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 117-118.

(ვნებით) ფორმის საწარმოებლად სპეციალური აფიქსებია საკირო, მეორე-ფორმისგანაც გარდამავალი (მოქმედებით) ფორმის წარმოება სათანადო-ფორმანტებს საკიროებს. ასე რომ „საკითხი მოქმედებითი და ვნებითი გვარის წარმოების შესახებ ერთნაირად კანონზომიერია“.⁷⁶

ა) მოქმედებითი გვარის ფორმების წარმოების ძირითადი ტიპები

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი და დახასიათებულია მოქმედებითი გვარის ფორმათა წარმოების სამი ძირითადი ტიპი:

1. წარმოების კაუზატიური ტიპი. იგულისხმება: ავლენს, აღგენს, აღხენს, არცხვენს ტიპის ფორმები. აქვე შემოვა: ატირებს, ამღერებს, ანადირებს, ამფხვას ტიპის ზმნებიც, რომლებიც შესაბამისი საშუალო გვარის ზმნების (ტირის, მღერის, ნადირობს, მეფობს) მოქმედებითი გვარის ფორმებს წარმოადგენენ. „კაუზატიურად“ ეს ფორმები პირობითად შეიძლება ჩაითვალოს, თ...რემ „წმინდა“ კაუზატიურ გაგებას ისინი, რასაკვირველია, არ შეიცავენ;

2. მოქმედებითი გვარის ფორმები იწარმოება თემის ნიშნების საშუალებით: „ნეიტრალური ფუძის გააქტიურება აწმყო დროში გარკვეული მორფოლოგიური საშუალებებით წარმოებს: ესაა აწმყო ფუძის აფიქსები: ა-შენ-ებ-ს, დგ-ამ-ს, კლ-ავ-ს... „ფაქტიურად“ ეს სუფიქსები (-ებ, -ამ, -ავ) მოქმედებითი გვარის საწარმოებელი სუფიქსებია ქართულ ზმნებში,⁷⁷ ეს მოვლენა აღნიშნული ჰქონდა პ. შუხარდტსაც. წარმოების ეს ხერხი განსაკუთრებით წარმოჩენილია მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებში: ფარი—ფარ-ავ-ს შხამი-შხამ-ავ-ს, ჟანგი-ჟანგ-ავ-ს და ა. შ. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ეს ფორმანტები აღნიშნულ ზმნებს II სერიის მწკრივებში აღარ მოეპოვებათ, მოქმედებითი გვარის ფუნქციას კი მაინც გამოხატავენ;

3. წარმოების აღწერითი ტიპი. თანამედროვე ქართულში ეს ტიპი ნაკლებად გამოიყენება და მხოლოდ რამდენიმე ფორმაშია შემორჩენილი: პატივი-სცა, თაყვანი სცა და მისთნ. ზოგჯერ ეს ფორმები სინთეზური წარმოებით იცვლება: ეთაყვანა. ძველ ქართულში კი ამგვარი ფორმები გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენებოდა: საცნაურ-ჰყოფს, ცხოველ-ჰყოფს, მთავარ-ჰყოფს, ძლეულ-ჰყოფს (უძლეურ-ჰყოფს), წესიერ-ჰყოფს და სხვა.⁸⁰ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულშივე ხდება ამ აღწერითი ფორმების სინთეზური ფორმებით შეცვლა: სწორ-ჰყოფდა-ასწორებდა, მზა-უყვეს-დაუშადაღეს... რაც შეეხება წერს ტიპის მოქმედებითი გვარის ზმნებს, მათ (თავისი ფუძის სემანტიკის გამო) „აქტიური ფუძის“ საწარმოებელი ფორმანტები არ ჰქირდენ-

⁷⁶ Арн. Чикобава, Грузинский язык, Языки народов СССР, 1967, т. IV стр. 47.

⁷⁷ არნ. ჩიკობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კვაკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბ., 1942, გვ. 233.

⁸⁰ ი. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იკე, ტ. XIV, თბ., 1964, გვ. 163—164, 166—167.

ზოდათ და არც კქონდათ. მსოლოდ ღიალექტებში უჩნდებათ ზოგჯერ ეს ფორ-
მანტები: სწერავს(აწერავს).

ბ) ე. წ. „საშუალი გვარის“ ზმნები ქართულში

ტერმინს „საშუალი გვარი“ პირობითად ვიყენებთ იმ ზმნების აღსანიშნა-
ვად, რომლებიც სპეციალურ გჯუფს ქმნიან ენაში და რომელთათვის ძირითადად
სტატიკურობა და (გარკვეულად)უკუქცევითობაა დამახასიათებელი. ისინი უძ-
ელესი ფორმაციის ზმნებია. ვარაუდობენ, რომ საშუალი ზმნა „ზოგი ნიშნი“:
მიხედვით მოქმედებითს ჰგავს, ზოგით კი -- ვნებითს: ფორმა უმეტესად მოქმე-
დებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითისა. „⁸¹ ვნებითის ფუნქცია ამ ტიპის
ზმნათა მსოლოდ ერთ, შედარებით მცირე ნაწილს მოეპოვება, თუ ვნებითობის
ფუნქციად არ ჩავთვლით იმას, რომ აღნიშნულ ზმნებს ჩვეულებრივ პირდაპი-
რი (უახლოესი) ობიექტი არ გააჩნიათ და, ამდენად, გარდაუვალი არიან.

მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს „საშუალი გვარის“ ზმნა უპი-
რისპირდება როგორც სტატიკური ფორმა დინამიკურს, ხოლო კერძოდ მოქ-
მედებითი გვარის ზმნას, როგორც მისი ფუნქციურად უკუქცევითი ვარიანტი
(ზოგჯერ ფორმითაც: ამდერებს-იმდერს, ი-პრეფიქსი, როგორც უკვე ითქვა,
უკუქცევითობის ფუნქციას ანიჭებს ზმნას, მაგრამ უფრო ხშირია აწუხებს-
წუხს ტიპის დაპირისპირება). სტატიკური ზმნები ენის განვითარების იმ საფე-
ხურს უნდა ასახავდნენ, როდესაც „ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სა-
ხელისაგან... ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების
მსგავსად უცვლელი იყო დროში.“⁸² მდგომარეობის გადმოცემა ქართულში
სწორედ საშუალი გვარის ფორმებს აკისრიათ, მაშინ, როდესაც მოქმედებითი
და ვნებითი გვარის ზმნები მოქმედებას გადმოსცემენ.

კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: შედგენილი შემასმენელი (და განსა-
კუთრებით კი ის, რომელიც რაიმე თვისებებისა ან მდგომარეობის მიხედვით
ახასიათებს ქვემდებარეს, რაც შედგენილ შემასმენელთა უმრავლესობას წარ-
მოადგენს საერთოდ) ქართულში ფუნქციურად საშუალი გვარის ფორმებს
უთანაბრდება: ის კაცია; ეს კაცი თავისუფალი უნდა ყოფილიყო; კეთილი გული
აქვს და მისთნ. ეს ფორმები ფუნქციურად სწორედ საშუალი გვარის ზმნებს
ამოუდგებიან გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ თვით ის დამხმარე ზმნები,
რომლებიც ამ შედგენილ შემასმენლებში გამოიყენება: არის— (-ა), იყო (ყო-
ფილა, ყოფილიყო), აქვს და სხვა ზოგ ავტორს „უგვარო ზმნებად“ მიაჩნია.⁸³
მაგრამ სწორედ ეს იქცევის ყურადღებას ამჟამად: საქმე ისაა, რომ მედიურობის
შინაარსს ამ ფორმას (შედგენილ შემასმენელს) ანიჭებს არა ზმნა, არამედ თვით
ერთიანი (მთლიანი) ფორმა შედგენილი შემასმენლისა უთანაბრდება საშუალი
გვარის ზმნებს. ისმის კითხვა. რა აახლოვებს ამ ორ გრამატიკულ ფორმას

⁸¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 312.

⁸² არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 051.

⁸³ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 318.

ერთმანეთთან? პასუხი ნათელია: მდგომარეობის, სტატიკურობის გაღმარების ფუნქცია.

სათანადო ყურადღებას იმსახვრებს სახელადი გვარისა და III სერიის ფორმების ურთიერთობის საკითხი. მათაც ერთმანეთთან სტატიკურობის გაღმარების ფუნქცია აკავშირებს. ცნობილია, რომ III სერიის ფორმებს მოქმედებითი და ერთი ნაწილი ენებითი გვარს ზმნებისა სინთეზურად აწარმოებს (დაუწერია, დასწერია...), ხოლო ენებითი გვარის ზმნათა მეორე ჯგუფი აღწერი-თად (დაწერილიყო). მიუხედავად ამისა, ყველა ეს ფორმა სტატიკურობას გაღმარებს. ამდენად, ფუნქციურად ეს ფორმები საშუალი გვარის ფორმებს უთანაბრდებიან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგივე ვითარება დასტურდება საშუალი გვარის ზმნებისა და შედგენილი შემასმენლის ურთიერთობის დროსაც. რასაკვირველია, აქ მხოლოდ ფუნქციურ თანაბრობაზეა ლაპარაკი.

ბ) ენებითი გვარის ფორმების წარმოების ძირითადი ტიპები

ენებითა გვარის ფორმების წარმოებაში რივი თავისებურება დასტურდება. ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ენებითის ფორმების წარმოება მტრ-ნაყლებად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი და დახასიათებულია ენებითის წარმოების სუთი ძირითადი ტიპი.

I. პარადიგმული ტიპი. პარადიგმული შეიძლება ვეწოდოთ ენებითის ისეთ წარმოებას, როდესაც უღვლილების პარადიგმები განასხვავებენ გვარის ფორმებს. ცნობილი მოსაზრების თანახმად, მოქმედებითი გვარისა არის არა ზმნა. არამედ დროთა გარკვეული ჯგუფი. სახელდობრ, აწმყოს ჯგუფი. ნამყო ძირითადის ჯგუფი სპეციციურ-ინდიფერენტულია, ხოლო დროთა მესამე ჯგუფი „ან ენებითის სახეობას წარმოადგენს, ან საშუალ-ენებითისას, ან საშუალისას“⁸⁴ თანდაპირველად ანალოგიური ძერი გამოთქვა ჰ. შუხარდცმა, რომელიც აღნიშნავდა: „ქართველურ ენებში აწმყო წმინდა აქტიურია, აორისტი ზაღურ-აქტიური.“⁸⁵ ეს მოსაზრება ძირითადად ქართული ზმნის ფუნქციურ მზარეს ეყრდნობა.

II. ფლექსიური ტიპი. ენებითი გვარის ფორმების ფლექსიურ წარმოებას ქართველურ ენებში სხვადასხვა დროს ბებრი მკვლევარი შეჰხებია (გ. ახუროციანი, თ. ვაყეროვიძე, ვ. დეცეტრსი, ვ. მაჭავარიანი, ვ. თოფურია, ა. შანიძე, პ. ფოცტა). ეს საკითხი ქართველურ ენებში პირველად ვ. თოფურია აღნიშნა და დასაბუთა მისი აზრით, გვარის ფორმების საწარმოებლად გამოყენებული ფორმის ფლექსია უფრო სუაწერისა და მეგრულში, მაგრამ დასტურებულია ქართულში. შემდეგ კი დადგინა, რომ „ქართული ენაც

⁸⁴ არნ. ნ. ი. კ. ბ. ა. ე. ა. მარტვი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 143.

⁸⁵ ამ-ს თომაზე იხ.: არნ. ნ. ი. კ. ბ. ა. ე. ა. მარტვილი კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავასიურ ენებში, II, გვ. 45.

თავის განვითარების შემდგომ საფეხურზე ხასიათდება ფუძის ფლექსიით (ფუძის ფუნქციონალური მონაცვლეობით; მაგ. ჯად — ჯედ).⁸⁶

გ. ასეველიანი სპეციალურად შეეხო ვ. თოფურას მიერ წამოყენებულ მოსაზრებას ანუ ხმოვანთმონაცვლეობის თაობაზე (ჯად — ჯედ ტიპისა) და აღნიშნა, რომ „ესაა ტიპიური აბლაუტი.“⁸⁷

ვ. თოფურას მოსაზრება ა. შანიძემაც გაიზიარა და განიხილა რა ზოგი -ევ თემისნიშნისანი ზმნის (წავი-ქეც, დავი-ზენ, ავე-თერ) თავისებურება დაასკვნა, რომ „ფუძისეული -ე ვნებითის შინაგანი ნიშანია არა მარტო მესამე ჯგუფის ზმნათათვის (ე. წ. „უნიშნო ვნებითის“ ზმნათათვის), არამედ ზოგ პრეფიქსიანათათვის -ევ-იანთაგან (წავიქეც, დავიზენ...), ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ არის პრეფიქსი ი- და ე- „ღავიქეც“ ტიპის ზმნებში ანალოგიურად განვითარებული, როგორც ი-ღვა (ი-ღვა), ი-ჭდა (ე-ჭდა) და ი-წვა (ე-წვა) ზმნებში?“⁸⁸

ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო გ. მაკაევიანი. მისი აზრით „ფუძისეულ ხმოვანთა მორფოლოგიური მონაცვლეობა (resp. ფუძის ფლექსია) ისევე, როგორც ინფიქსაცია, იმავეითვე უცხო უნდა ყოფილიყო ჩვენი ენებისათვის“⁸⁹ ქართულში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმების ფლექსიური წარმოების საწინააღმდეგოდ შემდეგი ფაქტების დასახელება შეიძლება.

1. ფუძედრეკადობა (ფუძის ფლექსია) თავდაპირველად მხოლოდ წმინდა ფონეტიკური პროცესი იყო ქართველურ ენებში: როგორც ქართულში, ასევე ზანურსა (მეგრულ-ჭავჭავსა) და სვანურში.

2. ქართულში დასტურდება ა და ე ხმოვანთა უფუნქციო მონაცვლეობის მაგალითებიც: დაიცავ-დაიცევ ტიპისა და დიალექტური ვარიანტები; დავეპირ-დავეპარი ტიპისა.

3. -ე ხმოვანი, გარდა ვნებითი გვარის ზმნებისა, გეხვდება მოქმედებითი გვარის ზმნებშიც: წმედს, წყუედს, და საერთოდ, ყველა ე. წ. ფუძედრეკად ზმნას I სერიის ფორმებში -ე აქვს: ღრეკს, გრეხს, გლეჯს და ა. შ. გარდა ამისა, -ე დასტურდება ჰედს, ხედავს ზმნებშიც. ამათგან „წმედს, წყუედს, ჰედს, ხედავს“ ზმნები განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მათში -ედ სუფიქსი გამოიყოფა, რაც აგრეთვე მიჩნეულია ვნებითის მაწარმოებლად. მაგრამ ზემოთ დასახელებული ოთხივე ზმნა მოქმედებითი გვარისაა.

ამის თაობაზე შემდეგი უნდა ითქვას:

1. მართალია, ფუძედრეკადობა თავდაპირველად მხოლოდ წმინდა ფონეტიკურ პროცესი იყო, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის. აღნიშნულიც არის, რომ „მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთმონაცვლეობა ანუ აბლაუტი წარმოშობით შეიძლება ფონეტიკური ხასიათისა იყოს. ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებულმა ხმოვანთმონაცვლეობამ შესაძლებელია გარკვე-

⁸⁶ ვ. თოფურა, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქ. მეც. აკადემიის მოამბე, III № 9. თბილისი., 1942, გვ. 969; იხ. აგრეთვე: ვ. თოფურა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II; ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1930, გვ. 295—296.

⁸⁷ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი., 1949, გვ. 298.

⁸⁸ ა. შანიძე, რთული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 474—476.

⁸⁹ გ. მაკაევიანი, უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959, გვ. 107.

ული მორფოლოგიური ფუნქციები შეიძინოს და წმინდა მორფოლოგიური ღირებულების ხმოვანთმონაცვლებად იქცეს მას შემდეგ, რაც მოისპობა ამ მონაცვლების გამომწვევი ფონეტიკური მიზეზები.⁹¹ უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ აბლაუტი ქართველურ ენათა ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ სტრუქტურულ თავისებურებას წარმოადგენდა, „მორფოლოგიური დერივაცია არსებითად აბლაუტს ემყარებოდა.“⁹²

2. რაც შეეხება ქართულში დადასტურებულ „უფუნქციო“ მონაცვლებას ა და ე ხმოვნებისა, ამის თაობაზე თვით ვ. თოფურია აღნიშნავდა „დავიცვ-დაიცევ“ ტიპის მაგალითების საფუძველზე. მკვლევარი აღნიშნავდა იმასაც, რომ „სახელისაგან ნაწარმოებ ზმნებში -ე ჩნდება, მაგრამ არა ენებითის გამომხატველი: ძალი და შევიძელ; ახალი (ახლო) და ვეახელ, ვანი და მიავენ.“⁹² უნდა ითქვას, რომ თუკი დავიცვ-დავიცევ, დავჭერი-დავჭარი ტიპის მაგალითებში ხმოვანთა მონაცვლების მიზეზები საძიებელია, ძალი-შევქელ ტიპის ფორმებში უფუნქციო ხმოვანთმონაცვლება არ უნდა იყოს. არაა გამორიცხული, რომ აქაც აბლაუტთან გვაქვს საქმე: ე. ი. ა-ე ხმოვანთმონაცვლებას გარკვეული დანიშნულება აქაც აქვს და ეს ფუნქცია სიტყვათწარმოებითი უნდა იყოს, კერძოდ, ნასახელარი ზმნის საწარმოებელი.

დავი-ცავ-დავი-ცევ ტიპის ფორმებში, მართალია, მოქმედებითი და ენებითი გვარის ფუძეების გასარჩევად არ უნდა იყოს გამოყენებული ა და ე ხმოვნების მონაცვლება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აქ აბლაუტი მაინც გვქონდა და მას აწმყოსა და ნამყოს ფუძეების გარჩევა ეკისრებოდა. ამ აზრს თითქოს ისიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ ძველ ქართულში (ახლ-დიალექტებში) -ავ და -ამ სუფიქსები ნამყო უწყვეტელში და მასზე დამყარებულ სხვა მწკრივებში -ევ და -ემ სუფიქსებად იქცეოდა: ვკლ-ავ-ვკლ-ევ-დ; შესაძლებელია იგივე ფუძე გამოიყენა ნამყო წყვეტილმა ზემოაღნიშნული დავიცევ ფორმის შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ ეს ფორმა თავისებურია. თუკი აქ -ავ/-ევ თემის ნიშანია (და ეს ასე უნდა იყოს), სხვა ამ თემის ნიშნად ფორმათაგან განსხვავებით, მას ეს სუფიქსები II სერიაში გადაჰყვება.

3. მართალია, რომ -ე ხმოვანი გარდა ენებითი გვარის ზმნებისა დასტურდება მოქმედებითი გვარის ზმნებშიც, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ -ე სხვადასხვა წარმოშობისა და ამდენად, სხვადასხვა ფუნქციისა ყოფილიყო. ანდა, ენის განვითარების ახალ საფეხურზე განსხვავებული მნიშვნელობა შეეძინა. მაგალითისათვის შდრ.: -ი წარმოშობით ხოლმეობითის ნიშანია. მაგრამ მას შემდეგ, რაც სალიტერატურო ქართულმა ხოლმეობითი დაკარგა, -ი, მ თემის ნიშნის ფუნქცია მიიღო. რაც აშკარად ჩანს რამდენიმე მაგალითზე: ბორჯ-ი-ს—ბორჯ-ავ-ს, ან თუნდაც შემიძლია-მიძლავს და მისთნ. მართალია, სალიტერატურო ქართულში -ი,ს უკვე მხოლოდ თემის ნიშნის ფუნქცია აკისრია, მაგრამ ქართული ენის დიალექტებში ხოლმეობითის ფუნქცია დღე-

⁹¹ თ. გამყარელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 177-178.

⁹² იქვე, გვ. 175.

⁹³ ვ. თოფურია, შესაძენ ტიპის ენებითის წარმოება ქართულში, გვ. 970.

საც მოქმედია და მის ნიშნადაც -ი დასტურდება რიგ შემთხვევაში.⁸³ ამდენად, თანამედროვე ქართულში -ი, ხ ფაქტიურად ორი ფუნქცია აკისრია.

გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ მოქმედებითი და ვნებითის ჯვარის ფორმების დასაპირისპირებლად მარტო ა-ი-ე-ხმოვანთმონაცვლეობა არ იყო გამოყენებული. თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ე. წ. ფუძედრეკად ზმნებს, ეს ნათლად გამოჩნდება: ვ-დრეკ-ე და ვ-დერეკ უკვე სულ სხვაგვარად უპირისპირდება ერთმანეთს, ვიდრე ე-ა-დ/კ ელ, ან ცად/ყ ცედ (>ცეთ) ვორმები; მაგრამ ფლექსიის მოვლენა ორივე შემთხვევაში ჩანს.

მართალია აღნიშნებოდა, რომ ხმოვანთმონაცვლეობამ ქართულში „ადრე-ვე შეიძინა მორფოლოგიური ფუნქცია,“ მაგრამ მიაჩნდათ, რომ ეს იყო მხოლოდ დამატებითი საშუალება⁸⁴ და არა „მკაფიოდ გამოხატული მორფოლოგიური ტიპი, ერთ-ერთი ძირითადი საშუალება მორფოლოგიური კატეგორიების დაპირისპირებისა,“⁸⁵ როგორც ეს შემდეგ დადგინდა.

ამდენად, აბლაუტი ქართველურ ენებში დადასტურებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს. შეიძლება ითქვას, რომ აბლაუტი უთუოდ მოქმედებდა გარდამავალი და გარდაუვალი ფუძეების (resp. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფუძეების) ურთიერთდასაპირისპირებლადაც, მაგრამ თანდათანობით მოიშალა და იგი წარმოების აგლუტინაციურმა ტიპმა შეცვალა. ახალ ქართულში იგი შედარებით სუსტადაა გამოხატული. თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ყურადღება ექცევა ვ. თოფურიას მიერ ჭერ კიდევ რელიათთან წლებში აღნიშნულ ამ მოვლენას.

III. აგლუტინაციური ტიპი. ქართულში ვნებითის წარმოების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა აფიქსაცია, რაც წარმოადგენს წარმოების აგლუტინაციურ ტიპს. იგი ძირითადია როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში. მართალია, ქართულში ვნებითის ფორმათა უმრავლესობა სპეციალური აფიქსებით იწარმოება, მაგრამ დღეს მაწარმოებლად გამოყოფილმა თითქმის ყველა აფიქსმა შედარებით გვიან მიიღო ვნებითობის გადმოცემის ფუნქცია. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ ქართულში (და საერთოდ, ქართველურ ენებში) გვარის კატეგორია შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, ხოლო ჩამოყალიბების პროცესი დღესაც არ არის დასრულებული. ვნებითის აგლუტინაციური ტიპი გულისხმობს პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითების წარმოებას. ცალკე დგას ე. წ. „უნიშნო ვნებითი“ (ანუ: მესამე ტიპის ვნებითი), რომელიც გვარის ჩამოყალიბების წინაპერიოდის ფორმაციას განეკუთვნება და უძველეს გარდაუვალ (resp. ერთპირიან) დინამიკურ ფორმას წარმოადგენს. ფლექსიური წარმოების ტიპი ვ. თოფურიამ სწორედ ამ ზმნებში აღნიშნა (იხ. ზემოთ).

1. პრეფიქსიანი ვნებითები. მაწარმოებელი პრეფიქსებია ი- და ე-. აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ინიანი ვნებითის მაწარმოებელი და მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ნიშანი ერთია -ი. ამ ფორმანტის თავდაპირველ ფუნქციად რეფლექსურობის, უკუქცევითობის გამოხატვას მიიჩნევენ. ინიანი ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის სიახლოვე განსაკუთ-

⁸³ ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ხოლმეთობის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სრულტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 21.

⁸⁴ გ. შ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში. გვ. 115.

⁸⁵ თ. გ ა მ ყ რ ლ ი ძ ე, გ. შ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 365.

რგობით ნათლად ჩანს ნამყო ძირითადში, სადაც ეს ორი ფორმა აბსოლუტურად ემთხვევა: ერთმანეთს როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში; გარჩევა კონსტრუქციით ხდება შესაძლებელი: დაიხატა—მან ის (*ინახტავს—ის მას*) — დაიხატა — ის (*ინახტება—ის*); აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმებით: დაიხატეს (*მათ ის, მოქმედებითი გვარი*), მაგარამ: დაიხატნენ (*იგინი, ვნებითი*).

ამდენად, ი-პრეფიქსს თავდაპირველად არ ჰქონდა ვნებითის წარმოების ფუნქცია, ეს შინაარსი მან შემდგომ მოპოვა და ისიც ზმნის გარკვეულ მოდელში (ზმნის სხვა მოდელში იგი სათავისო ქცევის ფუნქციას გადმოსცემს). ამ ფორმანტს სახელებშიც გამოყოფენ: ი-ბრტყ-ივ, ი-გრძ-ივ და ა. შ.⁸⁶

ვნებითობის გადმოცემის ფუნქცია არც ე-პრეფიქსს ახასიათებდა თავდაპირველად. ეს პრეფიქსიც ვნებითების პარალელურად დასტურდება მოქმედებითი გვარის ზმნებში და ამ შემთხვევაშიც ხდება ვნებითისა და მოქმედებითის ფორმების დამთხვევა: ერთი მხრივ, ვწერ-დავწერე-დამეწერა (II თურმეობითი), ხოლო მეორე მხრივ: მეწერება-დამეწერა- (წყვეტილი; ვნებითი). ამ პრეფიქსსაც საზიაროდ თვლიან ზმნებისა და სახელებისათვის: ე-ნა, ე-ჭვო (მღრ. ი-ქვი) და სხვა.⁸⁷ მიიჩნევენ, რომ ე-პრეფიქსი „გვარის მიმართ თავდაპირველად სრულებით ინდიფერენტული იყო“⁸⁸ ე-პრეფიქსი ოდესღაც მართკ ვნებითის ნიშანი რომ არ უნდა ყოფილიყო, ამაზე მიგვანიშნებს მივეც ფორმაც.⁸⁹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ე-პრეფიქსიან ზმნებს (როცა ისინი ინიან ვნებითებს უპირისპირდებიან) სასხვისო ქცევის ფუნქციაც აკისრიათ ფაქტიურად: იხატება — ეხატება...

ხშირია ი- და ე-პრეფიქსიანი ღებონესური ზმნები: იგინება, ილოცება, იმუქრება. ელაპარაკება, ეკითხება, ეუბნება და ა. შ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ი- და ე-პრეფიქსიანი ვნებითები სხვადასხვა წარმოშობისაა და მხოლოდ უფრო გვიან დაუკავშირდნენ ერთმანეთს როგორც ვნებითის აბსოლუტური (ერთპირიანი) და რელატიური (ორპირიანი) ფორმები.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ვნებითების ი- და ე-პრეფიქსები გვხვდება სამივე ქართველურ ენაში (მეგრ. იჭარუ(ნ)-იწერება; ვსახელდება(ნ)-ვსახელდება; ქან. იჭარე(ნ)-იწერება; სვან. იჭმი-ითიბება, ხეჭმე-ეთიბება). თუკი გვარი შედარებით ახალი კატეგორიაა ქართველურ ენებში და ვნებითის ამ პრეფიქსებს აღრე სხვა ფუნქციები ჰქონდათ, ისმის კითხვა: როდის უნდა მომხდარიყო მათი რეინტერპრეტაცია და გვარის მაწარმოებლად ქცევა, ქართველურ ენათა ერთობის ხანაში თუ მათი დიფერენციაციის შემდეგ?

საკიოხი სპეციალურ კვლევას საჭიროებს და სბოლოოდ პასუხის გაცემა ალბათ მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როცა დაწვრილებით იქ-

⁸⁶ ვ. თ. ფ. რ. ი. ა, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, IV, ხმოვანთავსართოვანი სახელები; თსუ შრომები, XXX/I, თბ., 1947, გვ. 457. ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 263—266.

⁸⁷ ვ. თ. ფ. რ. ი. ა, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, IV, გვ. 455.

⁸⁸ ი. ქავთარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 309.

⁸⁹ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 309.

ნება შესწავლილი გვარის კატეგორია სვანურსა და მეგრულ-ჭანურში. მანამდე კი შემდეგა შეიძლება ითქვას: ამ შემთხვევაში კონვერგენციის პროცესთან რომ გვეზნდეს საქმე, ამ მოვლენის განვითარებისა და ჩამოყალიბების საერთო სურათი მიაღწე ქართველურ ენათა ერთობის ხანაში მის ჩასახვას გვევარაუდებინებს. ოღონო საბოლოო სახე მას უფოოდ ქართველურ ენათა დიფერენციაციის წესდგომი მიეცა. თუ, მაგალითად, კიდევ ერთხელ მოვიგონებთ იმ ფაქტს, რომ — პრეფიქსის თავდაპირველ ფუნქციად ქართულში უკუქცევილობას მიიჩნევენ და აგრეთვე იმასაც, რომ აფხაზურშიც სხვა ენის ვნებითი გვარის ფორმების გადმოცემის ერთ-ერთი საშუალება სწორედ რეფლექსივის ელემენტდართული გარდამავალი ზმნის გამოყენებაა, მაშინ ნათელი გახდება, რომ მით უფრო შესაძლებელია ამგვარი პარალელურად მიმდინარე პროცესის დაშვება ქართველურ ენებში დიფერენციაციის შემდგომად.

2. სუფიქსიანი ვნებითები. მაწარმოებოდა ორი სიღვიძია ანუ მოიღვიძია: -დ(-ი-ედ) და -ნ(-ენ). ა. შანიძეს -დ ფორმანტი -მ(-ენ) სუფიქსის ვარიანტად მიანიხი; მისი აზრით, ამ სუფიქსმა ფონეტიკური ცვლილება განიცადა.¹⁰⁰ ვ. თოფურიას აზრით კი, -დ(-ედ) და -ნ(-ენ) ორი სხვადასხვა სუფიქსია, რომელთაგან „-მ(-ენ) გვხვდებოდა უპირატესად სახელებთან, ხოლო -(-ედ) -ზმნის ფუძეებთან.“¹⁰¹

თავდაპირველად არც ამ სუფიქსისათვის იყო ნიშანდობლივი ვნებითის ფუნქციის გადმოცემა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „ღონი მაწარმოებელია არა ვნებითისა, არამედ ნასახელარი ზმნებისა.“¹⁰² ამ სუფიქსით ნაწარმოები ნასახელარი ზმნები გარდაუვალი არიან და თავისი ფუნქციით ვნებითი გვარის ზმნებს უახლოვდებიან. სწორედ ამის გამო მიიღეს მათ შემდეგ ვნებითის შინაარსი. სხვა განმარტების თანახმად, -დ და -ნ (-ენ) ფორმანტები თავდაპირველად ნაძეოს ფუძეს აწარმოებდნენ და მხოლოდ შემდეგ მოიპოვეს ვნებითის გადმოცემის ფუნქცია.¹⁰³ ამდენად, ვნებითობის გადმოცემის დანიშნულება ამ ფორმანტისათვისაც (თუ ფორმანტებისათვისაც) მეორეული ჩანს. ვნებითის სუფიქსური წარმოება ქართულში ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგდროინდელ მოვლენად მიიჩნევა.¹⁰⁴ სვანურში ვნებითის სუფიქსური წარმოება არ დასტურდება.¹⁰⁵ მეგრულ-ჭანურიდან კი მხოლოდ მეგრულშია დადასტურებული.¹⁰⁶

¹⁰⁰ ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I თბ., 1957, გვ. 44, მისივე ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 298.

¹⁰¹ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, II, „ენიკი-ს“ მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 533—536.

¹⁰² ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, გვ. 37.

¹⁰³ ფ. ერთელიშვილი, -დ(-ენ) ვნებითობის სუფიქსთა ვენაზისის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 93, გვ. 81—82; 87. შდრ. გ. შაკვაჯიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, მაცნე, 1973, № 1; ამ სუფიქსებისათვის ავტორი „მადინამიკურებელ“ ფუნქციას ვარაუდობს (გვ. 121).

¹⁰⁴ ფ. ერთელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

¹⁰⁵ ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა, შრომები, ტ. ობ., 1967, 40: В. Топурина, Сванский язык. Языки народов СССР, т. IV, М., 1967, стр. 84.

¹⁰⁶ А. И. Кизирниа, Зенский язык, языки народов СССР, IV, стр. 71.

IV. პერიფრასტული (აღწერითი) ტიპი. იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ზოგიერთი ზმნა სინთეზური წარმოების უქონლობის გამო აღწერთად აწარმოებს ვნებითის ფორმებს: გაღებულ იქნა, შეტანილ იქნა, გაგზავნილ იქნა და მისთნ. თანამედროვე გრამატიკულ ლიტერატურაში ეს ფორმები გაგებულა როგორც ერთიანი გრამატიკული ფორმა და არა როგორც სინთეზური წყვილი. ვნებითის შინაარსის გადმოსაცემად აღწერითი ფორმების გამოყენება უთუოდ კიდევ ერთი დამადასტურებელია იმ მოსაზრებისა, რომ გვარის კატეგორია შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია და მისი ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღწერითად ნაწარმოებ ვნებითის ზოგიერთ ფორმას აკლია უღვლილები პარადიგმები; ასე, მაგალითად, შეტანილ იქნა ფორმას არ გააჩნია შესაბამისი აწმყოფის ფორმა. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმ შემთხვევებსაც, როდესაც ვნებითის სინთეზურ ფორმას პარადიგმებში აღწერითი ფორმები ენაცვლება: გვაქვს ორგანიზდება ფორმა (მოღელი: სუფიქსიანი ვნებითი), მაგრამ მყოფადსა და წყვეტილში უკვე აღარ დასტურდება შესაბამისი სინთეზური ფორმა: *დაორგანიზდება ან: *დაორგანიზდა (ან *ორგანიზდა); ამ ფორმების ნაცვლად იხმარება აღწერითი ფორმები: ორგანიზებული იქნება, ორგანიზებულ იქნა და მისთნ. აღწერითი ფორმების ჩანაცვლება უღვლილების პარადიგმებში ქართულისათვის საერთოდ არ არის უცხო: ცნობილია, რომ ერთპირიანი ვნებითები III სერის ფორმებს ჩვეულებრივ აღწერითად აწარმოებენ. დაწერილიყო, აშენებულიყო და ა. შ.

ცნობილია შემთხვევები, როცა ძველი ქართული იცვლება: ცოლ-იყო > ეცოლა; ზიარ-იქმენ > ეზიარი; ბრძენ-იქმენ > განბრძენდი...¹⁰⁷ მეორე მხრივ, შეიმჩნევა საწინააღმდეგო პროცესიც: „ორგანული წარმოების რიგი ზმნური ფუძე იცვლება აღწერითით: აღმოიყვანა-ამოიყვანილ-იქნა; ვიძოფლე-იძოფლებული გავხდი (ან: შევიქენი, ვიყავი); მოვივლინა-მოვივლინებული იქნა.“¹⁰⁸ როგორც უკვე აღინიშნა, ზოგჯერ ვნებითის სინთეზური ფორმები სტილისტურად უპირისპირდებიან აღწერით ვნებითებს: გააღეს კარი — გაიღო კარი, მაგრამ გაიღეს თანხა — გაღებულ იქნა თანხა.¹⁰⁹

თანამედროვე ქართულში შეინიშნება ვნებითის აღწერითი ფორმების ზშირი და ზოგჯერ გაუმართლებელი გამოყენების შემთხვევები: გაუქმებულ იქნა ნაცვლად ბუნებრივი გაუქმდა ფორმისა და მისთნ.

V. ლექსიკური ტიპი. ვნებითის წარმოების ეს ტიპი, მართალია, სულ რამდენიმე მაგალითით შემოიფარგლება, მაგრამ მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებასა და გაფორმებაში. საქმე ისაა, რომ „ზოგიერთ ზმნას არ მოეპოვება კონვერსიული ფორმა იმავე ფუძისა, მაგრამ შეიძლება, რომ ეს [კლი შევსებულ იქნეს სხვა ფუძის ზმნით.“¹¹⁰ ამ ტიპის ფორმებში „სემანტიკურად გაერთიანებული სხვადასხვა ფუძეა გამო-

¹⁰⁷ ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იკვ, XIV, გვ. 167.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 171.

¹⁰⁹ ა. შ. ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 304.

¹¹⁰ იქვე, გვ. 319—320.

ყენებული სხვადასხვა გვარისათვის.“¹¹¹ მაგალითად, ძველი ქართული: უტე-
ვებს-დაშთა; დამამტკივნებ-მელმის და მისთნ. დასტურდება იგი ახალ ქართუ-
ლშიც: აყენებს-დგება; აგდებს-ვარდება; სვამს (და-სვ-ა) — ჯდება; ყრის-ცვივა,
ტოვებს-რჩება, რაც შეეხება ფორმებს: ტეხს-ტყდება; ხეთჟს-სკდება, რომლებ-
იც ახლა გვარში ფუძემონაცვლე ზმნების შთაბეჭდილებას ტოვებენ, სინამდვი-
ლეში ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმებს წარმოადგენენ.¹¹²

¹¹¹ ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქარ-
თულში, გვ. 298.

¹¹² ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 298, მისივე: ნასახელარო ზმნები
ქართულში. გვ. 37.

ნაწილი მეორე

ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხისათვის ქართულში

1. ზოგადი თვალსაზრისისათვის

§ 1. ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ ქართულში ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ამ ფორმათა მნიშვნელობა-დანიშნულების (ე. ი. გვარის ფორმებისა და ფუნქციის ურთიერთობის) საკითხებზე, საჭირო ჩანს რამდენიმე ზოგადი ხასიათის საკითხის დასმა და მათზე შეძლებისდაგვარად პასუხის გაცემა. რასაკვირველია, ამჯერად, გვარის კატეგორიის შესწავლის თანამედროვე დონეზე, რთულია, ზოგჯერ შეუძლებელიცაა, არამთუ ზოგი პრობლემის გადაწყვეტა, არამედ მისი წარმოიჩენაც კი, რაც უთუოდ მოხდება გვარის კატეგორიის შესწავლასთან ორგანულად დაკავშირებული ზოგი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის მეცნიერულად დამუშავების შემდეგ. უპირველესად ეს ეხება გვარის ფორმათა ფუნქციის საკითხს, სხვაგვარად: ზმნის გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების ფუნქციურ საფუძველს. არანაკლებ მნიშვნელობისაა გვარის ფორმების გამოყოფისა და მათი გრამატიკული დახასიათების საკითხი.

§ 2. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე ამჟამად მოითხოვს გრამატიკულ ფორმათა ფუნქციების გამოყოფასა და შესწავლას. ამის გარეშე შეუსწავლელი, მეტიც: წარმოუჩენელი, დარჩება მრავალი საკითხი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული გრამატიკული ფორმებისა და სისტემების ჩამოყალიბებასა და წარმოებასთან. უპირველესი და უმთავრესი, რაც აქ უნდა გაკეთდეს, ესაა გრამატიკული კატეგორიების გვერდით გამოიყოს ფუნქციური კატეგორიები და ენათმეცნიერულად დახასიათდნენ ისინი. რა არის ფუნქციური კატეგორია, რა შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციურ კატეგორიად, — სწორედ ამის თაობაზე შევეცდებით გავამახვილოთ ყურადღება.

§ 3. უკანასკნელ ხანს სათანადო ყურადღება ექცევა გრამატიკულ ფორმათა ფუნქციური ასპექტის შესწავლას, ხოლო თვით ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების თაობაზე საკითხის დასმა უშუალოდ უკავშირდება და არსებითად ეყრდნობა კიდევ თეორიებს ე. წ. „ენებითი კატეგორიების“ შესახებ, რომლებსაც ო. იესპერსენი „უნივერსალურ კატეგორიებს“ უწოდებ-

და იმის გამო, რომ ისინი არ იყვნენ დამოუკიდებელი თანოვებული ენის სტრუქტურაზე და, აქედან გამომდინარე, მათი გამოყენება მეტნაკლებად ყველა ენაში შესაძლებელი ხდებოდა. არსებითად ეს იყო ის ზოგადი გნობრივი (თუმც თვით ო. იესპერსენ-ის აზრით არაგნობრივი) ფუნქციები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ ენაში ნაირგვარ გრამატიკულ გამოხატულებას პოლოზდნენ. ამ „ცნებითი კატეგორიების“ სწორედ ენობრივ ბუნებაზე საგანგებოდ მიუთითებდა ი. მეშანიხოვი, რომელმაც სპეციალურადაც განიხილა ისინი².

„ცნებითი კატეგორიების“ თეორია მეტნაკლებად ეხმაურება იმ მოსაზრებებს, რომელთა პრინციპია „ფუნქციიდან ფორმისაკენ“³ სხვაგვარად გრამატიკული ფუნქცია ამოსავალია გრამატიკული ფორმისათვის (ნდრ. პრინციპი: ფორმიდან — ფუნქციისაკენ. ზოგჯერ ცდილობენ ამ ორი პრინციპის შეჯერებასაც). ყოველივე ამან შექმნა წინაპირობა ჩამოეყალიბებინათ ცნება ე. წ. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა, რომელიც ესმით, როგორც სისტემა ნაირგვარი ენობრივი საშუალებებისა, რომელთა დახმარებით შესაძლებელი ხდება გარკვეული სემანტიკური ფუნქციების გამოხატვა. ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიებს მოუპოვებთ შინაარსისა და გამოხატვის პლანები, ხოლო მათი სემანტიკური მხარე მორფოლოგიურ კატეგორიათა მნიშვნელობების ანალოგიურია. ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიებად გამოყოფენ: ტემპორალობას, მოდალობას, პერსონალობას, ასპექტუალობას და სხვა. ამ კატეგორიების სტრუქტურა ეყრდნობა ველის პრინციპს.⁴ აღნიშნული ბოლოს მაინც კონტექსტში გამოყენებული ფორმის კონკრეტულ ფუნქციაზე დადის (ასე მაგალითად: „А ну, говорит. выметайтесь!“ Те упираться—უკანასკნელი ზნა, პოუხე ვაჟათ ივისა, რომ არეინტირია, კონტექსტის მიხედვით აწმყოს ფუნქციას გადმოსცემს; ანდა: Отец дома; Письмо тебе; Ночь; Тишина; О нем не слышно... ყველა ამ წინადადებაში აწმყო დროის მნიშვნელობა გამოხატულია წინადადების სინტაქსურ სტრუქტურით ანუ კონტექსტით).⁵ აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების ასეთი გაგება გამორიცხავს იმ ზოგადი ფუნქციების განხილვას, რომლებიც კონტექსტისაგან დამოუკიდებლად არსებობენ ენაში და შეიძლება გრამატიკულადაც იყვნენ გაფორმებულნი. ამრიგად, კონტექსტური ფუნქცია, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი მხარეა ენაში არსებული ზოგადი ფუნქციური კატეგორიებისა. ზემოაღნიშნული კი ისევ იმ „ცნებით კატეგორიებს“ ეხმაურება თავისებურად, იმ განსხვავებით, რომ „ცნებითი კატეგორიების“ მომხრეები უფრო შორს მიდიან და შესაძლებელად მიანჩნაათ აღრე გრამატიკულად გაუფორმებელი და მხოლოდ კონტექსტის საშუალებით

¹ О. Есперсен, Философия грамматики, М., 1958, стр. 58.

² И. И. Мещанинов, Понятийные категории в языке, Труды Военного института иностранных языков Красной Армии, № 1, 1945.

³ F. Brunot, La pensée et la langue, Paris, 1933; V. Mathesius, Obsahovy rozbor sousasné anglictiny na základě něcerné lingvistikém, Praha, 1906; E. Koschmieder, Beiträge zur allgemeinen Syntax, Heidelberg, 1905; და სხვა.

⁴ А. В. Бондарко Грамматическая категория и контекст, Ленинград 1971, стр. 8—12, 17.

⁵ იქვე, გვ. 35, 38—39 და 37.

წარმოჩენილი რომელიმე ენობრივი ფუნქციის გრამატიკული გაფორმება: ასე. მაგალითად, ზოგიერთ ენაში ზმნამ წინადადების შინაარსის მიხედვით (კონტექსტის მიხედვით), შეიძლება მიიღოს როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ, შემდგომ შესაძლებელია აისახოს შემასმენლის ფორმაშიც. ასეთი ვარაუდის თანახმად, „გვარის სისტემა აიგება უპირველესად წინადადების აზრობრივი შინაარსის საფუძველზე და ასახავს პოვნებს შემასმენლის გრამატიკულ ფორმაში“.⁶

იმისდა მიუხედავად, გვიზიარებთ თუ არა ზემოაღნიშნულ ვარაუდებს, ერთი რამ მაინც უდავოა: საკითხის დასმა უთუოდ დროულია და ობიექტური ვითარებითაა გამოწვეული. და მართლაც, ფრიად აქტუალური ჩანს დადგენა იმისა, თუ რა განსხვავებული ფუნქციები მოეპოვებათ ერთი და იმავე მოდელით ნაწარმოებ ფორმებს (მდრ. ათეთრებს-აბალახებს, ბარავს-წურავს; ხევს-ღვეს...) და რა არის ამ განსხვავებების მიზეზი, ანდა: გამოკვეთა და გამოყოფა იმ ფუნქციებისა, რომელთაც არ მოეპოვებათ რაიმე გარკვეული ნიშანი. საკუთარი მოდელი ენაში, სხვაგვარად, ფუნქციები, რომლებიც საკუთარი მორფოლოგიური ინვენტარით არ ფორმდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენენ წინადადების სტრუქტურაზე, მეტიც: ზმნის უღვლილებასა თუ სახელის ბრუნებაზეც. სად შევიტანოთ, მაგალითად, ისეთი გრამატიკული მნიშვნელობა როგორცაა ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობა? გრამატიკული მნიშვნელობა გარდამავლობა-გარდაუვალობისა უდავოდ არსებობს, მაგრამ ენაში არ მოიპოვება მათი განმასხვავებელი ნიშანი, სპეციალური მოდელი. ასეა, ქართულში (ღვეს გარდაუვალია, ხევს გარდამავალი), ანალოგიური ვითარებაა რუსულშიც (умирает — გარდაუვალი ზმნაა, მაგრამ იმავე მორფოლოგიური ინვენტარის მქონე живет — გარდამავალი), გერმანულში (lesen! — sitzen), ინგლისურში და სხვა. უფრო მეტიც: ზოგჯერ ერთი და იგივე ფორმა ზმნისა კონტექსტის მიხედვით შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც. ქართულში: ცრის წვიმა (გარდაუვალი) — ცრის ფქვილს (გარდამავალი); რუსულში: Мальчик косит глазами (გარდაუვალი) — мальчик косит глаза на угол стола (გარდამავალი); ინგლისურში: ran along the street (გარდაუვალი) — I ran like car (გარდამავალი). ამდენად, ყველა შემთხვევაში გარდამავლობა — გარდაუვალობა სინტაქსურად წარმოჩენილია, მაგრამ მორფოლოგიურად არ ფორმდება: გარდამავალ ზმნებს არ მოეპოვება საკუთარი მოდელი, რომელიც მათ გარდაუვალი ზმნებისაგან განასხვავებს და პირიქით. ამის გამოა, რომ ზოგჯერ გარდამავლობა — გარდაუვალობას სინტაქსურ კატეგორიად მიიჩნევენ,⁷ ხოლო მისი გარჩევის საშუალებას ზმნების ლექსიკურ-მორფოლოგიურ ტიპს უკავშირებენ⁸; სხვაგვარად: ზმნისავე ლექსიკური მნიშვნელობით დგინდება გარდამავალია იგი თუ გარდაუვალი.

⁶ И. И. Мещанинов, Глагол. Москва—Ленинград, 1949, стр. 95, 102.

⁷ Л. Р. Зиндер, Т. В. Сокольская, Научная грамматика немецкого языка, Ленинград, 1938, стр. 118; В. Н. Ярцева, Взаимотношение грамматики и лексики в системе языка, Исследования по общей теории грамматики, М., 1968, стр. 34.

⁸ ვ. ბარცევა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.

გარდამავლობა-გარდაუვალობის ფორმალური დადგენა კონსტრუქციის საშუალებით სერხდება, ზოგჯერ უღვლილების ფორმითაც. კერძოდ, ქართულში (და ზოგ კავკასიურ ენაში) გარდამავალი ზმნის II სერიის (ნამყო ძირითადის ჯგუფის) ფორმებთან სუბიექტი მოთხრობითში დაისმის, პირდაპირი ობიექტი — სახელობითში: გარდა ამისა, როგორც ითქვა, გარდაუვალ ფორმებს ზოგჯერ უღვლილების სისტემაც განასხვავებს (ასე, მაგალითად, ცრის გარდამავალ მნიშვნელობის მქონე ფორმას უღვლილების ყველა პირადიგში მოუპოვება, ცრის — გარდაუვალი მნიშვნელობის ფორმას კი — მხოლოდ აწმყო და აწმყოს წრის პირადიგებში). სწორედ ამის საფუძველზე თვლიან, რომ „გარდამავლობას გარკვეული გარეგნული ნიშნები აქვს“⁹. ამ ნიშნებში ძირითადად სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს გულისხმობენ, ანუ: წინადადების მთელ სტრუქტურას; სხვაგვარად: სინტაქსურ ნიშანს გარდამავლობა-ვარდაუვალობისას. გარდამავლობას მორფოლოგიური ნიშანიც ექნებოდა, უღვლილების თავისებური სისტემების გარდამავალი და გარდაუვალი ზმნებისათვის ბოლომდე და განუხრელად რომ იყოს გატარებული.¹⁰ მაგრამ საქმე ისაა, რომ არა მხოლოდ საერთოდ (ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით), არამედ თვით კონკრეტულ ენაში, კონკრეტულ სისტემაში ზემოაღნიშნული პრინციპი ბოლომდე გატარებული არ არის, მეტიც: გამოჩაყლისის ხასიათი აქვს (მაგალითად, ქართულში ტრადიციული თვალსაზრისით, სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით გარდამავლობის გარკვევა მხოლოდ II სერიაში ხერხდება, უღვლილებას ტიპებსაც ძირითადად გვარი განარჩევს და აღნიშნული ცრის ფორმის უღვლილების ორგვარი სისტემა უფრო იმით არის გამოწვეული, რომ გარდამავალი ზმნის მნიშვნელობით მისი გამოყენების დროს იგი მოქმედებითი გვარის ზმნების უღვლილების სისტემას იმეორებს, ხოლო გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობით ხმარებისას — ე. წ. „საშუალო გვარის“ ზმნების უღვლილებას). ამრიგად, შეიძლება ითქვას, გარდამავლობის სინტაქსური ტიპა არსებობს, მაგრამ არ ზდება მისი მორფოლოგიური გაფორმება, სხვაგვარად: გარდამავლობა-გარდაუვალობისას ზმნის განსაკუთრებული მოდელი, ფორმა არ მოიპოვება. აქედან გამომდინარე, გარდამავლობა მხოლოდ ფუნქციურად არსებობს ენაში, იგი ოდენ-ფუნქციური კატეგორიაა. ამდენად, ენაში შეიძლება არსებობდეს ფუნქციური კატეგორია ისე, რომ არ ზდებოდეს კონკრეტული ფორმით მისი გამოხატვა; ეს გამოხატვა მხოლოდ კონტექსტში ვლინდება. თავის მხრივ გარდამავალი ან გარდაუვალი მოქმედება უკავშირდება რომელიმე პირს, რომელიც ყოველ კონკრეტულ ფორმაში კონკრეტული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნით ვლინდება. ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პირიანობა, პერსონალიზმი ფუნქციური კატეგორიაა, რომელიც ენაში პირის გრამატიკული კატეგორიით მატერიალიზდება,¹¹ და, ბუნებრივია, ყოველ კონკრეტულ ენაში

⁹ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 052.

¹⁰ ე. ი ა რ ც ე ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

¹¹ ენებში, სადაც პირის გრამატიკული კატეგორია არ არსებობს, პერსონალიზმიც (გარდამავლობის მსგავსად) ოდენ-ფუნქციური კატეგორია იქნება.

— თავისებურად; მაგალითად, ზოგიერთ ენაში არ აღინიშნება ობიექტური პირი; განსხვავებით ქართველურისა და ზოგი კავკასიური ენისაგან, ის მხოლოდ აღწერილობით შეიძლება ეადმოიციეს. ყოველივე ეს საქმის რეალურ ვითარებას არ ცვლის: პრინციპი, რომ პერსონალიზმის ფუნქციური კატეგორია ამ ენებში პირის გრამატიკული კატეგორიით გამოიხატება, უცვლელი რჩება, ოღონდ ეს არის, რომ გამოაატეა ყოველ კონკრეტულ ენაში (თვით მონათესავე ენებშიც კი) წმირად განსხვავებულ ენობრივ მიკროსტრუქტურას ქმნის, რაც შეიძლება გააირობებულ იყოს როგორც ენობრივი, ასევე არაენობრივი (ან როგორც ზოგჯერ უწოდებენ: ექსტრალინგვისტური) ფაქტორებით.

სწორადაა აღნიშნული, რომ ხშირია შემთხვევა, როცა რომელიმე ერთ ენაში ლექსიკური საშუალებებით გადმოცემული მნიშვნელობები მეორე ენაში სპეციალური გრამატიკული ფორმით რეალიზდებიან;¹² მოხდება ისეც, რომ ეს რეალიზაცია სხვადასხვა ენაში სრულიად საპირისპირო ფორმებით განხორციელდება: მაგალითად, „ბანა“ ფორმისაგან უკუქცევითობის ფუნქცია ქართულში გარდამავალი ზმნით გადმოიციემა: იბანს, რუსულში — გარდაუვალთ. მოეტყ: მაგრამ ყოველივე ეს თითოეული ენის შინაგანი ბუნებითა და პოტენციითაა შეპირობებული და ამგვარი განსხვავებაც მამინ მეორეულად შეიძლება ჩაეთვალოს, შედარებით გვიანდელი დიფერენციაციის შედეგად. ამას სხვა რამეც აღსატურებს: უკუქცევითობა გარდამავალი ზმნის ფორმაშიც შეიძლება მატერიალიზდეს და გარდაუვალი ზმნის მოდელშიც. რუსულში მხოლოდ გარდაუვალ ზმნაში რეალიზდა ეს ფუნქცია, ქართულში სათაისო ქცევისა და იპრეფიქსიანი ვნებობის ფორმებზე გადაიქცა, სხვაგან შესაძლებელია მხოლოდ გარდამავალ ზმნაში შემორჩენილიყო ეს მნიშვნელობა. გრამატიკული თვალსაზრისით კი რუსული მოეტყ ფორმას უფრო ქართული ბ ა ნ ა ო ბ ს ზმნა შეეფარდება; მაგრამ საქმეც ის არის, რომ საერთო ფუნქციური თვალსაზრისი (აქ: უკუქცევითობა) აყენებს ერთმანეთის გვერდით. ბ ა ნ ა ს და მოეტყ ზმნებს. ხოლო თუკი იმავე ფორმებს სხვა ფუნქციის (მაგალითად, სტატიკურობის) თვალსაზრისით განვიხილავთ, მამინ ბ ა ნ ა ო ბ ს და მოეტყ ფორმები აღმოჩნდებიან ერთმანეთის გვერდით (ე. ი. ორი ფუნქციისათვის რუსულს ამ შემთხვევაში ერთი ფორმა მოეპოვება, განსხვავებით ქართულისაგან. შესაძლებელია, პირიქითაც მოხდეს). აქ ორი სხვადასხვა ენის მაგალითებია მოტანილი, იგივე შეიძლება ერთი ენის ფარგლებშიც დადასტურდეს: ასე, მაგალითად, უკუქცევითობის თვალსაზრისით ი ხ ა ტ ა ვ ს და ი ხ ა ტ ვ ი ს (|| ი ხ ა ტ ე ბ ა) ერთმანეთს ამოუღდებიან გვერდით, მაგრამ აქტიურობა-პასიურობის ფუნქციის მიხედვით ისინი უკვე აშკარად უპირისპირდებიან ერთმანეთს და პირველი ხ ა ტ ა ვ ს, უ ხ ა ტ ა ვ ს ზმნებს გაუთანაბრდება, მეორე — ე ხ ა ტ ე ბ ა (ე ხ ა ტ ვ ი ს) ზმნას, თავის მხრივ, მოქმედების კუთვნილების (ვერსიის) ფუნქციის მიხედვით ხ ა ტ ა ვ ს და ი ხ ა ტ ე ბ ა ერთად აღმოჩნდება, ასევე უ ხ ა ტ ა ვ ს და ე ხ ა ტ ე ბ ა, ცალკე დადგება ი ხ ა ტ ა ვ ს ფორმა. ამდენად, აშკარაა, რომ ფუნქციური და გრამატიკული კატეგორიები შეიძლება დაემთხვენ ერთმანეთს და შეიძლება — არა, ამიტომაც მათი გამოყოფა და ცალკე დახასიათება აუცილებელი ჩანს. ერთი და იგივე ფუნქცია სხვადასხვა ენაში შესაძლებელია სხვადასხვანაირად გამოიხატოს: სპეციალური გრამატიკული ფორმით,

¹² ვ. ი ა რ ც ე ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

ლექსიკურად თუ კონტექსტის საშუალებით. ერთგვარი გაფორმების შემთხვევაშიც შეიძლება შეიქმნეს გამოსახვის ნაირგვარი მიკროსტრუქტურა. აქედან სხვა დისკვნაც გამომდინარეობს. კერძოდ: გრამატიკული კატეგორია მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა რომელიმე ფუნქცია გრამატიკული ფორმით რეალიზდება. ფუნქციურ კატეგორიებს კი არაა სავალდებულო კონკრეტული მორფოლოგიური ინვენტარი მოუპოვებოდეთ (და ხშირად ასეც არის). რადგან, მართალია, მათი გრამატიკული მრდელით გამოხატვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, მაგრამ ისინი ასევე წარმატებით გამოიხატებიან ლექსიკურადაც კონტექსტურადაც. შეიძლება სხვა საშუალებაც დაიძებნოს, თუნდაც ინტონაცია, რომელიც ზოგჯერ გრამატიკული ფუნქციითაც აღიჭურვება, მაგალითად, პრძანებითი, კითხვითი და თხრობითი ფორმების გასარჩევად: *il pleut?* (წვიმს?) — *il pleut.* (წვიმს);¹² შღრ. დაწერა — დაწერე? — დაწერე; ან: დაწერას! — დაწეროს და მისთნ. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, დგება საკითხი ზოგადად ენაში მიმდინარე პროცესების თაობაზე, რომელიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მიხედვით, ანუ როგორც სხვაგვარად ამბობენ, ამ ზოგად სტრუქტურული კანონზომიერებების სხვადასხვა ენაში გამოვლენილ ნომორფულ პრინციპებზე.¹⁴ რაც ერთგვარად ეხმარება ენობრივი უნივერსალიების პრობლემას. დავსძენთ მხოლოდ, რომ ენობრივ უნივერსალიებს, შემოთქმულის საფუძველზე, ჩვენ არსებითად ფუნქციური კატეგორიების დონეზე ვეუბროდით მხოლოდ.

§ 4. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ენაში ფუნქციის ცვლილებამ ბოლოს და ბოლოს შეიძლება გამოიწვიოს მისი ფორმალური სტრუქტურის შეცვლა.¹⁵ წებისზეერი ენისათვის საერთოდ დამახასიათებელი ჩანს მუდმივი ცვალებადობა სტრუქტურული ელემენტების ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობაში. ასე, მაგალითად, ხშირად სიტყვათშეერთება, რომელიც ფორმალურად სინტაგმაა, არსებითად ერთი სიტყვის ფუნქციონალური ექვივალენტი ხდება; ასეთებია ყვავილების სახელები: *анютинь глазки, кукушкины слезки*¹⁶ და მისთან. ანალოგიურია: *ც ი ს კ რ ი ს ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი* და სხვა. ყურადღებას იმსახურებენ ამ თვალსაზრისით იდიომატური გამოთქმები და აღწერითი ფორმები, რომელთაგან პირველი ლექსიკოლოგიაში შეისწავლება, მეორე — მორფოლოგიაში (და არა სინტაქსში).¹⁷ ყველაფერი ეს აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, თუ რა არსებითი ხასიათის ფორმობრივი ცვლილებების გამოწვევა შეუძლიათ ფუნქციურ ცვლილებებს, რაც ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადა-

¹² А. Мартини, Основы общей лингвистики, Новое в лингвистике Глус III, М., 1963, стр. 411.

¹⁴ Р. Якобсон, Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание, Новое в лингвистике, III, М., Е. И. Ш у т о в а, О некоторых универсальных закономерностях в соотношении синтаксического и морфологического уровней (в связи с синтаксической ролью порядка слов и форм слов), Языковые универсалии и лингвистическая типология, М., 1969, стр. 141.

¹⁵ Общее языкознание, Формы существования, функции, история языка, М., 1970, стр. 174.

¹⁶ იქვე, ვ. 174.

¹⁷ იქვე, ვ. 175.

სხვა სახითა და ოდენობით წარმოგვიდგება. სწორედ ფუნქციური ცვლილებების საფუძველზე უნდა მომხდარიყო ქართულ ენაში ის არსებითი ხასიათის სტრუქტურული ცვლილებები, რომელთა აღზუსტება და დადგენა მეტნაკლები წარმატებით ხერხდება: ეს იქნება უღვლილების ასპექტური სისტემის შეცვლა. ე. წ. მედიოაქტური და მედიოპასიური უღვლილების ჩამოყალიბება, ობიექტის მრავლობითობის ზმნაში აღნიშვნის ცვლილება, ბრუნვათა ფორმების სიტყვათწარმოებითი ფუნქციით გამოყენება თუ პირიქით: სიტყვათწარმოებითი ინვენტარის ბრუნვის ნიშნებად ქვეყნის პროცესი და მრავალი სხვა. ენაში ყველა ცვლილება ხდება მხოლოდ მისი რეალიზაციის დროს¹⁸ და ამ ცვლილებაში უკუფენილია არა მხოლოდ ენობრივი სისტემების ცვლის პროცესი და საფეხურები, არამედ გარკვეული ოდენობით ისეთი არაენობრივი ფაქტორებიც, როგორებიცაა აზროვნების განვითარების ეტაპები. ცვლილებები ეხის მაჟარებელთა დსიკიკაში (გამოწვეული სოციალური თუ ისტორიული ფაქტორებით) და სხვა. თუკი არაენობრივი ფაქტორები მართლაც ახდენენ გავლენას გრამატიკულ ფორმებზე და ცვლიან კიდევ მათ მნიშვნელობასა თუ დანიშნულებას, ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფუნქციური ცვლილების საფუძველზე, რადგან ეს გავლენა უთუოდ უნდა იყოს გაშუალებული ფუნქციური კატეგორიებით.

მნიშვნელობების მქონე ოპოზიციებზე დამყარებული ენობრივი სისტემის საფუძველს ყოველთვის წარმოადგენს შინაარსი. მაგალითად, რუსული ზმნის სისტემის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მის ფორმებში ყოველთვის დასტურდება დროის, კილოს, გვარისა და რიცხვის ერთ-ერთი მნიშვნელობა.¹⁹ მოხდება ისეც, რომ ერთი და იმავე ფორმას რამდენიმე ფუნქციის გამოხატვა დაეკისრება ერთდროულად და პირიქით, ერთი ფუნქციის გამოხატვა სხვადასხვა ფორმაში მოხდება შესაძლებელი.²⁰ ასე, მაგალითად, გარდაქცევითობის ფუნქცია გამოიხატება როგორც ვითარებითი ბრუნვის ფორმით (სახელებში), ასევე აქტიური და პასიური ნასახელარი ზმნების სპეციალური მოდელით: (ზმნებში) და იმავდროულად იმავე მოდელს სხვა ფუნქციის გამოხატვაც აკისრიათ (უკანასკნელ შემთხვევაში — აქტიურობა-პასიურობის ფუნქციისა); ასე რომ, ზემოთ აღნიშნული მოვლენები ენობრივი ფუნქციების გრამატიკული გამოხატვის თაობაზე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ ზშირად ერთდროულად ერთ კონკრეტულ ფორმაში ვლინდებიან (ერთი და იმავე მოდელს აკისრია გარდაქცევითობისა და აქტიურობის, ახ გარდაქცევითობისა და პასიურობის გამოხატვა, მაგრამ იმავდროულად ამ ენობრივი ფუნქციების გადმოსაცემად სხვა მორფოლოგიური ინვენტარიც გამოიყენება). მართებულია ისიც, რომ ენის ცვლილების გარეგანი იმპულსებისაგან განსხვავებით, ამ ცვლილებათა შინაგანი მიზეზები დროის, რომელიმე ისტორიული ეპოქის ფარგლებით არ არიან შემოზღუდული.²² ამის გამო უფრო ღრმა

¹⁸ იქვე, გვ. 179.

¹⁹ იქვე, გვ. 182.

²⁰ შდრ. იქვე, გვ. 187-188.

ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957.

²² Общее языкознание, М., 1970, стр 234—235.

და არსებითი ხასიათის ცვლილებები ენაში მისივე შინაგანი პოტენციითა თუ იმ-
პულსებითაა გამოწვეული და არა გარეშე გამვლენელი ფაქტორებით.

§ 5. ისმის კითხვა: კონკრეტულად რა შეიძლება გამოვეყნოთ ფუნქციურ კატეგორიებად, ან როგორ უკავშირდებიან ისინი გრამატიკულ კატეგორიებს? აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ფუნქციური კატეგორიები, სრულიად არ არის თვისობრივად რაღაც ახალი და დღემდე გამოუყოფელი. ფუნქციური კატეგორიის ცნებებით ალბათ იმ დროიდან სარგებლობდნენ, რაც გრამატიკა, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა, მაგრამ საქმე ის არის, რომ, სამწუხაროდ, არავინ გამოპყობდა მათ ცალკე, ისინი მკვლევარს წარმოადგენებში გათქვეფილი იყვნენ გრამატიკულ კატეგორიებაში, რაც ხშირად გამხდარა არასასურველი აღრევისა და არათანამიმდევრული კვლევის მიზეზი. თუკი გრამატიკული კატეგორიები ესაა უპირველესად გინის გრამატიკული წყობის შემსწავლელი დარგის ძირითადი ცნებები,²³ და თუკი მათი არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა მათი გრამატიკული ფორმით მატერიალიზაციაა (სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ამგვარი კატეგორიების არსებობა), მაშინ ფუნქციურ კატეგორიად შეიძლება გამოიყოს ის, რასაც ასახავს მოცემული გრამატიკული კატეგორია, სხვაგვარად: მოცემული გრამატიკული კატეგორიის შინაარსი, ნიშნველობა.²⁴ მაგრამ ფუნქციურ კატეგორიაში მარტო გრამატიკული კატეგორიის მნიშვნელობები არ შევა. ყოველ კონკრეტულ ენაში ბევრი ისეთი ფუნქციაა, რომელიც გრამატიკული ფორმით არ რეალიზდება და, ამდენად, ამგვარი ფუნქციურ კატეგორიებს არ მოეპოვებათ შესაბამისი გრამატიკული კატეგორია, არ რეალიზდებიან შესაბამისი გრამატიკული კატეგორიით. სწორედ ამ უკანასკნელი ვითარების გამო ხდება საჭირო ფუნქციური კატეგორიების ცალკე გამოყოფა, რადგან სათანადო სისტემის უქონლობის გამო, ისინი ხშირად გრამატიკულ კატეგორიებთან არიან გაიგივებული. ამით კი გრამატიკული კატეგორიების გამოყოფის ერთ-ერთი არსებითი პრინციპი (რომ ისინი აუცილებლად უნდა იქნენ სათანადო გრამატიკულ ფორმაში რეალიზებული) ირღვევა, აქედან გამომდინარე, მათ შესახებ მსჯელობაც სხვადასხვა სიბრტყეზე ხდება და, ბუნებრივია, არათანამიმდევრულ ხასიათს ღებულობს. მართლაც, ახალ ქართულში თუკი პირისა და აქტის კატეგორიები — ორივე-გრამატიკულად მივიჩნიეთ, მაშინ მათი გამოყოფის საფუძველის ნაირგვარობის გამო (პირის გრამატიკულ კატეგორიას მოეპოვება სათანადო ნიშანიც და ფორმაც, უნახაობის კატეგორიას — არა) მთელი რიგი სიძნელეები გაჩნდებოდა. საქმე შეუდარებლად გაადვილდებოდა, თუკი ამ ორ კატეგორიას ასე წარმოვსახავდით: პირი—გრამატიკული კატეგორიაა, სათანადო შესატყვისი პერსონალიზმის ფუნქციური კატეგორიისა, უნახავი აქტი (თურმეობითობა) — ფუნქციური კატე-

²³ О. П. Сундик, *Общая теория частей речи*, Москва-Ленинград, 1966, стр. 29.

²⁴ ბუნებრივია, უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა ენის ვითარება: ის, რაც ერთ ენაში ფორმდება, სხვა ენაში გაუფორმებელია და ლექსიკის ან კონტექსტის საშუალებით აღდმოიყვამა.

გორიაა, რომელსაც საკუთარი გრამატიკული გაფორმება არ მოეპოვება და რომელიც აღწერილობით (resp. კონტექსტურად) გადმოიცემა (წერდა თურმე, დაწერა თურმე...).

ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას: გრამატიკული კატეგორიისაგან განსხვავებით ფუნქციური კატეგორიები შეიძლება მატერიალიზდნენ გრამატიკული ფორმით და შეიძლება — არა. ეს არის ერთ-ერთი არსებითი სასიათის განმასხვავებელი ნიშანი ფუნქციურ და გრამატიკულ კატეგორიებს შორის.

მეორე ნიშანი ის არის, რომ ფუნქციური კატეგორიები ზოგადი კატეგორიებისა, სხვადასხვა ჯგუფის, წარმოშობისა და შედგენილობის ენებისათვის თითქმის ერთნაირად დამახასიათებელი, განსხვავებით გრამატიკული კატეგორიებისაგან. რომლებიც ტიპოლოგიურად მსგავსი შეიძლება მრავალ ენაში იყოს, მაგრამ საერთო წარმოშობის მქონე, ძირითადად — მხოლოდ მონათესავე ენებში. ამდენად, თითოეული ენის თავისებურებას ის წარმოადგენს, თუ რა სახით აისახებიან მათში ეს ზოგადი ფუნქციური კატეგორიები; ანუ სხვაგვარად: თითოეული ენის სახეს ქმნიან ის გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც ზოგადი, ფუნქციური კატეგორიების მატერიალიზაციას წარმოადგენენ. იმ შემთხვევაში, თუ ფუნქციური კატეგორია რომელიმე ენაში არ რეალიზდება, და, ამდენად, გრამატიკული ფორმის სახით არ წარმოგვიდგება, ესეც მოცემული ენის თავისებურებად უხდა ჩაითვალოს და შეძლებისდაგვარად გაირკვეს ამის მიზეზი. აქედან — ჩნდება პრობლემა: როგორ რეალიზდება თითოეულ ენაში ზოგადი, ფუნქციური კატეგორიები (მსგავსება-განსხვავებისა და მათი მიზეზების თვალსაზრისით).

ყოველი კონკრეტული ენის მიმართ ფუნქციური კატეგორიები არ არიან მუდმივი, ერთნაირი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული ოდენობები. ისინი ვითარდებიან. იცვლებიან, ჩნდებიან ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე და ქრებიან კიდევ უკვე ითქვას, რომ ფუნქციური კატეგორია შეიძლება მატერიალიზდეს გრამატიკული ფორმით (resp. გრამატიკული კატეგორიით) და შეიძლება — არა. არც ეს მოვლენაა მუდმივი, უცვლელი. ცნობილია ფაქტები, როცა გრამატიკული ფორმით მატერიალიზებული ფუნქციური კატეგორია კარგავს ამ ფორმას (ე. ი. რჩება მხოლოდ ფუნქცია, რომელიც ლექსიკურად ან კონტექსტის მიხედვით გადმოიცემა; ასეთია, მაგალითად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მოქმედების მრავალგზითობის ფუნქციური კატეგორია, რომელიც ძველ ქართულში ხოლმეობითობის გრამატიკული კატეგორიით მატერიალიზდებოდა: ძველი ვითარება რამდენიმე დიალექტსა (შემორჩა) და პირიქით: ფუნქციური კატეგორიის გვერდით ჩნდება მისი შესაბამისი გრამატიკული კატეგორია (ასეთია, მაგალითად, ქართულში კაუზატივი). აქედან კიდევ ერთი არსებითი ხასიათის დასკვნა გამომდინარეობს: გრამატიკული კატეგორია არ არსებობს შესაბამისი ფუნქციური კატეგორიის გარეშე, მაგრამ ფუნქციური კატეგორიის არსებობისათვის არაა აუცილებელი არსებობდეს მისი შესატყვისი გრამატიკული კატეგორია.

უკვე აღინიშნა, რომ ერთი და იგივე ფუნქცია ზოგიერთ ენაში გრამატიკულად ფორმდება, სხვაგან ლექსიკურად ან კონტექსტის საშუალებით გადმოიცემა. ეს ფაქტი ფუნქციური კატეგორიების კიდევ ერთ თავისებურებაზე მიგვანიშნებს: ფუნქციური კატეგორია შეიძლება რეალიზდეს გრამატიკულად, ლექსი-

კურად და კონტექსტის საშუალებით. მაგალითები კიდევ უფრო თვალნათლივს გახდინა ამ დებულებას. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურობა-პასიურობის ფუნქციური კატეგორია ქართულში ძირითადად უკვე მატერიალიზებულია გვარის გრამატიკული კატეგორიის სახით, არის შემთხვევები, როცა საკირო ხდება ლექსიკური და კონტექსტური ფაქტორების მოშველიება; და მართლაც, შდრ. აწუხებს-წუხდება-წუხს (აქტიურობა-პასიურობის ფუნქცია გრამატიკული ფორმიი არის რეალიზებული), ავდებს-ვარდება (იგივე ფუნქცია დაპირისპირებული ლექსიკური ერთეულების სახით გადმოიკემა), დაწერა მას ის (II თურმეობით); — დაწერა ის მას (ნამყო ძირითადი); აქტიურობისა და პასიურობის გარჩევა მხოლოდ კონტექსტის საშუალებით ხერხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს: ჩვენ ამოვდივართ იმ თვალსაზრისიდან, რომლის თანახმადაც გრამატიკული კატეგორია ერთგვაროვანი ფორმების ერთობლიობა (რაოდენობა) კი არ არის, არამედ დაპირისპირებულ ფორმათა ერთიანობა (თვისობრიობა). გრამატიკული კატეგორიაც ფორმათა სისტემაა, ხოლო სისტემისათვის სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობაა დამახასიათებელი და მართლაც, თუკი ფუნქციურ-ფორმობრივად ან მხოლოდ ფუნქციურად აწყო არ უპირისპირდება მყოფადსა და ნამყოს და ისინი, მათთვის დამახასიათებელი ზოგადი თვისების გამო არ გაერთიანდებიან ერთ სისტემაში, მაშინ არც გვექნებოდა არა მხოლოდ დროის გრამატიკული კატეგორია, არამედ საერთოდ დროის გრამატიკული ცნებაც. ამ დაპირისპირებულ ერთეულთა შორის ერთ-ერთი შესაძლებელია გაუფორმებელიც იყოს, მაგრამ სხვა იმავე ზოგადი თვისების მქონე გაფორმებულ ერთეულებთან დაპირისპირებით სწორედ ეს გაუფორმებლობა იქნება ნისი ნიშანი.²⁵ ბუნებრივია, ფუნქციური კატეგორიების გრამატიკულად რეალიზების თაობაზე მსჯელობისას ეს ფაქტორიც აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. ამის მიხედვით, ჯერ ერთი: დროის გრამატიკულ კატეგორიას ქმნის არა წერს, ჩეხს, რეკს... ან: დაწერს, დაჩეხს, დარეკს... ან თუნდაც: წერდა, ჩეხდა, რეკდა ერთგვაროვან ფორმათა ერთობლიობა, არამედ წერს-დაწერს-წერდა... ტიპის დაპირისპირებულ ფორმათა ერთიანობა; მეორე: იმის გამო, რომ წერ, ჩეხ, რეკ ტიპის ზმნები აწყოში გაუფორმებლები არიან (დაერთვით მხოლოდ პირის ნიშანი), დაწერ, დაჩეხ, დარეკ; წერე, ჩეხე, რეკე... ტიპის დაპირისპირებულ ფორმებთან შეფარდებით მათივე უნიშნობა ხდება მათი განმასხვავებელი ნიშანი.

§ 6. სპეციალურ ლიტერატურაში, სხვა გრამატიკული კატეგორიების გვერდით გამოყოფილია ჯგობის და აქტის კატეგორიებიც.²⁶ ძველ ქართულში გამოყოფდნენ შუალობითი კონტაქტის (კაუზატივის) გრამატიკულ კატეგორიას.

²⁵ ეს პრინციპი გატარებული აქვთ ფ. ფ. ფორტუნატოვსა და ი. ა. ბოდუნენ დე კურტენეს. ამის თაობაზე იხ. А. А. Реформатский, Введение в языковедение, М., 1946, стр. 87; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 34, 389—390; შდრ. ფ. ერთელეშვილი, ქვევის საკითხისათვის ქართულში, თსუ შრომები, 114, თბ., 1965, გვ. 184 და შმდგ. თუმცა ავტორი არ უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ „მორფოლოგიური მნიშვნელობა ფორმაში შეიძლება იყოს გამოხატული უაფქსოდაც“ (იქვე, გვ. 177—179, 18.).

²⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 214—217.

თუ შემოიქმულს გავითვალისწინებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ ჯერობა (ხოლმეობითობა) გრამატიკული კატეგორია იყო მხოლოდ ძველ ქართულში (დღეს — მხოლოდ ქართული ენის ზოგიერთ კილოში), კაუზატიურობა, როგორც გრამატიკული კატეგორია, ყალიბდება შედარებით გვიან, ხოლო აქტი (კერძოდ. უნახავი აქტი, თურმეობითობა) არც ძველ და არც ახალ ქართულში გრამატიკულ კატეგორიად არ გაფორმებულა.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ქართული მასალის განხილვაზე, ზეღმეტი არ იქნება მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი სხვა ენებიდან; კერძოდ, აღნიშნულია, რომ საკმაოდ ბევრ ენაში ზოგიერთი ზმნისათვის დამახასიათებელი ჩანს „გრამატიკული ამბივალენტურობა“; ასე, მაგალითად, ზოგიერთ ზმნას ერთდროულად მოეპოვება გარდაუვალობისა და კაუზატიურობის მნიშვნელობა; ასეა: ფრანგულში: *sortir* — გახვლა და გაყვანა; ინგლისურში: *to stop* გაჩერება და ვიღაცის გაჩერება, ლიტუურში; სხვა შემთხვევაში ზმნები შეიძლება გამოხატავდნენ (კონტექსტის მიხედვით) გარდაუვალ მოქმედებასა და მღვობარობას; ლათინურში: *laetare* — დადუმება და დუმილი...²⁷ ამ მაგალითების მიხედვით აშკარაა, რომ ყველა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გარდასვლა-გარდაუვალობის, კაუზალობისა და დინამიკურობა-სტატიკურობის ფუნქციურ კატეგორიებთან, რომელთა მატერიალიზება კონტექსტის საშუალებით ხდება.

ძველ ქართულში (და ამჟამად ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში) მოქმედების მრავალგზითობის ფუნქცია გრამატიკულად ფორმდებოდა: მოეპოვებოდა ნიშანი, ზმნის მოდელი და შესაბამისი კონსტრუქცია. ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მოხდა ხოლმეობითობის გრამატიკული გაფორმების მოშლა, ფორმათა აღრევა, რამაც სალიტერატურო ქართულში გამოიწვია ხოლმეობითის გრამატიკული კატეგორიის დაკარგვა, მაგრამ ხოლმეობითობის ფუნქცია დღემდე შემორჩა ქართულს და მისი მატერიალიზაცია უკვე კონტექსტურადაა ხერხდება (ზმნის ფორმის დაერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი: წერს ხოლმე, წერდა ხოლმე. წერდეს ხოლმე, დაწერს ხოლმე, დაწეროს ხოლმე, დაუწერია ხოლმე...); სხვაგვარად: ხოლმეობითის „ორგანული წარმოების მოშლის გამო... გამოყენებულ იქნა აღწერითი წარმოება. აღწერით თითქოს გამოსწორდა ის ნაკლი, რომელიც მორფოლოგიური საშუალების დაკარგვამ გამოიწვია“.²⁸ რაც შეეხება თანამედროვე უღვლილების სისტემაში მოქცეულ ხოლმეობითს (მყოფადის წრე) დაწვრილი, გვაკეთებდი ტიპისა, სათანადო მაგალითების მოშველიება („ხელი რომ არ შემშლოდა, დაწვრილი, გვაკეთებდი...“ და მისთან., სადაც ეს ფორმები გამოირიცხულია, რომ ხოლმეობითობას გამოხატავდნენ), აღვიღად გვარწმუნებს, რომ მოქმედების მრავალგზისობის წარმოდგენა მასაც ფაქტიურად კონტექსტის მიხედვით შეიძლება დაეკისროს. ამრიგად, თითქოს აღარაფერა ეწინააღმდეგება ვარაუდს, რომლის თანახმადაც, ხოლმეობითობა, რომელიც ძველ სალიტერატურო ქართულში ფუნქციური კატეგორიაც იყო

²⁷ Е. Курилович, Опыт экстраполяции одного языкового закона, Вопросы языкознания, М., 1971, № 3, стр. 96.

²⁸ ი. ქაეთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961, გვ. 11.

და გრამატიკულიც, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ოდენ-ფუნქციურა კატეგორიაა. ძველი ქართულისებური ვითარება ზოგიერთ დიალექტს შემორჩა.

რაც შეეჩება უნახავი აქტის ფუნქციას, გრამატიკულად იგი არ მატერიალად აღიზნებოდა არც ძველ და არც ახალ ქართულში; აღნიშნულია, რომ „თურმე“ ნაწილაკს ეკისრება „უნახაობის (დაუსწრებლობის) მნიშვნელობა მიანიჭოს მასთან ნახმარი ზმნის სათანადო ნაკეთის (resp. მწკრივის) ფორმას“, და, ამდენად, „ის ამ გრამატიკული კატეგორიის უქონლობის საკომპენსაციო საშუალებაა“.²⁹ მით უმეტეს, რომ უნახაობის მნიშვნელობა „თურმე“ ნაწილაკის სხვა მწკრივთა ფორმებზე დართვის დროსაც შეიძლება გამოიხატოს (არის თურმე, სწერია თურმე, ატარებს თურმე, თამაშობს თურმე, ეთამაშება თურმე, დადიოდა თურმე, ამღერებდა თურმე, გაიარა თურმე, იჭდა თურმე და ა. შ.)³⁰ ამდენად, მხოლოდ უნახაობის გამოხატვა არ უნდა იყოს ნიშანდობლივი თურმეობითის სახელწოდებით ცნობილი მწკრივებისათვის,³¹ სხვაგვარად: I და II თურმეობითი არ წარმოადგენენ უნახაობის ფუნქციის სპეციალურ ფორმას, მაგრამ სხვა მწკრივების მსგავსად შეუძლიათ გამოხატონ ეს ფუნქცია (ეს კია, რომ ამ მნიშვნელობით, სხვა მწკრივებთან შედარებით უფრო ხშირად თურმეობითები გამოიყენება სწორედ). დასკვნა ასეთია: უნახავი აქტი (resp. უნახაობა, ათურმეობითობა) ქართულში ოდენ-ფუნქციური კატეგორიაა, რომელიც კონტექსტის საშუალებით მატერიალად აღიზნება.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს „თურმე“ ან „ხოლმე“ ნაწილაკდართული ზმნები იმ აღწერით ფორმებად, რომლებიც დროთა ვითარებაში „გრამატიზირდებიან“ და ფაქტიურად ერთიან გრამატიკულ ფორმად წარმოგვიდგებიან (ცხადყო ან დაწერილა, დაწერილიყო და მისთნ. ფორმების მსგავსად). ეს შეუძლებელი ჩანს და აი, რატომ: ა) ეს ნაწილაკები ფაქტიურად ზმნის ნებისმიერ ფორმას შეიძლება დაერთონ აღნიშნული ცუნქციების გამოსახატავად; ბ) ზოგჯერ შეიძლება შეიცვალოს სხვა, შესაბამისი ნაწილაკებითაც („წერდა ხოლმე“ დაახლოებით იმავეს უდრის, რასაც: „ზოგჯერ ხანდახან ხშირად იშვიათად წერდა...“); მაშასადამე, ზმნის ფორმასა და ამ ნაწილაკებს შორის კავშირი მყარი არ არის, რის გამოც ამგვარი კონტექსტები შეუძლებელია „გრამატიზირებულ“ აღწერით ფორმებად მივიჩნიოთ.

სათანადო შესწავლას საჭიროებს კაუზატივის კატეგორიის პრობლემა ქართულში. კაუზატივის წარმოების თავისებურებებს დაწვრილებით ქვემოთ შევეცნობი, ხოლო ამჟერად მხოლოდ მისი ჩამოყალიბების ფუნქციურ მხარეზე გავამახვილებთ ყურადღებას. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ძველი ქართული. როდესაც კაუზატივის შესახებ ვმსჯელობთ, უნდა განვიხილოთ ის, რაც ფორმით კაუზატივია, იმისაგან, რასაც კაუზატივის ფუნქცია აქვს. ამჟერად, რომ ქართულისათვის კაუზატივის ფუნქცია ენის განვითარე-

²⁹ ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იყე VIII, თბილისი, 1956, გვ. 180.

³⁰ იქვე, გვ. 180—182.

³¹ არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკეთულობა დაჯგუფების პრინციპისათვის, იყე XIII, თბილისი, 1962, გვ. 100—101.

ბის ყველა საფეხურზე იყო დამახასიათებელი, მაგრამ ყოველთვის არ მოეპოვებოდა შესაბამისი გრამატიკული ფორმა. ძველ ქართულში კაუზატივი, როგორც გრამატიკული კატეგორია, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ამის გამო კაუზატივის ფუნქციის გადმოცემა სხვადასხვა ფორმებს ეკისრებოდა, კერძოდ, მოქმედებითი გვარის ზმნების ერთნაწილსა და აღწერით ფორმებს (რომლებიც იწარმოებოდნენ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისისა და „ცემა“ ზმნის პირიანი ფორმებისაგან: მოკლვად სცა³²). მაგრამ უკვე ძველ ქართულშივე შეინიშნება ტენდენცია, რომ კაუზატივის ფუნქცია გრამატიკულად გაფორმდეს ზმნაში, რის გამოც სულ უფრო იკათვავს გზას - ევ და - ის სუფიქსები.³³ ამრიგად, კაუზატივის ფუნქციური კატეგორია ენაში გრამატიკულ კატეგორიადაც ყალიბდება — ფუნქცია იძენს სათანადო ფორმას. ამ პროცესის შედარებით გვიანდლობაზე მიუთითებს თუნდაც ის (უკვე ზემოთ აღნიშნული) ფაქტი, რომ ძველ ქართულში კაუზატივის გამოსახატავად აღწერითი ფორმები გამოიყენება, რომლებსაც ენა ჩვეულებრივ მაშინ მიმართავს ხოლმე, როცა გრამატიკული შინაარსი (resp. ფუნქცია) არსებობს, მაგრამ შესაბამისი ფორმა კი არა (თუკი ის აღწერითი ფორმები აუცილებელი საპირობებითა შეპირობებული და უხეირო თარგმანის საფუძველზე წარმოქმნილ კალკს არ წარმოადგენენ). როგორც ვხედავთ, აქაც იჩინა თავი გრამატიკული და ფუნქციური კატეგორიების გამიჯვნის აუცილებლობამ. ჩანს, ამის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია კაუზატივის ფუნქციის მქონე მოქმედებითი გვარის ფორმის მიჩნევა კაუზატივის ფორმად და (ამ ფორმებში სხვა სპეციფიკური მაწარმოებლის უქონლობის გამო) ა-პრეფიქსის კაუზატივის მაწარმოებლად გამოყოფა.³⁴ ა-პრეფიქსის ფუნქციას დაწვრილებით ქვემოთ შევვებით, მაგრამ ამჯერად ერთი რამ არის ნათელი: იგი კაუზატივის მაწარმოებელი ვერ იქნება რამდენიმე მიზეზის გამო: ეს პრეფიქსი დასტურდება იმ ზმნებშიც, რომელთაც არ ეკისრებათ კაუზატივის ფუნქციის გადმოცემა (აქეთებს, აშენებს, ან: აწვრიობა ტიპის); ა-პრეფიქსს ენაცვლება სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები ზმნის იმ ფორმებშიც, რომელთაც შესწევთ უნარი გამოხატონ კაუზატიური მნიშვნელობა (აძულეებს—იძულეებს, ავიწყებს—ივიწყებს—უვიწყებს, მაგ სიკეთე არ დაუვიწყა), და მაშინ უნდა გვეთქვას, რომ ი- და უ- პრეფიქსებიც კაუზატივის მაწარმოებელია; ეს პრეფიქსი არ გადაჰყვება სახელზმნებში (ამღერებს—მღერა, აძულეებს—იძულვლილ...), თუმცა ჩვეულებრივ საწყისები განასხვავებენ კაუ-

³² ე. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბ., 1970, გვ. 121.

³³ რქვი, გვ. 118—119; ე. გ ე უ რ ქ ო ვ ი, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1971, გვ. 101—102.

³⁴ გ. მ ა ჯ ა ე ა რ ა ი ა ნ ი, „უნნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959, გვ. 109; ე. გ ე უ რ ქ ო ვ ი, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში (კაუზატივის მაწარმოებლები ძველ ქართულში), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 56, № 1, 1969, გვ. 243; ი. ე ვ შ ა ბ ი ძ ე, კაუზატივის წარმოების ორი ძირითადი მოდელი ქართულში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XI II სამეცნიერო სესია, 1970, თეზისები, გვ. 20.

³⁵ მეტიც შეიძლება ითქვას: ზოგჯერ ეს პრეფიქსი ენებითის ფორმაში გადადის: ავიწყებს — ავიწყდება; აკლებს — აკლდება...

ზატორ და არაკაუზატორ ფორმებს (წერს-წერა, მაგრამ: აწერინებს-დაწერი-
ნება); ეგევე პრეფიქსი არ ჩანს III სერიის ფორმებში (აძულეზ-შეუძულეზია)
მაშინ, როდესაც კაუზატორ და არაკაუზატორ ფორმებს III სერია განარჩევს
(წერს-დაუწერია, მაგრამ: აწერინებს-დაუწერინებია). მართალია, აქ კონტრას-
ტულად თითქოს იმის მოტანა შეიძლება, რომ სათანადო აფიქსები არც გვარის
ფორმებს გადაჰყვება III სერიაში (იწერება-დაწერილა, ეწერება-დასწერია;
თეთრდება-გათეთრებულა, უთეთრდება-გასთეთრებია) და ეს აფიქსები კი მა-
ინც გვარის მაწარმოებლად არიან მიჩნეული, მაგრამ ამის თაობაზე შემდეგი
უნდა ითქვას: ა) გვარისაგან განსხვავებით კაუზატორ ფორმას ეს ნიშანი ყო-
ველთვის გადაჰყვება (აწერინებს-დაუწერინებია, აკმევებს-უკმევეია); ბ) ენებითის
ზემოთ მოტანილი ფორმები (იწერება, ეწერება, თეთრდება...) წარმოშობით არ
არის გვარის ფორმები, მათ ეს ფუნქცია შედარებით გვიან შეიძინეს; და, რაც
მთავარია: გ) მართალია, ენებითის ნიშნები არ გადაჰყვება III სერიის ლორ-
მებს, მაგრამ აქ იმდენად მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს აბსოლუტურ-
რი და რელატიური ენებითის ფორმები (გამთხარა-გასთხოზია, გათეთრებულა-
გასთეთრებია, დაწერილა-დასწერია), ხოლო თავის მხრივ კი ორივე — მოქ-
მედებითი გვარის ფორმებს (გაუთბია, გაუთეთრებია, დაუწერია), რომ შეიძ-
ლება ითქვას: ამ შემთხვევაში მთელი მოდელი, ზმნის ფორმა გამოდის სხვა-
დასხვა გვარის განმასხვავებელ ნიშნად. ამრიგად, თითქოს ნათელი უნდა იყოს,
რომ ა-პრეფიქსი ვერ ჩაითვლება კაუზატივის მაწარმოებლად და ოდენ ა-პრე-
ფიქსიან ფორმებს მხოლოდ კონტექსტის მიხედვით შეიძლება დაეკისროს კაუ-
ზატივის ფუნქციის გადმოცემა (ძველ ქართულში უფრო ხშირად, ვიდრე ახა-
ლში). ვარაუდი უფრო გამყარდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ
ა-პრეფიქსიანი ფორმები ზოგჯერ კარგავენ ამ პრეფიქსს ისე, რომ შინაარსობ-
რივი (ფუნქციური) მხარე უცვლელი რჩება: აგზავნის-გზავნის, არგებს-რგებს,
ავენებს-ვენებს; ანდა, ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ერთი მნიშვნე-
ლობის მქონე განსხვავებული წარმოების ფორმები (ძველი ქართლის მაგა-
ლითები): ყოვნის-აყოვნებს, ყუედრის-აყუედრებს...³⁶ აქედან გამომდინარე, შე-
იძლება ითქვას, რომ ოდენ ა-პრეფიქსიანი ფორმების ერთი ნაწილი გამოყენე-
ბული კი იყო კაუზატივის ფუნქციის გადმოსაცემად, მაგრამ ფორმით კაუზა-
ტივი არ იყო. კაუზატივის გრამატიკული კატეგორია ჩამოყალიბდა სუფიქსური
წარმოების ბაზაზე. ამ ვარაუდს უნდა უქერდნენ მხარს სხვა ქართველური ენე-
ბიც, რომელთაგან მეგრულ-ქანურში კაუზატიური ფორმის მაწარმოებელია -ის
(იშვითად -უნ)³⁷, ხოლო სვანურში -უნ.³⁸ ამრიგად, თუკი ზმნა კაუზატივის ფუნ-
ქციას გადმოსცემს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი კაუზატივის ფორმაა.
ამის გათვალისწინება აუცილებელი ჩანს. გამოვაცხადოთ აძულეზს, ავიწყებს

³⁶ არ. ჩიქობავა, გარდაშეღ ზმნათა ორი ტიპი და მათი ისტორიული ურთიერთობა
ძველ ქართულში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XIII სამეცნიერო სესია, 1970, ოგზი-
სები, გვ. 18.

³⁷ თ. მამყრელიძე, გ. მაქვავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ
ენებში, თბ., 1965, გვ. 277.

³⁸ ე. თოფურია, შოროზი, I, თბ. 1967, სვანური ენა, ზმნა, I, გვ. 234—235. В. Т. То-
пурья, Сванский язык; Языки народов СССР, том. IV, Иберийско-кавказские язы-
ки, стр. 88.

კაუზატივის ფუნქციის მქონე ზმნები კაუზატიურ ფორმებად, ალბათ იგივე იქნება, რომ რომელიმე ელაპარაკება, ენხუბება, ემჰადება ტიპის ფორმები მოქმედებითი გვარის ზმნებად მივიჩნიოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ფაქტიურად აქტიურ მოქმედებას გადმოსცემენ, აქტიურობის ფუნქციის გამოხატველნი არიან.

— აღნიშნული ზმნები ვნებითის ფორმებია, მაგრამ თავისებური ვნებითებია, ე. წ. „ღებონენსები“ (ფორმა ვნებითისა აქვთ, ფუნქცია მოქმედებითი გვარისა). აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, ფორმა და ფუნქცია ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. კიდევ ერთი რამაა აღსანიშნავი: ზემოთქმული ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ ერთი რომელიმე ფუნქცია ერთსა და იმავე ენაში გრამატიკული ინვენტარით ზოგჯერ გამოიხატება, ზოგჯერ კი — არა. შეიძლება და შეიძლება — ფუნქციით ორივე კაუზატივია იმ განსხვავებით, რომ ეს ფუნქცია პირველ ფორმაში (შეაძულა) გრამატიკულად არ მატერიალიზდება, სხვაგვარად: კაუზატივის გრამატიკული კატეგორიით არ გადმოიცემა, მეორე ფორმაში კი (შეაძულებინა) კაუზატივის ფუნქცია გრამატიკულადაც ფორმდება.³⁹

ამ მხრივ საინტერესოა ზოგი სხვა ენის მონაცემიც. ზოგჯერ სრულიად განსხვავებული სისტემის ენებშიც კი კაუზატივი იმგვარ მსგავსებას ამჟღავნებს, რომ ამ თვალსაზრისითაც შესაძლებლად მიაჩნიათ ლაპარაკი ენობრივი უნივერსალიების შესახებ. ბუნებრივია, უპირველესად აქ მხედველობაში გვაქვს კაუზატივის ფუნქციური, შინაარსობრივი მხარე. ასე, მაგალითად, რუსულ ენას შესწევს უნარი ლექსიკური მნიშვნელობით გაერთიანებული სხვადასხვა ფუძის მქონე ფორმების საშუალებით გადმოსცეს კაუზატივის ფუნქცია: ამგვარ საშუალებას ფუძის სუბლექტივიზმსაც უწყობდა: „*кунать-кормить, пить-(на-) пить, смеяться-смеяться*“⁴² და მისთნ. რასაკვირველია, აქ კაუზატივის ფორმაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ კაუზატივის ფუნქცია ამჟარად არის გამოხატული. გარდა ამისა, მოტანილი მაგალითები იმასაც გვიჩვენებს, რომ ერთ ენაში კაუზატივის გრამატიკული ფორმით გადმოცემული კაუზალური მნიშვნელობა (ფუნქცია) სხვა ენაში შესაძლებელია არა-კაუზატიური ფორმით იქნეს გადმოცემული: ქართ. ასმევს ფორმითაც და ფუნქციითაც კაუზატივია, რუსული *пихать* კი მხოლოდ ფუნქციითაა კაუზატივი.

³⁹ შდრ. ე. გე უ რ კ ე ი. კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოაზრე, 55, № 1. 1969, გვ. 244.

⁴⁰ ტერმინისათვის იხ. А. А. Реформатский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 99.

⁴¹ В. И. Мазеева, Грамматическое значение кетского каузатива, Языки и топонимия Сибири, IV, Томск, 1971 стр. 16 (ავტორი რუსულ შესატყვისს უძებნის კეტური ენის კაუზატიურ ფორმებს).

⁴² В. П. Педялков, Некоторые вероятностные универсалии в глагольном словообразовании, Языковые универсалии и лингвистическая типология, М., 1969; ავტორი არ იცავს კაუზატივის გაგების ერთიან პრინციპს, რაც ეტეობა როგორც სხვა ენებიდან ამოკრეფილ მაგალითებს (გვ. 105, 108 და სხვ.). ასევე ქართულ მაგალითებსაც (გვ.112). ზოგი მაგალითი (მათ შორის ქართულაც, გარდა ერთისა, აცინებ) შეუძლებელია კაუზატივად მივიჩნიოთ (როგორცაცაა: აღუღებ, წვაჲ, ტეხ...)

რუსულში კაუზატივის გრამატიკული კატეგორია საერთოდ არ ჩამოყალიბებულა და კაუზალობის ფუნქციის გადმოსაცემად ჩვეულებრივ კონტექსტი (resp. ანტიგამა) გამოიყენება, რომელშიც აუცილებელ ელემენტებად «заставить, велить, приуждать, побудить, позволить, допустить»... ფორმები მონაწილეობენ. ამავე მნიშვნელობით ფრანგულში faire, ინგლისურში to make ზმნები გამოიყენება. ზემოაღნიშნული სუბლექტიური ფორმები ამ ენებში შეიძლება ერთგვარ გამოხატვისად მივიჩნიოთ. უფრო მეტიც: იმ შემთხვევაშიც, როცა კაუზატივის შინაარსს სუბლექტიური ფორმა გადმოსცემს. ზოგჯერ ამ მნიშვნელობის დასადგენად მაინც საჭირო ხდება კონტექსტის მოშველიება: стоит-ставит; უღრ. 1. ставит спектакль, 2. ставит ребенка на ноги. კაუზატივის ფუნქცია აქ ზმნას მხოლოდ მეორე კონტექსტში აქვს. მაშასადამე, აქ იმის მიხედვითაა კაუზატივი, სულიერია თუ უსულო ობიექტი, ადამიანია თუ არა. ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტიპის მავალითებში კაუზატივის ფუნქცია მხოლოდ კონტექსტის მიხედვით დგინდება, რაც თავისთავად უკვე გამორიცხავს აღნიშნული ტიპის ფორმების კაუზატივის გრამატიკულ ფორმებად მიჩნევას. ე. ი. კონტექსტის მიხედვით კაუზატივის მნიშვნელობა შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში კაუზატივის გრამატიკული კატეგორია არსებობს; სხვაგვარად: მოცემულ ფორმას კაუზატივის ფუნქციის გამოხატვა მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტში აკისრია და სხვა კონტექსტში ეს მნიშვნელობა მისთვის სრულიად არ არის დამახასიათებელი.

ერთი ფაქტიც უნდა აღინიშნოს. უკვე ითქვა, რომ კაუზატივის ფუნქცია (resp) კაუზატივის ფუნქციური კატეგორია) შესაძლებელია გამოიხატოს როგორც სპეციალური გრამატიკული ფორმით ასევე კონტექსტის საშუალებით. პირველ შემთხვევაში გვეჩვენება კაუზატივის ფუნქციური და გრამატიკული კატეგორიები, მეორე შემთხვევაში კაუზატივის ოდენ-ფუნქციური კატეგორია. მაგრამ შეიძლება საპირისპირო ვითარებასთანაც გვექონდეს საქმე (მართალია, შედარებით იშვიათად): ენაში, რომელშიც უკვე ჩამოყალიბებულია მაგალითად, კაუზატივის ფუნქციური და გრამატიკული კატეგორიები, კაუზატივის სპეციფიკურმა გრამატიკულმა ფორმამ შეიძლება დაკარგოს კაუზატივის ფუნქციის გამოხატვის უნარი და სხვა, არაკაუზატიური მოქმედებითი (ან ვნებითი) გვარის ფორმების რიგში ჩადგეს; ასე, მაგალითად, როგორც აღნიშნულია, არქმევს, ართმევს ტიპის ზმნებს უკვე დაკარგული აქვთ კაუზატივის (resp. შუალობითი კონტაქტის) გაგება.⁴³ საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კაუზატივის -ვგ ფორმანტის ძალა, ჩანს. შესუსტდა, რის გამოც საჭირო გახდა მასზე -ინ ფორმანტის დართვა: აქნევ-აქნევიწებ, აწნევ-აწნევიწებ და მისთნ. არც ყველა -ინ სუფიქსიანი ფორმაა კაუზატივის ფუნქციის გამოხატველი: აფენს-აფინა, აფენს-აფინა, აწვდენს-აწვდინა და მისთნ. თანამედროვე ქართულში დაცლილი არიან კაუზატიურობის ფუნქციისაგან, თუმცაღა ფორმობრივად კაუზატიურ ზმნებს ეკედლებიან. მაშასადამე, შეიძლება ითქვას: ისევე, როგორც ზოგ ფუნქციურ კატეგორიას არა აქვს შესაბამისი გრამატიკული ფორმა, ზოგი

⁴³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 370.

გრამატიკული ფორმა ან გამოხატავს იმ ფუნქციას, რომელიც ამ მოდელით ნაწარმოებ ფორმებს ჩვეულებრივ მოუპოვება და რომელიც ადრე მოცემული კონკრეტული ფორმისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ფორმისა და ფუნქციის ურთიერთწინააღმდეგობისა, რაც შედეგი უნდა იყოს ე. წ. შინაარსისა და გამოსახვის პლანების განვითარების ავტონომიურობისა“ (resp. ერთმანეთზე დამოუკიდებლობისა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს „დამოუკიდებლობა“ ერთგვარად პირობით ხასიათს ატარებს და არავითარ შემთხვევაში არ არის აბსოლუტური). ფორმისა და ფუნქციის სწორედ ამგვარი „პირობითად ურთიერთდამოუკიდებელი“ განვითარების შესაძლებლობაზე მიმანიშნებელია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ კონტექსტის მიხედვით გრამატიკული ფორმა განსხვავებული მნიშვნელობის გამოხატვის უნარს იძენს მაშინაც კი, როცა ჩვეულებრივ სრულიად სხვა ფუნქციური კატეგორიის გრამატიკულ მატერიალიზაციას წარმოადგენს. ერთი და იმავე გრამატიკული ფორმით ნაირგვარი შინაარსის გამოსახატავდა ენა, გარდა კონტექსტისა, შინაგან ფუნქციურ ცვლილებასაც მიმართავს, რაც ინვერსიით ელინდება. ამის ნიმუშებად შეიძლება მოვიტანოთ ის კაუზატიური ფორმები, რომლებიც ფაქტიურად სურვილს, ნატერას გამოხატავენ და წმინდა კაუზატიურ ფუნქციასთან ცოტა რამ აქვთ საერთო: ნეტავი შემახედინა (შემახედებინა). დამაწერინა, დამახატვინა, გამაყეთებინა, მაპოვნინა და მისთნ. (ანალოგიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ II და III პირის ფორმებსაც). ყველა ეს ფორმა ინვერსიულია და ისევე, როგორც საერთოდ ყველა ნატერითი ფორმა, მყოფადის (უკეთ: მყოფადში შესასრულებელი მოქმედების) გაგებას შეიცავს. მაგრამ იგივე ფორმები (უკვე არაინვერსიულად გამოყენებულნი), პირდაპირი გაგებით, კაუზატივებია. სხვაობა არა მხოლოდ ინვერსიაშია, არამედ პირობანობაშიც: ინვერსიულად გამოყენებისას ზმნა ორპირიანი ზდება (იკარგვის გრამატიკული სუბიექტი და მის ფუნქციას ლებულობს გრამატიკული ირიბობიექტი). ასე რომ, ამ ტიპის ზმნათა უღვლილების პარადიგმები, მათი ძირითადი და ინვერსიულად გამოყენებისას, ასე წარმოგვიდგება:

	ძირითადი (კაუზატივი):	ინვერსიული (ნატერითი):
აწმყო:	მაწერინებს ის მე მას	(არ რეალიზდება)
	გაწერინებს ის შენ მას	—
	აწერინებს ის მას მას	—
მყოფადი:	დამაწერინებს ის მე მას	—
	დაგაწერინებს ის შენ მას	—
	დააწერინებს ის მას მას	—
წყვეტილი (ნამყო ძირითადი):	დამაწერინა მან მე ის	დამაწერინა მე ის
	დაგაწერინა მან შენ ის	დაგაწერინა შენ ის
	დააწერინა მან მას ის	დააწერინა მას ის

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ინვერსიულობა ყოველთვის ასეთი ფუნქციური ხასიათის ცვლილებას გულისხმობს. სრულებით არა! ცნობილია:

“Общее языкознание (ответств. редактор Н/корр. АН СССР, Б. А. Серебряк-
инов), М., 1970, стр. 481.

რომ ყველა გარდამავალ ზმნას ინვერსია მოსდის III სერიის ფორმებში, მაკ-
რამ ამით არ იცვლება თვით საუღლებელი ზმნის მნიშვნელობა:

	ძირითადი:	ინვერსიული:
აწმყო:	აწერინებს (კაუზატივი)	—
ძყოფადი:	დააწერინებს (კაუზატივი)	—
ნამყო:	დააწერინა მან მას ის (კაუზატივი)	დააწერინა მას ის (ნატურითი)
I თურმეობითი:	—	დაუწერინებია მას ის (კაუზატივი) ¹

ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ანალოგიური სისტემის დაწერილები-
თი განხილვა, ოღონდ ერთი რამ უნდა ითქვას: უღვლილების ძირითადი სისტე-
მის გვერდით ინვერსიული ვარიანტის გამოყოფა მნიშვნელოვანი ჩანს უღვლი-
ლების პარადიგმების როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური (resp. შინა-
არსობრივი) მხარის უკეთ წარმოსაჩენად და შესასწავლად და მართლაც: „მავშხ
ეთამაშება“ — „რა ეთამაშება?“ — ორივე კონსტრუქციაში ერთი და იგივე
ზმნა გამოყენებული, ფორმაც ერთ და იმავე მწკრივისაა და მაინც მათ შორის
არსებითი ხასიათის განსხვავებაა: პირველი დეპონენსია რა პირდაპირი მნიშ-
ვნელობით გამოიყენება, მეორე ინვერსიული ფორმა (მოქმედ პირად გრამა-
ტიკული ირიბი ობიექტია გაგებული) და „გუნებითობას“ გამოხატავს.⁴⁵ ვიმეო-
რებთ: აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ინვერსიას ყოველთვის მოსდევს
ამგვარი ხასიათის ფუნქციური ცვლილება, არც იმას, რომ ინვერსია ყველა ძი-
რითადი სისტემის გვერდით შეიძლება დავადასტუროთ, მაგრამ ხშირად იგი
აშკარად არის და მისი გაუთვალისწინებლობა, უკეთეს შემთხვევაში, არასრულ-
ლი გაგების მიზეზი გახდება.

ზემოთ აღინიშნა შემთხვევები ზოგი კაუზატიური ფორმის ინვერსიისა,
როცა იგი კაუზატიურობის ფუნქციის გამოხატვის უნარს კარგავს და ნატური-
თობას გადმოსცემს. მაგრამ ეს მხოლოდ კაუზატიური ფორმებისათვის კი არ
არის დამახასიათებელი, არამედ ხშირად არაკაუზატიურ (მაგრამ კაუზატივის
ფუნქციის მქონე) ფორმებშიც შეინიშნება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში გადამ-
წყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა კერძოდ კაუზატივის ფორმას, არამედ კაუ-
ზატივის ფუნქციას. და მართლაც, ერთი და იმავე ფუნქციით შეიძლება გამო-
ვიყენოთ ერთი მხრივ: შემახედია|შემახედებინა|შემახედინა მან მე მას, ხოლო
მეორე მხრივ: (ნეტავი) შემახედია|შემახედებინა|შემახედინა მე მას.⁴⁶ ასევე
შემახვედრა მან მე მას (||მასთან) და (ნეტავი) შემახვედრა მე მას (||მასთან).
ანალოგიური ჩანს (ზმნის ფუნქციური დიფერენციაციის თვალსაზრისით):
მომკლა მან მე — (ნეტავი) მომკლა მე; მაცოცხლა მან მე — (ნეტავი) მაცოც-
ხლა მე; ასევე: მაჭამა მან მე ის — (ნეტავი) მაჭამა მე ის და მისთნ. დასასრულ

⁴⁵ ტერმინისათვის იხ. ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 300.

⁴⁶ შდრ. „ნეტავი ერთხელ კიდნაო იმ ფშავ-ქვესურეთის კლდებისთინა შამახედნე-
ზინაო..“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ქ. ა. ე. თ. რ. ა. ძ. კ. ართული დიალექტოლოგია,
I, თბ., 1961 ფშური, გვ. 127); შემახედებინა (შემახედნებინა) მიხთვის (და არა: მას.) შდრ.:
დამაწერინა მან მე ის — (ნეტავი) დამაწერინა მე ის.

უნდა ითქვას, რომ, მართალია, ინვერსიულობა განასხვავებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფუნქციურ ნიუანსებს, მაგრამ თვით დადგენა იმისა, ინვერსიულია თუ არა ფორმა, ისევე და ისევე მხოლოდ კონტექსტის საშუალებით ხდება შესაძლებელი. ეს კი იმას მოწმობს, რომ კონტექსტი ზოგჯერ იქაც აუცილებელია, სადაც ფუნქციის დასადგენად სხვა საშუალებები მოგვეპოვება.

§ 7. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა ფუნქციური კატეგორიის განოყოფის საფუძველი და ზოგადად დაგვეხასიათებინა ზოგიერთი ფუნქციური კატეგორია. ამრიგად, ის, რაც ჩვენ ფუნქციურ კატეგორიად გვესმის, ბოლომდე არ თანხვდება არც ე. წ. „ნებით კატეგორიებს“, არც ფუნქციონალურ-სემანტიკურ კატეგორიებს და, მით უფრო, არც იმ სემანტიკურ კატეგორიებს, რომლებსაც თანამედროვე სემასიოლოგიაში გამოყოფენ, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ვარკვეულ კავშირს უთუოდ ამყარებს მათთან.

აწვე უნდა აღინიშნოს: ფუნქციური კატეგორიების გამოყოფა არ ნიშნავს იმას, რომ იგი სრულიად დეაცილით გრამატიკულ ფორმას და პრიმატული შესწავლის საკანი გავხადოთ. პირიქით! ოღონდ გრამატიკული ფორმისა და ფუნქციის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შესწავლა. მათი ურთიერთგამოყოფა უკეთ დაგვანახებს მათ ბუნებას და შესწავლასაც გააადვილებს. ზემოთ ფუნქცია ასე იყო წარმოდგენილი: 1. ფუნქცია, რომელიც გრამატიკულად ფორმდება; სხვაგვარად: ფუნქცია, რომელიც გრამატიკული კატეგორიით მატერიალიზდება; 2. ფუნქცია, რომელსაც სპეციალური გრამატიკული ფორმა არ მოუპოვება და ლექსიკურად ან კონტექსტის საშუალებით რეალიზდება. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დამატებით დაისმის საკითხი თითოეული კონკრეტული ფორმის კონტექსტური ფუნქციების, კონტექსტური ვარიაციების შესახებ.

აქედან გამომდინარე, აქტიურობა-პასიურობა ფუნქციური კატეგორიაა. იმ შემთხვევაში, როცა იგი ფორმდება, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ ზმნას მოეპოვება: 1. განმასხვავებელი ფორმა, მოდელი (თუნდაც „უნიშნობა“ სხვა ნიშნიან ფორმებთან დაპირისპირებით) და 2. განსხვავებული უღვლილების სისტემა აქტიური და პასიური ფუნქციის მქონე ფორმებისათვის, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს აღნიშნული ფუნქციური კატეგორიის შესაბამისი გრამატიკული კატეგორია — გვარის კატეგორია. რასაკვირველია, როცა აქტიურობა-პასიურობის ფუნქციური კატეგორიის გრამატიკულად გაფორმების თაობაზე იმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს ფორმათა აბსოლუტური უმრავლესობა. სადაც გრამატიკულად არის ფიქსირებული აქტიურობა ან პასიურობა და ფორმა სავსებით შეესაბამება ფუნქციას (ე. ი. მოქმედებითი გვარის ფორმა გადმოსცემს აქტიური მოქმედების ფუნქციას, და, შესაბამისად, ვნებითი გვარის ფორმა — პასიური მოქმედებისას). მაგრამ არის შემთხვევები, როცა ფორმა, რომელიც ანალოგიურ ფორმათა აბსოლუტური უმრავლესობის საფუძველზე პასიურობის ფუნქციის გრამატიკულ სახეობადაა მიჩნეული, ფაქტიურად აქტიურობის ფუნქციის გადმომცემია. წესის დარღვევა? გამოჩაქლისია? იმ სისტემის მიხედვით, რომელიც უმრავლეს ფორმათა საფუძველზე ჩამოყალიბდა, — კი, დარღვევაა და, ამდენად, გამოჩაქლისიცაა. მაგრამ აქ სხვა რამეც არის გასათვალისწინებელი, კერძოდ ის, რომ ყოველი ფუნქცია ნებისმიერი ფორმით შეიძლება რეალიზდეს და მაშინ, ბუნებრივია, რაიმე დარღვე-

ვაზე ლაპარაკი უსაფუძვლო იქნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა რაიმე სისტემის შესახებ ლაპარაკი ენობრივი პროცესების განხილვისას. სისტემა კი უთუოდ არსებობს, ყოველი ფუნქციისათვის არსებობს გარკვეული ყალიბი, მოდელი, რომლის საფუძველზე ხდება იმავე გრამატიკული, ოლონდ ლექსიკურად განსხვავებული, მნიშვნელობის მქონე ზმნების წარმოება. ამ სისტემიდან შემოადინოშნული „დარღვევები“ გამონაკლისების სახით გამოიყოფა, ხოლო ამ გამონაკლისთა წარმოქმნის მიზეზების კვლევა ფორმისა და ფუნქციის შინაგანი წინააღმდეგობის უთუოდ ბევრი საინტერესო მოშენების გარკვევაში დაგვეხმარება. მეტიც, ზოგჯერ სრულიად დამორებული ენების სრულიად განსხვავებულად ნაწარმოები ფორმებიც კი საოცარ ფუნქციურ სიხსლოვეს ამჟღავნებენ და ამის საფუძველზე მათი გრამატიკული ბუნებაც უერთგვაროვანია. ასე, მაგალითად, ქართულში ფორმოზრივად მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს კლავს და კვდება ზმნები: განსხვავებული ფუნქცია, განსხვავებული მოდელი, განსხვავებული სინტაქსური ბუნება. რუსულში ამ ფორმათა ზუსტი შესატყვისი იქნება: *умирает (умершая)* და *умирает*; — როგორც ვხედავთ, აქ გრამატიკული ფორმის თვალსაზრისით განსხვავება აღარ არის. მიუხედავად ამისა, ეს ზმნებიც ზუსტად აღნიშნული ქართული ზმნების მსგავს თვისებას ამჟღავნებენ ფუნქციისა და სინტაქსური ბუნების თვალსაზრისით: პირველი აქტიურ ფუნქციას გადმოსცემს და გარდამავალია, მეორე გარდაუვალია და პასიურობის ფუნქციის მატარებელი. ამ ტიპის მაგალითებთანაც აშკარად ჩანს ფუნქციის წარმმართველი ძალა, მისი გადამწყვეტი როლი ნებისმიერი ფორმის ბუნების ჩამოყალიბებაში: ფუნქცია ქმნის ფორმას, ფორმა მხოლოდ გარეგანი ნიშანია ამ თვისებისა; ყოველი ენის ფორმათა სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბებას ფუნქცია განაპირობებს. ფუნქციის გარეშე არ არსებობს ფორმა. ყოველი ფორმა, რომელიც კარავს ფუნქციას, ან ქრება ენის სისტემაში ან ახალი, განსხვავებული ფუნქციის გამომხატველი ხდება. ფორმა ზოგჯერ მაშინაც ქრება, როცა ფუნქცია ენაში ისევ არსებობს (მაგალითად, სალიტერატურო ქართულში ხოლმეობითის ფუნქცია არის, მაგრამ შესაბამისი გრამატიკული ფორმა არ მოეპოვება, ფუნქცია კონტექსტურად რეალიზდება). ეს იმიტომ, რომ ფუნქციის მატერიალიზაციის არე ფართოვდება, იგი იქრება სხვა ფორმებშიც (კონტექსტის დახმარებით) და მაშინ მისთვის სპეციფიკური ფორმა ზედმეტი ხდება, რომელიც ან იკარგება, ანდა იძენს ახალ მნიშვნელობას (მაგალითისათვის — გავთბი, გავშრი... იცის, უწყის... მკის, თხრის... ტიპის წყვეტილისა და აწყყის ფორმები, რომლებიც წარმოშობით ხოლმეობითები უნდა ყოფილიყვნენ⁴⁷). ყოველი გამონაკლისი საერთო სისტემიდან ან გვიანდელია და რომელიმე ახალი ფუნქციის კონტექსტურ გამომხატვასთანაა უპირველესად დაკავშირებული (ზემოთ უკვე გქონდა საუბარი ამის თაობაზე კაუზატიური ფორმების ინვერსიასთან დაკავშირებით), ან თავისებური ასახვაა იმ უძველესი ვითარებისა, რომელიც ენაში ნაშთის საბითლა ცოცხლობს და რო-

⁴⁷ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 463; ა. რ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948, გვ. 74, 80.

მელმაც ადგილი დაუთმო ახალ ფუნქციას, ამ უკანასკნელმა კი გაქრობის გზაზე დამდგარი ფუნქციის გრამატიკული ფორმები გამოიყენა თავისი მატერიალიზაციისთვის. ეს შენაცვლება კი ყოველთვის უმტიკონეულოდ არ ღდება. უცრო ხშირად პირიქით, და ესეც აისახება ხოლმე ენაში. და კიდევ ერთი: ზემოთ ითქვა, რომ ყოველი ენის ფორმათა სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბებას ფუნქცია განაპირობებს. ნათქვამი არ გამორიცხავს ფორმათა და სტრუქტურათა ურთიერთგავლენასაც.

§ 8. ენაში მრავალი ფუნქცია მოქმედებს ერთდროულად. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რა ურთიერთობაა მათ შორის. როგორ ხერხდება ორი ან მეტი ფუნქციის გამომხატვა ერთდროულად ზმნის ერთ ფორმაში? განვიხილოთ ეს გარდაქცევითობისა და აქტიურობა-პასიურობის ფუნქციების გრამატიკულად გამომხატვის მაგალითზე.

გარდაქცევითობა საერთო ფუნქციური კატეგორიაა სახელისა და ზმნისათვის. ეს ნიშნავს: გარდაქცევითობა შეიძლება რეალიზდებოდეს როგორც სახელში, ასევე ზმნაში. სახელებში გარდაქცევითობის ფუნქცია ჩვეულებრივ ვითარებითი ბრუნვის ფორმით მატერიალიზდება, ზმნებში — ნასახელარი ზმნების განსაზღვრული მოდელით. ეს რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მოცემულ კონკრეტულ ფორმაში მუდამ მხოლოდ ერთი ფუნქცია რეალიზდება. არა! და მართლაც, ნასახელარი ზმნების გარკვეულ მოდელს ახასიათებს გარდაქცევითობის გადმოცემის ფუნქცია, მაგრამ იმავე მოდელით ნაწარმოებ ზმნური წარმოშობის ფუძეებს — უკვე არა (შდრ. თეთრდება და წუხდება). ვითარებითი ბრუნვის ფორმისთვისაც გარდაქცევითობა მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქციისაა, აქედან გამომდინარე, განყენებულად აღებული ნებისმიერი გრამატიკული ფორმა, მოდელი ნაირგვარ ფუნქციათა გამოსახატავად შეიძლება იქნეს გამოყენებული (სხვაგვარად: ფუნქციათა „ნაკრები“), ისევე, როგორც ერთი ფუნქცია რამდენიმე გრამატიკული ფორმით შეიძლება მატერიალიზდეს (მაგალითად, ამ შემთხვევაში, გარდაქცევითობა გადმოიცემა როგორც სახელის, ასევე ზმნის ფორმებით, ხოლო თავის მხრივ, იმავე ფორმას სხვა შემთხვევაში სხვა ფუნქციის გადმოცემაც შეიძლება დაეკისროს). ამდენად, კონკრეტული ენის სისტემაში ფუნქციური და გრამატიკული კატეგორიები არ ემთხვევიან ერთმანეთს და საჭიროა მათი გამოჩვენა. მაშასადამე, რომელიმე კონკრეტული ფორმა შეიძლება სხვადასხვა ფუნქციის გადმოსაცემად იქნეს გამოყენებული, ხოლო თავის მხრივ, თითოეული ფუნქციის გამოვლენა — დადასტურება მოცემულ ფორმაში კონტექსტის ან ფუძის ლექსიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით ხერხდება; ასე, მაგალითად, კარგად, ცუდად... ფორმები მხოლოდ გარდაქცევითობის ფუნქციის გამომხატველი შეიძლება იყოს; სამდერლად, სატირლად... — მიზნობრიობის ფუნქციისა. ყოველივე ეს ამ ფუძეთა ლექსიკურმა მნიშვნელობამ განაპირობა, მაგრამ რომელიმე „ქალაქად“ ფორმის ფუნქცია უკვე მხოლოდ კონტექსტის მიხედვით შეიძლება დადგინდეს (შდრ. „ქალაქად წავიდა“, ერთი მხრივ, და, „ოდესლაც მიყრუებული სოფელი კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა“, მეორე მხრივ).

უკვე აღინიშნა, რომ აქტიურობა-პასიურობის ფუნქციური კატეგორიაც შეიძლება მატერიალიზდეს გრამატიკულად და ჩამოყალიბდეს როგორც გვარის გრამატიკული კატეგორია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში არსებობს ფორმა და ზრსებობს ფუნქცია, რისი ერთიანობაც ქმნის გრამატიკულ კატეგორიას. მაგ-

რამ იმავდროულად ვნებთის ერთ-ერთ (კერძოდ, ნასახელარ სუფიქსიან) ფორმას აქვს გარდაქცევითობის ფუნქციის გამოხატვის უნარიც ისევე, როგორც მის შესაბამის მოქმედებითი გვარის ნასახელარ ფორმას (მათი მოდლებსა და ურთიერთობის თაობაზე სპეციალურად ქვემოთ, სათანადო ნაკვეთში გვექნება საუბარი). ე. ი. აქაც დასტურდება ფორმა და ფუნქცია. ოღონდ ამჭერად გარდაქცევითობისა. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: თუკი გარკვეული მოდელია ნაწარმოები ნასახელარი მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებისათვის მოიპოვება განსხვავებული ფორმაცა და ფუნქციაც, ხომ არ უნდა გამოიყოს იგი გვარის გრამატიკული კატეგორიიდან და სხვა, თუნდაც გარდაქცევითობის, გრამატიკულ კატეგორიად იწოდოს? ზოგადად, სხვა დამატებითი (და მეტად მნიშვნელოვანი) ფაქტორების გაუთვალისწინებლად, რასაკვირველია, ასეა: თუ არსებობს განსხვავებული ფორმა და ფუნქცია — ეს ნიშნავს, რომ არსებობს დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორია. ამ შემთხვევაში აღნიშნული დებულება ასე ჩამოყალიბდება: გრამატიკული ფორმით მატერიალიზებული აქტიურობისა და პასიურობის ფუნქცია ქმნის გვარის გრამატიკულ კატეგორიას (I), ხოლო თავის მხრივ, გრამატიკულად გაფორმებული გარდაქცევითობის ფუნქცია ყალიბდება როგორც გარდაქცევითობის გრამატიკული კატეგორია (II). პირველის მაგალითები იქნება: ბარავს, წერს, აწუნებს, ათეთრებს და შესაბამისად: იბარება, იწერება, შენდება, თეთრდება. მეორე შემთხვევის მაგალითებია: თეთრად, ათეთრებს, თეთრდება და მისთან. ერთი შეხედვითაც ნათელი ხდება, რომ ორივე შემთხვევაში კლასიფიკაცია მეტად ზოგადია და დაკონკრეტებას საჭიროებს. მართალია, პირველ შემთხვევაში, ბარავს და ათეთრებს — ორივე აქტიურ მოქმედებას გადმოსცემს, მაგრამ ეს ორი აქტიური მოქმედება დამატებითი, შინაგანი თვისების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან: ერთ შემთხვევაში ზმნის ფუძედ გამოყენებული სახელის თვისებაა (აქ: ფერი), რადაც აქტიური, მოქმედი პირი აქცევს თავის უშუალო ობიექტს (ათეთრებს-თეთრად აცდევს). ამრიგად, წერს, ბარავს, ათეთრებს შესაბამის ვნებითებს უპირისპირდებიან, როგორც აქტიური მოქმედების გამოხატველნი, მაგრამ თავის მხრივაც უკვე წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ზმნური (წერს) და სახელადი (ბარავს, ათეთრებს) ფუძეების შემდეგელი. ზმნები, ეს უკანასკნელნი კი (ბარავს-ათეთრებს) ისევ დაპირისპირებულინი არიან უკვე ფუნქციურადაც და ფორმობრივადაც: ერთ შემთხვევაში გარკვეული მოდელი გადმოსცემს ინსტრუმენტატის (ბარავს), მეორე შემთხვევაში — სხვა მოდელი გარდაქცევითობას (ათეთრებს). ეს საფეხურები დაკონკრეტებისა მეტ-ნაკლებად ყველა ენობრივი მოვლენისთვისაა დამახასიათებელი. ასევე დაკონკრეტებას საჭიროებენ თეთრად; ათეთრებს, თეთრდება ფორმები: ჭერ ერთი ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც სახელი (თეთრად) და ზმნა (ათეთრებს, თეთრდება), ხოლო უკანასკნელნი თავის მხრივაც უპირისპირდებიან ერთმანეთს: მართალია, ორივე გარდაქცევითობას გადმოსცემს, მაგრამ ერთი, როგორც აქტიურ პროცესს (ათეთრებს), მეორე კი, როგორც პასიური ქმედებას (თეთრდება), ხოლო ეს დაპირისპირება იგივეა, რაც ზოგადად აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით დაპირისპირება, რისი გრამატიკული გათორმედაც ქმნის გვარის გრამატიკულ კატეგორიას. აქ უკვე სხვა კითხვა დაისვას: მაინც რომელი ფუნქცია ფორმდება ზმნაში: აქტიურობა-პასი-

ურობა, თუ გარდაქცევითობა? ეს საჭიროა იმის გამო, რომ გაირკვეს: რომელია ამათგან ფუნქციურ-გრამატიკული, და რომელი ოდენ-ფუნქციური კატეგორია. პასუხი მხოლოდ ეს შეიძლება იყოს: ორივე ფუნქციურ-გრამატიკულ კატეგორიაა და, აი, რატომ: თუ ჩვენ, მაგალითად, -დ ფორმანტი თეთრდება, კაცდება, ერთდება ტიპის ფორმებში გარდაქცევითობის გრამატიკულ ნიშნად მივიჩნევით (მესაბამისად -ად ბრუნვის ნიშანი თეთრად, კარგად ტიპის სახელებში), მაშინ აღმოჩნდება, რომ ვეგვე ფორმანტი დასტურდება იმ ზმნურ ფორმებშიც, რომლებიც პასიურ მოქმედებას კი გამოხატავენ, მაგრამ ფაქტიურად ათავსიანი კავშირი ან აქვთ გარდაქცევითობასთან: დუმდება, წუხდება და მისთან. (შესაბამისად, სახელებში -ად ფორმანტი გვხვდება სატირლად, სამღერლად ტიპის ფორმებშიც). თუკი პირიქით ვიტყვი, რომ -დ ვნებითის მაწარმოებელია, მაშინ განზე დავერჩება ვითარებითი ბრუნვის ნიშნად დადასტურებული -ად (II-დ) ფორმანტი (იგი ზმნებში დამოწმებული -დ (<*-დ) ფორმანტის ვარიანტი უნდა იყოს⁴⁸), რომელიც შეუძლებელია სახელებში ვნებითობის ფუნქციის გამოხატველად მივიჩნიოთ. აქ ზანგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვგულისხმობთ ენის განვითარების თანამედროვე საფეხურს. წარმოშობით აღნიშნული ფორმანტი, ჩანს, მართლაც გარდაქცევითობის ძირითადი ნიშანი იყო როგორც ზმნებში, ისე სახელებში, რამაც საფუძველი მისცა ვარაუდს, რომ -დ ფორმანტი „მაწარმოებელია არა ვნებითისა, არამედ ნასახელარი ზმნებისა, რომელთაც გარდაუვალი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც თავისი სინტაქსური თვისებით ვნებითად მოქცეულ ზმნებს ჰგავს“, ხოლო შინაარსობრივად „გარდაქცევის შედეგთან გვაქვს საქმე“⁴⁹. მაგრამ უკვე აღრეულ ხანაშივე ეს ფორმანტი ჩნდება ვნებითის ისეთ ფორმებში, რომლებიც არც ნასახელარია და არც გარდაქცევითობას გამოხატავს. ეს იწვევს ძველი სისტემის რღვევას და პირველადი ფუნქცია, გარდაქცევითობის ფუნქცია ამ მოდელით ნაწარმოებო ზმნების ერთ ნაწილსა დაურჩა (ყერძოდ, ნასახელარ ზმნებს). ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპს ფორმებში გარდაქცევითობა ფორმდება, როგორც დამატებითი ფუნქცია. სხვაგვარად: თეთრდება ფორმა უპირისპირდება რა ათეთრებს ფორმას, უპირველესად ვნებითია (წუხდება, დუმდება ზმნების ანალოგიურად), მაგრამ (იმავე ზმნებისაგან განსხვავებით) გარდაქცევითობის დამატებითი ფუნქციის მატარებელიცაა. ასევე: ათეთრებს ფორმა აქტივია უპირველესად, ისევე, როგორც აწუხებს ზმნა, მაგრამ მისგან განსხვავებით გარდაქცევითობის დამატებითი ფუნქცია მოეპოვება. ეს აქტიურობა-პასიურობის ფუნქციური და გვარის გრამატიკული კატეგორიის თვალსაზრისით. ახლა განვიხილოთ იგივე ფორმები უკვე გარდაქცევითობის ფუნქციური და გრამატიკული კატეგორიების თვალსაზრისით: ათეთრებს და თეთრდება ფორმები—ორივე — გარდაქცევითობის ფუნქციის მატარებელია უპირველესად, მაგრამ ერთმანეთს უპირისპირდებიან იმით, რომ ათეთრებს ფორმას დამატებით აქტიური მოქმედების ფუნქციის გამოხატვა ეკისრება, თეთრდება ფორმას კი — პასიური მოქმედებისა. ამ თვალსაზრისით უკვე აქტიურობა-პასიურობა გვევ-

⁴⁸ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

⁴⁹ ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 37, 35.

ლინება დამატებითი ფუნქციის სახით. ამდენად, შეიძლება ითქვას: აღნიშნული მოვლენის განხილვა შესაძლებელი ხდება ორი თვალსაზრისით (ორივე თვალსაზრისის საკიროება უდავოა და აუცილებელი), შედეგი ორივე შემთხვევაში ერთია: ათეთრებს-თეთრდება ტიპის ფორმებს აერთიანებს გარდაქვეყნობის ფუნქცია, ხოლო აპირისპირებს — აქტიურობა-პასიურობის ფუნქცია. ხოლო განხილვის ამოსავალი თვალსაზრისისა და მიხედვით-ერთ შემთხვევაში: გარდაქვეყნობა, მეორე შემთხვევაში კი აქტიურობა-პასიურობა გვევლინება დამატებითი ფუნქციის სახით; ისტორიულად, წარმოშობით კი პირველადი ფუნქცია გარდაქვეყნობა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ: 1. გეარის კატეგორია გვიანდელი ფორმაციისაა ქართულში, 2. გარდაქვეყნობა საერთოა სახელისა და ზმნისათვის, ასეთი კატეგორიები კი უძველესი წარმოშობისა არიან ჩვეულებრივ, სახელისა და ზმნის გაუდიფერენცირებულობის პერიოდისა. შედარებით გვიან ჩამოყალიბებულმა გრამატიკულმა კატეგორიამ — გეარმა არსებითი ხასიათის ცვლილებები გამოიწვია როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე საერთოდ, ზმნის მოელ სისტემაში.

§ 5. ვ. ზემოლტი ენაში არა მხოლოდ ხალხის „ეროვნული სულის“ ასახვას ხედავდა, არამედ იმ ძალასაც, რომელიც ხალხის მსოფლხედვას აყალიბებს. სწორედ ამ თვალსაზრისით შემდეგი დროის ბევრ ენათმეცნიერ-მეტნაკლები წარმატებით უცდია განეხილა ენის საკვანძო პრობლემები. ყოველი ენა, ი. ტრიის (J. Trier) აზრით, თავისებურად ასახავს სამყაროს და ჩვენს წარმოსახვაში სამყარო არის ისეთი, როგორადაც წარმოგვიდგენს მას ენა. ურთიერთობა სამყაროსა და ჩვენს ცნობიერებას შორის გაშუალებულია ენით, აღნიშნავს ლ. ვაისგერბერი, და იმის გამო, რომ სამყაროს სურათი იქმნება ენის საშუალებით, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა მიერ იგი სხვადასხვანაირად წარმოიდგინება. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ენა თავისებურად გადმოსცემს არაენობრივი სამყაროს ურთიერთობებს⁵⁰ და ამის გამო ენის სისტემა არ ემორჩილება, არ ექვემდებარება იმ სისტემას, რასაც ასახავს. გრამატიკული კატეგორიები არ იმეორებენ ენის გარეშე არსებულ სისტემებსა თუ კატეგორიებს. ყოველი ენის სისტემა თავისებურად წარმოგვიდგენს გარესამყაროს და რეალობის ხედვის „ეროვნული თვალსაზრისის“ უტყუარი ნიმუშია. ამიტომ არა მხოლოდ ლექსებაში, არა მხოლოდ პოეტურ თქმებსა თუ მხატვრულ აზროვნებაში, არამედ თვით გრამატიკულ კატეგორიებსა თუ ფორმებში უკუფენილია ეს თავისებური ხედვა, სამყაროს ეს თავისებური გაგება ბუნებრივია. სამყარო უშუალოდ ვერ აისახება რომელიმე კონკრეტულ გრამატიკულ ფორმაში და სწორედ აქ გვევლინება გამაშუალებლად ის, რასაც ზემოთ ფუნქციური კატეგორიები ვუწოდეთ. ამრიგად, ფუნქციური კატეგორია განპირობებულია არაენობრივი ფაქტორით, მაგრამ თვით უკვე ენობრივი მოვლენაა დაცილობის გამოიხატოს საკუთარი ფორმით. იგი, ვიმეორებთ, ერთგვარ-გამაშუალებელია არაენობრივი და წმინდა ენობრივი სამყაროებს შორის, გზა შესაძლებლობა, რომ ენობრივი ფორმებით გამოიხატოს არაენობრივი მოვლენები. ამიტომ ფუნქციური კატეგორიები გარკვეულად დაკავშირებული არიან ფილოსოფიის კატეგორიებთან და უპირველესად ლოგიკისა და ფსიქოლოგიის:

⁵⁰ Д. Н. Ш м е л е в, Очерки по семасиологии русского языка, М., 1964. стр. 80:

კატეგორიებთან. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ფსიქოლოგიისა და ლოგიკის პოზიციებიდან ენობრივი პროცესების განხილვას ბევრი ნაშრომი მიუძღვნა და მეტ-ნაკლები მკვნიერული ღირებულების მქონე თეორიებიც შეიქმნა. სამართლიანი ჩანს ჟ. ვანდრაესის შენიშვნა, რომ გრამატიკული და ლოგიკური კატეგორიები იშვიათად ემთხვევიან (ფარავენ) ერთმანეთს, მაგრამ იმავდროულად ძირითადი ლოგიკური კატეგორიები საფუძვლად უდევთ გრამატიკულ კატეგორიებს.⁵¹ ენაში ლოგიკური კატეგორიები არ დასტურდებიან მათი გოაძატეკული გამოყენების გარეშე, ხოლო თავის მხრივ ეს გრამატიკული მნიშვნელობა შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი გრამატიკული ფორმა სახით.⁵² აქედან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში „გრამატიკული გამოყენება“ ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რომელიც შესაძლებელია რეალიზდეს როგორც გრამატიკული ფორმით, ასევე ლექსიკურად თუ კონტექსტის საშუალებით. სხვაგვარად: აქ „გრამატიკული გამოყენება“ არ გულისხმობს აუცილებლად გრამატიკულ ფორმას. ამდენად, ერთია ნათელი: აუცილებელი ჩანს ლოგიკური, ფსიქოლოგიური თუ ფუნქციური მოვლენების გამიჯვნა წმინდა ენობრივი მოვლენებისაგან (მიუხედავად მათი მჭიდრო ურთიერთობისა). სწორედ ამგვარ კაუჭიჯნაუობას, აღრევას, ერთმანეთში გათქეფვას უნდა გამოეწვია ის, რომ ენათმეცნიერებაში უხვად შემოიქრებოდა ხოლმე ლოგიკის, ფსიქოლოგიისა თუ საერთოდ ფილოსოფიის ცნებები. სხვაგვარად: სიტყვისა თუ გრამატიკული ფორმის მნიშვნელობა მათივე დამაკავშირებელი არაენობრივი სამყაროსთან. ეს მნიშვნელობა გაპირობებულია ამ არაენობრივი მოვლენებით, მაგრამ თავის მხრივ საბაბია წმინდა ენობრივი სისტემების ჩამოყალიბებისა. რომელიმე სიტყვა-ფორმა მხოლოდ იმდენადაა ნიშანი (თუ გნებავთ, შიფრი) გარესამყაროში არსებული საგნებისა თუ მიმდინარე პროცესებისა, რამდენადაც ამ გარესამყაროსა და ენობრივ მოვლენებს შორის არსებობს დამაკავშირებელი ხიდი (შუალედი) სიტყვისა თუ გრამატიკული ფორმის მნიშვნელობის სახით,⁵³ რომელიც ენობრივ სისტემებთან დაკავშირებით ამ ფორმათა ფუნქციად წარმოგვიდგება. სხვაგვარად: მნიშვნელობა ლექსიკურ ერთეულსა აქვს, სიტყვას, ფუნქცია კი მისი სხვადასხვა გრამატიკულ ფორმას მოეპოვება. მაგრამ, რადეან ნებესაიერი სიტყვა (კაცი, წერ-ს) არ არსებობს მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის სახით, არამედ იმავდროულად გრამატიკული ფორმაცაა და, ამდენად, გარკვეული ფუნქციაც მოეპოვება, ამიტომ წმინდა ლექსიკური მნიშვნელობა, დაცილილი ყოველგვარი გრამატიკული შინაარსისაგან, არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში, ქართულ ენაში); ასეთი გაგება (ე. ი. წმინდა ლექსიკური მნიშვნელობა) მხოლოდ სიტყვის ძირს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ე. წ. ფუნქციური

⁵¹ Ж. Вандраес, Язык, М., 1937, стр. 112.

И. П. Мещанинов, Соотношение логических и грамматических категорий, Язык мышления М., 1967, стр. 13.

⁵² სხვათა შორის ანალოგიურ საკითხის დასმა შეიძლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართაც, სადაც ენობრივი ფორმების ნაცლად გამოსახვის საშუალებები (სიტყვა, ფერი, ბგერა) მოვეუპოვება, ხოლო ასახულ სამყაროსთან მათი დაკავშირება მხატვრული სახეების საშუალებით ხდება. ე. ი. თუკი გრამატიკულ ფორმებსა და გარესამყაროს მოვლენებს ფუნქციური კატეგორიები აკავშირებენ, ანალოგიურად გარესამყაროსა და ასახვის ხერხებს შორის გამაშუალებლად ხელოვნებაში მხატვრული სახეები გამოიღან.

და აგლუტინაციური ენების სინამდვილეში ძირი გრამატიკული გაფორმების გარეშე არ არსებობს, ხოლო ე. წ. ძირეულ ენებში უკვე ამ გაუფორმებელ ძირებს უკავშირდება გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობები. იგივე ითქმის იმ ენებში დადასტურებულ გაუფორმებელ ფუძეებზეც, სადაც გრამატიკული ფორმა ჩვეულებრივი მოვლენაა (ე. ი. ისევე აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებს ეკულისსმობთ). ასეთია, მაგალითად, ძველ ქართულში ე. წ. წრფელობითის ფორმა, ხოლო ახალ ქართულში ხმოვანზე ფუძედაბოლოვებული სახელეზის სახელობითი ბრუნვის ფორმა: აქ უკვე ეს ფუძეები სხვა პარუნების გაფორმებულ ფუძეებთან დაპირისპირებით ლებულობენ გრამატიკული ფორმის მნიშვნელობას, ან, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მათივე გაუფორმებლობა (სხვა ფორმებთან შეპირისპირებით) ხდება მათი განმასხვავებელი ნიშანი, მათი ფორმა. იმ შემთხვევაში კი, როცა, მაგალითად, სახელი საერთოდ არ ფორმდება რამდენიმე ბრუნვაში (ასე მოსლიოდათ ანთროპონიმებს ძველ ქართულში), ეს გრამატიკული მნიშვნელობა კონტექსტურად დგინდება (ანალოგიურად, ახალ ქართულში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ს-წტქსური ფუნქციაც) და, ამდენად, ფუნქცია, გრამატიკული მნიშვნელობა მაინც დასტურდება. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ის, რომ, როგორც ტერმინები, მნიშვნელობა და ფუნქცია ფაქტიურად გაუთანაბრდნენ ერთმანეთს და შესაძლებელი გახდა მათი სინონიმური გამოყენებაც.

§ 10. როდესაც ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი წინააღმდეგია ანგარიში გავეწიოს ლექსიკურ მნიშვნელობებს ენის გრამატიკული ანალიზის დროს და გარკვეულ შემთხვევაში ეს შესაძლებელია გამართლებულიც იყოს, ზოგჯერ ასეთი გამიჯნვა გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდება და ფაქტიურად შეუძლებელი ხდის ნაყოფიერ გრამატიკულ ანალიზს.⁵⁴ სხვა რომ არაფერი ითქვას, ეს გაუმართლებელია თუნდაც იმის გამო, რომ ერთი და იგივე მოდელები ხშირად არ გამოხატავენ ერთი და იმავე გრამატიკულ მნიშვნელობებს და ჩვეულებრივ ეს ნაირგვარობა ფუძის ლექსიკური მნიშვნელობით არის გაპირობებული, და, რაც მთავარია, ზოგჯერ ფორმათა მთელ სისტემაზეც ახდენს გავლენას. [ასე, მაგალითად, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნების განსაზღვრული მოდელები, რომელიც ნასახელარ ზმნებში გარდაქცევითობის ფუნქციას ლებულობს, ზოგჯერ დაცლილია ამ მნიშვნელობისაგან და ეს ზმნის ფუძედ გამოყენებული სახელის ლექსიკური მნიშვნელობითაა უპირველესად გაპირობებული: შდრ. ათთერებს-თეთრდება, ალამაზებს-ლამაზდება, აერთებს-ერთდება, აბავშვებს-ბავშვდება, ერთი მხრითა და იმავე მოდელებით ნაწარმოები, მაგრამ ფაქტიურად გარდაქცევითობის შინაარსისაგან დაცილი ნასახელარი ზმნები: ატყავებს-ტყავდება, ანიავეებს-ნიავედება, აჭირავებს-ჭირავდება, მეორე მხრივ. შეინიშნება მერყეობაც ანუ ისეთი შემთხვევები, როცა აწმყოში მხოლოდ კონტექსტურად ხერხდება გარჩევა გარდაქცევითობის ფუნქციისა; ჩვეულებრივ ეს მოსლით იმ ზმნებს, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობას ზმნისწინები განარჩევენ, ხოლო აწმყო, ზმნისწინის დაურთველობის გამო, მოკლებულია ამის შესაძლებლობას; ასეთია, მაგალითად, აჭვავებს-ჭვავდება ფორმები, რომელთაც კონტექსტის მიხედვით შეიძლება გარდაქცევითობის ფუნქციის გამოხატვა დაეკისროს (გააჭვავა-გაჭვავდა) და შეიძლება — არა (ჩააჭვავა-ჩაჭვავდა). სხვა შემ-

⁵⁴ ვ. ი. არტევა, დასახლებული ნაშრომი, გვ. 9-10.

თხვევაში ზმნის ფუძედ გამოყენებული სახელის ლექსიკური მნიშვნელობა ფორმათა სისტემაზეც ახდენს გავლენას; ასე, მაგალითად, აყურებს, აკისრებს, აბალახებს ფორმებს (რომლებიც თავისთავად არც გარდაქცევითობის ფუნქციის გამოხატველნი არიან) არ მოეპოვებათ შესაბამისი სუფიქსიანი ვნებითი, თუმცა ჩვეულებრივ მოქმედებითა გვარის მოცემული მოდელები თავისთავად გულისხმობენ ამ ტიპის ვნებითების არსებობას, მაგრამ ამ შემთხვევაში ფორმები არ რეალიზდებიან შესაბამისი ფუნქციის უქონლობის გამო. სამაგიეროდ ამ ტიპის ზმნათა ერთ ნაწილს მოეპოვება შესაბამისი სტატიკური (resp. „საშუალო გვარის“) ფორმები, მაგალითად, აბალახებს-ბალახობს; ზოგჯერ რთული წარმოებისა (იგულისხმება ის ფორმები, რომლებიც უშუალოდ სახელის ფუძეს არ ეყრდნობიან): აკისრებს-კისრულობს (კისრულ/ი/+ობს-ს; მიმოლობური ფუძეა, რის საფუძველზე შეიძლება აღდგეს საეარაუდო *კისრაჯხ ფორმა, ხატავს-დახატული, ბარავს-დაბარული ფორმების ანალოგიით). ამ ტიპის ზმნებს ვნებითი ძალიან იშვიათად შეიძლება ჰქონდეთ და თუ ექნებათ, ისიც თავისებური მნიშვნელობისა (მაგალითად, ებალახება, რომელიც უვნებითობას გამოხატავს). თავის მხრივ ბალახობს ზმნა იმეორებს მოქმედებითი გვარის ზმნების მოდელს (გმობს, სპობს ტიპისა) და მათი გამოყოფა ისევ ფუნქციის გათვალისწინებით ხერხდება (ყოველ შემთხვევაში, საწყისი ფორმებისა, რადგან უღვლილების სხვა პარადიგმაში ეს სხვაობა ფორმობრივადაც თვალსაჩინოა). შედარებით იშვიათია შემთხვევები, როცა ზემოაღნიშნულის ანალოგიურ ნასახელარ ზმნას გვარის სამივე ფორმა მოეპოვება: აფიქრებს-ფიქრდება-ფიქრობს; გარდაქცევითობის ფუნქცია აქაც არ არის წარმოჩენილი, განსხვავებით იმავე მოდელით ნაწარმოები სხვა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან: აცივებს-ცივდება-ცივობს, აშმაგებს-შმაგდება-შმაგობს, აბობოქრებს-ბობოქრდება-ბობოქრობს ან ძველი ქართულის: აღმალდა-აღმალდა-მალღოვინ და მისთნ. გამორიცხული არ არის, ამოსავალი ფუნქცია გარდაქცევითობა იყო იმ მოდელის მქონე იმ ზმნებისათვისაც, რომლებიც ამ ფუნქციას თანამედროვე ქართულში აღარ გამოხატავენ. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ნათელია: ძირის ლექსიკური მნიშვნელობას გარკვეული როლი უთუოდ ენიჭება ფორმათწარმოების სისტემაში; ამდენად, მის გათვალისწინებას ხშირად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. და, გარდა ამისა (უკვე კერძო საკითხი), მიუხედავად ზემოთ გამოვლენილი განსხვავებული მნიშვნელობის გამომხატველი ფორმებისა, მოცემული მოდელებით ნაწარმოები ნასახელარი ზმნების უმრავლესობა სწორედ გარდაქცევითობის ფუნქციის მატარებელია და, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფუნქცია ამ ნასახელარი ზმნების მოდელებით მატერიალიზდება.

§ 11. ზემოაღნიშნული მოვლენების საფუძველზე, ჩანს, საეჭვო აღარ არის ფუნქციური და გრამატიკული კატეგორიების გამიჯვნის აუცილებლობა. მაგრამ ზემოთქმული მაინც კონკრეტული გრამატიკული კატეგორიისა თუ ფორმის ანალიზს ემყარებოდა, ხოლო ფორმისა და ფუნქციის გამიჯვნას უფრო ზოგადი მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, მეტყველების ნაწილთა თუ გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაციისათვისაც. ამ შემთხვევაშიც ხშირია ფორმისა და ფუნქციის დაპირისპირება და ამის გაუთვალისწინებლობას ზოგჯერ აღრევაც მოსდევს. განვიხილოთ ეს მოვლენა გვარის კატეგორიისა და გვარის ფორმათა გამოყოფის საფუძველზე.

ქართულში გვარის ფორმათა გამოყოფა და დახასიათება არსებითად ორ განსხვავებულ პრინციპს ეყრდნობა — ფორმისა და ფუნქციის, მაგრამ ისე კი, რომ ერთის მხრივ, ფორმისა, ხოლო, მეორეს მხრივ, ფუნქციის საფუძველზე გამოყოფილი გვარის სახეები ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდებიან და ერთ კლასიფიკაციაში მოექცევიან. აღნიშნული პრინციპი ქართულში საფუძველად დაედო გვარის ფორმათა გამოყოფის ორ გრამატიკულ სისტემას, ორ კრიტერიუმს. ორივე სისტემა იყენებს ფორმისა და ფუნქციის საფუძველზე შექმნილ საკლასიფიკაციო ნიშნებს, მაგრამ იყენებს სხვადასხვანაირად, განსხვავებულად.

გვარის ფორმათა გამოყოფის პირველი კრიტერიუმი ეკუთვნის ანტონ პირველს. ამ კრიტერიუმის საფუძველზე ქართულში გამოყოფილია გვარის სამი ფორმა: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი, ანუ, როგორც თვით ანტონ პირველი უწოდებს მათ: „შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშულობითი. ადრე იგი გამოყოფდა ე. წ. „საზოგადო (საზოგადო, ზოგებითი) გვარს“, მაგრამ თავისი ნაშრომის მეორე რედაქციაში იგი აღარ შეუტანია.⁵⁵ თავის მხრივ, საშუალი გვარის ზმნებს იგი პყოფს „ხატშემოქმედებით“, „ხატსაშუალ“ და „ხატენი“ ზმნებად (მეორე რედაქციაში აღარ არის შეტანილი „ხატსაშუალი“ ზმნები); ქართულში გვარის გამოყოფის ეს კრიტერიუმი (და ამის საფუძველზე გვარის სამი ფორმის არსებობა) გაიზიარა შემდგომი თაობების ბევრმა ენათმეცნიერმა. ასეა, მაგალითად, გვარი წარმოდგენილი გაიოზ რექტორის „ქართულ ღრამატიკაში“⁵⁷ (ანტონის მსგავსად გაიოზ რექტორიც „გვარს“ უწოდებს „ნათესავს“). ასევეა გვარის კატეგორია წარმოდგენილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“.⁵⁸ ამ კრიტერიუმის საფუძველზე გარდა დახასიათებულია მოქმედების რაგვარობის (resp. ფუნქციის) საფუძველზე: აქტიურია იგი (მოქმედებითი, შემოქმედებითი), პასიური (ვნებითი); თუ არც ერთია და არც მეორე (საშუალი, უმეშულობითი). გვარის ფორმათა გამოყოფის ეს კრიტერიუმი გაზიარებულია. დახვეწილი და მეცნიერულად დასაბუთებული.⁵⁹ აქ წმინდა ფორმის საფუძველზე გვარის მხოლოდ ორი სახე — მოქმედებითი და ვნებითი — გამოყოფა, რომლებიც თავისი მოდელებით აშკარად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მართალია, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები ფუნქციურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ეს იქვე სათანადოადაც არის აღნიშნული, მაგრამ სრულიად სამართლიანადაა მითითებული ფორმისა და ფუნქციის ხშირ წინააღმდეგობაზე. აღნიშნულია ფაქტი, როდესაც ფორმით ვნებითის კუთვნილი ზმნები ფაქტიურად აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ, მაგრამ (ისევე და ისევე ფორმის საფუძველზე) მაინც ვნებითი გვარის სისტემაში შედიან და უღვლილებითაც ძირითადად მათ მიჰყვებიან (ე. წ. დებონენსები: პირღება,

⁵⁵ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 128-129.

⁵⁶ იქვე, გვ. 132.

⁵⁷ გაიოზ რექტორი, ქართული ღრამატიკა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოქვეყნდა და, ლექსიკონი-დღურთო ელენე ნიკოლაიშვილმა), თბ., 1970, გვ. 67-68.

⁵⁸ კალმასობა, თბ. იოანე ბატონიშვილისა, თბ., 1895, გვ. 148-149.

⁵⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, I, თბ., 1953, გვ. 289-332 (§§344-392).

იბღვირება, ილოცება, ეწვეა...). ამრიგად, ნათელია, რომ მოქმედებითი და ვნებითი გვარის დაპირისპირების, გამოყოფის კრიტერიუმი მხოლოდ გრამატიკულ ფორმას ეყრდნობა. სულ სხვა პრინციპს ემყარება საშუალო გვარის ფორმათა გამოყოფა. აღნიშნულია, რომ საშუალო გვარის ზმნებს „ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია ვნებითისა“⁶⁰ და ამიტომ გამოიყოფა გვარის ცალკე, საშუალო, ფორმად. ვნებითთან მიახლოებული მნიშვნელობა საშუალო გვარის ზმნების მხოლოდ ერთ ნაწილს შეიძლება მოეპოვებოდეს (და არაერთარ შემთხვევაში ისეთ ზმნებს, როგორცაა: თევზაობს, სწავლობს, ნადირობს და მისთნ.) ამიტომ სულ სხვა ფუნქცია, კერძოდ, სტატიკურობის ფუნქცია განასხვავებს მას მოქმედებითი და ვნებითი გვარის შესაბამისი ფორმებისაგან. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: თუკი საშუალო გვარის ზმნებს ფორმა მოქმედებითი გვარისა აქვს, ხოლო ფუნქცია კი — განსხვავებული და თუკი: მეტარ ზმნებს ცალკე გამოყოფენ, მაშინ მათი გამოყოფის საფუძველი ფუნქცია ყოფილა და არა ფორმა. მართალია, საშუალო გვარის ზმნებს შესაბამისი მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებისაგან თავისებური უღვლილება განასხვავებს და გარკვეულ შემთხვევაში ეს თავისებური უღვლილება შეიძლება მივიჩნიოთ მის ფორმად, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს „თავისებური უღვლილება“ ზოგჯერ მოქმედებითის ფორმებს იყენებს ნაკლებულ მწკრივების შესავსებად (სწავლობს-ისწავლის; თამაშობს-თამაშებს), ზოგჯერ კი ვნებითისა (უყვარს-უყვარება), ხოლო „საკუთარ“ მწკრივებშიც ხან მოქმედებითის უღვლილებას იმეორებს (უყვარს-უყვარდა-უყვარდეს...), ხან კი ვნებითისას (ყვირის-ყვიროდა-ყვიროდეს...), მაშინ აშკარა გახდება, რომ საშუალო გვარის უღვლილების მედიოპატიურ (როცა მოქ. გვარის ფორმებს იყენებს) და მედიოპასიურ (როცა იყენებს ვნებითის ფორმებს) სისტემათა ჩამოყალიბება შედარებით გვიანდელი მოვლენაა და საშუალო გვარის თავდაპირველი, ამოსავალი განსხვავება შესაბამისი მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებისაგან ისევ და ისევ ფუნქციას ემყარება. ამრიგად, თითქოს ძნელი არ არის იმ წინააღმდეგობის დანახვა, რომელიც გვარის ნაირსახეობათა გამოყოფის აღნიშნული კრიტერიუმისათვისაა დამახასიათებელი: ერთ შემთხვევაში იგი ფორმას ემყარება (მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა გამოყოფა), მეორე შემთხვევაში — ფუნქციას (საშუალო გვარის ფორმები): ასე, რომ ესაა ცდა ერთი გრამატიკული მოვლენის დასახასიათებლად და საკლასიფიკაციოდ გამოყენებულ იქნეს ორი სრულიად განსხვავებული, მეტიც: საპირისპირო პრინციპი, რისი შესაძლებლობა და, მით უმეტეს, განიარება, ბუნებრივია, სერიოზულ ეჭვს იწვევს. ეს წინააღმდეგობა შენიშნულია თვით მკვლევარის მიერ და ამიტომაც მას საშუალო გვარის ფორმათა დასახასიათებელი შემოაქვს შემდეგი დებულება: „საშუალოა (მედიოპატიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი „მოქმედებს“ ისე, რომ სამოქმედო ობიექტი არა აქვს, მაგრამ ამ მოქმედებას არ განიცდის...“⁶¹ ე. ი. დებულება, რომელიც ფაქტიურად ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობას ახასიათებს (შემასმენლისა და ობიექტის ურთიერთობა) და, ამდენად, რომელიც შეუძლებელია გვარის კატეგორიის განმარტებაში მოვაქციოთ. ხოლო თუკი გვარსა და გარდა-

⁶⁰ იქვე, გვ. 312.

⁶¹ იქვე, გვ. 289.

მავლობას ვაემიჯნავთ, ასეთ სურათს მივიღებთ: გვარი გრამატიკული კატეგორიაა (აქტურობა-პასიურობის ფუნქციური კატეგორიისაგან განსხვავებით). გარდამავლობა -- ფუნქციურია. რადგან გვარი გრამატიკული კატეგორიაა. მის ნაირსახეობათა გამოყოფა ფორმას უნდა ემყარებოდეს და მაშინ ერთ რიგში მოექცევიან მოქმედებითი და ე. წ. საშუალო გვარის ზმნები (ათამაშებს, თამაშობს...). მაგრამ მათ შორისაც იქნება განსხვავება. კერძოდ, პირველი(ათამაშებს...) იქნება გარდამავალი, ხოლო მეორე (თამაშობს) გარდაუვალი; ამრიგად, ათამაშებს-თამაშობს ტიპის წყვილები გვარის მიხედვით კი არ დაუპირისპირდება ერთმანეთს (ორივე მოქმედებითი იქნება). არამედ გარდამავლობის თვალსაზრისით. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ ამგვარი ვარაუდის მართებულობა. მაგრამ მანამდე უნდა განვიხილოთ ქართულში გვარის გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბების სხვა თვალსაზრისი.⁶² რომელიც ზემოაღნიშნული ტრადიციული შეხედულებების დამახასიათებელ წინააღმდეგობათა დაძლევის ცდას წარმოადგენს. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის ახალი სისტემის მიზანი. ძირითადი აქ სხვაა, კერძოდ: შეიქმნას საერთო პრინციპი ზმნის კლასიფიკაციისა ზოგადად ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის, უკეთ: იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის ზოგადი სისტემის მიხედვით იქნეს განხილული ქართული ზმნაც. სწორედ ამიტომ არის აქ ქართული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულებად მიჩნეული დინამიკურობა და სტატიკურობა, ერთი მხრივ, და გარდამავლობა და გარდაუვალობა, მეორე მხრივ: სტატიკური ყველა ზმნა გარდაუვალია, დინამიკური ზმნა კი შეიძლება იყოს გარდამავალიც და გარდაუვალიც.⁶³ აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გვარებს მხოლოდ დინამიკური ზმნა განარჩევს: იგი შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარისა (გარდამავალი) და ვნებითი გვარისა (გარდაუვალი); ზრდის-იზრდება, უზრდის-ეზრდება; აკეთებს-კეთდება, უკეთებს-უკეთდება...⁶⁴ ამ მწყობრ გრამატიკულ სისტემას გარკვეული წინააღმდეგობა მანაც ახლავს თან. კერძოდ, იგულისხმება ის ფაქტი, რომ დინამიკურ და სტატიკურ ზმნებად კლასიფიკაციის საფუძველიც ქართულში ფუნქციურია და იგი ფორმობრივ საყრდენს ვერ პოულობს, განსხვავებით, მაგალითად, აფხაზური ენისაგან, სადაც ამგვარ კლასიფიკაციას ფორმობრივი, მორფოლოგიური საფუძველი მოეპოვება. აფხაზურში „ასეთი დაყოფა ბუნებრივი ჩანს როგორც ზმნათა ფუძეების, ისე ზმნურ წარმოებათა მთელა სისტემის მიხედვით“.⁶⁵ ამდენად, აფხაზურში დინამიკური და სტატიკური ზმნები სემანტიკურ-გრამატიკული ნიშან-თვისებების საღუძველზე უპირისპირდებიან ერთმანეთს.⁶⁶ ანალოგიური ვითარება დასტურდება აღილურ ენებშიც.⁶⁷

⁶² ა. ნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, §§ 28-31, § 43.

⁶³ იქვე, გვ. 051-052.

⁶⁴ იქვე, გვ. 050.

⁶⁵ ქ. ლომთათიძე, გვარის კატეგორიის სკიოზისათვის აფხაზურში, ივე VIII, 1956, გვ. 196; მისივე: სტატიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში, ივე VI, 1953, გვ. 257 და შუდგ.

⁶⁶ Грамматика абхазского языка, Фонетика и морфология, Сухуми. 1968, стр. 57.

⁶⁷ Г. В. Рогова Динамические и статические глаголы в абхазских языках.

ИЯ VIII, 1956, стр. 459.

აქედან გამომდინარე, დინამიკურობა და სტატიკურობა რომ ქართული ზმნის მორფოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლად გამოეცხადოთ, საჭირო ხდება დაიძებნოს დინამიკურ და სტატიკურ ზმნებს შორის განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშანი, რომელიც ან ორივეს უნდა ჰქონდეს (დინამიკურ ზმნასაც და სტატიკურსაც) ან ერთ-ერთს მაინც (და მაშინ მეორე, საპირისპირო ფორმა მაინც განსხვავებული, დაპირისპირებული იქნება უკვე თავისი უნიშობით). მაგრამ ქართულში, როგორც უკვე აღინიშნა, დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა ურთიერთგანმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშანი არა ჩანს და მათი დაპირისპირება მხოლოდ ფუნქციას, სემანტიკას ემყარება. მართალია, განსხვავება დინამიკურ და სტატიკურ ზმნებს შორის მაინც იჩენს თავს და საკმაოდ მკვეთრადაც უღვლილების სისტემაში (ყველა სტატიკური ზმნის უღვლილება თავისებურია, ასე ვთქვათ, მწკრივნაკლია), მაგრამ უღვლილების პარადიგმის ყოველი კონკრეტული ფორმა რაიმე განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნის მქონე არაა; სხვაგვარად: განსხვავება თავს იჩენს მთლიანად მოქმედებითი და ე. წ. საშუალი (ან: ენებითი და საშუალი) გვარის ზმნათა უღვლილების სისტემების შედარებისას, მაგრამ ამ სისტემაში შემავალი თითოეული კონკრეტული ფორმა დინამიკურობისა და სტატიკურობის თვალსაზრისით რაიმე სპეციფიკური მორფოლოგიური ნიშნის მქონე არაა. იყო ცდა, ქართულ სტატიკურ ზმნებში დაეძებნათ სპეციფიკური ფორმანტი — სტატიკურ ზმნათა მაწარმოებელი ფორმანტი. ასეთ ფორმანტად გამოიყო კიდევ -ან სუფიქსი დგანან, წვანან, ჰყვანან ტიპის ზმნებში, სადაც იგი დაკუთვნილია აწმყოს მრავლობითი რიცხვის ფორმებში, მხოლოდობითში კი დაიკარგა (დგას⁶⁶*დგანს⁶⁶ და მისთნ.), გამოჩნდება იგი აგრეთვე უწყვეტელსა და მასზე დაყრდნობილ მწკრივებში: ჰყვანდა...⁶⁶ გამოითქვა ვარაუდი, რომ -ან „საშუალი გვარის ზმნათა გარკვეული ჯგუფის I სერიის ფუძის საწარმოებელია ისევე, როგორც -ავ,-ამ,-ებ... სუფიქსები სხვა ზმნებში“.⁷⁰ ამდენად, -ან სუფიქსი ფაქტიურად სტატიკურ ზმნათა ერთი ნაწილის სპეციფიკურ ფორმანტად ექნა მიჩნეული, აღნიშნავენ კიდევ: „-ან ფორმანტი განვრცობითობის (resp. სტატიკურობის) გამომხატველი უნდა ყოფილიყო.“⁷¹ თუკი ეს ასეა, მაშინ აღმოჩნდება, რომ ქართულშიც გვექონია (ყოველ შემთხვევაში, ზმნების ერთი ნაწილისათვის), სტატიკურობის სპეციფიკური ნიშანი და დაახლოვებით ისეთი ვითარება იქნებოდა, როგორიც უდიურში დასტურდება, სადაც ორი ტიპის სტატიკური ზმნები მოიპოვება:

⁶⁶ ივ. ქავეთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 153.

⁶⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 426 (§ 472).

⁷⁰ ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახლარი ზმნები ქართულში, თსუ შრომები, XXVIII, თბ., 1946, გვ. 166.

⁷¹ მ. სუბიშვილი, სტატიკური ზმნება ძველ ქართულში, მაცნე, 1911, № 6, გვ. 210.

ნიშნის და უნიშნო,⁷² და, ამდენად, ქართულში დინამიკური და სტატიკური ზმნების გამოყოფას გარდა ფუნქციურისა (resp. სემანტიკურისა), გრამატიკული საფუძველიც ექნებოდა. მაგრამ -ან სუფიქსის სტატიკურ ზმნათა სპეციფიკურ ფორმანტად მიჩნევა სერიოზულ ექვს იწვევს და, აი, რატომ: 1. თუკი -ან იგივე ოდენობაა, რაც ავ, -ამ, -ებ... თემის ნიშნები, ბუნებრივია, იგი ვერ იქნება სტატიკურობის გამომხატველი თუნდაც იმიტომ, რომ აღნიშნული -ავ, -ამ, -ებ... თემის ნიშნები დინამიკურ ზმნებსაც დაერთვიან; 2. შესაძლებელია დაგვეშვა, რომ -ან იგივეა სტატიკურ ზმნებში, რაც -ავ, -ამ, -ებ... სუფიქსები დინამიკურ ზმნებში; მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს -ან დასტურდება დინამიკურ ზმნებშიც (შეეშვანა, მიუძღუნა, მოაშვანა...)⁷³ ისევე, როგორც საკმაოდ ხშირია -ავ, -ებ, -ობ სუფიქსები სტატიკურ ზმნებში (ჭმოარავს, სძინავს; ზიბინებს, გუგუნებს; თამაშობს, თევზაობს და ა. შ.). ვარაუდი, რომლის თანახმადაც -ავ სუფიქსი სტატიკურ და დინამიკურ ზმნებში სხვადასხვა ოდენობაა,⁷⁴ ჩანს, ძნელად გასაზიარებელია. როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული ენის პონაქემი ამ თვალსაზრისით სხვა რამეს გვიჩვენებს; კერძოდ, აშკარაა, რომ -ავ, -ამ, -ევ, -ემ; -ებ, -ობ თემის ნიშნები ისევე, როგორც ამავე დანიშნულების უძველესი ბოლოსართები: -ან, -ალ, -არ, -ად; -ენ, -ელ...⁷⁵ არ განარჩევენ დინამიკურ და სტატიკურ ფუძეებს, ერთნაირად დაერთვიან როგორც ერთს, ასევე მეორეს (ამჭერად არ ვითვალისწინებთ რაოდენობრივ მხარეს: რომელიმე -ან შესაძლებელია, მართლაც, უფრო ხშირად სტატიკური ზმნის ფუძეში გამოვლინდეს, -ავ კი დინამიკური ზმნისა, მაგრამ ზემორე თვალსაზრისისათვის ეს ფაქტი არსებითი მნიშვნელობისა ვერ იქნება) და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ვერ მიიჩნევიან დინამიკური ან სტატიკური ფუძის მაწარმოებლად.

მაგრამ სტატიკურობის მორფოლოგიური აღნიშვნის თაობაზე საუბარი ამით არ დამთავრებულა. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა: ცნობილია, რომ მეგრულში აწმყო დროის მხოლოდითი რიცხვის I და II პირში გამოვლინდება -ქ სუფიქსი (ვორექ — ვარ, ზქანუქ — ეწევარ, ვქარუნქ — ეწერ...). გამოთქმულია ვარაუდი, რომ -ქ სუფიქსს მეგრულში და შესაბამის -ჩ სუფიქსს ჭანურში ისევე „როგორც მეშველ ზმნებს აფხაზურსა და ყაბარდოულში, ეკისრებოდათ სტატიკურობის, მდგომარეობის, არსებობის აღნიშვნა“.⁷⁶ აფხაზურისა და ყაბარდოულის ენობრივი ფაქტი სრულანალოგიას პოულობს ახალ ქართულში, სადაც ე. წ. საშუალი გვიარის (resp. სტატიკური) ზმნების ერთ ნაწილს I და II პირში მეშველი ზმნა დაერთო (ვწვივარ, ვდგავარ, ეწევარ, ვუყვარვარ, ვძულვარ; ზიხარ, დგახარ, წევხარ, უყვარხარ, სძულხარ...). ქართულში ამ ფორმებზე „მეშველი ზმნის დართვისას

⁷² ევგ. ჭეიჩიანიშვილი, უღიური ენა, თბ., 1971, გვ. 94.

⁷³ ე. თ. ფ. ურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 490; ეს სუფიქსი გამოყოფილია აგრეთვე მიმოვლებშიც: ნახავანა, მსუქანი... მტყუანი, მცივანი, მომჩივანი... იხ. არნ. ჩიქოვაძე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 122.

⁷⁴ მ. ს. ხიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 230.

⁷⁵ ე. თ. ფ. ურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 496.

⁷⁶ ქ. ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის ბევრულ ზმნებში, იყ. ს., 1946, გვ. 134.

ამოსავლი უნდა ყოფილიყო... სტატიკურობა. მაშასადამე, პირველად ის უნდა დართოდა მდგომარეობის გამოხატველ ზმნებს...⁷⁷ რიგ შემთხვევებში ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ზოგიერთი ძველი ფუძე გარდამავალი დინამიკური გაგებისაგან დაიკალა: ვჰიიდი > ვკიიდივარ...⁷⁸ თუ ეს ასეა, აღმოჩნდება, რომ ქართულში სტატიკურ ზმნას მიიწვ მოეპოვება საკუთარი, სპეციფიკური წარმოება, და, ამდენად, მის გამოყოფას, ფუნქციურთან ერთად, მორფოლოგიური საფუძველიც ჰქონია. მაგრამ აქ ზოგიერთი მომენტია გასათვალისწინებელი. ის ფაქტი, რომ მეშველი ზმნის გაჩენა ზემორე აღნიშნულ ფორმებში შედარებით გვიანდელი მოვლენაა (ძველ ქართულში იყო: ვზი, ვდგა... და არა: ვზივარ, ვდგავარ...), ამ შემთხვევაში ვადამწყვეტი მნიშვნელობისა ვერ იქნება თუნდაც იმის გამო, რომ სრულიად დასაშვებია: ის, რაც აღდრ არ იყო მორფოლოგიური ოდენობა, მოგვიანებით მორფოლოგიურ ოდენობად ქცეულიყო (თუ ეს ასეა. მაშინ დინამიკურობა და სტატიკურობა ძველ ქართულში მხოლოდ ფუნქციური კატეგორია იქნებოდა, ახალ ქართულში — ფუნქციურიც და გრამატიკულიც). უფრო მნიშვნელოვანია მეორე ფაქტი: ეს მეშველი ზმნა სტატიკური ზმნების მხოლოდ ერთ, შედარებით მცირე, ნაწილს დაერთვის. ამრიგად; მარჯალია, მეშველი ზმნის დართვა ახალ ქართულში სტატიკური ფორმისა (ვზივარ, ვიხარ; ვწევარ, წევნარ...) ან სტატიკურობასთან ვატოლებული ფორმებისთვისაა (იგულისხმება გარდამავალი დინამიკური ზმნის III სერიის ფორმები: დაუხატავარ, დაუხატავნარ... ტიპისა: იხ. ზემოთ) დამახასიათებელი, მაგრამ ვერც წარმოშობით (ძველ ქართულში არ იყო) და ვერც თანამედროვე ვითარებით (სტატიკური ზმნების უმეტეს ნაწილს არ მოეპოვება მეშველი ზმნა) სტატიკურობის ნიშნად ვერ მიიჩნევა. არ დასტურდება იგი სტატიკურ ფორმებზე დაფუძნებულ პარადიგმებშიც (ვწუხვარ, მაგრამ: ვწუხდი, ვწუხდე) ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დინამიკური და სტატიკური ზმნების გამოყოფა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში მხოლოდ მათ ფუნქციას (resp. სემანტიკას) ეყრდნობა და გრამატიკული საფუძველი არ მოეპოვება. ოღონდ ეს კია, რომ შეინიშნება სტატიკურობის „გრამატიზაციის“ ძლიერი ტენდენცია, რაც ზმნების ერთ ნაწილში უკვე ჩამოყალიბდა (ვზივარ, ვწევარ, ვწუხვარ...), სხვა შემთხვევაში კი შეინიშნება მერყეობა პარალელური ფორმების სახით (ვმღერი-ვმღერივარ, ვჩივი-ვჩივივარ... სადაც მეშველზმნიანი ფორმები უპირატესად დიალექტების კუთვნილებათ). ამდენად, სტატიკურობის „გრამატიზაცია“ ახალი, შექმნილი თვისებაა (და შესანიშნავი დადასტურებაა ტენდენციისა, საკუთარი ფორმით მატერიალიზდეს ენაში არსებული ყოველი განყენებული ფუნქცია, მნიშვნელობა).

როგორც უკვე ითქვა, სტატიკური ყველა ზმნა გარდაუვალაა, მაგრამ ისტორიულად გარდამავლობა სტატიკურობას არ გამოირჩევა, რაზედაც იცის

⁷⁷ იქვე, გვ. 135; შდრ. ლ. ბარამიძე. ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ისე ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 123, 137—145.

⁷⁸ ივ. ქავთარაძე, დასახლებული ნაწარმი, გვ. 185.

⁷⁹ არნ. ჩიქობაია, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 67, 68 და შდგ.

და უწყის ზმნები მიუთითებენ. 'თუცა შესაძლებელია, რომ გარდამავლობა-გარდაუვალობას სტატიკური ზმნებიც განარჩევდნენ, ამავე სისტემის საფუძველზე (სადაც მოქმედებითი გვარის ფორმა ფაქტიურად გარდამავალი დინამიკური ზმნაა, ხოლო ვნებითი — გარდაუვალი დინამიკური ზმნის ფორმა) დასაშვებია გვარის კატეგორია, უკეთ: გვარის ფორმები, სტატიკურ ზმნებშიც განი-რჩეს და მაშინ ქართულში გვექნებოდა ორი მოქმედებითი და ორი ვნებითი გვარის ფორმა — ერთი დინამიკური (მოქმედებითი და ვნებითი), მეოთხე — სტატიკური (მოქმედებითი და ვნებითი). აი, ეს არის ის წინააღმდეგობა (ალუს ის ვითარება, რომ დინამიკურობა-სტატიკურობის: მორფოლოგიური ნიშანი ქართულში ფაქტიურად არ მოგვეპოვება), რომელიც ქართული ზმნის კლასი-ფიკაციის აღნიშნულ სისტემას ახლავს თან. უეჭველია, რომ ზმნების თ-კლასი-რველი დაყოფა ფუნქციის საფუძველზე მოხდა დინამიკად და სტატიკად, რის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ მნიშვნელობის მიხედვით მოქმედებისა (ერთი მხრივ) და მდგომარეობის (მეორე მხრივ) აღნიშნული ზმნები. საზღვარი მათ შორის არ იყო (და ზოგჯერ არც ახლავს) მკვეთრად გამოჩნული: კონსტრუქციის მიხედვით ერთი და იგივე ზმნა ზოგჯერ მოქმედებას გამოხატავდა (მდრ. ახალ ქართულში: სცემს კაცს), ზოგჯერ მდგომარეობას (თმა კოჭებამდე სცემს). კონსტრუქცია ლაბილური იყო და ეს იმიტომ, რომ გამოყოფა ხდებოდა მნიშ-ვნელობის, ფუნქციის და არა ფორმის საფუძველზე. მაგრამ გრამატიკული ფორმების (resp. გრამატიკული კატეგორიების) ჩამოყალიბების შემდეგ თვით ენაში შეინიშნება ძლიერი ტენდენცია აიგოს ერთიანი ენობრივი სისტემა სწო-რედ ამ ფორმების საფუძველზე, ხოლო ძირითადი კლასიფიკაციის სისტემა კი ეყრდნობა ამ კატეგორიათა შორის უზოგადესსა და მეტ-ნაკლებად ყველა და-ნარჩენი ენობრივი სისტემების (resp. გრამატიკული კატეგორიების) მომცველს. ქართული ზმნის განვითარების თანამედროვე საფეხურზე ასეთია შედარებით ყველაზე გვიან ჩამოყალიბებული, ყველაზე რთული (რადგან შექ-მნილია იგი არსებული ზმნური კატეგორიების უშუალო გავლენითა თუ მონა-წილეობით და, ამდენად, ითვალისწინებს ზმნაში უკვე არსებულ ყველა სის-ტემასა და თავისებურებას) — ზმნის გვარის კატეგორია. თუ ეს ასეა, მაშინ ზმნის ძირითადი კლასიფიკაციისათვის ამოსავალი უნდა იყოს სწორედ ზმნის გვარის გრამატიკული კატეგორია.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ამგვარი კლასიფიკაციის განხილვაზე, უნ-და აღინიშნოს ის უეჭველი ფაქტი, რომ გვარის კატეგორია ჩამოყალიბებითად და მნიშვნელობითად ყველაზე უფრო ახლოს დგას ერთი მხრივ გარდამავლობა-გარდაუვალობასთან და, მეორე მხრივ, დინამიკურობა-სტატიკურობასთან: მე-ტიც: ეს კატეგორიები უშუალოდ უნსწრებენ გვარის კატეგორიის ჩამოყა-ლიბებას, მიუხედავად ამისა, ისინი არასდროს არ ემთხვევიან ერთმანეთს, გრამატიკულ ლიტერატურაში კი ყოველთვის არ არიან ერთმანეთისაგან გამოიწხუ-ლი. განსაკუთრებით ეს ეხება გარდამავლობასა და გვარს. ქართულში ყველა გარდამავალი ზმნა ფაქტიურად მოქმედებითი გვარის ფორმად არის გაგებუ-ლი,⁸⁰ თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ „ყოველი მოქმედებითი გარდამავალია,

⁸⁰ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 059; იხ. აგრეთვე: Ари. Ч и к о б а в а, Грузинский язык, Языки народов СССР, том IV, стр. 46.

„მაგრამ ყოველი გარდამავალი არ არის მოქმედებითი“.⁸¹ ამდენად, არის ცაღა დამყარდეს განსხვავება გარდამავალ ზმნასა და მოქმედებითი გვარის ფორმას შორის, მაგრამ აქ იკვლისხმება ის გარდამავალი ზმნები (მაგალითად, იცის), რომელთაც არ მოეპოვებათ საპირისპირო ვნებითი ან საშუალი და მხოლოდ ამის გამო არ იწოდებიან მოქმედებითი გვარის ფორმებად. რაც შეეხება გარდაუვალ ზმნებს, ისინი შეიძლება იყვნენ ვნებითი და საშუალი გვარისა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სპეციფიკური ფორმის უქონლობის გამო, „საშუალი გვარი“ (ყოველ შემთხვევაში, მორფოლოგიურად) აზრსებობს ქართულში, ამ სისტემაში შემავალი ფორმები. ისევე თავისი მნიშვნელობის გამო, ცალკე, სტატიკურ ზმნებად გამოიყო. სწორედ ასეა წარმოდგენილი გვარის კატეგორია ზემოთ განხილულ გრამატიკულ სისტემაში, რომლისთვის ამოსავალია ზმნის დინამიკურობა და სტატიკურობა, ერთი მხრივ და გარდაუვლობა-გარდაუვალობა, მეორე მხრივ: ყველა გარდამავალი დინამიკური ზმნა მოქმედებითი გვარისაა, ყველა გარდაუვალი დინამიკური ზმნა — ვნებითი გვარისა. ცალკე დგანან სტატიკური ზმნები. ისტორიულად ისინიც განარჩევენ გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს, მაგრამ ამჯერად „ყველა სტატიკური ზმნა გარდაუვალია“⁸² და, ამდენად, სტატიკური ზმნა გვარებს არ განარჩევს.

მართალია, გვარის კატეგორია უალიბდება ერთი და იმავე ზმნის გარდამავალი და გარდაუვალი ფორმების დაპირისპირების საფუძველზე, მაგრამ გვარის კატეგორიის წარმოქმნა ქმნის სრულიად ახალ სისტემას ენაში, რის გამოც არსებითი ხასიათის ცვლილებები ხდება საერთოდ და, კერძოდ, გარდამავლობისა და გვარის ურთიერთობაშიც. აქედანვე უნდა ითქვას, რომ მოქმედებითი გვარი აღნიშნავს მხოლოდ აქტიურ მოქმედებას, რომელიც შესაძლებელია გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც, მაგრამ რომელსაც უთუოდ უნდა ჰქონდეს თავისი მოდელი. ვნებითი გვარის ზმნა (ასევე სპეციფიკური მოდელის მქონე) აღნიშნავს პასიურ მოქმედებას და, ბუნებრივია, ასეთი მოქმედება შეიძლება მხოლოდ გარდაუვალი იყოს. ამდენად, ვნებითობა და გარდაუვალობა ერთმანეთს ემთხვევა. როდესაც ვლაპარაკობთ მოქმედებითი გვარის გარდაუვალ ზმნებზე, მხედველობაში გვაქვს ერთი ნაწილი დღევანდელი სტატიკური ზმნებისა, რომლებიც არა მხოლოდ აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ ფუნქციურად (გრამატიკული სისტემისათვის ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია), არამედ ფორმითაც ფაქტიურად მოქმედებითი გვარის ზმნათა მოდელს იმეორებენ (მეფობს, თევზაობს, ნადირობს, ქრის, სწავლობს ტიპისა) და რომელთა ერთმა ნაწილმა კონსტრუქციის მიხედვით ზოგჯერ შესაძლებელია გარდამავალი ზმნის მნიშვნელობა მიიღოს.

§ 12. თუ ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, მაშინ დინამიკურობა-სტატიკურობის, გარდამავლობა-გარდაუვალობისა და გვარის მიხედვით ზმნის

⁸¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 220 (§ 381).

⁸² არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დაბასიათება, გვ. 651. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება იცის, უწყობს გარდამავალი, მაგრამ ფუნქციურად სტატიკური ზმნები. მისევე ის უნდა იყოს, რომ არც აღნიშნულ ზმნებს აქვთ საოპოზიციო სტატიკური გარდაუვალი ცალი და არც სხვა გარდაუვალ სტატიკურ ზმნებს მოეპოვებათ გარდამავალი საპირისპირო სტატიკური ცალი.

ერთი და იგივე ფორმები (მაგალითად, აწუხებს-წუხდება-წუხს) ასე განაწილდება:

I დინამიურია:
აწუხებს
წუხდება

სტატიკურია:
წუხს
—

II გარდამავალია:
აწუხებს

გარდაუვალია:
წუხდება
წუხს

ამ ორი სისტემის თვისობრივი (და არა რაოდენობრივი) გაერთიანებით მიიღება ქართულში გვარის კატეგორია, რომელიც ზემორე ორისაგან განსხვავებით უკვე გრამატიკული (resp. ფუნქციურ-გრამატიკული) კატეგორიაა და არა ოდენ-ფუნქციური. თუ ასეა, ამოსავალი უნდა იყოს ზმნის ფორმა და აღნიშნული ზმნები გვარის მიხედვით მაშინ ასე განაწილდება:

III მოქმედებითია:
აწუხებს
წუხს

ენებითია:
წუხდება

მაგრამ მოქმედებით გვარში გაერთიანებული აწუხებს-წუხს ფორმები აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და განსხვავდებიან უკვე ფუნქციურად. ამის საფუძველზე განსხვავება თავს იჩენს უღვლილებაშიც. ამიტომ აუცილებელი ხდება ამ ფორმების გამიჯვნაც, მაგრამ უკვე რაღაც სხვა (და არა გვარის) თვალსაზრისით. ამჭერად ეს განსხვავება, ერთი მხრივ, დინამიურობა-სტატიკურობაშია, ხოლო მეორე მხრივ, გარდამავლობა-გარდაუვლობაში: აწუხებს — დინამიურია და გარდამავალი, წუხს — სტატიკური და გარდაუვალი. მაგრამ ისტორიულად ეს განსხვავება სულ სხვა კრიტერიუმს უნდა დამყარებოდა და ეს კრიტერიუმი უკუქცევითობა უნდა ყოფილიყო.

ის ფაქტი რომ უკუქცევითობა არ გახდა გვარის გარკვეულ ფორმათა წარმოქმნის საფუძველი იმ ენებში, სადაც გვარის ძველი, სხვადასხვა წარმოშობის ფორმები დასტურდებოდა და გვარის მნიშვნელობა მოიპოვა იმ ენებში, სადაც გვარის სპეციალური ფორმები არ არსებობდა,³³ მრავლის მოქმედია. ეს არის ნათელი დადასტურება იმისა, რომ ენათა ერთ ნაწილში უკუქცევითი ფორმების ენებითის მნიშვნელობით გამოყენება მეორეული ფაქტია და გამოწვეული მხოლოდ გვარის ორგანული ფორმების უქონლობით (ფუნქცია არსებობდა, მაგრამ არ მოიპოვებოდა შესაბამისი ფორმა), ხოლო საფუძველი კი ის უნდა ყოფილიყო, რომ უკუქცევითობის ფუნქცია ზოგ შემთხვევაში უახლოვდება ენებითობის ფუნქციას. სემანტიკური მრავალმნიშვნელობა დამახასიათებელი ჩანს უკუქცევითი ფორმებისათვის იმ ენებში, სადაც უკუქცევითობის კატეგორია საერთოდ დასტურდება.³⁴ საჭირო გახდა რაღაც ზოგადი, გამაერთიანებელი მნიშვნელობის დაქვანა აღნიშნული ფორმებისათვის. ასეთ საე-

³³ M. M. Гухман, Развитие залоговых противопоставлений в германских языках, М., 1964, стр. 207.

³⁴ იქვე, გვ. 209.

რათ მნიშვნელობად თვლიდნენ უკუქცევითი ზმნების კონსტრუქტაში ობიექტის უქონლობას,⁸⁵ ინაქტიურობას⁸⁶ მედიალურობას,⁸⁷ ინკლუზიურობასა და ე. წ. ცენტრისკენულ მისწრაფებას⁸⁸ და ა. შ. აღნიშნული დახასიათებანი ძირითადად მაინც სემანტიკურ პლანშია წარმოდგენილი, გარდა იმ ერთისა, რომელიც უკუქცევითი ფორმებისათვის ობიექტის უქონლობას გამოყოფს არსებით: დამახასიათებელ ნიშნად, რაც გარკვეულად აახლოებს მათ ვნებითის მნიშვნელობასთან. სწორედ ობიექტის უქონლობა და არა გარდაუდებლად, რადგან ობიექტი შეიძლება გარდაუდებლად ზმნასაც ახლდეს (ჩვეულებრივ ე. წ. ირიბი ობიექტი). ქართულში ეს ქცევის (ვერსის) მნიშვნელობით ვლინდება: ირიბობიექტიანი გარდაუდებელი ზმნები ჩვეულებრივ სასხვისო (საობიექტო) ქცევის გამომხატველი არიან (ეწერება, უთვთრდება, უთბება). ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის: ქცევის გაგება აქვს „ეწერება“ ფორმას, მაგრამ არა აქვს ასეთი გაგება „ელაპარაკება“ ფორმას. ასევე არა აქვს სასხვისო ქცევის გაგება, პირდება, თანხმდება ტიპის ზმნებს, თუმცა ირიბი ობიექტი ამ ზმნათა კონსტრუქციაშიც დასტურდება. უკანასკნელ შემთხვევაში ობიექტის (თუნდაც ირიბის) არსებობა ფუნქციურად აახლოებს ამ ზმნებს აქტიური მოქმედების გამომხატველ ზმნებთან და მაშინ, ბუნებრივია, „წმინდა ვნებითობის“ მნიშვნელობა ერთგვარად დაჩრდილულია. სწორედ ამიტომ არის ობიექტის უქონლობა (და არა გარდაუდებლობა) ვნებითობასთან სიახლოვის მაჩვენებელი. თვით ისეთი ზმნებიც კი, როგორცაა ბიბინებს, ზუზუნებს, შრიალებს, ქრის— უფრო ვნებითებს უახლოვდებიან მნიშვნელობით და ალბათ ამის გამოა, რომ მათ ნაკლები მწკრივების შესაესებად შეიძლება ვნებითის ფორმებიც ჩაენაცვლოს (მაგალითად, ბიბინებს-იბიბინებს|აბიბინდება-იბიბინა|აბიბინდა-უბიბინა|აბიბინებულა). ეს არის მიზეზი იმ ვარაუდისაც, რომლის თანახმადაც ე. წ. საშუალი გვარის ზმნები მნიშვნელობით ვნებითებთან ახლო მდგომარეობაშია.⁸⁹ ხოლო თავისი წარმოშობით, თავდაპირველი ბუნებით ე. წ. „საშუალი გვარის“ ფორმები სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები უკუქცევითი ფორმები. იგი აქტიური უობიექტო (ვგულისხმობთ პირდაპირ ობიექტს) მოქმედებაა, რის გამოც ენათა ერთ ნაწილში, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელი ხდება მათი ვნებითის მნიშვნელობით გამოყენებაც, ხოლო იმ ენებში, სადაც უკუქცევითობა საერთოდ მოიშალა, შეიძლება ვნებითის ფორმებადაც ჩამოყალიბდნენ და რიგ შემთხვევაში, აქტიური უკუქცევითობის resp. სათავისო ქცევის, სასუბიექტო ვერსის) მნიშვნელობაც მოიპოვონ.

⁸⁵ А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Ленинград, 1941, стр. 475 и дальше.

⁸⁶ A. Margulies, Die Verba reflexiva in den slavischen Sprachen. Heidelberg 1924.

⁸⁷ L. Hermodsson, Reflexive und intransitive Verben im älteren Westgermanischen, Uppsala, 1952, 41—46.

⁸⁸ М. М. Гухман, О происхождении возвратных конструкций (на материале готского), Язык и мышление, т. XI, Москва-Ленинград, 1948, стр. 130-131.

⁸⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 312. იხ. აგრეთვე, М. М. Гухман, Развитие залоговых противопоставлений... стр. 212.

უკვალავე ეს უკუქცევითობის კატეგორიის განვითარების შემდგომი. უფრო გვიანდელი საფეხურია და გარდამავალი და გარდაუვალი უკუქცევითი ფორმების შესახებ მსჯელობისას სწორედ ეს გვიანდელი საფეხური ივლისსმება. მიზეზი ერთია: კონსტრუქციის აღრინდელი ლაბილურობა, როცა კონტექსტის მიხედვით ზმნა შესაძლებელია გარდამავალიც ყოფილიყო და გარდაუვალიც, რაც ფსის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ვრცელდება იმ ფორმებზეც, რომლებიც თავდაპირველად გარდაუვალ ფორმებად ჩამოყალიბდნენ (ამ შემთხვევაში ივლისსმება უკუქცევითი ფორმები). უკუქცევითი ფორმების მოშლის (ან სხვა მნიშვნელობით გამოყენების) შემთხვევაში მაინც შესაძლებელია ენაში შემორჩეს უკუქცევითობის მნიშვნელობა (რაც, მაგალითად, თანამედროვე ქართულში უმეტესი საშუალო ზმნებისთვისაა დამახასიათებელი) და მაშინ აუცილებელი ხდება უკუქცევითი ფორმისა და უკუქცევითობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, ერთმანეთისაგან განსხვავება;⁹⁰ სხვაგვარად: უკუქცევითობის გრამატიკული და ფუნქციური კატეგორიების გამოჩენა.

თუ აქედან ამოვალთ, აღმოჩნდება, რომ აწუხებს-წუხს ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება არა გვარის, არამედ უკუქცევითობის თვალსაზრისით: აწუხებს — უუუქცევია, წუხს — უკუქცევითი დაპირისპირება აწმყოში ამჟამად მხოლოდ ფუნქციურია, უკუქცევითობის ოდინდელი ნიშანი ი. (იხ. ზემოთ) მხოლოდ უღვლილებს პარადიგმებში გამოჩნდება (წუხს—ი-წუხებს—ი-წუხსა...); ამდენად, წუხს ფორმა არსებითად გარდაუვალი სოქმედებითი კი არ არის, არამედ უკუქცევითი სოქმედებითა, სადაც სუბიექტი თავისივე სოქმედების ობიექტია. უკუქცევითი ფორმა თავისი მნიშვნელობით სტატიკურია. ეს უკუქცევითი, სტატიკური ფორმა (ე. ი. შესაბამისი უკუუქცევი აქტიური დინამიკური ფორმის საოპოზიციო ცალი) შეიძლება გარდამავალიც იყოს: იცის (სადაც შემორჩენილია უკუქცევითობის პრეფიქსი), უწყის (სადაც უკუქცევითობის ნიშანი არ დასტურდება)⁹¹ და გარდაუვალაც: წუხს, ბიბინებს, ტრიალებს... გარდაუვალი უკუქცევითობის ფუნქციის მქონე ზმნები ქართულში შეუღარებელივ მეტია: იცის ზმნას შესაბამისი (საოპოზიციო) აქტიური დინამიკური ცალი არ მოეპოვება, უწყის ზმნას კი ასეთი ფორმა აქვს:

I — სოქმედებითი: ვნებითი:	II — სოქმედებითი: ვნებითი:
უუუქცევი — — —	აუწყებს — ეუწყება
(დინამიკური)	
უუუქცევითი	
(სტატიკური): იცის — — —	უწყის — — —

გარდაუვალ უკუქცევით ფორმებს ასეთი საოპოზიციო ცალები ჩვეულკბრივ მოეპოვებათ: წუხს-აწუხებს, ბიბინებს-აბიბინებს და ა. შ.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ უკუქცევითი ფორმების გამოყოფა აწმყოში

⁹⁰ მ. გუხმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 212.
⁹¹ ჩანს, დასალოგებით ანალოგიური მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყვნენ იძახის, ისერის ტიპის ფორმები; მათი საოპოზიციო ეჭახის, ესერის ფორმების გაჩენა შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, შედეგი ქართულში უკუქცევითობის მნიშვნელობის დასუსტებისა და ოდინდელი უკუქცევითი ფორმების შემდგომ სათავისო ქცევისა და იპრეფიქსის... ვნებითის ფუნქციით გამოყენებისა.

ამჟამად მხოლოდ მათი ფუნქციის საშუალებით ხერხდება და უკუქცევითობის ..
 ი- ნიშანი მხოლოდ უღვლილების დანარჩენ პარ. დიგემებში გამოჩნდება. ასე-
 უმრავლეს შემთხვევაში, მაგრამ გამონაკლისები მაინც გვაქვს: გლოვსი|იგლოვს,
 მღერსი|ი-მღერს, ნანობსი|ი-ნანობ, იღიმის, იცინის და მისთნ. ამდენად, უკუქცე-
 ვითობის ნიშანი ამ ტ. ან ზმნებში (ე. წ. მედიალურ. საშუალ ფორმებში)
 სპორადულად მაინც გვხვდება. ბუნებრივია, იბადება კითხვა: ამ ზმნებს ეს ნი-
 შანი არ ჰქონდათ და გაუჩნდათ, თუ პირიქით. დანარჩენებსაც ჰქონდათ და და-
 კარკვეს, ნოლო აღნიშნულ რამდენიმე ზმნას შემორჩა? ძველი ქართულია და
 ზოგი თანამედროვე დიალექტის მონაცემი გვავარაუდებინებს, რომ ამ ტიპის
 ზმნებს ეს ნიშანი მოუპოვებოდათ და შემდგომ დაკარგეს. ძველ ქართულში
 დადასტურდა: ისტუენს (ახლა: სტვენს), იბრდლუენს (ბრდლუენავს), იმარხავს
 (მარხულობს), ილოცავს (ლოცულობს), ილაღადებს (ლაღადებს), იმრუშებს
 (მრუშობს), ინადირობს (ნადირობს) ფორმები. ე. ი. აღმოჩნდა, რომ „ძველ
 ქართულში ი- პრეფიქსი აწმყოს წყებაში დასტურდება ზოგ ისეთ მედიაქტივ
 ზმნასთანაც, რომელსაც თანამედროვე ქართულში აწმყოს წრის ფორმათა
 უთავსართო წარმოება ახასიათებს“. ანალოგიური ვითარება შენიშნულია სხვა
 ქართველურ ენებშიც: სვანური: იკლი (კოქლობს), იმზირ (ლოცულობს), იგვნი
 (ტირის... ქანური: იჩჩვირს (ცურავს), იჩგორს (გორავს), იბურბალს (ბრუ-
 ნავს), იბირს (მღერის)... მეგრულში: იბურჯანს (შფოთავს), იგურუანს (სწავ-
 ლობს), იხვამანს (ლოცულობს)...⁹² ამის საფუძველზე ცდილობენ ამ ი- თავსარ-
 თის აღდგენას იმ ფორმებშიც, სადაც იგი ფაქტობრივ არ დასტურდება: *იჟმის
 (მღრ. ს-ი-ჟმილი), *იძვის (მღრ. ს-ი-ძვა)⁹³ და მისთნ. ასევე: *ი-რცხუ-ი-ს (მღრ.
 ს-ი-რცხუილ-ი), *ი-მშ-ი-ს (მღრ. ს-ი-მშ-ი-ლ-ი), *ი-კულ-ი-ს (მღრ. ს-ი-კულ-ი-
 ლ-ი)⁹⁴ და სხვა. თუ ამას დაეუმატებთ პარალელურად ხმარებულ ფორმებს
 (რაც, ჭერ კიდევ ძველად ჩასახული მერყეობის ნაშთი უნდა იყოს): ხმობს|იხ-
 მობს, მღერს|იმღერს, გლოვს|იგლოვს, ან ახლაც პრეფიქსით გამოყენებულ
 იღიმის, იცინის, იბრძნის ტიპის ფორმებს, თითქოს აღარაფერი ეწინააღ-
 მდეგება დასკვნას, რომლის თანახმადაც უკუქცევითობის ი- ფორმანტი
 ჩვეულებრივ და აუცილებელი უნდა ყოფილიყო იმ ზმნებისათვის, რომლებსაც
 საშუალი, მედიალური გვარის ფორმებს უწოდებენ (რასაკვირველია აქ არ
 შემოვა გვიან, ამ ნიშნის გაქრობის შემდგომ გაჩენილი ფორმები ცივობს,
 ავდრობს ტიპისა). აღნიშნულ ფორმათაგან ზოგიერთმა უბრალოდ დაკარგა-
 ი- წინსართი, სხვა მხრივ ცვლილება არ განუცდია (გლოვს|იგლოვს, ხმობს|იხ-
 მობს), ზოგმა ნიშნის დაკარგვასთან ერთად მოდელიც შეიცვალა (იჩქარის|იჩქა-
 რობს, ინანის|ინანობს), ან ნიშნის დაუკარგავადაც იცვალა ფორმა (იცონის > იც-
 ონებს⁹⁵), ზოგიც ძველი ფორმით შემორჩა (იხწრაფვის; ჩვეულებრივ არა-
 გვაქვს სწრაფობს-ფორმა, გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს პოეტურ
 ან დიალექტურ მეტყველებაში). რიგ შემთხვევაში კი სულ სხვა სახის ცვლი-

⁹² ლ. ნოზაძე, მედიაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში (ხელნაწერი).

⁹³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბი-
 ლისი, 1942, § 96.

⁹⁴ ივ. ჭავჭავაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულ-
 ში, გვ. 259—260.

⁹⁵ იქვე, გვ. 258.

ლება მოხდა: ი- პრეფიქს-ჩამოცილებული ახალი და ი- პრეფიქსიანი ძველზე არსებითად პარალელური, ფორმები უკვე ასლებურად, დროის თვალსაზრისით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს; ი- პრეფიქსიანი ფორმა მყოფადმა გამოიყენა: ასე, მაგალითად, აწმყო — სტვენს, მყოფადი: ისტვენს... (შდრ. მღერს||იმღერს. ორივე აწმყოა, მყოფადისთვის უკვე სხვა — იმღერებს — ფუძეა გამოყენებულნი⁶⁶).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ატირებს-ტირის, ამღერებს-მღერის ტიპის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა გვარის (ყველა მოქმედებითი გვარისაა, აქტიურია), არამედ უკუქცევითობის თვალსაზრისით (ატირებს, ამღერებს — უუუქცევია, ტირის, მღერის — უკუქცევითი). დაპირისპირება თანამედროვე ქართულში ფუნქციურად ხდება (გარდა გამოწაკლისა, ამღერებს-იმღერს ტიპის, ფორმებისა), მაგრამ ისტორიულად უკუქცევით ფორმებს თავისი ნიშანიც მოეპოვებოდა (ი- ფორმანტი) და დაპირისპირება ფორმობრივადაც გამიჯნული იყო: ზოგჯერ ეს ძველი ვითარება დიალექტშია შემორჩენილი; მაგალითად, იცხოვრის ტიპის ფორმები აქარულში⁶⁷ ნაცვლად ცხოვრობს ფორმისა. დროთა ვითარებაში ეს თავდაპირველი სისტემა შესუსტდა ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. უკუქცევითობა ქართულში ორ მხრივ განვითარდა, იქცა, ერთი მხრივ. სათავისო ქცევისა და მეორე მხრივ, ერთპირიანი პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებად. ეს „დაშლა“ მოხდა ნამყო ძირითადის ჯგუფში (II სერიაში), დინამიკურ ზმნათა აწმყოს ფორმების ჩამოყალიბებამდე (ეს იმითაც ჩანს, რომ ზოგ. დინამიკურ ფორმას დღესაც უჭირს აწმყოს წარმოება ისევე, როგორც ზოგ. სტატიკურს — ნამყო ძირითადისა; კიდევ უფრო გვიანდელია მყოფადი) და აწმყოში უკვე საკუთარი მოდელებით (მოქმედებით გვარის სათავისო ქცევისა და ი- პრეფიქსიანი ვნებითისა) გაფორმდნენ (ამ თვალსაზრისით კალკე დგანან III სერიის ფორმები: აქ ქცევა არ განირჩევა, ვნებითები კი პირიანობის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს).

2. ფუნქცია წარმმართველი აღმოჩნდა და თავდაპირველი უკუქცევითი (ახლა „საშუალ გვარად“ წოდებული) ფორმების ჯგუფში შემოვიდნენ ძველი თუ ახალი წარმოების ისეთი ზმნები, რომლებიც ფუნქციურად კი უთანაბრდებიან ზემორე სხენებულ ზმნებს, მაგრამ ფორმობრივ ნაირგვარი წარმოშობისა არიან. ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად საშუალ გვარად მიჩნეული სისტემა ფაქტიურად სხვადასხვა ფორმაციისა და ფორმის ზმნათა შედარებით გვიანდელი ერთიანობაა. მიზეზი ამისა არის გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ძირეული ხსიანთის ცვლადებები ენაში. მაგრამ იმის გამო, რომ თანამედროვე ქართულში ამღერებს-მღერის ტიპის ფორმებს შორის დაპირისპირება მაინც არსებითად მათ ფუნქციას ეფუძნება, შესაძლებლად მიგვაჩნია მათსავე სისტემაში შემოვიტანოთ ფუნქციურად მათთან გატოლებული, მაგრამ სხვა წარმოშობის ფორმებიც (წერს-სწერია და მისთნ.)

⁶⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 493—494, 497; З. Г. Чумбуридзе, Будущее время в картвельских языках, Автореферат докторской диссертации, Тбилиси, 1968, стр. 27—28.

⁶⁷ დამოწმებულია პ. ჯაჭანიძის ნაშრომში: აქარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXII, ქუთაისი, 1960, გვ. 121.

§ 13. ამრიგად, ახალმა თვალსაზრისმა მოითხოვა შეცვლილიყო გვარებად განაწილების-ის სისტემა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაშია წარმოდგენილი. გვარებად გახაწილება ზმნის ფორმას, მოდელს უნდა ემყარებოდეს იმდენად, რამდენადაც გვარი გრამატიკული კატეგორიაა, მაგრამ თვით ერთი (მაგალითად, მოქმედებითი) გვარი ფარგლებში შემავალი ყველა ფორმა არ არის ერთგვაროვანი. საკუთრებს დამატებით კლასიფიკაციას. ამ შემთხვევაში ეს დამატებითი კლასიფიკაცია არსებითად აღნიშნულ ფორმათა განსხვავებულ ფუნქციას ემყარება, თუმცა აღმოჩნდა, რომ ისტორიულად მათ შორის ფორმობრივად განსხვავება უნდა იყოს რაოდენობით. ერთი გვარის განსხვავებულ ფორმებს განმასხვავებელი ნიშანიც მოეპოვებოდა, რომელიც უკუქცევითობის თვალსაზრისით აპირისპირებდა მათ). აქედან გამომდინარე, გვარი უფრო ზოგადი კატეგორიაა. ვიდრე უკუქცევითობა, გვარი მოიცავს უკუქცევითობას, მაგრამ უკუქცევითობა ვერ მოიცავს გვარს, იგი მხოლოდ გვარის ერთი ფორმის ფარგლებში მოქმედებს, გვარის მხოლოდ ერთი ფორმის დამატებითი საკლასიფიკაციო ნიშანია. ამდენად, ქართულში ზმნის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით იქნება ორი გვარი: მოქმედებითი და ენებითი, აქედან მოქმედებითი ორგვარია: უკუქცევი და უკუქცევითი. უკანასკნელი ისაა, რასაც საშუალო გვარს ან სტატუტურ ფორმებს უწოდებენ.

ამგვარი სისტემის მიხედვით, მაგალითად, რუსულში გვარის გრამატიკული კატეგორია არ არსებობს. აქ მხოლოდ უკუქცევითი და უკუქცევი ფორმებია. მაგრამ გვარის ფუნქცია (აქტიურობა-პასიურობა) არსებობს და რიგ შემთხვევაში საჭირო ხდება მისი გამოხატვა. მაშინ რუსულში მოქმედებითი გვარის ფუნქციით გამოიყენება ზმნის უკუქცევი ფორმა, ხოლო ენებისთნა (და მასთან ახლო მდგომი მნიშვნელობების) გამოსახატავად — უკუქცევითი ფორმა. ამის შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტი, რომ რუსულში ყველა უკუქცევითი ფორმა ჩვეულებრივ უობიექტოა, ხოლო ობიექტის უქონლობა და ენებითობა ახლო მდგომი მნიშვნელობებია.

§ 14. მოქმედებითი გვარის ფარგლებში აღნიშნული უკუქცევი და უკუქცევითი ფორმების ვაერთიანებას სხვა გარემოებაც უწყობს ხელს. მხედველობაში გვაქვს შესარღველობა მათი შენაცვლებისა; სხვაგვარად: იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ზმნის ერთი და იგივე ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უკუქცევი, ასევე უკუქცევითი მნიშვნელობით, ანუ: როგორც მოქმედებითი, ასევე საშუალო გვარის მნიშვნელობით. ქართულში საკმაოდ მოიპოვება ამ ტიპის ზმნები: ცრის (შდრ. ფქვილს ცრის — წვიმა ცრის), სცემს (ჭოხს თავში სცემს -- კაბა კოჭებამდე სცემს), წარმოადგენს (შდრ. იგი დღეს თავის შრომას წარმოადგენს — ეს შრომა მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს), ანასიათებს (შდრ. მასწავლებელი მოსწავლეს ანასიათებს — მას ცუდი წენე ანასიათებს) და წისონ.

ანალოგიურ ფორმათა სიახლოვეზე აღრევ მიუთითებდნენ: ზოგი ზმნა „გარდაუვალადაც იხმარება და გარდამავალადაც; ასეთებია: გლოვობს, გლოვობს, თამაშობს, ლაპარაკობს, ნანობს, ოცნებობს ფიჭრობს და სხვა“.⁹⁸ იმ შემთხვევაში, როცა ეს ზმნები „გარდამავალად იხმარებიან“, ისინი ფაქტიურად მოქ-

⁹⁸ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ 497, § 532.

მედლებითი გვარის ფორმებს უტოლდებიან და, ბუნებრივია, უკუქცევითობის მნიშვნელობისაგან დაკლილი იქნებიან, თავად დაიქვრენ უკუქცევი ფორმების ადგილს ისე, რომ შესაბამისი უკუქცევითი ცალი აღარ ექნებათ:

I მოქმედებითი:

ვნებითი:

უკუქცევი: აოამაშებს
უკუქცევითი: აოამაშობს (ერთპირიანი,
გარდაუვალი)

თამაშდება

—

მაგრამ:

II მოქმედებითი:

ვნებითი:

უკუქცევი: თამაშობს (ორპირიანი,
გარდამავალი)

(ეთამაშება)

უკუქცევითი: —

გარდა შენაცვლებისა, ყურადსაღებია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ „დანაკლის მწკრივთა ფორმების შევსების საკითხში მედიოაქტივის ფორმათა წარმოებას იზიარებს რამდენიმე გარდამავალი ზმნა, როგორცაა: ანგარიშობს... თაობს... თაკილობს... ქირაობს... ხმარობს (მყოფ. იხმარს), ჩივის...“⁹⁹

მსგავსება შეინიშნება აგრეთვე ნამიძლეობარ ფორმათა გამოყენებაშიც აწმყოს ნაკლული მწკრივის შესავსებად, მაგალითად, აქტიური: ყიდულობს — ე. წ. „მედიალური“: ცდილობს. ამასთან დაკავშირებით სხვა ფაქტიცაა აღსანიშნავი: ამგვარად წარმოებული მოქმედებითი გვარის ყველა ფორმა ფაქტიურად ისევე მწკრივდაკლია და სხვა პარადიგმებში ისევე იცვლის ფუძეს, როგორც მედიალური ფორმები: პოულობს-იპოვის-იპოვა, — ნახულობს-ნახავს-ნახა, კითხულობს-წაიკითხავს-წაიკითხა, და მისთან.¹⁰⁰ ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ორპირიანი, გარდამავალი თამაშობს ტიპის ფორმები მართლაც მივიჩნიოთ მოქმედებითი გვარის ფუნქციის გამომხატველად და, ამდენად, მოქმედებითი გვარის ფორმად, მიუხედავად მათი „მწკრივდაკლია“ უღვლილებისა (თამაშობს-ითამაშებს-ითამაშა). ასე რომ, მოქმედებითი და „საშუალო“ შეიძლება უღვლილებითაც დაემთხვეს ერთმანეთს. მაგრამ ამგვარ ფორმათა სიმეტრიისა და აშკარა თავისებურების გამო, ჩინი მინც გამონაკლისებად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, ადრე აღნიშნულ დებულებას, რომ აქტივი და მედიუმი ერთმანეთისაგან განსხვავდება ფუნქციითა და უღვლილებით, კვლავ ექნება ძალა. და, ამდენად, მათი გამიჯვნის საფუძველიც ეს იქნება, რადგან ფორმით ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ზოგადად ეს მართლაც ასეა (ზევს — მოქმედებითია, მაგრამ ძვეს — მედიალურია, ჭრის — მოქმედებითია, ხოლო ქრის — მედიალური), მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ერთი ძირისაგან (თუ ფუძისაგან) ნაწარმოები მოქმედებითი და „საშუალო“ ფორმები არასდროს ემთხვევიან ერთმანეთს: აწუხებს — მოქმედებითია, წუხს — „საშუალო“ (რეაქ. უკუქცევითი მოქმედებითი); ასევე: აღუღებს-ღუღს, ახურებს-ხურს და მისთან. ასე, რომ ურთიერ-

⁹⁹ იქვე, გვ. 497, § 532.

¹⁰⁰ იხ. იქვე, გვ. 514, § 544.

თმეფარდებით მათი გამიჯვნა მოდელის მიხედვითაც ხერხდება. ოღონდ მაშინ
ლოდ ურთიერთმეფარდებით! რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ცრის სტრუქტურის
ტიპის ფორმებს. აქ დამახვევასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ერთი და იმავე
ფორმის (კონსტრუქციის მიხედვით) სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენებასთან.
ასე რომ, ამგვარი ფორმების ფუნქციისა თუ გრამატიკული მიმართულებების
დადგენა მხოლოდ კონტექსტში ხდება შესაძლებელი.

§ 15. გვარის კატეგორიის თვალსაზრისით თვით ტერმინი „საშუალი (მე-
დიალური) გვარი“ მოკლებულია ყოველგვარ გრამატიკულ მნიშვნელობას (თუ-
კი მას, ასე ვთქვათ, მხოლოდ „სამუშაო ტერმინად“ არ ვიხმართ; ჩვენ სწორედ
ამ თვალსაზრისით ვიყენებთ ამ ტერმინს). ე. წ. „საშუალი გვარის“ გამოყოფა
იყო ერთგვარი გამოსავალი ცალკე გამოყენებით მტად თავისებური ფორმები,
რომლებიც არც მოქმედებითი გვარისა იყო და არც ვნებითი გვარისა. ამ-
რიგად, საშუალი გვარი ისაა, რაც არც მოქმედებითია და არც ვნებითი და
იმავდროულად ორთავეს თვისობასაც იზიარებს. რასაკვირველია, გრამატიკული
ფორმის ასე ნახევრად ნეგატიური (გამორიცხვის წესის მიხედვით) დახა-
სიათება ნაკლებს იძლევა ამ ფორმის ქეშმარიტი ენობრივი ბუნების გაგებისა-
თვის. იმის ჩვენება, რომ იგი არც ერთია და არც მეორე, ნაკლებს იძლევა იმი-
სათვის, რომ გავიგოთ, რა არის იგი.

„საშუალი გვარის“ გამოყოფა და დახასიათება იმ სახით, როგორაც იგი
ზოგიერთ თანამედროვე გრამატიკაშია მოცემული, ფაქტიურად დიონისე თრა-
კიელს ეყუთვის და არსებითი ხასიათის ცვლილება არ განუცდია — ერთი
ფორმა გამოხატავს მოქმედებას, მეორე — განცდას, ხოლო მათ შორის შუა-
ლედად გვევლინება ისეთი ფორმა, რომელიც თავისი გარეგნული ნიშნებით
(ფორმით) განეკუთვნება ამ ორიდან ერთს, ხოლო მნიშვნელობით — მეო-
რეს, — აი, ეს არის დიონისე თრაკიელის კონცეფციის საფუძველი, როგორც
ამას დელბრუკი აღნიშნავს. შტაინთალი ეარაუდობდა, რომ ძველ საბერძნეთ-
შივე შეიქმნა მოსაზრება მედიუმის უკუქცევითი ბუნების თაობაზე. ეს ფაქტი-
ურთუოდ მრავალისმეტყველია და იმაზე მიუთითებს, რომ ადრევე გახდა აუცი-
ლებელი ე. წ. „მედიალური“ ფორმები თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი
თვისების მიხედვით დახასიათებულად.

ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში „საშუალი გვარის“ გამოყოფის სა-
ფუძველი მხოლოდ ფუნქცია იყო. მართალია, ცდილობდნენ „საშუალი გვარი“
ფორმის მიხედვითაც დაეხასიათებინათ, უკეთ: გამოყენებით მისთვის სპეციალუ-
რი მოდელი, ფორმა, მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ მთავრდებოდა. მიზეზი კი
ისაა, რომ აღნიშნული ფორმებისათვის მედიალურობა მხოლოდ ერთ-ერთი (და
არა ერთადერთი) ფუნქცია იყო. ვარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა,
თვით ტერმინი „საშუალი გვარი“ ფაქტიურად არავითარ გრამატიკულ ცნებას
არ შეიცავს და, ბუნებრივია, არც რომელიმე გრამატიკული ფორმის დასახასია-
თებლად გამოდგება. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს არსებითი ხასიათის წი-
ნაალმდებობა ენათმეცნიერებს შეუმჩნეველი დარჩათ, მაგრამ, სამწუხაროდ,
ზოგჯერ ვერ პოულობდნენ ამ წინააღმდეგობის დაძლევის გზას, ზოგჯერ კი
მხოლოდ მისი აღნიშვნით კმაყოფილდებოდნენ.

ეს წინააღმდეგობა გაჩნდა ჯერ კიდევ ძველინდურ (პანინის) გრამატიკაში,
სადაც გამოყოფილი იყო გვარის ორი — აქტიური და მედიალური — ფორმა.
მიუხედავად იმისა, რომ პანინის გრამატიკაში ეს დაპირისპირება გრამატიკულ-

ჟორმას ეყრდნობოდა (აქტიური: *ṣūjāsi* — იგი ზვარაკს სწირავდა ვილაც სხვის ნაცვლად“ და მედიალური: *ṣūjāsī* — „იგი ზვარაკს სწირავდა თავის თავისაჲს“), მაინც ისე ჩანს, რომ ეს მნიშვნელობა ამ „მედიალური“ ფორმისაჲს, სხვათა გვერდით, მხოლოდ ერთ-ერთი იყო. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგივე მოდელი, როგორც ეს თვით იმ ძველინდურ გრამატიკებშია აღნიშნული, გამოიყენებოდა იმპროსონალურ და პასიურ კონსტრუქციებშიც. ის ფაქტიც, რომ პანინიმ დაადგინა მედიუმისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი მნიშვნელობებისა,¹⁰¹ იმაზე მეტყველებს, რომ მედიუმში, როგორც გვარის გარკვეული მნიშვნელობის მქონე ერთიანი გრამატიკული ფორმა, არც ძველ ინდურ ენაში უნდა არსებულებოდა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ძველინდურ გრამატიკებში აქტიური და მედიალური ფორმებისათვის საკუთარი, სავსებით შესაბამისი ტერმინებია გამოყენებული (*parasmāipada* — სიტყვის ფორმა, რომელიც მიმართულია ვილაც სხვისადმი; და *atmanēpada* — სიტყვის ფორმა, რომელიც მიმართულია თვით სუბიექტისადმი). ამრიგად, უზუსტოა ამ ტერმინთა თარგმანი და არა ამ ფორმათა გრამატიკული დახასიათება თვით ძველინდურ გრამატიკაში: სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ტერმინი „მედიალური“ არ გამოდგება იქ, სადაც გვარის მხოლოდ ორი ფორმაა. ამიტომ, ძველი ინდური ტერმინები უფრო უკუქცევითსა და უკუუქცევს (თუნდაც: გარდამავალ უკუქცევითს) შეესაბამება, ვიდრე აქტიურსა და მედიალურს. ამრიგად, ძველი ინდურ გრამატიკებში უფრო ზუსტი ტერმინოლოგია აღმოჩნდა ამ ფორმებისათვის, ვიდრე გაცილებით უფრო გვიანდელ ევროპულ გრამატიკებში.

ანტიკურ სამყაროშივე გვარის ტრადიციული საში ფორმის გვერდით სხვა ფორმებიც გამოიყო (ზოგი გრამატიკის მიხედვით ოთხი გვარია, ზოგის მიხედვით — ხუთი), რაც სინამდვილეში გვარის ცალკეული ფორმები კი არ იყო, არამედ ამ ფორმათა კონტექსტური ფუნქციები და, ამიტომაც, დაყოფა ფორმის საფუძველზეც კი არ ხდებოდა, არამედ ფუნქციას, მნიშვნელობას ეყრდნობოდა და აღნიშნული „ფორმებიც“ ფაქტიურად ერთი და იმავე გრამატიკული ფორმის კონტექსტურ მნიშვნელობას ითვალისწინებდა, როგორც ეს, მაგალითად, რუსულში დასტურდება: *Окно моется* და *Ребенок моется*, პირველ შემთხვევაში იგი ვნებითადაა გაგებული, მეორე შემთხვევაში — მოქმედებითი გვარის მნიშვნელობის მქონე უკუქცევით ფორმად.¹⁰² სინამდვილეში იგი ზმნის ერთი და იგივე — უკუქცევითი — ფორმაა, რომელიც კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მნიშვნელობით; ამიტომ აქ ფუნქციაზე უნდა ვილაპარაკოთ და არა გრამატიკულ (მით უმეტეს, გვარის) ფორმაზე. ეს კონტექსტური მნიშვნელობა კი ძალზე მერყევია: მაგალითად, მეორე კონსტრუქციაში, რომელიც ახლა აქტიურ უკუქცევით ფორმადაა გაგებული, საკმარისია ჩაერიოთ რეალური სუბიექტის მნიშვნელობით გამოყენებული ფორმა და იგივე ზმნა უკვე ვნებითის მნიშვნელობას მიიღებს: *Ребенок*

¹⁰¹ В. Delbrück, *Vergleichende Syntax der indogermanischen Sprachen*, 1897, IV 2.

¹⁰² Современный русский язык, II (Под редакцией проф. Е. М. Галкиной — Ф. Федорук): М., 1964, стр. 159. იხ. აგრეთვე: А. М. Пешковский, *Русский синтаксис в научном освещении*, М., 1938, стр. 132 и др.

моется матерью. შეუძლებელია ამ მერყევე კონტექსტურ მნიშვნელობებს დაეყრდნოს გრამატიკული კლასიფიკაცია, თუმცა მათი აღნიშვნა და დახასიათება აუცილებელია; თუნდაც იმიტომ, რომ მათ დროთა განმავლობაში შეუძლიათ არსებითი ხასიათის ცვლილებები გამოიწვიონ ფორმაშიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვახდებთ შესაძლებელი მათი ცალკე გრამატიკულ ფორმად გამოყოფა. ის ფაქტი, რომ „საშუალო გვარის“ გამოყოფა ყოველთვის ფუნქციურია, ნათლად ჩანს რუსული ენის მაგალითზეც. რუსულ ენას ამჭერად იმის გამო ვეხებით, რომ უკუქცევითობა აქ მკვეთრად გამოყოფილი კატეგორიაა და გვართან (კერძოდ, „საშუალო გვართან“) დაკავშირებით იგი ფრიალ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს.

რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის შენიშნული ის სიმძლე, რომელიც გვარის გრამატიკული კატეგორიის დახასიათებას ახლავს თან იმ შემთხვევაში, როცა ითვალისწინებენ ზმნის მხოლოდ სემანტიკურ (*resp.* ფუნქციურ) მხარეს.¹⁰³ ეს კომენტარი გამოიწვია სწორედ იმ აღრევამ, რომელიც გვარის პრობლემასთან დაკავშირებით სუფევდა რუსული ენის როგორც ძველ, ისე ახალ გრამატიკებში. თუ არ ჩავთვლით ბერძენი და რომაელი გრამატიკოსების აშკარა გავლენით დაწერილ სლავური გრამატიკის პირველ მთლიან კურსს მელეტი სმოტრიცისა, ზმნის გვარის მეცნიერული დახასიათების ცდა რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში მ. ვ. ლომონოსოვის სახელთან არის დაკავშირებული. მართალია, ბერძნული და რომაული გრამატიკების გავლენას ბოლომდე მანაც ვერ დააღწია თავი, მაგრამ იგი კარგად ხედავდა იმ წინააღმდეგობას, რომელსაც საბერძნეთსა და რომში შემუშავებული გრამატიკული სისტემის რუსულ ენაში უკრიტიკოდ შემოტანა იწვევდა. ფაქტიურად უკვე მ. ვ. ლომონოსოვის ნაშრომში ჩანს, რომ რუსულში პასიურობა და „მედიალურობა“ არსებითად უკუქცევითი ფორმების ფუნქციები და არა დამოუკიდებელი გრამატიკული ფორმები. ეს ვარაუდი მეტ-ნაკლები სიზუსტით აისახა სხვა რუსი გრამატიკოსების (ა. ხ. ვოსტოკოვის, ვ. ი. დალის და სხვების) შრომებშიც, მაგრამ აღნიშნულის მეცნიერული დასაბუთების პირველ ცდას თ. ი. ბუსლაევის ნაშრომში ვპოულობთ: „უკუქცევითი ზმნის გამოყენება საშუალო, საურთიერთო, ვნებითი ან საკუთრივ უკუქცევითი გვარის მნიშვნელობით დამოკიდებულია იმ მნიშვნელობაზე, რომლებიც ეძლევა ამ ზმნას წინადადებაში,“¹⁰⁴ აღნიშნავდა იგი, მაგრამ იმის გამო, რომ გვარის ფორმათა გამოყოფისას იგი მაინც სემანტიკას იღებდა ამოსავლად, მოქმედებითის გვერდით კვლავ გამოყოფდა ვნებით, საშუალოს და უკუქცევით გვარებს. საინტერესოა ისიც ვარაუდი, რომ ყოველი უკუქცევითი ზმნა თავდაპირველად შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო -*ся* ნაწილაკის (ანუ როგორც ის უწოდებს, ნაცვალ-სახელის) გარეშე: жалопать იგივე იყო, რაც ახლა: жаловаться. ამრიგად, თ. ი. ბუსლაევმა სწორად აღნიშნა უკუქცევითი ფორმების ბუნება, მაგრამ თავისი სწორი მიგნების საფუძველზე აღარ ააგო რუსულში გვარის გრამატიკული სისტემა. მიზეზი გასაგებია და ზემოთაც უკვე ნახსენები: ამოსავლად ის აღებს მნიშვნელობას, სემანტიკას და არა •ფორმას. ამ შემთხვევაში კი ერთმანეთის

¹⁰³ С. П. Обнорский, Очерки по морфологии русского глагола, М., 1953, стр. 59.

¹⁰⁴ Ф. И. Буслаев, Историческая грамматика русского языка, М., 1959, стр. 350.

გვედრით შეიძლება აღმოჩნდნენ სრულიად განსხვავებული ფორმის ზმნები: ასე, მაგალითად, საურთიერთო კვართან დაკავშირებით, თვით თ. ი. ბუსლაევი აღნიშნავს, რომ იგი შეიძლება გადმოიტყოს როგორც უკუქცევითი, ასევე უკუ-უქცევი ფორმით (сражаться с кем და ასევე: разговаривать с кем). როგორც ითქვა, ეს საფუძველი ძალზე მერყევია და გამოუსადეგარი გრამატიკული ფორმის კლასიფიკაციისათვის. კონტექსტური ფუნქცია შეიძლება გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე გამოყოფენ (თუ ახლა არ არის, შემდეგ წარმოიქმნას).¹⁰⁵ თუ რაოდენ მრავალი კონტექსტური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს უკუქცევით ფორმას, ეს კარგად გამოაჩინა ა. ა. შახმატოვმა, რომელმაც უკუქცევითი ფორმების 15 ფუნქცია (საკუთრივ-უკუქცევითობა, საშუალ-უკუქცევითობა, ზოგად — უკუქცევითობა, ვნებით — უკუქცევითობა და ა. შ.) გამოარკვია და დაადგინა. უკუქცევით ფორმათა ფუნქციების ანალიზი ა. ა. შახმატოვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეცნიერულ მიღწევად ითვლება.¹⁰⁶ უფრო ადრე რუსული ზმნის ეს თავისებურება სცადეს გრამატიკული სისტემის აგების დროსაც გაეთვალისწინებინათ, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ რუსული ზმნის ორ ძირითად ჯგუფად გამოიყო უკუქცევი და უკუქცევითი ზმნები (ვ. ი. დალი, ნ. ნეკრასოვი), ხოლო შემდეგ თ. თ. ფორტუნატოვმა ისინი დაახასიათა როგორც უკუქცევი და უკუქცევითი გვარი: ამასთან ერთად გააანალიზა უკუქცევით ზმნათა მრავალფეროვანი ფუნქცია რუსულში.¹⁰⁷ ფაქტიურად სემანტიკა დარჩა ამოსავალი წერტილი გვარის ფორმათა კლასიფიკაციისას დ. ნ. ოკსია-ნკო-კულიკოვსკისა¹⁰⁸ და ვ. ა. ბოგოროდიცისათვისაც.¹⁰⁹ ამის საფუძველზე გამოყოფილი გვარის ფორმები ზოგ ლინგვისტურ ლექსიკონში¹¹⁰ და რუსული ენის ერთ-ერთ აკადემიურ გრამატიკაში.¹¹¹ რის გამოც მოქმედებითისა და ვნებითის გვერდით გამოიყოფა ე. წ. საშუალ-უკუქცევითი გვარიც. გარკვეულ შემთხვევებში წინააღმდეგობა იმდენად ძლიერია, რომ მოცემულია ცდა მისი დაძლევისა, რადგან უმასუხოდ მისი დატოვება შეუძლებელი იქნებოდა. კერძოდ, გარდაუვალი ზმნებისაგან ნაწარმოები უკუქცევითი ფორმებისა (сты-хаться-стучаться) და შესაბამისი უკუქცევი ფორმების უქონელ უკუქცევით ფორმათა (бояться, смеяться) განხილვისას უკვე ლაპარაკია ზმნის უკუქცევით ფორმებზე (და არა უკუქცევით გვარზე);¹¹² განსაკუთრებით აშკარად ჩანს ეს წინააღმდეგობა ე. წ. საშუალ-უკუქცევითი გვარის ფორმათა მნიშვნელობების განხილვისას.¹¹³ სწორედ აქ გამოჩნდა ნათლად, რომ გვარის ამ ფორმაში

¹⁰⁵ რომ არაფერი ვთქვათ გრამატიკულ ფორმაზე, რომელიც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ენაში დადასტურებული კონტექსტური ფუნქციები.

¹⁰⁶ В. В. Виноградов, Русский язык, Москва—Ленинград, 1947 стр. 629.

¹⁰⁷ Ф. Ф. Фортунатов, О значениях русского глагола, Известия ОРЯС. т. VI, СПб., 1899.

¹⁰⁸ Д. Н. Овсянко-Куликовский. Спитакелне русского языка. СПб., 1912.

¹⁰⁹ В. А. Богородицкий, Общий курс русской грамматики, М., 1935.

¹¹⁰ О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, М., 1966, стр. 152—154.

¹¹¹ Грамматика русского языка, I. Фонетика и морфология, М., 1960, стр. 413 и др. (Автор раздела «Глагол», — член-корр. АН СССР Е. С. Нестрица).

¹¹² იქვე, გვ. 413.

¹¹³ იქვე, გვ. 416—420.

ფაქტიურად ისაა გავრთიანებული, რაც მოქმედებით და ვნებით გვარის (მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი) გაგების ვაიეთ დარჩა, უკეთ: ყველაფერია ის, რაც სინამდვილეში უკუქცევითი ფორმების კონტექსტური მნიშვნელობებია. ცალკეა განხილული გარდაუვალი ზმნებისაგან ნაწარმოები და შესაბამისი უკუქცევი ფორმების უქონელი უკუქცევითი ფორმები; ეს ფორმები, ამ შრომაში წარმოდგენილი თვალსაზრისის თანახმად, საერთოდ არ შედიან გვარის კატეგორიის სისტემაში.¹¹⁴ ეს კი კიდევ უფრო აღრმავებს აღნიშნული თვალსაზრისისათვის ისედაც დამახასიათებელ წინააღმდეგობას.

ამის საპირისპიროდ არსებობს შეხედულებანი, რომლებიც ასე თუ ისე გრამატიკული ფორმის ანალიზს (და არა მხოლოდ ფუნქციას) ემყარებიან. თუმცა ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობის საკვებით დაძლევას.

თავის დროზე მ. ბრეალმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ინდოევროპულ ენათა სისტემისათვის საერთოდ უცხოა „პასივის იდეა“.¹¹⁵ რასაკვირველია, „პასივის იდეა“ ან პასივის ფუნქცია უმეტესად უცხო არ იქნება ენათა უმრავლესობისათვის, მაგრამ ის კი აღმოჩნდება, რომ სპეციფიკური ფორმა ამ ფუნქციისათვის ბევრ ენაში არ დადასტურდება და მაშინ ენა გარკვეულ ფორმას გამოიყენებს აღნიშნული ფუნქციის გამოსახატავად. ეს კარგად დაინახა ა. ა. პოტებნიამ,¹¹⁶ რომლის ჩანაწერების საფუძველზე გაკეთდა საესებით სწორი დასკვნა, რომ რუსულში (ისევე როგორც სხვა სლავურ ენებში) ენებითი გვარის ფორმა არ არის, მაგრამ არსებობს პასიური კონსტრუქციები (страдателные формы): პრედიკატიული (რომლის შემადგენლობაში შედის ზმნის უკუქცევითი ფორმა) და ატრიბუტული (რომელიც ენებითი გვარის მიმღებობით იწარმოება). პრედიკატულ პასიურ კონსტრუქციაში, განსხვავებით ატრიბუტულისაგან, ენებითობის ფუნქცია ნაკლებია.¹¹⁷

ეს მოსაზრება ჯერ კიდევ მ. ვ. ლომონოსოვთან გვხვდება. როგორც იგი აღნიშნავს, რუსულში ნამდვილი ენებითი გვარი შედგება ენებითი მიმღებისა და მეშველი ზმნისაგან,¹¹⁸ თუმცა მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ ენებითობის გამოსახატავად სლავურ მეტყველებაში უფრო უკუქცევით ზმნებს იყენებენ, ვიდრე ენებით ფორმებს.

და მართლაც, ზმნის გვარის გრამატიკულ ბუნებას თუ ვავითვალისწინებთ, რუსულში არ აღმოჩნდება გვარის კატეგორია, იქნება მხოლოდ გარდამავალი და გარდაუვალი. ერთი მხრივ, და უკუქცევითი და უკუქცევი ფორმები, მეორე მხრივ. გვარის გაგება დამახასიათებელია მხოლოდ რუსული მიმღებობისა-

¹¹⁴ იქვე, გვ. 420 და შმდ.

¹¹⁵ M. Breal. *Essai de sémantique (science des significations)*, Paris, 1897, 95.

¹¹⁶ A. A. Потення, Из записок по русскому грамматике, т. IV, 1941 (გამოქვეყნებულია გარდაცვალების შემდგომ).

¹¹⁷ ვ. ვ. ვინოგრადოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 617.

¹¹⁸ М. В. Ломоносов, *Российская грамматика. Полное сочинение* т. 7, М., 1952.

თვის.¹¹⁹ უფრო ადრე ანალოგიური მოსაზრება ზმნის გეარზე (კერძოდ, რუსულ კნებით გეარზე) განავითარა ს. კარცევსკიმ.¹²⁰ აქედან გამოდინარე, ბუნებრივია, ეს ნაწილაკი ვერ იქნება რუსულ ზმნეში გეარის მნიშვნელობის ძირითადი გამოხატველი,¹²¹ და, ალბათ იმის თქმაც გაჭირვებოდა, რომ უკუქცევითი ზმნეების მნიშვნელოვანი ნაწილი ვნებითი გეარის ზმნებთან ომონიმებს ქმნიან.¹²² თუკი აქ არ ვიგულისხმებთ იმ ფაქტს, რომ უკუქცევითი ზმნები რუსულში ჩვეულებრივ შესაძლებელია ვნებითი გეარის მნიშვნელობით იქნენ გამოყენებულნი. სხვა მხრივ ისევ ზმნის მნიშვნელობა უნდა ავიღოთ გეარის ფორმათა გამოყოფის საფუძვლად, რაც (როგორც უკვე აღინიშნა) გაუმართლებელია. ამის გაუთვალისწინებლად, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა ზმნის გეარის ფორმათა კლასიფიკაციისათვის ერთიანი პრინციპი დაგვედო საფუძვლად, რადგან მაშინ ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდებოდა სულ სხვადასხვა რიგის ფაქტები.¹²³

§ 16. უკუქცევითობისა და ე. წ. „მედიალურობის“ ურთიერთობის პრობლემა სხვა ენების მიმართაც დვას. ამ საკითხის შესწავლას ცდილობდნენ ზოგადად ინდო-ევროპული ენების თვალსაზრისითაც. ამ პრობლემას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი გარკვეულ ურთიერთობას ვარაუდობს ვნებითი და ე. წ. საშუალი გეარის ფორმებს შორის: ასე, მაგალითად, ცნობილია მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ინდოევროპული ენების ვნებითი გეარი წარმოიშვა საშუალი გეარისაგან“.¹²⁴ და პირიქით — საპირისპირო ვარაუდი: პასივი უძველესია, მედიუმი კი მეორეულია მასთან შედარებით.¹²⁵ რას წარმოადგენს ეს „მედიუმი“, კარგად ჩანს მისი წარმოების მიხედვით: სკანდინავური „საშუალი“ გეარი „წარმოიშვა მოქმედებითი გეარის ფორმათა შერწყმით უკუქცევით ნაცვალსახელთან. გერმანულში არ მოხდა უკუქცევითი ნაცვალსახელის ზმნასთან ფორმალური შერწყმა, მაგრამ ამ ელემენტების ფუნქციური შერწყმა ჩვენ აქაც შეგვიძლია დავადასტუროთ“; და, დასკვნა, რომელიც ფრიად ნიშანდობლივია: „უკუქცევითმა ფორმებმა ნაწილობრივ შეცვალეს ინდოევროპული საშუალი გეარი“.¹²⁶ ამრიგად, „საშუალი გეარი“ (ყოველ შემთხვევაში, ნაწილი „საშუალ გეარად“ გამოცხადებული ფორმებისა) ისევ ის უკუქცევითი ზმნები აღმოჩნდა მეორე ნაწილი „საშუალი გეარის“ ფორმებისა ფაქტიურად ამ უკუქცევით ზმნებთან ფუნქციურად გატოლებული ფორმებია. ეს თითქოს ა. მეიეს მსჯელობიდანაც

¹¹⁹ იხ. რედაქტორის შენიშვნა წიგნში Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов (Перевод Н. Д. Андреева, под редакцией А. А. Реформатского, предисловие В. А. Звегинцева), М., 1960, стр. 106.

¹²⁰ S. Karcevski, Système du verbe russe, Essai de linguistique synchronique (Paris, 1927).

¹²¹ შტრ. И. П. Мучник, Грамматические категории глагола и имени в современном русском языке. М., 1974, с. 46.

¹²² Грамматика современного русского литературного языка М., 1970, стр. 353.

¹²³ А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, Русский глагол, Ленинград, 1967, стр. 156.

¹²⁴ Г. Пауль, Принципы истории языка, Москва, 1960, стр. 336.

¹²⁵ E. Cassirer -ისა და A. Margulies-ის მოსაზრება ციტირებულია ი. პ. მუჩნიკის დასახელებული ნაშრომის მიხედვით (გვ. 84).

¹²⁶ პ. პაული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 336-337.

ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ იგი უარყოფს საშუალო გვარისა და უ„უქცევით“ ფორმების იდენტურობას („საშუალო გვარი არ არის უქუქცევითი...“), მაინც აღინიშნავს, რომ საშუალო გვარი „ხშირად გამოხატავს უქუქცევითობასთან მი-ახლოვებულ მნიშვნელობებს.“¹²⁷ მით უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბერძნულში ზოგიერთი გრამატიკული დროის ფორმებში ძოქმედებითი გვარის ზმნებს „საშუალო გვარის“ დაბოლოება მოეპოვებოდა.¹²⁸ ეს სიახლოვე მოქმედებითი და ე. წ. „საშუალო გვარის“ ფორმებისა, როგორც უკვე ზემოთ სპეციალურად აღინიშნა, არ არის შემთხვევითი. იგი მიუთითებს, რომ გვარის მნიშვნელობა მათ ფაქტიურად ერთი და იგივე აქვთ და განსხვავება სულ სხვა (კერძოდ უქუქცევითობის) ასპექტში დასტურდება. ის, რომ თანამედროვე ენაში ზოგ უქუქცევით ფორმას შეიძლება ნაკლებად ან საერთოდ არ ახლდეს უქუქცევითობის მნიშვნელობა, საქმის რეალურ ვითარებას არ ცვლის, რადგან ზემორე თქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს უქუქცევით ფორმას მხოლოდ ერთი მკვეთრად გამოხატული მნიშვნელობა — მხოლოდ უქუქცევითობის ფუნქცია მოეპოვებოდეს და პირიქით, არაუქუქცევით ფორმას რიგ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს უქუქცევითი მნიშვნელობა და მიუხედავად ამ მნიშვნელობებისა (რომელთა საგანგებო გამოყოფისა და შესწავლის აუცილებლობა უეჭველია), გრამატიკული კლასიფიკაციის დროს ყურადღება უპირობოდ ფორმას უნდა მიექცეს, რადგან მოცემულ ენობრივ სისტემაში არსებობს მხოლოდ ის კატეგორიები, „რომელთაც მოეპოვებათ სპეციფიკური მორფოლოგიური გაფორმება; მორფოლოგიური ფორმის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ლინგვისტურ, ენობრივ კატეგორიებზე“.¹²⁹ მიუხედავად ამისა, ინდოევროპული ენების მედიუმს არსებითად მხოლოდ მისი ფუნქციების საფუძველზე გამოყოფენ და ახასიათებენ შედარებით გვიანდელ ნაშრომებშიც კი, თუმცა, თავის მხრივ, პერექტის, მდგომარეობის კატეგორიისა და უქუქცევითობის ფუნქციური მსგავსება-განსხვავებისა და ურთიერთობის თვალსაზრისით ამგვარი კვლევა-ძიება უთუოდ საინტერესოა და აუცილებელიც.¹³⁰ მაგრამ ის ფაქტი, რომ გრამატიკული ფორმა არ არსებობს მნიშვნელობის (resp. ფუნქციის) გარეშე, სრულებით არ ნიშნავს ფორმისა და ფუნქციის გამიჯვნის შეუძლებლობას. პირიქით, მათი გაუმიჯნაობა ხდება უკვე შეუძლებელი. ბუნებრივია, ყოველ გრამატიკულ ფორმას მოეპოვება გარკვეული ენობრივი ფუნქცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს იმავე ფორმას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ფუნქცია ან პირიქით, რომ აღნიშნული ფუნქცია შეუძლებელია სხვა გრამატიკულ ფორმითაც რეალიზდეს. ამის განურჩევლობა უთუოდ გამოიწვევს იმგვარ აღ-

¹²⁷ А. Мейс, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва-Ленинград, 1938, стр. 257.

¹²⁸ იქვე, გვ. 257.

¹²⁹ იხ. მასალები საერთაშორისო კონგრესისა, რომელიც მიეძღვნა ბალკანისტიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის საკითხებს (სოფია, 1966); Балканско езикознание. XIII. I, София, 1968, 131.

¹³⁰ იხ. მაგალითად, А. Н. Савченко, Категории среднего залога в индоевропейском языке, (Автореферат), Ленинград, 1960.

რევას, რაც ამჟერად უკუქცევითი ზმნის მაგალითზე შევეცადეთ გვეჩვენებინა: სწორედ უკუქცევითი ზმნის, უკუქცევითი ფორმის მრავალმნიშვნელობიანობამ გამოიწვია გვარის რამდენიმე „ფორმის“ გამოყოფა იმ ენაწილში კი, სადაც გვარი, როგორც გრამატიკული კატეგორია, საერთოდ არ დასტურდება და მთელი ეს კლასიფიკაცია მხოლოდ ფუნქციასზე იქნა აგებული.

§ 17. ამრიგად, ამ მოკლე ისტორიული ხასიათის ექსკურსილან კარგად ჩანს, რომ უკუქცევითობა გვარის კატეგორიის გარეშე მდგარი ენობრივი წარმონაქმნია, ცალკე, დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიაა. იგი არ ემთხვევა არც გვარს, არც გარდამავლობა-გარდაუვალობას და არც დინამიკურობა-სტატიკურობას. ეს სულ სხვადასხვა ენობრივი ცნებებია და მათი გაუმიჯნაობა გაუმართლებელი აღრევის მიზეზი შეიძლება გახდეს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თითქმის აღნიშნული კატეგორიები (ფუნქციური და გრამატიკული) არასდროს თანხვედრიან ერთმანეთს. პირიქით, ისინი ზმირად ერთ-ერთობის ყოველ ფორმას მუდამ თან ახლავს გარდამავლობისა თუ გარდაუვალობის. დინამიკურობისა თუ სტატიკურობის ფუნქციური გაგებაც. ასე, მაგალითად, მოქმედებითი გვარის მოდელის მქონე ზმნა ფუნქციით უმეტესად აქტიურია და იმავდროულად დამატებითი ფუნქციით შეიძლება იყოს: ა) დინამიკური და გარდამავალი (წერს, ჩეხს, ღრეკს, ხატავს, აკეთებს, ათბობს...), ბ) სტატიკური და გარდამავალი (ამჟერად ქართულში ორადორი ზმნაა ასეთი: იცის¹³¹ და უწყის), გ) სტატიკური და გარდაუვალი (წუხს, ნადირობს, რბის, ცურავს, ჰკიდია...). ვნებითი ფუნქციით ყოველთვის გარდაუვალია და დინამიკური (ყოველ შემთხვევაში, ქართულში), ხოლო აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით უმეტესად პასიურია (იხატება, ეხატება; თეთრდება, უთეთრდება; თბება, უთბება), მაგრამ ზოგჯერ შეიძლება გადმოსცემდეს აქტიურ მოქმედებასაც (ღებონენსება: ილოცება, იბღვირება, ეთამაშება, მპირდება...); მოქმ. გვარის ზმნა შეიძლება იყოს უკუქცევითი (წერს, უწერს...) და უკუქცევითი (ე. წ. სათავისო ქცევისა: იწერს, იკეთებს... ანდა: გარდაუვალი უკუქცევითი: იღიბის... ან კიდევ გარდამავლობის თვალსაზრისით ლაბილური ზმნები: იმღერს|იმღერის, იგლოვს|იგლოვს და ა. შ.). ამრიგად, აქ დაახლოვებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც იმ გრამატიკული კატეგორიების შემთხვევაში, რომლებიც ერთდროულად შეიძლება იქნენ წარმოდგენილი ზმნის ერთ კონკრეტულ ფორმაში.¹³² ასე, მაგალითად, რომელიმე წერდეს ფორმაში ერთდროულადაა წარმოდგენილი დროის, კილოს, გვარის, ქცევის და სხვა გრამატიკული მნიშვნელობები, მათი აღრევა, გაუმიჯნაობა შეუძლებელია და სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი რამ არც დასტურდება. სამწუხაროდ, ასევე არ წდება ფუნქციური კატეგორიების მიმართ; არ ითვალისწინებენ იმას, რომ ომწელიწადში ПИШЕТЯ ზმნა უპირველესად უკუქცევითი ზმნაა და ვნებითობა მხოლოდ მისი

¹³¹ არნ. ჩ ი კ ბ ა ე ა, მსდარისა და მიმღებობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, ივე V, 1953, გვ. 33 (იყის „გარდამავალი ზმნაა. სტატიკურია“); შდრ. მისივე: ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, ივე, XVI, 1948, გვ. 12, („გარდამავლობა სტატიკურ ზმნასთან შეუთავსებელია“).

¹³² ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 167.

ერთ-ერთი ფუნქციაა, რომელიც აღარ მოეპოვება, მაგალითად, *რუგაბესა* უკუქცევით ფორმას.

ვარაუდობენ, რომ „უკუქცევითი ფორმა აღნიშნავდა იმავე მოქმედებას, რასაც უკუუქცევი, მხოლოდ მის სუბიექტში ჩაკეტულს, გარეშე ობიექტზე გარდაუვალს.“¹³¹ ამდენად, უკუქცევით ფორმებს გარდაუვალი ზმნის ფუნქცია აქვთ.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ უკუქცევით ფორმას ზოგიერთ ენაში შეიძლება ჰქონდეს გარდამავალი ზმნის შინაარსიც. ეს ხდება მაშინ, როცა უკუქცევითი ფორმით გადმოიკემა მოქმედება, რომელსაც სუბიექტი თავისი ინტერესებისათვის ასრულებს. მაგალითად, თურქმენულ ენაში უკუქცევით ფორმას გარდა მოქმედების უკუქცევითობისა; შეუძლია აღნიშნოს მოქმედების შედეგის უკუქცევითობაც და, ამდენად, თავისი ფუნქციით გარდამავალი ზმნის ფორმას უთანაბრდება: *ტიკშიმეკ* — იყრავს. ანალოგიური ვითარება დასტურდება იაკუტურ, ალთაურ, ტუვურ და თურქული ჯგუფის სხვა ენებში. ასევე, ყირგიზულში: საკუთრივ უკუქცევითი ფორმები შეიძლება იყვნენ უობიექტონი (როცა მოქმედება მიმართულია მხოლოდ თვით სუბიექტზე) და შეიძლება ჰქონდეთ ობიექტი (მოქმედება მიმართულია გრამატიკულ ობიექტზე, მაგრამ სრულდება სუბიექტის სასარგებლოდ). ასე რომ, თურქულ ენებში უკუქცევით ფორმებთან შესაძლებელია დასტურდებოდეს პირდაპირი დამატება და ამდენად, უკუქცევითი ფორმები გარდამავალი ზმნის ფუნქციით იყვნენ დატვირთული.

ტიპოლოგიურად მსგავსი ვითარება დასტურდება ინდოევროპულ ენებშიც. მაგალითად, ლიტვურში უკუქცევითი ფორმა საკუთრივ უკუქცევითობის გარდა, აღნიშნავს სუბიექტის მიერ თავისი ინტერესებისათვის შესრულებულ მოქმედებასაც: *nupiauti* (ჭრის) — *nusipiauti* (იჭრის), ხოლო ლატვიურში დასტურდება გარდამავალი უკუქცევითი ზმნები: *noskatities izīrādi* — წარმოდგენის ცქერა (*noskatīties epiektakls*).¹³⁴

და, რაც მთავარია, თვით ქართული იცის, იწერს, იხატავს, იკიდებს ტიპის ზმნებიც ამაზე მეტყველებენ. სტატიკური ზმნა რომ გარდამავალიც შეიძლება აყოს იმავდროულად, ამის ნიმუშად იცის, უწყის ზმნები შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, თავისი ფუნქციით უკუქცევითი ფორმა ორგვარია:

ა) გარდაუვალი;

ბ) გარდამავალი.

პირველი აღნიშნავდა, რომ მოქმედება თვით უბრუნდება სუბიექტს, მეორე — სუბიექტს უბრუნდება მოქმედების შედეგი.

უკუქცევითობას თავისი ნიშანი აქვს ქართულში. ეს ნიშანია ი-პრეფიქსი; იგი შედარებით ახალ წარმოქმნილ კატეგორიებში (ქცევასა — სათავისო ქცევის ნიშნად და ვნებითში — ი-პრეფიქსიანი ვნებითის ნიშნად) განაწილდა, ხო-

В. В. Виноградов, Русский язык, стр. 630.

¹³¹ იხ. Языки народов СССР, том II (Тюркские языки), М., 1966, стр. 102, 393, 495 и др.; М. Н. Петерсон, Очерк литовского языка, М., 1955; Р. Грабис, Латышский язык, Языки народов СССР, том I, стр. 482; М. Ф. Семёнова, Сопоставительная грамматика русского и латышского языков, Рига, 1966, стр. 102; см. также: Грамматика современного русского литературного языка, М., 1970, стр. 353.

ლო საკუთრივ უკუქცევით ზმნათა ერთ ნაწილსადა შემორჩა აწმყოში (ილინის. იტენის, იმღერს, იკლოვს, შეიგარძნობს, იძახის და მისთნ.), მაგრამ ჩვეულებრივ გამოვლინდება უღვლილების პარადიგმებში (პიბინებს-იბიბინებს-იბიბინა; ცხოვრობს-იცხოვრებს-იცხოვრა; დგას-იდგება-იდგა; ძვ. ქართული: დგა და მისთან.). ამ მხრივ გამოჩაყლის წარმოადგენს ფორმათა მსლოდ ერთი მცირე ნაწილი (უყვარს-უყვარება; სძულს-ძულება და მისთნ.), რომლებიც ფუნქციურად ზემოაღნიშნული ფორმების სასხვისო (საობიექტო) ქცევის სისტემას გაპყვენენ (შდრ. ბიბინებს-იბიბინებს||აბიბინდება, მაგრამ: უბიბინებს-აუბიბინდება; პარალელური უკუქცევითი ფორმა აღარა აქვს). საერთოდ, სტატიკურ სასხვისო ქცევის ზმნებს მხოლოდ ვნებითის ფორმები ჩაენაცვლება უღვლილების პარადიგმებში. ეს იმიტომ, რომ ქცევა გვიანდელია და ჩამოყალიბების შემდგომ გარკვეული ცელილება გამოიწვია საერთოდ ქართული ზმნის მთელ სისტემაში, ერთმანეთს დაუკავშირა ისეთი ფორმები, რომლებიც ადრე სულ სხვადასხვა წარმოშობისა და მნიშვნელობისა იყვნენ. ქცევა (ვერსია) არსებითად უკუქცევ ფორმებს შეესო, რის საფუძველზე უკუქცევ ნეიტრალურ ფორმას დაუპირისპირდა უკუქცევი (ირიბ ობიექტზე) მიმართული ფორმა (სასხვისო ქცევა): წერს-უწერს, აკეთებს-უკეთებს, ღრეკს-უღრეკს და მისთნ. უცვლელად დარჩნენ უკუქცევითი ფორმები, რომლებმაც ქცევის საერთო სისტემის ჩამოყალიბების გამო სათავისო ქცევის მნიშვნელობა მოიპოვეს; თავდაპირველი დაპირისპირება: წერს (უკუქცევი) — იწერს (უკუქცევითი) შეიცვალა დაპირისპირებით: წერს-უწერს (უკუქცევი — იწერს (უკუქ.), რომლებიც შემდგომ, ქცევის კატეგორიის საფუძველზე ასე განაწილდნენ: წერს (ნეიტრალური, საარვისო) — უწერს (სასხვისო, საობიექტო) — იწერს (სათავისო, სასუბიექტო). ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ქართულში გარდაუვალად უკუქცევითი ფორმებიც არსებობდა (სტატიკური ფორმები), რომელთაც უკუქცევითობის მნიშვნელობა დღემდე შემორჩათ (ზოგი ფორმაც — ილინის და მისთნ. — დარჩა). მაგრამ გარდამავალი და გარდაუვალი, დინამიკური და სტატიკური უკუქცევითი ფორმები შედარებით გვიანდელი საფეხურია თავდაპირველი ლაბილური უკუქცევითი ფორმებისა, როცა კონსტრუქციის მიხედვით ზმნა გარდამავალიც შეიძლებოდა ყოფილიყო და გარდაუვალიც, დინამიკურიც და სტატიკურიც; ეს თვისება დღემდე შემორჩა ზმნების ერთ ნაწილს.

რაც შეეხება მოქმედებითი გვარის გარდაუვალი ზმნების არსებობას, ამის შესაძლებლობას ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი ადრეც და ახლაც ვარაუდობს.¹³⁸

§ 18. იმის გამო, რომ გრამატიკული და ფუნქციური კატეგორიები სავესებით არასდროს ფარავენ ერთმანეთს, ე. ი. იმის გამო, რომ ფუნქციური კატეგორია ყოველთვის და მხოლოდ ერთ გრამატიკულ ფორმაში არ რეალიზდება, შესაძლებელი გახდა ზოგიერთ ფორმას მინიჭებოდა დამატებითი ფუნქციაც, მნიშვნელობაც. ასე მოხდა რუსულში, სადაც გვარის კატეგორია არ ჩამოყალიბებულა და კონტექსტის მიხედვით ვნებითის ფუნქციის გადმოცემა უკუქცევით ფორმას დაეკისრა. ასეთი რამ ხდება იმ ენაშიც, სადაც გვარი უკვე არსებობს. ზოგჯერ გვარის რომელიმე ფორმა სხვა ფორმის ბაზაზე ყალიბდება; ასე მოხდა ქართულში, როცა ი-პრეფიქსიანი ვნებითები არსებითად უკუქცევითი ფორმების ბაზაზე წარმოიქმნენ უკუქცევითობის მნიშვნელობა ამ ფორმათა

¹³⁸ ა. ვ. ბონდარკო, ლ. ლ. ბულანინი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 155-156.

ერთ ნაწილში (იქვეება, იყენება, იცრემლება...) საკმაოდ ძლიერაა წარმოჩენილი, თუმცა ამგვარი წარმოების უმეტეს ზმნებში აღნიშნული ფუნქცია დარღვილია.

ამდენად, ის აღრევა, რის შესახებაც უკვე გვექონდა საუბარი, გამოწვეულია ფორმისა და ფუნქციის გაუმიჯნაობით, იმის გაუთვალისწინებლობით, რომ „სხვადასხვა კონტექსტში ერთი და იგივე მონაცემები სხვადასხვა ფუნქციით აღტურვილი ჩანს“.¹³⁶ თანამედროვე ვითარებაში შეუძლებელია ამის გაუთვალისწინებლობა, რადგან „სტრუქტურული და ფუნქციონალური ცნებების გარჩევა ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებით, ენათმეცნიერული დარგების დიფერენციაციით არის ნაკარნახევი“.¹³⁷ სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „ტრადიციულ გრამატიკაში უპირატესად ფუნქციონალური ცნებებია“ გამოყენებული¹³⁸ და მისადაგებული ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმას. სწორედ ამის გამო ტრადიციული ტერმინოლოგია გრამატიკულ ფორმას უფრო ფუნქციის თვალსაზრისით ახასიათებს, ვიდრე სტრუქტურის მიხედვით. ასევეა გვარისა (ზოგადად) და გვარის ფორმათა გრამატიკული დახასიათების დროსაც. მოქმედებითობა და ენებითობა სწორედ ფუნქციაა და წმინდა ფორმის დახასიათებისათვის ნაკლებს იძლევა. ზემოთ წარმოდგენილი განმარტებაც გვარის სწორედ ფუნქციურ მხარეს ითვალისწინებს მხოლოდ; დამატება იმისა, რომ ეს ფუნქცია აუცილებლად გრამატიკული ფორმით (რესპ. მორფოლოგიურად) უნდა იყოს წარმოდგენილი, ზოგადია და მხოლოდ გარკვეულ პირობას (და არა გრამატიკულ დახასიათებას) წარმოადგენს. მხოლოდ იმის გამო, რომ ტერმინოლოგიის ცვლილება გამოიწვევს მთელ რიგს სხვა ცვლილებებისას და სავალდებულოს გახდის ამავე თვალსაზრისით იქნენ განხილული გვართან დაკავშირებული ზმნის სხვა კატეგორიებიც (რაც ამჯერად შეუძლებელია), შესაძლებლად მაგვანია დარჩეს ტრადიციული ტერმინოლოგია, ოღონდ მისი გარკვეული პირობითობის გათვალისწინებით. გამონაკლისს წარმოადგენს ტერმინი „საშუალი გვარი“, რომელიც ფუნქციური თვალსაზრისითაც არაფერს იძლევა. მის ნაცვლად თითქოს შეგვეძლო გვეზმარა „სტატიკური უკუქცევითი ფორმა“, მაგრამ ამ ტიპის ზმნებს ზოგი ისეთი ზმნა ამოუდგა გვერდით, რომელიც მხოლოდ სტატიკურობის თვალსაზრისით გაერთიანდა მათთან, მაგრამ უკუქცევითობის ფუნქცია ფაქტიურად არ მოუპოვება (სწერია, ხატია და მისთნ). ეს მოხდა იმის გამო, რომ უკუქცევითობის ბაზაზე სათავეისო ქცევისა და ინიანი ვნებების ჩამოყალიბებამ ფაქტიურად წმინდა უკუქცევითობის შესუსტება გამოიწვია. გამოიყენება ტერმინი „სტატიკური ზმნაც“, მაგრამ იგიც ფუნქციურად ახასიათებს ამ ფორმებს და არა გრამატიკულად. ამიტომ ახალი ტერმინის შემოღებას ამჯერად აჯობებს ტრადიციული „საშუალი“ დავტოვოთ, მაგრამ არა როგორც „გვარი“, არამედ როგორც (მოქმედებითებთან ფორმობრივი მსგავსების გამო)

¹³⁶ არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, I, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 2, 1940, გვ. 157.

¹³⁷ არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, II, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 3 1940, გვ. 244.

¹³⁸ იქვე, გვ. 244.

„საშუალ-მოქმედებითი (ან უბრალოდ: საშუალი) ფორმა“, ¹³⁹ ვგულისხმობთ
 ზა მოქმედებითი გვარის სტატიკურ ვარიანტს (ე. ი. ფორმა ერთნაირია, ფუნ-
 კცია — დინამიკურობა-სტატიკურობა -- სხვადასხვა).

§ 19. ფუნქციური და ფორმობრივი (რეფ. გრამატიკული) კატეგორიები
 ერთურთის მიმართ რთულ კავშირს აშუარებენ. ეს ურთიერთობა თვალსაჩინო-
 ებისათვის ცხრილის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ფორმა		აქტივის მოვალის ექნე			პასივის მოვალის მქონე			ფუნქცია	
		უაქტიურობა		უაქტიურობა	უაქტიურობა		უაქტიურობა		
		ნეიტრალური (მოუმართაო)	სასუსტო (მი- მართაო)		ნეიტრალური (მოუმართაო)	სასუსტო (მი- მართაო)			
გ ა რ დ ა მ ე რ ი	გარდავლი					×	×	×	1
	სტატიკური					×	×	×	2
	მ რ დ ე უ ლ ი								3
	სტატიკური								4
პ ა ს ი ვ რ ი	გარდავლი	×	×	×					5
	სტატიკური								6
	№№	ა	ბ	გ	დ	ე	ვ		

¹³⁹ ზემოთ, ზოგადი მიმოხილვისას, ტერმინს „საშუალი გვარი“ ვიყენებდით ისე, როგორც
 განხილული ნაშრომების ავტორები ხმარობდნენ; ამ შემთხვევაში ტერმინის შეცვლა მიზან-
 შუუწონელი ჩანს.

ცხრილი, რასაკვირველია, სრული არ არის. აქ შეიძლება დაგვემატებინა უკუქცევითობის ფუნქცია, ასევე: გრამატიკული ფორმებიდან — კაუზატივი და ა. შ. მაგრამ საკლასიფიკაციო პრინციპის საიწინებლად. ჩანს, მაინც საკმარისი იქნება. იგი ნათლად კვირვენებს, თუ რომელი ფორმები საერთოდ არ რეალიზდებიან არც ერთ შემთხვევაში (ეს უჯრედები გადახაზულია), ხოლო დანარჩენ შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ზმნა როგორც ფორმის, ასევე ფუნქციის მისხვევით. ამათვის გარდამავალი სტატიკური მხოლოდ ორი ზმნაა ქართულში; ერთი მათგანი (უწყის) — უჯრადში მოხვდება. მეორე (იცის) — გ-2 უჯრადში. მანასადამე, პირველი მათგანი ფორმით სასხვისო ეკრისისაა (ქცევისა), უკუქცევია, აქტივის მოდელის მქონე; ფუნქციით — სტატიკური, გარდამავალი, აქტიური. უკუქცევითობის ფუნქციაც რომ გავგეზავალისწინებინა ამ ცხრილში, აღმოჩნდებოდა, რომ ეს ზმნა, თუმცა ფორმით უკუქცევია, ფუნქციურად უკუქცევითებს ეკედლება. მეორე (იცის) ზმნა ფორმით უკუქცევითია, აქტივის მოდელის მქონე, ფუნქციით — სტატიკური, გარდამავალი, აქტიური. რომელიმე, მაგალითად, ე-5 უჯრადში ის ზმნა მოხვდება, რომელიც ფორმით სასხვისო ქცევისაა, უკუქცევია, პასივის მოდელის მქონე, ფუნქციით — დინამიკური, გარდაუვალი, პასიური (უთბება, უთფრდება, ეწერება). დ-3 უჯრადში კი ის ზმნა იქნება, რომელიც ფორმით ნეიტრალურ ეკრისისა, უკუქცევია, პასივის მოდელის მქონე; ფუნქციით კი — დინამიკური, გარდაუვალი, აქტიური (პაირდება...); რომელიმე იწერება ფორმა ვ-3 უჯრადში ჩაჯდება; აქ რომ უკუქცევითობის ფუნქციაც გვექონდეს გათვალისწინებული, აღმოჩნდებოდა: ზმნა ფორმით კია უკუქცევითი, მაგრამ ფუნქციურად უკუქცევია; იმავე მოდელის მქონე იბღვირება და მისთან. თავისი ფუნქციის გამო უკვე ვ-3 უჯრადში მოთავსდება და ა. შ.

ეს ცხრილი ყველა პარადიგმული ფორმის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული. მართლაც, სხვადასხვა პარადიგმა ზოგჯერ (ჩვეულებრივ სტატიკური ფორმის შემთხვევაში) შეიძლება განსხვავებული ჩვენება მოგვცეს. ასე, მაგალითად, წუხს ფორმა ა-4 უჯრადში მოხვდება, მისი მყოფალი იწუხებს გ-4-ში გადაინაცვლებს, პარალელური შეწუხდება ფორმა კი დ-3 უჯრადში მოთავსდება. რომელიმე უყვარს ფორმა ბ-4 უჯრის კუთვნილებაა, მისი მყოფალი ეყვარება ფორმა კი უკვე მ-4 უჯრადში მოხვდება და ა. შ.

§ 20. ფუნქციური და გრამატიკული კატეგორიების გამოყოფასთან დაკავშირებით ბუნებრივად დაისმის კითხვა, თუ ენათმეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნებიან ისინი. ორივე-ფორმაც და ფუნქციაც — ენათმეცნიერების ერთ დარგში, ჩანს, ვერ გაერთიანდება. გრამატიკის შესწავლის საგნად ტრადიციულად ფორმა დარჩება და ამის საფუძველზე აქ გრამატიკული კატეგორიები გამოიყოფა. ხოლო თუკი სემასიოლოგია სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობასა და ამ მნიშვნელობათა ცვლას შეისწავლის,¹⁴⁰ ან თუნდაც ფუძის მნიშვნელობას,¹⁴¹ მაშინ აქვე უნდა მოიძებნოს ადგილი გრამატიკული ფორმის მნიშვნელობისთვისაც. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი ჩანს განიმართოს სემასიოლოგია (სემანტიკა) ისე, როგორც ეს ზოგიერთ ლინგვისტურ ლექსიკონშია.

¹⁴⁰ Л. А. Булаховский, Введение в лямкознание. часть II, М., 1953. стр. 7.

¹⁴¹ ან. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952 წ., გვ. 223.

მოცემული—ან ზოგადად: სემანტიკა მეცნიერებაა მნიშვნელობების შესახებ.¹⁴² ან უფრო დაკონკრეტებულად: სემასიოლოგია არის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სიტყვის, შესიტყვებისა და გრამატიკული ფორმის მნიშვნელობას.¹⁴³ ამდენად, ფუნქციური კატეგორიები სხვაგვარად სემანტიკურ კატეგორიებად უნდა იწოდოს და მათი შესწავლა სემასიოლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქნეს მიჩნეული. და მაშინ სემასიოლოგიის ეს ნაწილი ისეთივე ურთიერთობას დაამყარებს მორფოლოგიასთან, როგორც ერთმანეთის მიმართ აქვთ ფონეტიკასა და ფონოლოგიას, ერთი მხრივ, და სინტიქსსა და სტილისტიკას, მეორე მხრივ.¹⁴⁴

2. მომავალითი გვარის ფორმათა წარმოების ზომი საკითხი ქართულში

I. კაუზატივისა და გვარის ფორმათა ურთიერთობის საკითხები

გვარის ფორმების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კაუზატიურ ფორმას. ქართულში კაუზატივი ცალკე გრამატიკულ კატეგორიადაა გამოყოფილი. ზოგიერთი (მაგ., მონღოლურ ი) ენის გრამატიკებში იგი გვარის ერთ-ერთ სახეობადაა მიჩნეული და ამდენად, გვარის სხვა (მოქმედებითი, ვნებითი...) ფორმების გვერდით განიხილება. ამგვარ გაგებას, რა საკვირველია, აქვს თავისი საფუძველი, მაგრამ, ჩანს, უფრო გამართლებულია კაუზატივის ცალკე კატეგორიად გამოყოფა. ერთმანეთს უპირისპირებენ კაუზატიურ და არაკაუზატიურ ფორმებს და ამ დაპირისპირების საფუძველზე გამოყოფენ ზმნის კატეგორიას — კონტაქტს, შუალობითსა და უშუალოს, რომელთაგანაც ტერმინი „შუალობითი კონტაქტი“ სწორედ კაუზატიურ ფორმებს გულისხმობს.¹⁴⁵ საერთოდ, კაუზატივი აღნიშნავს, რომ „სუბიექტი თვით კი არ მოქმედებს, არამედ აიძულებს სხვას შეასრულოს მოქმედება“.¹⁴⁶ ამდენად, კაუზატიურ ფორმაში ფაქტიურად ორი მოქმედი პირია: ერთი ის, ვინც ასრულებს მოქმედებას (რომლის მოქმედებაც უშუალოდ გადადის რეალურ ობიექტზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირი კონსტრუქციაში ირიბი დამატების სახითაა წარმოდგენილი), ხოლო მეორე ის, ვინც იწვევს ამ მოქმედებას (სხვაგვარად: ვინც აიძულებს შეასრულოს გარკვეული მოქმედება). კონსტრუქციაში ეს დამოკიდებულება თავისებურად ფორმდება: ქვემდებარეა მოქმედების გამომწვევი პირი, ხოლო პირდაპირ (რეალურ) ობიექტზე მოქმედი პირი ირიბ-დამატებადაა გაფორმებული წინადადებაში: „აწერიანებს მასწავლებელი მოსწავლეებს კარნახს“ — „დააწერინა მასწავლებელმა მოსწავლეებს კარნახი“.

ქართულში კაუზატიური ფორმა ძირითადად გარდამავალი ზმნისათვის

¹⁴² იხ. ე. მარუზო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 261.

¹⁴³ იხ. ო. ს. ახმანოვა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 400—401.

¹⁴⁴ ზოგჯერ სემასიოლოგია გრამატიკის ნაწილადაც არის მიჩნეული; იხ. მაგალითად მ. Хомп, Словарь американской лингвистической терминологии. М., 1964, стр. 188.

¹⁴⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 420.

¹⁴⁶ ე. მარუზო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 131.

არის დამახასიათებელი, მაგრამ ზოგჯერ გარდაუვალი ფორმებიც გვხვდება: ეკვლავინება, ეთრევინება, ელანძღვინება და მისთნ.¹⁴⁷

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ზმნისგან ნაწარმოები კაუზატიური ფორმა მოქმედებითი გვიარისა, ზმნაში სუბიექტად გაფორმებული პირი ფაქტიურად პასიურ დამოკიდებულებაშია ზმნით გადმოცემული მოქმედების მიმართ.¹⁴⁸ მისი მოქმედება უშუალოდ ვრცელდება მხოლოდ ირიბ ობიექტზე. რომელიც ზმნით გადმოცემული მოქმედების რეალური შემსრულებელია. სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ქართულში ვნებითის ფორმასაც გასჩენოდა კაუზატიური ფორმა. აქაც გრამატიკული ქვემდებარე მოქმედების გამოწვევი მიზეზია და განსხვავება მათ შორის მხოლოდ ამ მოქმედებისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაშია: ერთ შემთხვევაში (მოქმედებითი გვიარის ფორმაში — აღანძღვინებ) მოქმედება გადადის რეალური ობიექტით აღნიშნულ გარეშე საგანზე; მეორე შემთხვევაში კი (ვნებითი გვიარის ფორმაში — ელანძღვინება) მოქმედება უბრუნდება ამ მოქმედების გამომწვევე მიზეზს, საეაგვარად: მოქმედების გამომწვევი მიზეზი თვით არის ამ მოქმედების ობიექტი. მოქმედება აქაც გაშუალებულია ირიბი ობიექტით, რომელიც მოქმედების რეალური შემსრულებელია (ამ შემთხვევაში გარდამავალი ზმნებისგან ნაწარმოები კაუზატიური ფორმების ანალოგიური ვითარებაა): შდრ.: ელანძღვინებო შენ მას — თავს აღანძღვინებ შენ მას — გლანძღავს შენ ივი (III პ. ფორმა: ელანძღვინება ის მას — თავს აღანძღვინებს ის მას — ლანძღავს ის მას). უკანასკნელ ფორმაში დადასტურებულ ქვემდებარეს (იგი, ის) ფაქტიურად იგივე ფუნქცია ეკისრება წინა ორ ფორმაშიც, სადაც უკვე გრამატიკულად ირიბი დამატების სახითაა გაფორმებული.

კაუზატივის (реп. შუალობითი კონტაქტის) ფორმათა მაწარმოებლად გამოყოფილია პრეფიქსი და სუფიქსები. ტრადიციულად გამოყოფენ კაუზატივის მაწარმოებელ სუფიქსებს: -ინ, -ევ, -ევიან, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია: -ინ.¹⁴⁹ გარდა ამისა, გამოყოფენ -უნ ელემენტსაც: ვ-ა-ცთ-უნ-ებ; ვ-ა-თბ-უნ-ებ; ვ-ა-ძრწ-უნ-ებ.¹⁵⁰ მაგრამ ეს ფორმები თავისი ბუნებით კაუზატიურნი არ არიან. არ გულისხმობენ პირთა ისეთ დამოკიდებულებას. რომელიც ჩვეულებრივ კაუზატივის ფუნქციას შეადგენს. -უნ სუფიქსი დასტურდება ვნებითის ფორმებშიც: ძრწუნდება. გარდა ამისა, თავისი წარმოშობით რომ იგი კაუზატივის მაწარმოებელი არ უნდა იყოს, ამას დადასტურებს ზტის-ზტ-უნ-ავ-ს ტიპის პარალელური ფორმებიც; შდრ.: ა-ზტ-უნ-ებ-ს. უკანასკნელი მოქმედებითი გვიარის ჩვეულებრივი, არაკაუზატიური ფორმაა. ხოლო თუკი ერთგვარად მაინც აწლავს კაუზატიური ფუნქციის ნიუანსი, ამას თავისი მიზეზი აქვს... კაუზატივის მაწარმოებელ პრეფიქსად მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია ა-. რომლის ფუნქცია და გენეზისი სპეციალური კვლევის საგანი გახდა. გამოითქვა სხვადასხვა აზრი:

¹⁴⁷ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 371.

¹⁴⁸ შდრ. იქვე, გვ. 391.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 369—372.

¹⁵⁰ თ. გამყრელიძე, ვ. მ. აკაკიანი, სონანტო სისტემა და აბლაუტი ქართულ ენაში. თბილისი, 1965, გვ. 276

ა) ა-პრეფიქსი ზმნებს გარდამავლობის მნიშვნელობას ანიჭებს.¹⁵¹ ბ) ა-პრეფიქსი გამოყოფილია საარვისო ქცევის ნიშნად.¹⁵² გ) იგივე პრეფიქსი მიჩნეულია მოქმედებითი გვარის მაწარმოებლად.¹⁵³ დ) ა-პრეფიქსი ზოგი მკვლევარის აზრით კაუზატივის მაწარმოებელია.¹⁵⁴ გარდა ამისა, ა-ფორმანტისათვის ასახელებენ ე. წ. „საზედაოს“ ფუნქციასაც (ახატია, ადგას, აწერს). ე) ზოგი მკვლევარის აზრით ა-პრეფიქსს ჩვენება-განსაზღვრის ფუნქცია ჰქონდა (ა-ზის — ზე-ზის).¹⁵⁵ ვ) სხვა ავტორთა აზრით „ა- არ არის სამიმართებო აფიქსი“, მისი ფუნქცია ჯერ კიდევ გასარკვევია.¹⁵⁶ ამ პრეფიქსს სახელებშიც გამოყოფენ.¹⁵⁷ ჩვენებითობის ფუნქცია განსაკუთრებით კარგად ჩანს ნაცვალსახელებსა და ზმნიზებლებში: ა-გერ (შდრ. ეგერ), ა-ხე (შდრ.: იხე); ა-მას (შდრ.: მას, იმას), რომ არაფერი ეთქვათ ჩვენებით ნაწილაც ა-ზე (←აი).

კაუზატივი ზოგჯერ აღწერილად იწარმოება ამ დროს მეშეელი ზმნის ფუნქციით გამოიყენებიან ზმნები: აიძულებს, ავალებს და მისთნ.¹⁵⁸ ქართულში (და საერთოდ. იმ ენებში, სადაც კაუზატივის კატეგორია არსებობს) ასეთი აღწერითი ფორმების გამოყენების შემთხვევები ძალზე იშვიათია.

კაუზატივისა და გვარის ფორმების ურთიერთობა საინტერესო და საგულისხმო სურათს იწვევს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მოქმედებითი გვარის ფორმებზე, რომელთაგან ზოგი კაუზატიური წარმომავლობისაა. ამან საფუძველი მისცა დასკვნას, რომ „მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო“.¹⁵⁹

კაუზატიურ ფორმებში დადასტურებულ ა-პრეფიქსს, ჩანს. არსებითად ობიექტზე მითითების ფუნქცია აკისრია და არა თვით კაუზატიური ფორმის წარმოება. კაუზატივს სუფიქსები აწარმოებენ. ა-პრეფიქსს რომ ობიექტზე მნიშვნის ფუნქცია აქვს, ამაზე უნდა მეტყველებდეს ჰურავს-ახურავს, დასცვითა-დააცვითა, და მისთნ. ტიპის მაგალითები: ობიექტურ პირის ნიშნებს (ჰ,ს) ამ შემთხვევაში ენაცვლება ა-პრეფიქსი. არსებობს მოსაზრება, რომ ამ მიღებულია *ჰა-პრეფიქსისაგან.¹⁶⁰ სხვაგვარად: „მოჰყუთა იგივეა, რაც

¹⁵¹ И. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, стр. 139.

¹⁵² ა. შ ა ნ ი ძ ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 335.

¹⁵³ ე. თ ო ფ რ ი ა, მესამე ტომის ენებითის წარმოება ქართულში, გვ. 969.

¹⁵⁴ გ. მ ა ქ ა ე ა რ ი ა ნ ი, „უნიშნო ენებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, გვ. 109.

¹⁵⁵ ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 283—284.

¹⁵⁶ გ. რ ო გ ა ე ა, ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის ებერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, XIII, გვ. 50.

¹⁵⁷ ე. თ ო ფ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, IV (ხმოვანთვასართოვანი სახელები), თსუ შრომები, XXXB—XXXIB, 1947, გვ. 454.

¹⁵⁸ შდრ.: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 059.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 061.

¹⁶⁰ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში ეკე, ტ. XI, თბ., 1959, გვ. 160; 167.

მო-პა-კუეთა.¹⁶¹ უკანასკნელმა ფორმამ (რომელიც უძველესად მიანინიათ) ორი ვარიანტი მოგვცა: მოპკუეთა (მოპკვეთა) და მოაკვეთა; ამიტომაც ა-პრეფიქსს იგივე ფუნქცია აქვს ამ ზმნაში, რაც ჰ. ობიექტური პირის ნიშანს. სხვა ვარაუდით ჰ-პრეფიქსი უნდა ყოფილიყო ხმოვნების წინაც. მაგრამ როგორც ცალკე ოდენობა: ეტრფის ჰ*ჰ-ეტრფის, უ-ყურებს ჰ*ჰ-უ-ყურებს.¹⁶²

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პირდაპირი და ირიბი ობიექტების დიფერენციაცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა და მაშინ შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო ამ პრეფიქსის გამოყენება როგორც პირდაპირი (აკეთებს, აშენებს და მისთნ), ასევე ირიბი ობიექტის (აწერს, ადგას, ადევს და მისთნ.) გამოსახატავად.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულში დასტურდება ეთრეფინება, ექელვი-ნება, ეთელვინება, ელუჰვინება, ჩაეკაფვინება, ელანძღვინება, დაელოცვინება, ელახვინება, მოეწამვლინება, ეჭაზნინება, ეჭერინება ტიპის ფორმები:

1. ქალსაც. ცოტა არ იყოს, მოსწონს ეს ვაყი, მაგრამ რომ დაეჭვებინოს, მოკვდება და იმითმ არ ეჭვინება.. (ხალხური სიბრძნე, ზუთოტომეული, ტ. I, 1963, გვ. 483).

2. ვეთრეფინები ზღვის ტალღებს (ვაჟა-ფშაველა; მაგალითი ამოღებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან — ქეგლ — აღნიშნულია, რომ ეს ფორმა კაუზატივია ეთრევა ზმნისა).

3. ჩემს საყვარელს ქვეშ ვეთელვინები (ქეგლ —; მიჩნეულია ათელვინებს ზმნის კაუზატივად).

4. ნუ ელუჰვინებით ე მატყუარა მკითხავს-მეთქი (ქეგლ.).

ამდენად, კაუზატივისაც მოეპოვება თავისი გარდაუვალი ფორმა; იქნება წყვილები: აჭვინებს-ეჭვინება; ათრეფინებს-ეთრეფინება; აკაფვინებს-ეკაფვინება და ა. შ. რასაკვირველია, ასეთი წყვილები შედარებით მცირერიცხოვანია, მაგრამ არც ისე, რომ მათი შემთხვევით ფორმებზე მიჩნევა (მით უმეტეს, მათი უგულვებელყოფა) შეიძლებოდეს.

ყველა ე-პრეფიქსიანი ფორმა კაუზატივისა არის სათანადო მოქმედებით გვარის კაუზატიური ფორმის შესაბამისი ვნებითი. ამ შემთხვევაში აღგილი აქვს ჩვეულებრივ კონვერსიას, გვაქვს კაუზატიური მოქმედებითი გვარის ფორმა, რომელიც კონვერსიის შედეგად გვაძლევს ვნებითი გვარის კაუზატიურ ფორმას: ათრეფინებს ის მას მას — ეთრეფინება იგი მას. ეს წარმოება სრულიად ანალოგიურია წარმოებისა „უშალავს იგი მას მას“ და „ემალება იგი მას“. ამდენად, ეთრეფინება ტიპის ფორმებისათვის წარმოების თვალსაზრისით ამოსავალია შესაბამისი მოქმედებითი გვარის კაუზატიური ფორმა და არა ვნებითი გვარის (ეთრევა) ფორმა, თუმცა მნიშვნელობით სწორედ უკანასკნელის კაუზატივს წარმოადგენს.

კაუზატივის გარდამავალი და გარდაუვალი ფორმების შედარება საინტერესო სურათს იძლევა:

¹⁶¹ არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, იკე, ტ. XVI, თბ., 1968, გვ. 11.

¹⁶² ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 388 (§ 441).

- | | | |
|---------------------|--------------------|-----------------|
| 1. ა-ქერ-ინ-ებ-(ს), | ა-თრ-ევ-ინ-ებ-(ს), | ა-ქაფ-ვ-ინ-ებ-ს |
| 2. ე-ქერ-ინ-ებ-(ა), | ე-თრ-ევ-ინ-ებ-(ა), | ე-ქაფ-ვ-ინ-ებ-ა |

თუ პირის ნიშნებს არ მივიღებთ მხედველობაში, განსხვავება ამ ორი წყების ფორმებს შორის მხოლოდ პრეფიქსებით ხდება. თუკი ა-პრეფიქსს კაუზატივის მაწარმოებლად მივიჩნევთ, მაშინ გარდაუვალ ფორმაში იგივე ფუნქცია უნდა ეკისრებოდეს ე-პრეფიქსს, რაც არასწორია; ამდენად, ორივე შემთხვევაში კაუზატივის მაწარმოებელი -ინ სუფიქსია.

მაგრამ ა-პრეფიქსის საკითხი ამით არ ამოიწურება. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კაუზატივის ოდენპრეფიქსული წარმოების თაობაზე¹⁶³ და სხვა მაგალითებს შორის დასახელებულია და-ა-ვიწყ-ა, შე-ა-ძულ-ა ტიპის ფორმებიც.¹⁶⁴ თუკი ეს ფორმები ნამდვილად კაუზატივებია, მაშინ ა-პრეფიქსი მართლაც კაუზატივის მაწარმოებელი აღმოჩნდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული ფორმები სინამდვილეში ჩვეულებრივი მოქმედებითი გვარის (და არა კაუზატიური) ფორმებია. ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს შემდეგი: შეაძულა და დაავიწყა სხვადასხვა ტიპის ფორმებია და ამიტომაც მათზე ცალ-ცალკე მოგვიწვევს საუბარი.

შეაძულა ტიპის ფორმები „საშუალი“ ზმნებისაგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ფორმებია. ცნობილია, რომ საშუალი ფორმებისგან მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმების წარმოება ხშირად ა-თემის ნიშანი აფიქსებით ხდება (წუხს-ა-წუხ-ებ-ს; ცურავს-ა-ცურ-ებ-ს; ცურაობს-ა-ცურ-ავ-ებ-ს; ტირის-ა-ტირ-ებ-ს; ჩივის-ა-ჩივ-ლ-ებ-ს და ა. შ.). ჩვეულებრივ ა-თემის ნიშანი მოქმედებითი გვარის ფორმებს აწარმოებს ერთპირიანი ზმნებისაგან, აგრეთვე — სახელებისაგან: თბება-ა-თბ-ობ-ს; დნება-ა-დნ-ობ-ს; ასევე: თეთრი-ა-თეთრ-ებ-ს; კაცი-აკაც-ებ-ს; ერთი-ა-ერთ-ებ-ს და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ზმნები ორპირიანებია, რადგან შესაბამისი გარდაუვალი ზმნა ერთპირიანია (სახელს კი, თავისთავად, პირიანობის ვაგება არა აქვს). ამდენად, აქ არ დგას საკითხი ამ ფორმების კაუზატიურობის შესახებ. და თუკი ასეთი საკითხი ისმება საშუალი ფორმებისაგან მოქმედებითი გვარის ფორმების წარმოების დროს, ამის მიზეზი თვით საშუალი ზმნების თავისებურებაში უნდა ვეძიოთ.

ამყამად გვინტერესებს საშუალი ზმნების ერთი თავისებურება: ცნობილია, რომ ზოგიერთი საშუალი ზმნა შეიძლება გავგებულ იქნას როგორც ერთპირიან, ასევე ორპირიან ფორმად. ერთპირიანია: ყვირის, ტირის, სწავლობს, ჩივის — ის; ორპირიანია: ყვირის, სტირის, სწავლობს, ჩივის — ის მას (მდრ.: მამანი სტიროდეს შვილთა თვისთა და შვილნი სტიროდეს მამათა თვისთა). ამ-

¹⁶³ გ. შაქავეარიანი, „უნიშნო ვენებით“ ქართველურ ენებში, გვ. 109; ე. გეუჩიოვი, კაუზატივის წარმოება ქართულა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში (კაუზატივის მაწარმოებლები ძველ ქართულში), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 56, № 1, თბ., 1969, გვ. 243—244; მ. ს. ივ. ე: კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, მაცნე, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2, გვ. 105; ირ. ვეშაპიძე, კაუზატივის წარმოების ორი ძირითადი მოდელი ქართულში, თსუ. ფილოლოგიის ფაკულტეტის XIII სამეცნიერო სესია, 1970, გვ. 20—21.

¹⁶⁴ ე. გეუჩიოვი, დასახელებული ნაშრომი, სსსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 56 № 1, გვ. 243—244; ირ. ვეშაპიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20.

დენად, ზემოაღნიშნულ ზმნებს კონსტრუქციის გარეშე ვერც ვარაამავლებად ჩათვლით და ვერც გარდაუქვალად: კონტექსტის მიხედვით ისინი გარდაუქვალად შეიძლება იყვნენ და გარდამავალიც. უკანასკნელი მნიშვნელობის დროს ეს ზმნები ფაქტიურად (ფუნქციურად) მოქმედებითი გვარის ფორმებს უტოლდებიან, მათ ფუნქციას გამოხატავენ. ზემოაღნიშნული საშუალო ზმნებისგან იწარმოება მოქმედებითი გვარის ფორმები. იმ შემთხვევაში, როცა საშუალო ფორმა ერთპირიანად არის გაგებული, მოქმედებითი ორპირიანია და ამ ფორმისადმი კაუზატიურობის ფუნქციის დაკავშირება გამოირიცხვლია: ყვირის, ტირის, სწავლობს -- ის — აყვირებს. ატირებს, ასწავლის — ის მას. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა საშუალო ფორმას ორპირიანი ზმნის გაგება აქვს, მისგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ფორმა ფაქტიურად კაუზატიურად უტოლდება, მაგრამ უტოლდება მხოლოდ ფუნქციის თვალსაზრისით (და არა ფორმის მიხედვით): ყვირის, სტირის, სწავლობს—ის მას—აყვირებს, ატირებს, ასწავლის—ის მას მას. შდრ.: მამები სტირიან — იგინი ატირებენ მამებს; და: მამები სტირიან შვილებს — იგინი ატირებენ მამებს შვილებს (მათ ატირებს მამებს შვილებს); პირველ შემთხვევაში საშუალო ზმნის სუბიექტი მოქმედებითის კონსტრუქციაში პირდაპირ დამატებად გადადის (ატირებენ მამებს — ატირებს მამები). მეორე შემთხვევაში — ირიბ დამატებად, რომელიც ფაქტიურად მოქმედების რეალური შემსრულებელია. მაშასადამე. პირველ შემთხვევაში მხოლოდ მოქმედებითი გვარის ფუნქციასთან ვაკვებს საქმე, მეორე შემთხვევაში — საწარმოებელი ზმნის თავისებური გაგების შედეგად, — ერთგვარად წარმოჩენილია კაუზატივის ფუნქცია; მიუხედავად ამისა, ეს ფორმა კაუზატივი არ არის. ამ შემთხვევებში საშუალო ფორმა ფუნქციურად მოქმედებითი გვარის ფორმას უტოლდება და უკვე აქედან ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნას კაუზატიური გაგება აქვს. ნიშანდობლივია, აგრეთვე, ისიც, რომ ყველა ზემოდასახელებული საშუალო ზმნა სუბიექტად ადამიანს გულისხმობს, ხოლო მოქმედებითის ფორმაში კიდე ერთი, ამჯერად გრამატიკული ქვემდებარის ჩამატება ვერ ჩრდილავს მის ფუნქციას. შდრ.: ტირის (ის მას) — ატირებს (ის მას მას; ატირა — მან მას ის). და: თრთის-ათრთოლებს, — უკანასკნელ ფორმაში გამოირიცხვლია კაუზატიური გაგება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ამ ფორმებისაგან თვით არის შესაძლებელი კაუზატიური ფორმების წარმოება, რაც კიდეც ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი კაუზატივები არ არიან: წუხს-აწუხებს-აწუხებ-ინ-ებს და მისთნ. კაუზატივი უჩნდებათ აგრეთვე იმ მოქმედებითი გვარის ფორმებსაც, რომლებშიც ზემოაღნიშნული თავისებური ვითარების გამო ისედაც წარმოჩენილია კაუზატივის ფუნქცია: ატირებს-ატირებინებს და მისთნ. ზოგჯერ ისინი პარალელურ ფორმებად არსებობენ; მაშინ კაუზატიური ფორმის არსებობა ზედმეტი ხდება და მას შესაბამისი მოქმედებითის ფორმა ცვლის, მაგრამ ზოგჯერ განსხვავებული შინაარსობრივი (სემანტიკური) ნიუანსი აქვთ მოპოვებული. შდრ.: ატირებს ის მას მას (<ტირის ის მას) და: ატირებინებს ის მას მას; პირველ შემთხვევაში ირიბი ობიექტით გადმოცემული პირი თვით ასრულებს მოქმედებას, მეორე შემთხვევაში ირიბი ობიექტით გადმოცემულ პირს გრამატიკული სუბიექტი აძიულებს აატიროს ვილაც (და არა თვით იტიროს). საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი ზოგჯერ უბრალო დამატების სახითაც გადმოცემული და მაშინ ირიბ ობიექტს პირდაპირი დამატების ფუნქცია ეკისრება: დას ატირებენ ძმაზედა (ვაჟა-ფშაველა), —

დას ატირებენ ძმას... ამ მოკლენის მიზეზი ისევ ტირის ზმნის ფუნქციურ თავ-
სებურებაში უნდა ვეძიოთ.

თითქმის ანალოგიური ვითარება დასტურდება აძულეებს, აყვარებს ტიპის
ფორმებში. ეს საშუალო ზმნები ორპირიანებია და ამიტომაც, ზემოაღნიშნული
ვითარების გამო, მათი შესაბამისი მოქმედებით გვარის ფორმა კაუზატივის
მნიშვნელობას იღებს. განსხვავება მხოლოდ პირთა განაწილებაში იჩენს თავს.
სძულს, უყვარს ინვერსიული ზმნებია: ამდენად, რეალურად მოქმედი (თუ, ამ
შემთხვევაში, განმცდელი) პირის ფუნქციას გრამატიკული ირიბი ობიექტი ას-
რულებს. ამიტომაც მოქმედებითი გვარის აძულეებს, აყვარებს ზმნების კონს-
ტრუქციაში მოქმედების გამომწვევი პირის (გრამატიკული სუბიექტის) ჩამა-
ტებისას, ირიბი ობიექტი უცვლელად რჩება, ინარჩუნებს თავის ფუნქციას.
შღრ. წერს ის მას — აწერიანებს ის მას მას (მოსწავლე წერს კარნახს — მასწავ-
ლებელი მოსწავლეს აწერიანებს კარნახს), და: სძულს მას, ის — აძულეებს ის მას
მას: ყმაწვილს სძულს ტყუილი — მშობლები ყმაწვილს აძულეებს ტყუილს
(მშობლებმა ყმაწვილს შეაძულეს ტყუილი); აძულეებს (შე-აძულა), აყვარებს
(შე-აყვარა) ტიპის ფორმები იძულეებს, იყვარებს ფორმების საარვისო ქცევას
(ნეიტრალურ ვერსიას) წარმოადგენენ. ხოლო იძულეებს და იყვარებს, ამკარაა,
არც ფორმით და არც მნიშვნელობით კაუზატივი არაა. ბუნებრივია, არც მათი
საპირისპირო ქცევის თვალსაზრისით) ფორმები იქნებიან კაუზატიურნი; მათ
მხოლოდ შეიძლება ერთგვარად, ზემოაღნიშნული ვითარების გამო, დაუკავშირ-
დეს კაუზატივის ფუნქცია.

ასევე, საარვისო ქცევად შეესაბამება ავიწყებს ფორმა სათავისო ქცევის
ივიწყებს ფორმას. თუმცა-ღა უკანასკნელს სათავისო ქცევის ფუნქცია დასუს-
ტებული აქვს. სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ მის შესაბამის მოქმედებითი
გვარის საარვისო ქცევის ფორმაში შესაძლებელი გახდა კაუზატივის ფუნქ-
ციის წარმოჩენა (ივიწყებს, ზემოაღნიშნულის გამო. ახლა ფაქტობრივად ნეიტრა-
ლური ვერსიის ფუნქციითაა დატვირთული). ამდენად, ფორმითა და წარმოშო-
ბით არც ეს ზმნაა კაუზატივი.

აღსანიშნავია ამ ზმნის სხვა თავისებურებაც: იშვიათად იწარმოება ამ
ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა: უვიწყებს-და-უვიწყა (სიკეთე არ დაუვიწყა).
ავიწყებს-უვიწყებს, განსხვავებით საარვისო და სასხვისო ქცევის სხვა ფორ-
მებისაგან, პირთა შეწყობის თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა: ორივე სამ-
პირიანია. ამგვარი დამთხვევა მეტად იშვიათია. მაგრამ ერთადერთი მაინც არ
არის. ა-ვიწყებს-ი-ვიწყებს-უ-ვიწყებს ფორმების დაპირისპირებისას აშკარად
გამოიყოფა ა- პრეფიქსი, რომელიც იმავე რიგისა ჩანს. რაც ა-კეთებს, ა-ძალებს.
ა-ვალებს, ა-შავებს ზმნებში. ამდენად, ფუძეა: ვიწყ.¹⁶⁵ მიუხედავად ამისა, ამ
ზმნას ა- პრეფიქსი ვნებითშიც გადაჰყვება (ა-ვიწყებს-ა-ვიწყ-ღ-ება) ზემოაღნი-
შნული ზმნების საპირისპიროდ.¹⁶⁶ ავიწყდება. ფორმით აბსოლუტური ვნებითია.
მაგრამ გაგება რელატიური (ორპირიანი) ზმნისა აქვს (ავიწყდება ის მას) და
უღვლილების დროს ორპირიანი ვნებითის სისტემას იმეორებს.¹⁶⁷

¹⁶⁵ Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964 стр. 84.

¹⁶⁶ შღრ. ა-კეთებს-კეთ-ღ-ება, ა-შავებს-შავ-ღ-ება.

¹⁶⁷ იქნება: ავიწყდება-დაავიწყდა-დავიწყებია. შღრ. უკეთდება-გაკეთებია, მაგრამ: აკ-
ეთებს-კეთდება-გაკეთებულა.

როგორც უკვე აღინიშნა, კაუზატივის მანარმოებელ სუფიქსებად გამოყოფილია: -ევ, -ინ და მათი შეერთებით მიღებული -ევ-ინ, ¹⁶⁸მათგან -ევ სუფიქსი ზმნებში თემის ნიშნადაც გამოიყოფა. -ევ თემისნიშნისანი ზმნები განეკუთვნებიან ე. წ. ხმოვანმონაცელებს ანუ ფუძედრეკად ზმნებს: აპნ-ევ-ს — დააპნ-ი(ვ)-ა, ათრ-ევ-ს — ათრ-ი(ვ)-ა, აკმ-ევ-ს — აკმ-ი(ვ)-ა, ანჭლრ-ევ-ს — შეანჭლრ-ი(ვ)-ა, არლ-(ვ)-ევ-ს — დაარლვ-ი(ვ)-ა, აპნ-ევ-ს — დააპნ-ი(ვ)-ა და ა. შ. ასევე ხდება ზმნებში, რომლებშიც ა- პრეფიქსი არ დასტურდება: სმლ-ევ-ს — სმლ-ი(ვ)-ა, სწ-ევ-ს — გასწ-ი(ვ)-ა, ხ-ევ-ს — ღახ-ი(ვ)-ა და მისთან.

თანამედროვე ქართულში -ევ თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარისა და -ევ ფორმანტი მანარმოები კაუზატიური ფორმები უღელილების თვალსაზრისით ერთგვარ განსხვავებას გვიჩვენებენ. ზემოთ ითქვა, რომ ეს თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზმნებში -ევ>-ივ — ნამყო ძირითადას და მასზე დამყარებულ მწკრივებში. კაუზატიურ ფორმებში ამგვარი ცვლილება აღარ ხდება: ევ, როგორც ჩვეულებრივი თემის ნიშანი, II სერიის ფორმებს ეკვეცება: ა-ჰმ-ევ-ს — ა-ჰმ-ა, ა-ცმ-ევ-ს — ჩა-ა-ცვ-ა; ა-სმ-ევ-ს — შე-ა-სვ-ა.¹⁶⁹ ასევე ხდება ართმევს, არქმევს ფორმებშიც. რომელთაც „დაკარგული აქვთ შუალობითი კონტაქტის გაგება“.¹⁶⁹ შდრ.: ა-კეთ-ებ-ს — გა-ა-კეთ-ა; ა-თბ-ობ-ს — გა-ა-თბ-ო და ა. შ. ეს ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ ეს სუფიქსი წარმოშობით არაა კაუზატივის მანარმოებელი, იგი წარმოშობით თემის ნიშანია და მხოლოდ შემდეგ გარკვეულ ზმნებში მოიპოვა კაუზატიური დამოკიდებულების ჩვენების ფუნქცია.

ამაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ:

ა) -ევ სუფიქსი (ისევე, როგორც ზოგი სხვა თემის ნიშანი) აწარმოებს ნასახელარ ზმნებს: მღვრიე-ამღვრევ, კვალი-იკვლევ, მტვერი-ამტვერევ; შდრ.: ფარი-ფარავ, შხამი-შხამავ.

ბ) აწარმოებს სტატიკური ფორმებისაგან დინამიკურ ფორმებს: კვამს-აკმევს, ჩანს-აჩენს¹⁷⁰ შდრ.: ღვას-ღვამს (ან: ღვება) და სხვ.

-ევ თემისნიშნისანი ფორმები სხვა მხრივაც საკულისხმონი არიან. ცნობილია, რომ ფუძედრეკადობა ქართულში ფლექსიის არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ მოვლენად მიაჩნიათ. ეს ფუძედრეკადობა (resp. ფლექსია) -ევ სუფიქსისანი ზმნებისათვისაც არის დამახასიათებელი (სმლევს-სმლია<*სმლივა). მაგრამ პარალელურად, როგორც ნაჩვენები იყო, ეს სუფიქსი ჩვეულებრივი თემის ნიშნის თვისებასაც ამჟღავნებს (აჰმევს-აჰამა).

აქვე უნდა აღინიშნოს: აჰამა, შეახვა ფორმები გვაქვს დღეს სალიტერატურო ქართულსა და რიგ დიალექტში. მაგრამ დიალექტების ერთი ნაწილი განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს; კერძოდ, აქ ისევე როგორც მოქმედებითი გვარის ფორმებში, ხდება -ევ>-ივ მონაცვლეობა: ა-ჰმ-ევ-ს — ა-ჰმ-ი(ვ)-ა... ამის კლასიკურ ნიმუშს ერთი ხალხური ლექსი იძლევა:

¹⁶⁸ აცმევს, ასმევს ზმნები თავისებურებას გვიჩვენებენ: პირველი სერიის ი-ცვ-ამ-ს, სვ-ამ-ს ფუძებში კაუზატიუმი დასმისას ვ ბევრა ფონეტიკურ ნიადაგზე იყარება: *ა-ცვ-ამ-ევ-ს>*ა-ცვ-მ-ევ-ს>ა-ც-მ-ევ-ს (მსა და ვს მეზობლობის გამო).

¹⁶⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 370.

¹⁷⁰ ე. თ. ო. უ. რ. ი. ა. ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის; ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, III, ტფილისი, 1936. გვ. 229.

შემომეყრა ყიფილი სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჰშიე, ვურჩევდი თავთუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჰშიე, ვურჩევდი ზოზობისასა,
ღვინო მთხოვა და ვაჰშიე, ვურჩევდი ბადაგისასა...

ამგვარი წარმოება დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებისათვის. კერძოდ, „ხევსურულში გაბატონებულია კაუზატივის -ევ, -ივ მაწარმოებელი. თუ სუფიქსი რთულია. ისიც -ევ -ივ (-ევო) იქნება და არა -ევ -ინ“.¹⁷¹

ამავე -ევ სუფიქსს გამოყოფენ კაუზატივის რთული შედგენილობის -ევ -ინ მაწარმოებელში. ზემოთ დასახელებული ფორმებისაგან განსხვავებით აქ არ ხდება -ევ>-ივ მონაცვლეობა: ა-ჭრ-ევ-ინ-ებ-ს — და-ა-ჭრ-ევ-ინ-ა და მისთნ. -ევ -ინ მაწარმოებელი ძირითადად მოუღით -ი, -ავ და -ამ თემისნიშნთან მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს: ზრდ-ი-ს—ა-ზრდ-ევ-ინ-ებ-ს, თლ-ი-ს—ა-თლ-ევ-ინ-ებ-ს, ა-ბ-ამ-ს — ა-ბ-მ-ევ-ინ-ებ-ს, კლ-ავ-ს — ა-კვლ-ევ-ინ-ებ-ს (<*ა-კლ-ევ-ინ-ებ-ს) და მისთნ. შესაბამისად ვნებითის კაუზატიური ფორმები იქნება: ე-ზრდ-ევ-ინ-ებ-ა, ე-კვლ-ევ-ინ-ებ-ა (<*ე-კლ-ევ-ინ-ებ-ა), ე-ბ-მ-ევ-ინ-ებ-ა და ა. შ.

თავის მხრივ ამ ფორმანტში გამოიყოფა -ინ ელემენტი, რომელიც ცალკეც აწარმოებს კაუზატივს: აწერინებს, აგრეხინებს, აკერინებს და სხვ.

უნდა აღინიშნოს კაუზატიური ფორმების ერთი თავისებურება: აქ ფაქტიურად ორი თემის ნიშანი დასტურდება; მიზეზი ისაა, რომ კაუზატივის მაწარმოებელი აწმყოს ფუძეს დაერთვის: ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს, ა-ხატ-(ა)ვ-ინ-ებ-ს, ა-პ-ომ-ინ-ებ-ს და ა. შ.

-ინ, ჩანს, -ენ სუფიქსისაგან არის მიღებული. ეს ორი სუფიქსი ხშირად ენაცვლება ერთმანეთს უღვლილების პარადიგმებში: კენს-უჰინა, უშენს-და-უშინა, ფრენს-გადაუფრინა, ფენს-დააფინა და ა. შ. ეს სუფიქსები დასტურდება აგრეთვე: ავლენს, ალხენს, არცხვენს, აძვრენს (ნამყო ძირითადი: მიავლინა, მოალხინა, შეარცხვინა, გააძვრინა) ტიპის ფორმებში.

ამდენად, კაუზატიურ ფორმებში გამოყენებული -ევ და -ინ სუფიქსები დასტურდება მოქმედებითი გვარის ფორმებშიც (ასევე ზოგიერთ საშუალ ზმნაში). ოღონდ აქ ერთი თავისებურება იჩენს თავს: მოქმედებითი გვარის ფორმებში ეს სუფიქსები პარადიგმების მიხედვით მონაცვლე არიან: -ევ>-ივ <მლევს-ხმლია<*სმლივა>; -ენ>-ინ (ფენს-დაფინა), კაუზატიურ ფორმებში კი გაქვევებული სახით არიან წარმოდგენილი (გარდა -ევ ფორმანტისა, რომელიც ზოგ დიალექტში იცვლება): ათლევინებს-გაათლევინა; აწერინებს-დააწერინა. გარდა ამისა: -ევ კაუზატიურ ფორმებში წარმოდგენილია ისე, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ფორმებისათვისაა აწმყოში დამახასიათებელი (ხ-ევ-ს), ხოლო -ინ მოქმედებითი გვარის ზმნებში მხოლოდ 11 სერიის ფორმებში დასტურდება.

¹⁷¹ ა. ვინჯარაული, ხევსურულს თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 145.

II. მოქმედებითი გვარის ფუძედრეკადი ზმნების წარმოების ზოგი საკითხი

ფუძედრეკადი ზმნები ქართულში სპეციალური კვლევის საგანი ვახდა. ამ ზმნებში -ედ, -ებ, -ებ, -ემ, -ემ, -ემ, -ემ, -ემ და სხვა სუფიქსები ვ. თოფურიაშ გამოყო.¹⁷² რა დანიშნულება უნდა ჰქონოდათ ზმნებში ამ სუფიქსებს?..

ზრ-ებ და ა-ზრ-ობ ფორმების შედარებისას, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ხომ არ ასრულებს -ებ სუფიქსი ზრ-ებ ფორმაში იმავე როლს, რასაც ა-ობ აფიქსები ა-ზრ-ობ ფორმაში? ჩანს, მათ შორის მართლაც დაიძებნება ფუნქციური კავშირი. ა-ობ (ასევე: ა-ებ) აფიქსები მოქმედებითი გვარის ფორმების მწარმოებლად გამოყოფილი. თუკი ეს ასეა, ზრ-ებ ფორმაში -ებ სუფიქსსაც, ჩანს, იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს. და მართლაც, ა-ზრ-ობ და ზრ-ებ — ორივე მოქმედებითი გვარის (გარდამავალი) ზმნა — მხოლოდ ამ აფიქსებით ვანსხვავდება ერთმანეთისაგან და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ა-ობ აფიქსებს ერთ შემთხვევაში და -ებ სუფიქსს მეორე შემთხვევაში ერთი და იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სუფიქსებს შეუძლიათ აწარმოონ მოქმედებითი გვარის ფორმები; ძირითადად აქ თემის ნიშნები (-ებ, -ამ, -ავ) იგულისხმება.¹⁷³ ზემოაღნიშნულ ფორმაშიც მოქმედებითი გვარის აწმყ-ის ფუძის წარმოება ეკისრება -ებ სუფიქსს.

იგივე -ებ სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე ფშვნ-ებ ზმნაშიც. მაგრამ რაღაა ფშვნ-ის-ის ზმნა, რომელიც ახლა აწმყ-ის ფორმადაა გაგებული? წარმოშობით იგი II სერიის ფორმა (ხოლმეობითი) უნდა იყოს. ცნობილია, რომ II სერიაში თემის ნიშანი არ გადაეყვება ზმნას: ა-კეთ-ებ — გა-ა-კეთ-ე; ხატ-ავ — და-ხატ-ე; ა-ბ-ამ-და-ა-ბ-ი და ა. შ. თითქოს იგივე ვითარება უნდა გვექონოდა ფშვნ-ებ ფორმის შემთხვევაში:

აწმყო:	ფშვნ-ებ-ის
ნამყო ძირითადი:	და-ფშვნ-ა
II ხოლმეობითი:	(და)-ფშვნ-ის

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უღვლილების უძველეს (ასპექტურ) სისტემაში „ხოლმეობითი ასრულებდა იმ როლს, რაც შემდეგ აწმყ-ის დაეკისრა;“¹⁷⁴ ასეთი რამ პრინციპულად შესაძლებელი ჩანს. რაც შეეხება კონსტრუქციის განსხვავებას (ფშვნის — ის მას; აწმყო; დაფშვნის — მან ის, ხოლმეობითი), ეს მეორეულ მოვლენადაა მიჩნეული.¹⁷⁵ ამდენად, ეს ფორმები იმავე ვითარებას გვიჩვენებენ, რასაც თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივი თემისნიშნისანი ზმნები.

კრ-ებ და კრ-ეფ ფორმებში აფიქსები -ებ და -ეფ რომ ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ, ეს ცნობილია. თავის მხრივ -ებ თემის ნიშნადაცაა გამოყოფილი (აკეთ-ებ, ბად-ებ). კრ-ებ ფორმაშიც იგი ფუძეს მისორ-

¹⁷² იხ. ვ. თ. თ. თ. რ. ი. ა. ფუძედრეკადი ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრომები, III, 1936.

¹⁷³ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები; ენმკას შოამბე, ტ. XII, 1942, გვ. 233.

¹⁷⁴ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I; გვ. 80.

¹⁷⁵ იქვე, გვ. 74.

ცებული აფიქსი უნდა იყოს. ასე რომ, ამ ფორმაშიც -ებ (-ეფ) იმავე დანიშნულებისა იქნება, რაც -ებ სუფიქსი ფშენ-ებ ზმნაში. ამავე ფუნქციისა ჩანს -ემ სუფიქსი თვლ-ემ-ს ზმნაშიც (<თვალ-ი;¹⁷⁶ ნასახელარი ზმნა).

დასტურდება პარალელური ფორმები: სხლ-ებ-ს|სხლ-ავ-ს. აქაც -ებ და -ავ სუფიქსებს ერთი და იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეთ. ეს ორი ზმნა შინაარსობრივდაც ახლოს დგას ერთმანეთთან: სხლ-ავ-ს — სასლაკით სელიმეტ რქას (შტოს) აკრის (ეაზს...) და: სხლ-ებ-ს — სწრაფად, მოწყვეტით აცილებს, გლეჯს, წყვეტს (ქეგლ): სხლ-ებ-ს და სხლ-ავ-ს ფორმები მხოლოდ შინაარსობრივი ნიუანსით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.¹⁷⁷

ანალოგიური ვითარებაა სრ-ავ-ს და სრ-ენ-ს ფორმებშიც. სრავს — ხოცავს, ელეტს, ანადგურებს, სპობს; და: სრენს — მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა: ეყულებს, თელავს, ანადგურებს, სპობს (ქეგლ).

-ეს სუფიქსი გამოიყოფა წნ-ენ-ს ფორმაში (შდრ.: წნ-ევ-ა).

ამავე დანიშნულებისა ჩანს -ეშ სუფიქსი ქლ-ეშ-ს ზმნაში: მას ასევე უპირისპირდება -ავ თემისნიშნის იმავე ძირისგან ნაწარმოები ზმნა: ქელ-ავ-ს. მათ შორისაც დასტურდება შინაარსობრივი მსგავსება: ქლ-ეშ-ა — ძლიერი ხეხა; ხოლო: ქელ-ვ-ა — ბალანთ გალახვა (საბა, სიტყვის კონა), ქელ-ავ-ს — ფეხით სრენს, თელავს (ქეგლ).

მაწარმოებლის ანალოგიური ფუნქცია უჩანს აგრეთვე -ენ სუფიქსს ზმნებში: კბ-ენ-ს (შდრ.: კბ-ილ-ი, და ზმნები: კბ-ერ-ს და კუნ-ებ-ს;¹⁷⁸ სტვ-ენ-ს (შდრ.: სტვ-ირ-ი), ტყ-ენ-ს (ტყ-ივ-ილ-ი), ღრ-ენ-ს (შდრ.: ღრ-ილ-ი), რქ-ენ-ს (ჯრქა),¹⁷⁹ ფრ-ენ-ს (ჯფრ-თ-ა; შდრ.: ფრ-ინ-ველი). ეგვეე -ენ სუფიქსი პრეფიქსთან ერთადაც გვხვდება. ამავე სუფიქსის გამოყოფა შესაძლებელი ჩანს ფ-ენ-ს ზმნაშიც,¹⁸⁰ შდრ.: ღა-ი-ფ-ევ-ს („მაჰლეჯს, დაიფეხს წყულულშია მწვანე ბალახსა მთისასა“. ვეჟა-ფშაველა, ალუდა ქეთელაური).

შვლ-ეჟ და შვლ-ეჟ ერთმანეთის დიალექტურ ვარიანტს წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში, ახლა (ქეგლ). ამდენად, აქაც შესაძლებელი ჩანს -ეჟ და -ებ სუფიქსების გამოყოფა. -ებ სუფიქსი უნდა გამოიყოფოდეს აგრეთვე ტყ-ებ ზმნაში (შდრ.: არ-ტყ-ამ); ხოლო -ეჟ სუფიქსი ღრ-ეჟ ზმნაში (შდრ.: ღრ-ან-ჟ-ილ ღრ-ან-ჟ-ი, — ქვედა ყვა, ქეგლ).

ნასახელარი ჩანს ფხ-ეჟ ზმნა (<ფხ-ა), შდრ.: ფხ-ეჟი გურული ნაჟუჟი; (ქეგლ).

-ეფ სუფიქსის გამოყოფის შესაძლებლობა ჩანს ჩქ-ეფ-ს ზმნაში (შდრ.: ჩქ-ერ-ი),¹⁸¹ -ებ სუფიქსისა ჰულ-ებ-ს ზმნაში (შდრ.: დიალექტური ფორმები: ენებითისა: და-ჰულ-და-ა; სალიტ.: დაიჰულიტა) და ა. შ.

¹⁷⁶ ვ. თოფურიძე, დასახელებული ნაწარმი, გვ. 231.

¹⁷⁷ შდრ.: Н. Я. Марр, грамматика древнелитературного грузинского языка, стр. 141.

¹⁷⁸ ვ. თოფურიძე, დასახელებული ნაწარმი, გვ. 231—232.

¹⁷⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 402.

¹⁸⁰ ა. შანიძის აზრით, სევეკოა, რომ ამგვარად დაიშალის ყველა -ენ სუფიქსიანი ზმნა (მათ შორის: ფენა, შეენა და სხვა); იქვე, გვ. 402.

¹⁸¹ შდრ.: ფ. ერთელიშვილი, ლაშქრ პრეფიქსები ქართულში, მაგნე, 5, თბ., 1969, გვ. 164.

შეიძლება დავასკვნათ. რომ - ეხ, - ეტ, - ეხ, - ეშ. - ებ და სხვა სუფიქსებს ფუ-ძედრეკალ ზმნებში იგივე დანიშნულება ჰქონდათ, რაც ღლეს აქვს თემის ნიშანს. შემდეგ ეს სუფიქსები ძირს მიუხორცილდნენ და უკვე ძირისეულად იქნენ გაგებული; ამიტომ შესაძლებელი გახდა მათზე თემის ნიშნის დართვა და მივიღეთ ფორმები: ხრის-ავ-ს, კრიბ-ავ-ს, ხვრიტ-ავ-ს და მისთნ.

III. მოქმედებითი გვარისა და „საშუალი“ ფორმების ურთიერთობისათვის

ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ მოქმედებითი და „საშუალი“ ზმნების წარმოების ერთ თავისებურებაზე.

მოქმედებითი გვარის ფორმების წარმოების ზემოაღნიშნულ ტიპებს შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი საშუალება, კერძოდ, მოქმედებითი გვარის ფორმების სტატიკური ზმნებისგან ზმნისწინით წარმოების შემთხვევები. იგულისხმება: ჰყავს — შემო-ჰყავს, აქვს — მი-აქვს ტიპის ფორმები. ორივე ზმნა ინვერსიული ფორმისაგან არის ნაწარმოები და ინვერსიულობის გაგება მათ ამ ნაწარმოებ ფორმებშიც აქვთ შემორჩენილი. ამდენად, ეს ზმნები ფუნქციურად არიან მოქმედებითი გვარის ზმნების ფარდნი, თუმცაღა ფორმით (და კონსტრუქციითაც) სტატიკურ ინვერსიულ ზმნებად რჩებიან. მაგრამ ეს მხოლოდ აწმყოს წრეში. უღვლილების დანარჩენ პარადიგმებში კი ჰყავს და მოჰყავს (შემოჰყავს, მიჰყავს...) ფორმები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პირველი ვნებითის მოდელს იყენებს, მეორე — მოქმედებითი გვარის შესაბამისი ფორმებით ივსებს ნაკლებ მწკრივებს. და, საერთოდ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უღვლილების ტიპების ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი სწორედ ზმნის გვარის ფორმებია. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი განსხვავება თავს იჩენს არა მარტო მაშინ, როცა გვარის ფორმები გრამატიკული მოდელით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ მაშინაც, როცა ფუნქციური განსხვავება დასტურდება. ამდენად, გვარის სინტაქსური ბუნება (ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობა) ამ კატეგორიის შინაარსობრივი მხარეა, ხოლო ზმნის გვარის მორფოლოგიური ბუნება ვლინდება არა მარტო შესაბამისი მოდელით, არამედ უღვლილების სახეებითაც. რომ ეს მართლაც ასეა, ამას ზემოაღნიშნული ფორმებიც დაადასტურებენ. შდრ.:

	სტატიკური ფორმები		მოქმედებითი გვარის ფუნქციონირების ფორმები	
	ჰყავს	აქვს	მოჰყავს	მოაქვს
აწმყო:	ჰყავდა	აქონდა	მოჰყავდა	მოაქონდა
უწყვეტელი:	ჰყავდას	აქონდას	მოჰყავდას	მოაქონდას
I კავშირებითი:				

უღვლილებაში ამ ფორმებს შორის მსგავსება ამით ამოიწურება. ამის შემდეგ უკვე განსხვავება იჩენს თავს: სტატიკური ფორმების უღვლილება ვნებითებს მიჰყვება, ხოლო მოჰყავს, მოაქვს ტიპის ფორმებისა კი—მოქმედებითებს.

მყოფალი:	ეყოლება, ექნება	მოიყვანს, მოიტანს
ხოლმეობითი:	ეყოლებოდა, ექნებოდა	მოიყვანდა, მოიტანდა
მყოფალის კავშირი:	ეყოლებოდეს, ექნებოდეს	მოიყვანდეს, მოიტანდეს

ნამყო ძირითადი:	ეყოლა, (*ექნა)	მოიყვანა, მოიტანა
II კავშირებითი:	ეყოლოს, (*ექნას)	მოიყვანოს, მოიტანოს
I თურმეობითი:	ჰყოლია, ჰქონია	მოუყვანია, მოუტანია
II თურმეობითი:	ჰყოლოდა, ჰქონოდა	მოეყვანა, მოეტანა
III კავშირებითი:	ჰყოლოდეს, ჰქონოდეს	მოეყვანოს, მოეტანოს

საგულსხმო აგრეთვე ისიც, რომ აქვს ფორმისგან ნაწარმოები მოქმედებითის ფუნქციის მქონე ზმნა პარადიგმებში ფუძემონაცელა. ამრიგად, ამ შემთხვევაში გვარის ფორმათა წარმოების ლექსიკური ტიპიც მოქმედებს.

საინტერესოა ამ მოვლენის საპირისპირო ფაქტიც: მოქმედებითი გვარის ზმნების ერთი ნაწილი ზოგჯერ კონსტრუქციაში (საშუალი ზმნის ფუნქციას იღებს: სცემს კაცს (მოქმედებითი) — ცემს გული (საშუალი); სცრის ფქვილს (მოქმედებითი) — ცრის წვიმა (საშუალი) და მისთნ. როგორც მოქმედებითი გვარის ფორმებს, ამ ზმნებს უღვლილების ყველა პარადიგმი მოეპოვება (სცემს; სცემდა, სცემდეს; იგივე ფორმები გამოიყენება მყოფადის ფუნქციითაც: სცემა, სცემოს; უცემა, ეცემა, ეცემოს), მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა იგივე ფორმები სტატიკურობის ფუნქციას იღებენ, სხვა „საშუალი“ ზმნების მსგავსად მწკრივნაკლი ხდებიან: გული ცემს, გული ცემდა, გული ცემდეს; — სხვა მწკრივები ამ ფორმას უკვე აღარ მოეპოვება, ასევე: (წვიმა) ცრის, ცრიდა, ცრიდეს.

ჰყავს-მოიყვანს ზმნების შესახებ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მათი პარადიგმების ფუძეთა (ყოლ<*ყვალ-ყვან) დაპირისპირება როგორც ვნებითისა (გარდაუვალისა) და მოქმედებითის (გარდამავალი) ფუძეებისა (ეყოლა-წაიყვანა), შედარებით გვიანდელია. ძველ ქართულში (და დღეს კი ქართულის ზოგ დიალექტში) ყვან ჩვეულებრივ გამოიყენებოდა სტატიკურ ფორმათა პარადიგმების ფუძეებშიც: ჰყვან-ს, ჰყვან-და და მისთნ. გარდა ამისა, ყვან ფუძე ზოგჯერ აწმყოშიც გამოიყენება გარდამავალი ზმნის მნიშვნელობით (ი-ყვან ბავშვს ხელში).¹⁸²

ამ ზმნათა თავისებური ბუნება სათანადოდ არის დახასიათებული. ყურადღება გამახვილებულია ამ ზმნათა ფუძემონაცელობაზე. აღნიშნულია, რომ ზმნისწინიანი მყავს ფორმის მონაცელე ყვან-ა გარდამავალია.¹⁸³ აგრეთვე ისიც, რომ დინამიკურ შინაარსს ეს ზმნები ზმნისწინის დართვის შედეგად იღებენ.¹⁸⁴ თავისთავად საინტერესოა და საგულსხმო ის ფაქტი, რომ სტატიკური ფორმების დინამიკურად გადაქცევის ერთ-ერთი საშუალება ზმნისწინის დართვაა და ისიც, რომ ამ გზით მიღებული დინამიკური ფორმა ფაქტიურად მოქმედებითი გვარის ფუნქციის მატარებელია.

IV. მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოების საკითხისათვის

ქართულში მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნების აწმყოს ფუძე არსებითად ორი მოდელით იწარმოება:

¹⁸² შდრ.: ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 565.

¹⁸³ იქვე, გვ. 527; 563; 564—565.

¹⁸⁴ ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 161—162; 123—126.

ა) ა+სახელის ფუძე+სუფიქსი (resp. თემის ნიშანი): თეთრი-ა-თეთრ-ებ-ს; ერთ-ი — ა-ერთ-ებ-ს; გუბე — ა-გუბ-ებ-ს; ბიჯ-ი — ა-ბიჯ-ებ-ს||ა-ბჯ-ენ-ს; მტვერი — ა-მტვრ-ევ-ს;¹⁸⁵ ქარი — ა-ქრ-ობ-ს;¹⁸⁶ ვრც-ელ-ი — ა-ვრც-ობ-ს და მისთნ.

ბ) სახელის ფუძე+სუფიქსი (resp. თემის ნიშანი): ფარი-ი — ფარ-ავ-ს; რქა — რქ-ენ-ს; ძალა — ძლ-ევ-ს და მისთნ.

მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებას შორის ამგვარი განსხვავება შემთხვევითი ან რაიმე სისტემას მოკლებული არ უნდა იყოს. ამის საფუძველი ისევ ფუნქციურ განსხვავებაში უნდა ექნოდ. და მართლაც, ა+სახელის ფუძე + სუფიქსი მოდელით ნაწარმოები ზმნები (ათეორებს, აკაცებს, აღამაზებს, აგრილებს, აერთებს და მისთნ.) არსებითად გარდაქცევითობას აღნიშნავენ; და მართლაც: ათეორებს-თეთრად აქცევს; აკაცებს-კაცად ხდის (აქცევს); აღამაზებს-ლამაზს ხდის და ა. შ. ამ ტიპის ზმნათა ამგვარი თვისება თავის დროზე აღნიშნული იყო სპეციალურ ლიტერატურაში.¹⁸⁷

რაც შეეხება მეორე ტიპის (სახელის ფუძე+სუფიქსი მოდელით ნაწარმოები) მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებს, ისინი უკვე გადმოსცემენ არა გარდაქცევითობას, არამედ ინსტრუმენტალიზობას (ქურცილობას) და, ამდენად, ინსტრუმენტატივს წარმოადგენენ.¹⁸⁸ და მართლაც: კლავ-კალით ახრულვებ გარკვეულ მოქმედებას; ბარავ-ბარი წარმოადგენს იარაღს გარკვეული მოქმედების შესასრულებლად; ჩარხავ-ჩარხით სრულდება სათანადო საშუალო და ა. შ. ამდენად, ზმნა ფუძედ იღებს სახელს იმ საგნისას, რომლითაც შესაბამისი მოქმედება სრულდება.

ზოგჯერ ზემოაღნიშნული განსხვავებული წარმოება ომონიმების დასაპირისპირებლადაც გამოიყენება:

ხერხი (საქრელი იარაღი) > ხერხ-ავ-ს,

ხერხი (ფანდი, ილეთი) > ა-ხერხ-ებ-ს.

ამგვარი ფუნქციური სხვაობა წარმოჩენილია მხოლოდ ნასახელარ ზმნებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ფუძეს ორგვარი წარმოება აქვს: როგორც ოდენსუფიქსური, ასევე პრეფიქს-სუფიქსური.

ფარი-ი:	ფარ-ავ—ა-ფარ-ებ
შხამი:	შხამ-ავ—ა-შხამ-ებ
ფიც-ი	ფიც-ავ—ა-ფიც-ებ
ცეცხლი:	ცეცხლ-ავ—ა-ცეცხლ-ებ
ფერი:	ფერ-ავ—ა-ფერ-ებ (ი-ფერ-ებ)

აღნიშნული პრეფიქს-სუფიქსიანი ზმნები სამპირიანებია, განსხვავებით იმავე მოდელით ნაწარმოები, გარდაქცევითობის ფუნქციის მატარებელი სხვა ნასახელარ ზმნებისაგან; მესამე პირად ირიბი დამატება ემატება; შდრ.: ფარავს

¹⁸⁵ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., დასახლებული ნაშრომი, გვ. 229.

¹⁸⁶ ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე., დასახლებული ნაშრომი, გვ. 412.

¹⁸⁷ ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე., ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 35—36.

¹⁸⁸ ტერმინისათვის იხ. ქ. მ. ა. რ. ზ. ო. ს. დასახლებული ნაშრომი, გვ. 123.

კაცი შეიღსა“ „აფარებს კაცო შეიღს საბანს.“ შვილი -- ფორმა პირველ შემთხვევაში პირდაპირი დამატებაა. მეორე შემთხვევაში კი -- ირიბი. ამდენად. უკანასკნელ ფორმაში უბრალოდ კი არ ხდება ირიბი დამატების შემოტანა კონსტრუქციაში. არამედ მას თან ასლავს არსებითი ხასიათის ცვლილებებიც.

მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნების ზემოაღნიშნულ მოდელებს შესაბამისად განეყოფნება ენებითი გვარის ასევე განსხვავებული მოდელები (ათეთრებ-თეთრდება; ჩარხავ-იჩარხება); შესაბამისად განსხვავებული წარმოებისა ახასიათებთ აგრეთვე ზემოაღნიშნულ მოქმედებითი გვარის პარალელურ ფორმებს: შხამი-შხამავს-იშხამება, მაგრამ: შხამი-აშხამებს-შხამდება- ამის თაობაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩვეულებრივ ერთი სახელისაგან ზემოაღნიშნული ორგვარი წარმოება ქართულში არ დასტურდება: ბარი, ბეჭედი, დადი. მური, კლა, სუსხი, ფარცხი, ჩარხი და სხვა სახელებისაგან მხოლოდ ერთი მოდელით იწარმოება ზმნები: ბარავს, ბეჭდავს, დადავს, მურავს და ა. შ. მაგრამ არა გვაქვს *აბარებს („ბარად აქცევს“ მნიშვნელობით), *აბეჭდებს, *ადადავს, *ამურებს და მისთნ.

ა+ფუძე+სუფიქსი მოდელი, გარდა ზემოაღნიშნულისა, გარდაუვალი ფუნქციებისაგან გარდამავალი (მოქმედებითი გვარის) ზმნების წარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა თანამედროვე ქართულში: წუხს—ა-წუხს-ებ-ს; დულს—ა-დულს-ებ-ს; დუმს—ა-დუმს-ებ-ს და ა. შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანალოგიური ვითარება აფხაზურშიც შეინიშნება. სადაც სახელის ფუძისგან დინამიკური ზმნის საწარმოებლად გარდაქცევითობის შინაარსით გარკვეული სუფიქსი გამოიყენება.¹⁸⁹

V. ქცევისა და გვარის ფორმათა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

ქართულში რიგ ფორმანტს აქვს ორგვარი დანიშნულება: ერთი მხრით ისინი გამოდიან როგორც სიტყვათწარმოებითი ფორმანტები, მეორე მხრით — როგორც ფორმათწარმოებითი აფიქსები. ზოგჯერ მათ ერთდროულად აკისრიათ ორივე მნიშვნელობის გამოხატვა, მაგრამ ერთ-ერთი ფუნქცია მაინც ძირითადი და განმასზღვრელია ნებისმიერი ფორმანტისათვის.

ა. პრეფიქსისათვის ასეთ ფუნქციად ობიექტზე (პირდაპირსა და ირიბზე) მინიშნება იქნა მიჩნეული. პარალელურად მას, ჩანს, სიტყვათწარმოებითი მნიშვნელობაც მოეპოვება. რიგ შემთხვევაში ეს პრეფიქსი იკარგვის (აგზავნის-გზავნის) ისე, რომ ზმნის მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს, ზოგჯერ კი პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები გარკვეული შინაარსობრივი ნიუანსით უპირისპირდებიან ერთმანეთს (არგებს ის მას — არგებს ის მას), თუმცა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ჩანს მათი პარალელური მნიშვნელობით გამოყენება.

ანალოგიური დანიშნულება უნდა ჰქონდეთ პარალელურ ფორმებში ი-სა და უ-ს (სათავისო და საარგისო ქცევის მაწარმოებლებს). შდრ.: ა-კეთებს — ი-კეთებს — უ-კეთებს (ასევე: ა-თეთრებს — ი-თეთრებს — უ-თეთრებს; ა-ლამაზებს — ი-ლამაზებს — უ-ლამაზებს და მისთნ.). ყველა ამ მაგალითში

¹⁸⁹ ქ. ლ. ო. მ. თ. ო. მ. ე. სტატკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში, იკ VI, გვ. 260; მისივე; გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურში, იკ VIII, გვ. 205.

პრეფიქსებს ქცევის (ვერსიის) ჩვენების პარალელურად სიტყვათწარმოებით ფუნქცია აქვს (განსაკუთრებით ძლიერ ეს ნასახელარ ზმნებშია წარმოჩენილი). მართლაც თეთრი — სახელთან შედარების დროს ნათლად ჩანს, რომ ა- ფორმანტს როგორც სიტყვათწარმოებით ელემენტს, ათეთრებს ფორმაში იგივე ფუნქცია ეკისრება, რაც ი-ს ითეთრებს და უ-ს უთეთრებს ფორმაში: ესაა სახელისაგან ზმნის წარმოების ერთ-ერთი საშუალება. ხოლო თვით ზმნებში კი, ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე, განასხვავებენ ქცევას და ამ შემთხვევაში უკვე იმავე ფორმანტებს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფუნქციის ჩვენება აქვთ დაკისრებული. ე. ი. სიტყვათწარმოებითი ფუნქცია ერთი აქვთ. მაგრამ განსხვავდებიან როგორც ფორმათწარმოებითი აფიქსები. ასევე. თუკი აწუხებს ფორმაში ა- პრეფიქსის დანიშნულებაა გარდამავალი ფორმის წარმოება, ფაქტიურად იგივე ფუნქცია აკისრია ი-სა და უ- ფორმანტებს იწუხებს და უწუხებს ფორმებში. რაც შეეხება ფარავს-იფარავს-უფარავს ტიპის ფორმებს, აქ უკვე ი- და უ- ელემენტებს მხოლოდ ფორმათწარმოებითი ფუნქცია აკისრიათ.

ისევე როგორც ა- პრეფიქსს, ი- და უ- ფორმანტებსაც აქვთ ობიექტზე მიწინების ფუნქცია: პირველი — უკუქცევითობის გამოხატველია, ე. ი. აღნიშნავს მოქმედების მიკუთვნებას სუბიექტისადმი, მეორე კი — მოქმედების სხვა, არასუბიექტური პირისადმი მიკუთვნებას. ეს კარგად ჩანს პარალელურად ხმარებული შემდეგი მაგალითებიდან: დააცვითა-დასცვითა, წააგლიჯა-წააგლიჯა, მოაწმინდა-მოსწმინდა; ასევე: შეუთვალა-შესთვალა (ვეფხისტყაოსანი, სტრ. 594); უპატრონობდი-პპატრონობდი; შეჰყვილა და უყვილა; შესძახა-შეუძახა...

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევენ უკვირს-ჰკვირობს ტიპის მაგალითები: ისინი ისე უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ინვერსიული (უკვირს/მას ის) და არაინვერსიული (ჰკვირობს ის მას), ფორმები. ამდენად, თვისობრივად ეს ფორმები განსხვავდებიან ზემოაღნიშნული ზმნებისაგან. გარდა ამისა, უღვლილების დროს ეს ზმნები (თუკი ვნებითის მოდელის მიხედვით წარმოებულ ფორმებს ჩაინაცვლებენ) ერთმანეთს დაუპირისპირდებიან როგორც ვნებითის რელატიური და აბსოლუტური ფორმები: უკვირს-გაუკვირდება-გაუკვირდა-გაჰკვირდება და: კვირობს-გაკვირდება-გაკვირდა-გაკვირდებულა-მასისადამე, უკვირს-კვირობს ერთმანეთის მიმართ მხოლოდ ქცევით განსხვავებულ ფორმებს არ წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ფორმობრივ მათ შორის სწორედ ამგვარი დაპირისპირებაა.

უფრო საინტერესო და საგულისხმო სურათს იძლევა ჰმადლობს-უმადლის ზმნების დაპირისპირება. ჰმადლობს ფორმა თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივ I სუბიექტური პირის ფორმით გამოიყენება: ვმადლობ (ქეგლ). ხშირია, აგრეთვე მეორე ობიექტური პირის ფორმით მისი გამოყენება: გმადლობთ (გმადლობ). ჰმადლობს-უმადლის ზმნები უღვლილების სისტემითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, უმადლის ფორმა უწყვეტელში -ოდ სუფიქსიანია (როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია -ი სუფიქსიანი „საშუალო ზმნებისათვის“), ჰმადლობს ფორმას კი უწყვეტელში -დ სუფიქსი მოუღლის: უმადლ-ოდ-ა, უმადლ-ოდ-ე-ს... მაგრამ: ჰმადლობ-დ-ა, ჰმადლ-ოდ-ე-ს... (ჰმადლობდეს ღმერთსა და შეიწყნარნეს იგინი სიხარულით... იხ. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, თბილისი, 1966, გვ. 6.). და

კიდევ: უმაღლის ზმნის საარქისო ქცევის ფორმა იქნება ამაღლის მაგრამ ეს ორი ზმნა უკვე ერთმანეთს უპირისპირდება არა მხოლოდ ქცევის მიხედვით: უმაღლის ფაქტიურად „საშუალი ფორმა“, გარდაუვალი, სტატიკური (ქეგლ): ამაღლის — მოქმედებითი გვარისა, გარდამავალი (ქეგლ) ეს ორი ფორმაც უღვლილებით განსხვავდება ერთმანეთისაგან: უმაღლის, უმაღლოდა, უმაღლოდეს... მაგრამ: ამაღლის, ამაღლიდა, ამაღლიდეს... როგორც ცნობილია. ქცევის ფორმები ჩვეულებრივ უღვლილებას არ განასხვავებენ და ამიტომაც ზემოაღნიშნულ ფორმებში ამგვარი დაპირისპირების არსებობა მეტად საგულისხმო ფაქტია. ეს მოვლენა უძველესი ჩანს. თანამედროვე ქართულში არის ტენდენცია მათი დაახლოვებისაც და საპირისპირო: მკვეთრად განსხვავებისა. პირველი ვლინდება იმით, რომ უმაღლის ფორმაშიც უწყვეტლის მაწარმოებლად ჩნდება -დ სუფიქსი: უმაღლ-ი-დ-ა. მეორე — ამაღლის ფორმის ახლებური წარმოებით (ამაღლებს), თუმცა ეს უკანასკნელი შედარებით იშვიათად გამოიყენება (ქეგლ); აგებულების მიხედვით იგი ჰმაღლობს ზმნის შესაბამისი მოქმედებითის ფორმა ჩანს, შდრ.: ჰმაღლობს--ამაღლებს და ნადირობს-ანადირებს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მოვლენაც: განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ უმაღლის-ამაღლის ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო როგორც ერთი ზმნის ორი ფორმა (ქცევისა თუ გვარისა) არამედ როგორც შინაარსობრივად (სემანტიკურად) განსხვავებული ორი ზმნა: შდრ.: ამაღლის (ამაღლებს) — მადლად უთვლის, აყვედრებს, ამუნათებს (მისთვის ჩადენილ სიკეთეს, მასზე გაწეულ ამაგს); და: უმაღლის — მისი მადლიერია, მისდამი მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული (ქეგლ). მაგალითები, როცა ქცევის ფორმები ფაქტიურად ლექსიკურადაც ასხვავებენ ზმნებს, ქართულში სხვაც შეიძლება დაიძებნოს. მაგალითად: აჭერს-იჭერს-უჭერს; ამართლებს-უმაართლებს და მისთნ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უჭირავს-იჭირავს ტიპის ფორმები. უკანასკნელი მხოლოდ დიალექტებში დასტურდება; მაგალითად, გურულში: თათრები გამოდიოდნენ და იჭირვიდნენ(იჭირავდნენ<იჭირავს) ქალეფს, კაცეფს, ბალნეფს და გახილდნენ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961, გვ. 425). ორივე ზემოაღნიშნული ფორმა ნაწარმოებია ჭერ ფუძისაგან. ფუძემონაცვლე ზმნებისათვის დამახასიათებელია აწმყოში თემის ნიშნის დართვის შემდეგ ფუძის -ი გახმოვანებაზე გადასვლა (გრეხს-გრიხავს, ღრეკს-ღრიკავს), მაგრამ ჩვეულებრივ გრეხს-გრიხავს ტიპის ზმნები ერთმანეთის მიმართ პარალელურ ფორმებს წარმოადგენენ და რაიმე შინაარსობრივ განსხვავებას არ იძლევიან. ასევეა იჭერს-იჭირავს (დიალექტ.) ფორმების შემთხვევაშიც, მაგრამ უჭერს-უჭირავს უკვე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პირველი მნიშვნელობით დინამიკური, ხოლო მეორე (უჭირავს) სტატიკური ზმნაა. თავის მხრივ, იჭირავს-უჭირავს ზმნებიც ერთმანეთისაგან ფორმობრივ მხოლოდ ქცევით განსხვავდება, მაგრამ ფუნქციურად მათ შორის სხვაგვარი განსხვავებაა: ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც გარდამავალი და გარდაუვალი და იმავდროულად როგორც დინამიკური და სტატიკური ფორმები; შესაბამისად განსხვავებული აქვთ უღვლილების სისტემაც; იჭირავს ითვლება როგორც მოქმედებითი გვარის ფორმა, უჭირავს, — როგორც საშუალი ფორმა: პირველს ყველა მწკრივის ფორმა აქვს (იჭირავს, იჭირავდა|იჭირვიდა, იჭირავდეს|იჭირვიდეს; დაიჭირავს.. დაიჭირა და ა. შ.), მეორე, როგორც ჩვეულებრივ „საშუალი ზმნა“, პა-

რადიგებებში ფუძეს იცვლის და ვნებითის მოღვლით ნაწარმოებ ფორმებს იყენებს (უჭირავს, ეჭირა, სჭერია... ქეგლ). გარდა ამისა, უჭირავს იხეიროსიულობისაკენ გადახრილი ზმნაცაა: უჭირავს მას ის, რეალურად მოქმედი პირი მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი პირი ჩანს.

ამდენად, ირკვევა, რომ როგორც ობიექტური პირის, ასევე ქცევის ნიშნების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ობიექტზე მინიშნება, ზმნაში რაიექტის აღნიშვნა, მაგრამ პირის ნიშნებისაგან განსხვავებით ქცევის ნიშნებს სიტყვათწარმოებითი ფუნქციაც ახასიათებს, რაც განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს ნასახელარ ზმნებში: ა-თეთრებს, ი-თეთრებს, უ-თეთრებს: თუკი ა- ფორმანტს კარდამავალი ზმნის წარმოება აკისრია ათეთრებს ფორმაში, შესაბამის ფორმებში იგივე ფუნქცია ეკისრებათ ი- და უ- ფორმანტებს.

VI. მოქმედებითი გვარის ფორმათა პარალელური წარმოების საკითხისათვის

ზემოთ აღნიშნული იყო ამგვარი პარალელური წარმოების რამდენიმე შემთხვევა:

ა) ფშვნეტს-ფშვნის ტიპისა: როგორც აღმოჩნდა, ეს ორი ფორმა ისტორიულად ერთმანეთს უნდა უპირისპირდებოდეს, როგორც აწმყოსა და II ხოლმეობითის ფორმები. ქართულში ხოლმეობითის მოშლის შედეგად ფშვნის ფორმა გაგებულ იქნა აწმყოდ.

დაახლოებით ამგვარივე ჩანს დაპირისპირება ამადლის-ამადლებს ტიპის ფორმებს შორის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისტორიულად ხოლმეობითის ფორმა (ამადლის) ამჭერად ახალი ქართულისათვის ორდინარულმა წარმოებამ შეცვალა (ამადლებს). ანალოგიური ხასიათის პარალელური ფორმები ძველ ქართულშიც არის დამოწმებული: შლის-შალავს, ცვლის-ცვალებს, თარგმნის-თარგმანებს¹⁰⁰ და მისთნ. ამის საფუძველზე სალიტერატურო ნორმების თვალსაზრისით არამართებული ფორმებიც შეიძლება წარმოიწიას: წონის-წონავს და მისთნ.

ბ) სხლ-ეტს-ს — სხლ-ავ-ს, სრ-ეს-ს — სრ-ავ-ს, კბ-ენ-ს — კბ-ეჩ-ს, ა-ფენ-ს — ა-ფ-ევ-ს ტიპისა: ერთი და იმავე ძირისაგან ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ძველი და ახალი წარმოება. ამათგან აღრინდელი სუფიქსები (-ეტს, -ეს, -ენ, -ეხ...) ძირსაა მიხორცებული.

გ) ა-ფარ-ებ-ს — ფარ-ავ-ს, ა-შხამ-ებ-ს — შხამ-ავ-ს, ა-ფიც-ებ-ს — ფიც-ავ-ს ტიპისა: ეს ფორმები, როგორც გამოიჩევა, ფუნქციურად უპირისპირდებიან ერთმანეთს: ერთი (აშხამებს, აფარებს) გადმოსცემს გარდაქცევითობას. მეორე (ფარავს, შხამავს) ინსტრუმენტატის; თუმცა თანამედროვე ქართულში ამგვარი დაპირისპირება ერთგვარად დარღვილია, ხოლო ზოგჯერ სრულიად უამქრალი.

გარდა ამისა, დასტურდება შემდეგი პარალელური ფორმები:

დ) ა-ნიშნ-ებ-ს — ნიშნ-ავ-ს ტიპისა, რომელიც ძალიან ახლოს დგას აფარებს — ფარავს ტიპის ფორმებთან, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ ოდენსუფიქსიანი ფორმა (ნიშნავს) ორგვარ გაგებას იძლევა: ერთ შემთხვევაში იგი გამოდის როგორც დინამიური, მოქმედებითი გვარის ფორმა: ქალს ნიშნავს

¹⁰⁰ ი. იმნაიშვილი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, ძველ ქართული ენის საუბრის შრომები, 11. (საიუბალო), თბ., 1968; გვ. 49.

(ქალი დანიშნა), ჭარის სარდალს ნიშნავს (ჭარის სარდალი დანიშნა); ხოლო მეორე შემთხვევაში როგორც სტატიკური ფორმა, რომელსაც საკუთრივ მხოლოდ აწმყოს წრის ფუძე მოეპოვება: „სიტყვა „ნიშ“ ნიშნავს (-აღნიშნავს) ედელში გამოღრმავებულ ადგილს“.

ე) განსაკუთრებულ ჭკუფს ქმნიან ქართულში მოქმედებითი გუარის ის ზმნები, რომლებიც ძირითადად ერთი მნიშვნელობისა არიან და ერთმანეთს აზრდებენ მქონებლობით უპირისპირდებიან: ავნებს-ვენებს, აგზავნის-გზავნის, ათბუნებს-თბუნავს და მისთნ. აქვე გაერთიანდებიან ერთი მნიშვნელობის მქონე ის ფორმებიც, რომლებიც დამატებით სუფიქსებითაა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ყოვნის-ყოვნებს, ყვედრის-ყოვედრებს და მისთნ.

ვ) ქართულში დასტურდება პარალელური ფორმები: აცურებს-აცურავენს, აგორებს-აგორავენს, აჭიდებს-აჭიდავენს, აქანებს-აქანავენს, ახტუნებს-ახტუნავენს, ამასხრებს-ამასხარავენს; ამავე ტიპისაა იმონებს-იმონავენს. ამ ზმნებს შორისაც ჩანს, ფუნქციური განსხვავებაა ამოსავალი, კერძოდ: აცურებს, აგორებს, აჭიდებს, აქანებს და მათი მსგავსი ფორმებისაგან განსხვავებით აცურავენს, აგორავენს, აჭიდავენს, აქანავენს ფორმები „ზოგადი დროის“, „ზოგადი აწმყოს“ ფუნქციით გამოიყენებიან უფრო ხშირად (თუმცა არა ყოველთვის). ანუ გადმოსცემენ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ ხდება. რამაც მოქმედების განგრძობის ფუნქცია წარმოაჩინა. ამოსავალი მათთვის „საშუალო ფორმებია“: ცურ-ავ-ს — ა-ცურ-ებ-ს, მაგრამ: ცურ-ა(ვ)-ობ-ს — ა-ცურ-ავ-ებ-ს; გორ-ავ-ს — ა-გორ-ებ-ს, მაგრამ: გორა(ვ)-ობ-ს — ა-გორ-ავ-ებ-ს, მასხრ-ობ-ს — ა-მასხრ-ებ-ს, მაგრამ: მასხარ-ა(ვ)ობ-ს — ა-მასხარ-ავ-ებ-ს და ა. შ.

ზ) პარალელური ფორმები ქართულში სისტემურ დასტურდება ე. წ. ფუძედრეკად ზმნებითან. მხედვლობაში გვაქვს დრეკს-დრიკავს, გრეხს-გრიხავს ტიპის ფორმები. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სალიტერატურო ქართულში სწორედ თემისნიშნისანი ფორმაა გაბატონებული: ბრწყინ-ავ-ს, მაგრამ ამჟამად აღარ გამოიყენება ბრწყინ-ს ფორმა.¹⁹¹ ასევე გავრცელდა ფრინავს ზმნა, იშვიათად იხმარება ფრენს ფორმა. აქედან იწარმოება მფრინავი, ფრინველი, მაგრამ არა გვაქვს *მფრენი ფორმა.¹⁹² ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ თემის ნიშნებით გართულებული ფუძედრეკადი ზმნები ქართულში თანდათანობით ჩვეულებრივი მოვლენა ხდება, მაგრამ გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა ენა უთემისნიშნო ფორმებს ამჯობინებს: მჭერს, ბწყენს, თვლემს და ა. შ. ჩვეულებრივ ეს ე. წ. „საშუალო ფორმებია“.

მაშასადამე, ფუძედრეკად ზმნებს ხშირად აწმყოში (და, საერთოდ, I სერიაში) მოეპოვებათ პარალელური ფორმები, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში დიალექტურადანა მიჩნეული: გლეჩს-გლეჩავს, გრეხს-გრიხავს, დრეკს-დრიკავს, კრეჭს-კრიჭავს, ხლეჩს-ხლიჩავს და მისთნ. ამგვარ წარმოებას ხსნიან იმიტ, რომ „ზოგიერთ ზმნას -ავ დაერთო მეორე სერიის ფუძეზე და მივიღეთ პარალელური ფორმები“.¹⁹³ გრიხავს, დრიკავს, შრიტავს ფორმების მეორეულობას ასაბუთებენ მიმდევრების საშუალებით (ცნობილია, რომ მიმდევრა,

¹⁹¹ ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.

¹⁹² ილ. ც ა რ ც ვ ა ძ ე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1941, გვ. 187.

¹⁹³ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 401, 413.

რომელი გვარისაც არ უნდა იყოს ის, ფუძელ იღებს მოქმედებათი გვარის აწმყოს ფორმას) და, მართლაც, გვაქვს დრეკილი (<დრეკ-ს; და არა: *დრიკილი<დრიკავს.), ასევე: გრეხილი (<გრეხს და არა: *გრიხილი<გრიხავს)¹⁵⁴ და ა. შ. ავტორების აზრით, დრეკავს, გრიხავს ტიპის ფორმები უფრო ღამასასიათებელია დასავლეთ საქართველოს კილოებისათვის. ასევეა ახსნილი მეგრულ-ქანურში დადასტურებული ანალოგიური ფორმები. ფუძედრეკადი ზმნების თემისნიშნისანი ფორმების ენაში გაბატონების ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ ზოგჯერ მიმღობაც სწორედ ამ ფორმებისაგან იწარმოება: მ-კს-ინ-ვ-არ-ე,¹⁵⁵ ასევე, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება: მ-დრეკ-ავ-ი, მ-გრ-იხ-ავ-ი... ამდენად, ჩანს, მიმღობებშიც ხდება ახალ ტიპზე გადასვლა: მართალია, იგი აქაც აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, მაგრამ ეს ფუძე უკვე ი- გახმოვანებითაა წარმოდგენილი: დრეკ-ავ-ს, გრიხ-ავ-ს...

მ>ი მოქმედებითაა გვარის ფუძედრეკად ზმნებში ფონეტიკურ პროცესად. რედუქციად, მიაჩნიათ (გრეხს-გრიხა), რასაც იწვევენ ნამყო ძირითადისა და ხოლმეობითის სუფიქსები.¹⁵⁶ ალბათ, ასევე აიხსნება თემისნიშანდართული ფუძედრეკადი ზმნების აწმყოში დადასტურებული იგივე ცვლილება (დრეკს, მაგრამ: დრეკავს).

წარმოშობით ეს მოვლენა, ჩანს, მართლაც, ფონეტიკურ ნიდაგზეა განვითარებული, მაგრამ ენის განვითარების შემდგომ ეტაპზე მას გარკვეულ მორფოლოგიური ფუნქციაც უნდა ჰქონდეს მოაოვებული.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს აქ ოდენფონეტიკური ცვლილება არა გვაქვს. ერთია ნათელი: აწმყოს ჩგუფში ფუძედრეკადი ზმნები -ი გახმოვანებით მხოლოდ გარდაუვალი (რეჟპ. ვნებით) ზმნებისთვის არაა დასახისიათბელი (ი-დრეკ-ებ-ა, ი-გრიხ-ებ-ა); იგი აქვს თემის ნიშნით გართულბულ მოქმედებითი გვარის ფუძედრეკად ზმნებსაც (დრეკ-ავ-ს, გრიხ-ავ-ს). ამდენად, გარდამავლობა-გარდაუვალობის (ასევე: მოქმედებითი და ენებითი ფორმების) გარჩევისათვის ამ ფორმებში ხმოვანთმონაცვლეობაზე ყურადღების გამახვილება გამართლებული არ ჩანს. არ არის იგი ამ შემთხვევაში არც რაიმე „დამატებითი ნიშანი“. გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევა ამ ფორმებში სულ სხვა ნიშანს ემყარება.

დრეკს-დრეკა აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფუძეების ფლექსიური დაპირისპირებაა, დრეკავს-დრეკა ფორმებში კი იგივე დაპირისპირება აფიქსების საშუალებითაა მიღწეული.

თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ ერთი და იმავე ფუნქციის ორი განსხვავებული ფორმა, დრეკს და დრეკავს, სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებაა: იმ დიალექტისა, სადაც გავრცელებული იყო ფლექსია (დრეკს-დრეკა) და იმ დიალექტისა, სადაც ფლექსიური მონაცვლეობა აფიქსაციით იყო შეცვლილი (დრეკავს-დრეკა), მაშინ უნდა დამტკიცდეს, რომ ქართულში მართლაც დასტურდებოდა დიალექტები, რომლებიც ამგვარად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან... თუ დრეკავს ტიპის ფორმები დასავლეთ საქართველოს დიალექტებშია უპირატე-

¹⁵⁴ თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 192.

¹⁵⁵ ი. ქავთარაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 128—129.

¹⁵⁶ არნ. ჩიქობავა, შესამე პირის სუბექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენობის მოამბე, V-VI, თბ., 1940, გვ. 36—38.

სად გავრცელებული, ეს თითქოს მეგრულ-ქანურის გავლენითაც შეიძლება აიხსნას, მაგრამ თვით მეგრულ-ქანურში ეს ფორმები მეორეულადაა მიჩნეული.¹⁹⁷

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამგვარი ვითარების ასახსნელად მხოლოდ დიალექტების მოშველიება საქმის რეალურ წინაარსს ნაკლები სიზუსტით წარმოვიდგენს. ჩანს, ეს მოვლენა იმდენად დიალექტებით კი არ განისაზღვრება, რამდენადაც ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურით: ფლექსიური ტიპის მოშლის შემდგომ საფეხურზე იწყება აფიქსაციის გამოყენება, რაც მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს ენის სტრუქტურაში საერთოდ, და ბუნებრივია, სახელადსა და ზმნურ ფუძეებშიც. რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ცვლილება ზოგ დიალექტში უფრო ადრე დაიწყოს, სხვაში კი — უფრო გვიან. მაგრამ ერთია ნათელი: ეს პროცესი მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ყველა დიალექტისათვის და თავისი ასახვა უნდა ეპოვა სალიტერატურო ენაშიც.

აღნიშნულია, რომ „ნამყო ძირითადის ფუძე (დინამიკურ ზმნათა) ისევე, როგორც აწმყო (სტატიკურ ზმნათა) ყველაზე ძველია წარმოშობით და ყველაზე მარტივი შედგენილობით. დინამიკურ ზმნათა აწმყოს ფუძე შემდგომი ფორმაციისა.“¹⁹⁸ თუ ეს ასეა, მოქმედებითი გვარის ფუძედრეკადი ზმნებისთვისაც ამოსავალი იქნება II სერიის ფუძე, ანუ ფუძე o- გახმოვანებით: დრიკ, გლიჭ, წყვიტ, გრიხ, ულიტ და ა. შ. თავის მხრივ კი ეს ფუძე აწმყოს ორგვარ წარმოებას გვიჩვენებს:

1. ფ ლ ე ქ ს ი უ რ ს:

ნამყო ძირითადი:	დრიკ-ა	გრიხ-ა	ცქვიტ-ა
აწმყო:	დრეკ-ს	გრენ-ს	ცქვეტ-ს და მისთნ.

II. ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი უ რ ს:

ნამყო ძირითადი:	დრიკ-ა	გრიხ-ა	ცქვიტ-ა
აწმყო:	დრიკ-ავ-ს	გრიხ-ავ-ს	ცქვიტ-ავ-ს.

ამრიგად, ამოსავალია II სერიის ფუძე, რომლისგანაც შემდეგ იწარმოება აწმყო: ერთ შემთხვევაში ხმოვანთმონაცვლეობით (ფლექსიურად), მეორე შემთხვევაში აფიქსაციით (აგლუტინაციურად).¹⁹⁹ ადრინდელი ჩანს ფლექსიური ტიპი, რომლის მოშლის შემდეგ მკვიდრდება აგლუტინაციური ტიპი, რაც დღესაც მოქმედია ასეთი ცვლილების გამო „ფუძედრეკადი ზმნები წარმოების მისნდვით ზატავ, კერავ, შალავ... რიგის ორფუძიან ზმნებს შეუერთდა.“²⁰⁰

ამრიგად, ქართულში მწკრივთა წარმოების ორი ძირითადი ხერხი ივარაუდება: ფლექსიური (ადრინდელი) და აგლუტინაციური. თითოეულ მათგანს შე-

¹⁹⁷ თ. გამყრელიძე, გ. შაქავეარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192—193.

¹⁹⁸ არნ. ჩიქოზავა, ენებთის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდა-
რის ჩვენებათა მიხედვით. ივე VIII, გვ. 513.

¹⁹⁹ ილ. ცერცვაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 189.

²⁰⁰ იქვე, გვ. 189.

საბამისად განეკუთვნება გარდაუქალი ფორმა. ამის თაობაზე დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

რაც შეეხება ღრეკ-ავ-ს; გრეხ-ავ-ს, კრეფ-ავ-ს ტიპის ფორმებს²⁰¹ (ნაცვლად ფორმებისა: ღრიკ-ავ-ს, გრიხ-ავ-ს, კრიფ-ავ-ს), ისინი ფლექსიურისა და აგლუტინაციურის თავისებურ კონტამინირებას წარმოადგენენ. ყველა ეს ფორმა მცდარია. რადგან „თუ ფუძედრეკადმა ზმნამ ღრიკით -ავ, მაშინ აწმყოში ე.ს ნაცვლად იქნება ი: იჭერს, მაგრამ იჭირავს. დაიჭირავს“²⁰² ღრეკ-ავ-ს ტიპის ფორმები იმიტომაცა უმართებულო, რომ ნამყო ძირითადში მას ისევე ი-გახ-მოვანებით შეესაბამება ფუძე ღრიკ-ა. როგორც უკვე აღინიშნა, ე-ი მონაცვლეობას ამ შემთხვევაში მჭკრივთა განსხვავების ფუნქცია ეკისრება. როცა წარმოების ტიპი აგლუტინაციურია, იგივე ფუნქცია აფიქსაციას აკისრია, ფუძე კი ნამყო ძირითადშიც და აწმყოშიც ერთია (ი-გახმოვანებით: ღრიკ, გრიხ); ღრეკავს-ღრიკა ფორმებში კი გამოდის, რომ ერთი გრამატიკული მოვლენის აღსანიშნავად ორი ნიშანია გამოყენებული: ფლექსიაც და აფიქსაციაც.²⁰³

მოქმედებითი გვარის ფუძედრეკად ზმნათა პარალელური ფორმები ძირითადად -ავ თემის ნიშნითაა ნაწარმოები. გამონაკლის შემთხვევაში გვხვდება -ბ სუფიქსიც: ა-ჭერ-ს — ა-ჭირ-ებს, ა-მხელ-ს — ა-მხილ-ებს-ს.²⁰⁴ ი-ჭერ-ს ი-ჭირ-ებს-ს (მაგ., ქაშარს). უკანასკნელ ფორმაში -ავ სუფიქსის ნაცვლად -ებ სუფიქსის გაჩენა, ჩანს, იჭერს ზმნის პოლისემიურობითაა გამოწვეული: 1. იჭერს — ხელს სტაცებს, აბატირებს, იპყრობს... 2. იჭერს — მაგრად იკრავს (ქეგლ): შესაბამისად, პირველი ფორმის პარალელურად გვექნება -ავ თემისნიშნისანი (იჭირავს), ხოლო მეორე ფორმის გვერდით -ებ თემისნიშნისანი (იჭირებს) ზმნა.

მოქმედებითი გვარის ფუძედრეკად ზმნებთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს. ჩვეულებრივ ნაზმნარი სახელები I სერიის ფუძისაგან იწარმოება. მაგრამ დასტურდება რამდენიმე სახელი, რომელიც II სერიის ფუძესაც ეყრდნობა. ასე რომ, ერთი და იგივე ზმნისგან ორგვარად იწარმოება სახელი; ეს შეეხება აჩენს, ცქვეტს, კვენტს ტიპის ფუძედრეკადი ზმნებისგან ნაწარმოებ სახელებს; და მართლაც, შდრ.: ა-ლხენ-ს — ა-ლხინ-ა; ლხენ-ა — ლხინ-ი, ა-ჩენ-ს — ა-ჩინ-ა; ჩენ-ა — ჩინ-ი; ცქვეტ-ს -- ცქვიტ-ა; ცქვიტა — ცქვიტ-ი; ჩხერ-ს — ჩხირ-ა; ჩხერ-ა — ჩხირ-ი; კრეჭ-ს — კრიჭ-ა; კრეჭ-ა — კრიჭ-ა; კვენტ-ს — კვნიტ-ა; კვენტ-ა — კვნიტ-ი; კვნიტ-ა; წმედ-ს (წმენდ-ს) — წმიდა (წმინდა); წმედა (წმინდა) — წმიდა (წმინდა).²⁰⁵

თ) აღნიშნულ ტიპთან ახლოს დგანან სხვა პარალელური ფორმებიც იმ განსხვავებით. რომ ფლექსიური ტიპი აქ უკვე აღარ დასტურდება. ამდენად, ფუძეშიც არაერთი ცვლილება არ ხდება. ასეთებია: ლეს-ს — ლეს-ავ-ს. რეკ-ს — რეკ-ავ-ს, კვეთს — კვეთ-ავ-ს, ლეწ-ს — ლეწ-ავ-ს, ზეწ-ს — ზეწ-

²⁰¹ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 418; ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 232—233; მისივე: ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965, გვ. 82.

²⁰² ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი. გვ. 81.

²⁰³ ილ. ეკერცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 183.

²⁰⁴ იქვე, გვ. 188.

²⁰⁵ იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, დასახ. ნაშრომი. გვ. 312—313.

ავ-ს, პენტ-ს — პენტ-ავ-ს, ხვეტ-ს — ხვეტ-ავ-ს, ხოც-ს — ზოც-ავ-ს, ჩებ-ს — ჩებ-ავ-ს, ჩეჩ-ს — ჩეჩ-ავ-ს, ტებ-ს — ტებ-ავ-ს და ა. შ. ამ უკრებებზე თემის ნიშნის დართვა შეიძლება მართლაც ანალოგიით აიხსნას.²⁰⁶ მიზეზი კი ამგვარი ანალოგიისა, ჩანს, არის სურვილი მკვეთრად დაუპირისპირდეს აწმყოს თმატური ფუძე ნამყო ძირითადის, ათმატურ ფუძეს.

ი) შრეტ-ს — ა-შრ-ობ-ს ტიპი: პირველი ამოსავალი ვნებითი გვარის შრეტების ფორმისათვის, ხოლო მეორე ფორმისათვის თავის მხრით ამოსავალი გარდაუვალი შრება ფორმა. ამდენად, შრ(<შერ²⁰⁷) უძველესი ძირი ჩანს, რომლისგანაც - ეტ და - ებ სუფიქსებით შესაბამისად იწარმოება აწმყოს გარდამავალი და გარდაუვალი ფუძეები (შრეტ-ს-შრება). ამ ფუძეებისგან შემდგომ შესაბამისად იწარმოებოდა გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები: შრეტ-ს-შრეტების; შრება (შრების) — აშრობს. შრეტს — შრება ფორმები, შინაარსობრივი განსხვავების გამო არ იქნენ ვაგებული ერთმანეთის კონკრეტულ ცოცრებად (შრება ძველ ქართულში „ქრობა“-ს აღნიშნავდა.²⁰⁸); ფაქტი იმაზე ნათელია, რომ - ეტ და - ებ სუფიქსებს დამატებით სიტყვათწარმოებითი ფუნქციაც ეკისრებოდათ და ეს ფუნქცია ძველ ქართულში ჯერ ისე მოქმედებდა.

VII. მოქმედებითი გვარის აღწერითი ფორმები თანამედროვე ქართულში

ქართული ზმნისათვის ჩვეულებრივ სინთეზური ფორმებია დამახასიათებელი. მაუხედავად ამისა, რაც შემთხვევაში აღწერითი ფორმებიც გამოიყენებოდა, ეს ფორმა ნასახელარი ზმნა და იწარმოება სახელისაგან არა საპეციალური აფიქსების დახმარებით, არამედ მეშველი ზმნის საშუალებით. მეშველი ზმნის ფუნქციით ძირითადად გამოიყენებიან სცემს და ყოფს ზმნები: პატივი სცა, ცხადყო და ა. შ. მოქმედებითი გვარის აღწერითი ფორმები უფრო ხშირად ძველ ქართულში გამოიყენებოდა.²⁰⁹ თუმცა ძველ ქართულშივე შეინიშნება ტენდენცია მათი სინთეზური ფორმებით შეცვლისა.²¹⁰ ამ ტიპის „ზმნათა სახელური ნაწილი სხვა არაფერია, თუ არ პირდაპირი ობიექტი... წყალობა-ყო — ყო წყალობაა.“²¹¹

მოქმედებითი გვარის აღწერითი ფორმები თანამედროვე ქართულში არც თუ ისე იშვიათია; ძირითადად ესაა ზმნები: პატივს სცემს, თავჯანს სცემს, ნუგეშს სცემს, თავჯარს სცემს; ასევე: ცხადყოფს, უკვდავყოფს, უგულვებელ-

²⁰⁶ ასე ხსნიან, მაგალითად. წერაე ტიპის ფორმებს ე. თ. ფ. უ. რ. ი. ა. („ქართული“) და არს. ჩიქობავა („გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“); იხ. კრებული „არალი“, თბ., 1925.

²⁰⁷ ე. თ. ფ. უ. რ. ი. ა. მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, გვ. 966; თ. გამყარელიძე, გ. შაქავეარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

²⁰⁸ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 401.

²⁰⁹ А. Тевтадзе, Сложные глаголы в грузинском языке по памятникам V—X вв (Автореферат), Тбилиси, 1954. ივ. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში, ივე. XIV, 1964; ე. ოსიძე, „ღალიღალი“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში, ივე, XII, 1960.

²¹⁰ ივ. ქავთარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 166—167.

²¹¹ ე. ოსიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 267—268.

ყოფს, უვნებლყოფს, უზრუნველყოფს, ნათლყოფს, ხელყოფს, სრულყოფს, იავარყოფს, უჩინარყოფს, უარყოფს. შეურაცხყოფს...

ზოგიერთ მათგანს პარალელური სინთეზური ფორმაც მოეპოვება (მაგალითად, ცხად-ი — ცხადყოფს|ცხადებს), მაგრამ ამ პარალელურ ფორმებს შორის ზოგჯერ შინაარსობრივი (სემანტიკური) სხვაობა შეინიშნება და, ამდენად, ეს ფორმები კონტრუქციაში ერთმანეთს ვერ შეცვლიან:

1. დასტურდება სრული სხვაობა:

ნათლყოფს — ნათელს, გასაგებს ხდის, ააშკარავებს, ამკლავნებს.

ანათლებს — სწავლა-განათლება შეაქვს, ცოდნას შესძენს (ქეგლ).

2. თითოეულ ფორმას, გარდა საერთო შინაარსისა, მოეპოვება დამატებითი, განსხვავებული ფუნქციაც:

ცხადყოფს — ცხადს ხდის, ნათლყოფს, ააშკარავებს.

აცხადებს — სხვისთვის ცხადს ხდის, ვისმე აგებინებს; სხვის გასაგონად ამბობს; საჯაროდ გამოთქვამს; აღნიშნავს, აქვეყნებს (ქეგლ).

სრულყოფს — უნაკლოს, უზადოს ხდის, ხეწს, აუმჯობესებს, ავითარებს; ასრულებს, ამთავრებს.

ასრულებს — სრულ სახეს აძლევს, — ამთავრებს, აბოლავებს; აკეთებს, ახორციელებს (დავალებულს, განზრახულს, დაწესებულს...), მისდევს, ემორჩილება (წესს, ბრძანებას, სურვილს), ქეგლ.

ზოგჯერ კი სრული შინაარსობრივი მსგავსებაც დასტურდება; და მაშინ ერთი მნიშვნელობის გამოსახატავად გამოყენებულია ზმნის ორი ფორმა: ორგანული და აღწერითი. ასეთებია: უჩინარყოფს — უჩინარებს (ქეგლ); ნუგეშს სცემს — ანუგეშებს...

მოქმედებითი გვარის აღწერით ფორმებს შესაბამისი ვნებითი ჩვეულებრივ არა აქვთ; გამოწაკლისის სახით დასტურდება ვნებითის ხელოვნურად, და ისიც აღწერილად, ნაწარმოები ფორმები: ცხადყოფს — ცხადი გახდა (შეიქნა); ნათლყოფს — ნათელი გახდა (შეიქნა) და მისთნ. მაგრამ მოქმედებითი გვარის პარალელურ სინთეზურ ფორმებს უკვე ჩვეულებრივ ეწარმოებათ ვნებითის ფორმები: აცხადებს-ცხადდება, ანათლებს-ნათლდება და ა. შ.

როგორც უკვე აღინიშნა, ამგვარი აღწერითი ფორმების სახელადი ნაწილი ფაქტიურად პირდაპირ ობიექტს წარმოადგენს. მეშველ ზმნებად კი გარდამავალი ზმნებია გამოყენებული: სცემს, ყოფს. ამათგან უქანასკნელი თანამედროვე ქართულში დამოუკიდებლად იშვიათად გამოიყენება, იგი ძველი ქართულის კუთვნილებაა და როგორც მოქმედებითი გვარის ზმნას, შესაბამისი ვნებითიც გააჩნდა: იყო. ყოფს ზმნა თანამედროვე ქართულში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება (გაყოფს, ჩაყოფს...)²¹² ძველი ქართულისეული მნიშვნელობით იგი ძალზე იშვიათად იხმარება (რა უყავი, რა უნდა უყოს...)

მეშველი ზმნის ფუნქციით გამოიყენებული სცემს და ყოფს ზმნები აღწერით ფორმებში ჩვეულებრივ იუღლებიან: პატივს ვცემ, პატივს სცემ, პატივს სცემს... პატივი ვცი, პატივი ეცი, პატივი სცა... ასევე: ნათელვყავი, ნათლყოფი, ნათლყოფი.. უვნებლვყოფ, უვნებლყოფ, უვნებლყოფს... უჩინარყოფ, უჩინ-

²¹² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 566.

ნარგყო, უჩინარგყავი და ა. შ. მაგრამ ზოგჯერ ამგვარ წარმოებას სინტაგმა ცვლის: შეურაცხყოფა მომაყენა ნაცვლად შეურაცხყოფორმისა...

ცალკე უნდა გამოიყოს იდიომატური გამოთქმები, რომლებიც ფაქტიურად ორი ან რამდენიმე სიტყვით ერთ ცნებას გადმოსცემენ (ეს ცნება არ უფორის გამოთქმაში შემაჯავალი სიტყვების შინაარსს და ამდენად, აღწერითი ფორმის თავისებურ სახეს წარმოადგენენ). იგულისხმება: ყური მიუფდლო, თვალი ეჭირა, ოჯახს აქცევს, თავს იჭრის და მისთნ. ფორმები. რასაკვირველია, ესენი მხოლოდ მაშინ გაიგებიან აღწერით ფორმებად, როცა იდიომებად არიან გამოყენებული.

VIII. მოქმედებითი გვარის ზმნათა უღვლილება

მოქმედებითი გვარის ზმნათა უღვლილება ქართულში ძირითადად ჩამოყალიბებულია და მყარი გრამატიკული სისტემის სახითაა წარმოდგენილი. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ თავისებურებას. არსებითად ეს ეხება მოქმედებითი გვარის ზოგი ზმნის აწმყოს ფორმას, რომელიც საბოლოოდ ჭერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. მიზეზი ალბათ აწმყოს ფორმათა შედარებით გვიანდელი ფორმაცია უნდა იყოს. ასე, მაგალითად, გვაქვს მყოფადის აჩუქებს და ნამყო ძირითადის აჩუქა ფორმები, აწმყო არ დასტურდება, მისი მნიშვნელობით ზოგჯერ აჩუქებს ფორმას იყენებენ, ხან კი ახალ ფუძეს უქმნიან: ჩუქნის.

უფრო ხშირია ქართულში შემთხვევები, როცა აწმყო (და მასზე დამყარებული მწკრივები) ვერ ასხვავებს იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც სხვა პარადიგმებში ზმნისწინები ანიჭებენ ზმნის ფუძეს: გვაქვს აგებს, რომელიც პოლისენიორია და ეს პოლისენიორია სხვა პარადიგმებში ფორმობრივ გამოხატულებას მიიღებს: წააგებს-ააგებს; წააგო-ააგო და ა. შ. აწმყოშივე ამგვარ განსხვავებათა დამყარების სურვილმა გამოიწვია წარმოების თვალსაზრისით უმარატებლო ფორმების გავრცელება ქართულში, როგორებიცაა: არდგენს საბუთებს (უპირისპირდება ადგენს ფორმას; მაგალითად: ადგენს გემას), ნამყო ძირითადში: წარადგინა (შდრ. შეადგინა გეგმა); ასეთივე დაპირისპირების ცდაა ღზრდის და ზრდის ფორმებშიც (აღზრდა და გაზრდა)²¹³ და ა. შ.

აწმყოს წარმოებაში აღნიშნული მერყეობა სხვა სახითაც გამოვლინდა. კერძოდ, ქართულში დადასტურებულია შემთხვევები, როცა მოქმედებითი გვარის ზმნები აწმყოში ენებითი გვარის მიმლეობის ფუძეს იყენებენ: ყიდულობს, კითხულობს²¹⁴ და მისთნ. ამდენად, ეს ზმნები ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ, როგორც „საშუალი ფორმების“ უღვლილებისას დასტურდება. თავისთავად საეულისწმნა ის ფაქტიც, რომ ანალოგიური წარმოება „ზოგი „საშუალი ზმნის“ აწმყოს ფუძესაც ახასიათებს (მარხულობს, ლოცულობს და მისთნ.). ზოგჯერ ეს ფუძე მყოფადსა და II და III სერიის პარადიგმებშიც გადაჰყვება (მარხულობს-იმარხულეებს, იმარხულა...²¹⁵), მაგრამ ამგვარი წარმოება მხოლოდ რამდე-

²¹³ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 173.

²¹⁴ ა. შ. ან იძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 514, § 544.

²¹⁵ ი. ქ. ავთარაძე, ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელზმნის წარმოების თავისებურება ქართულში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯანყოფილების შობაზე, 1960, № 3, გვ. 190 (შენიშვნა 4).

ნიმე შემთხვევაში დასტურდება და, ამდენად, არატიპიურია (ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში).

ეს, რაც შეეხება გამონაკლისებს. საერთოდ კი ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნათა უღვლილებებაში შესაძლებელია ორი. ძირითადი ტიპი გამოიყოს: ა) ოდენმორფოლოგიური, როცა უღვლილების პარადიგმები მხოლოდ აფიქსაციით უპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს ტიპი წარმოებისა ჩვეულებრივია ქართლისათვის და ამიტომაც უფრო მეტად გავრცელებულია (ჩეხ-დაჩეხე. ხატავ-დახატე, აკეთებ-გაკეთე და ა. შ.); ბ) ფონეტიკურ-მორფოლოგიური (ანუ, როგორც სხვაგვარად უწოდებენ, მორფონოლოგიური): ამ დროს, ფონეტიკურ მოვლენას სხვადასხვა პარადიგმების დამაპირისპირებლის ფუნქცია მოუპოვება: ღრეკს-ღრიკა, გრეხს-გრიხა და ა. შ. სხვა შემთხვევაში თანამედროვე ქართულში ფონეტიკური მოვლენა დამატებითი ფაქტორის როლში გამოდის: განსხვავებულ აფიქსაციასთან ერთად ერთმანეთს უპირისპირდება I სერიის რედუცირებული და II სერიის სრულხმოვანიანი ფუძეები. რედუცირდება -ა ხმოვანი (შლი-შაღე, თლი-თაღე, ზრდი-ზარღე და მისთ.), -ე ხმოვანი (აკლებ-დააკლ...), -ო რედუქსის სახით იძლევა -ვ თანხმოვანს (აწვდი-მიაწოდე...).

შეინიშნება მერყეობაც. მხედველობაში გვაქვს ის შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის პარალელურად დასტურდება წარმოების ორივე ტიპი. ზემოთ უკვე აღნიშნული ღრეკს-ღრიკა და ღრიკავს-ღრიკა პარალელური სისტემების გარდა, ამავე რიგისა ჩანს: ერთი მხრივ, ღლი-დაღაღე, ხოლო მეორე მხრივ: ღაღ-დაღაღე და სხვ.

რამდენიმე სიტყვა მოქმედებითი გვარის ეძებს ზმნის თავისებურებაზე. მას ფაქტურად უღვლილების ორი, ერთმანეთის პარალელური სისტემა მოეპოვება: ერთი — არასრულია, მწკრივნაკლია; მეორე შემთხვევაში ხდება შესაბამისი ფორმებით ნაკლებ მწკრივთა შეესება.

აწმყო:	ეძებს
უწყვეტელი:	ეძებდა
I კავშირებითი:	ეძებდეს
მყოფალი:	—
ნამყო ძირითადი:	ეძება
II კავშირებითი:	ეძებოს

III სერიის ფორმები არ მოეპოვება. გარდა მწკრივნაკლებობისა, სხვა თავისებურებაც იჩენს აქ თავს: -ებ თემის ნიშანია (შდრ. ე-ძ-ებ-ს — ძე. ქართული: ი-ძი-ი-ს). მიუხედავად ამისა, სხვა მოქმედებითი გვარის ფორმებისაგან განსხვავებით, იგი II სერიაშიც გადააყვება (ეძება — მან ის). გარდა ამისა, ზმნისწინი აწმყოში კი დაერთვის, მაგრამ სხვა მოქმედებითისაგან განსხვავებით (ხატავს-დახატავს), მყოფალია მნიშვნელობას ვერ ანიჭებს (ეძებს-დაეძებს — ორივე აწმყო). ნამყო ძირითადში (ეძება) კი ზმნისწინს საერთოდ ვერ იგუებს. ძველი ქართულის ი-ძი-ი-ს ფორმიდან -ძი ფუძე გადავიდა ე-ძი-ებ-ს ფორმაშიც. ამ ფორმის უღვლილებაც ეძებს ზმნის უღვლილების ანალოგიურია იმ თვალსაზრისით, რომ მყოფლს ვერ იკეთებს (ზმნისწინს, ეძებს ზმნისგან განსხვავებით, საერთოდ არ დაირთავს). მაგრამ ნამყო ძირითადში უკვე -ებ სუფიქსი აღარ გადააყვება (ეძია). ეძიებ ფორმას თანამედროვე ქართულში უპირისპირდება იძიებ ფორმა. უკანასკნელი სათავისო ქცევის ფორმაა და მოქმე-

დებითი გვარისაა: თავიღური ი- სათავისო ქცევის ფორმანტია, მაგრამ ფუნქციურად ქცევის რომელიმე ფორმის გაგება არც იძიებს ზმნას აქვს და არც ეძიებს ზმნას: ეს ორი ფორმა უმრავლეს შემთხვევაში ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება. განსხვავებით ეძიებს ფორმისაგან, იძიებს ზმნას ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვება (იძიებს, გამოიძიებს, გამოიძია, გამოიძიებია, გამოიძიდა).

ულელილების მეორე სისტემა ეძებს ზმნისა დანაკლის მწკრივებს ძებნის ზმნის ფორმებით იხსებს; აწმყო: ეძებს, უწყვეტელი: ეძებდა. I კავშირებითი: ეძებდეს, მყოფალი: მოძებნის; ნამყო ძირითადი: მოძებნა, II კავშირებითი: მოძებნოს, I თურმეობითი: მოუძებნია, II თურმეობითი: მოეძებნა. აქვე უნდა ითქვას, რომ ულელილების ორ სისტემად გამოყოფა პირობითი ხასიათისაა. თვალსაჩინოებისათვისაა გაკეთებული. ამიტომ, თუ ამას უკუვადგებთ, აღმოჩნდება, რომ, მაგალითად, ნამყო ძირითადში: ეძებს ზმნას ორი ფორმა მოეპოვება: ეძება და მოძებნა, პირველი უსრული ასპექტისაა, მეორე — სრულისა და ეს ორი ასპექტი თვით ზმნის ფუძეებითაა გარჩეული და არა ზმნისწინით

8. ვნებიანი გვარის ფორმათა წარმოშობის წიგნი საკითხი ძართულში

I. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფუძეა ურთიერთობისათვის.

ქართულში ვნებითი გვარის ფორმების მეტად რთული და საინტერესო წარმოება დასტურდება. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ვნებითი გვარის ჩამოყალიბებისა და წარმოების საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო. გამოთქმულია არაერთი მოსაზრება; რომელთაგან უმეტესი უთუოდ გვეხმარება ამ რთული საკითხის ღრმად შესწავლაში. საგულისხმოა, რომ ქართულში აბლაუტური მექანიზმი პირველად სწორედ ვნებითის ფორმებში იყო შენიშნული და დასაბუთებული. "სპეციალურ ლიტერატურაში განსაკუთრებით არის გამახვილებული ყურადღება ვნებითის მაწარმოებელ აფიქსებზე, გამოთქმულია ყურადსაღები მოსაზრებები ამ აფიქსების წარმომავლობასა და თავდაპირველ ფუნქციაზე ზმნის მოდელში. ძირითად საკითხად არის გამოყოფილი აგრეთვე ვნებითი გვარის ფორმათა ულელილების სისტემა.

ვნებითი გვარის ფორმები დინამიკური გარდაუვალი ზმნებია. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი გვარის სხვა ფორმებისაგან არის ის, რომ გრამატიკული ქვემდებარე კონსტრუქციაში პასიურია, ფაქტიურად განიცდის სხვის მოქმედებას. მაგრამ ქართულში არც თუ იშვიათად დასტურდება ფორმები — აგებულებით (მოდელით) ვნებითი გვარისა, მაგრამ არსებითად აქტიური მოქმედების გამოხატულები. ამიტომ პასივთან დაკავშირებით ქართულში განსაკუთრებით პრობლემატურია საკითხი ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის შესახებ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თანამედროვე ქართულში გავრცელებულია ვნებითის წარმოების აგლუტინაციური ტიპი, თანდათან ფართოვდება (ზოგჯერ უმართებულოდ) აღწერითი ფორმების ხმარების არეც. ნაწილობრივ გამოიყენება ფლექსიური და ლექსიკური ტიპებიც.

ვნებითის ფორმებს ქართულში მკაცრად განსაზღვრული მოდელები მოეპოვებათ. ამდენად, ვნებითის გამოყოფა ფორმას ემყარება. სწორედ ამიტომაც,

რომ ვნებითად მიიჩნევა ზოგიერთი ზნა, ფუნქციურად აშკარად აქტიური მოქმედების გამოხატველი: ეხმარება, ელაპარაკება, ეთამაშება და მისთნ.

ტრადიციულად გამოყოფენ ვნებითის სამ სახეს: პრეფიქსიან ვნებითებს, სუფიქსიან ვნებითებსა და ე. წ. „უნიშნო ვნებითებს“. მოცემულია ცლა ვნებითის ფორმათა წარმოების სისტემის გამოვლენისა. ასე მაგალითად, მიიჩნევენ, რომ „პრეფიქსიანი ვნებითი საზოგადოდ პირველად ზმნებს ახასიათებს“, ხოლო „სუფიქსიანი ვნებითი ახასიათებს ნასახელარ ზმნებს“.²¹⁶ მაგრამ აღნიშნულია ისიც, რომ ვნებითის წარმოება ხშირად ამგვარ ჩარჩოებში ვერ თავსდება და მართლაც, ჩანს, რომ ვნებითის ფორმათა განაწილებას სუფიქსიანებად, პრეფიქსიანებად თუ „უნიშნოებად“ სულ სხვა საფუძველი აქვს. არსებითად ვნებითის ეს ფორმები განსაზღვრულია (განპირობებულია) შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმებით. სათანადო მოქმედებითთან ვნებითის ფორმების შედარება ამაში ადვილად დაგვარწმუნებს (ვიღებთ აწმყოს ფუძეებს):

ა) უთემისნიშნო (რესი ერთფუძიან), ე. ი. სუფიქსით გაურთულებელი ძირით ან ახლა ძირად გაგებული ფუძით წარმოდგენილ მოქმედებითი გვარის ზმნებს უპირატესად პრეფიქსიანი ვნებითები შეესაბამება: წერ-ს — ი-წერ-ებ-ა, ჩეხ-ს — ი-ჩეხ-ებ-ა, ლეს-ს — ი-ლეს-ებ-ა, პენტ-ს — ი-პენტ-ებ-ა, რეკ-ს — ი-რეკ-ებ-ა; აქვე შემოვა ახლა ძირად გაგებული ფუძეები: ბზეკ-ს—ი-ბზეკ-ებ-ა, ზნექ-ს — ი-ზნექ-ებ-ა, კებნ-ს — იკებნ-ებ-ა, რქენ-ს — ი-რქენ-ებ-ა და მისთნ. მაგრამ არის გამონაკლისებიც: ტეხ-ს — ტუღება (<*ტეხ-დ-ებ-ა), ხეთქ-ს — სკდება (<*ხეთქ-დ-ებ-ა)²¹⁷ დასტურდება პარალელური წარმოებაც:

დრეკ $\begin{cases} \text{იდრიკება} \\ \text{დრეკება} \end{cases}$ (უნიშნო ვნებითის მოდელი). საქმე ისაა, რომ ფუძედრეკად ზმნებს ისტორიულად ვნებითის განსხვავებული წარმოება ჰქონდათ; ეს ცალკე საკითხია და ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი.

ბ) ფუძე+ თემის ნიშანი მოდელის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნებს ასევე პრეფიქსიანი ვნებითები შეესაბამებიან უმეტესად:

1. ფუძე+-ავ; ორ ქვეკვლად იყოფა: ერთი ჯგუფის ზმნებს ნაშთის სახით (-ვ) შემორჩებათ თემის ნიშანი (რომელიც ზოგჯერ მეტათეზისის განიცილის ძირისეულ სონორთან): კლ-ავ-ს — ი-კვლ-ებ-ა (<*ი-კლ-ვ-ებ-ა); კრ-ავ-ს — ი-კვრ-ებ-ა (*ი-კრ-ვ-ებ-ა); რგ-ავ-ს — ი-რგ-ვ-ებ-ა; მეორე ჯგუფის ზმნებში -ავ თემის ნიშანი უკვალოდ ამოვარდება: ბერ-ავ-ს — ი-ბერ-ებ-ა, ბარ-ავ-ს — ი-ბარ-ებ-ა, ტანჯ-ავ-ს — ი-ტანჯ-ებ-ა და მისთნ. ზოგჯერ -ავ თემის ნიშანი ამ ზმნებს ვნებითშიც გადაყვებათ ისე, რომ -ებ თემის ნიშანი აღარ დაერთვის. ამრიგად, იქმნება პარალელური ფორმები: ი-ტანჯ-ებ-ა|ი-ტანჯ-ვ-ი-ს, ი-ბარ-ებ-ა|ი-ბარ-ვ-ი-ს... ასევე: ი-კვრ-ებ-ა|ი-კვრ-ი-ს, ი-რგვ-ებ-ა|ი-რგ-ვ-ი-ს და ა. შ.

2. ფუძე+ -ი (რომელიც წარმოშობით ხოლმეობითის ნიშანია, ახლა თემის ნიშნად გაგებული): ზრდ-ი-ს — ი-ზრდ-ებ-ა (ი-ზრდ-ებ-ი-ს|ი-ზარდ-ებ-ი-ს). სვრ-ი-ს — ი-სვრ-ებ-ა, რყენ-ი-ს — ი-რყენ-ებ-ა, ღლ-ი-ს — ი-ღლ-ებ-ა, თოხნ-ი-ს — ი-თოხნ-ებ-ა, კრ-ი-ს — ი-კრ-ებ-ა და ა. შ.

²¹⁶ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 297—298.

²¹⁷ ა. შანიძე, ნასახელარა ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 37.

3. ფუძე +-ამ: დგ-ამ-ს — ი-დგ-მ-ებ-ა (ი-დგ-მ-ი-ს), ნთქ-ამ-ს — ი-ნთქ-მ-ებ-ა, სვ-ამ-ს — ი-სმ-ებ-ა და მისთნ. აქაც, მიუხედავად -ებ სუფიქსის დართვისა.. ნაშთის სახით შემორჩენილია -ამ თემის ნიშანი.

4. ფუძე +-ებ: ბად-ებ-ს — ი-ბად-ებ-ა, კიდ-ებ-ს — ი-კიდ-ებ-ა, ტოვ-ებ-ს — ი-ტოვ-ებ-ა (პოტენცილისის ფუნქციით გამოიყენება);

5. ფუძე +-ობ: შობს — ი-შობ-ა, გმ-ობ-ს — ი-გმ-ობ-ა...

6. ფუძე +-ოფ: ყოფ-ს — ი-ყოფ-ა...

7 ფუძე +-ევ: რ-ევ-ს — ი-რ-ევ-ა, ხ-ევ-ს — ი-ხ-ევ-ა... როგორც ვხედავთ, მოქმედებითი გვარის -ებ, -ობ -ევ თემისნიშნაან ფორმებს ეს სუფიქსი ენებათ-შიც გადაჰყვებათ ისე, რომ დამატებით თემის ნიშანს (სხვა ზმნების მსგავსად) არ დაირთავენ.

ასევე: 8 ფუძე +-ემ: ს-ც-ემ-ს (წიგნს, ჟურნალს) -ი-ც-ემ-ა, მაგრამ რო-დესაც იგივე ზმნა სხვა მნიშვნელობით გამოიყენება (გალახვის, დარტყმის მნი-შვნელობით), მაშინ -ებ თემის ნიშანიც ემატება: ს-ცემ-ს (კაცს, საქონელს) — ი-ცემ-ებ-ა (ეს ზმნა უპირატესად დეპონენსური მნიშვნელობით გამოიყენება).

9. ფუძე +-ენ (ი-ინ): ბწყ-ენ-ს — ი-ბწყ-ინ-ებ-ა... მაგრამ ამჟამად ეს სუ-ფიქსი ფაქტიურად ფუძისეულადაა გაგებული და ამიტომაც პირველ ჯგუფში განვიხილეთ.

10. ფუძე +-ოვ: ქსოვს... შეესაბამება პრეფიქსიანი ვნებითი: იქსოვება.. ანალოგიური ვითარებაა იმ შემთხვევაშიც, როცა -ოვ სუფიქსის გამოყოფა მთლად აშკარა არაა: ძოვს—იძოვება, წოვს—იწოვება... ეს ვნებითები ძალზე იშვიათად გამოიყენება.

გ) საინტერესო სურათს იძლევა ა+ფუძე+სუფიქსი მოდელით ნაწარმოები მოქმედებითი გვარისა და შესაბამისი ვნებითი ფორმების შედარება. იქმნება რამოდენიმე ქვეჯგუფი.

1. ა+ფუძე+სუფიქსი (თემის ნიშანი) მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ფორმებს ძირითადად სუფიქსიანი ვნებითები შეესაბამება: ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა; ა-გროვ-ებ-ს — გროვ-დ-ებ-ა, ა-შენ-ებ-ს — შენ-დ-ებ-ა, ა-კეთ-ებ-ს — კეთ-დ-ებ-ა, ა-წუხ-ებ-ს — წუხ-დ-ებ-ა, ა-ლაგ-ებ-ს — ლაგ-დ-ებ-ა და ა. შ. მაგრამ შეინიშნება გამონაკლისებიც; შდრ.: ა-ნათ-ებ-ს — ნათ-დ-ებ-ა და: ა-ნთ-ებ — ი-ნთ-ებ-ა; ფუძის კუმშვა მნიშვნელობის მიხედვით განას-ხვავებს მოქმედებითი გვარის ფორმებს: ანალოგიური განსხვავება ვნები-თის ფორმებში უკვე სხვა გზითაა მიღწეული: შესაბამისი ვნებითები განსხვავებული მოდლებით იწარმოება. ზოგჯერ გვარის ფორმები ერთ-მანეთის მიმართ კონვერსიულ ფორმებს კი არ წარმოადგენენ, არამედ საესებით განსხვავებული შინაარსისა და ფუნქციის სიტყვებს. ასეთი მაგალითები საინტერესო მასალას იძლევიან ზმნის გვარის თავდაპირველი ბუ-ნების გარკვევისათვის: ა-თენ-ებ-ს — (ლამეს უძილოდ ატარებს, ათევს; ლამეს ატარებს, დასაძინებლად რჩება, ქეგლ) — თენ-დ-ებ-ა (განთიადი დგება, ლამე ილევა, ნათდება, ქეგლ); ა-პირ-ებ-ს (ფიქრობს გააკეთოს, განზრახული აქვს, სამოქმედოდ ემზადება) — პირ-დ-ებ-ა (პირობას, სიტყვას აძლევს, არწმუნებს, რომ შეუსრულებს რასმე, ქეგლ)... განსხვავებული მოდლებით წარმოება ზოგ-ჯერ ლექსიკურადაც განასხვავებს ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნებს: ა-პირ-ებ-ს; შდრ.: პირ-ავ-ს (მკრელ იარაღს, — ცულს, წალღს, — ცეცხლში ახურებს და მის პირს კვერით ათხელებს, ქეგლ). შესაბამისად უკანასკნელი ფო-

რმის ვნებრივ იქნება ი-პირ-ებ-ა... ამდენად, ლექსიკური განსხვავებაა, ერთი მხრივ, აპირებს-პირდება ზმნებს შორის (რომლებიც ფორმის მიხედვით ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ), მეორე მხრივ აპირებს-პირავს ფორმებს შორის. ანალოგიური დაპირისპირებაა პირდება-იპირება ზმნებს შორისაც, რომელთაგან მხოლოდ უკანასკნელი წარმოადგენს შესაბამისი მოქმედებ-ლის კონვერსიულ ფორმას.

2. ა+ფუძე+-ობ მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს ორგვარი წარმოების ვნებითი შესაბამება: ერთი ჯგუფის ზმნებს პრეფიქსიანი ვნებითები შეესატყვისება: ა-პ-ობ-ს — ი-პ-ობ-ა, ა-წრთ-ობ-ს — ი-წრთ-ობ-ა და ა. შ. ცალკე ჯგუფს ქმნიან უნიშნო ვნებითების შესაბამისი მოქმედებითის ფორმები: ა-თბ-ობ-ს — თბ-ება, ა-ღნ-ობ-ს — ღნ-ება-ა, ა-შრ-ობ-ს — შრ-ება-ა და ა. შ. ა-ძღ-ებ-ს ფორმა ნაცულად სავარაუდო სუფიქსიანი ვნებითისა უნიშნო ვნებითის მოდელს იძლევა — ძღება; ალბათ, ამის გამო უნიფიკირდება იგი შემოღნიშნულ წარმოებასთან და დასტურდება პარალელური ფორმაც ა-ძღ-ობ-ს.

3. ა+ფუძე+-ენ მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს ზოგჯერ შეესატყვისება პრეფიქსიანი ვნებითის ერთ-ერთი ფორმა (საპირისპირო არა აქვს): ა-ბჭ-ენ-ს — ე-ბჭ-ინ-ება-ა (ინიანი ფორმა არ დასტურდება), ზოგჯერ შეესაბამება სუფიქსიანი ვნებითი: ა-ღვ-ენ-ს — ღვ-ინ-ღ-ება-ა, ა-ვლ-ენ-ს — ვლ-ინ-ღ-ება-ა; ზოგჯერ უნიშნო ვნებითი: ა-ძვრ-ენ-ს — ძვრ-ება-ა... ამ მხრივ აქ ძალიან ქრელი სურათია.

4. ა+ფუძე+-თავი — გვაძლევს პრეფიქსიან ვნებითს (ისევე როგორც: ფუძე+-ევ მოდელის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნები), მაგრამ თავის მხრივ აქაც გამოიყოფა ორი ძირითადი ქვეჯგუფი: ერთი მხრივ გვაქვს: ა-ბნ-ევ-ს — ი-ბნ-ევ-ა, ა-ნთხ-ევ-ს — ი-ნთხ-ევ-ა, ა-კმ-ევ-ს — ი-კმ-ევ-ა, ა-მტვრ-ევ-ს — ი-მტვრ-ევ-ა, ა-მშ-ევ-ს — ი-მშ-ევ-ა; ხოლო მეორე მხრივ: ა-კმ-ევ-ს — ი-კმ-ევ-ა|ი-კმ-ევ-ს — ი-ცმ-ევ-ს — ი-ცმ-ევ-ა|ი-ცმ-ებ-ა... იკმევა|იკმება ტიპის პარალელური ფორმები, ალბათ, „წმინდა“ ვნებითის, და პოტენციალის (შესაძლებლობის ვნებითის) გასარჩევად გამოიყენება.

5. ა+ფუძე+-ამ მოდელით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები ვნებითთან დაპირისპირების თვალსაზრისით ისეთივე ვითარებას გვიჩვენებენ, როგორსაც ფუძე+-ამ მოდელით ნაწარმოები აქტური ფორმების შესაბამისი ვნებითები. -ამ თემის ნიშანი ნაშთის სახით აქაცაა შემორჩენილი: ა-ბ-ამ-ს — ი-ბ-მ-ებ-ა, ა-სხ-ამ-ს — ი-სხ-მ-ებ-ა და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესატყვისობანი გრამატიკული მოვლენის ძირითად ვითარებას ასახავენ. გამოწვევისები კი საკმაოდ ხშირად დასტურდება. ასე, მაგალითად, ა-გზნ-ებ-ს, ა-ვს-ებ-ს, ა-ქ-ებ-ს ფორმები სავარაუდო სუფიქსიანი ვნებითების ნაცულად პრეფიქსიან ვნებითებს იძლევიან: ი-/ე-გზნ-ებ-ა, ი-/ე-ვს-ებ-ა, ი-ქ-ებ-ა და ა. შ. ზოგ შემთხვევაში გამოწვევისი მეტად თავისებურია: ბრძანებ-ს (ის მას, ბრძან-ა მან ის) ჩვეულებრივ ინიან ვნებითს გვაგარაუდინებს (ბაღებს-იბაღება ტიპის მსგავსად). მაგრამ *იბრძანება ვნებითის ფორმა არ დასტურდება, თუმცა თეორიულად მოულოდნელი არ არის, რადგან მისი რელატიურა ვარიანტი გვაქვს: ებრძანება (ებრძანა)... თვით ზმნის შინაარსი განსაზღვრავს იმას, რომ ზმნის ამ ფუძეს არ შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტური (ერთპირიანი) ფორმა. სუფიქსიანი ვნებითი: ბრძან-ღ-ებ-ა, როგორც ამაზე

კონვერსიული ფორმაა.

ცალკე უნდა ითქვას „საშუალო“ და ვნებითი გვარის ფორმების ურთიერ-
თობაზე ზემოაღნიშნული თვალს.ზრისის მიხედვით: უკვე ითქვა, რომ საშუალო
ფორმები ძირითადად მოქმედებითის მოდელებს იმეორებენ. ასეთია, მაგალი-
თად, ფუძე: თემის ნიშნინი ან უთემისნიშნო ფორმებზე. მოქმედებითი გვა-
რის ფორმებისაგან განსხვავებით ყველა მათგანს უპირატესად სუფიქსიანი ვნე-
ბითები შეესაბამება: ცურ-ავ-ს — ცურ-დ-ებ-ა, ბრუნ-ავ-ს — ბრუნ-დ-ებ-ა,
ურინ-ავ-ს — ფრინ-დ-ებ-ა, ფოფხ-ავ-ს — ფოფხ-დ-ებ-ა, გორ-ავ-ს — გორ-დ-
ებ-ა, ფუქ-ავ-ს (ფუქ-ს) — ფუქ-დ-ებ-ა, ზანზარ-ებ-ს — ზანზარ-დ-ებ-ა,
კაშკაშ-ებ-ს — კაშკაშ-დ-ებ-ა, ბიბინ-ებ-ს — ბიბინ-დ-ებ-ა, შრიალ-ებ-ს — შრიალ-
დ-ებ-ა, ამაყ-ობ-ს — ამაყ-დ-ებ-ა, სულელ-ობ-ს — სულელ-დ-ებ-ა
და მისონ. ასევე: წუხ-ს — წუხ-დ-ებ-ა, დულ-ს — დულ-დ-ებ-ა და ა. შ.
ამის მიუხეზი ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ამ ზმნათა მოქმედებითი
გვარის ფორმებს: მოქმედებითის ყველა ფორმა ა+ფუძე+ებ მოდელით არის
ნაწარმოები და, როგორც უკვე ითქვა, მათ უპირატესად სწორედ სუფიქსიანი
ვნებითები შეესაბამება. გამონაკლისი აქაცაა, ასე, მაგალითად, უონ-ავ-ს ფორ-
მა პრეფიქსიან ვნებითს გვაძლევს: ი-უონ-ებ-ა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ
მას მოქმედებითის შესაბამისი ფორმა არ მოეპოვება. ზოგ საშუალო ზმნას უნი-
შნო ვნებითებიც შეესატყვისება: დგა-ს — დგ-ებ-ა, წევ-ს — წვ-ებ-ა...

აქვე უნდა აღინიშნოს განსხვავებული მიმართება მოქმედებითი და ვნები-
თი გვარისა, ერთი მხრივ, და საშუალო და ვნებითი გვარის, მეორე მხრივ, ფო-
რმებს შორის: თუკი მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები (აწუხებს-
წუხდება) ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ ფორმებს წარმოადგენენ, საშუალო
და ვნებითი გვარის ფორმებს შორის კონვერსია გამორიცხულია: წუხდება-
წუხს არ შეიძლება ჩაითვალოს და არც ითვლება ერთმანეთის მიმართ კონვერ-
სიულ ფორმებად. გარდაუვალობის ფუნქციით ეს ფორმები ფაქტიურად თანა-
ტოლია და მათ შორის განსხვავება, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ქართუ-
ლში, დინამიკურობასა და სტატიკურობაში უნდა ვეძიოთ: წუხდება — დინამი-
კაა, წუხს — სტატიკა.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას კონვერსიაზე. რო-
მელიც ზმნის გვარის კვლევის დროს ერთ-ერთ ძირითად საკითხად არის მიჩნე-
ული. გავრცელებული აზრის თანახმად „ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა
არსებითად არის ფორმის მობრუნება ანუ კონვერსია (მოქცევა)“.²¹⁸ მოქმედები-
თი გვარის ფორმების ვნებითად გადაკეთებისას იკარგვის აქტიური კონსტრუქ-
ციის სუბიექტი,²¹⁹ უკეთ: იგი პასივის კონსტრუქციაში უბრალო დამატების სა-
ხით იქნება წარმოდგენილი. უბრალო დამატება პირმიუმართი დამატებაა და
ამიტომაც ვნებითის ფორმა შესაბამის მოქმედებითთან შედარებით ერთით ნა-
კლები პირის ჩვენებას მოგვეცემს. კონსტრუქცია ასეთ სახეს მიიღებს: მხატვარი
სურათს ხატავს — სურათი იხატება (მხატვრის მიერ), — უბრალო დამატება
(აქ: მხატვრის მიერ), რომელიც მოქმედების რეალური შემსრულებელია, კონს-
ტრუქციაში უმეტესად წარმოდგენილი არაა. საქმე ისაა, რომ ფორმებში:

²¹⁸ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 291.

²¹⁹ იქვე, გვ. 291—292.

ვ-იკლვი, ვ-იგუემები, ვ-ისპობი... „საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს პასიუ-
რად მიჩნეული მოქმედება—„კლულობა“, „გვეშლობა“, „მოხსპობილყოფნა“—
მე-ს წარმოეშვას, მისი ნამოქმედარი იყოს, სწორედ ისევე, როგორც ეს არის
ვ-ჰკლავ, ვ-ჰკლემ, ვ-სპობ, ში“...²²⁰ ქართული ვნებითის სწორედ ამგვარი ბუნების
გამოა, რომ პასივის ბევრი ფორმა ფუნქციურად ძნელად თუ ჩაითვლება რომე-
ლიმე მოქმედებითის კონვერსიულ ფორმად, თუმცაღა ფორმალურად საქმე
სწორედ ასეა წარმოდგენილი: ავინებს-იგინება, ლოცავს-ილოცება, აპირებს-
პირდება, ათენებს-თენდება, აძლევს-იძლევა, აღამებს-ღამდება და ა. შ. რომ
არაფერი ვთქვათ ისეთ ფორმებზე, როგორცაა: ატუობს-ეტუობა, იმბრობს-
ემბრობა და მისთან.

პირთა კლების თვალსაზრისით ერთმანეთის კონვერსიულ ფორმებად უნდა
ჩაითვალოს: აკეთებს-კეთდება, უკეთებს-უკეთდება; წერს-იწერება, უწერს-
ეწერება; უკანასკნელი ასევე „საზედაო“ აწერს ზმნის კონვერსიულ ფორმასაც.
უნდა წარმოადგენდეს. ეს ფორმები პრეფიქსთა ბუნების გარკვევაშიც დაგვეს-
მარება. და მართლაც, მათი შედარების საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ყველა
ამ ფორმაში ა-, უ- და ე- პრეფიქსებს ფაქტიურად ერთი და იგივე ფუნქცია, კე-
რძოდ, ობიექტზე მითითების ფუნქცია აქვთ.

ზოგჯერ ერთმანეთის კონვერსიულ ფორმებად განსხვავებული ლექსიკური
ერთეულები გვევლინება: ტოვებს-რჩება, აყენებს-დგება, ყრის-ცვივა და მისთან.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კონვერსიასთან დაკავშირებით „სა-
შუალ ფორმებსაც“. საშუალ ფორმათა უმრავლესობა პირველადი უგვარო
ზმნებია, რომლებიც გვარის ფორმებად მოქმედებითისა და ვნებითის ჩამოყა-
ლიბების შემდეგ გაფორმდნენ. ფუნქციურად მოქმედებითიცა და საშუალიც.
ერთერთის მიმართ კონვერსიულ ფორმებს წარმოადგენენ: აწუხებს (ის მას) —
წუხს (ის); შდრ.: აწუხებს (ის მას) — წუხდება (ის). ოღონდ აქ გასათვალისწი-
ნებელია, რომ მოქმედებითი გვარის ის ზმნები, რომელთაც შესაბამისი საშუა-
ლი ფორმა შეესატყვისება, ჩვეულებრივ ამ საშუალი ფორმისგან არის ნაწარ-
მოები: წუხს-ს — ა-წუხს-ებს-ს, დულს-ს — ა-დულს-ებს-ს... პირველადი აქ სწორედ
წუხს, დულს „საშუალი“ ფორმებია. სხვა შემთხვევაში კი მოქმედებითიცა და
საშუალიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწარმოება (არ წარმოადგენენ
ერთმანეთისათვის ამოსავალ ფუძეს); ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ნასა-
ხელარი ზმნების მაგალითზე; საერთოდ, ნასახელარი ზმნები ამ მხრივ თავისე-
ბურ ვითარებას გვიჩვენებენ. და მართლაც, თუკი წერს-ს ფორმა ამოსავალია
ი-წერს-ებს-ს ფორმისათვის, წუხს-ს ფორმა ა-წუხს-ებს-ს ფორმისათვის, ასევე:
დრეკს-ს ფორმა დრკ-ებს-ს (დრკ-ებს-ის) ფორმისათვის, თბ-ებს-ს ფორმა ა-თბ-ობს-
ს ფორმისათვის და ა. შ. ნასახელარ ზმნებს გვარის ფორმები ერთმანეთისაგან
დამოუკიდებლად ეწარმოება სახელის ფუძისაგან: ცივ-ის-ს ა-ცივ-ებს-ს, ცივ-დ-
ებს-ს, ცივ-ობს-ს (ქვეგლ); წყნარ-ის-ს ა-წყნარ-ებს-ს, წყნარ-დ-ებს-ს, წყნარ-ობს-ს
(ვკა-ფშაველა, „ღამე მთაში“: ეხლა ცა წყნარობს...); ჩქარ-ის-ს ა-ჩქარ-ებს-ს,
ჩქარ-დ-ებს-ს, ჩქარ-ობს-ს და ა. შ. არის შემთხვევები, როცა სახელისაგან ზმნა-
კი იწარმოება, მაგრამ მას გვარის მხოლოდ ერთი ფორმა და მისი სტატიკური
(გარდაუვალი) ვარიანტი მოეპოვება: ჩრდილ-ის-ს ა-ჩრდ-ილ-ებს-ს, ჩრდილ-ობს-ს
(„ჩრდილსაც ჩრდილობთ“, ხალხური სიბრძნე, I, თბილისი, 1963, გვ. 152); ან

²²⁰ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 133.

მხოლოდ სტატიკური — ხილი: ხილსაც ჰხილობთ (იქვე, გვ. 152). მაგრამ უკანასკნელ ფორმას მოქმედებითი და ვნებითი არა აქვს. ამდენად, ნასახელარო ზმნის ყველა ეს ფორმა (გვარების მიხედვით) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის ნაწარმოები (ერთი გვარის ფორმა მეორე ფორმისათვის ამოსავალს არ წარმოადგენს) და მხოლოდ შემდეგ ფუნქციურად უკავშირდებიან ერთმანეთს, როგორც ურთიერთ მიმართ კონვერსიული ფორმები.

კონვერსია სინტაქსურ ცვლილებებს გულისხმობს უპირველესად (მოქმედებითი გვარის სუბიექტი ვნებითში გადასვლისას „იკარგვის“. სოლო პირდაპირი ობიექტი ვნებითის კონსტრუქციაში ქვემდებარედ იქცევა და ა. შ.), მაგრამ ითვალისწინებს მორფოლოგიურ ცვლილებებსაც იმის გამო, რომ ამგვარ სინტაქსურ ცვლილებას უთუოდ თან სდევს მორფოლოგიური ცვლილებებიც (ხატ-ავ-ს ის მას — ი-ხატ-ებ-ა ის, გ-ხატ-ავ-ს ის შენ — ი-ხატ-ებ-ი შენ, მ-ხატ-ავ-ს ის მე — ვ-ი-ხატ-ებ-ი მე და ა. შ.). ამდენად, ტრადიციული ვარაუდით, თუკი გვაქვს ფორმა ვ-ი-ხატ-ებ-ი (რომლის ქვემდებარეც მოქმედებას განიცდის), მის გვერდით აუცილებლად იგულისხმება ხატ-ავ-ს ფორმაც, ანუ სხვაგვარად: ვიხატები ფორმა თავისთავად (თუ ვნებავთ, ამოსავლად) უთუოდ გულისხმობს მხატავს ფორმასაც (რომლის ქვემდებარე უკვე აქტიურად მოქმედი პირია). ხშირ შემთხვევაში ეს მარჯალაც ასეა. მაგრამ ქართულ ზმნაში ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ მიუხედავად ვნებითი გვარის მოდელისა, ქვემდებარე ფაქტიურად რეალურ მოქმედ პირადაა წარმოჩენილი²²¹ და ზოგჯერ ეს ფუნქციურ დადასტურებასაც პოულობს. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ფორმით ვნებითებია, ელაპარაკება, ეუბნება, ეძახის, ეომება, ერჩის, ებრძვის, პირდება, თენდება, სჭირდება, ეგულდება, შეიჭრება, წამოიჭრება, ჩააცვდება, წყნარდება, მიაჩნდება, იბღვირება, იხედება და მისთან. ზმნები არასდროს გულისხმობენ შესაბამის კონვერსიულ (მოქმედებითი გვარის) ფორმას. ზოგ მათგანს იგი არც აქვს (წყურება, ერჩის, ეგულდება...); ამ ფორმებს როგორც „უცულო ვნებითებს“ ახასიათებენ.²²² ზოგს (ანალოგიით) გაუჩნდა სათანადო მოქმედებითი, რომელიც ადრე არ ჰქონდა (წამოიჭრა-საკითხი—წამოჭრა საკითხი).²²³ ზოგის ფუძისგან მოქმედებითი კი იწარმოება, მაგრამ იგი ფაქტიურად ვნებითის კონვერსიულ ფორმას არ წარმოადგენს (ე-ლაპარაკ-ებ-ა—ა-ლაპარაკ-ებ-ს, ე-ომ-ებ-ა — ა-ომ-ებ-ს...).

ეს მაგალითები მიუთითებენ იმაზე, რომ გვარის ფორმათა კონვერსიულად ურთიერთდაკავშირება შედარებით გვიანდელი ფაქტია, რაც გაპირობებულია თვით გვარის კატეგორიის გვიანდელი წარმოშობით.

²²¹ „ამაშია ვ- პრეფიქსის აზრი ენის, უკეთ რომ ითქვას, ენობრივი აზროვნების თვალსაზრისით: იგი მიგვითითებს მე-ზე, რომელიც წარმოშობს აქტიურს ან პასიურს მოქმედებას, გინა ნეიტრალურ ყოფა-მდგომარეობას“ იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ. გვ. 133.

²²² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 319.

²²³ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, იკვ. XVI, თბ., 1968, გვ. 7—8.

II. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფუძეთა ურთიერთობა ულვლილების პარადიგმაში

გვაქვს ფორმები: **ი-თლ-ებ-ა**, **ი-ზრდ-ებ-ა**, **ი-ყრ-ებ-ა**, **ი-თხრ-ებ-ა**, **ი-გვ-ებ-ა**, **ი-თვლ-ებ-ა**, **ი-თხვრ-ებ-ა**, **ი-სვრ-ებ-ა**, **ი-ღვრ-ებ-ა**, **ი-ლლ-ებ-ა**, **ი-ცცლ-ებ-ა**, **ი-ცლ-ებ-ა** და ა. შ. ყველა მათგანის ფუძე შეკუმშულია. სრული ფუძეებია: **თალ** (ღავ-თალ-ე), **ზარდ** (გავ-ზარდ-ე), **ყარ** (ღავ-ყარ-ე), **ღვარ** (ღავ-ღვარ-ე) და **ლლ** (ღავ-ლლ-ე) და ა. შ. ეს სრული ფუძე აღდგება ვნებითი გვარის ნამყოფი ირიტადმიც: **ღაი-თალ-ა**, **ღაი-ზარდ-ა**, **ღაი-თხარ-ა**, **ღაი-ცალ-ა** და სხვა. უკუმშველი ფუძით არიან ეს ფორმები წარმადგენელი როგორც მოქმედებითი. ასევე ვნებითი გვარის ნამყოფი ირიტადმიც III აირის ფორმაში: **ღა-თალ-ა** — **ღაი-ალ-ა**, **ღა-ზარდ-ა** — **ღაი-ზარდ-ა**, **ღა-ყარ-ა** — **ღაი-ყარ-ა**...

ამ ფორმებს ეკედლებიან და ყველაფრით მათ ემსგავსებიან ზმნები: **ი-ცრ-ება**, **ი-ჭრ-ება**, **ი-რყვნ-ება**, **ი-სკვნ-ება**, **ი-ფშვნ-ება**, **ი-ჭწნ-ება** და მისთნ. გარდა ერთისა: ნამყოფი ირიტადმიც III პირის ფორმაში როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმის ფუძე შეკუმშულია: **ღა-ჭრ-ა** — **ღაი-ჭრ-ა** (მაგრამ: **ღა-ჭერ** — **ღაი-ჭერ**), **ღა-ცრ-ა** — **ღაი-ცრ-ა** (მაგრამ: **ღა-ცერ** — **ღაი-ცერ**), **ღა-სკვნ-ა** — **ღაი-სკვნ-ა** (მაგრამ: **ღა-სკვენ** — **ღაი-სკვენ**) და ა. შ.

ეს ის ფორმებია, რომელთაც მოქმედებითი გვარის აწყობა ბოლოკიდური ი-ფორმის ახასიათებთ: **ვ-ლლ-ი**, **ვ-ზრდ-ი**, **ვ-ყრ-ი**, **ვ-ტხრ-ი**, **ვ-სკვნ-ი**. ძველ ქართულში ვითარება სხვაგვარია. საქმე ისაა, რომ ამ ზმნების ნაწილი ნაცვლად ი-ფორმანტისა -ავ-, -ებ სუფიქსებსაც (თემის ნიშნებს) დაირთავდა: **შაღ-ავ-ს** (და არა: შღის, როგორც ახლა გვაქვს), **ცვალ-ებ-ს** (და არა: ცვლის), **თარგმან-ებ-ს** (და არა: თარგმნის), მაგრამ გვიჩვენებს ისევე როგორც ახლა: **ზრდ-ი-ს**, **სვ-ი-ს** და მისთნ. აქედან, ძველ ქართულში იკუმშება ის ფუძეები, რომელთაც თემის ნიშნად აქვთ ი-სუფიქსი, სხვები კი უკუმშველია. რაც შეეხება ამ ზმნათა ვნებითებს, აქ უკვე გარჩეული აღარაა ზემოთ აღნიშნული ორი წესი. ყველა უკუმშველია²²⁴.

საჭირო სამს აქვე ვახსენებთ ქართულში არსებული ის ზმნები, რომლებიც, მართალია, ფუძის აგებულებით ახლოს დგანან ზემოაღნიშნულ ფორმებთან, მაგრამ მათგან განსხვავებით არ იკუმშებიან არც მოქმედებითი გვარის და არც ვნებითის ფორმაში.

თლ-ი-ს — ი-თლ-ებ-ა — გა-თალ-ა — ღაი-თალ-ა,
კრ-ი-ს — ი-კვრ-ებ-ა — შე-კვარ — შეი-კარ
მაგრამ: თლ-ავ-ს — ი-თლ-ებ-ა — გა-თლ-ა — ღაი-თლ-ა;
კერ-ავ-ს — ი-კერ-ებ-ა — შე-კერ-ე — შეი-კერ-ა.

ამდენად, **თლ-ავ-ს** — **ი-თლ-ებ-ა**, **კერ-ავ-ს** — **ი-კერ-ებ-ა**, **ფარ-ავ-ს** — **ი-ფარ-ებ-ა** ტიპის ფუძეები მოქმედებითშიც და ვნებითშიც უკუმშველია, როგორც I, ასევე II სერიის მუკრიებში.

მანასაღასე: პირველი ტიპის მაგალითებში რელუციურებული ფუძე დამახასიათებელია როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმებისათვის, მეორე ტიპის ფორმაში — პირიქით: უკუმშველია ფუძე მოქმედებითშიც და

²²⁴ ი. ი. ნ. ა. ი. შ. ი. ლ. ი. ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, ძველ ქართული ენის კითხვარს შრომები, II, თბ., 1928, გვ. 47.

ენებრიშიც. თუკი პირველი ტიპის მაგ.ლითებში მოქმედებითის ფორმებში აღ-
დგება სრული ფუძე (ე² ხდება ნაპყო ძირითადის ჯგუფში), აღდგება იგი ვნები-
თის ფორმაც. ამასთან დაკავშირებით საჭირო ჩანს მოვიგონოთ ვარაუდი,
რომლის თანახმად ზრდის, ცვლის ტიპის მაგალითებიც აწმყოში სრული ფუ-
ძით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი: ზარდის (და არა: ზრდის), თლის
(და არა: აღის), ყარის (და არა: ყრის). ცნობილი მოსაზრების თანახმად, ყველა
ეს ფორმა წარმოშობით ხოლმეობითია, ხოლო ბოლოკიდური - ი ფორმანტი --
ხოლმეობითის მაწარმოებელი (ახლა ამ ტიპის სწენებში ეს ფორმანტი თემის
ნიშანს გაუტოლდა და თემის ნიშნადაც მიიჩნევენ).²²⁵ ისტორიულად ხოლმეო-
ბითი აწმყოს ფუნქციითაც გამოიყენებოდა.²²⁶ ხოლო მას შემდეგ, რაც სალი-
ტერატურაო ქართულში შესუსტდა (და ბოლოს სულ გაქრა) ხოლმეობითის
გრამატიკული კატეგორია, ისტორიულად ხოლმეობითის კუთვნილი ზოგი ფო-
რმა აწმყოდ იქნა გაგებული (ასეთებია: იცის, უწყის...²²⁷ ასევე. ზრდის,
თლის...); სინტაქსური კონსტრუქციის სხვაობა მეორეულად მიაჩნიათ.²²⁸ ძვე-
ლი ხოლმეობითი ნამყო ძირითადის ფუძეს ეყრდნობოდა. ნამყო ძირითადში
კი, როგორც უკვე ნაწვევები იყო, ზარდ (გა-ზარდ-ა), თალ (გა-თალ-ა), ყარ
(დაყარ-ა) და მისთნ. ფუძეები უკუმშველია. და მაშინ აწმყოს ფუნქციით გა-
მოყენების დროსაც ამგვარად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ეს ფორმები:
*ზარდ-ი-ს, *თალ-ი-ს, *ყარ-ი-ს... ე. ი. აწმყოში ზარდის ისევე შეიძლებოდა
გექონოდა, როგორც ნამყო ძირითადში: ზარდა. მაგრამ მოქმედებითი გვარის
აწმყოს ამგვარი უკუმშველი ფუძე არ შემორჩენილა. სამაგიეროდ უკუმშველი
ფუძე ძველ ქართულშივე დასტურდება ვნებითებში: ი-ცვალ-ების (ანლა: იც-
ვლ-ება), ი-ზარდ-ებოლ-ა (ახლა: ი-ზრდ-ებოლა), გამოი-ცად-ებოლა (გამოიცადებო-
ლა), გამოი-თარგმან-ებ- ის²²⁹ და სხვა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ „თუ ვნები-
თში გვაქვს შეუკუმშავი ფუძე, სწორედ იმიტომ, რომ ასეთ ფუძეს მოქმედები-
თი იყენებდა“.²³⁰ ამდენად, იზარდების, იშალების, ითარგმანების ტიპის ფორ-
მები მოქმედებით გვარში გვაგვარაულებინებს: *ზარდავს, შალავს, თარგმანვს
შეუკუმშავ ფორმებს. ნაწილი ამ ფორმებისა დოკუმენტურადაა დადასტურე-
ბული. ი-ზარდ-ება ტიპის ფორმები კი მოქმედებით გვარშიც ასევე ზრდ-ი-ს
შეკუმშულ ფუძეს გვაგვარაულებინებს.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვნებითის ფუძე როგორც I, ასევე
II სერიის ფორმებში სათანადო მოქმედებითის ფუძეს ემყარება: მოქმედები-
თის შეკუმშული ფუძე ვნებითის ასევე შეკუმშულ ფუძეს გულისხმობს, შეუ-
კუმშავი — ასევე შეუკუმშავს გვაგვარაულებინებს.

ამის დასასაბუთებლად სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლება.

²²⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 403—404.

²²⁶ არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... I, გვ. 77.

²²⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 539—540.

²²⁸ არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.

²²⁹ ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48—51.

²³⁰ არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

როგორც უკვე აღნიშნული იყო. ავ და -ამ თემისნიშნისა ზმნათა ერთ ნაწილს ეს ფორმანტები ნაშთის სახით ვნებთაშიც ვადაპყვებათ:

ა-ბ-ამ-ს	—	ი-ბ-მ-ებ-ა	
ა-სხ-ამ-ს	—	ი-სხ-მ-ებ-ა	
დგ-ამ-ს	—	ი-დგ-მ-ებ-ა	
ხნ-ავ-ს	—	ი-ხვნ-ებ-ა	(<*ი-ხნ-ვ-ებ-ა)
ძრ-ავ-ს	—	ი-ძვრ-ებ-ა	(<*ი-ძრ-ვ-ებ-ა)
კლ-ავ-ს	—	ი-კვლ-ებ-ა	(<*ი-კლ-ვ-ებ-ა)
რწყ-ავ-ს	—	ი-რწყ-ვ-ებ-ა	
ხშ-ავ-ს	—	ი-ხშ-ვ-ებ-ა	
თხზ-ავ-ს	—	ი-თხზ-ვ-ებ-ა	და ა. შ.

ცნობილია, რომ II სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნებს თემის ნიშანი ჩვეულებრივ ეყვებებათ: ა-ბ-ამ-ს — და-ა-ბ-ა, ხნ-ავ-ს — და-ხნ-ა და ა. შ. შესაბამისად ეს თემის ნიშნები (ნაშთის სახით) აღარც ვნებთის ფორმებში იქნება:

(მან იგი)	და-ა-ბ-ა	—	და-ი-ბ-ა	(იგი)
	და-ა-სხ-ა	—	და-ი-სხ-ა	
	და-დგ-ა	—	და-ი-დგ-ა	
	მო-ხნ-ა	—	მო-ი-ხნ-ა	
	და-ძრ-ა	—	და-ი-ძრ-ა	
	მო-კლ-ა	—	მო-ი-კლ-ა	
(მან იგი)	მო-რწყ-ა	—	მო-ი-რწყ-ა	(იგი)
"	და-ხშ-ა	—	და-ი-ხშ-ა	
"	შე-თხზ-ა	—	შე-ი-თხზ-ა	და ა. შ.

ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ მათ პარალელურად დადასტურებული იშმის, იძვრის, ირწყვის, იხატვის. იყარგვის ტიპის ზმნებით.

III. ე. წ. ფუძედრეკალი ზმნებისაგან ვნებთის წარმოების საკითხები

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მოქმედებითი გვარის ფუძედრეკალი ზმნები ორგვარად წარმოებენ მწკრივებს: ფლექსიურად (დრეკ-ს — დრიკ-ა) და აგლუტინაციურად (დრიკ-ავ-ს — დრიკ-ა). ასევე დასტურდება თავისებური, სხვა ფორმებისაგან განსხვავებული მიმართება ამ ზმნების მოქმედებით (გარდაშვალ) და ვნებით (გარდაუვალ) ფორმებს შორის. მოქმედებითი გვარის აღნიშნულ თითოეულ ფორმათაგან შესაბამისად განეყოფენება გარდაუვალი ფორმა: ფლექსიურს — ფლექსიური, აგლუტინაციურს — აგლუტინაციური.

გარაუდობენ, რომ ქართულში „სწორედ ზმნის სისტემაში შემოგვინახა შედარებით სრული სახით აბლაუტური მექანიზმი“²³¹ ეს ჩანს ვ-დრეკ — ვ-დრკე-ბი (ნამყო ძირითადი: ვ-დრიკ-ე — ვ-დერკ) ფორმების მაგალითზეც. ახალი ქართულის ნამყო ძირითადში ძველი ქართულისაგან განსხვავებული ვითარება გვაქვს. ძველად გვერდნი: ვ-დრიკ-ე — ვ-დერკ. თანამედროვე ქართულში ვითარება შეიცვალა: გარდაუვალი ზმნების ნამყო ძირითადში შეკუმშული ფუძე გამოყენებული: ვ-დრიკ-ე — (შე)-ვ-დრკ-ი (ნამყო: ვ-დრკ-ებ-ი). ასეთი ფორმების გავრცელება სავარაუდოა იმ ხანიდან, როცა ქართულში რღვევა

²³¹ თ. გამყრელიძე, გ. მაკავერიანი, დასახ: ნაშრომი, გვ. 179.

დაიწყო II ხოლმეობითის ფორმამ, რაც ახალ ქართულში (გარდა ზოგიერთი დიალექტისა) მისი დაკარგვით დასრულდა. და, მართლაც, ეს რომ პრინციპულად შესაძლებელია, ქართულში საკმაოდ დასტურდება ამის მაგალითი. ვა-ვ-თბ-ი, დავ-ბერ-დი წარმოშობით II ხოლმეობითის ფორმებია, მაგრამ ახლა წყვეტილის (ნამყო ძირითადის) ფუნქციით გამოიყენებიან. ეს საერთოდ დამახასიათებელი ჩანს სუფიქსიანი და მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითებისათვის:

ნამყო ძირითადი: გან-ვ-ტეფ (ახლა: ვა-ვ-თბ-ი), შე-ცებ (ახლა: შე-ცბ-ი), და-ს-ცხერ (ახლა: და-ს-ცხრი) და ა. შ.

II ხოლმეობითი: გან-ვ-ტფ-ი (III პ.: გან-ტფ-ი-ს), შე-ცბ-ი (III შე-ცბ-ი-ს), და-ს-ცხრ-ი (III პ.: და-ცხრ-ი-ს) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ახლა წყვეტილად გავებული ეს ფორმები წარმოშობით ხოლმეობითებია. ამ მხრივ აღნიშნული ვ-დრკ-ებ-ი ფორმაც მესამე ტიპის ვნებითს მიჰყვება.

✓ მაშასადამე, ძველ ქართულში დასტურდებოდა, ერთი მხრით, ვ-დრკ ნამყო ძირითადის ფორმა და, მეორე მხრით, ვ-დრკ-ი — II ხოლმეობითი. ხოლმეობითის კატეგორიის მოშლის შემდეგ (მასთან: ფლექსიური ტიპის დასუსტების შემდეგ) ვ-დრკ-ი ფორმა ნამყო ძირითადის ფუნქციით იქნა გამოყენებული.

მსგავსი მაგალითები ქართულში საკმაოადა, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი უპირატესად დიალექტებში გვხვდება, სალატერატურო ენაში კი იშვიათად დასტურდება: ვა-ხი-ი (<ხი-ებ-ი); ვა-გჯ-ი (<გჯ-ებ-ი) და ა. შ. ამრიგად, სალიტერატურო ქართულში დადასტურებული პრეფიქსიანი ვნებითებისაგან (ი-ხლიჩ-ებ-ი, ი-გლიჯ-ებ-ი) განსხვავებით დიალექტების ერთი ნაწილი III ტიპის ვნებითის ანალოგიით ნაწარმოებ ფორმებს იყენებს ამ შემთხვევაში (ხჩება, გჯება), ეს მეტად ნიშანდობლივი მოვლენაა.

III ტიპის ვნებითები უძველესი ფორმაციის გარდაუვალ ზმნებადაა მიჩნეული. უძველესი ჩანს ე. წ. ფუძედრეკადი ზმნებიც, რასაც დასტურებს როგორც შოქმედებით გვარში მათი თავისებური უღვლილება (ფუძის ხმოვანმონაცვლეობა აწმყოსა და ნამყო ძირითადში), ასევე მათგან ნაწარმოები „ძველი“ ვნებითები (დრკ-ებ-ა ტიპისა).

ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ა-შრ-ობ-ს — შრ-ებ-ა და შრ-ეტ-ს — ი-შრიტ-ებ-ა ფორმები. ძირი ყველგან შრ (<შერ) არის. აღადგენენ ფორმას შერ-ტ. მართალია, ეს ფორმა ძველ ქართულში არ დასტურდება, მაგრამ III პირის და-შრტ-ა (მრ. რ. და-შრტ-ეს) ფორმა I და II პირში სწორედ *შერტ ფორმას გვევარაუდებინებს.²²²

შრ-ეტ ფორმა საინტერესო ჩანს თავისი წარმოებით; მასში გამოიყოფა -ეტ სუფიქსი, რომელიც დღესაც მოქმედია. მწკრივების მიხედვით ამ ზმნის გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები ასე უპირისპირდებიან ერთმანეთს:

აწმყო: შრეტ||შრიტავ (გარდამ.)—შრტ-ებ-ი||იშრიტები (გარდაუვ.)
ნამყო ძირითადი: შრიტ-ე — და-შერტ||და-იშრიტე

²²² ე. თ. თ. უ. რ. ი. ა. მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. III, № 9, 1942, გვ. 967; თ. გამყრელიძე, გ. მკვაპარიანი, დასახ. ნ. შრომი, გვ. 182, 355.

ამდენად, ერთი მხრივ, დასტურდება მოქმედებითისაგან ვენებითი გვარის ფორმათა წარმოების ფლექსიური ტიპი: შრეტ-შრტები (შრეტ-ს — შრტ-ებ-ი-ს; და-შრიტ-ა — და-შრტ-ა), ხოლო მეორე მხრივ, შრიტავ ფუძისაგან აფიქსების საშუალებით ნაწარმოები ვენებითის ფორმა: ი-შრიტ-ებ-ა (შრეტ-ს — ი-შრიტ-ებ-ა). ამ ორი გრამატიკული სისტემის აღრევის საფუძველზე ვლებულობთ შერეულ ფლექსიურ-აგლუტინაციურ სისტემას, როცა აბლაუტი განასხვავებს მოქმედებითი გვარის აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფუძეებს (შრეტს-შრიტა), მაგრამ მოქმედებითი და ვენებითი გვარის ფუძეების განსასხვავებლად უკვე აფიქსაციაა გამოყენებული (შრეტს-იშრიტება). სალიტერატურო ნორმად აღნიშნული ფლექსიურ-აგლუტინაციური ტაპია მიჩნეული (აწმყო: შრეტს — ნამყო ძირით.: შრიტა; ვენებითი გვარის აწმყო: იშრიტება — ნამყო ძირ.: დაიშრიტა). შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფუძეთა დასაპირისპირებლად ახალ ქართულში მხოლოდ აბლაუტი არ მოქმედებს: შრეტ-შრიტ-ე, — ნამყო ძირითადის ფორმაში ბოლოკიდური-ე (რომელიც ნამყოს ნიშნად მიაჩნიათ) ფაქტიურად დამატებითი განმასხვავებლის როლში გამოდის..

იმავე ძირისგან შრ (<შერ) ქართულში სხვაგვარადაც იწარმოება მოქმედებითი და ვენებითი გვარის ფუძეები: ა-შრ-ობ-ს — შრ-ებ-ა. ეს წარმოება III ტიპის (უნიშნო) ვენებითებისა და მათგან ნაწარმოებ მოქმედებითების (თბება-ათბობს, დნება-ადნობს) ანალოგიურია. წარმოება აქ უკვე აგლუტინაციურია. შემოთქმული სხვა ფუძედრეკადი ზმნების მაგალითზეც დასტურდება. მოქმედებითი გვარის დრეკ-ს — დრიკ-ა ფლექსიურსა და დრიკ-ავ-ს — დრიკ-ა-აგლუტინაციურ ფორმებს ვენებითის ასევე ფლექსიური და აგლუტინაციური ფორმები შეესაბამება:

1. ფ ლ ე ქ ს ი უ რ ი :

	გარდამავალი	გარდაუვალი
აწმყო:	1. ვ-დრეკ 2. ს-დრეკ 3. დრეკ-ს	ვ-დრკ-ებ-ი ს-დრკ-ებ-ი დრკ-ებ-ი-ს (!! დრკ-ებ-ა).
ნამყო ძირითადი:	1 ვ-დრიკ-ე 2. ს-დრიკ-ე 3. დრიკ-ა	ვ-დერკ ს-დერკ დრკ-ა (<*დერკ-ა, შორ.: ბრძნ.: დერკ-ინ!)

ერთი მხრით, ფლექსიური დაპირისპირება გარდამავალ და გარდაუვალ ფუძეებს შორის, მეორე მხრით --- აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფუძეებს შორის (აქაც შემოადნიშნულის ანალოგიური ვითარებაა; ბოლოკიდური -ე ნამყო ძირითადის დამატებითი ნიშნის როლში გამოდის. ამდენად, მხოლოდ აბლაუტი დაპირისპირება არც აქ გვაქვს).

II. ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი უ რ ი :

	გარდამავალი	გარდაუვალი
აწმყო:	1. ვ-დრიკ-ავ 2. ს-დრიკ-ავ 3. დრიკ-ავ-ს	ვ-იდრიკ-ებ-ი იდრიკ-ებ-ი იდრიკ-ებ-ი-ს (!! დრიკ-ებ-ა)

ნაშრომის ძირითადი:	1 ვ-დრეკე-ე	(2ა)-ი-დრეკე-ე
	2 ს-დრეკე-ე	(2ა)-ი-დრეკე-ე
	ლოცვა	(1)-ი-დრეკე-ა

როგორც ვხედავთ, ფუძე ყველგან ერთია—დრეკე, ხოლო როგორც ვარდაუვალს ვარდამავალისაგან, ასევე აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფორმებს აფიქსები განასხვავებენ. ე. ი. თუ პირველ შემთხვევაში ფუძის შინაგანი ცვლილება (resp. სმოვანთმონაცვლეობა) ასრულებდა მორფოლოგიურ დასაშნულებას, ახლა იგივე ფუნქცია ეკისრება აფიქსებს, რომლებიც შინაგანად უცვლელ ფუძეს დაერთიან.

მაგრამ სწორია აღრევის შემთხვევები, რადგან, ჩანს, ფლექსიური ტიპიდან აგლუტინაციურზე გადასვლის საფეხური არ იყო მკვეთრად გამოყვედილი და ზღვარის დამდები ძველსა და ახალ წარმოებას შორის, ამიტომ თანამედროვე ქართულში მოქმედებითი გვარის აწმყოსა და ნ. წყო ძირითადის ფუძეების განსახსვავებლად ძირითადად ფლექსიური ტიპი შემორჩა (დრეკე-დრეკა), ხოლო გარდამავალი და ვარდაუვალი ფუძეების დასაპიროსპირებლად გამოყენებულ იქნა აგლუტინაციური ტიპი: ი-დრეკე-ე-ა, რომელიც შესაბამისი მოქმედებითის დრეკე-ავ-ს ფუძეს ეყრდნობა, მაგრამ თვით ეს მოქმედებითის ფორმა სალიტერატურო ქართულში ნაკლებად გამოიყენება. ვნებითის წარმოების ფლექსიური ტიპი მთლად არ გადავარდნილა: დრკა (დრკება).

ამგვარად, თანამედროვე ქართულში პარალელურად გამოიყენება დრკება და იდრეკება ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით ისინი სხვადასხვანაირად ნაწარმოები ერთი ფუნქციის მქონე ფორმები ჩანს, ახალ ქართულში მათ განსხვავებული შინაარსის გადმოცემა აქვთ დაკისრებული: დრკება — უმეტესად თვისობრივ (მორალურ) პროცესზე მიუთითებს (თემცა ზოგჯერ იდრეკება ზმნის ფუნქციითაც გამოიყენება), იდრეკება — ფიზიკურზე, ვარდგულზე. ერთგვარი შინაარსობრივი განსხვავება იგრძნობა აგრეთვე იგლიჭება-გჭება, იხლიჩება-სჩება ფორმებს შორისაც, თემცა სწორად ამგვარი განსხვავება მიჩქმალულია.

იდრეკება ტიპის ფორმები რომ მოქმედებითი გვარის დრეკავს ტიპის ფორმებს ეყრდნობა და არა II სერიის ფუძეს, ამაზე ვნებითის წარმოების ზემოაღნიშნული თავისებურება მიკვირვითებს: ვნებითის ყოველი მწყკრივის ფორმა შესაბამისი მოქმედებითის იმავე მწყკრივის ფორმას ეყრდნობა — თემცა, თავის მხრივ, მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძე შესაძლებელია II სერიის ფუძეს ეყრდნობოდეს; მაგალითად, დრეკავს ფორმა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ნამყო ძირითადის დრეკა-ა ფორმას ეყრდნობა, მაგრამ ი-დრეკე-ე-ა უკვე ემყარება არა დრეკა-ა ფორმას, არამედ შესაბამისი მოქმედებითის აწმყოში: დრეკე-ავ-ს ფორმას.

მოქმედებითი გვარის ფუძედრეკად ზმნებსა და ი. თ შესაბამის ვნებითებთან დაკავშირებით დაისმის „უნიშნო“ (მესამე ტიპის) ვნებითის პრობლემა, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, ფუძედრეკადი ზმნების შესატყვისი ფლექსიური ვნებითები უნიშნო ვნებითების მოდელს იმეორებენ.

IV. მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითი ქართულში

მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითები უძველეს გარდაუვალ დინამიკურ ზმნე-ზად ითვლება. მათთვის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევენ ებ-ი დაბოლოებას აწმყოს I და II პირში (ძველ ქართულში და ახლა ზოგ დიალექტში — III პირშიც: ვტფუბი, ტფუბი, ტფუბის — ახლა: თბება), მაგრამ ეს დაბოლოება თანამედროვე ქართულში საერთოდ ყველა ტიპის ვნებითისთვისაა ნიშანდობლივი: იხატ-ები, თეთრდ-ები და ა. შ. ასე, რომ მესამე ტიპის ვნებითს „დღევანდელ ენაში აღარ მოეპოვება არავითარი სპეციალური ნიშანი“.²²⁵ არის ცდა, ამ ტიპის ვნებითებისათვისაც გამოჰყონ სპეციალური მაწარმოებელი. ასე მაგალითად, ნ. მარისა და ჰ. ფოგტის აზრით მესამე ტიპის ვნებითებს -ი ბლოსაართი აწარმოებს,²²⁶ მაგრამ ე. თოფურისა საპართლიანი შენიშვნით, ეს მოსაზრება მიუღებელია, რადგან, ჯერ ერთი, ეს ნიშანი არ ჩანს აწმყოს გარდა სხვა მწკრივებში (ვნებითის ნიშანი კი ყველა მწკრივში, გარდა III სერიის ფორმებისა, გადაჰყება ზმნას), გარდა ამისა, ეგვეე-ი ბლოსაართი აწმყოში სხვა ტიპის ვნებითეზსაც მოუღიბ (ისევე, როგორც ებ-ი დაბოლოება). თვით ე. თოფურისა აზრით, მესამე ტიპის ვნებითის ნიშანია ფუძისეული -ე- (დას-ცხერ, აღ-დეგ, *და-დენ ახლა: და-დნ-ი და ა. შ.). რომელიც იგივე ფორმანტია, რაც პრეფიქსიანი ვნებითების ე- თავსართი.²²⁵ ამ ელემენტის არსებობას ყველა მესამე ტიპის ვნებითის ფუძეში ავტორი ვარაუდობს როგორც ქართული, ასევე სეანური და მეგრულ-პანური მასალების საფუძველზე.

„უნიშნო“ ვნებითების პრინციპულ სხვაობას ვნებითის სხვა ფორმებთან შედარებით განაპირობებს ის, რომ „უნიშნო“ ვნებითზე დამყარებულია სათანადო მოქმედებები, მაშინ, როდესაც „ჩვეულებრივი“ ვნებითები (დაიწერა, გაკეთდა) ნაწარმოები ჩანს მოქმედებითაგან.²²⁶ ამ ფორმების ვნებითებად გაკება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა გვარის ფორმები და „შეიქმნა საპირისპირო მოქმედებით-ვნებითი ფორმები ზმნისა“, ენაში არსებული გარდაუვალ დინამიკური ზმნის ფორმები გამოყენებულ იქნა მოქმედებითის საპირისპირო ფორმად (გათბა-გაათბო; შდრ.: დაწერა-დაიწერა).²²⁷

მესამე ტიპის ვნებითებს ორ ჯგუფად ყოფენ: ჯდების — ტიპი და დრკე-ბის — ტიპი. უკანასკნელის შესაბამისი მოქმედებები ჩვეულებრივ ფუძედრეკად ზმნათა წყებას ეკუთვნიან²²⁸

განსხვავება მესამე ტიპის ვნებითის ამ ორ ჯგუფს შორის შემდეგია: პირველი ჯგუფის ვნებითებს ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ პარალელური ფორმე-

²²⁵ ა. შ. ან დ. ძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 299. სხვაგვარად: არ მოეპოვება სპეციალური ფორმანტი. განმასხვავებელ ნიშნად კი მისი მოდელი შეიღლება ჩაითვალოს.

²²⁶ Н. Я. Марр. Грамматика древнейшего грузинского языка, 1925, стр. 136; იხ. ე. თოფურია. მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, გვ. 965.

²²⁵ ე. თოფურია. დასახლებული ნაშრომი, გვ. 966—969.

²²⁶ ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იქვე, IV, თბილისი, 1953, გვ. 78.

²²⁷ იქვე, გვ. 80.

²²⁸ გ. მაქაეარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, გვ. 102.

2.ი: თბება, დნება, ქრება — ტიპის ვნებითები მხოლოდ ამ მოდელით გამოიყენებიან; ასევე არა აქვთ აწმყოში პარალელური ფორმები: დგება, ჯდება ტიპის ზმნებს, პარალელური, პრეფიქსიანი ვარიანტი მყოფადსა და ნამყო ძირითადში გამოჩნდება ზოგჯერ: იდგება, იდგა; იჯდება, იჯდა... და ისიც ჩნდება საშუალო (დგას, ზის...) ფორმების პარალიგმებში. მაგრამ ეს მოვლენა მეორეული ჩანს: შდრ.: ძველი ქართულის დგა, ჯდა ფორმები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ვნებითები ხშირად უპირისპირდება საშუალო ზმნებს: ზტის—ზტება, დგას-დგება, წევს-წევება და ა. შ.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს ზმნებს, მათ ჩვეულებრივ მოეპოვება პარალელური ფორმები: დრკება||იდრკება, კრბება||იკრბება, სხლტება||ისხლტება და სხვა. როგორც ითქვა, თითოეულ მათგანს მოქმედებითი გვარის განსხვავებული ფორმები შეესაბამება: დრკეს-დრკება, მაგრამ: დრკავს-იდრკება; კრბებს-კრბება, მაგრამ: კრბავს-იკრბება; სხლტეს-სხლტება, მაგრამ: სხლტავს-ისხლტება და ა. შ.

ისმის კითხვა: რამდენად არის გამართლებული „უნიშნო“ ვნებითების მიჩნევა ვნებითის ფორმად მაშინ, როცა მათ რაიმე სპეციფიკური ნიშანი არ მოეპოვება? მით უმეტეს, რომ დგება, წევება, ჯდება ტიპის ზმნები ფაქტიურად აქტიურ ქვემდებარეს ეარაულობენ. რა არის ის ფორმალური თუ ფუნქციური საფუძველი, რომელიც შეგვაძლებინებს ამ ფორმების ვნებითი გვარის სისტემაში შეტანას?

რა თქმა უნდა. გასაზიარებელია საყოველთაოდ აღიარებული აზრი, რომ ე. წ. „უნიშნო ვნებითები“ თავდაპირველი დინამიკური გარდაუვალი უგვარო ზმნებია. მაგრამ ქართული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, გვარის კატეგორიის საერთო სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, ისინი შეიძლება გამოვყოთ ვნებითი გვარის ფორმებად. ამის საბუთი რამდენიმეა:

1. როგორც ცნობილია, ეს ზმნები იხენენ ტენდენციას ფორმითაც გაუთანაბრდნენ ვნებითი გვარის სხვა ზმნებს და ზოგჯერ დაირთავენ საეციალურ ნიშნებს: თვრება—ი-თვრება. დნება—ი-დნობა და ა. შ. (ქ. ლომთათიძე), რომ არაფერი ვთქვათ ამ ზმნის მოდელზე, რომელიც საკვებით ანალოგიურია „ნიშნის“ ვნებითისა.

2. ეს ზმნები უპირისპირდებიან მათგან ნაწარმოებ გარდამავალ ფორმებს: თბება-ათბობს, უკანასკნელი თავისი ფუნქციით მოქმედებითი გვარის ზმნას უტოლდება. თუკი იმ დებულებას მივიღებთ, რომ გვარი ყალიბდება ერთმანეთს დაპირისპირებულ გარდამავალ და გარდაუვალ ფორმათა საფუძველზე, მაშინ აქაც აშკარად დასტურდება ამგვარი დაპირისპირება (ათბობს-თბება).

3. თუკი თბება ტიპის ზმნები უპირისპირდებიან შესაბამის გარდამავალ ფორმებს როგორც გარდაუვალები, გვარის საერთო სისტემაში უნდა იყენენ ან ვნებითი, ან ე. წ. „საშუალო“. საშუალო აშკარად არაა, რადგან: ა) არაა სტატიკური, დინამიკურია: ბ) იუღლება როგორც ვნებითი გვარის ფორმა. უკანასკნელ დებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მართალია, სხვა ვნებითის ფორმებისაგან განსხვავებით უნიშნო ვნებითების ერთპირიანი ფორმები III სერიის მწკრივებში იყენებენ „საშუალო“ ფორმებისაგან ნაწარმოებ მიმღობებს (გამთბარა, გამდნარა), მაგრამ უღვლილების საერთო სისტემა მაინც მათთან ანალოგიური აქვთ: III სერიის მწკრივებში განსხვავდება ერთპირიანი და

ორპირიანი ფორმების უღვლილება: გამაბარა-გასთხოზია, გამდნარა-გასდნო-
ნია (შდრ.: დაწერილია-დასწერია, გაწითლებულა-გასწითლებია).

ის ფაქტი, რომ ზოგი ე. წ. უნიშნო ვნებითი ფაქტიურად აქტიურ სუბი-
ექტს გულისხმობს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობისა ვერ იქნება, რადგან ქარ-
თულში მრავალი ზმნაა (იშუქება, ეზიდება, ჰპირდება ტიპისა), რომლებსაც
არსებითად აქტიური ზმნის ფუნქცია აქვთ. მაგრამ ფორმით ვნებითური არიან
და ამიტომაც ვნებითის საერთო სისტემაში შეაქვთ.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ამ გარდაეველ დინამიკურ ზმნათა უნიშ-
ნობაც არ ჩანს გადამწყვეტი მნიშვნელობისა; რადგან, როგორც უკვე რამდენ-
ჯერმე აღვნიშნეთ, გვარი ურთიერთდაპირისპირებულ გარდაქმნად და ვარდაუ-
ვალ ფორმათა სისტემას და ამ სისტემაში სწორედ ამ ზმნათა უნიშნობა, სპე-
ციალური მაწარმოებლის უქონლობაა მათი განსახვავებელი ნიშანი, დაპირი-
სპირებულ, სპეციალური აფიქსებით ნაწარმოებ ფორმებთან შედარებით.

ამდენად, შესაძებ ტიპის ვნებითში არ გამოიყოფა ვნებითის მაწარმოებელი
რამე სპეციალური აფიქსი; ვარაუდობენ მხოლოდ, რომ ისტორიულად ეს ფორ-
მები ფლექსიით უპირისპირდებოდნენ სათანადო მოქმედებით გვარის ფორ-
მებს (მოქ.: ვად—ვნებ.: ჰედ; ასევე: ყავ-ყვე; ცად-ცაჟ — *ცედ; ქარ-ქერ)²²⁹
მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასლა უნიშნო ვნებითად გაგებულ ზოგიერთ ფორმას
ისტორიულად ჰქონდა ვნებითობის სპეციალური მანაწარმოებელი, რომელიც
ამჟამად ძირსაა მიხორცებული და ძირისეულად გაგებული. ასე რომ „უნიშნო
ვნებითის“ ზოგი ფორმა ისტორიულად სულაც არ ყოფილა უნიშნო. ამის მაგა-
ლითებად დასახვლებულია ჯდებას, სხლებას ტიპის ფორმები, სადაც „ამჟამად
ძირისეულად გამოცხადებული -დ(-ედ) ისტორიულად ვნებითის ფორმანტი
უნდა იყოს“.²³⁰ დიალექტებისა და მონათესავე ენების მონაცემებზე დაყრდნო-
ბით მკვლევარი გამოაკოუს ჯდა ზმნაში ჯ ძირს (შდრ.: გურული: ჯ-ისიჟ-ის
ა-ჟ-ენ-ს), სხდა ზმნაში სხ ძირს (შდრ.: მეგრულ-ქანური: ხ-ენ; ასევე: მოქმე-
დებითი გვარის და-სხ-ა ზმნა);²³¹ შე-მ-ხედ-ა ზმნაში ხუ ძირს (შდრ.: სვანური:
ხე-ხე-ა — „ხედება“, მეგრული: შე-ხე-აღამა — „შეხვედრა“) და ა. შ.

V. ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნები

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნების
აწმყო ძირითადად ორი მოდელით იწარმოება: ა+სახელის ფუძე+სუფიქსი
(resp. თემის ნიშანი) და: სახელის ფუძე+სუფიქსი. ითქვა ისიც, რომ თითოე-
ული ამ მოდელებით ნაწარმოები ზმნა (უმრავლეს შემთხვევაში) ფუნქციურად
განსხვავდება ერთმანეთისაგან: ა+სახელის ფუძე+სუფიქსი მოდელით ნაწარმო-
ები ზმნები აღნიშნავენ გარდაქმევითობას, ხოლო: სახელის ფუძე+სუფიქსი
მოდელით ნაწარმოები ზმნები— ინსტრუმენტატივს. თითოეულ მათგანს ვენ-

²²⁹ ე. თ. ფ. რ. ი. ა., შესაძებ ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, გვ. 968—696.

²³⁰ ე. თ. ფ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებდან, II, ენიმკის მოაშებ, V—VI, თბ., 1940, გვ. 534.

²³¹ იქვე, გვ. 534—536; შდრ.: მ. ანდრონიკაშვილი, ზი., ჯედ- და სხედ- ფუძეთა ურთიერთობისათვის ქართულში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XIII სამეცნიერო სესია, თბ., 1970, თეზისები, გვ. 34.

ბითის სათანადო ფორმა შეესაბამება: სუფიქსიანი და პრეფიქსიანი ვნებობები ასე რომ, ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნების აწმყოც ორი მოდელით იწარმოება:

1. სუფიქსიანი ვნებითის მოდელით (სახელის ფუძე+დ თემის ნიშანი): თეთრ-დ-ვ-ა, ერთ-დ-ვ-ა, ცივ-დ-ვ-ა, მწარ-დ-ვ-ა, კაც-დ-ვ-ა და ა. შ.
2. პრეფიქსიანი ვნებითის მოდელით (იე+სახელის ფუძე+ სუფიქსი): ი-ბარ-ვ-ა, ი-მურ-ვ-ა, ი-ფარცხ-ვ-ა, ი-ფილტრ-ვ-ა, ი-ლურსმნ-ვ-ა, ი-სეტყვ-ვ-ა და ა. შ. (შესაბამისად: ე-ბარ-ვ-ა, ე-მურ-ვ-ა, ე-ფარცხ-ვ-ა და მისთნ.).

ამრიგად, ა+სახელის ფუძე+სუფიქსი მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს სუფიქსიანი ვნებითები შეესაბამება და ისევე, როგორც სათანადო მოქმედებითები, ისინიც გარდაქცევითობას გამოხატავენ. ხოლო სახელის ფუძე+სუფიქსი მოდელით ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნებს შეესატყვისება პრეფიქსიანი ვნებითები, რომლებიც ინსტრუმენტატივის ფუნქციის მატარებელი არიან.

ქართულ ნასახელარ ზმნებში გარდაქცევითობის ფუნქცია ადრეც იყო შენიშნული. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ „დღონი მაწარმოებელია არა ვნებითისა, არამედ ნასახელარი ზმნებისა, რომელთაც გარდაუვალნი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც თავისი სინტაქსური თვისებით ვნებითად მოქმედებულ ზმნებსა ჰგავს“.²⁴²

უნდა ითქვას, რომ „წმინდა“ გარდაქცევითობა სწორედ გარდაუვალი ფორმებისთვისაა ნიშანდობლივი და აი, რატომ: ფორმაში ათეორებს (ის მას) „გარდაქცევას“ („გარდაქმნას“) განიცდის რეალური ობიექტი, რომელზედაც უშუალოდ გადადის სუბიექტის (ქვემდებარის) მოქმედება. ამდენად, გარდამავალი ზმნის ეს ფორმა „გარდაქცევითობის ფუნქციის“ აღნიშვნასთან ერთად სხვა ზმნარისის მატარებელიცაა, კერძოდ, იმ შინაარსისა, რომელიც ყველა სხვა მოქმედებითი გვარის ფორმებისათვისაც არის დამახასიათებელი. ხოლო ამ ზმნის კონვერსიულ თეთრდება ფორმაში უკვე აშკარად სქარბობს, ხელშესახებადაა წინა პლანზე წამოწეული „გარდაქცევითობის შინაარსი“. ეს იმიტაც ჩანს გაპირობებული, რომ ამ ფორმაში ქვემდებარედ სწორედ ის რეალური ობიექტია წარმოდგენილი, რომელიც გარდამავალ კონსტრუქციაში „გარდაქცევას“ განიცდის. ამ აზრს აძლიერებს ისიც, რომ გარდაქცევითობა თავის მხრივ მოქმედების განცდასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც აქვთ „სუფიქსიანი ვნებითებს“ ვნებითის შინაარსი, თორემ წარმოშობით, როგორც უკვე ითქვა, ისინი „წმინდა ვნებითები“ არ არიან. ამ მხრივ შედარებისათვის საყურადღებო მაგალითს იძლევა აფხაზური ენა, სადაც სტატიკური ზმნებისაგან გარდაუვალი დინამიკური ზმნის მაწარმოებელ ფორმანტს იმავდროულად გარდაქცევითობის გამოხატვის ფუნქციაც მოეპოვება.²⁴³

ამასთან დაკავშირებით სათანადო ყურადღებას იმსახურებს ქართულში პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითების პარალელური გამოყენების შემთხვევები: იფანგება-ჟანგდება, ინაზება-ნაზდება; ძველს ძეგლებში დადასტურებული ფორმები: იღლია-განდიღლია, განიღმართო-განღმართა, აღღსართლა-განსართლ-

²⁴² ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი, I, 1957, გვ. 37.

²⁴³ ქ. ლომთათიძე, გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურში, ივე VIII, გვ. 203—205.

და, მოიხარა-აღოქრდა და ა. შ. აღმოჩნდა, რომ „თანამედროვე ქართულში სუფიქსური წარმოება ახასიათებს მთელ წყებას ენებიუბისას, რომლებიც ძველ ქართულში პრეფიქსებით იწარმოებოდა“.²⁴⁴ ამდენად, თითქოს ის დასკვნა უხდა გაკეთდეს, რომ პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ენებიუბები ფუნქციურად იდენტური არიან და განსხვავება მხოლოდ ფორმობრივია, მხოლოდ „შმის მოდელშია. ამიტომაც ამ განსხვავების საფუძველს დიალექტებში ეძებენ. რომელთაგან „ერთს ენებიუბის საწარმოებლად მხოლოდ პრეფიქსები ახასიათებდა, მეორე ამ ფუნქციით სუფიქსურ წარმოებას იყენებდა“.²⁴⁵ თავის მხრივ, ვარაუდობენ, რომ დადუმ-და -- დადუმ-ნ-ა ტიპის სუფიქსიანი ენებიუბის პარალელური ფორმებიც სხვადასხვა დიალექტური წრის (თუ ფენის) კუთვნილებდა.²⁴⁶ მაგრამ უნდა ეთვარაუდოთ, რომ განსხვავება მარტო ფორმობრივი არ უნდა ყოფილიყო და იგი ამ ზმნების ფუნქციითაც უნდა იყოს შეპირობებული, ნასახელარ ზმნებში მაინც.

ამდენად, იფანგება-ჟანგდება ტიპის ფორმები ფუნქციის თვალსაზრისით არ უნდა წარმოადგენდნენ პარალელურ ფორმებს; ზემოთქმულის საფუძველზე, ერთი მათგანი ჟანგდება (რეპ. ჟანგად იქცევა) გარდაქცევითობის ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფორმა იფანგება (რეპ. ჟანგით იფარება) კი — ინსტრუმენტატივისა.²⁴⁷ მაგრამ ამ ორი მნიშვნელობის აზრობრივი სიახლოვის გამო მოხდა ამ ფორმათა პარალელურ ფორმებად გაგება, რამაც განაპირობა მათი ფუნქციური დაახლოვება და შემდეგ ერთმანეთთან გაიგივება.

თუ მათ მოქმედებითი გვარის პარალელურ ფორმებს მივიყენებთ, მაშინ უნდა გვექონოდა ჟანგავს-იფანგება, ერთი მხრივ, და *აჟანგავს-ჟანგდება, მეორე მხრივ. ამავე ტიპის მაგალითებია: შხამი: აშხამებს-შხამავს, შესაბამისად: შხამდება-იშხამება; ნათელი: ანათლებს-ნათლავს, შესაბამისად: ნათლება-ინათლება და ა. შ. ამგვარი წარმოება თანამედროვე ქართულში ზოგჯერ ომონიმურ ფორმებსაც განასხვავებს:

ხერხი (საჭრელი იარაღი): ხერხ-ავს — ი-ხერხ-ება-ა

ხერხი (ფანდი, ილეთი): ა-ხერხ-ება-ს — ხერხ-დება-ა.

შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ეს ფორმები მხოლოდ თანამედროვე ქართულში წარმოადგენენ ომონიმებს; შდრ.: ძველი ქართული: ხერხი (საჭრელი იარაღი) — ჴერტი („საქმის მკოდნეობა“: სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი).

თანამედროვე ქართულში ერთი სახელისაგან ასეთი პარალელური წარმოება ჩვეულებრივ ალარა გვაქვს. არის შემთხვევები ფორმათა აღრევისა: ა+სახელის ფუძე+სუფიქსი მოდელით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ფორმების პარალელურად დასტურდება პრეფიქსიანი ენებითი და არა სუფიქსიანი (როგორც ეს მოსალოდნელი იყო): სახელი: ა-სახელ-ებ — *ი-სახელ-ებ-ა (შდრ.: ე-სახელ-ებ-ა); ფურთხი: ა-ფურთხ-ებ-ს — ი-ფურთხ-ებ-ა; გვაქვს ხერხავს — იხერხება, ახერხებს-ხერხდება, მაგრამ უკანასკნელს პარალელურად სუფიქსი-

²⁴⁴ ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ენებიუბების ურთიერთობისათვის ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961, გვ. 64.

²⁴⁵ იქვე, გვ. 70.

²⁴⁶ ი. იმსაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41—42.

²⁴⁷ შდრ.: თ. ჟორდანია, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889, გვ. 51.

ანი ვნებიტოსა პრეფიქსიანი ფორმაც შეესაბამება: ეხერხება, მიუხედავად იმი-
სა, რომ რელატიური ფორმა მას სუფიქსიანი ვნებიტოსაგანაც ეწარმოება:
უხერხდება. ყველა ეს ფორმა თავისებურ გამოხატვის წარმოადგენს. ასე მა-
ვალითად, ეხერხება ფორმას დეპონენსური გაგება აქვს. ასევე დეპონენსი-
იფურტხება ფორმაც; მას, ინსტრუმენტატივობასთან, ჩანს, გარკვეული კავში-
რი მაინც აქვს, თუმცა შესაბამისი მოქმედებით გვარის ფორმა რაიმე ამკვირი
ფუნქციისაგან დაცლილია.

აქვე უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ შემთხვევაში ერთმანეთის პარალელუ-
რად ზმნურ ფუძეებშიც დასტურდება პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებიტები
(ქნ-დ-ა — ი-ქნ-ა, ²⁴⁸ განჰჰსნ-დ-ა — გან-ისნა, განჟინ-ლ-ა — გან-ი-ჟინა²⁴⁹).
მაგრამ მათ შორის ამჯერად რაიმე ფუნქციური განსხვავების დიდგენა ჰქონს,
თუმცა ამგვარი განსხვავების ოდინდელი არსებობა გამორიცხული არ არის
(თუნდაც უკუქცევითობა — უკუუქცეობა შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშ-
ნულ ნაირგვარ ფორმათა არსებობის მიზეზი). დამატებით შეიძლება აღინიშ-
ნოს, რომ გარდაქცევითობა-ინსტრუმენტატივის თვალსაზრისით დაპირისპირე-
ბა ზოგ ნასახელარ ზმნათა პარალელურ ფორმებშიც არა ჩანს (დ-ი-მეგობ-
რნეს — დამეგობრ-დ-ნენ), მაგრამ ასეთი ფორმები ფაქტიურად გამოხატვისგან
უნდა წარმოადგენდნენ. ზოგჯერ ისინი ხელოვნურად იწარმოება პოეტურ მეტ-
ყველეზაში: „ზეცაზე ყველა სული დაღალდა“ (ნაცვლად დაიღალა ფორმისა:
ვ-ტაბიძე, ლექსები, ტფილისი, 1927, გვ. 300), „თვალთ არ დაიფასების“ (ნაც-
ვლად დაფასდება, შეფასდება ფორმისა; შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი):
„მით პატოი ეოცების...“ (ნაცვლად უოცდება/უოცეცდება ფორმისა. თუმცა
აქ, შესაძლებელია, ე. წ. „მიჩნევის ვნებიტის“ ფუნქცია იყოს წარმოჩენილი:
ეოცების-ოცად, ოცეცად ეჩვენება, მიიჩნევა. იქვე).

ამგვარად, პრეფიქსიანი ვნებიტის ფორმები ნასახელარ ზმნებში ფუნქცი-
ურად ინსტრუმენტატივობას გამოხატავენ: იბარება, იკალება, იკეტება, იშხა-
მება, იცელება, იმურება, ისეტყება, იქარგება, იზღუდება და ა. შ. აღსანიშნა-
ვია, რომ სახელებში (რომელთაგანაც ეს ზმნებია ნაწარმოები) იგივე ფუნქცია
მოქმედებით ბრუნვის ფორმას აკისრია (და გამოსვლითობის ფუნქციასთან
ერთად იგი ძირითადი ჩანს მისთვის): ბარ-ით, კალ-ით, კეტ-ით, შხამ-ით,
ცელ-ით, მურ-ით, სეტყვ-ით, ჰარგ-ით, ფარცხ-ით, ჩარხ-ით, ხერხ-ით, წიხლ-ით,
ჯოხ-ით, ცოცხ-ით, ზღუდ-ით და მისთნ. მაგრამ, მიუხედავად ფუნქციური ერ-
თიანობისა, წარმოებით ისინი სავსებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სუფიქსიანი ვნებიტების ფუნქციად მიჩნეულია გარდაქცევითობა: გუზდე-
ბა, გროვდება; მხეცდება, ოხრდება, დიდდება, შავდება, შტერდება. წესდება
და ა. შ.; სახელებში ეს ფუნქცია აკისრია ვითარებითი ბრუნვის ფორმებს (ეს
ფუნქცია ამ ბრუნვისათვის ერთერთი ძირითადი ჩანს): გუზდელ, გროვად, მხეცად,
ოხრად, დიდად, შავად, შტერად, წესად და მისთნ. ისმის კითხვა: ხომ არ ვრცე-

²⁴⁸ ლ. ნოზაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70.

²⁴⁹ ზ. სარჯველაძე, ვნებიტი გვარის გამოხატვაში მომხდარ ცვლილებათა დათარი-
ღებისათვის (ძველი ქართული წერლობითი ძეგლების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნი-
ერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIII სამეცნიერო
სესია, თბ., 1971, გვ. 7-8.

ლდება ეს მსგავსება ფუნქციის გარდა ამ ფორმების მორფოლოგიურ მსარეხეც, ანუ: ხომ არ ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს წარმოების მიხედვითაც?

სუფიქსიანი ენებითის მაწარმოებლად ორი აფიქსია გამოყოფილი: -დ (წ-ედ) და -ნ (წ-ენ). -დ ფორმანტი -ნ (ენ) სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნიათ.²⁵⁰ სხვა მოსაზრების თანახმად, -დ (-ედ) და -ნ (ენ) ორი სხვადასხვა სუფიქსია, რომელთაგან „-ენ“ გვხვდებოდა უპირატესად სახელებთან, ხოლო -დ) ზმნის ფუძეებთან“.²⁵¹ აღნიშნავენ, რომ -დ ზმირად ნასახელარ ფუძეებთანაც დასტურდებოდა.²⁵²

სპეციალურ ლიტერატურაში ვითარებითი (Глагол. გარდაქცევითი, მიმართულებითი, ენებითი...) ბრუნვის ნიშნებად გამოყოფილია: -ა (საბერძნეთ-ა...); -დ (ქოჩო-დ, ხე-დ...), აგრეთვე: -ად (-და).²⁵³ თანამედროვე ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნებად დასტურდება -დ (ხმოვანფუძიან სახელებთან) და -ად (თანხმოვანფუძიან სახელებთან). ამასთან, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გამოყოფენ აგრეთვე -ან ფორმანტს. ეს მტკიცდება ინგილოური კილოს მონაცემით. ამ დიალექტში „ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გვევლინებიან -ა, -დ, -ნ ფორმანტები... ზმირად ვხვდებით ვითარებით ბრუნვაში დაცუნებულ მასდარებს (საწყისებს), რომელთაგანაც უმეტეს შემთხვევაში ბრუნვის ნიშნად გვევლინება -ნ არი: ნადირობჯან“.²⁵⁴ მასასაღამე, გამორიცხული არ არის, რომ ქართულში -ან ფორმანტი გამოყენებული ყოფილიყო იმავე ფუნქციით, რაც დღეს ვითარებითის -ად-დ ბრუნვის ნიშანს აკისრია. ვარაუდობენ, რომ ვითარებითის (უკეთ: თავდაპირველი გაუდიფერენცირებელი მიცემით-ვითარებითის) -ა სუფიქსს შემდეგ დავართო თანხმოვანი დეტერმინანტი დწნხ: ნაპირ-ა-სწნაპირ-ა-დწნაპირ-ა-ნ.²⁵⁵

ამდენად, აღმოჩნდა, რომ გარდაქცევითობის ფუნქციის გადმოსაცემად გამოიყენებოდა:

ა) -ანწ-ნ და -ადწ-დ ფორმანტები სახელებში;

ბ) -ენწ-წ და -ედწ-დ ფორმანტები ზმნებში;

სავარაუდოა, რომ ისინი გენეტურად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ასეთი დაკავშირება შესაძლებელი ჩანს, რადგან ქართველური ენებისათვის

²⁵⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, გვ. 38—44; მისივე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, ვვ. 298.

²⁵¹ ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, II, ენიშკის მოამბე, V—VI, გვ. 533—536.

²⁵² ფ. ე რ თ ე ლ ი შ ე ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

²⁵³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, კრებულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით, I, თბ., 1956, გვ. 20; ივ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 34—42.

²⁵⁴ გ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი. თბილისი, 1966, გვ. 90—91.

²⁵⁵ ე. თ ო ფ უ რ ი ა, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1942, მოხსენებათა თეზისები, გვ. 88; იხ. აგრეთვე: ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 285.

„დამახასიათებელია სახელებისა და ზმნებისათვის საერთო ფორმანტების გამოყენება... უფრო მეტათად ეს საერთო ფორმანტები ჩანს ნაწარმოებ სახელმწიფი: ნაწარმოი და სასახელაში სასახელი ერთადერთე აფექსებს იყენებენ...“²⁵⁶

აქვე უნდა აღინიშნოს:

ა) როგორც ვითარებითი ბრუნვის ფორმანტებს, ასევე სუფიქსიანი ვნების ფორმანტს სიტყვათწარმოებითი ფუნქციის შესწავლა და ფორმთწარმოების აფიქსებად მათი გამოყენება უფრო გეგმატვი მოვლენაა.

ბ) როგორც ვითარებითი, ასევე სუფიქსიანი ვნების ფორმითი ფუნქციის გარდაქმნითობის, გარდაქმნის აღნიშვნა, თუქცა ორივე ფორმამ (განსაკუთრებით კი ვითარებითი ბრუნვის ფორმამ) უკვე ძველადვე შეიძინა სხვა ფუნქციებიც.

გ) ანგარიშგასაწევია, რომ -ან ფორმანტი ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ინგილოურში ძირითადად მასტარებთან, ნაწარმო სახელებთან გამოიყენება.

VI. ე-პრეფიქსით ნაწარმოებ ვნებითა ზოგი თავისებურება

ე-პრეფიქსი ჩვეულებრივ რელატიურ (ორპირიან) ვნების აწარმოებს და ისე უპირისპირდება სათანადო ინიან ფორმას, როგორც მოქმედებითი გვარის, ასევე: სუფიქსიანი, უნიშნო ვნებითებისა, ასევე: საშუალო ზმნის სასახისო ქცევის ფორმები შესაბამის საარისო ქცევის ფორმას (უღრა: წყარს-უწყარს, ოთარქება-უოთარქება, წყნს-უწყნს და: იწყრება-წყრება). ამ პრეფიქსს სახელებშიც გამოყოფენ: ე-ნა, ე-პეი (ე. თოხეღრა) და ვარაუდობენ, რომ წარმოშობით იგი ვნებისაჲს მანარპოქველი არ უნდა იყოს. ამანუე მოვითებს ისიც, რომ ზოგ-ე პრეფიქსიან ზმნას მოქმედებითას მოძელი მოვპოვება: ე-ს-ავ-ს, ე-კიცა-ევ-ს, ე-ტყ-ეპ-ს, ე-ც-ეპ-ს (ქც-ძ-ი-ეპ-ს...²⁵⁷ საქმარდა ისეთი ე-პრეფიქსიანი ზმნები, რომელთაც ფაქტიურად „საშუალო“ ფორმის ფუნქცია აქვს: ე-მღურ-ი-ს, ე-რთ-ვ-ი-ს, ე-ტრფ-ი-ს, ე-რწყე-ი-ს, ე-რჩ-ი-ს და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ძველ ქართულში უქანასკნელ ერჩის ფორმას უწყვეტელში ორი ვარიანტი ჰქონდა: ერჩ-ლ-ა-წერჩ-ლ-ა, ე. ი. პირველი ვნებითის უღვლილებას მიჰყვებოდა. მეორე — მოქმედებითისას. ე. დეეტერსი ამ ტიპის ზმნათა აწმყოს სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფარდად მიიჩნედა.²⁵⁸ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ერჩის, ეტრფის ფორმებს არ მოეპოვებათ არც შესაბამისი მოქმედებითი (შეიძლება იმითომ, რომ ფუნქციურად არსებითად აქტიურ მოქმედებას გულისხმობენ) და არც სათანადო „ინიანი ვნებითი“.

ბუნებრივია, დისმის კითხვა ე-პრეფიქსის თავდაპირველი ბუნებისა და მნიშვნელობის შესახებ. სათანადო მაგალითების მოშველიებას თითქოს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამ პრეფიქსის თავდაპირველი ფუნქცია ობიექტის აღნიშვნა უნდა იყოს ზმნაში. ეს კარგად ჩანს მოქმედებითი გვარის ე-პრეფიქსიანი მივ-ე-ც(ი) ზმნის მაგალითზე და მართლაც:

²⁵⁶ Ари. Чикобава. Картвельские языки, их исторический состав и древний литературный облик, Иберийско-кавказское языкознание, II, Тб., 1943, стр. 267; 274.

²⁵⁷ ე. ქავთარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 303—305.

²⁵⁸ G. Deeters. Das kharthwalische Verbum. Leipzig, 1930, გვ. 13..

- I. ში-ვ-ე-ც(ი)
- II. ში-ე-ც(ი)
- III. ში-ს-ც-ა

როგორც ვხედავთ, III პირის ფორმაში ე-პრეფიქსს ირიბობიექტური პირის ნიშანი ცვლის (ანუ: პირის ნიშანი, რომლის ფუნქციაა ზმნაში ობიექტური პირის აღნიშვნა). იგივე მტკიცდება ვნებითი გვარის ფორმების მაგალითზეც: ე-ფარებ-ა, ე-ღობებ-ა, ე-წერებ-ა, ე-თამაშებ-ა... ზმნაში გრამატიკული ქვემდებრე სათანადო ნიშნით გამოიხატება (-ა სუფიქსი), მაგრამ ზმნა ორპირიანია და აძღვანდ ე-პრეფიქსი სწორედ იმ მეორე, ირიბ ობიექტურ, პირს განეკუთვნება: და მართლაც, საკმარისია ეს პირი კონსტრუქციაში არ დასტურდებოდეს, რომ სათანადო პრეფიქსი აღარც ზმნაში იქნება: ი-ფარებ-ა (ი-ღობებ-ა, ი-წერებ-ა...).

ამ მხრივ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებენ III სერიის ფორმები. ცნობილია, რომ I თურმეობითი გარდამავალი ზმნისა სასხვისო ქცევის მოდელით ფორმდება (და-უ-წერია, და-უ-ხატავს.) თუმცა ქცევის გაგება არა აქვს, ხოლო II თურმეობითი — ვნებითის მოდელით (და-ე-წერა, და-ე-ხატა...), მაგრამ ვნებითობის გაგება არ მოეპოვება. ფორმათა შედარება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც I თურმეობითი უ-პრეფიქსი გვაქვს, II თურმეობითი მას ე-ფორმანტი ენაცვლება. თუ უ-პრეფიქსს შეიძლება დაუეკუთვნოდეს ირიბ ობიექტზე მითითების ფუნქცია, მაშინ ანალოგიური მნიშვნელობა უნდა ვივარაუდოთ ე-პრეფიქსისათვისაც. მაგრამ აქ უთუოდ იჩენს თავს ფრიალ სერიოზული წინააღმდეგობა. ჯერ ერთი, რომელიმე ე-ძებს ზმნაში იმავე პრეფიქსს პირდაპირ ობიექტზე მინიშნების ფუნქცია უნდა დაუეკუთვნოთ (მაგრამ ამას შედარებით ადვილად მოვევლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ირიბი და პირდაპირი ობიექტების ურთიერთგამოყოფა, დიფერენციაცია შედარებით გვიანდელი ფაქტია). მთავარი წინააღმდეგობა სხვა არის: ე-პრეფიქსიან ფორმებში რომ III პირის ირიბი ობიექტის ნიშანი არ არის წარმოდგენილი, ეს შედარებით გვიანდელი მოვლენაა ძველ ქართულში, ხანშეტ და ჰემეტ ტექსტებში ამ ე-ს პირის ნიშანი უძლოდა წინ. გარდა ამისა, I და II პირის ფორმებში ე-პრეფიქსიან ზმნებში ირიბი ობიექტის მ- (I პირის) და გ- (II პირის) ნიშნები ყოველთვის წარმოდგენილია. ასეთ ვითარებაში ძნელდება ე-პრეფიქსისათვის თავდაპირველ ფუნქციად ობიექტზე მითითება გამოვყოთ.

და მართლაც, ძველ ქართულში ფაქტობრივ დასტურდება ფორმები: ზერთვის, შეხეწიე, ხეყავ, ჰემტერა, ჰევედრებოდეს და მისთნ. თუ ამოსავლად *ზე-, *ჰე-პრეფიქსებს ვივარაუდებთ, მაშინ I და II პირისათვის შესაბამისად მე-, გვე-, გე-პრეფიქსები უნდა გამოიყოს (შე-მე-წიე, შე-გვე-წიე, შე-გე-წიე...), რაც ფრიალ გაძნელებოდა. სხვა რომ არაფერი იყოს, როგორღა უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ხ-ს-ჰ-პრეფიქსი ინიანი ვნებითის ფორმასთან დასტურდება: ხიყო, ხიქცეოდა, ჰიყუსოდა.²⁵⁹ ყველა ეს ზმნა ერთპირიანია და ირი-

²⁵⁹ ხანშეტი და ჰემეტი ფორმები დამოწმებულია შემდეგი ნაშრომების მიხედვით: ა. შანიძე, ნაშთები შესაძენ პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თბსულბანი. I, 1957, გვ. 267 და შმდ. მისივე: უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, II, ჰემეტობა აღიშის სახარებაში, იქვე, გვ. 300—301; მისივე: ხანშეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1927.

ბი ობიექტის ნიშანი არა სჭირდება. ვარაუდობენ, რომ ეს ნიშანი ენიანი ვენ-
ბითის ანალოგიითაა გადმოსული. თუ ასეა, მაშინ ე- პრეფიქსიან ვენბითებში-
ბ-ილ- ფორმანტები ე- ელემენტთან ერთად (*ხე||*ე-) ვერ გაიზარება; გამოდის,
რომ ცალ-ცალკე ოდენობებია. ამ შემთხვევაში კი, ე- ფორმანტს არ შეიძლება
დავეუკავშიროთ ირიბ ობიექტზე მითითების ფუნქციას, რადგან ეს ფუნქცია ფა-
ქტიურად იმავე ნიშნებში წარმოდგენილ ობიექტური პირის ნიშნებს აკისრია
(მ-, გვ-, გ-, ხ-ილ-). ქართულში კი (და ალბათ ყველა ენაში საერთოდ) არ ჩანს
იმის საჭიროება, რომ ერთი გრამატიკული მნიშვნელობა ორი ფორმანტით გა-
დმოიცემოდეს. შესაძლებელია სხვაგვარი (უფრო ნაკლებ სავარაუდო) დასვე-
ბაც: ე- პრეფიქსი მართლაც ირიბ ობიექტურ პირზე მითითებულა; მაშინ
ბ-ილ- ფორმანტები პრეფიქსიან ვენბითებში პირის ნიშნებად არ უნდა გავივით.
ინიანი ვენბითი თითქოს მხარს უჭერს ამ ვარაუდს, მაგრამ იგი სავსებით უნი-
დაგო აღმოჩნდება სხვა, ირიბობიექტიანი ფორმების გათვალისწინების შედეგად;
გარდა ამისა, იმავე ინიან ვენბითებშიც (ხეყო, ჰეყოლოდა...) შეუძლებე-
ლია საერთოდ რისიმე მნიშვნელობა დაუკავშირდეს ამ ფორმანტებს (ირიბობი-
ექტური პირის ნიშნადაც რომ არ მივიჩნით, თუ, რასაკვირველია, ოდინდელი
კლას-კატეგორიების ნიშნები არაა მართლაც). დასაშვებია ერთი ვარაუდიც:
ინიანი ვენბითებიც (წარმოშობით უკუქცევითი ფორმები) ოდინდელი ორპი-
რიანი გარდაუვალი ფორმებია და მაშინ სავსებით გასაგები იქნება ამ ფორმებ-
ში ირიბი ობიექტის ნიშნის გამოყენება. შემდეგ ერთი პირი (ირიბი ობიექტი-
სა) დაიკარგა, ნიშანი კი ნაშთის სახით შემორჩა. მაგრამ ამ ვარაუდს მხოლოდ
მაშინ შეიძლება რეალური ძალა ჰქონდეს, თუ დამტკიცდება, რომ ინიანი ვენ-
ბითის I და II პირის ფორმებშიც დასტურდებოდა შესაბამისად მ- (იგვ-) და გ-
პრეფიქსებიც, ჭერ-ჭერობით კი არც ამის დასაბუთება ხერხდება. გასათვალის-
წინებელია, რომ ზოგიერთ ინიან ვენბითს, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც
შეიძლება ჰქონდეს (კონტექსტის მიხედვით) ორპირიანი ხმის მნიშვნელობა:
მაგალითად, რწერება ის მას, იძღვევა ის მას, იხვეწება ის მას და მისთნ; რაც
განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდება კითხვით წინადადებებში: რას იწერება?
რას იძღვევა? რას იხვეწება? სადაც კითხვითი ნაცვალსახელი (რას?) ფაქტიუ-
რად ირიბი დამატების როლში გამოდის...

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ერთი რამ ნათელია: ე-
პრეფიქსი თავდაპირველად არ იყო ვენბითის მაწარმოებელი ფორმანტი. ერთ-
ერთი ძლიერი საბუთი ამისა არის ფაქტი, რომ ეგვეე პრეფიქსი შენიშნულია
მოქმედებითი გვარის ფორმებშიც.

თუკი ე- პრეფიქსი წარმოშობით ვენბითის ნიშანი არ არის, მაშინ ამ პრე-
ფიქსით ნაწარმოები ფორმები შემდეგ უნდა დაკავშირებოდნენ იმავე ფუძისგან:
ნაწარმოებ ვენბითის ე- პრეფიქსიან ფორმებს. ეს ვარაუდი მტკიცდება იმ ე-
პრეფიქსიანი ფორმებით. რომელთაც თანამედროვე ქართულშიც ჭერ კიდევ არ
გასჩენიათ შესაბამისი ინიანი ფორმები: ეავადება, ეაკვანება, ებაღლება, ეგ-
რძნობება (სამაგიეროდ იგრძნობა ფორმას არ მოეპოვება სათანადო ენიანი ფორ-
მა *ეგრძნობა), ედარება, ეგუება, ედღება (= დედად უხდება), ედენინაცვლება,
ედობილება, ევალება, ევლინება, ეთანასწორება, ემიზევება, ეშობლება, ეპა-
ტიება, ექალება, ელიტინება, ექვირება, ეყრობა, ედრება და ა. შ. საინტერესოა
აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ამ ტიპის ფორმებს ფუნქციურად მოქმედებითი გვა-
რის სათავეისო ქცევის ფორმა შეესატყვისება: ემიზევება-იმიზევებს, ეგულება-

იგულებს და მისთნ. ეს ტექტი განსაკუთრებით წარმოიჩენილია ენაიხი ენობითის დებონენსურ ფორმებში, რომლებიც თავისა შინაარსით სწორედ მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევას და „სასუქალ ფორმებს“ ედარებიან სშირად; ასე მაგალითად: ეთამაშება-თამაშობს, ევადებება-ვადებულობს, ეთავებება-თავებულობს, ეკინკლავება-კინკლავობს, ებადებება-ბადებულობს, ებატებება-ბატებულობს, ესაყვედურება-საყვედურობს, ევადება (ვადების, ღიალექტა-ღვანობს და შ. ახელა ეს ფორმა ფუნქციურად თანატოლია ამ მხრივ საინტერესოა ერთობა ფორმა, რომელიც ასევე „სასუქალი ფორმის“ ფუნქციის მატარებელია და რაც სთავარია, ერთობრივია (თუმცა ენაიხი ენობითის ჩვეულებრივ ორპირიანი არიან). პარადიგმებში ამ ზმნებს მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის სოლილით ნაწარმოები ფორმები. ჩვენაცვლება: ეთამაშება||თამაშობს — ეთამაშება, ებადება||ბადობს — ბადებს, ეთავებება||თავებულობს — თავებდება, ებატება||ბატობს — ბატობს (რომელიც თავის მხრივ იბატობს მოქმედებითი გვარის ზმნის პარადიგმაც წარმოადგენს), ეყენება||ყენობს — ეყენება და ა. შ. თუმცა ენაიხი ენობითის შემოაღნიშნულ ზოგიერთ ფორმას საკუთარი მჭკრებებიც ეწარმოება: ეთამაშება-გეთამაშება, ებატობება-შეებობება (მაგრამ: ეობება-იობება) და მისთნ. მაგრამ პარალელურ ვარიანტად გუგულისხმება შემოაღნიშნული მოქმედებითი გვარის ფორმები.

ამ ტიპის ენაიხი ენობითთა ბუნების გასარკვევად განვიხილოთ ათამაშებს—თამაშობს და ეთამაშება-თამაშობს ტიპის ფორმები. ფუნქციის თვალსაზრისით ყველა ეს ფორმა აქტიურ მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ აქტიურობის „ბირი-სი“ ცვლა შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. შემოთ ნაჩვენები იყო, რომ იმ შემთხვევაში, როცა „სამქალი ზმნა“ ფუნქციურად მოქმედებითი გვარის ფორმას უტოლდება, მისი შესაბამისი მოქმედებითი ფუნქციურად კაუზატივის მნიშვნელობის მატარებელია. სწორედ ეს ფუნქციაა წარმოიჩენილი ათამაშებს ტიპის ფორმებში. თამაშობს ზმნის შემოაღნიშნული თავისებურების გამოა, რომ ეთამაშება ფორმა სამპირიანი ზმნის ფუნქციას ტებულობს (ეთამაშება ის მას მას) ფუნქციურად. მაგრამ ეს მინც კერძო შემთხვევაა. ბირითადი განსხვავება სხვაა. კერძო: თამაშობს, პატებობს, საყვედურობს და მისთნ. ერთპირიანი ფორმები შესაბამისი ენაიხი ენობითების მსგავსად უპირისპირდებიან ენაიხი ენობითის სათანადო ფორმებს, შდრ.: ეწერება-იწერება და: ეთამაშება-თამაშობს; ეს უკეთ ჩანს იმ შემთხვევაში, როცა ენაიხი ენობითიც დებონენსური ფორმაა: ენებება-ინებება-მებება. სხვაგვარია დამპირისპირება იმ შემთხვევაში, როცა „სასუქალი ფორმა“ ორპირიანი ზმნის გავებას იტლევს; ამ შემთხვევაში ეს ზმნები მოქმედებითი გვარის ფორმებს უტოლდებიან და ამიტომ დამატებული პირი ფუნქციურად რეალური (ბირდაბირი) ობიექტის მნიშვნელობით ეწოდება: თამაშობს ის მას (წამყო ბირითადი: თამაშე მან ის); შესაბამისი ენაიხი ენობითიც (ფორმით) ორპირიანია. მაგრამ აქ უკვე (ქვილივარის გარდა) ბირი ბირექტია, სილა კონსტრუქტა ენობითი გვარისა (ნამყო ბირითადი: ეთამაშე ის მას).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენაიხი ენობითის ამ ტიპის ფორმებს ზოგჯერ სუფიქსიანი ენობითის სახვისო ქცევის ფორმები ენაცვლებიან და ამ დროს ეს ორი ფორმა ფუნქციურად იდენტურია (ე. ი. ფუნქციურად აქტიურ ქვემდებარეს გულისხმობს): ესაფრება-უსაფრდება, ეთმანავება-უთმანავდება, ეთავება-უთავებება, ემეზობლება-უმეზობლება და ა. შ.

საინტერესო მავალითა ეწიზღება-ზიზღდება ფორმები, რომლებიც ისე უპირისპირდებიან ერთმანეთს. როგორც საშუალო წუხს ზმნა შესაბამის ვნებითს: წუხდობა-ღაასდღობისა ამგვარივე ურთიერთობაა ენაობა-ზიარდება ფორმებს შორისაც. თუმცა ამ შემთხვევაში ერთგვარად სემანტიკური განსხვავებაც იქნეს თავს.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ტირის, მღერის ტიბის ფორმების შესაბამის ვნებითებზე. ჩვეულებრივი გაგებით ვნებითები მათ არ მოუპოვებთ: ვნებითის მოდელით ნაწარმოები ფორმები მათ ზოგჯერ პარადიგმებში ჩანაცვლებათ: ატირ-დ-ება, ამღერ-დ-ება... ატირ-ღ-ა, ამღერ-ღ-ა... თუმცა ჩვეულებრივ მათ მოქმედებითი გეარის სათავისო ქცევის ფორმები უვსებენ ნაკლებ მწყარიებს: იტირებს, იმღერებს... იტირა.. იმღერა.. გარდა ამისა: ტირის, მღერის ტიბის ფორმებს ჩვეულებრივ შეესაბამება ენაიანი ვნებითის მოდელით ნაწარმოები ეტირება, ემღერება ტიბის ფორმები, მაგრამ ვნებითის გაება მათ ამ შემთხვევაში არა აქვთ: ეს ფორმები პოტენციალის გამოსახუავენ, ანუ როგორც სხვაგვარად უწოდებენ „გუნების ვნებითებია“.²⁶⁰ საპირისპირო ინიანი ფორმები მათ არა აქვთ. თავის მხრივ იტირა და ატირდა ისე უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც სრული და უსრული ასპექტის ფორმები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ენაიანი ვნებითის ფორმები პარადიგმებში ენაცვლება სტატიკურ ზმნებს (სწერა-იწერება-ეწერა), მაგრამ არა მარტო ენაცვლება. არამედ ზოგჯერ ფუნქციურადაც უტოლდება: ეპარაღვლება, ეღარება, ეშურება ფორმები, გარდა თავისი ძირითადი. დინამიკური ზმნის მნიშვნელობისა, შეიძლება გამოხატავდნენ სტატიკურ მნიშვნელობასაც: ემსგავსება-მსგავსია (იხ. ქველ), ენანება-ნანობს, ენატრება-ნატრობს, ეტოლება-ტოლია. ეპარაღვლება-პარაღვლურია, ეღარება-უღრის, ეშურება-შურს (იხ. ქველ).

რასაკვირველია, სრული იგივეობა ის ფორმებს შორის არ არის. ძირითადი განსხვავება კონსტრუქციოზია: ეტოლება ის მას—ტოლია ის მისი (რადაციის). თუმცა ზოგჯერ ამგვარი განსხვავებაც არ დასტურდება: უღრის ის მას—ეღარება ის მას.

ქართულში საკმაოდ მოიპოვება და, შეიძლება ითქვას, რომ ენაიანი ვნებითების (გამოყენების) ნახევარზე მეტს წარმოადგენენ ე-პრეფიქსიანი დეპონენსები: ეაღვრება, ეამბორება, ეარშიყება, ეაჭება, ებაახება, ებატონება, ებოდიშება, ებრძოლება, ებულაულება, ებურთავება, ებუტბუტება, ებუტება, ებლაუტება, ეგებება, ეღავება, ეღიდგულება, ევაჭრება, ევადრება, ეზიღება, ეთავდებება, ეთათბირება, ეთამაშება, ეთხოვება, ეკითხება (შეკითხვას აძლევს), ეკინკლავება, ეკრივება, ელაზღანდარება, ელალება (მიღენის), ელაპარაკება, ელაციცება, ემღურება, ემეთაურება, ემზადება (ეს სიტყვა საინტერესოა იმით, რომ ზმნის ფუძედ ბრუნვაში დასმული სახელი, შემდეგ ზმნიზედად გაგებული, არის გამოყენებული: მზა-მზად), ემუქრება, ემშიედობება, ენაზება, ენათხავება, ენაძლევება, ენატიუება, ენაეჭრება, ენატრონება, ეპირება, ეპირფერება, ეპოტინება, ეპუება, ეპყრობა, ერკინება, ესალმება, ესარჩლება, ესაუბრება, ესესხება, ესიძება, ესწრაფება (ესწრაფვის), ესწრება, ეურჩება, ეუბნება და ა. შ. ამიტომ სადავო ჩანს მოსაზრება, რომ „დეპონენსური ფორმის დანიშ-

²⁶⁰ ა. შ. ან. ი. ქ., ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 300—301.

ნულებაა თავიდან აირიდოს რელაცია ანუ მიმართება ობიექტისადმი.²⁶¹ ზემოაღნიშნული ფორმები თავისი ხშირი გამოყენების გამო არ შეიძლება გამოინაკლის წარმოადგენდნენ. დეპონენსური ფორმების თავისებურება ზოგჯერ უღვლილებშიც ჩნდება. ჩვეულებრივ ვნებითი გვარის ფორმებს თანამიმდევრული, უღვლილების სრული სისტემა მოეპოვება და ენიანი ვნებითის ფორმებიც ამ სისტემას მიჰყვებიან. მაგრამ ზოგიერთი ენიანი ფორმა არ ემორჩილება ამ წესს და „საშუალო ზმნების“ მსგავსად მწკრივნაკლი ხდება, რის გამოც უღვლილების დროს სხვა ფორმებით იცვლება:

აწმყო:	ეზიდება	ერეკება
უწყვეტელი:	ეზიდებოდა	ერეკებოდა
აწმყ. კავშ.:	ეზიდებოდეს	ერეკებოდეს

ნიკოლადში ამ ფორმებს უკვე მოქმედებითი გვარის შესაბამისი ფორმები ჩაენაცვლება.²⁶²

მყოფალი:	მო-ზიდავს	მო-რეკავს
ხოლმეობითი:	მო-ზიდავდა	მო-რეკავდა
მყოფ. კავშ.:	მო-ზიდავდეს	მო-რეკავდეს

ასევე: II და III სერიაში ზემოაღნიშნულ ენიან ფორმებს შესაბამისი მოქმედებითი ჩაენაცვლება. ნამყო ძირითადის, მოსალოდნელი მო-ეზიდა, მო-ერეკა ფორმები ფაქტიურად მოქმედებითი გვარის II თურმეობითის ფორმებს წარმოადგენენ, რაზედაც მათი კონსტრუქციაც მიგვანიშნებს (დატიურია). მო-ეზიდა, მოერეკა მას ის; ამ მხრეზე საინტერესოა მრავლობითი რიცხვის ფორმებიც, რაც აგრეთვე აღსატურებს ზემოაღნიშნულს: მოეზიდა-თ, მოერეკა-თ მათ ის; შდრ.: დაეხატა ის მას — დაეხატ-ნენ ისინი მას; ასევე: ელაპარაკა ის მას — ელაპარაკ-ნენ ისინი მას. ე. ი. ამ შემთხვევაში მოეზიდა, მოერეკა ფორმები ობიექტს უწყვეტ ანგარიშს იმის გამო, რომ ფუნქციის თვალსაზრისით სწორედ ობიექტია ამ შემთხვევაში მოქმედი პირი, რაც საერთოდ III სერიაში ყველა მოქმედებითი გვარის ფორმისთვისაა დამახასიათებელი: ცნობილია, რომ ამ დროს აქ ინვერსია ხდება. ეზიდება, ერეკება ფორმების I და II თურმეობითები იქნება მოეზიდავს, მოეზიდა და მოერეკავს, მოერეკა; ნაცვლად მოსალოდნელი: *მოზიდავია, *მოზიდავოდა.. თურმებისა.

ეზიდება, ერეკება ტიპის ზმნათა ზემოაღნიშნული თავისებურების გამოა, რომ სპეციალურ რიტერატურაში აღნიშნავენ: „გევხდება ისეთი რელატიური დეპონენსებიც, რომელთაც მარტო პირდაპირი ობიექტი ეწყობა.“²⁶³ პირდაპირი (რელატიური) ობიექტი ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის იმ ფორმებს მო-

²⁶¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 306.

²⁶² მოსალოდნელი ფორმები მოეზიდება, მოერეკება, მართალია, დასტურდება, მაგრამ მათაც აწმყოს ვაგება აქვთ; ეს ფუძეები. როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნული, „მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში“ გამოიყენება (იხ. სათანადო სტატები, ტ. რ. 3,5).

²⁶³ ა. შანიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 307.

ეპოეება, რომლებიც ზემოაღნიშნულ ეზიდება, ერეკება ტიპის ზმნებს ჩაენაც-
 ლეზიან უღვლილებს პარადიგმებში:

ნამყო ძირითადი:	მო-ზიდა	მო-რეკა
II კავშირებითი:	მო-ზიდოს	მო-რეკოს
I თურმეობითი:	მო-უზიდავს (მოუზიდა)	მო-ურეკავს (მოურეკია)
II თურმეობითი:	მო-ეზიდა	მო-ერეკა
III კავშირებითი:	მო-ეზიდოს	მო-ერეკოს

ზოგი ენიაინი ვნებითის დეპონენსური ფორმა მწკრივში ძირმონაცვლა და
 ააგულისხმოა ის, რომ ამ დროსაც მას მოქმედებითი გვარის ზმნა ენაცვლება:

აწმყო:	ეუბნება
მყოფადი:	ეტყვის, მაგრამ:
ნამყო ძირითადი:	უთხრა

ძველ ქართულში უთხრა ფორმას ჩვეულებრივ პრეტუა ზმნა (ესეც მოქმე-
 დებითი გვარისა) ცვლიდა. რაც შეეხება თქვა (თქუა) ზმნას, იგი წყვეტილში
 (ნამყო ძირითადში) „საშუალ“ ამბობს ზმნას უნდა ენაცვლებოდეს.

ამდენად, ფუნქციურად ენიაინი ვნებითის დეპონენსური ფორმები მოქმე-
 დებითებს ამოუდგებიან გვერდში, და, რაც საგულისხმოა, ზოგჯერ ნაკულ
 მწკრივებსაც მოქმედებითი გვარის ფორმებით იესებენ.

ამ ფორმებს რომ მართლაც მოქმედებითი გვარის ფუნქცია აქვთ, ეს ჩანს
 იმიტაც, რომ მათ პარალელურად ზოგჯერ „წმინდა“ ვნებითებიც დასტურდება,
 რომლებიც ფუნქციურად სრულიად განსხვავდებიან მათგან. ასე მაგალითად:
 ამზადებს ზმნის კონვერსიულ ფორმას მზადდება წარმოადგენს, უმზადებს
 ზმნისა კი — უმზადდება; ემზადება ფორმა სრულიად ცალკე დგას. გარდა იმი-
 სა, რომ მას საპირისპირო ინიანი ფორმა არ მოეყოლება, იგი არსებითად აქტიურ
 მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ ისევე როგორც „საშუალ ზმნას“ ამ აქტიურ
 მოქმედებას რეალური (პირდაპირი) ობიექტი არ ახლავს; სხვაგვარად: აქტიუ-
 რი უობიექტო მოქმედებაა. ამავე ტიპისაა: ანაზებს-ნაზდება, უნაზებს-უნაზ-
 დება, მაგრამ: ენაზება; ათამაშებს-თამაშდება, უთამაშებს-უთამაშდება, მაგრამ:
 ეთამაშება. უკანასკნელის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მოქმედებითი
 გვარის სასხვისო ქცევის უთამაშებს ფორმა უმეტესად სემანტიკურ გადახრას
 გვიჩვენებს და არსებითად „საშუალ“ (სტატიკურ) ფორმებს უთანაბრდება,
 რის გამოც მწკრივნიაკლი ხდება (წარბი უთამაშებს—წარბი უთამაშებდა—წარბი
 აუთამაშდა). მნიშვნელობა ეცვლება სხვა ზმნასაც: ათხოვებს-თხოვდება, *უთ-
 ხოვებს-უთხოვდება, მაგრამ: ეთხოვება.

მაშასადამე, დეპონენსური ფორმების საფუძველზე შეგვიძლია ივიარაუჯ
 დოთ, რომ ე- პრეფიქსიან ფორმებს მოქმედებითი გვარის ფუნქცია უნდა
 ჰქონოდათ, მაგრამ ზოგიერთ მათგანში წარმოჩენილი იქნა ვნებითის მნიშვნე-
 ლობისაკენ გადახრა, რაც გახდა კიდევ საფუძველი ამ მოდელით ნაწარმოებ
 ზმნათა ვნებითის მნიშვნელობით დატვირთვისა. ქართულში საკმაოდ მოიპოვე-
 ბა ენიაინი ვნებითის ფორმები. რომლებიც პარალელურად გამოიყენებთან რო-
 გორც პასიური რელატიური ზმნის, ასევე დეპონენსური მნიშვნელობით (resp.
 აქტიური მოქმედების გამოხატველი ზმნის ფუნქციით). სპეციალურ ლიტერა-
 ტურაში ამის მაგალითად ეწევა ზმნა დასახელებული (პასიური: „ამ გარემოე-

ბას ანგარიში არ ეწევა და აქტიური: მიძიმე უღელს ეწევა“).²⁶⁴ მსგავს ვითარებას გვიჩვენებენ ემანჭება, ემთხვევა, ეღება და მისთნ. ზმნები. ასე მაგალითად:

ეღება	— ღებონენს:	ლობე-ყორეს ეღება
	ვნებითი:	კაბა ფეხებში ეღებათ მებრძოლთ (ქეგლ);
ემანჭება	— ღებონენს:	... არ სჭერა, რომ ავსული არ ემანჭება;
	ვნებითი:	სახე გემანჭებათ (ქეგლ);
ეტენება	— ღებონენს:	ყველაფერში ნუ ეტენები;
	ვნებითი:	მაკრინეს ყელის ძარღვები ეტენებოდა
ერევა	— ღებონენს:	სისხლით და ახრჩობდა (ქეგლ);
		მარაქაში ერევა; მაგისთასა საქმეში ვერ ვერევი;
	ვნებითი:	ენა ერევა (ქეგლ) და მისთნ.

როგორც ვხედავთ, ფუნქციის თვალსაზრისით ამ ფორმებს კონტექსტი განასხვავებს. ეს თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ ზოგიერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში დადასტურებული ენობრივი ვითარების ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე. ყოველ შემთხვევაში ამგვარი ანალოგიის დაშვება შეუძლებელი არა ჩანს. იგულისხმება მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ ე. წ. ლაბილურ კონსტრუქციებში დადასტურებული ვითარება. მართალია, ლაბილური კონსტრუქციები ენის უძველეს ვითარებას ასახვენ და ზმნის გვარის კატეგორიას უშუალოდ არ უკავშირდებიან, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ ამგვარ კონსტრუქციებშია შესაძლებელი ზმნის ერთი და იგივე ფორმა ერთ შემთხვევაში გარდამავლობის ფუნქციის მატარებელი იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობა ეკისრებოდეს და ამით პირველ შემთხვევაში ზმნა მოქმედებითი გვარის შინაარსს უტოლდებოდეს, მეორეში კი — ვნებითისას.²⁶⁵ რომ არაფერი ვთქვათ ზემოთ უკვე ნახსენებ ხუნძორში დადასტურებულ ამგვარ ვითარებაზე, ამ მოვლენის კარგ მაგალითს აფხაზური ენაც იძლევა. და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურში გვარის კატეგორია არ არის, სხვა ენების ვნებითი გვარის ფორმების გადმოცემის ერთერთ საშუალებად მიიჩნევენ „ლაბილური კონსტრუქციის ზმნების გარდაუვალი ვარიანტების“ გამოყენებას.²⁶⁶ ზემოაღნიშნულ მაგალითებში რასაკვირველია, არ დასტურდება გარდამავლობა-გარდაუვალობის ამდაგვარი დაპირისპირება, აქ კონსტრუქცია მხოლოდ აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით (ფუნქციურად) განასხვავებს ერთილიადაც ზმნის ფორმას.

საფულისხმოა, რომ ღებონენსურ ენიან ფორმათგან ზოგიერთს შესაბამისი პრეფიქსიანი ფორმაც მოეპოვება. და ეს ფორმებიც ასეთ ორგვარ გავებას იძლევიან ზშირად: ასე მაგალითად: ეგრიხება: 1. ღებონენს.: დილიდან საღამომდის თოხს ვეგრიხებოლო; 2. ვნებითი: ბრაზით პირისახე ეგრიხებოლა; ასევე: იგრიხება: 1. ღებონენს: მას გვერდით მისდევს კოხტა ბიჭი, რომელიც იგრიხება და იპრანჭება; 2. ვნებითი: ნელლი სახრე იგრიხებაო (ქეგლ).

ენიან ვნებითებთან დაკავშირებით საჭირო ჩანს რამდენიმე სიტყვა ით-

²⁶⁴ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 307.
²⁶⁵ არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე. ხუნძორი ენა, გვ. 243.
²⁶⁶ Грамматика абхазского языка, фonetика и морфология, Сухуми, 1968, стр. 180.

ქვეს იმ ფორმების თაობაზე. რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში შესაძლებლობის, მიჩნევისა და გუჯუბის ვნებითების სახელწოდებითაა ცნობილი.²⁵⁷

შესაძლებლობის ვნებითებია, პოტენციალისია: ეჭმება, ესმება, ეცხოვრება, მი-ესვლება და მისთნ. პოტენციალისის გაგება შესაბამის ინიან ვნებითებსაც გააჩნიათ: იჭმება, ისმება, იცხოვრება, მი-ისვლება... საეულისსმოა, რომ პოტენციალისის ფუნქციის გადმოცემისას ენიანი ვნებითის ფორმები ფაქტიურად ინვერსიულ გაგებას იძლევიან: მი-ესვლება მას... ქართული ამ მხრივ გამოთვლის არ უნდა წარმოადგენდეს. ანალოგიური ვითარება აფხაზურშიც არის აღნიშნული.²⁵⁸ უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციალისის გამოხატველი ზმნები არსებითად მწკრივენაკლია, მათ მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები მოეპოვებათ. საინტერესოა, რომ ზმნის ერთი და იგივე ფორმა მწკრივენაკლია, როცა პოტენციალისის გამოხატავს, მაგრამ ყველა მწკრივის ფორმა ქვეს იმ შესახვევაში, როცა ვნებითობის (ე. ი. მოქმედების ვანცლის გამოხატვის) ფუნქცია აქისრია: I. ვნებითი: ქორწილში ბუერი იჭმება და ისმება (აწმყო)—ქორწილში ბუერი შეიჭმება და შეისმება (მყოფადი) — ქორწილში ბუერი შეიჭმულა და შეისვლა (ნამყო ძირითადი, მწვეტილი) — ქორწილში ბუერი შეიჭმულა და შესვულა (I თურმეობითი); 2. პოტენციალისი: არც ისმება, არც იჭმება, არც ხელით დასაქერია (აწმყო) — არც შეისმება, არც შეიჭმება, არც ხელით დასაქერი იჭმება (მყოფადი); II და III სერის მწკრივთა ფორმები კი უკვე პოტენციალისის გაგებას აღარ იძლევიან.

მიჩნევის ვნებითებია: ეადვილება, ეამაყება, ეაფსუსება, ებეგრება, ედიდება, ეიმედება, ელამაზება, ელექსება, ემლაშება, ემჩატება, ემძიმება, ემწარება, ემწვავება, ემატარება, ემწელება, ეხალისება და მისთნ. უმრავლეს მათგანს შესაბამისი ინიანი ვნებითი არ მოეპოვება, ხოლო რასაც მოეპოვება, ისიც სულ სხვა ფუნქციის გამოხატველია: იდიდება, ილექსება და ა. შ. მაშასადამე, ე. წ. მიჩნევის ფუნქციას მხოლოდ ენიანი ვნებითები გამოხატავენ და ისიც ძირითადად ნასახელარი ენიანი ვნებითები²⁵⁹ (რა თქმა უნდა, არა ყველა ნასახელარი ენიანი ვნებითი). ამ ტიპის ფორმებისათვისაც ინვერსიულთაა დამახასიათებელი: ეადვილება, ეამაყება, ებეგრება... მას (ის).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ფორმა, რომელიც წარმოშობით, ჩანს, მიჩნევის ვნებითის ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო (მაგალითად, ერიდება—თავდაპირველად: მოხარიდებლად შიანია), ამჟამად აღარ გაივება ასეთად და შესაბამისად აღარც ინვერსიულობა ახასიათებს: ერიდება ის (წემდებარე) მას (ირიბი ობიექტი).

გუნების გამოხატვის ფუნქციაც მხოლოდ ვნებითებს ეკისრებათ.²⁶⁰ ემდერება, ეტირება, ელექსება, ევანშმება, ეღუფლება, ეღარდება, ეთაქილება და მისთნ. შინაარსობრივად ეს ზმნები ახლოს დგანან ე. წ. მიჩნევის ვნებითებთან. ამ ფორმებისთვისაც დამახასიათებელია ინვერსია: ემდერება, ეტირება, ელექსება... მას (ის).

²⁵⁷ ა. შანიძე. დასახლებული ნაშრომი, გვ. 299—301; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, ობ., 1952, გვ. 060.

²⁵⁸ Грмматика афхаазского языка, стр. 115.

²⁵⁹ ა. შანიძე. დასახლებული ნაშრომი, გვ. 350

²⁶⁰ იქვე, გვ. 300.

ქართულში გამოყოფენ უნებლიობის (უნებური მოქმედების) კატეგორიასაც. რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ენიანი ვნებითის ფორმებით გამოიხატება: შემომეჭამა (შემომეჭმება), შემომელანძღა (შემომელანძღება), შემომეფშენა (შემომეფშენება), შემომელახა (შემომელახება), შემომეჭრა (შემომეჭრება) და მისთნ.²¹ ეს ზმნებიც თავისი ბუნებით ინვერსიულნი არიან: შემომეჭმება (შემოეჭმავა), შემოეხარჯება (შემოეხარჯავ), შემოელახება (შემოელახავ) მას (ის). ასევე ინვერსიულ გაგებას იძლევიან სხვა, არა ენიანი ვნებითის მრღელი ნაწარმოები უნებლიე მოქმედების გამოიხატველი ზმნები: შემოაკვდება (შემოაკვდა), შემოატყდება (შემოატყდა), შემოაცვდება (შემოაცვდა)... მას (ის).

ინვერსიულობა ჩანს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გრამატიკულ სუბიექტად I და II პირია წარმოდგენილი, რომლებიც რეალურად კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის მნიშვნელობას ლებულობენ: ვეპატარავები, ვედარდები, შემოვლანძღები... — მას (მე); ეპატარავები, ედარდები, შემოელანძღები... — მას (შენ).

ამრიგად, შესაძლებლობის (პოტენციალისის), მიჩნევის, გუნებისა და უნებლიე მოქმედების გამოიხატველ ენიან ვნებითებისათვის კონსტრუქციის თვალსაზრისით ინვერსიულობაა დამახასიათებელი.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი მოქმედებითი გვარის II თურმეობითის ფორმების შესახებ.

ცნობილია, რომ გარდამავალი ზმნის II თურმეობითის (ასევე: III კავშირებითის) ფორმები ნამყო ძირითადისაგან (წყვეტილისაგან) იწარმოება („იმეორებს წყვეტილის ფუძესა და ბოლო ნიშნებს“²²) და ფაქტიურად მის ენიან ვნებითის წარმოადგენს.²³ „ვნებითის“ ეგვე ე- პრეფიქსი მოეპოვება ძველ ქართულში დადასტურებული III ხოლმეობითის ფორმასაც.²⁴ ამდენად, ე- პრეფიქსი, რომელიც ენიანი ვნებითის მწარმოებლადაა მიჩნეული და იმავდროულად გარდამავალი ზმნის II თურმეობითში (resp. III კავშირებითში) დასტურდება, ერთი და იგივე ფორმანტი ჩანს. ჩვეულებრივ, ამ შემთხვევაში განსხვავებულ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე: 1. ვნებითი გვარის კონსტრუქცია ნომინატურია: ეწერება ის მას — და-ეწერა ეს მას; 2. მოქმედებითი გვარის ზმნის კონსტრუქცია III სერიაში დატიურია (ინვერსიის შედეგად): წერს ის მას — და-ეწერა მას ის. მაგრამ ამგვარი განსხვავებაც აღარა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებლობის, მიჩნევისა და გუნების, ასევე: უნებლიე მოქმედების გამოიხატველ ენიან ვნებითთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ტიპის ენიან ვნებითებს თვით მოსდით ინვერსია და, ამდენად, კონსტრუქცია ამ შემთხვევაშიც დატიური გვექნება: 1. მოქმედებითი გვარის II თურმეობითი: და-ეხარჯა მას ის (<ხარჯავს ის მას, დახარჯა მან ის); 2. ვნებითი გვარის ნამყო ძირითადი (უნებლიე მოქმედების ფუნქცია): შემო-ეხარჯა მას ის (მყოფადი: შემოეხარჯება; I თურმეობითი: შემოხარჯავია...).

²¹ ა. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნებში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი გიორგი ასკელიანის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1969, გვ. 154.

²² ვ. თოფჩია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე, VII, გვ. 454.

²³ არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის, იკე, X III, თბ., 1962, გვ. 103.

²⁴ ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში, თსუ სამეცნიერო სესია, კრებული, № 1, გვ. 1—14.

მაგრამ მოქმედებითი და ინვერსიული ენიანი ვნებითის ფორმათა ამგვარი დამთხვევა ხშირად არ ხდება. ასე, მაგალითად: **ვადვილება, ებევრება, ემძიმება..** ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმები განსხვავდება შესაბამისი მოქმედებითის II თურმეობითის ფორმებისაგან, რადგან ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარი ე. წ. „გრძელ ფორმებს“²⁷⁵ იყენებს: **ადვადლებს-გაეადვილებინა, აბევრებს-გაებევრებინა, ამძიმებს-დამძიმებინა** (ზღრ.: **ვადვილა, ებევრა, ემძიმა... მას ის**), თუმცა ე-პრეფიქსიანი ინვერსიული ფორმები ორივე შემთხვევაში გვაქვს. ზოლო მაშინ, როცა პარალელურად „მოკლე ფორმებიც“ გამოიყენება (**გაეადვილა, გაებევრა, ნაცლად: გაეადვილებინა, გაებევრებინა ფორმებისა**), დამთხვევა აქაც მოხდება. როგორც აღნიშნულია, „მოკლე ფორმების ხმარება ახალიათებს აღმოსავლურ კილოებს და იქიდან გამოსული მწერლების ენას“.²⁷⁶

მაშასადამე, ზემოთქმულის თანახმად, რომელიმე ეფარა ფორმა ნამყოა, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით იგი შეიძლება იყოს ნამყო ძირითადიც (წყვეტილი) და ნამყო წინარეწარსულიც (II თურმეობითი): **მო-ეფარა ის მას და და-ეფარა მას ის**; პირველ შემთხვევაში ენებითი, მეორე შემთხვევაში — მოქმედებითი. მაგრამ ფუძე ორივე შემთხვევაში ნამყო ძირითადისაა.

ამდენად, ამოსავალია ნამყოს ფუძე ეფარა, რომელიც აწმყოში ორგვარად გაფორმდება: 1. მოქმედებითი გვარის მოდელით: **ფარავს**; 2. ენებითი გვარის მოდელით: **ეფარება**. ასე რომ, გვექნება ასეთი სქემა.

ნ ა მ ყ ო : (მო - || და - .) - ეფარა

ა წ მ ყ ო : ეფარება || ფარავს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შემთხვევას, როცა ფუნქციურად ორივე ფორმა აქტიურ მოქმედებას გამოხატავს, (ე. ი. როცა ეფარება ლეპონენსურ გაგებას იძლევა), მაშინ განსხვავება ეფარება და ფარავს ზმნებს შორის მხოლოდ ფორმაში იქნება, რითაც განისაზღვრება მათი უღვლილების ნაირგვარი სისტემა და კონსტრუქცია.

თავის მხრივ, ფარავს ზმნის ნამყო ძირითადის ფორმა იქნება: **და-ფარა, ეფარება ზმნისა კი — და-ეფარა**. შეიძლება თუ არა დაეუშვათ, რომ ეფარა — (და)-ფარა ისტორიულად პარალელურ ფორმებს წარმოადგენდა? განვიხილოთ ეს საკითხი ეცადა-სცადა ზმნების მაგალითზე. ორივე ზმნა ნამყო ძირითადის (წყვეტილის) ფორმითაა წარმოდგენილი, შინაარსობრივი დაპირისპირება მათ შორის არ შეინიშნება. ისინი მხოლოდ კონსტრუქციით განსხვავდებიან: **სცადა მან ის — ეცადა ის მას**. მათი უღვლილება ასე წარმოგვიდგება:

აწმყო: (ცდილობს)
 მყოფადი: ეცდება/სცდის
 ნამყო ძირ.: ეცადა/სცადა
 I თურმეობითი: უცდია

ამრიგად, ეცადა და სცადა არსებითად ერთმანეთის პარალელურ ფორმებს წარმოადგენენ (და მათ შორის არ არის იმგვარი დაპირისპირება, როგორც დასტურდება, მაგალითად, მოქ. და-წერა და ენ. და-ეწერა ფორმებს შორის). მაგ-

²⁷⁵ ტერმინისათვის: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 452.

²⁷⁶ იქვე, გვ. 453.

რამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ეცადა ფორმა ნომინატორ კონსტრუქციას ქმნისა ეცადა ის მას. საკმარისია, იმავე ფორმამ ინვერსიული გაცემა წიბრი ვის (ეცადა მას ის), რომ იგი უკვე სცადა ზმნის II თურმეობითის ფორმად იტყუევა (კონსტრუქცია დატიურია).

და მართლაც, შემოუღახა, შემოუხარჯა, შემოუქაშა; ელაშაშა, ემძინა, ეძნელა... მას (ის), სინამდვილეში „ენიანი ენეპითები“ ნაშრო ძირითადის ფორმებს წარმოადგენენ. თუმცა თავისი მოდელითაც და კონსტრუქციითაც აშკარად ჰგვანან მოქმედებითი გვარის II თურმეობითების ფორმებს და ზოგი მათგანი გამოიყენება კიდევ ამ მწკრივის ფორმად (დაეხარჯა-დახარჯა...); ზოგს კი, როგორც აღინიშნა, ეს მწკრივი ე. წ. „გრძელი ფორმებით“ ეწარმოება (გაელამაზებინა, დაემამებინა, თუმცა პარალელურად: გაელამაზა/გაელამაზნა, დაემამა/დაემამინა).²⁷⁷

ზემოაღნიშნული ენიანი ფორმები თავისი ბუნებით ენებითებს რომ არ წარმოადგენენ. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ (ისევე როგორც დეპონენსები) ისინი შესაბამისი ფუძისგან ნაწარმოები მოქმედებითების კონფერსიულ ფორმებს არ წარმოადგენენ. და, მართლაც, ამჩატებს, ამძიმებს, აღიღებ, აპატარავებს მოქმედებითი გვარის ფორმებს, როგორც მათი მოდელი მიჯანაშენებს (+ ფუძე + სუფიქსი) უნდა შეესაბამებოდეს და შეესაბამება კიდევ სუფიქსიანი ენებითები, რომლებიც წარმოადგენენ ამ მოქმედებითების კონფერსიულ ფორმებს მჩატება, მძიმება, აღიღება, პატარავება და ა. შ. (შესაბამისად: უმჩატებს-უმჩატება, უდიღებს-უდიღება და ა. შ.). მათგან სრულიად განსაკლებებულა: ემჩატება, ემძიმება, ედიღება, ეპატარავება ტიპის ფორმები.

მაგრამ თავისებური ფუნქციის შედეგად შესაძლებელი გახდა ამ მოდელით ნაწარმოები ფორმების ენებითთა რიგში ჩაყენება; და, მართლაც, ელაშება შინაარსობრივად ფაქტიურად აღნიშნავს: მლაშე ხდება (მისთვის); აქედან: მლაშედ მიაჩნია; ენაშება-ნაში ხდება (მისთვის) და მისთნ.

უკვე ითქვა, რომ მოქმედებითი გვარის II თურმეობითის ფორმებში ეპრეფიქსს, ჩანს, იგივე ფუნქცია აკისრია, რაც უ- (I და II პირის ფორმებში ი-) ფორმანტს I თურმეობითში; შღრ.:

I თურმეობითი: და-უ-წვრია

II თურმეობითი: და-ე-წვრა

ანალოგიური ვითარება დასტურდება ე. წ. შესაძლებლობის, მიწნევის, გუნებისა და უნებლიე მოქმედების გამომხატველ ენიან ფორმებში (ე-პრეფიქსიან ჯრებითებში). ყველა ამ შემთხვევაში ირიბი ობიექტი კონსტრუქციაში რეალურ შოქმედ პირადაა წარმოდგენილი; ე. ი. დასტურდება ინვერსია. ისმის კითხვა: რა თავისებურება ახასიათებს ამ კონსტრუქციას? რატომ არის ირიბი ობიექტი გაჯებული რეალურად მოქმედ პირად? არ არის გამორიცხული, რომ აქ ენებითის იმ კონსტრუქციების ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა კონსტრუქციაში რეალურად მოქმედი პირი უბრალოდ მატების სახით არის წარმოდგენილი (სურათი დაიხატა მხატვრის მიერ); განსხვავება ის არის, რომ

²⁷⁷ ნ. ფორმანტის თაობაზე დაეხარჯა, დაეხარჯა, დაემალნა ტიპის ფორმებში ის. ი. ქ ა ე-თარაძე, დრო-კლითა შესამე სერის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში იყ, VII, თბილისი, 1955.

ერთ შემთხვევაში რეალურად მოქმედი პირი გრამატიკულად არ არსებობდა ზმნაში (როცა უბრალო, პირმიუშართავი დამატებაა გამოყენებული). ხოლო მეორე შემთხვევაში ეს პირი გარკვეული ფორმანტიცაა სმნის ფორმაში წარმოიქმნილი. ერთ შემთხვევაში იგი გამოდის როგორც აქტიურად მოქმედი პირი (ვაეკეთაშაგავეთებინა მას ის), ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც აქტიურად გამომცდელი პირი (*ევეთა მას ის; მაგალითად: შევეთა ესე თათბირი...), რეალურად ორივე მოქმედი პირია, ხოლო გრამატიკულად — ირიბი დამატება-ვიპორებთ: ეს ეხება მხოლოდ ე-პრეფიქსიან ინვერსიულ ფორმებს (გარდამავალი ამსუპის II თურმეობითებსა და გუნების, მიჩნევის, შესახლებლობისა და უნებლად მოქმედების გამომხატველ ენიან ენებითებს). ბუნებრივია, არაინვერსიულ ე-პრეფიქსიან ფორმებზე ეს ვარაუდი არ გავრცელდება. ასე მაგალითად, ღებომენსებში რეალურად მოქმედი პირი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (ეგიოთხება, ეთამაშება, ელაპარაკება, ეაღერსება, ებლაუქება... ის მას), ე. ი. გრამატიკულადაც მოქმედი პირია, ქვემდებარება.

თანამედროვე ქართულში გარდამავალი ზმნების II თურმეობითში დადასტურებულ ე-ფორმანტს, გამოიციხული არ არის, რომ დაახლოებით იგივე ფუნქცია (დანიშნულება) ეკისრებოდაც, რაც ძველ ბერძნულში გააჩნდა ე.წ. აუგმენტს (ანუ: ნამატს). აუგმენტი საერთოდ ინდო-ევროპული ზმნის სისტემისთვისაა დამახასიათებელი. იგი ზმნას დაერთვის მხოლოდ თანობით კლავში და ემატება ნამყო უსრულის, აორისტისა და ნამყო წინარეწარსულის (ანუ: ისტორიული დროების) ფორმებს.²⁷⁸ ძველი ბერძნულის ზემოაღნიშნულ მოვლენას საინტერესო პარალელი დაეძებნება ქართულში და მართლაც, გარდამავალი ზმნების II თურმეობითის ფორმები (ფუძის თვალსაზრისით) ძირითადად მხოლოდ ამ „ნამატი“ (ე-ფორმანტი) განსხვავდებიან II სერიის ფორმებისაგან; ნამყო ძირითადი: და-წერა, და-ხატა... II თურმეობითი: და-ე-წერა, და-ე-ხატა...

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ძველ ქართულში ღვას, ზის, სხდს, წევს ფორმებს „საკუთარი წარმოება ჰქონდათ II სერიაში“: ღვა, ჯდა. სხდა, წვა.²⁷⁹ ახალ ქართულში მათ წინ დაერთო ი- და ე-ფორმანტები. ამ შემთხვევაში ე-პრეფიქსს აშკარად სასხვისო ქცევის გადმოცემის ფუნქცია აკისრია (ი-პრეფიქსდართული ფორმები ნეიტრალურნი, საარვისონი რჩებიან). ეს მტკიცდება აწმყოს შესაბამის ფორმებთან დაპირისპირებითაც: ღვას—ი-ღვა, უ-ღვას—ე-ღვა, წევს—ი-წვა, უ-წევს—ე-წვა და ა. შ.²⁸⁰

ასევე ქცევის ჩვენების ფუნქცია აკისრია ე-ფორმანტს სტატიკურ ფორმებში (რომლებსაც ზოგჯერ „სტატიკურ ენებითს“ უწოდებენ). შდრ.: უ-წერია, — ე-წერა, უ-ხატია — ე-ხატა და მისთნ. მაგრამ ამ შემთხვევაში ეწერა, ეხატა ტიპის ფორმებს ქცევის გადმოცემის ფუნქცია დასუსტებული აქვთ იმის გამო, რომ საარვისო ქცევის საპირისპირო ფორმები არ მოეპოვებათ და არსებითად აწმყოს ყველა ქცევის ფორმებს შეესაბამებიან: სწერია||აწერია||აწერია

²⁷⁸ ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969, გვ. 143.

²⁷⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 500—501.

²⁸⁰ ამ ბრძოვ საგულისხმოა ე-ძახის—უ-ძახის პარალელური ფორმების არსებობა; ერთობლიანი ფორმა მხოლოდ ი-პრეფიქსიანია: ი-ძახის.

ეწერა... თავის მხრივ სტატიკური ფორმის ნამყო ძირითადი (ეწერა) ისე შეეს - ჰამება II თურმეობითს (დაეწერა), როგორც აწმყოს ფორმა (უწერია)—I თურ - მეობითს (და-უწერია).

მაგრამ სასხვისო ქვევის გადმოცემის ფუნქცია ენაან ვნებითს გარ:ვე- ულ ვითარებაში, გარკვეული დაპირისპირების დროს მოეპოვება მხოლოდ. სხვა შემთხვევაში მათ ასეთი ვაგება არა აქვთ. ეს დასტურდება თუნდაც იმით, რომ ძველ ქართულში საკმაო რაოდენობითაა „ე- პრეფიქსით ნაწარმოები ისეთი ვნებითები, რომელთაც მხოლოდ ერთი პირი — სუბიექტი — უკავშირდება“: ასე რომ, ენაანი ვნებითის ზოგი ფორმა კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება და ერთპირიანიც ყოფილიყო და ორპირიანიც.²⁸¹ ასე მაგალითად :დაემარხა, გაე- წურა (გაეწურა ღამე), აღესრულა, აღეტყუა, განემტკიცა, განემზადა და სხვა ერთპირიანი ფორმებია. ერთპირიანობა კარგად ჩანს განემართა ფორმაშიც..

თუ ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა დაეასკენათ, რომ ინიანი და ენაანი ვნებითები სხვადასხვა წარმომავლობისა არიან. მათი ურთიე- რთდაპირისპირებულ (აბსოლუტურ და რელატიურ) ფორმებად გამოყენება შე- დარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. ეძებს (ეძიებს), მი-ვ-ცე-ო) ფორმები ადა- სტურებენ. რომ ე- პრეფიქსი მოქმედებითი გვარის (resp. გარდამავალ) ფორ- მებშიც გამოიყენებოდა (რომ არაფერი ვთქვათ გარდამავალი ზმნის II თურმე- ობითის ფორმებზე).²⁸²

VII — უკუქცევითობის კატეგორია ქართულში და ინიანი ვნებითის წარმოების საკითხები

გვარის ფორმათა წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტისას განსაკუთრებუ- ლი მნიშვნელობა ენიჭება უკუქცევით ფორმებს. ზევრ ენაში (მაგალითად, რომ- ანულ, სლავურ, სკანდინავიურ ენებში) ამ ფორმებს ვნებითობისა და მედიალუ- რობის ფუნქციის გადმოცემა ეკისრება.

უკუქცევითობა დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიაა, თუმცა უშუ- ალოდაა დაკავშირებული ზმნის გვარის კატეგორიასთან როგორც თანამედროვე ენებში, ასევე ისტორიულად. უშუალოდ უკავშირდება იგი გარდამავლობის სა- კითხსაც.

ცნობილია, რომ ქართულში მოქმედებითი გვარის სათავისო ქვევის ფორ- მებსა და ინიან ვნებითებს ერთი მაწარმოებელი აქვთ—პრეფიქსი ი; სათავი- სო ქვევის ფორმები ჩვეულებრივ გარდამავალია. მაგრამ ქართულში დასტუ- რდება მათი გარდაუვალი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც, როცა ეს ფორმები საშუალო (მედიოაქტიური) ზმნების ნაკლები მწკრივების შესაესე-

²⁸¹ ლ. ნ ო ზ ა ძ ე. ინიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის. იე. IX-X. თბილი- სი, :558. გვ. :29. 234.

²⁸² ამიტომ სადავო ჩანს ნ. მ ა რ ი ს ე არაუდი. რომ ე- პრეფიქსი მრღებელი უნდა იყოს ქვევის ე- პრეფიქსის შერწყმით ა- ფორმანტთან: აი>ეი>ეა> ე>ე: *მ-ა-ი-სმის>მ-ე-სმის; *ვაიძებ>ვეძებ; II. Я. М а р р, Грамматика древнеитторатурного грузинского языка, стр. 192. 1917 II ძრ. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ვარაუდი არაა გაზიარებული. იხ. არნ. ჩ ი მ ბ ა ვ ა, რეცენზია ნ. მარის აღნიშნულ ნაშრომზე, მიმოხილველი I, ტფილისი, 1926; ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები I, გვ. 365 (418): იე. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 30%.

ბადა გამოყენებული (იცხოვრებს, იცხოვრა; იციმციმებს, იციმციმა და ა. შ. მყოფადი და ნამყო ძირითადი ცხოვრობს, ციმციმებს ზნებისა.); თავის მხრივ: ინიანი ვნებითები—დეპონენსები—შესაძლებელია მოქმედებითი გვარის ფუნქციით იქნენ გამოყენებული.

ვარაუდს მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევისა და ინიანი ენაბიჯის საერთო წარმომავლობის შესახებ გარდა საერთო ი-ფორმანტისა, მზარს უყერს ის ფაქტიც, რომ ნამყო ძირითადის ჭგუფში (II სერიაში) ეს ფორმაჰი აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს:

ნამყო ძირითადი: მან ის დაიხატა (მოქმედებითი) —

ის დაიხატა (ვნებითი)

II კავშირებითი: მან ის დაიხატოს (მოქმედებითი) —

ის დაიხატოს (ვნებითი).

ანალოგიური ვითარება დასტურდება ძველ ქართულში: „რომელმან განიკითხოს (მოქ. გვარი), იგიცა განიკითხოს (ვნებითი) ღმრთისაგან“.²⁶³ თუმცა ვინსხეაება მინც იჩენს თავს. გარდა სხვადასხვაგვარი კონსტრუქციისა, ეს განსხეაება ნათლად ჩანს III პირის მრავლობითში: დაიხატეს მათ ის (მოქმედებითი) — დაიხატნენ ისინი (ვნებითი) — წყვეტილში: დაიხატონ მათ ის (მოქმედებითი) — დაიხატნენ ისინი (ვნებითი) — II კავშირებითში, ხოლო ზოგ დიალექტში ეს განსხეაება საერთოდ იჩენს თავს მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმაში: ჩვენ ის დავიხატეთ (მოქმედებითი) — ჩვენ დავიხატენით (ვნებითი); თქვენ ის დაიხატეთ (მოქმედებითი) — თქვენ დაიხატენით (ვნებითი). მათ ის დაიხატეს (მოქმედებითი) — ისინი დაიხატნენ (ვნებითი). მაგრამ მხოლოდით რიცხვში აქაც სრულ დამთხვევასთან გვექნება საქმე.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ე. წ. „საშუალი ფორმებისათვის“ დამახასიათებელია უკუქცეულობის ი-პრეფიქსი. მაგრამ სტატიკურ ფორმათა უმრავლესობამ აწმყოში დაკარგა ეს ფორმანტი და იგი მხოლოდ უღელელების ზოგიერთ პარადიგმაში გამოჩნდება: კერძოდ, მყოფადისა და ნამყო ძირითადის ჭგუფების პარადიგმაში (ბიბინებს—ი-ბიბინებს—ი-ბიბინა; ცხოვრობს — ი-ცხოვრებს — ი-ცხოვრა და სხვ.). ეს ი-პრეფიქსიანი ფორმები მოდელის მიხედვით მოქმედებითი გვარის უკუქცევით (სათავისო ქცევის) ფორმებს უთანაბრდება. სწორედ ამ ფორმებს გულისხმობენ, როცა აღნიშნავენ, რომ „ქართულში ხშირად ადგილი აქვს სათავისო ფორმის გარდაუვალად გამოყენებას“.²⁶⁴ ეს ფორმები შემდეგ უნდა ამოსდგომოდნენ გვერდში მოქმედებითი გვარის ზნებს. წარმოშობით ისინი „საშუალი“ ფორმებია და „საშუალი“ ზნების თავისებურების გამო, კონსტრუქციის მიხედვით, ჩანს, ზოგჯერ გარდამავალი ზმნის ფუნქციითაც გამოიყენებოდნენ: აწყო: ტრიალებს ის — მყოფად: იტრიალებს ის, ხოლო უკანასკნელისაგან მივიღეთ ორპირიანი: იტრიალებს ის მას, რაც კონტექსტით უნდა იყოს განპირობებული. ამდენად, ამ შემთხვევაში „საშუალი“ ზნები სათავისო ქცევის ფორმებს კი არ იყენებენ პარადიგმაში, არამედ უკუქცევით ფორმებს, რომლებსაც სხვა კონსტრუქციაში გარდამავალი ზმნის (და ამდენად მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის) ფუნქცია აქი-

²⁶³ ი. ი. მ. ა. ი. შ. ე. ი. ლ. დ. სახელბეული ნაშრომი, გვ. 47.

²⁶⁴ ა. შ. ა. ნ. ი. შ. ე. ი. ლ. დ. სახელბეული ნაშრომი, გვ. 363.

სრია. ორივე შემთხვევაში რეალურად მოქმედი (თუ განმცდელი) პირი გრამატიკულადაც ქვემდებარედაა გაფორმებული. რაც შეეხება ზმნის მოდელის იგივეობას, ქართულისთვის ეს ბუნებრივი ჩანს, რადგან „საშუალ ზმნის“ ფორმა უნეტესად მოქმედებითისა აქვს. არის შემთხვევები, როცა სუბიექტი განიცდის მოქმედებას, მაგრამ კონსტრუქციაში არ არის და არც იგულისხმება (უკეთ: წმინაძე არ ფორმდება, არ აისახება) რეალურად მოქმედი პირი. ამის გამო მოქმედება წარმოდგენილია როგორც გრამატიკული სუბიექტის მიერ შესრულებული. ამ შემთხვევებში უკუქცევითობა ენებითი გვარის მოდელით გამოიანატება. თუმცა ფუნქციურად ეს ზმნეა „საშუალ“ ფორმებს უახლოვდება: იქვეება, იქნეება, იქაფება, იცრემლება, იწახება და ა. შ. საგულისხმოა, რომ ზოგ ამ ფორმათაგანს ძველი ქართული არ იცნობდა და ამ მნიშვნელობით სწორედ „საშუალი“ ფორმა გამოიყენებოდა (რომელიც ახალ ქართულში აღარ დასტურდება); მაგალითად: იცრემლება—(ძველი): ცრემლოვინ.²⁸⁵ ამავე მოდელით იწარმოება, მაგრამ მოქმედებითი გვარის ფუნქცია აქვთ ღებონენსურ ფორმებს: იბღვირება, ივიწება, იმუქრება, ირწმუნება, იწერება („მოპივიღა ქალაღლი, რომელშიც იწერება ი ა ნ...“ ა. ყაზბეგი) და მისთან. მაგრამ უკუქცევითობის გაება ამ ფორმებში დაიჩრდილა და კონსტრუქციაში გაიწდა უბრალო დამატების სახით წარმოდგენილი რეალურად მოქმედი პირი. ასე რომ, თანამედროვე ქართულში მხოლოდ კონსტრუქციის საშუალებით ხდება შესაძლებელი დადგინდეს, რომელიმე იგარსება ფორმას ენებითობის ეადმოცემას ფუნქცია აკისრია, თუ უკუქცევითობისა. ეს მოვლენა შეინიშნება იმ ფორმებშიც, რომლებიც თანამედროვე ქართულში უნეტესად ენებითის ფუნქციით გამოიყენება: 1. სურათი იხატება (იხატვის) მხატვის მიერ; 2. მასში იხატვის უმანკო, წყნარი და უცოფველი ჩემი ცხოვრება (ე. ტაბიძე): პირველ შემთხვევაში ზმნა (იხატება; იხატვის) ენებითის ფუნქციის გამომხატველია, რადგან კონსტრუქციაში დასტურდება რეალურად მოქმედი პირი; მეორე შემთხვევაში არსებითად მას „საშუალი“ ფორმის ფუნქცია ახასიათებს. რადგან კონსტრუქციაში რეალურად მოქმედი პირი არ არის და არც იგულისხმება; ამიტომაც მის რეალში აქ გრამატიკული სუბიექტი გამოდის.

გარდამავალი და გარდაუვლი უკუქცევითი ფორმების ურთიერთობა საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს უღვლილების პარადიგმებში.

სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება შემდეგ მაგალითზე:

1. კაცი წყალს იღუღებს; 2. წყალი იღუღებს.

განსხვავება მწკრივებშია: პირველი აწმყოს ფორმაა, მეორე—მყოფადისა (<ღუღს). მაგრამ განსხვავება მარტო ამით არ ამოიწურება: პირველი ფორმა გარდამავალია, მეორე—გარდაუვალი. პირველს მოეპოვება თავისი მყოფადი (აიღუღებს), მეორეს—თავისი აწმყო (ღუღს). ე. ი. განსხვავება აშკარაა, მაგრამ ამ ფორმათა დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს, ჩანს „ორივე რიგის იღუღებს ერთია წარმოშობით;“²⁸⁶ თუ ასეა, მაშინ მათი დიფერენციაცია უფრო გვიანდელი მოვლენაა, ხოლო ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ისინი არსებითად „გრამატიკულ ომონიმებს“ წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ

²⁸⁵ ი. ქავთარაძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 145.

²⁸⁶ ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 487.

.სეთი ორპლანოვანი გაეება ქართულში შეიძლება თითქმის ყველა სათავისო ქცევის ფორმას დაუკავშირდეს, მაგრამ ეს შესაძლებლობა უფრო ხშირად არ რეალიზდება. ასე მაგალითად: იკეთებს ზმნას შეიძლება გადაუვადი ზმნის მნიშვნელობაც დაუკავშირდეს: ავადმყოფი მო-იკეთებს, ახ: „რაკი ქალი ვყოფილა, ივანე რუსნაც ერთიორად იკეთა“ (ტეგლ); მაგრამ იკეთებს ფორმა უმეტესად მხოლოდ ვარდამ-ვალი მანქანელობით გამოიყენება. ასეა სხვა შეიძლება ეგნშიც.

ფორმათა ანალოგიური დამსგავსება შეინიშნება პასიური და ზოგი სამუქალი (მედრობასიური) ფორმის ურთიერთობის დროსაც. მაგრამ აქ უკვე ხდება მხოლოდ მოდელბის დამთხვევა, ასე რომ ეს ფორმები ერთმანეთის მიმართ უფრო წარმოდგენენ „გრამატიკულ ოპონენტებს“:

1. ვნებითი: (და)-ინატა (წყვეტილი)

11. სამუქალი: იღვა-ღვა (წყე).

ინ ა ტ ე ბ ა (აწმყო)

ი ღ ვ ე ბ ა
(მყოფალი)

ინატება, იღება ფორმები — ორივე ვნებითი გვარის მოდელითაა ნაწარმოები, პირველი აწმყო და ვნებითა, მეორე — მყოფალი და სამუქალი ზმნის პარადიგმს წარმოდგენს. ზემოთ შენიშნული ვითარება, როცა ერთი ფუძისგან ერთნაირი მოდელით წარმოიბეზურ ფორმებს ნაირგვარი გრამატიკული მნიშვნელობა აქვს, აქ ჩვეულებრივ არ დასტურდება: აქ მოდელი ერთნაირია, მაგრამ ფუძეები — სხვადასხვა. უკანასკნელი (იღება) ტიპის ფორმები სხვა თავისებურებასაც ვეიხუენენ. ყველა ღვას, ზის ტიპის სამუქალი ზმნას ახალ ქართულში „უნიშნო“ ვნებითი შეესაბამება: ღვას-ღვება, წვას-წვება, ზის-ჯდება და ა. შ. ვნებითის ყველა ამ ფორმას მყოფალის საკუთარი წარმოება აქვს: ღა-ღვება, და-წვება, და-ჯდება, და მისთ. ი- პრეფიქსი მათ მხოლოდ მაშინ უპნდებათ, როცა „სამუქალ ფორმებს“ ჩვენაცვლებიან; ე. ი. ამ ფორმაცს ამ შემთხვევაში ვნებითობის გადმოცემის ფუნქცია არა აქვს (რადგან ღვება, წვება, ჯდება ისედაც ვნებითებია), მას სულ სხვა ფუნქცია აკისრია და ეს არის უკუქცევითობის გადმოცემის ფუნქცია.²⁸⁷ ზემოთქმულის ანალოგიურად აქაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფორმები ნაკლებ მწკრივებში ჩანაცვლებული ვნებითები კი არაა, არამედ სამუქალ ფორმათა საკუთარი პარადიგმები, მხოლოდ ფუძემონაცვლობასთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ თავისებურებას ვეიხუენებს დღესამდღეს „სამუქალი ზმნა“. მისი შესაბამისი ვნებითია იღება (აწმყო),

²⁸⁷ ცალკე დგანან სამუქალი (მედრობასიური) ინვერსიული ზმნები, რომლებიც ნაკლები მწკრივების შესაფუძვლად ე- პრეფიქსიან ფორმებს იყენებენ: უკვარბ-ივარბობა, სწყინს-ეწყინება და მისთ. თუმცა ანალოგიური დამთხვევა შესაძლებელია აქაც იყოს: დღიძავს-ეღვიძება (მყოფალი), მაგრამ: ეღვიძება (ვნებითი, აწმყო) — გა-ეღვიძება (მყოფალი)... ზოგიერთ ამ ფორმათაგანს (პღვიძავს, სძინავს) უკუქცევითი ვარიანტიც მოეპოვება: იღვიძებს, იძინებს; ანიშანდობლივია, რომ ეს ფორმები გარდაუვალაია, თუმცა ფორმობრივ ისე უპირისპირდებიან მოქმედებითი გვარის აღვიძებს, აძინებს ზმნებს, როგორც მათი სათავისო ქცევის ფორმა. ამის გამოა, რომ აღვიძებს-იღვიძებს, აძინებს-იძინებს ურთიერთის მიმართ ფორმობრივ სათავისო და საარვისო ქცევის ზმნები კია, მაგრამ ფუნქციურად — კონვერსიულ ფორმებს ედარებიან, ე. ი. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებივით უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ნაგრამ იგივე ფორმა შესაძლებელია იყოს დევს ზმნის მყოფადი. ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივ ეს ფორმა II და III სერიის მწკრივებში გვხვდება: „პერში სამი წყალა ილო“ (ქეგლ).

ცალკე უნდა ითქვას II სერიის ფორმებზე. სადაც ხდება სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის ფორმების დამთხვევა ცნობილია, რომ დინამიკურ ზმნების ნამყო ძირითადის ფორმები უძველესი²⁵⁸ და ამდენად, ამოსავალია სხვა ფორმებისათვის. ასე რომ, რომელიმე და-იხატა, და-იწერა, შე-ინახა ნამყო ძირითადის ფორმები ამოსავალია აწმყოს, ერთი მხრივ, იხატავს, იწერს, ინახავს, ხოლო, მეორე მხრივ, — იხატება, იწერება, ინახება ფორმებისათვის. მაშასადამე, აწმყოში გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები მოდელის მიხედვით უკვე მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ უკუქცევით გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს შორის ფორმალური განსხვავება უფრო გვიანდელი (მეორეული) მოვლენაა და ამიტომაც უფრო გვიან ჩამოყალიბებულ ფორმებში აისახა.

ძალზე იშვიათად ნამყო ძირითადის უკუქცევითი ფორმა შეიძლება შეიცავდეს გვარის ყველა მნიშვნელობას, რაც ნამყო ძირითადში კონტექსტის მიხედვით გარჩევება, ხოლო აწმყოში სამ განსხვავებულ მოდელს მოგვცემს:

ნამყო ძირითადი: ი - ბოლ - ა	ა
	წ / ი - ბოლებ - ს (მოქ. გვ. სათავისო) \ ბოლავ - ს (საშ. ფორმა, მყოფადი: ი - ბოლებ - ს)
	მ
	ყ / ი - ბოლებ - ა (ვნებითი გვარი), \
	ო

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ი- პრეფიქსიან დინამიკურ გარდაუვალ ზმნებს (ინიან ვნებითებს) ისტორიულად სხვა ვნებითებისაგან განსხვავებული ფუნქცია ეკისრებოდა: ისინი აღნიშნავდნენ მოქმედებას, რომელსაც სუბიექტი განიცდის, მაგრამ კონსტრუქციაში არ იყო და არც იგულისხმებოდა რეალურად მოქმედი პირი და მოქმედება წარმოდგენილი იყო როგორც თვით გრამატიკული სუბიექტის მიერ შესრულებული. ამიტომაც ფუნქციურად ისინი „საშუალ ფორმებს“ უახლოვდებოდნენ. ამდენად, გრამატიკული სუბიექტი ამ გარდაუვალ ფორმებთან რეალური სუბიექტის როლში გამოდიოდა, რომლის მოქმედება თვით „მასში იყო ჩაკეტილი“, უბრუნდებოდა გრამატიკულ სუბიექტს. ამის გამო შესაძლებელი გახდა, რომ ამგვარი წარმოების ზოგიერთ ზმნას სუბიექტის თვისობრივი დახასიათების გადმოცემა დაკისრებოდა: ძაღლი ეკბინება, ჭინჭარი ისუსხება, ხარი ირჭინება, ძროხა იწველება და ა. შ. თუმცა მაშინ, როცა ეს ფორმები გადმოსცემენ არა სუბიექტის თვისებას, არამედ მის მოქმედებას კონკრეტულ მომენტში (ხარი ირჭინებოდა გუშინ), ისინი ფუნქციურად მოქმედებითი გვარის ფორმებს უთანაბრდებიან (დეპონენსებია).

ი- პრეფიქსიანი გარდაუვალი ფორმების „საშუალ ფორმათა“ ფუნქციით გამოყენების მაგალითები საკმაოდ მოიპოვება როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში. იგულისხმება: იბარტყება, იგინგლება, იშლაწნება, იბუფება, იპრანჭება, იბადება, იცქირება ტიპის ფორმები.

²⁵⁸ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I.

განსაკუთრებით ფასეულია ამ შემთხვევაში ის მაგალითები, როცა ენებითი გვარისა და „საშუალი ფორმები“ ერთ კონტექსტში გვხვდება და ფუნქციაც ერთი, მედიუმიცა, აქვთ: 1. იგი ისე გამოიქცირებოდა (ფორმით ენებითი, ფუნქციით — „საშუალი“) და მოელვარებდა (ფორმაც და ფუნქციაც „საშუალი-საა). თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიაო; 2. ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდით და მოიჭარენით“ (შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 71). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულში დასტურდება ი- პრეფიქსიანი გარდაუვალი უკუქცევითი ფორმები, რომელთაც „საშუალ“ ფორმებიათვის დამახასიათებელიცაა. წ- საურთიერთო-უკუქცევითი ფუნქცია მოეპყება, ე. ი. ფორმები, რომელთაც შინაარსობრივად უკავშირდება ორი ან მეტი სუბიექტი, რომლებიც ერთსა და იმავე მოქმედებას ასრულებენ და ერთმანეთის მიმართ ერთდროულად სუბიექტსა და ობიექტს წარმოადგენენ: ფრიალ დაიშვებოდნენ (-დაუშვებოდნენ) ურთიერთას... დაიშვებოდნენ ჰეროდე და პილატე..

ქართულში ი- პრეფიქსიანი უკუქცევითი გარდაუვალი ზმნების შინაგან ბუნებას კარგად აჩვენს სხვა ენებთან შეპირისპირებაც. მაგალითად, ქართულის ი- პრეფიქსით ნაწარმოებ ბევრ დეპონენტურ ფორმას რუსულში სწორედ უკუქცევითი ფორმები შეესაბამება: იგინება — *пугается*; იფიცება — *клянется*; ილოცება — *молется*; იკბინება — *кусается*; ირჩინება — *бодается* და ა. შ. რასაკვირველია, ასეთ შეპირისპირებას ქართულში უკუქცევითი ფორმების ბუნების დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა ერთი ენის უკუქცევითი ფორმა მეორე ენაში უკუქცევით ფორმით გადადის, მაგრამ თავის მხრივ ასეთ შეპირისპირებას ერთგვარი სინათლე მაინც შეაქვს ამ საკითხში და ფაქტს უფრო მეტად ხელშეისახებსა და დაზაჩერებელს ხდის. საინტერესოა სურათს იძლევა აგრეთვე ზოგიერთი ქართული ზმნის სათავისო ქცევისა და რუსული ზმნის უკუქცევითი ფორმის შედარება. მაგალითად, მოიკლა ზმნას რუსულში შეიძლება ორი შესატყვისი ჰქონდეს: *убил еденя* და *убилея*. პირველი უტოლდება სათავისო ქცევას: ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა; მეორე — ენებითი გვარის ფორმაა. იგი მნიშვნელობით ახლოსაა მოკვდა ფორმასთან, მაგრამ ფუნქციური განსხვავება მოიკლა (იგი) — მოკვდა ფორმებს შორის მაინც უცილობელია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსულ *убил еденя* და *убилея* ზმნებს შორის განსხვავება (ისევე როგორც ქართულ იკლავს და იკვლება ფორმებს შორის) მეორეულია, რადგან -*ея* ნაწილაკი წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა *еденя* უკუქცევითი ნაცვალსახელის ენკლიტიკური ფორმა. ასე რომ, *убил еденя* და *убилея* — ორივე — ფაქტობრივად უკუქცევითი ფორმაა, ოღონდ პირველი — გარდამავალი, მეორე — შესაბამისად — გარდაუვალი. ამიტომაც ისინი ერთმანეთის მაგივრად არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ. ანალოგიურად ქართულშიც: ამოსავალია საერთო: მო-იკლა ფორმა, რომლის გარდამავლობა-გარდაუვლობა კონტექსტის მიხედვით დგინდება.

„მედიურობის“ მნიშვნელობას უახლოვდებიან იცვამს, იბანს, ივარცხნის ტიპის ფორმები. მოქმედებით გვარში თავდაპირველად უკუქცევითობა ასეთი სემანტიკის ზმნებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

ცნობილი ფაქტია, რომ ქართულში დასტურდება ი- პრეფიქსიანი გარდაუვალი ზმნების პარალელური ფორმები: იკვრის-იკვრება, ისმის-ისმება, იწვის-იწვევა, ითქმის-ითქმება, ირწყმის-ირწყმება, იძვრის-იძვრება, იხატვის-იხატება..

იზნის-იზენება, ირწყვის-ირწყვება, იკარგვის-იკარგება, იკვლის-იკვლება, ითხზვის-ითხზება, იტანჯვის-იტანჯება, იყუშნის-იყუშნება, იხშვის-იხშვება, იღგმის-იღგმება, ირტყმის-ირტყმება, იღიმის-იღიმება და ა. შ.

ამ პარალელურ ფორმათაგან ვსებითის შოღელი მხოლოდ -ებ თემისნიშნით (†ბოლოკიდური -ი I და II პირის ფორმებში) ვარიანტებს მოეპოვებათ რაც შეეხება მათ პარალელურ ფორმებს (იკვრის, იხშვის და ა. შ.), მათ არცერთად არა აქვთ ვსებითისათვის დამახასიათებელი მოდელი. ეს მტკიცდება ანალოგიური მოდელის მოქმედებითი გვიარის ფორმებთან შედარებითაც: იჭრის, ითლის, იზრდის და მისთან. ერთადერთი, რაც ვსებითის აღნიშნულ ფორმებს განასხვავებს მათგან, ესაა მოქმედებითიდან გადმოყოლილი ნაწილი თემის ნიშნისა ვსებითის ზოგ ფორმაში (ხშ-ავ-ს — ი-ხშ-ვ-ი-ს; რწყ-ავ-ს — ი-რწყ-ვ-ი-ს). ზოგი ამ ტიპის ზმნა ფუნქციურადაც აქტიურობას გამოხატავს არსებითად: იღიმის (იიღიმება); იცოხნის (იიციხნება) და სხვ. ზოგიც — „საშუალ“ ფორმათა მნიშვნელობას უახლოვდება: იტანჯვის (იიიტანჯება); შდრ. ინანის (.ნანობს) და ა. შ. ამ ფორმათა ბუნების გასარკვევად აუცილებელი ჩანს ერთი იაკვისებური მოვლენის გათვალისწინებაც, კერძოდ ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ი-პრეფიქსიან გარდაუვალ ფორმას რელატიური უ-პრეფიქსიანი ფორმა შეესაბამება (ნაცვლად მოსალოდნელი ე-პრეფიქსიანისა): ი-ღიმის — უ-ღიმის; ი-ცინის — უ-ცინის (დიალექტებში ზოგჯერ დასტურდება ე-პრეფიქსიანი ფორმაც: ეცინის-ღაცინის). იღიმის ფორმამ პარალელური ე-პრეფიქსიანი ფორმა არ იცის, მაგრამ საემარისია იგივე ფუძე ვსებითის მოდელით გაფორმდეს და შესაბამისი ენაღის ვარიანტიც ამოუდგება გვერდით: იღამება-ეღამება... აქედან თითქოს ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ამ პარალელურ ფორმათაგან (იღიმის-იღიმება, იწყის-იწყება, იხატვის-იხატება, იტანჯვის-იტანჯება...) პირველი ფორმები უფრო აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ და რელატიური ფორმებიც ზოგჯერ შესაბამისად უფორმდებათ (იღიმის-უღიმის), ხოლო მეორე ფორმები პასიურობის მნიშვნელობისაკენ იხრებიან და რელატიური ვარიანტებიც შესაბამისი მოვბოვებათ (იღიმება-ეღიმება), მაგრამ თანამედროვე ქართულში, უმრავლეს შემთხვევაში, ჰირს ასეთი გამიჯვნა და რომელიმე იწყის-იწყება, იტანჯვის-იტანჯება ფორმები ერთმანეთის მიმართ ფაქტიურად „გარამატიკულ სინონიმებს“ უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმებს. ამიტომ შესაძლებელი ხდება მათი ერთმანეთის ნაცვლად გამოყენება თითქმის ყოველგვარ ენობრივ სიტუაციაში.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად დაისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ზოგჯერ მაინც ვიეარაუდოთ იღიმის-იღიმება ფორმებს შორის ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც დღესა გვაქვს იჭრის-იჭრება, ითლის-ითლება, იზრდის-იზრდება, ისვენის-ისვენება, იღლის-იღლება, იხნის-იხნება ტიპის ფორმებს შორის? მით უმეტეს, რომ ამ წყვილულთა შემადგენელი ორივე ფორმის ნაყო ძირითადი ერთი იქნება: გაიღიმა, გაიჭრა, გაითალა, გაიზარდა და ა. შ. და მხოლოდ კონსტრუქცია შევკაძლებინებს მათ გარჩევას გარდამავლობის მიხედვით: გაიჭრა მან ის, თუ: გაიჭრა ის. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ჯერ იცდის ფორმა. იგი მოქმედებითი გვიარის ზმნების უღვლილებას მიჰყვება (იცდის, იცდიდა, იცდიდეს; მოიცდის, მოიცდიდა, მოიცდიდეს; მოიცადა, მოიცალოს; მოუყვია, მოეცადა, მოეცალოს), და გარდამავალ ფორმადაცაა მიჩნე-

ული.“ მ. გრამ საქმე ისაა, რომ არსებითად ეს ზმნა ერთპირიანია, მისი რელატიური ფორმაა უცდის. მას არ მოეპოვება იმავე ფუძისგან ნაწარმოები ვენებითი. ამ ზმნაში უძველესი ვითარების ანარეკლთან უნდა გვექონდეს საქმე. იცდის ზმნა ფორმით სათავეისაა, მაგრამ თანამედროვე გაგებით სათავეისო ქცევის ფუნქცია მას აშკარად არა აქვს. აქ სწორედ უძველესობის უძველესი ფუნქცია უნდა იყოს წარმონიღი, რომელმაც შემდეგ გარკვეულ კონსტრუქციებში სათავეისო ქცევის მნიშვნელობა მიიღო. ამრიგად, იცდის ზმნა ყოველმხრივ მოქმედებით გვარის ფორმას ემსგავსება (1. აქვს მოქმედებითი გვარის ფორმებისათვის დამახასიათებელი მოდელი, 2. იუღელის მოქმედებითი გვარის ზმნეებით, 3. მოეპოვება შესაბამისი სასხვისო: უცდის და საარვისო, ნეიტრალური, ქცევის: აცდის ფორმები), გარდა ერთისა — არა აქვს მოქმედებითი გვარის ფუნქცია (დამატებით შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ მოქმედებითებისათვის მიღებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ — გარდაუვალია). აქედან გამომდინარე, იცდის ზმნა ამ უკანასკნელი თავისებურებით განსხვავდება იმავე მოდელის მქონე მოქმედებითი გვარის იჭრის, ითლის ტიპის ფორმებისაგან (სხვათა შორის, მსგავსება ფუძის კუმშვითაც გამოიხატება ამ შემთხვევაში — ისევე, როგორც ჰარაჰერ, თაღ ფუძეები, ცაღ ფუძეც იკუმშება I სერიის მწკრივებში). ეს არის არსებითი ხასიათის სხვაობა; მაგრამ საერთოდ განსხვავება სხვა რამითაც ვლინდება, რაც ამ ძირითადი, არსებითი განსხვავების საფუძველზე წარმოქმნილი დაშორების შემდგომი გაღრმავება უნდა იყოს. კერძოდ, ჰრის, თლის ფორმებს პარალელურად მოეპოვებათ „საზედაო სიტუაციის“ აჭრის, ათლის ფორმები (უმეტესობას — ზრდის, ღლის, ხხნის — ასეთი პარალელური ვარიანტი საერთოდ არ მოეპოვება), აცდის ამ მხრივ გამონაკლისია — მხოლოდ ა- პრეფიქსიანი ფორმა დასტურდება (უპრეფიქსო ფორმა სხვა ლექსიკური მნიშვნელობისაა — ცდის). ყველა ზემოაღნიშნულ ფორმას პრეფიქსიანი ვენებითი მოეპოვება საოპოზიციო ცალად (ჰრის-იჭრება, თლის-ითლება და შ.), აცდის ზმნას „უნიშნო“ ვენებითი შეესაბამება: ცდება (მნიშვნელობით: „დროს აცდენს, დროს ფლანგავს“; მეორე მნიშვნელობა იქნება: „შეცდომას უშვებს“); უკანასკნელს თავის მხრივ ეწარმოება მოქმედებითის სხვა ფორმა — აცდენს (მნიშვნელობით: „დროს აკარგვინებს“; პარალელური მნიშვნელობაა: „შეცდომას აშვებინებს, აიძულებს შეცდომა დაუშვას“, — უკანასკნელ მნიშვნელობას ამჟერად არ ვეხებით), რის საფუძველზეც აცდის ფორმის მნიშვნელობა ერთგვარად იცვალა და ამის გამო შინაარსობრივად უფრო მეტად დაშორდა იცდის და უცდის შესაბამის ფორმებს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ საარვისო, სასხვისო და სათავეისო ქცევის ფორმას შორის დასტურდება (აცდის-დროს აძლევს, ადროვებს, აცლის); ეს სხვაობა სხვა მხრივაც გამოვლინდა; კერძოდ, სასხვისო ქცევის ფორმა უცდის (განსხვავებით უზრდის, უჭრის, უთლის მოქმედებითი გვარის სასხვისო ქცევის ფორმებისაგან) ორპირიანი და ფაქტიურად იმავე ფუნქციისაა, რაც სასხვისო ქცევის ზოგი გარდაუვალი ფორმა (როგორებიცაა: უწუხს, უდულს, უთბება, უთეთრდება...), ე. ი. არ მოეპოვება პირდაპირი ობიექტი (წარმოდგენილია მხოლოდ სუბიექტი და ირიბი ობიექტი) და მიუხედავად ამისა კონსტრუქცია II სერიის ფორმებთან მანც ერგატიულია ჟცადა მან მახ. ერგატიულია კონსტრუქცია იცდის ზმნის II სერიის ფორმებ-

თანაც: იცადა მან (თუმცა ზმნა ერთპირიანია, გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობისა). ჩანს, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ამინებს-იმინებს ტიპის ფორმებისა არ იყოს, აცდის- იცდის ფორმები ერთმანეთის მიმართ ფუნქციურად „კონვერსიულ დამოკიდებულებას“ ქმნიან. სხვაგვარად: ისე შეესაბამებიან ერთმანეთს, როგორც ერთი ფუძისგან ნაწარმოები გარდამავალი და გარდაუვალ ფორმები (თუმცა სხვაობაც შეინიშნება: აცდის, სამპირიანი ზმნა, კონვერსიულად ორპირიანს უნდა შეიფარდებდეს, მაგრამ მისადაგებული იცდის ფორმა: ერთპირიანია).

ამრიგად, იცდის ზმნა იმ უძველესი უკუქცევითი ფორმების ფარდი ჩანს, რომლებშიც შემდგომ შესაძლებელი გახდა სათავისო ქცევის (რუსი. გარდამავალი უკუქცევითობის) მნიშვნელობის განვითარება. ამ ზმნას ბევრით ემსგავსება ილიმის ზმნა. გარდა მოდელისა, ილიმის ზმნა მსგავსებას აქვდავენებს იმითაც, რომ ნამყო ძირითადის ჯგუფში მისთვის დამახასიათებელია ერგატული კონსტრუქცია (ილიმის ის — გაილიმა მან). ყველაფერი ეს გვევარაუდებინებს, რომ ილიმის-ილიმება ფორმები შესაძლოა ისევე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც იჭრის-იჭრება; უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: თავდაპირველად იჭრის-იჭრება ფორმებს შორის ისეთივე ურთიერთობა უნდა ვივარაუდოთ. როგორც ახლა დასტურდება ილიმის-ილიმება ფორმებში. იჭრის ტიპის ფორმებში სათავისო ქცევის ფუნქციის მოქარება და, ამდენად, მასში გარდამავლობის ფუნქციის განმტკიცება, ხოლო შესაბამისად იჭრება ფორმაში გარდაუვალობისა და პასიურობის მნიშვნელობების გაძლიერება, რის საფუძველზეც მოხდა იჭრის-იჭრება ფორმების ფორმობრივი და შინაარსობრივი ურთიერთდაშორება, შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. ძველი ვითარება ერთგვარად II სერიაში შემოგვრჩა (სადაც მოქმედებითის სათავისო და ვნებითის ნიშანი ფორმა ერთნაირადაა წარმოდგენილი, გარდა მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებისა), მაგრამ კონსტრუქცია აქაც განსხვავებულია.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმანს, ივარცხნის, (თავი) იკლავს ტიპის ფორმებზე. ამ მხრივ საინტერესო ჩანს თავს იკლავს (თავი მოიკლა) ფორმა. როგორც ითქვა, სათაისო ქცევა (რუსი. გარდამავალი უკუქცევითი ფორმა) აღნიშნავს, რომ სუბიექტს უბრუნდება მოქმედების რეზულტატი. ზემოაღნიშნულ ფორმაში კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გარდამავალი უკუქცევითი ფორმაა, ფაქტიურად გამოხატულია ის, რაც ჩვეულებრივ გარდაუვალი უკუქცევითი ფორმებისათვისაა დამახასიათებელი: სუბიექტს უბრუნდება თვით მოქმედება (და არა მოქმედების რეზულტატი). ეს, რასაკვირველია, ამ ფორმის თავისებური სემანტიკითაა განპირობებული. საკმარისია თავი მოიკლა ფორმაში პირდაპირი დამატების ფუნქციით გამოყენებული უკუქცევითი ნაცვალსახელი (თავი) შეიცვალოს სხვა სიტყვით (რომელიც სხვა საგანს ან პიროვნებას აღნიშნავს და, ამდენად, არ წარმოადგენს სუბიექტის „გრამატიკულ პერიფრაზირებას“), რომ მოიკლა ფორმა უკვე სხვა, გარდამავალ უკუქცევით ზმნებს გაუთანაბრდება: აღნიშნავს, რომ სუბიექტს უბრუნდება მოქმედების რეზულტატი (და არა თვით მოქმედება).

რაც შეეხება იმანს, ივარცხნის ტიპის ფორმებს, ფაქტიურად აქაც ის აღნიშნება, რომ სუბიექტს თავისივე მოქმედება უბრუნდება; მიუხედავად იმისა, რომ ყველა ესენი გარდამავალი ფორმებია; საქმე ისაა, რომ ამ ზმნებთან დაკავშირებული პირდაპირი ობიექტი არსებობდა ან თვით სუბიექტის „გრამა-

ტიველ პერიფრაზირებას — წარმოადგენს, ან სუბიექტისავე რაღაც ნაწილს აღნიშნავს: მან დაიბანა ხელი|ტანი|თავი; ასევე: დაივარცხნა თმა და ა. შ. როგორც კსედავთ, ეს ფორმები ფუნქციურად ძალზე ბლოს დგანან გარდაუვალ უუქვევით ფორმებთან. მოქმედების შედეგის (რეზულტატის) უუქვევის გაგება უფრო წარმოიქმნილა იცვამს ფორმაში. ამ ზმნისთან დაკავშირებული პირდაპირი ობიექტი აღარაა — გრამატიკულად პერიფრაზირებული“ სუბიექტი (ან სუბიექტის ნაწილი), თუმცა მოქმედება, მართალია — გავშალებულად“. მაგრამ მაინც სუბიექტზე გადაღის (ან მის ნაწილზე: იცვამს ტანზე, იხურავს თავზე). ამრიგად, იბანს, ივარცხნის ტიპის ფორმებში სწორედ უუქვევითობაა წარმოჩენილი და არა სათავისო ქცევის ფუნქცია. და მართლაც: იბანს-პანს სულ სხვაგვარ მიმართებაშია ერთმანეთის მიმართ, ვიდრე, მაგალითად. იყეთებს-აკეთებს ფორმები.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულში ისტორიულად უუქვევითობის კატეგორია დასტურდებოდა. თავდაპირველი, კონტექსტის მიხედვით გარჩეული, გარდამავალი და გარდაუვალი უუქვევითი ფორმებისაგან წარმოიშვნენ მოქმედებითა გვარის სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის ფორმებისაკუთრივ უუქვევითობის დაჩრდილვის გამო. მისი ფორმანტი (ი- პრეფიქსი) გამოიყენება როგორც მოქმედებითი გვარის (სათავისო ქცევის). ასევე ვნებითი გვარის (ინიანი ვნებითის) ნიშნებად. უუქვევითი ფორმის ვნებითის ფუნქციით გამოყენება არც ზოგი სხვა კავასიური ენისათვისაა უცხო.²⁰⁰ უუქვევითობა წარმოშობით სიტყვათწარმოებითი კატეგორიაა, რაც რიგ ფორმაში დღესაც აშკარაა წარმოჩენილი. ქართულში ეს მოვლენა პირველ რიგში დასტურდება ნასახელარი ზმნეზის მაგალითზე: ა) იბულღბს, ივრილღბს, იადვლღბს, იკრ-მღბს... ბ) იყეთება, იბოლღება, იბარტუება... ამ პრეფიქსის სიტყვათწარმოებითი ფუნქცია ჩანს იმ ფორმებშიც. სადაც ერთი ჯგუფისგან ნაწარმოები ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება, როგორც ორი დამოუკიდებელი ზმნა: ა-გებს — ი-გებს... გარდა ამისა, ქართულში არის ზმნები, რომლებიც მხოლოდ სათავისო ქცევის ფორმით არიან წარმოდგენილი: შუნახა, აიღო, დაიჭირა, წაიყვანა... ასევე დასტურდება ინიანი ვნებითის ფორმები, რომელთაც საპირისპირო ინიანი ფორმა არ მოეპოვებათ: იკბინება, ივინება, ირწმუნება, იცქირება, იცოხნება...

როდესაც უუქვევითობის ი- პრეფიქსზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივად ისმის კითხვა: რა კავშირშია იგი სასხვისო ქცევის ფუნქციის გადმომცემ ი- პრეფიქსთან, რომელიც ობიექტური წყობის I და II პირში გამოჩნდება (მ-ი-ზის, გ-ი-ზის; მ-ი-ვის; მ-ი-ღიმის; გ-ი-ღიმის; მ-ი-ხატა, გ-ი-ხატა და მისთან): მას რომ მართლაც სასხვისო ქცევას ფუნქცია ავისრთა, ეს III პირის ფორმასთან შედარებითაც კარგად ჩანს (ქ-ხატია, ვხატა, უხატია). სათავისო ქცევის სამივე პირის, ბოლო სასხვისო ქცევის ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებში გამოვლენილი ი- პრეფიქსი, ჩანს, ერთია წარმომავლობით და მაშინ ორივე შემთხვევაში თავდაპირველად უუქვევითობის ნიშანი ყოფილა. მაშ, რატომ მოქალა იგი სასხვისო ქცევის ფორმათა სისტემაში? ჩანს, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ობიექტური წყობის I და II-პირი რეალურ მოქმედად არის გაგებული და, ამდენად, გრამატიკულ

²⁰⁰ ასე მაგალითად. აფხაზურში უუქვევითი (სათავისო ქცევის) გარდამავალი ზმნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ენების ვნებითი ფორმების ფარგლებში. იხ. Грамматика афхазского языка, Сухучиш, 1968.

სუბიექტთან გათანაბრებულ. ეს ყველაზე უკეთ ინვერსიულ ფორმებში გამო-
 წნდება (მიყვარს, გიყვარს; ვარადავალა ზმნების I თურქობითში: ვამიყვითე-
 ზია, გაგიყვითეზა...); ეს ფორმებიც, ისევე როგორც შესაბამისი სუბიექტური
 წყობის გარდაწვალა ფორმებ, გულსსმობენ I და II პირის აქტიურ დაპო-
 კიდებულლებას ვარე სამყაროსადმი; ეს არის I და II პირი, აქტიური, მოქმე-
 დი.²⁹¹ თუ ავიღებთ მიზის, გიზის, მიწევს, გიწევს; მიხატია, გიხატია; მითამა-
 შვებს, გითამაშვებს („თვალა გითამაშვებს“); მიტირის, გიტირის („გული გიტი-
 რის“); მიცინის, გიცინის (სახე გიცინის) ფორმებს, აღმოჩნდება, რომ I და II
 პირი ფაქტიურად აქაც აქტიურ პირებად წარმოიდგინება და მაშინ ფუნქციუ-
 რად ისინი შოლს არ არიან ვიღიში, იღიში; ვიცინი, იცინი; ვიყვარებ, იყვარებ;
 ტიპის ფორმებზეაგან. თუ ასეა, ბუნებრივია, რომ მიყვარს, ვიყვარს; მიცინის,
 გიცინის („სახე ვიცინის“) ტიპის ფორმებშიც მოქმედება გაგებულყოფო როგორც
 უკუქცევითი, როგორც რეალურად მოქმედი აქტიური პირის მიერ თავისი ინ-
 ტერესებისათვი. ჩადენილი, თუ ამ პირზე მიბრუნებულა, უკუქცეული მაშინ
 მათი სასხვისო ქცევის ფუნქციით გამოყენება მეორეული მოვლენა უნდა იყოს,
 ხოლო III პირის სასხვისო ქცევის ფორმებთან გათანაბრებას უნდა გამოეწვიო
 მათში უკუქცევითობის მნიშვნელობის მიჩქმალვა; ამან საღუქველი მისცა ამ
 ფორმანტის ისე ფორმებში გამოყენებას, სადაც უკუქცევითობის გაგება ამ-
 უამად საერთოდ შეუძლებელია (შეკეთებს, გიკეთებს და მისთნ.). მიზნი ასეთი
 ცვლილებისა, ჩინს, ისევე კონტექსტში უნდა ვეძიოთ და მართლაც, კონტექს-
 ტში: „შენ სახე ვიცინის“ რეალურ მოქმედად (უკეთ: მოქმედების აქტიურ გა-
 ნმცდელად) მეორე (გარდატეხულად ზმნაში ობიექტად გაფორმებულა) პირი გა-
 მოდის და, ამდენად, მოქმედება გარკვეულად უკუქცევითობის მნიშვნელობას
 ღებულობს, მაგამ იმავე შემთხვო ფორმით წარმოდგენილ კონსტრუქციაში:
 „შენ ვიღაც ვიცინის“, უკეთ შეუძლებელია II პირი რეალურ მოქმედად ან
 თუნდაც აქტიურ განმცდელად მიიჩნიოთ, იგი აღარაა წინა პლანზე წამოწეუ-
 ლი, დაიბრდილ და ეს მოქმედება ფაქტიურად გარეშე, მესამე პირის მოქმედე-
 ბაა, რომელიც II პირის მიემართება და, ამდენად, „სასხვისო“ მოქმედებაა გრა-
 მათიკულ სუბიექტად გაფორმებულა მესამე პირისათვის.

VIII. ვნებით გვარის ზნათა უღვლილების ზოგი საკითხი

ვნებით ვნების ფორმებს უღვლილების თავისი სისტემა მოეპოვება, რო-
 მელიც არსებითი განსხვავდება მოქმედებითი გვარის ზმნების უღვლილები-
 საგან. ვნებითის უღვლილების სისტემა ძირითადად დასრულებულა: უმრავლეს
 ლეს შემთხვევაში ვნებითის ფორმას ყოველ მწკრივში საკუთარი, მოქმედები-
 საგან განსხვავებულა, ფორმა აქვს.

პირველი სერიის მწკრივებში ყველა სახის ვნებითი (პრეფიქსიანი, სუფიქსი-
 სიანი, სუფიქსიანი და „უნიშნო“) ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს, უღვლი-
 ლების სისტემა ნეუტრად გამიჯნული და ჩამოყალიბებულია.

განსხვავება წვინიშნება II და III სერიაში:

ა) II სერიაში განსხვავდება პრეფიქსიანი (ერთი მხრივ) და სუფიქსიანი
 და „უნიშნო“ (მეორე მხრივ) ვნებთების უღვლილება. სუფიქსიანი და „უნიშნო“
 ვნებითებს საკუთარი წარმოება აქვს, არ ემთხვევიან შესაბამის მოქმედებითებს:

²⁹¹ არნ. ნიქობავა, ნარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, 1968, გვ. 135.

1. ვა-ა-თბ-ო — გა-ა-ა — 2. გა-ა-თეთრ-ა — გა-თეთრ-ღ-ა
 ვა-ა-თბ-ოს — გა-ა-ბ-ეს გა-ა-თეთრ-ოს — გათეთრ-ღ-ე-ს

იპოვებს ვნებად, ვნებითებს მწკრივის მანარმოებლებიც საკუთარი აქვს და მოვლენიანაც მკარად განსხვავდებიან შესაბამის მოქმედებებთან (I და II სერიაში მოქმედებითი გვარის წყვეტილში იქნება სუფიქსი ვა- ვავა-ე-ა, ვა-ა-ბ-ე-ა ვნებითი — ი: ვავთბ-ი, ვა-ბ-ი-ი...), ახალ ქართულში „უნი-შნო“ და სუფიქსიანი ვნებითების უღვლილება II სერიაში ერთმანეთს ემთხვე-ვა, მაგრამ ძველ ქართულში მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავება დას-ტურად აღემატება წყვეტილის I და II პირის ფორმებში „უნიშნო“ ვნებითის სრუ-ლი ფუნქციონირება: გან-ს-ტ-ე-ფ, გან-ს-ტ-ე-ფ... თანამედროვე გავლბი, გათბი ფორმები წარმოშობით II ხოლმეობითია (გან-ს-ტ-ე-ფი, გან-ტ-ე-ფი). ვარდა ამისა: ცნობილია, რომ ძველ ქართულში სუფიქსიანი ვნებითს -ნ(-ენ) სუფიქსიც აწარ-მოებდა: ნა-ს-ე-ო-ბ-ი-თა-დ-ის I და II პირში ასეთი ფორმები გვექნებოდა: გან-ვ-ნ-ა-ბ-ე-ფ-ენ, გან-ქ-ა-ბ-ე-ფ-ენ (აბლა: გავ-ა-ბ-ე-ფ-ი, გა-ქ-ა-ბ-ე-ფ-ი...); მრავლობითში: გან-ვ-ნ-ა-ბ-ე-ფ-ენ-ი-თ, გან-ქ-ა-ბ-ე-ფ-ენ-ი-თ (გავ-ა-ბ-ე-ფ-ი-თ, გა-ქ-ა-ბ-ე-ფ-ი-თ). ახალ ქართუ-ლში „უნიშნო“ და სუფიქსიანი ვნებითის უღვლილება II სერიაში უნიფიცირდა.

შედეგებულ ვითარებას გვიჩვენებენ პრედიქსიანი ვნებითები. თუკი „უნიშნო“ და სუფიქსიანი ვნებითები II სერიაში საკუთარ უივლილებას გვი-ჩვენებენ, პრედიქსიანი ვნებობები ამ მხრივ ძირითადად მოქმედებითი გვარის უღვლილებას ფლობენ იზოორებენ; განსაკუთრებით წარმოიჩინილია ეს მოვლე-ნა მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის უღვლილების შედარებისას:

ნა-ს-ე-ო-ბ-ი-თა-დ-ის	და-ვ-ბ-ატ-ე-(თ)	
	და-ვ-ი-ბ-ატ-ე-(თ)	და-ვ-ი-ბ-ატ-ე-(თ)
	და-ვ-უ-ს-ატ-ე-(თ)	და-ვ-ე-ს-ატ-ე-(თ)
II კავშირებითა	და-ვ-ბ-ატ-ო-(თ)	
	და-ვ-ი-ს-ატ-ო-(თ)	და-ვ-ი-ს-ატ-ო-(თ)
	და-ვ-უ-ს-ატ-ო-(თ)	და-ვ-ე-ს-ატ-ო-(თ)

მაგრამ, მწკრივის მანარმოებლები მოქმედებითსაც და პრედიქსიან ვნებითსაც ერთი და იგივე აქვს, ხოლო სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის ფორმა აქვს ერთმანეთს. ანალოგიური ვითარება ძველ ქართულ-შიც შეინიშნება.

ბ) III სერიაში ერთმანეთს უპირისპირდება აბსოლუტური და რელატიუ-რი ვნებობების უღვლილება. რელატიურ ვნებითებს საკუთარი წარმოება მოე-პოვება: აბსოლუტური ვნებობები კი უღვლილების პარადიგმებში მიმდებარე ფუძეებს იკავებენ.

1. აბსოლუტურა (ერთპირიანი ვნებითები):

I თვრეობითი:	და-ბ-ატ-უ-ლ-ა დაწერილა	გა-მ-თბ-არ-ა გამშრალა	გა-თეთრ-ბ-უ-ლ-ა გაეთებულა
II თვრეობითი:	და-ბ-ატ-უ-ლი-ყ-ო დაწერილიყო	გამშრალიყო გამთბარიყო	გაეთებულიყო გათეთრებულიყო
III კავშირებითი:	და-ბ-ატ-უ-ლი-ყ-ოს დაწერილიყოს	გამთბარიყოს გამშრალიყოს	გაეთებულიყოს გათეთრებულიყოს

I თურმე-ობითი:	ლა-ჰ-ხატე-ია დასწერია	გა-ს-თობ-ია გაშრობია	ვა-ს-თეთრებ-ია გაქეთებია
II თურმე-ობითი:	დაჰხატეოდა (დასწერეოდა) დასწეროდა (დასწერიოდა)	გასთობოდა (გასთობიოდა) გაშრობოდა (გაშრობიოდა)	გასთეთრებოდა (გასთეთრებიოდა) გაქეთებოდა (გაქეთებიოდა)
III კავშირ-ბითი:	დაჰხატეოდეს დასწეროდეს	გასთობოდეს გაშრობოდეს	გასთეთრებოდეს გაქეთებოდეს

უღვლილების ამ სისტემას მძყეება უმრავლესი ვნებითი გვარის ზმნა-მაგრამ დასტურდება გამონაკლისებიც, რომელთა გაუვალისწინებაც აუცილებელი ჩანს.

გვაქვს ნამყო ძირითადის ფორმა შე-იყურთხა, მის პარალელურად დასტურდება შე-უყურთხა ზმნა: *შე-ეყურთხა ნამყო ძირითადის მნიშვნელობით არ დასტურდება. ამდენად, შეიყურთხა მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმაა (ახალ ქართულში მისი მნიშვნელობაა: შეაგინა, გალანძლა), მაგრამ ამ მნიშვნელობით აწმყოში შესაბამის მოქმედებითი გვარის ფორმა არ დასტურდება: მას დეპონენსური ვნებითი ფურთხება ეფარდება. ძველი მნიშვნელობით ახლა ნამყო ძირითადში მხოლოდ აყურთხა ზმნა გამოიყენება, მისი აწმყოა აყურთხებს. ასე რომ, ახალ ქართულში იყურთხება დეპონენსური ვნებითი II და III სერიაში ფაქტურად მოქმედებითი გვარის ზმნების უღვლილებას იმეორებს: აწმყო — იყურთხება, უწყვეტელი — იყურთხებოდა, აწმყოს კავშირებითი იყურთხებოდეს; მყოფად — შეიყურთხება... ნამყო ძირითადი — შეიყურთხა, II კავშირებითი — შეიყურთხოს; I თურმეობითი — შეუყურთხებია, II თურმეობითი — შეეყურთხა (შეეყურთხებინა), III კავშირებითი — შეეყურთხოს (შეეყურთხებინოს). პრეფიქსიანი ვნებითებისათვის ეს საერთოდ ჩანს უ-მასასიათებელი. მაგრამ ამ შემთხვევაში II სერიაში კონსტრუქციაც, ერგატიული ზდება: შეიყურთხა მნ. თუკი იშვიათ შემთხვევაში იყურთხება ზმნას ძველი (ე. ი. არადეპონენსური) მნიშვნელობით გამოიყენებენ, მაშინ იგი უკვე ვნებითის უღვლილების სისტემას მიჰყვება: აწმყო — იყურთხება (იყურთხვის), უწყვეტელი — იყურთხებოდა, აწმყოს კავშირებითი — იყურთხებოდეს... ნამყო ძირითადი — იყურთხა, II კავშირებითი — იყურთხოს (იყურთხოს შენი მარჯვენა; კონსტრუქცია ნომინაქურია); I თურმეობითი — იყურთხელა, II თურმეობითი — იყურთხელეო, III კავშირებითი — იყურთხელეო... მაშასადამე, ზმნის ფუნქციამ გარკვეული გავლენა მოახდინა უღვლილების სისტემაზეც. მიუხედავად იმისა, რომ აწმყოში ზმნის მოღველი (ფორმა) ორივე შემთხვევაში ვნებითი გვარისაა. სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის საერთო წარმომავლობისათვის საინტერესო ფაქტს ეს მავალითიც იძლევა: ი-ყურთხება --- შე-ი-ყურთხა, თუმცა ერთმანეთის მიმართ პარადიგმული ფორმების მნიშვნელობით იხმარება, ფაქტურად პირველ შემთხვევაში ი- პრეფიქსი ვნებითის ფორმას დაერთვის, მეორე შემთხვევაში -- სათავისო ქცევის ფორმას და ორივე შემთხვევაში ერთი -- უაქციეითი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ამავე რიგის ჩანს იღრინება — ნამყო ძირითადი: დაიღრინა მან, მაგრამ შერა: იწერება (დებონენს.) -- ნამყო ძირითადი: მოიწერა ის მას; ახლა ვრცელდება: მოიწერა მან.

რასაკვირველია, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ვნებითი გვარის ფორმათა უღვლელების სისტემის ჩამოყალიბება ორი მხრით წარიმართა, აქედან ერთი — საკუთარი, ხოლო მეორე — მოქმედებითი გვარის ფორმების ანალოგიური. არას ვნებითი გვარის აღნიშნულ ფორმათა ერთ ნაწილს ან მოუპოვებოდა ან ასევე მოუპოვება საკუთარი სისტემა: აქ მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ აღნიშნული დებონენსური ფორმებზე ამჟამად ფაქტიურად მწკრივნიაკლი არიან და ან ნაკლები მწკრივების შესავსებად იყენებენ მოქმედებითი გვარის უკვე არსებულ ფორმებს და ახალ სისტემაში აქცევენ მათ. ეს პროცესი ზოგჯერ ძალზე ნარს მიდის. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, რომ ღრმით ვნებითი გვარის ზმნას აქვს პოტენცია მოქმედის მოქმედის ფორმისთან ერთად ერთ პარადიგმულ რიგში, რადგანაც ეს ვნებითები ფუნქციით ფაქტიურად აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ. აღსანიშნავია, რომ დებონენსები — ფორმით ვნებითები — მართალია, გამოხატავენ აქტიურ მოქმედებას. მაგრამ ეს აქტიური მოქმედება „სრულყოფილად“ (თუ შეიძლება ასეთიქვას) მაინც არის წარმოსახული, რადგან რიგ შემთხვევაში ეს „აქტიური“ მოქმედება გულისხმობს პირდაპირ ობიექტს, ანუ: აქტიური კი არის, მაგრამ გარდასრული არაა და ამდენად. ტრადიციული თვალსაზრისით მოქმედებითი გვარისა და იღრინება. და მართლაც იწერება, იმუქრება, იღრინება... ტიპის ზმნები ფორმის მიხედვით გამოირიყვლია ითავებდნენ პირდაპირ (რეალურ) ობიექტს და უმეტესად ამ ტიპის ზმნათა მიმართ ეს მართლაც ასეა. მაგრამ აქ მიინცისე ძლიერი ჩანს აქტიურობის ფუნქციის გამოხატვის ტენდენცია, რომ ამ ზმნებიან კონსტრუქციასში კი ჩნდება ზოგჯერ ფორმა. რომელიც ფუნქციით რეალურ დამატებას უნდა უტოლდებოდეს: იწერება ის მას (რას იწერება?), იმუქრება ის მას (რას იმუქრება?), ასევე: რას იღანძვება? რას ილოცები? და ა. შ. ეს იმავე ტიპის დამატება ჩანს, როგორც „პირდება“ ზმნასთან დაკავშირებით არის აღნიშნული სრულყოფილ ლიტერატურაში. ე. ი. ფუნქციის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ეს ზმნები „ედილობენ“ კონსტრუქციითაც გაუტოლდნენ მოქმედებითი გვარის ზმნებს. ჩანს, ყოველივე ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ვნებითი გვარის ფორმებს ნაკლები პარადიგმების მაგივრობა დასაშვებია გაუწიონ მოქმედებითი გვარის ფორმებმა.

ფუნქციონირება აქვს აქვს ვნებითი გვარის ფორმა: ნამყო ძირითადში ასევე ფუნქციონირება აქვს აქვს ზმნის პარადიგმულ ფორმას იყენებს (მისცა). ასევე ფუნქციონირება და შესაბამის მოქმედებითს იყენებს იღმება ზმნა (იღმება-გაიღმება-გაიღმა); მაგრამ შესაბამის ე-პრეფიქსიან ვნებითს — ეღმება უკვე საკუთარი ფორმები მოუპოვება (გაეღმება-გაეღმა). ეს ზმნა, სხვა ე-პრეფიქსიანებისგან განსხვავებით, ერთპირიანია (ასეთი იშვიათი ფორმების შესახებ იხ. ზემოთ) და გარდა ამისა, ინვერსიული (გაეღმა მას). მწკრივნიაკლი ჩანს ვნებითის მთლიან მქონე იტყობინება, იცნობა ფორმებიც.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ფუნქციას ზოგიერთი ფორმის უღვლელების დროს, ამის კარგ მაგალითს იძლევიან ის ზმნები, რომლებიც პარალელურად გამოიყენებენ როგორც „წმინდა ვნებითის“, ასევე დებონენსების. პოტენციალის და სხვა ფუნქციით. ასე მაგალითად, იმუქრება ზმნას შეიძლება კონდენს

ორი ფუნქცია: გამოხატავდეს როგორც პოტენციალის (შესაძლებლობას), ასევე წმინდა პასუხის მნიშვნელობას: 1. ეს არ ემბემა (პოტენციალის); 2. ქოი-წილში გვერდ ემბემა (პასივი). პირველი ფუნქციის დროს ეს უნდა მწკრივენაკლია, ეხვევა მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში, რადგან სხვა მწკრივებში (შეიქმება. შეიქმება, უკმეზღა) მას აღარა აქვს აღნიშნული მნიშვნელობა, მაგარამ მეორე შემთხვევაში (პასივის ფუნქციის გადმოცემის დროს) იგი იუდელის როგორც ვსებითი გვარის ჩვეულებრივი ზმნა და ყველა მწკრივის ფორმაც მოეპოვება. თავისებურია ემბემა ზმნის რელატიური ფორმაც: ემბემა; ეს ზმნაც ორი მნიშვნელობით გამოიყენება ძირითადად: 1. გამოხატავს შესაძლებლობას რობექტზე მითითებით: „მას ეს არ ემბემა“ და 2. გამოხატავს უნებლიე მოქმედებას (მაგარამ ეს დროს ზმნისწინის გარეშე არ გამოიყენება): შემოგმება; უღვლილებაზე სხვც მკვეთრ გავლენას ახდენს: პირველ შემთხვევაში ზმნა მწკრივენაკლია. მოგაგება სხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები, მეორე შემთხვევაში მიპყვება ენათი გვარის უღვლილებას (თუმცა III სერიის ფორმები ძალზე იშვიათად მოგვხვება) ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს ენათის ზოგის სხვა ფორმაც.

რამდენიმე დღეცა უნდა ითქვას ელის ზმნის შესახებაც: თავისი ფუნქციით ეს ზმნა სტრუქტურა, მაგარამ ფორმით ენებითია. საერთოდ, ქართულში ცნობილია შემთხვევები, როცა მ-ზე დაბოლოებული ენებითი გვარის ზმნები იკვლიან დაბოლოებას და -ვს თქმის ნიშანს დაირთავენ: ესმ-იქს — ესმ-ემა-ა, ესმ-იქს-ი-ს — ესმ-იქს-ემა-ა და სხვათ. ელის ფორმაც გაუჩნდა პარალელური ფორმაც: ელოდება. მაგარამ აქ უკვე უფრო რთულ პროცესთან გვაქვს საქმე. ელის ზმნას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მიეპოვება (იგი ამითაც ემსგავსება სტრუქტურა წმინდა): ელის, ელოდა, ელოდეს... ე-ლ-ოდ-ა — უწყვეტელია და ამ ფუნქციით უნდა გამოიყენება თანამედროვე ქართულში, მაგარამ იმავე დროს იგი უნდა იყოს ენათის უღვლილება (საერთოდ ამ ზმნაზე დუბელ იქნა ვაგებულები, დავრობებ — ებ თემის ნიშანი: ე-ლ-ოდ-ემა-ა (ე-ლ-ოდ-ემა-ი-ს) და გამოიყენებულ იქნა აწმყოს მნიშვნელობით, ე. ი. ფუნქციით ელის ზმნის პარალელური ფორმა გაუჩნდა წარმოშობით უწყვეტლის ფორმის აწმყოს ფუნქციით გამოიყენების მაგალითი ქართულში სხვადა გვაქვს: მ-ი-ნ-და (შდრ.: მ-ი-ნ-ა), გ-ი-ნ-და (გ-ი-ნ-ა), უ-ნ-და (უ-ნ-ა)²⁹² თავის მხრივ ელოდება (ელოდების) ფორმას უკვე ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვება (მიპყვება ენებითი გვარის უღვლილების სტრუქტურას). ამ ზმნაში საწყისიც უწყვეტლის ფუნქცია ეყრდნობა: ელოდ-ინ-ი (ინ ნიშნით -ილ, ისჯან მიღებულად²⁹³). შემდეგ საწყისის ფორმაც ვაგებულ იქნა დუბელ და მისჯან მოქმედებითი გვარის ზმნები სწორედ ასე ნაწარმოები: ა-ლოდ-ინ-ემა-ს. აღნიშნული მოქმედებითი გვარის სასხვისო ქცევის ფორმა ზოგჯერ ელის ელოდება ზმნების მნიშვნელობითაც გამოიყენება: დავულოდინებ-დაველოდები.

რიგი თავისებურება უღვლილების დროს ახასიათებთ ჰპირდება, რჩება, სწყდება ფორმებაც.

პირველი მაგარი (პირდება) ფორმით აბსოლუტური (ერთპირიანი) ენებითია, მიუხედავად ამისა, მას ფაქტურად სამი პირის ვაგება უკავშირდება, რო-

²⁹² ა. შანიძე. ქართული ვრამატურის საფუძვლები, I, გვ. 538—539 (§ 555)

²⁹³ იქვე, გვ. 586.

მელთაჲს აორიეე ობიექტი ირიბია წარმოშობით (ერთი პირისა, მეორე — ნი-
ვთისა). მაგრამ მეორე ობიექტი (ნივთისა) ამჟამად პირდაპირად არის გაგებუ-
ლი.²⁹⁴ ასეთმა გაგებამ გამოიწვია ის, რომ ზმნის ეს ფორმა უღვლილებიასა-
რელატორი (ორპირიანი) ენებითის ფორმებს მიჰყვება: ჰპირდება, ჰპირდება-
და, ჰპირდება; დაჰპირება (და არა: *დაჰპირებულა), დაჰპირებოდა (და

*დაპირესლიყო), დაჰპირებოდეს (და არა: *დაპირებულიყო).²⁹⁵

რჩება ზმნა ორპლანოვანია (იგულისხმება ძირითადი მნიშვნელობები,
შინაარსობრივ ნიუანსებს ამჟამად გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება):
1. დატოვების, დარჩენის მნიშვნელობა: „რამდენიმე საათი რჩება“; 2. მნიშვნე-
ლობა: „რალაც ავიწყდება, ან: ვილაც უკან ჩამოიტოვებს“: „ვეყვანას თვალი-
ზედ რჩება“; „ახოლდგ ალაბით ჩამორჩა“. ამ განსხვავებული მნიშვნელობებისა-
თვის III სერიის განსხვავებული ფორმები გვექნება: 1. მიჰყვება ერთპირიან-
ენებითის უღვლილებას: დარჩენილა, დარჩენილიყო, დარჩენილიყოს; 2. იყე-
ნება ორპირიანი ენებითის ფორმებს: და-(ჩამო-)-რჩენია, და-(ჩამო-)-რჩენილა,
და-(ჩამო-)-რჩენილდეს; პარალელური ფორმები (აღმოსავლეთ საქართველოს
დიალექტებში): დარჩენიყო, დარჩენიყოს. პირველი („დატოვების“) მნიშვნე-
ლობით გამოყენებულ რჩება ზმნის მხოლოდ რელატორ (ორპირიანი) ფორმებს
აქვს III სერიის მწკრივების ამგვარი წარმოება: ურჩება („ბიჭო, ვისი ხარ მალ-
ხანა. დ: ურჩა ღელაშენსაო“), დარჩენია, დარჩენილა, დარჩენილდეს.

ან უღვლურ ვითარებას გვიჩვენებს (ს)წყდება ზმნაც:

1. დატოვების (ორის კავშირი წყდება — ზმნა ერთპირიანია;

2. დატოვების წვეთები ხშირი წყდებოდნენ, როგორც მწყდება-
გული“ (ტაბიძე) — მეორე ზმნა ორპირიანია.

პირველს ნამყო ძირითადი იქნება: შეწყდა, გაწყდა; მეორესი — მოსწყდა,
დასწყდა. ასე რომ, „წვიმა შეწყდა“ — ზმნა ერთპირიანია. „ცას წვიმის წვეთე-
ბი მოსწყდა“ — ზმნა ორპირიანია (ამ შემთხვევაში ზმნისწინს, გარდა სრული-
ასპექტის წარმოებისა, სიტყვათწარმოებითი ფუნქციაც აკისრია). შესაბამისად,
პირველი მნიშვნელობისათვის III სერიის ფორმები ასე იწარმოება: შემწყდა-
რა, შემწყდარიყო, შემწყდარიყოს; მეორე მნიშვნელობისათვის: მოსწყდომია||
დასწყდომია, მოსწყდომილა||დასწყდომილა, მოსწყდომილდეს||დასწყდომილდეს...

ამოკლდ. რჩება, (ს)წყდება ზმნები კონტექსტის მიხედვით (სხვა მწკრივებში
ეს ზმნისწინებითაც განირჩევა) შეიძლება იღებდნენ როგორც ერთპირიანი, ასე-
ვე ორპირიანი ფორმის გაგებას. ეს ფუნქციური სხვაობა გაუღენას ახდენს მთ-
უღვლილებაზეც.

ამის საფუძველზე რაიმე შორსმდევალი დასკვნის გამოტანა ნაადრევო-
ჩანს. შესაძლებელია, ეს ფორმები მართლაც უძველესი, საერთოდ დამახასია-
თებელი მოვლენის ანარქულს წარმოადგენენ, მაგრამ არც ისაა გამორიცხუ-
ლი, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ გამონაკლისებთან გვაქვს საქმე და მაშინ-
უღვლილების ჩამოყალიბების საერთო პროცესის შესასწავლად მათ შედარე-
ბით ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭება...

²⁹⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 309.

²⁹⁵ ეს მაგალითი საინტერესოა იმიტომ, რომ ე- და უ- პრეფიქსით თავდაპირველი ბუნების
გარკვევაში: გეხმარება: შდრ.: უ-წუხს — შესწუხება, ე-წარება — დასწერია, პ-პირდება —
შეპირება...

სავანგეოდ აღინშნება, რომ „ძველი ქართული ენის მოვლენები და მათი ვუნქცია შეიქმნება დიალექტთა მონაცემებით აიხსნას“²⁰⁶; ძველი ქართული სა-
 უის დამახასიათებელი ფორმები თითქმის ყველა კილოვაში შემოვერჩა მეტ-
 ნაკლებად. ამ მხრივ დიალექტებს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნე-
 ლობა ენიჭება. ბევრი მოვლენა, რომელიც დღეს დიალექტურადაა მიჩნეული,
 ძველი ქართულის კუთვნილებაა და გარკვეულ შემთხვევაში ისტორიულად
 ლიტერატურულ ნორმას წარმოადგენდა. რასაკვირველია, გამორიცხული არ
 არის (პირიქით: ასეც იყო) დიალექტების გავლენა ძველ ქართულ სალიტერა-
 ტურო ენაზე. ასე რომ, ბევრ შემთხვევაში შეიძლება აღდგენილ იქნას ასეთი
 ენა: ძველი ქართული ენა დიალექტებიდან შეიძინა გარკვეული ფორმა და
 ეს ფორმა დიალექტურად აღსებობდა ლიტერატურულ ენასა და დიალექტში
 შემდეგ ძველი სალიტერატურო ენამ ეს ფორმა დაკარგა, დიალექტს კი შემო-
 რჩა. მიზეზი არის, რომ სალიტერატურო ენა უფრო მეტად იხვეწება, ვიდ-
 რე დიალექტ.

ცნობილია, რომ ვნებით გვარის ზოგიერთი ფორმა ძველ ქართულში გან-
 სხვავებულად წარმოებოდა. მაგალითად, აწმყოში მხოლოდითი რიცხვის III
 სუბიექტური გვარის ფორმას ჰქონდა -ი-ს დაბოლოება:

ძველი:	ფეგბ-ი-ს	ახალი:	დგება-ა
	იწერებ-ი-ს		იწერება-ა
	ელეუ-ი-ს		ელევა-ა
	მდიდრდებ-ი-ს		მდიდრდება-ა

გარდა ამისა: პრეფიქსიან ვნებითს მეორე სერიის მრავლობით რიცხვში
 ჰქონდა -ენ სუბიექტი: და-ვი-ი ე-მალ-ენ-ი-თ და ა. შ.

ყველაფერი ეს ძველი ქართული ენის ნორმას წარმოადგენდა:

1. არა დაჰმავიდრების; განგრილდების, შთავარდების, შიმშილითა უფ-
 როას სოლო ნაკუდების; სხუა რჩული ვერ ესწორების; გამოითარგმანების;
 ესერა თაერ წამეკუთვების; აწ ეამსა ამას აღესრულების ჩუენ შორის; საუ-
 კუნოდმცა იტუნების არსენი... სწირია ეს ფორმები „ვეფხისტყაოსანშიც“; მის-
 გან კიდე ნუ ჰდღეს მოცვლების; მას ცრემლი ემალმაღების; ცრემლითა ნუ
 ითოვების; ნ... ათა არ ელხინების; აწ ია შეიკონების; თვალით არ დაიფასების;
 აქა ნოსლეითა გაუმდების.

2. ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით; ქრისტეანე ვიქმენით;
 ჩუენ განვიკუნენით; მაგალითები „ვეფხისტყაოსანიდან“: მოდით და მოიჭარე-
 ნით; ჩუენ კიდე დავეცილენით; ჩუენ ამად დავერიდენით და მისთნ.

ქართული ენის ზოგი დიალექტი დღესაც ძველი ქართულის ნორმას გვი-
 დასტურებს.

1. ხევისურული: 1. ერთ დასტურ დადგების წინ... (ი. გიგინეიშვილი, ვ. თო-
 ფურია, ი. ქაქუაბაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, გვ. 8); 2. შინამდე მიხ-
 ევების დიასახლისს (იქვე, გვ. 8); გადმაჯდების გალაყანს ის დიალი: იმათ და-

²⁰⁶ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამო-
 ცანები; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., ტ. III, 1963, გვ. 161-162.

რისხება მართლა ახვდებიხა (იქვე, გვ. 8); ე-ს-შიაც რაიც მახვდების საქმელ-
სასმელ, მაიპარენ; ასტყდების სოფელში ძახილი (იქვე, გვ. 9); 2. არიქათ, მაემ-
ზადენით, ნურას მავაჯდენტ ავსაო (ბესარიონ გაბუური. ქვესურული მასალე-
ნი, პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, წელიწდული, I—II, ტფილისი, 1923 —
1924, გვ. 209); „მავეშველენით“! იძახდა... (იქვე, გვ. 215).

საერთოდ, ძველი ენობრივი ფორმები უფრო უკეთ პოეზიაში არის დაცუ-
ლი, რადგან პოეზია უფრო მკაცრ ლიტერატურულ კანონებს ემორჩილება და
ენის თვალსაზრისით უფრო კონსერვატულია, ვიდრე პროზა. პოეზია უმეტესად
ზუსტად შემოგვინახავს ხოლმე იმდროინდელ ენობრივ ფაქტებს, რა დროსაც
ესა თუ ის პოეტური ნაწარმოებია შექმნილი.

II. ფშაურში უკვე იშვიათად გვხვდება ვნებითი გვირის აწმყოს III პი-
რის ფორმაში -ი-ს დაბოლოება; ამ მხრივ წარმოება ჩვეულებრივ თანამედ-
როვე სალიტერატურო ქართულისებურია, მაგრამ -ენ სუფიქსი წყვეტილის
მრავლობითი რიცხვში ჩვეულებრივია (ეს აისახა ვაჟა-ფშაველას პოეზიაშიც):
მემთინი ვიყვენით (ქართ. დიალექტ. გვ. 132); აიყარენით აქითაო (იქვე, გვ.
141) შევიყარენით სწორები (პ. უმიკაშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 54), მაგ-
რამ იქვე: ვიყავით (და არა: ვიყვენით) ღვინის სმაზედა... ეს ფორმები დადას-
ტურებულია ამირანის თქმულების ფშაურ ვერსიაშიც:

ბადრი, უსუბ და ამირან ობლები მოვიყარენით,
ღველფ არ გვინახავ, კერაი, საჩალეს მოვიზარდენით,
ვინაც კარგ გვიყუვა ობოლთა, მუშაში დავეტანენით,
ვინაც ავ გვიყუვა ობოლთა, იმას შინ შევეტანენით,
სამნი ჩვენ, სამას დევები ჩაბალხეთს შევიყარენით,
ომისა ვერა გავიკეთ, ფარის ქვეშ მოვიმალენით... (ხალხური სიბრძნე; ტ.
III, თბ., 1964, გვ. 10).

III. ივრისხეური (თიანური) ფშაური: კარგა იყვენით (ქართ. დიალექტო-
ლოგია, გვ. 148);

ივრისხეური (თიანური) ხევსურული: ქმარ რო მაუყვდების („ქართული“
დიალექტოლოგია, გვ. 151); რო იტირას, ქოოდ სასაილო დარჩების; სანამ
მკვდარ არ დამარხების... (იქვე, გვ. 151).

IV. მოხეური: 1. ბეერი საქმე კეთდების (ქართული დიალექტოლოგია, გვ.
35); სუყელი გამაჩნდების-მეთქი (იქვე, გვ. 36); კაცის ფასი არ შაფახდების,
მაგრამ ფასი კი მინც უნდების (იქვე, გვ. 37). 2. მეორეს დღესა, ოგორცეე შა-
მბინდდა, ავიყარენით... (იქვე, გვ. 37);... ვიყვენით ბროლობ ყუროს მთის
ზაითა (იქვე, გვ. 49).

V. ფერებდნული: ქელი დაბრუნდების (ქართული დიალექტოლოგია, გვ.
254); ქერიმ-ხანის გაფი მინდა გაამბო და გაგრძელდების (იქვე, გვ. 257); აბა,
როსლაგამოჩნდებისო... (იქვე, გვ. 265); ხალი წყდების... (იქვე, გვ. 265); რაც
რო შენ გულს უნდაო, გაკეთდებისო (იქვე, გვ. 264).

ანალოგიური ფორმების დადასტურება შესაძლებელია სხვა დიალექტებ-
შიც. ეს ფორმები გვხვდება აგრეთვე XIX საუკუნის ზოგიერთი ქართველი მწე-
რლის ენაში. ძირითადად ეს ითქმის აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ
მწერლებზე. ეს მოკლენა იმით აიხსნება, რომ „XIX საუკუნის მეორე ნახევარ-
ში ქართული ლიტერატურული ენის დახვეწა და დამკვიდრება ცოცხალ ხალ-
ხურ მეტყველებასთან დაახლოების ნიშნით მიმდინარეობდა. ადგილობრივი კო-

ლორითის დასაცავად და ენის გასამდიდრებლად მწერლებს ლიტერატურულ ენაში საგრძნობლად შემოქმონდათ ქართული, კახური, ფშაური, მოხეური. იმერული, გურული და სხვა ცილოური ფორმები და ლექსიკა.²⁹⁷ სანიშნოდ ავიღოთ რამდენიმე მწერლის ნაწარმოებები:

ა. ჭავჭავაძე: ელეასი კარი გაზაფხულისა (თხზულებანი, 1940. გვ. 7); და-
დავულთა გვეხდების სულნი (იქვე, გვ. 17); გრძნობა ტრფობას ემსჯვალეობის
(იქვე, გვ. 29);

ა. ყაზბეგი: ის გაგდებული იქნების თემისაგან (თხზულებანი ორ ტომად, ტომი 1, 1955, გვ. 67); აღარ ჩაითვლების ჩვენს სისხლად და ხორცად (იქვე, გვ. 67); გული რასმე მიღონდების (იქვე, გვ. 2); ფრინველიც ვერ გადაფრინ-
დების (იქვე, გვ. 24); ბრძანება კი უფლის ასრულდების (იქვე, გვ. 39.); კაცი ერ-
თხელ დაიბადების (იქვე, გვ. 56); ღმერთს არ ელატაების (იქვე, გვ. 60); თემის
სიტყვა არ გატყდების (იქვე, გვ. 39);

დ. ჭონქაძე: კინალამ შიმშილით დავიხოცენით (სურამის ციხე, ჩვენი საუნ-
ჯე, ტ. VI, გვ. 438); „დაიწყო, ყმაწვილებო, მოემზადენით!“ (იქვე, გვ. 468).

რ. ერისთავი: ეხლავ დამეკარგენით; აღექით, აიბარგენით...

მაგრამ ამ ფორმების გამოყენებას სისტემატური ხასიათი არა აქვს. ხშირია ძველი (resp. დიალექტური) და ახალი (resp. სალიტერატურო) ფორმების შერევის შემთხვევები. ამ თვალსაზრისით სანტერესო მაგალითებს იძლევა ვაჟა-ფშაველას პოეზია. ავიღოთ თუნდაც პოემა „ალუდა ქეთელაური“ (ვაჟა-
ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი II, 1961).

საფიხვნო-ტავეში დაჭდების... (გვ. 31); ყელ-თავქვე ეკიდებისა... ზედ-
ცეცხლი ეკიდებისა... ჩაბმასა ვზიდებისა (გვ. 32); მაგრამ იქვე: ზოგჯერ ავღა-
რი დაღება (გვ. 33); თენდება, მთის წვერნ დაწითდენ... დგება, იღვიძებს სო-
ფელი... (გვ. 35); გული მეწვება ბრალითა (გვ. 36); და იქვე: წყალობა ემეტე-
ბისა... ..ჩვენს ბატონს ებედებისა (გვ. 35); მაგრამ: მითხარ, სახელი, ვის სწი-
რავ, იმასამც შაფირება, ხანჯარს აიძრობს, დიდების სათქმელად დაეღირება
(გვ. 36); და ისევ: გაურჯულბულს არჯულზე შენ ეგ არ შაგინდებისა, ქისტო-
სად საყლავის დაკვლა კარგად არ მოგინდებისა (გვ. 36); ვის მასწყენია სიცოც-
ხლე, გზას ის ვინ გაუდგებისა (გვ. 38); ხუთიც უქვენა ჰყვებისა; ერთი დიაცი
სწურებისა (გვ. 38); მაგრამ: ქვა-ქვაზე აღარ დგებაო... (გვ. 38).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს ფორმები ჩვეულებრივ
აღარ გვხვდება,²⁹⁸ მაგრამ მთლად უკუგდებული მაინც არ არის. ზოგჯერ მას
ტილისტური ელფერის ან გარკვეული კოლორითის შესაქმნელად იყენებენ:
„...ყველამ იცის, ყველამ, დავგვირდების...“, „არ შვიძლების, ვაჟიკავ, არა!...“
„მაინც გაძნელდების...“ (მ. ჭავჭავაძის, თეთრი საყელო, რჩეულ თხზულება-
თა ექვსტომეული, ტ. II, გვ. 502, 504). ზოგჯერ იგი თანამედროვე თარგმანშიც
გვხვდება: „მერე ერთმანეთს ვუთხარით, რომ საკმარისად ვისაუბრეთ-თქო და

²⁹⁷ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექ-
ტოლოგია, I, თბილისი, 1961, გვ. XX.

²⁹⁸ ვენეციის III სუბიექტური პირის ფორმებში (მხ. რიცხვ) -ის დაბოლოება ახლა სა-
ლიტერატურო ქართულს იმ ზნენს ახასიათებთ, რომელთაც -ებ თემის ნიშანი არ დაერთვის:
აწვ-ის (მაგრამ: იწვება, და არა: იწვების), ითქმ-ის (მაგრამ: ითქმება, და არა: ითქმების),
აჰმის, იკარგვის (მაგრამ: იკარგება, და არა: იკარგების) და მისთნ.

„ავიშაღენით“ (ი. ანუკი, ყომალი ჯარისკაცი შვეიცია... წიგნი I—II, თარგმნა შ. გეინიჩემ, თბილ. 1929, გვ. 40).

უნდა აღინიშნოს, რიკ. მართალია, აწმყოში, მხოლოდით რიცხვში, ძველ და ახალ ქართულში ეს ფორმები განსხვავდებიან. მაგრამ მრავლობით რიცხვში ერთნაირად იწარმოებიან: იჭრებთან, კვლებთან, შეიკონებთან და ა. შ. ხოლო წამყო ბირთადში ამ ბირთებს (იკვლისსებუა პრეფიქსიანი ვნებობები) ძველი და ახალი ქართული ერთნაირად აწარმოებს მხოლოდით რიცხვში: ვიყავ(ი), განვიკურნე, დავერიდე და მისთან.

ვნებითის წარმოებასთან დაკავშირებით სხვა დიალექტური ფორმებიდან აღსანიშნავია: ა) -ებ.ის ნაცვლად -ევ თემის ნიშნის გამოყენება; მაგალითათ. ინგილოურში: ის იქნევს ერ ს-ეც (ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 229); ე მამა ერთხელ აეად ჭადვის (გვ. 236); ერ ღლე დგევის; ფდეის; შინჟ ეშუ-რევის (იქვე, გვ. 237). ბ) ვნებითის მაწარმოებელი -დ სუფიქსის ფონეტიკური ეარიანტები (-თ, -ტ): ამ ხურფინს უკან ხუთ ინსან კეთ-ტ-ევის (ინგილოური, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 23); მიიპარა, მიფორთხ-თ-ა ცხლის პირში ამ ღდემა (გურული, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 419); ძალიანი შეწუხ-თ-ა დემა (იქვე, გვ. 423).

იშვითად პრეფიქსიც განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას: იამება (ის მას) < ეამება...

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ისეთ დიალექტურ ფორმებზე, რომლებიც, მართალია, წარმოების მიხედვით არ განსხვავდებიან სალიტერატურო ფორმებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინც გარკვეული თავისებურებით ხასიათდებიან. ასეთებია, მაგალითად, იკირკნება (კვატიე იკირკნებოდა რაცხას... გურული, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 429; ნიშნავს: „ნისკარტო ჩხრუკს. საჭმელს ეძებს“), იანახლება (იკლაკნება, გორავს; გუდამაყრული) ფორმები, რომლებიც დიალექტური ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენენ. საინტერესოა აგრეთვე იჭმის ფორმა (ეს არ იჭმის; ხორციც არ იჭმის; ხორცი იჭმის; აქარული, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 398—399), რომელიც პოტენციალისია, ე. ი. გამოხატავს შესაძლებლობას. სალიტერატურო ქართულში ამ ფუძისგან მხოლოდ -ებ სუფიქსიანი ფორმა დასტურდება: იჭმება- იჭმის ფორმა იდგმის, მხატვის ზმნათა მოდელს იმეორებს.

ყურადღებას იქცევს ენებითება (გუდამაყრული), ემშულება (ემშულებოდის, ფშური), ემტყუვნება (ემტყუვნებიან=„მტყუანი იქნებიან“; კახური). ეტარების („დადის“, ინგილოური), ეჭემშარიტება (ეჭემშარიტა, „აი პასუბი ზემწიფეს ეჭემშარიტა“; გურული, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 432) ფორმები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სამეტყველო ენაში ვნებითის ფორმათა წარმოება სულაც არ არის ისე შეზღუდული, როგორც ეს სალიტერატურო ქართულში შეინიშნება.

საგულისხმოა იხარჯა (<იხარჯება) ფორმა. სალიტერატურო ქართულში იგი მხოლოდ პასივის ფუნქციით გამოიყენება, მაგრამ გურულში მას დეპონენსური გაგებაც აქვს: აი ოქრო იხარჯე... ამეილო ამ კაცმა აი ოქრო და იხარჯა ექართული დიალექტოლოგია, გვ. 427); თუკი აქ იხარჯავს არაა ამოსავალი.

თავისებურია ესროდე, მოუფერავა ფორმები, სალიტერატურო ქართულში მათ ე- პრეფიქსიანი ფორმები შეეფარდება: ესროლა, მი-ეფერა. ეს ფორმები დეპონენსებს წარმოადგენენ, ე. ი. ფუნქცია მოქმედებითი გვარისა აქვთ. ამის

გამოა. ალბათ, რომ ზოგი დიალექტი მათ მოქმედებითი გვარის ფორმასაც უფარდებს: ვსროღეთ, ვსროღეთ, სახამდი არ გამოგველია ტყვია-წამალი, ვსროღეთო (იმერული, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 446); ვაყმა დაამშვიდა, მოუფერავა, ჰკითხა ამ გოგოს: ვინა ხარ, საიდან მოხვედი (რაჭული, იქვე, გვ. 510).

ზოგ შემთხვევაში დიალექტურ ფორმას თითქოს უფრო მეტი გამართლება აქვს, ვიდრე სალიტერატუროს; ასეთია, მაგალითად, ეპირება ზმნა (გალმიდან მეკელი გამოღმა ცხვარს ძმობას ეპირებოდა; ვაყ-ფშაველა, „დანაბარები“). საძმე ისაა, რომ ამ მოდელით ნაწარმოები ზმნა ოელატიურია (ორპირიანია), რაც მისი მნიშვნელობითაც არის განსაზღვრული. რაც შეეხება სალიტერატურო (პ)პირდება ფორმას, მოდელით იგი აბსოლუტურ (ერთპირიან) ზმნებს მიჰყვება, თუმცა მნიშვნელობა სამპირიანის ზმნისა აქვს: ასე რომ აქ ფორმასა და შინაარსს შორის აშკარა წინააღმდეგობა დასტურდება, რაც ნაწილობრივ მაინც დაძლეულია დიალექტურ ფორმაში.

ფორმათა ასეთი ნაირგვარობა სხვა თვალსაზრისითაც საგულისხმოა: იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ვნებითის ნიშნებს, როგორც ზმნური ფუნქციონირების პასიურობის ფუნქციის მიმნიჭებელთ, ან თუნდაც: როგორც პასიურობის გამომხატველებს, ასე ვთქვათ, პირობითი ხასიათი აქვს. ოსტატება, ეხატება, თეთრდება... ზმნები იმიტომ კი არ არიან ვნებითები, რომ ი-ე-ი-დ ფორმანტები მოეპოვებათ, არამედ იმის გამო, რომ გარკვეული თვალსაზრისით უპირისპირდებიან შესაბამის გარდამავალ ფორმებს. ფუნქციურად მოქმედებითებისაგან მათ განსხვავებებს პასიურობა, ფორმობრივად — მოდელი და უღვლილებს სისტემა. ეს დაპირისპირება კონსტრუქციაშიც აისახება. ამრიგად, „ვნებითის ნიშნები“ ფაქტიურად უფრო გამოცნობის საშუალებას წარმოადგენენ, ვიდრე ამ ენობრივი მოვლენის კუშიარით არის ასახვას. ეს, რასაკვირველია, აქტიურობა-პასიურობის ფუნქციის თვალსაზრისით, მოქმედებითობა-ვნებითობის თვალსაზრისით. თორემ ამ ნიშნებს თავისი ფუნქცია უთუოდ მოეპოვება; ასე, მაგალითად, -დ სუფიქსი ნასახელარ ზმნებში გარდაჭევი-ობის ფუნქციით გამოიყენება, ე-პრეფიქსს რიგ შემთხვევაში სასხვისო ქცევის მნიშვნელობის გამოხატვა აკისრია და ა. შ. მაგრამ ყველა ეს მნიშვნელობა მათ ძირითადად ვნებითი გვარის მოდელში ენიჭება და ამის გამო ვნებითობის მნიშვნელობასთანაც მკიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდნენ. აღნიშნულ ვითარებას ამ ფორმანტთა ისტორიული თვალსაზრისით განხილვაც ადასტურებს

4. „საშუალო“ ფორმები ქართულში

ზოგადი განმარტებით (რაც თვით სახელწოდებიდან ჩანს), საშუალო ეწოდება ზმნის ისეთ ფორმას, რომელიც ერთგვარად ინაწილებს როგორც მოქმედებითის, ისე ვნებითი გვარის მნიშვნელობებს. ტერმინი „საშუალო“ (მედრეში) გულისხმობს კიდევ ორი ფორმის — მოქმედებითისა და ვნებითის — არსებობას. მაგრამ ამჟამად სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადი ყურადღება ექცევა ამ ტერმინით სახელდებული ზმნების ფუნქციურ მხარეს და ამიტომაც ამ ტერმინს უკვე იყენებენ ერთი მხრით ისეთი ვნების გრამატიკულ ლიტერატურაში, სადაც გამოყოფილია პირდაპირი, ურთიერთობითი, კაუზატიური და ზმნის გვარის სხვა ფორმები, ხოლო მეორე მხრით იმ ვნების გრამატიკებშიც.

სადაც გვარის მსოლიდ ორ ფორმას ასახელებენ: მოქმედების უპირისპირდება საშუალი (უმეტესად მედიოპასივი).

ზემოთ ჩვენ საეციალურად შევჩერდით ტერმინის „საშუალი გვარი“ უზუსტობაზე. აღინიშნა ისიც, რომ ფორმობრივი თვალსაზრისით ისინი მოქმედებითი გვარის ზმნებს უნდა ამოუდგნენ გვერდით და ისიც, რომ მორფოლოგიური კლასიფიკაციისათვის ამოსავალი სწორედ ეს ფორმობრივი ნიშანი უნდა იყოს. მაგრამ ითქვა ისიც, რომ ამ ფორმათა მთელი რიგი თავისებურებების გამო საჭირო ხდება მათი ცალკე, საგანგებო დახასიათება. ამ თავისებურებათა გამო და იმის გამოც, რომ ახალი ტერმინის შემოღება (თუნდაც: „მოქმედებითი გვარის ზმნათა სტატიკური, თუ უკუქცევითი ვარიანტები“) მთელ რიგ სიმძვინვარებას და ახალ უზუსტობებთან იქნება უთუოდ დაკავშირებული, შესაძლებლად მივიჩნით სამუშაო ტერმინად „საშუალი ფორმა (ზმნა)“ გამოვვეყნებინა. რასაკვირველია, იმ ვარაუდით, რომ გათვალისწინებული იქნება ამ ტერმინის პირობითობა და აგრეთვე ეს ახალი გაგება, რომელიც აღნიშნულ ფორმებს დაუკავშირდა.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მოქმედებითი და ენებითი გვარის ფორმებს საშუალი ზმნა უპირისპირდება როგორც სტატიკური ფორმა დინამიკურს და მართლაც, საშუალ ზმნათა უმრავლესობა სწორედ მდგომარეობას გამოხატავს: მაგრამ სტატიკურობის ხარისხი თვით ზმნის სემანტიკითაა განპირობებული. ასე მაგალითად, თუკი დგას, წევს, ზის ფორმები თავისი შინაარსით აშკარად მდგომარეობას გამოხატავენ, საშუალი ნადირობს, ზტის, რბის, კილაობს, ხმაურობს, დის ფორმები უკვე უფრო მოქმედების გამოხატვისაკენ არიან გადასრული, ვიდრე მდგომარეობის ჩვენებისაკენ. საქმე ისაა, რომ გრამატიკული მდგომარეობის ცნება არ შეიძლება გვეუთანაბროთ საერთოდ მდგომარეობის ცნებას. გრამატიკული მდგომარეობის ცნება გულისხმობს: 1. ისეთ ფაქტიურად პასიურ მოქმედებას. როდესაც კონსტრუქციაში არ არის და არც იგულისხმება რეალურად მოქმედი პირი და ამიტომაც კონსტრუქციითაც და ზმნის შინაარსითაც მოქმედება ისეა წარმოდგენილი. რომ მოქმედი პირი თვით გრამატიკული სუბიექტია:²⁹⁹ ასეთებია: დგას, წევს ზის, დევს... 2. ისეთ არსებითად აქტიურ მოქმედებას. როდესაც კონსტრუქციაში არ არის და არც იგულისხმება რეალური (პირდაპირი) ობიექტი. ეს არის (თუ შეიძლება ასე ითქვას) მოქმედების პროცესის სტატიკურად წარმოსახვა, რადგან ეს მოქმედება არ ვრცელდება, არ გადადის რაიმე სამოქმედო საფაზე. პირველია აბსოლუტური მდგომარეობა, მეორე — შეფარდებითი მდგომარეობა.³⁰⁰

სტატიკურობას გამოხატავენ და, ამდენად, თავისი ფუნქციით „საშუალი გვარის“ ზმნებს უტოლდებიან გარდამავალი ზმნის, თურმეობითებიც, მაგრამ ისინი მაინც მოქმედებითი გვარის ფორმებად ითვლებიან, რადგან ამ ფორმების-

²⁹⁹ შტრ. არნ. ჩ ი კ ბ ა ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132; შწმ. 1: ავტორი ამ ზმნების სუბიექტს უმოქმედოს უწოდებს, განსხვავებით ენების სუბიექტისაგან, რომელიც ფაქტიურად სამოქმედოა.

³⁰⁰ ანადირებს-ნადირობს, ამეფებს-მეფობს... — ამ წყვილეთლთა ორივე კომპონენტი არსებითად აქტიურ მოქმედ პირს გულისხმობს, მაგრამ პირველი დინამიკურია. მეორე კი — მასთან შეფარდებით — სტატიკურია: გადმოსცემს „ნადირობის (მეფობის...) პროცესში ყოფნას“.

პარადიგმებს წარმოადგენენ. „დღეისათვის ეს ფორმები გარდამავალი ზმნე-
ზია“; თუმცა „წარმოშობით გარდაუვალია“.³⁰¹

I. „საშუალ“ ფორმათა უღვლილების ზოგი საკითხი

საშუალი ფორმები ჩვეულებრივ მწკრივნილი არიან და ნაკლები მწკრი-
ვების შესავსებად უმეტესად მოქმედებითი და ვნებითი გვარის მოდელის ანა-
ლოგიურად ნაწარმოებ ფორმებს იყენებენ, თუმცა ზოგჯერ ესეც არ მოეპოვე-
ნათ და მხოლოდ აწმყოს. ან აწმყოს წრის ფორმებით არიან წარმოდგენილი.
აღნიშნული თავისებურების საფუძველზე ქართულში გამოყოფილია „საშუალი
გვარის“ ფორმათა უღვლილების ორი ტიპი: მედიოაქტიური და მედიოპასიური.
ეარაუდობენ, რომ პირველი მოქმედებითი გვარის ზმნების უღვლილებას მიჰ-
ყვება, მეორე — ვნებითი გვარის ზმნებებსას. თავის მხრივ, მედიოპასიურ ზმნა-
თა უღვლილება ორ ქვეჯგუფადაა გაყოფილი: 1. დგას, წევს ტიპის ფორმებს
„აკლია უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითა, სამაგიეროდ მოეპოვება II სერი-
ის ფორმები“, ხოლო: 2. უყვარს, სძინავს ტიპის ფორმებს „აკლია II სერიის
მწკრივები, სამაგიეროდ მოეპოვება უწყვეტელი და აწმყოს კავშირებით“.³⁰²
(იგულისხმება საკუთარი წარმოების ფორმები).

დგას, წევს ტიპის ზმნებს ძველ ქართულში ნამყო ძირითადის საკუთარი
ფორმა მოეპოვებოდათ: დგა, წვა... შემდეგ მათ ე- პრეფიქსიანი (უკუქცევითო-
ბის ფუნქციის მქონე) ფორმა ჩაენაცვლა: იდგა, იწვა...

ამ ტიპის ზმნათა თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მყოფადში ე-
პრეფიქსიანი ვნებითის (აწმყო: დგას — მყოფადი იდგება; წევს-იწვება, ზის-
იჯდება...) პარალელურად ამავე ვნებითის მოდელით გაფორმებულ სახელ-
ზმნურ ფუძესაც გამოიყენებენ ხოლმე (აწმყო: დგას — მყოფადი: იდგომება;
წევს-იწვლება, ზის-იჯდომება; ასევე-პოტენციალისის ფუნქციის გამომხატვე-
ლი მყოფადის ფორმებისათვის: იდგომილება||იდგომილება...). სასხვისო ქცევის
(რელატიურ) ფორმებს ნამყო ძირითადში ე- პრეფიქსიანი ვნებითის მოდელით
ნაწარმოები ფორმა შეენაცვლება (უდგას-იდგა, უწევს-ეწვა, უზის-ეჯდა). არ
არის გამორიცხული, რომ ერთპირიან ფორმებში ძველი დგა, ჯდა ფორმების
წაცვლად იდგა, იჯდა ფორმების გავრცელებას შესაბამის ორპირიან (ედგა,
ეჯდა) ფორმებში გამოვლენილმა ე- პრეფიქსმაც შეუწყო ხელი, რადგან ამით
რისინი ე- და ე- პრეფიქსიან დაპირისპირებულ ფორმათა საერთო სისტემაში შე-
ვიდნენ, თუმცა ინიანმა ფორმამ ფუნქცია პასივისა კი არ მიიღო, არამედ უკუ-
ქცევითობისა. ე. ი. მოხდა მხოლოდ ფორმობრივ (და არა ფუნქციურ) სისტე-
მაში გაერთიანება.

³⁰¹ 3. ფ. გ. ბ. ი. ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია ქართულში, საიუბილეო კრებული, მიძ-
ღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80. წლისთავისადმი, თბ., 1969, გვ. 40.

³⁰² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 500.

ცალკე დგას უყვარს ტიპის ზმნების უღვლილება.

	მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი	ვ ნ ე ბ ი თ ი	ს ა შ უ ა ლ ი
აწმყო:	ავიარებს იყვარებს *უყვარებს	*უყვარდება (ის მას)	უყვარს (მას ის)
უწყვეტელი:	ავიარებდა იყვარებდა *უყვარებდა	*უყვარდებოდა	უყვარდა
აწმყო- კავშირით:	ავიარებდეს იყვარებდეს *უყვარებდეს	*უყვარდებოდეს	უყვარდეს
მყოფადი:	შეავიარებს შეიყვარებს *შეუყვარებს	შეუყვარდება	ეყვარება
ხოლმეობითი:	შეავიარებდა შეიყვარებდა *შეუყვარებდა	შეუყვარდებოდა	ეყვარებოდა
მყოფ- კავშირით:	შეავიარებდეს შეიყვარებდეს *შეუყვარებდეს	შეუყვარდებოდეს	ეყვარებოდეს
ნამყოფი:	შეავიარა შეიყვარა *შეუყვარა	შეუყვარდა (მას ის)	—
II კავ- შირით:	შეავიაროს შეიყვაროს *შეუყვაროს	შეუყვარდეს	—
I თურ- მეობით:	შეუყვარებოა	შეჰყვარებოა	ჰყვარებოა
II თურ- მეობით:	შეეყვარა (შეეყვარებინა)	შეჰყვარებოდა	ჰყვარებოდა
III კავ- შირით:	შეეყვაროს (შეეყვარებინოს)	შეჰყვარებოდეს	ჰყვარებოდეს

რა აღმოჩნდა? *უყვარდება, *უყვარდებოდა, *უყვარდებოდეს ფორმების უქონლობის გამო, შეუყვარდება, შეუყვარდა ფორმების აწმყოს მაგვირობას ფაქტიურად უყვარს ფორმა სწევს. მაშასადამე, შეიძლება დაუფუზვთ, რომ უყვარს ტიპის ფორმები ნაკლებ მწკრივებს ივსებენ როგორც პრეფიქსიანი, ასევე სუფიქსიანი ვნებითებით. ამათგან პრეფიქსიანი ვნებითები II სერიის მწკრივებს ვერ აწარმოებენ და ამიტომ ნამყოფი ძირითადადსა და II კავშირებითში

უყვარს ტიპის ფორმებს სუფიქსიანი ვნებითი ჩაენაცვლება. უღვლილება ასევე სახეს მიიღებს:

აწმყო:	უყვარს
უწყვეტელი:	უყვარდა
აწმყ. კავშ.: ¹	უყვარდეს
მყოფალი:	ეყვარება შეუყვარდება
ხოლმეობითი:	ეყვარებოდა შეუყვარდებოდა
მყოფ. კავშ.:	ეყვარებოდეს შეუყვარდებოდეს
ნამყო ძირით.:	შეუყვარდა
II კავშირებითი:	შეუყვარდეს
I თურმეობითი:	(შე)-ჰყვარებია
II თურმეობითი:	(შე)-ჰყვარებოდა
III კავშირებითი:	(შე)-ჰყვარებოდეს

განსხვავებას გვიჩვენებენ აგრეთვე ღვიძავს, სძინავს ზმნები. მათ მხოლოდ ე-პრეფიქსიანი ვნებითი ჩაენაცვლება ნაკლულ მწკრივებში, მათ შორის ნამყო ძირითადსა და II კავშირებითშიც:

აწმყო:	ღვიძავს	სძინავს
უწყვეტელი:	(ღვიძავდა) ,	(სძინავდა)
აწმყ. კავშ.:	(ღვიძავდეს)	(სძინავდეს) ²⁰³
მყოფალი:	ელვიძება	ეძინება
მყოფ. კავშ.:	ელვიძებოდეს	ეძინებოდეს
ნამყო ძირით.:	ელვიძა	ეძინა
II კავშირებითი:	ელვიძოს	ეძინოს
I თურმეობითი:	ჰლვიძებია	სძინებია
II თურმეობითი:	ჰლვიძებოდა	სძინებოდა
III კავშირებითი:	ჰლვიძებოდეს	სძინებოდეს

ამ ფორმებს თავისი ვნებითიც გააჩნიათ და (უყვარს, სძულს ზმნებისაგან განსხვავებით) იგი პრეფიქსიანია, რიგ მწკრივებში ემთხვევა ჩაენაცვლებულ ფორმებს:

აწმყო:	ელვიძება	ღვიძავს
უწყვეტელი:	ელვიძებოდა	(ღვიძავდა)
აწმყ. კავშ.:	ელვიძებოდეს	(ღვიძავდეს)
მყოფალი:	გაელვიძება	ელვიძება
ხოლმეობითი:	გაელვიძებოდა	ელვიძებოდა
მყოფ. კავშ.:	გაელვიძებოდეს	ელვიძებოდეს
ნამყო ძირ.:	გა-ელვიძა	ელვიძა
II კავშირ.:	გა-ელვიძოს	ელვიძოს
I თურმეობ.:	გა-ჰლვიძებია	ჰლვიძებია
II თურმ.:	გა-ჰლვიძებოდა	ჰლვიძებოდა
III კავშირ.:	გა-ჰლვიძებოდეს	ჰლვიძებოდეს

ანალოგიური უღვლილება მოეპოვება თავისებური წარმოების იმ სტატიკურ ფორმებს, რომლებსაც ზოგჯერ „სტატიკურ ვნებითებს“ უწოდებენ. ისინი

²⁰³ ღვიძავდა, ღვიძავდეს; სძინავდა, სძინავდეს ფორმები სალიტერატურო ენაში არ დასტურდება. ნაკლულ ღვიძავდეს დიალექტებში უღვლილების საერთო სისტემის წარმოსადგენად (როგორც შესაძლებლობა ამგვარი ფორმების არსებობისა) საკირო ჩანს მათი გათვალისწინება.

თავისი ბუნებითა და უღვლილებით საცხებით იზიარებენ ე. წ. „საშუალ“ ფორმათა სველარს და ამიტომაც სწორედ მათ უნდა ამოუდგენ გვერდით; წერხა იწერება-სწერია იმავე რიგის დაპირისპირება ჩანს, რაც: აწუხებს-წუხდება-წუხს, ან: აკრთობს-კრთება-კრთის, ან: აცურებს-ცურდება-ცურავს და ა. შ.

სწერია ტიპის ფორმათა უღვლილება ასე წარმოგვიდგება:

აწყო:	ე წ ე რ ე ბ ა	სწერია
უწყვეტალი:	ე წ ი ე ბ ო ღ ა	—
აწუ. კავშ:	ე წ ე რ ე ბ ო ღ ე ს	—
მყოფადი:	დაეწერება	ე წ ე რ ე ბ ა
ხოლმეობითი:	დაეწერებოდა	ე წ ე რ ე ბ ო ღ ა
მყოფ. კავშ:	დაეწერებოდეს	ე წ ე რ ე ბ ო ღ ე ს
ნამყო ძირ:	(და)-ე წ ე რ ა	ე წ ე რ ა
II კავშირ:	(და)-ე წ ე რ ო ს	ე წ ე რ ო ს...

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მწკრივის ნიშნების თაობაზე.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ უყვარს ტიპის ფორმებს უწყვეტლის ნიშნად მოუღლით -დ ფორმანტი: უყვარ-დ-ა, სძულ-დ-ა, სძაგ-დ-ა, შურ-დ-ა და ა. შ. ცნობილია, რომ -დ ფორმანტი უწყვეტლის ნიშნად ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარის ზმნებს მოუღლით (ამ ფორმანტს „სავრცობსაც“ უწოდებენ²⁰¹). თუ ასეა, ეს ფორმანტი საშუალო ზმნებიდან უნდა ჰქონდეთ ე. წ. „მედიაქტიური“ ფორმებს (ე. ი. ფორმებს, რომლებიც მოქმედებითის მოდელით ნაწარმოები პარადიგმებით ივსებენ ნაკლულ უღვლილებას). მაგრამ ყველა ზემოთ დასახელებული ზმნა „მედიაქტიურია“ (ენებთის მოდელით ივსებს ნაკლულ უღვლილებას). შესაბამისად -ოდ ფორმანტი უწყვეტელში დამახასიათებელია ენებითი გვარის ფორმებისათვის. ამდენად, საშუალო ფორმებიდან იგი უნდა გვხვდებოდეს „მედიაქტიურებში“ და ეს მართლაც ასე არის (უნდლოდა, ჰშიოდა, სწყუროდა, სჭეროდა; ასევეა ნასახელარ ფორმებში: ბნელოდა, ცხელოდა, გრილოდა²⁰² და ა. შ.), მაგრამ ეგვე -ოდ ფორმანტი უწყვეტელში ზოგიერთ „მედიაქტიურ“ ზმნებსაც მოუღლის: ტირ-ოდ-ა, ჩი-ოდ-ა, მღერ-ოდ-ა, დი-ოდ-ა, იცინ-ოდ-ა, ხტ-ოდ-ა და მისთნ. (ჩვეულებრივ ეს -ი სუფიქსიანი საშუალო ფორმებია აწმყოში: ტირ-ი-ს, ჩივ-ი-ს და ა. შ.), მაგრამ შდრ.: სხვა „მედიაქტიური“ ფორმები: ცხოვრობ-დ-ა, ქუხ-დ-ა, დულ-დ-ა, წუხ-დ-ა, ნადირობ-დ-ა და მისთნ.

ამდენად, აღმოჩნდა, რომ უწყვეტელსა და I კავშირებითში „მედიაქტიურ“ და „მედიაქტიური“ უღვლილებათა ერთგვარ „შერევისთან“ გვაქვს საქმე: ზოგი „მედიაქტიური“ ფორმა უწყვეტელსა და I კავშირებითში დაირთავს -დ ფორმანტს (რაც ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარის ზმნებისთვის არის დამახასიათებელი), ხოლო ზოგ „მედიაქტიურ“ ზმნას ამ მწკრივებში მოეპოვება -ოდ ფორმანტი (რაც ძირითადად ენებთის ფორმებს ახასიათებს). ეს განსაკუთრებ-

²⁰¹ ა. შ ა ნ ი ძ ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 418, 427.

²⁰² ან ბნელა, ცხელა, თბილა, გრილა — წარმოშობით შედგენილი შემასმენლებია (ბნელა-ბნელ არს; ცხელა-ცხელ არს...), მაგრამ ახლა ისინი ზნურ ფორმებადაა გაგებული და იუღულიან კიდევ (ბნელა-ბნელოდა-ბნელოდეს) სტატუტურ ფორმათა მსგავსად.

ბით საგულისხმოა იმის გამოც, რომ საკუთარი (და ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, უძველესიც) წარმოება ამ ფორმებს მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში აქვთ.

აწმყო:	ტირის	უყვარს
უწყვეტელი:	ტირ-ოდ-ა	უყვარ-დ-ა
აწმყო კავშ.:	ტირ-ოდ-ე-ს	უყვარ-დ-ე-ს

ეს „აღრევა“ ერთგვარად „გამოსწორებულა“ მყოფადის წრეში:

მყოფადი:	იტირებს	ეყვარება
ხოლმეობითი:	იტირებ-დ-ა	ეყვარებ-ოდ-ა
მყოფ. კავშ.:	იტირებ-დ-ე-ს	ეყვარებ-ოდ-ე-ს

მაშასადამე, მყოფადში ჩვეულებრივი ვითარებაა: „მედლიოაქტიურები“ მი-
პყვებიან მოქმედებითი გვარის ზმნათა უღვლილებას, „მედლიოპასივები“ — ვნე-
ბითი გვარის ზმნებისას. ეს ფაქტი ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ საშუალო
ზმნების უღვლილება, თუმცა ძირითადად კი იყოფა (არსებითად ჩამოყალიბე-
ბულია) „მედლიოაქტიური“ და „მედლიოპასიური“ ზმნების უღვლილებად, მაგ-
რამ მაინც ჭერაც საკმაო მერყეობას განიცდის. ეს სხვა მაგალითებითაც დას-
ტურდება.

აქ გასათვალისწინებელია ის ფორმები, რომლებიც უწყვეტელში პარალე-
ლურ ვარიანტებს გვიჩვენებენ: დაირთავენ როგორც -ოდ, ასევე -დ სუფიქსს:
ერჩ-დ-ა|ერჩ-ოდ-ა, უძახ-დ-ა|უძახ-ოდ-ა (შესაბამისად: იძახდა|იძახოდა, ეძა-
ხდა|ეძახოდა). მეორე მხრივ -ოდ სუფიქსი უწყვეტელში ზოგიერთ გარდამა-
ვალ ზმნასთანაც ჩნდება: იცოდა, უწყოდა, იტყოდა, იქმოდა და მისთნ.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, „მედლიოპასიურ“ ზმნათაგან: 1. ზოგს მხო-
ლოდ აწმყოს ან აწმყოს წრის (შეიძლება I სერიის მთლიანად) ფორმები მოე-
პოვება. ასეთებია: თბილა, ყინავს, ცივა, ცხელა ტიპის ზმნები (წარმოშობით
შედგენილი შემასმენლები), 2. ნაკლები მწკრივების შესავსებად „მედლიოპასი-
ურ“ ზმნებს ჩაენაცვლება როგორც პრეფიქსიანი, ისე სუფიქსიანი ვნებითის
მოდელით ნაწარმოები ფორმები; ასე, მაგალითად, სძინავს, ღვიძავს ტიპის
ზმნებს ჩაენაცვლება ე- პრეფიქსიანი ვნებითი (სძინავს-ეძინება-ეძინა); შურს,
სძავს ტიპის ფორმებს — სუფიქსიანი ვნებითები (სძავს-შესძავდება-შესძავდა;
ეძავება ფორმა არ დასტურდება, რაც შეეხება ეძავა ფორმას, იგი გარდამავა-
ლი აძავებს ზმნის II თურმეობითის ფორმას წარმოადგენს); უყვარს ტიპის
ფორმებმა პარალელურად შეიძლება გამოიყენონ როგორც ე- პრეფიქსიანი,
ისე სუფიქსიანი ვნებითის მოდელით ნაწარმოები ფორმები ნაკლები მწკრივე-
ბის შესავსებად. 3. „მედლიოპასიურ“ ზმნათა ერთ ნაწილს მოეპოვება მხოლოდ
I და III სერიის ფორმები, II სერიის მწკრივებს ვერ აწარმოებენ. ასეთია
მაგალითად, უყვარს ზმნა, როცა მას ე- პრეფიქსიანი ვნებითი ჩაენაცვლება (I.
უყვარს, ეყვარება; II.—III. ჰყვარება); ამავე ტიპისა ჩანს აქვს, ჰყავს, სძულს,
ღირს ზმნები. ამათგან, მაგალითად, ღირს ზმნას III სერიის ფორმები აბსო-
ლუტური (ერთპირიანი) ზმნისა აქვს (იყენებს მიძღვობის ფუძეს: ღირებულა,
ღირებულიყო); აქვს, ჰყავს, სძულს ტიპის ფორმებს კი — რელატიური (ორ-
პირიანი) გარდაუვალი ზმნებისა (ჰქონია; ჰყოლია; სძულდება...).

სიური“ ზმნები სამ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფში შევა დგას, წევს, ზის ტიპის ზმნები. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ინვერსიული ფორმები უყვარს, აქვს. ჰყავს, ტიპისა, მესამე ჯგუფს — სწერია, ხატია ტიპის სტატიკური ფორმები. უნდა აღინიშნოს, რომ სტატიკური ინვერსიული ზმნების შესაბამის ენებითებსაც გარკვეულად ახასიათებთ ინვერსიულობა და არა მარტო მაშინ, როცა ნაკლებ მწკრივებში ჩაენაცვლებიან მათ (სძულს მას ის—ეძულება მას ის), არამედ მაშინაც, როცა ეს ენებითები დამოუკიდებელ ფორმებს წარმოადგენენ: სძულდება—შესძულდება—შესძულდა მას ის. 5. ზოგი „მედიოპასიური“ ზმნა პარალელურ წარმოებას გვიჩვენებს: სცალს-სცალია („მაწყენ, არა მცალს. დამებსენ...“ რუსთაველი); სწადს-სწადია, სჯობს-სჯობია... ამის მიხედვით ზოგჯერ დასტურდება უწყვეტლის პარალელური ფორმებიც: სცალდა-სცალოდა...

ცალკე უნდა განვიხილოთ ე. წ. „მედიოპატიური“ ზმნათა თავისებურებანი.

არის ერთი ნაწილი მედიოპტიური ზმნებისა (ძირითადად რედუპლიცირებული), რომლებსაც მხოლოდ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმა მოეპოვებათ, ენებითი კი — არა და ფუნქციურად ამ მოქმედებითის კონვერსიულ ფორმებად გვევლინებიან: აბაბანებს-ბაბანებს, აზანზარებს-ზანზარებს, აქაქანებს-ქაქანებს, აღაღანებს-ღაღანებს; ახარხარებს-ხარხარებს, აზიზინებს-ზიზინებს, აკრიკინებს-კრიკინებს, აგუგუნებს-გუგუნებს, ატიტინებს-ტიტინებს... ასევე: აბრიალებს-ბრიალებს, აკრიალებს-კრიალებს, ახრიალებს-ხრიალებს... ასევე: ასადილებს-სადილობს, ასულდგმულებს-სულდგმულობს და ა. შ.

უღვლილებისას ამ მედიოპტიურ ზმნებს ენაცვლება მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის მოდელით ნაწარმოები (მაგრამ გარდაუვალი) ფორმები: ბაბანებს-იბაბანებს, ზანზარებს-იზანზარებს, ქაქანებს-იქაქანებს... ბრიალებს-იბრიალებს, კრიალებს-იკრიალებს... სადილობს-ისადილებს... ყველა ეს „ჩანაცვლებული“ ზმნა მხოლოდ ფორმით არის მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის კუთვნილება, გაგება გარდამავალი (resp) მოქმედებითი გვარის) ზმნისა მას არა აქვს. ეს ჩანს თუნდაც იმით, რომ უმრავლესი მათგანი: იბაბანებს, იღაღანებს, იხარხარებს, იგუგუნებს, ისულდგმულებს... ერთპირიანი და, ამდენად, გარდაუვალი ფორმებია. განვიხილოთ ამ ზმნათა უღვლილება შესაბამისი მოქმედებითი და ენებითი გვარის ფორმებთან შეპირისპირებით. მხოლოდ აქ ამ ტიპის ფორმების ერთი თავისებურება უნდა აღინიშნოს: შესაბამისი მოქმედებითი მათ მხოლოდ საარვისო ქცევისა აქვთ: აბაბანებს, აზანზარებს, აგუგუნებს, აფრიალებს... მათი სათავისო ქცევის ფორმა იბაბანებს, იზანზარებს, იგუგუნებს, იფრიალებს... ახალ ქართულში მხოლოდ „საშუალი“ ფორმების პარადიგმებად გამოიყენება. მოქმედებითი გვარის ფუნქციით მათი (და ისიც მხოლოდ ზოგიერთი ფორმის) გამოყენების შემთხვევები შედარებით იშვიათია. ამავე ზმნების სასხვისო ქცევის ფორმები უბაბანებს, უზანზარებს, უგუგუნებს, უფრიალებს... შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც საშუალი, ასევე (ძირითადად მყოფადის წრისა და II სერიის ფორმებში) მოქმედებითი გვარის ფუნქციით; ე. ი. ზანზარებს-უზანზარებს, ფრიალებს-უფრიალებს ერთმანეთის მიმართ ისევე წარმოადგენენ საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებს, როგორც აზანზარებს-

უზანზარებს, აფრიალებს-უფრიალებს და მისთნ. შღრ.: ჩიქილა უფრიალებს (საშუალი) და: ნიაფი კაბას უფრიალებდა (მოქმედებითი) — ჭკგლ.

ულელილების ნიმუში:

	მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი	ე ნ ე ბ ი თ ი	„ს ა შ უ ა ლ ი“
აწმყო:	აზანზარებს აფრიალებს	*ზანზარდება *ფრიალებს	ზანზარებს ფრიალებს
უწყვეტი- ლი	აზანზარებდა აფრიალებდა	*ზანზარდებოდა *ფრიალდებოდა	ზანზარებდა ფრიალებდა
აწმყ- კაცშირ:	აზანზარებდეს აფრიალებდეს	ზანზარდებოდეს ფრიალდებოდეს	ზანზარებდეს ფრიალებდეს
ბყოფალი:	დაზანზარებს აფრიალებს	დაზანზარდება აფრიალებს	იზანზარებს იფრიალებს
ხოლმეო- ბითი:	დაზანზარებდა აფრიალებდა	დაზანზარდებოდა აფრიალდებოდა	იზანზარებდა იფრიალებდა
მყოფ- კაცში:	დაზანზარებდეს აფრიალებდეს	დაზანზარდებოდეს აფრიალდებოდეს	იზანზარებდეს იფრიალებდეს
ნამყო ძი- რით:	დაზანზარა აფრიალა	დაზანზარდა აფრიალა	იზანზარა იფრიალა
II კავ- შირ:	დაზანზაროს აფრიალოს	დაზანზარდეს აფრიალდეს	იზანზაროს იფრიალოს
I თურმე- ობითი	დაუზანზარებია აფრიალებია	დაზანზარებულა აფრიალებულა	უზანზარ(ნ)ია უფრიალ(ნ)ია
II თურ- მეობ:	დაუზანზარებინა აფრიალებინა	დაზანზარებულიყო აფრიალებულიყო	უზანზარ(ნ)ა უფრიალ(ნ)ა
III კავ- შირ:	დაუზანზარებინოს აფრიალებინოს	დაზანზარებულიყოს აფრიალებულიყოს	უზანზაროს უფრიალოს

ზანზარებს, ფრიალებს ტიპის ფორმებისათვის I თურმეობითი უნდა ყოფილიყო უზანზარებია, უფრიალებია, მაგრამ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმებისაგან გასარჩევად საშუალ ფორმებში ებ- სუფიქსის ადგილს ზოვჯერ ფორმანტი -ნ იკავებს. ჩვეულებრივ კი ამ სუფიქსის გარეშე გამოიყენება: და- უზანზარებია-უზანზარინია||უზანზარია...²⁰⁶

ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 490—492; -ნ სუფიქსის ბუნებისათვის იხ.: ივ. ჭ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ხალ ჭარტულში, ივე. ტ. VII, 1955.

ზემოაღნიშნული შეპირისპირებით ნათლად ჩანს, რომ დაზანზარდება. აფრიადდება; დაზანზარდა, აფრიადდა ტიპის ფორმებს აწმყოსა და აწმყოს წრის მწკრივების მაგიერობას ფაქტიურად შესაბამისი საშუალო ზმნები უწევენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზანზარებს, ფრიადებს ტიპის ფორმები პარადიგმებში იყენებენ როგორც მოქმედებითი. ასევე ვნებითი გვარის ფორმებს (სხვაგვარად: მოქმედებითისა და ვნებითის მოდელებს): ამიტომ ამ ტიპის ზმნათა უღვლილება ამგვარად წარმოგიდგება:

აწმყო:	ზანზარებს ფრიადებს
უწყვეტელი:	ზანზარებდა ფრიადებდა
აწმყოს კავშირებითი:	ზანზარებდეს ფრიადებდეს
მყოფადი:	იზანზარებს დაზანზარდება იფრიადებს აფრიადდება
ზოღოებითი:	იზანზარებდა დაზანზარებოდა იფრიადებდა აფრიადებოდა
მყოფ. კავშირ.:	იზანზარებდეს დაზანზარებოდეს იფრიადებდეს აფრიადებოდეს
ნამყო ძირით.:	იზანზარა დაზანზარა იფრიალა აფრიალა
II კავშირ.:	იზანზაროს დაზანზარდეს იფრიალოს აფრიალდეს
I თურმებითი:	უზანზარ(ნ)ია დაზანზარებულა უფრიალ(ნ)ია აფრიალებულა
II თურმებითი:	ეზანზარ(ნ)ია დაზანზარებელიყო ეფრიალ(ნ)ია აფრიალებელიყო
III კავშირ.:	ეზანზაროს დაზანზარებულიყოს ეფრიალოს აფრიალებულიყოს

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ზანზარებს, ფრიადებს ტიპის საშუალო ზმნები ფაქტიურად ორგვარ უღვლილებას გვიჩვენებენ: ნაკლები მწკრივების შესავსებად იყენებენ როგორც მოქმედებითის, ასევე ვნებითის მოდელით ნაწარმოებ ფორმებს.

რაც შეეხება ამ ტიპის საშუალო ზმნების რელატიურ ფორმებს (უზანზარებს, უფრიადებს), მათ ნაკლები მწკრივების შესავსებად მხოლოდ რელატიური სუფიქსიანი ვნებითის გამოყენება შეუძლიათ; საგულისხმოა, რომ ამ ფუნქციებისგან ნაწარმოებ რელატიურ ვნებითებსაც არა აქვთ აწმყოს წრის მწკრივები და მათ მაგიერობას სწორედ შესაბამისი საშუალო გვარის ზმნები სწევენ:

	მოქმედებითი:	ვნებითი:	საშუალო:
აწმყო:	უფრიადებს	—	უფრიადებს
უწყვეტელი:	უფრიადებდა	—	უფრიადებდა
აწმყო კავშირ.:	უფრიადებდეს	—	უფრიადებდეს
მყოფადი:	აუფრიადებს	აუფრიადდება	—

ხოლმე-ობითი:	აუფრიალებდა	აუფრიალდებოდა	—
მყოფ. კავშ.:	აუფრიალებდეს	აუფრიალდებოდეს	—
ნამყო ძირით.:	აუფრიალა	აუფრიალდა	—
II კავშირ.:	აუფრიალოს	აუფრიალდეს	—
II თურმეობ.:	აუფრიალებია	აფრიალებია	—
II თურმეობ.:	აუფრიალებინა	აფრიალებოდა	—
II კავშირ.:	აუფრიალებინოს	აფრიალებოდეს	—

ასე რომ, ამ შემთხვევაში ვნებითებს ნაკლები მწკრივები საშუალო ფორმებით შეუძლიათ შეივსონ და, პირიქით, საშუალო ზმნებს — ვნებითებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ზმნათა რელატიური ფორმების უღვლილება ფაქტიურად ვნებითებს მიჰყვება („მედოპასიურია“): უფრიალებს, უფრიალდებდა, უფრიალებდეს; აუფრიალდება, აუფრიალდებოდა, აუფრიალდებოდეს; აუფრიალდა, აუფრიალდეს; აფრიალებია, აფრიალებოდა, აფრიალებოდეს.

არის გამონაკლისებიც. ასე მაგალითად, ტრიალებს ზმნას მოეპოვება აწმყოს მწკრივის შესაბამისი ვნებითი: ტრიალდება, რომელსაც თავისი საკუთარი უღვლილება ექნება: ტრიალდება, დატრიალდება, დატრიალდა... გარდა ამისა: თავისებურებას გვიჩვენებს მისი რელატიური ფორმა: უტრიალებს. საქმე ისაა, რომ უტრიალებს ფორმას შეიძლება ორგვარი გაგება ჰქონდეს: 1. ტრიალებს ზმნის სასხვისო ქცევის ფუნქცია: უტრიალებს ის მას (=ტრიალებს ის წინთვის), და 2. უტრიალებს ის მას (=ტრიალებს ის მის ირგვლივ; იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც).

ამგვარი განსხვავება თავისებურად აისახება უღვლილებაში:

მ ა კ მ ე დ ე ბ ი თ ი	ს ა შ უ ა ლ ი	
	(I მნიშვნელობა)	(II მნიშვნელობა)
აწმყო:	უტრიალებს	უტრიალებს
უწყვეტელი	უტრიალებდა	უტრიალებდა
აწმყო კავშ.:	უტრიალებდეს	უტრიალებდეს
მყოფადი:	აუტრიალებს	(დაუტრიალდება) —
ხოლმეობ.:	აუტრიალებდა	(დაუტრიალდებოდა) —
მყოფ. კავშ.:	აუტრიალებდეს	(დაუტრიალდებოდეს) —
ნამყო ძირ.:	აუტრიალა (მან მას ის)	(დაუტრიალდა) უტრიალა (მან მას ირგვლივ)
II კავშ.:	აუტრიალოს	(დაუტრიალდეს) უტრიალოს

ზანზარებს, ფრიალებს ფორმების მსგავს ვითარებას უღვლილებისას. ტირის, ყვირის, ბუზღუნებს, ფეთქს (ფეთქავს), ფრენს, ცურავს ზმნებიც გვიჩვენებენ: ტირის-იტირაჰატირდა; ყვირის-იყვირაჰაყვირდა, ბუზღუნებს-იბუზღუნაჰაბუზღუნდა, ფეთქს-იფეთქაჰაფეთქდა; ფრენს-იფრინაჰაფრინდა; ცურავს-იცურაჰაგაცურდა... ამათგანაც ზოგს მოეპოვება ვნებითის აწმყოს ფორმა: ფეთქდება, ფრინდება, ცურდება... ზოგიერთს კი შესაბამისი ვნებითის აწმყოს ფორმა არა აქვს (*ტირდება, *ყვირდება, *ბუზღუნდება), ამიტომაც ვნებითის მოდელით ნაწარმოები ზმნები (ატირდება, ატირდა, აყვირდება, აყვირდა...) ფაქტიურად შესაბამის საშუალ ზმნათა პარადიგმულ ფორმებს წარმოადგენენ (ისევე როგორც იბიბინებს, ილაღანებს, იზანზარებს — მხოლოდ მოდელითაა სათავისო ქცევის ფორმა, მაგრამ სხვა მხრივ კი „საშუალი“) 307.

ისმის კითხვა: იმ შემთხვევაში, როცა საშუალ ფორმას ნაკლებ მჭკრივებში ჩაენაცვლება როგორც მოქმედებითის, ასევე ვნებითის მოდელით ნაწარმოები ფორმები, დასტურდება თუ არა ამ „ჩაენაცვლებულ“ სხვადასხვა გვარის ფორმებს შორის რაიმე სხვაობა? ვიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა „ჩაენაცვლებულ“ ვნებითისა და სათავისო ქცევის მოქმედებითის ფორმებს არ მოეპოვებათ აწმყოს საკუთარი ფორმები: ტირის-იტირებსჰატირდება-იტირაჰატირდა; ყვირის-იყვირებსჰაყვირდება-იყვირაჰაყვირდა; ბუზღუნებს-იბუზღუნებსჰაბუზღუნდება-იბუზღუნდა და ა. შ.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ იმავე რიგის ნამყო ძირითადის იზარმაცვა-გაზარმაცვა (აწმყო: ზარმაცობს), ითავხედა-გათავხედა (აწმყო: თავხედობს) ტიპის ფორმებს, თითქოს შესაძლებელი ჩანს იმის დაშვება, რომ აქ ასპექტის თვალსაზრისითაა დაპირისპირება: იზარმაცვა — უსრული ასპექტის ფორმაა, გაზარმაცვა — სრული ასპექტისა. მაგრამ ეს რომ კერძო შემთხვევა უნდა იყოს, ამაზე მიუთითებს გაიჭრიალა-გაჭრიალდა (აწმყო: ჭრიალებს), დაიჭრიალა-დაჭრიალდა (აწმყო: ჭრიალებს) ტიპის მაგალითები. ამ შემთხვევაში არც აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით ჩანს დაპირისპირება; შდრ.: გაიფრიალა-გაფრიალდა (აწმყო: ფრიალებს), გაისრიალა-გასრიალდა (აწმყო: სრიალებს),

307 „საშუალი“, რადგან საშუალ ფორმათა უღვლილების სისტემაშია მოქცეული და ფუნქციურად მათთან გათანაბრებული (თუ სტატიკაა ბიბინებს, მაშინ იმავე ფუნქციისა იქნება იბიბინებს და იბიბინა ფორმებიც). დამატებით შეიძლება შევნიშნოთ, რომ გამოთქმა „მოქმედებითი გვარის მოდელით ნაწარმოები ფორმების ჩანაცვლება“ უფრო თვალსაჩინოებისათვის გამოიყენება, ვიდრე საქმის რეალურ ვითარებას ასახავს, რადგან „მოქმედებითისა“ და „საშუალის“ გამოიყენა ფორმით (როგორც უკვე აღინიშნა) შეუძლებელია; აქ განსხვავებული მხოლოდ ფუნქციაა. და, მართლაც, თუკი ვამბობთ, რომ ხევს მოქმედებითია, რადგან აქტიურობის ფუნქციას გამოხატავს, ხოლო ძევს საშუალია, რადგან სტატიკურია, მაშინ უკვე ზედმეტი ჩანს იმის გამეორება, რომ იხვავლის, იბიბინებს, იცრუებს — საშუალ ზმნათა ფუნქციით გამოყენებული მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებია, რადგან „საშუალი“ თავისთავად გულისხმობს მოქმედებითისაგან მხოლოდ ფუნქციურ (და არა ფორმობრივ) განსხვავებას, სხვაგვარად: თავისთავად გულისხმობს, რომ ფორმა მოქმედებითისა იქნება (ოღონდ სხვა ფუნქციით დატვირთული). ეს კარგად ჩანს, ერთი მხრივ, იდულებს ის მას (აწმყო, მოქმედებითი) — იდულებს ის (მყოფადი, საშუალი), ხოლო მეორე მხრივ, ცრის ის მას (მოქმედებითი) — ცრის ის (წვიმა; საშუალი) დაპირისპირებულ ფორმათა შედარებისას. ორივე შემთხვევაში მხოლოდ ფუნქციური სხვაობა დასტურდება.

იუვირა-აყვირდა (აწმყო: ყვირის) და მისთნ. აშკარად წარმოჩენილი სხვაობა კონსტრუქციაშია: გაიფრიალა, იუვირა, გაიფრიალა ზმნებთან სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი; აფრიალდა, აყვირდა, გასრიალდა ზმნებთან — სასელობითი ბრუნვის ფორმით... ზოგჯერ განსხვავება ერთგვარად თვისობრივადაც ვლინდება თითქოს: გაზარმაცდა თვისობრივ ცვლილებაზე მიუთითებს, იზარმაცა -- უფრო მომენტობრივ მოვლენაზე.

ზოგ „მედლიოაქტიურ“ ზმნას პარადიგმებში მოქმედებითი გვარის სასხვისო ქცევის მოდელით ნაწარმოები ფორმები ჩაენაცვლება იმ შემთხვევაში, როცა მათ ორპირიანი ზმნის გაგება აქვთ: პატრონობს (ის მას) — უპატრონებს უპატრონა-უპატრონება; მშველის (ის მას) — უშველის-უშველა-უშველია... სოლო სათავისო ქცევის მოდელით ნაწარმოები ფორმები მაშინ, როცა ერთპირიანი ზმნების ფუნქციით გამოიყენებიან; ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნის პირისპირის დადგენა მხოლოდ კონსტრუქციით ხდება შესაძლებელი. ასეთია, მაგალითად, დარაჯობს ზმნა (დარაჯობს ის და: (ს)დარაჯობს ის მას):

აწმყო:	დარაჯობს (ორპირიანი: სდარაჯობს)
უწყვეტალი:	დარაჯობდა (სდარაჯობდა)
აწმყ. კავშ.:	დარაჯობდეს (სდარაჯობდეს)
მყოფალი:	იდარაჯებას უდარაჯებას
ხოლმეობითი:	იდარაჯებდა უდარაჯებდა
მყოფ. კავშ.:	იდარაჯებდეს უდარაჯებდეს
ნაპყო ძირით.:	იდარაჯა უდარაჯა
II კავშირ.:	იდარაჯოს უდარაჯოს
I თურმეობ.:	უდარაჯ(ნ)ია
II თურმეობ.:	უდარაჯ(ნ)ა
III კავშირებითი:	უდარაჯოს

ასევე: ხელმძღვანელობს-იხელმძღვანელებს| უხელმძღვანელებს, იხელმძღვანელა| უხელმძღვანელა და მისთნ. საგულისხმოა, რომ იხელმძღვანელებს-იხელმძღვანელა ფორმებში აშკარაა ტენდენცია მოქმედებითი გვარის ფუნქციის წარმოჩენისა, მაგრამ შესაბამისი კონსტრუქცია არ მოეპოვება (კონსტრუქციაში არ დასტურდება რეალური ობიექტი და მისი ფუნქცია ფაქტიურად უბრალო, პირმიუმართავ, დამატებას აკისრია: იხელმძღვანელა მან წიგნით).

მაგრამ ჩვეულებრივ ასე არ ხდება. იმ შემთხვევაში, როცა იოლდება სასხვისო ქცევის (RESP. ორპირიანი) საშუალი ფორმა (უბიბინებს, უფრიალებს, უშრიალებს, უჭირს, უხუერს, უთამაშებს...), იგი, როგორც წესი, ნაკლულ მწკრივებში სასხვისო ქცევის ფუნქციის მქონე ვნებითს ჩაინაცვლებს მხოლოდ: უმეცესად სუფიქსიანს (აუბიბინდება-აუბიბინდა, აუფრიალდება-აუფრიალდა, აუშრიალდება-აუშრიალდა, აუთამაშდება-აუთამაშდა...), ზოგჯერ ე-პრეფიქსიანს (უყვარს-ეყვარება). ამდენად, აქ „მედლიოაქტივი“ აღარ გვექნება.

თავისებურებას გვიჩვენებს რამდენიმე საშუალი ზმნა. ასე მაგალითად, გვაქვს ცურავს ზმნა; იგი იმავე რიგისა ჩანს, რაც მოზღავს, გორავს. ზრუნავს, ტოკავს, ფეთქავს, ფოფხავს, ფშვინავს, ქშინავს, ღოღავს ზმნები. ყველა ეს ზმნა ზანზარებს, ფრიალებს ფორმათა უღვლილებას მიჰყვება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ცურავს ზმნა: მას უღვლილების ორგვარი სისტემა შეიძლება დაუკავშირდეს; როგორც ყველა საშუალი ზმნა, ჩვეულებრივ იგიც ივლებს ნაკლულ მწკრივებს სათავისო ქცევის მოდელით ნაწარმოები ფორმებით;

მაგრამ გარდა ამისა, მოეპოვება თავისი საკუთარი უღვლილებაც იუღლენ...
 -აე თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზნეების მსგავსად, მაგრამ ფუნქცია ამ შემთხვევაშიც საშუალოა აქვს, თუმცა ზოგჯერ პარალელურად მას შეიძლება მოქმედებითი გვარის ფუნქციაც დაეკისროს; მაგალითად: მოცურავე გაცურავს მდინარეს-მოცურავემ გაცურა (გადაცურა) მდინარე, მაგრამ შღრ: წყალში ბათივით გავცურავ (აკაი) — აქ უკვე აშკარად საშუალო ფორმის ფუნქცია მოეპოვება, ფაქტიურად ვიცრუებ მყოფადის ფორმას უტოლდება მნიშვნელობით. ეს მაგალითი იმიტოცაა საინტერესო, რომ აქ პირდაპირი და უბრალო დამატებების მონაცელებობა დასტურდება. გავცურავ (გადავცურავ) წყალს-გავცურავ წყალში...

აწმყო:	ეურავს
უწვეტელი:	ეურავდა
აწმ. კავშ.:	ეურავდეს
მყოფადი:	იეურებს გა-ეურავს
ხოლმეობითი:	იეურებდა გა-ეურავდა
მყოფ. კავშ.:	იეურებდეს გა-ეურავდეს
ნამყო შირით.:	იეურა გა-ეურა
II კავშირებ.:	იეუროს გა-ეუროს
I თურმეობითი:	უეურავი გა-ეურავს
II თურმეობითი:	ეეურავ(ნ) გა-ეურა
III კავშირებითი:	ეეურავოს გა-ეურავოს

საშუალო რბის ზმნა მწკრივში ფუძემონაცელება (რბის||დარბის-გაიქცა).
 მაგრამ პარალელურად შეიძლება იმავე ფუძისგან ეწარმოოს მწკრივები (რბის: დარბის-ირბენს-ირბინა-ურბენინა-ერბინა); ჩვეულებრივ, ფუძემონაცელე ეს ზმნა მაშინაა, როცა აწმყოში მას მი- ზმნისწინი დაერთვის (მირბის-გაიქცევა-გაიქცა). მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება ჰქონდეს იმავე ფუძისგან ნაწარმოები ფორმები: მირბის-შირბენს-შირბინა. ტრადიციული თვალსაზრისით „ჩანაცვლებული“ ფორმები არბენს მოქმედებითი გვარის ზმნის სათავისო ქცევის ფორმებს წარმოადგენენ (ოღონდ გარდაუვალნი, ერთპირიანი არიან).

საშუალო ზმნებს ჩვეულებრივ მოეპოვებათ სასხვისო ქცევის ფორმები. მაგრამ გამონაკლისთა რიცხვიც საკმაოა. ესენია: ცხოვრობს, მეფობს, ნადირობს, თამაშობს, ქანაობს, ამპარტავნობს, პატრონობს და მისთნ. ყველა ეს ფორმები ერთი ბუნებისა არ არის. ამათგან გამოიყოფა ზმნები: თამაშობს, პატრონობს, ცეკვავს, კოხტაობს, ჰმადლობს, ჰიდაობს და ა. შ. პარალელურად დასტურდება იმავე ფუძეებისგან ნაწარმოები ე- პრეფიქსისანი ვნებითის ფორმები: ეთამაშება, ეპატრონება, ეცეკვება, ეკოხტავება, ეჰმადლება, ეჰიდავება და სხვ. ერთმანეთს რომ დაუპირისპიროთ თამაშობს-ეთამაშება, კოხტაობს-ეკოხტავება, ცეკვავს-ეცეკვება, პატრონობს-ეპატრონება, ჰმადლობს-ეჰმადლება, ჰიდაობს-ეჰიდავება, აღმოჩნდება, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი ფაქტიურად საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებს წარმოადგენენ (შღრ: ამაღლის-უჰმაღლის და: ჰმადლობს-ეჰმადლება). რასაკვირველია, ასეთი დაპირისპირება პირობითია, რადგან თამაშობს-ეთამაშება, გარდა აღნიშნული ფუნქციისა, ერთმანეთს უპირისპირდება როგორც სტატიკური და დინამიკური ფორმაც. განსხვავებით წუხს-უწუხს ტიპის საარვისო და სასხვისო ქცევის სტატიკური ფორმებისაგან, და ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ზოგიერთ მათგანს პარალელურად სტატიკური სასხვისოც მოეპოვება: უთამაშებს...

ყველა ზემოდასახელებული ე-პრეფიქსიანი ვნებითი დეკონენსია; ამიტომ მა, რომ ზოგჯერ მათ გვერდით ჩნდება პარალელური ფორმა, რომელსაც უკვე ვნებითის აშკარად გამოხატული ფუნქცია აქისრია (თამაშდება, კობტავდება...). ამის გამო ზემოაღნიშნული ტიპის ზოგიერთ ზმნასთან გვარის ფორმათა დაპირისპირების მიხედვით იქმნება თავისებური წყვილები, რომელთაგან ერთში ხდება მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმების დაპირისპირება, ხოლო მეორეში — ვნებითი გვარისა და „საშუალი“ ფორმისა (იგულისხმება, რომ ვნებითები ფორმითაც და ფუნქციითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან):

	მოქმედებითი	ვნებითი	საშუალი
ა)	ათამაშებს	თამაშდება	—
ბ)	—	ეთამაშება	თამაშობს

როგორ ეხედავთ, ამ წყვილებელთაგან პირველი: ათამაშებს-თამაშდება ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ ფორმებს წარმოადგენენ; სხვაგვარად: მოქმედებითი გვარის ზმნის რეალური ობიექტი ვნებითის ფორმაში გრამატიკულ ქვემდებარედ იქცევა: ათამაშებს სპორტსმენი ბურთს-ბურთით თამაშდება (გაათამაშა-გათამაშდა).

რაც შეეხება მეორე წყვილს: ეთამაშება-თამაშობს, აქ უკვე აღარ არის კონვერსიული გადასვლა: ორივე ფორმა ფუნქციის თვალსაზრისით ფაქტიურად ტოლია, მაგრამ ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთი მხრით სტატიკურობა-დინამიკურობა, ხოლო მეორე მხრით — ირიბ ობიექტზე მიმართება (ეთამაშება), ან არმიმართება (თამაშობს).

ისმის კითხვა: რატომ ხდება ამ წყვილებელთა ამგვარი დაპირისპირება? საქმე ის არის, რომ თამაშობს საშუალი ფორმა იმ ზმნათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება ერთპირიანობის ფუნქციითაც დაიტვირთონ და პარალელურად სხვა კონსტრუქციაში ორპირიანობის ფუნქციის მქონენიც იყვნენ: თამაშობს ის-თამაშობს ის მას. ორივე შემთხვევაში სასხვისო ქცევის ფუნქციით მას ე-პრეფიქსიანი ვნებითი შეეფარდება, ოღონდ შესაბამისად იქნება ორპირიანი (პირველ შემთხვევაში: თამაშობს ის-ეთამაშება მას მას) ან სამპირიანი (მეორე შემთხვევაში: თამაშობს ის მას-ეთამაშება ის მას მას). მაგალითად: მერცხალი ხან ზევით ასრიალდება, ხან ქვევით ჩამოვა, თითქოს რაღაცას ეთამაშებაო (ორპირიანი) — მე ვუკითხავდი წიგნებს, გაზეთებს, ზანდახან ნარდსაც ვეთამაშებოდი (სამპირიანი; ქეგელ., ტ. 3).

ამდენად, ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ზმნის სამი ფორმა (ათამაშებს-ეთამაშება-თამაშობს), რომლებიც, ფორმოზომიერ სხვაობის მიუხედავად, ფუნქციურად აქტიური მოქმედების გამოხატველნი არიან. ჩანს, ამის გამო წარმოიქმნა ვნებითის ახალი ფორმა, რომელიც მოქმედებითი გვარის ფორმას კონვერსიულად დაუკავშირდა (ათამაშებს-თამაშდება).

ამავე ტიპისა ჩანს:

1. ა)	აკობტავებს	კობტაელება	—
ბ)	—	ეკობტაეება	კობტაობს
2. ა)	ანანებს	ნანდება ³⁰⁸	—
ბ)	—	ენანება	ნანობს

³⁰⁸ ფორმა დადასტურებულია ა. ყაზბეგთან: შეზანდა>ნანდება.

3. ა) აზარებს	(შე)-ზარდება	—
ბ) —	ეზარება	ზარობს ³⁰⁹
4. ა) ამაღლებს	მაღლდება	—
ბ) —	ემაღლება	მაღლობს

არის შემთხვევები, როცა წყვილი: მოქმედებითი-ვნებითი (კონვერსიული) არ დასტურდება:

1. ა) აკიდავებს	—	—
ბ) —	ეკიდავება	კიდაობს
2. ა) აომებს	—	—
ბ) —	ეომება	ომობს
3. ა) აბრძოლებს	—	—
ბ) —	ებრძოლება	ბრძოლობს
4. ა) ავაკრებს ³¹⁰	—	—
ბ) —	ევაკრება	ვაკრობს

ამ ტიპის დაპირისპირებებში მოქმედებითი გვარის ფორმებს ხშირად კალნატიური გაგება აქვს; შდრ.: 1. სიო ბერავდა და ათამაშებდა ნიბლიას ჭრელს ფრთებსა და ბუმბულს; ანდრო ჭერ ჩუმაღ იჭდა, დანას ათამაშებდა... — მოქმედებითი გვარის არაკალნატიური ფუნქციის გამოხატული ამ ფორმებში; 2. და სულდასა, აიშ კუქანასა, სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა... — აქ უკვე იმავე ზმნას კალნატიურის მნიშვნელობის გამოხატვა აკისრია (ზმნა სამპირიანია).

გარდა ამისა: ათამაშებს ფორმის სასხვისო ქცევაა: უთამაშებს და იგი ამ მნიშვნელობით გამოიყენება კიდეც („ქარი უთამაშებს უღროოდ გათეთრებულ თმას“), მაგრამ პარალელურად ამავე ფორმას შეიძლება საშუალო ფორმის გადმოცემის ფუნქცია დაეკისროს და მაშინ იგი ფაქტიურად თამაშობს ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა იქნება (თამაშობს მისი... „სახეზე ჩვეულებრივი ღიმილი უთამაშებდა...“ ან: „ულვაშის ღერები უთამაშებდა...“). მოქმედებითი გვარის ზოგ ზმნას კი სასხვისო ქცევის ფორმა საერთოდ არ მოეპოვება (ასეთებია: აკიდავებს, აომებს, აბრძოლებს, ანანებს, აზარებს...).

ებრძოლება-იბრძოლებს ფორმების პარალელურად გვხვდება ებრძვის-იბრძვის; ფუნქციურად ებრძოლება იგივეა, რაც ებრძვის, ხოლო ბრძოლობს ფაქტიურად იბრძვის ზმნას უთანაბრდება მნიშვნელობით. იბრძვის-ებრძვის დაპირისპირება არსებითად ისეთივეა, როგორც პრეფიქსიანი ვნებითების აბოლუტურ (ერთპირიან) და რელატიურ (ორპირიან) ფორმებს შორის. ეს ფორმები იმითაც არის საგულისხმო, რომ ი-პრეფიქსით ნაწარმოები დეპონენსური ვნებითების ბუნების გარკვევაშიც მოგვეშველება: ამ დაპირისპირებით ჩანს, რომ ი-პრეფიქსიანი ვნებითები ფუნქციით ზოგჯერ საშუალო ფორმებს უტოლდება და მათ პარალელურადაც გამოიყენება: იმუქრება-მუქარობს, ღვენთავს-იღვენთება, ყონავს-იყონება, ლოცულობს-ილოცება და ა. შ.

ასეთ დაპირისპირებულ ფორმებში უღვლილების თვალსაზრისით რაიმე თავისებურება არ დასტურდება: საშუალო ფორმები ჩვეულებრივ ივსებენ ნაკლებ მწკრივებს (ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის მოღვლით ნაწარმოები ფორმებით: თამაშობს-ითამაშებს-ითამაშა; კიდაობს-იკიდავებს-იკიდავა...), ხო-

³⁰⁹ „... თავსა შთანთქმად აღარ ზარობ...“ (ალ. კავკავეძე)

³¹⁰ ფორმა დამოწმებულია ვაჟა-ფშაველასთან: ...ყილის, ავაკრებს გლეხებსა“.

ლო ე- პრეფიქსიანი ფორმები ვნებითის უღვლილების სისტემას მიჰყვებიან- (ერთამაშება-გაერთამაშება-ეთამაშა; ეჭიდება-შეეჭიდება- შეეჭიდა). ზოგი თავისებურება აქაც იჩენს თავს. ასე მაგალითად: ეჭიდება(აჭიდებს) ფორმებისგან განსხვავებით ეჭიდავება(აჭიდავებს) ზმნას ჩვეულებრივ მყოფადის ფორმები არ ეწარმოება (ამიტომ თვით ზმნის ამ ფორმას შეიძლება ჰქონდეს გარკვეულ შემთხვევაში მყოფადის მნიშვნელობა); III სერიის ფორმები შემდეგნაირად ექნება ნაწარმოები:

I თურმობითი:	ეჭიდავ(ნ)ია *ეჭიდავებაა
II თურმობითი:	ეჭიდავ(ნ)ა
III კავშირებითი:	ეჭიდავ(ნ)ოს

ე. ი. იმგვარად, როგორც საშუალო ჭიდაობს ფორმას. (ეჭიდება ზმნის III სერიის ფორმები კი იქნება: დასჭიდებია, დასჭიდებოდა, დასჭიდებოდეს). ქართულში დასტურდება პარალელური საშუალო ფორმები:

ხტის	—	ხტუნავს
ტირს	—	ტირის
მღერს	—	მღერის
გლოვს	—	გლოვობს და ა. შ.

ზოგჯერ ამგვარი პარალელური ფორმები განსხვავებულ უღვლილებას გვიჩვენებენ. ასე მაგალითად, შდრ.:

აწმყო:	ხტ-ის მღერ-ის	ხტუნ-ავ-ს მღერ-ს
უწყვეტელი:	ხტ-ოდ-ა მღერ-ოდ-ა	ხტუნავ-დ-ა მღერ-დ-ა ¹¹
აწმყ. კავშ.:	ხტ-ოდ-ე-ს მღერ-ოდ-ე-ს	ხტუნავ-დ-ე-ს მღერ-დ-ე-ს
მყოფადი:	— იმღერებს	— იმღერს ¹²
ხოლმეობითი:	— იმღერებდა	— იმღერებდა
მყოფ. კავშ.:	— იმღერებდეს	— იმღერებდეს
ნამყო ძირ.:	— იმღერა	— იმღერა
II კავშირ.:	— იმღეროს	— იმღეროს
I თურმ.:	— უმღერია	— უმღერია
II თურმ.:	— ემღერა	— ემღერა
III კავშირ.:	— ემღეროს	— ემღეროს...

ხტის-ხტუნავს ტიპის ფორმებს შორის განსხვავება ყველა მწკრივში დას-

¹¹ „ერთი ცეკვადა, სხვა მღერდა...“

¹² პარალელურად მას აწმყოს გაგებაც აქვს: „იმღერს ლექსთა საბრალოთა...“ (რუსთველი)-

ტურდება: სხვაგვარად: ხტის ფორმას საკუთარი. პარალელური ფორმისაგან განსხვავებული უღვლილება მოეპოვება აწმყოს წრის მწკრივებით, ღანარჩენი მწკრივები მას არა აქვს, მაგრამ შეიძლება შეივსოს ხტება ინის პარალივეებით: ხტის-ახტება-ახტა... (თუმცა ჩვეულებრივ ეს არ ხდება: ახტება-ახტა ფორმები აწმყოში უპირიუელსად სწორედ ხტება ფორმას გულისმობენ); მღერის-მღერს მხოლოდ I სერიაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით, II და III სერიის ფორმები საზიარო აქვთ. პარალელურად მათ შეიძლება სუფიქსიანი ვნებითის ფორმებიც ჩაენაცულოთ: მღერის I მღერს-ამღერდება--ამღერდა-ამღერებულა, რადგან ამღერდება-ამღერდა აწმყოს ფორმად სწორედ მღერის ზმნას იყენებს, *მღერდება ფორმის უქონლობის გამო.

განსხვავებულად აწარმოებენ მყოფადს აგრეთვე გლოვს-გლოვობს, ფეთქს-ფეთქავს ტიპის ფორმები:

აწმყო:	მყოფადი:
1. გლოვს	გლოვს ¹¹³
გლოვობს	გლოვებს
2. ფეთქს	ფეთქებას
ფეთქავს	ფეთქავს და ა. შ.

საშუალი ზმნების უღვლილებისას ყურადღებას იქცევს მეშველზმნიანი ფორმები.

საერთოდ, მეშველზმნიანი ფორმების განაწილება მწკრივთა მიხედვით ამგვარია: აწმყოში იგი დაერთვის ზოგიერთ საშუალ ზმნას, თურმეობითში — მოქმედებითი გვარის ზმნებსაც (დაუხატავხარ! დაუხატხარ...). მეშველი ზმნები „დაერთვის პირველსა და მეორე პირს ორსავე რიცხვში, მესამეს — არა“¹¹⁴. ამიტომაც სწორედ პირველი და მეორე პირის ფორმებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ძველსა და ახალ ქართულში ის ზმნები, რომელთაც ახალ ქართულში მეშველი ზმნები დაერთო: ვზი-ვზივარ, ჰზი-ჰზივარ; ვდგა-ვდგავარ, სდგა-დგახარ; ვდუმი-ვდუმვარ, სდუმი-დუმვარ; ვრბი-ვრბივარ, პრბი-რბიხარ; ვწუხ-წუხვარ, სწუხ-სწუხარ; ვწევ-წევვარ, სწევ-წევხარ და მისთნ.

საშუალი ზმნებიდან მეშველი ზმნები ძირითადად „მედიოპასივებს“ დაერთვის, იშვიათად — მედიოაქტივებსაც. მედიოპასიურებია: ვდგავარ, დგახარ; ვზივარ, ზიხარ; ვწევარ, წევხარ; ვუყვარვარ, უყვარხარ; ვძულვარ, სძულხარ; ეს ფორმები ახალ ქართულში მეშველი ზმნის გარეშე არ გამოიყენებიან: ვხატავარ, ხატხარ; ვაბარავარ, აბარხარ ტიპის სტატიკური ფორმებიც ამ მხრივ მედიოპასიურ ზმნებს ეკედლებიან. რაც შეეხება მძინავს, გძინავს, მწყინს, გწყინს ტიპის „მედიოპასივებს“, მათ ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ მეშველზმნიანი ფორმები იმის გამო, რომ მათი გრამატიკული წარმოების (გაგ. ფორმატ-წარმოების) არე შედარებით შეზღუდულია (ენაში არ არსებობს გაცება, რომელიც შეიძლება ამდროინდელს ამ ხელოვნურად ნაწარმოები ფორმებით: *ვძინავ-ვარ, *სძინავხარ; *წყვინვარ, *სწყვინხარ... თუმცა გრამატიკული თვალსაზრისით აქ შეუძლებელი არაფერია).

¹¹³ ეს ფორმაც პარალელურად აწმყოს გამოხატავს.

¹¹⁴ ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიანი ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ, 1964, გვ. 97.

თუკი „მედიაოპასიური“ მეშველზმნიანი ფორმების ჩამოყალიბება ძირითადად დასრულებულია, ამ მხრივ „მედიაოპტიკურ“ ზმნებში მერყეობა შეინიშნება არა მარტო დიალექტებში, არამედ სალიტერატურო ქართულშიც. ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება: ვტირი-ვტირივარ, სტირი-სტირიხარ; ვჩივი-ვჩივივარ, ჩივი-ჩივიხარ; ვყვირი-ვყვირივარ, ყვირი-ყვირიხარ; ვბლავი-ვბლავივარ, ბლავი-ბლავიხარ; ვკვენსი-ვკვენსივარ, კვენსი-კვენსიხარ; ასევე: ვგორავ-ვგორავარ, გორავ-გორავხარ; ვცურავ-ვცურავარ, ცურავ-ცურავხარ; ვბორავ-ვბორავარ, ბორავ-ბორავხარ, ვღელავ-ვღელავარ, ღელავ-ღელავხარ და ა. შ.



ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რამ გამოიწვია საშუალ ზმნათა ნაკლებ პარადიგმებში იმავე ფუძისგან მოქმედებითისა და ვნებითის მოდელით ნაწარმოები ფორმების ჩანაცვლება? თითქოს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გამოიწვია ამ ზმნათა ფუნქციამ: მოქმედებითის მნიშვნელობისაკენ გადახრილ საშუალ ზმნებს — მოქმედებითი ჩაენაცვლება (სწავლობს-ისწავლის...), ვნებითობის ფუნქციასთან მიახლოვებულებს — ვნებითი (ღვას-იდგება-იდგა...). მაგრამ სინამდვილეში ასე არ უნდა იყოს; ყოველ შემთხვევაში თუკი საშუალი ფორმების ერთ ნაწილზე მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება ამის თქმა, მეორე ნაწილი იმავე ფუნქციის მქონე ფორმებისა აშკარად არ ემორჩილება ამგვარ განაწილებას, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი პარალელურად ჩაინაცვლებენ უღვლიანების ნაკლებ პარადიგმებში როგორც მოქმედებითის, ასევე ვნებითის მოდელით ნაწარმოებ ფორმებს. ამგვარ ფორმათა თაობაზე ზემოთ იყო საუბარი/ამ შემთხვევაში შემორჩენილი უნდა იყოს უძველესი ვითარება, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ზმნის გვარის კატეგორია, ჯერ არ არსებობდა სტაბილური ფუნქციის მატარებელი სტაბილური ფორმები ზმნისა და ნებისმიერ ფორმას ფაქტიურად შეეძლო მიეღო ნებისმიერი მნიშვნელობა იმის მიხედვით, თუ რომელ გრამატიკულ სისტემაში მოხვდებოდა. სხვაგვარად: ზმნის გრამატიკული მნიშვნელობა კონსტრუქციაში დგინდებოდა, რის გამოც ერთგვარ კონსტრუქციაში ზმნის სხვადასხვა ფორმა ერთ მნიშვნელობას ღებულობდა და ერთ გრამატიკულ სისტემაში ექცეოდა; ანუ: იწუხებს ზმნა კონსტრუქციაში: „კაცი იწუხებს“ იმავე მნიშვნელობისაა, რაც წუხს ზმნა კონსტრუქციაში: „კაცი წუხს“, განსხვავება მხოლოდ დროშია და ამიტომაც ეს ორი ზმნა ერთმანეთს დაუპირისპირდა როგორც ერთი გრამატიკული მნიშვნელობის მქონე. მაგრამ სხვადასხვა დროის აღმნიშვნელი ფორმა. იგივე იწუხებს ზმნა კონსტრუქციაში „თავს იწუხებს“ უკვე სხვა გრამატიკულ მნიშვნელობას იძენს და ამის გამო უღვლიანების სულ სხვა სისტემაში მოექცევა.

როცა ვამბობთ, რომ ეს უძველესი ვითარებაა, მხოლოდ რამდენიმე უძველესი ზმნის სისტემას ვგულისხმობთ; მაგრამ შემდგომ ეს სისტემა, გვარის კატეგორიისა და, შესაბამისად, სტაბილური ფორმების ჩამოყალიბების მიუხედავად, ანალოგიით გავრცელდა იმავე გრამატიკული მნიშვნელობის მქონე შედარებით ახლადწარმოქმნილ ფორმებზეც (ცივობს, ზარობს, ჩქამობს, ლაფობს და მისთან.). გავრცელდა იმის შემდეგ, როცა უკვე არსებობდა შესაბამისი მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები (აცივებს-ცივდება...), და ჩანს ამის გამო გახდა შესაძლებელი საშუალ ზმნათა ნაკლებ პარადიგმებში მოქმედებითისა და ვნებითის მოდელით ნაწარმოები ფორმების ამოცნობა, ფორმებისა, რო-

მელთაც რეალურად არც მოქმედებითისა და არც ვნებითის გაგება არ უკავშირდება. ვიმეორებთ: ესაა ძველი ვითარება ანტიბუღურად (გვარის ახლად ჩამოყალიბებული კატეგორიის საფუძველზე) გაგებულნი.

11. „საშუალი“ ზმნების სინტაქსური ბუნებისათვის

საშუალი ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთპირიანი, ასევე ორპირიანი. ერთპირიანებია: ღვას, წევს, ზის; ბიბინებს, ფრიალებს, ტრიალებს, ქრის, თოვს, წვიმს, მეფობს, ამაყოფს, არსებობს, ბუდობს, გორავს, ტოკავს, ღოღავს და ა. შ. ორპირიანებია: უყვარს, სძულს, სძაგს, ჰყავს, აქვს და მისთნ. წარმოშობით ორპირიანებია, მაგრამ ახლა ერთპირიანი ზმნის გაგება აქვთ სძინავს, ღვიძავს ფორმებს. ორპირიანებია აგრეთვე აღნიშნული ერთპირიანი ზმნების შესაბამისი სასხვისო ქცევის ფორმები: უღდას, უწევს, უზის; უბიბინებს, უფრიალებს, უტრიალებს, უქრის, უთოვს, უწვიმს, უგორავს და ა. შ. ზოგს კი სასხვისო ქცევის ფორმა არ მოეპოვება (ასეთებია: მეფობს, ამაყოფს... ზმნები).

მათ გვერდით გამოიყოფა საშუალი ზმნების ერთი ჯგუფი, რომლებსაც კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება ჰქონდეთ როგორც ერთპირიანი, ასევე ორპირიანი ფორმების გაგება; ესენია: წუხს, ყვირის, ტირის, მღერის, ჩივის, კვიის და მისთნ. თითოეულ მათგანს კონსტრუქციაში შეიძლება შეეწყოს ობიექტი, რომელიც რეალური ობიექტის (resp. პირდაპირი დამატების) ფარდობა იქნება თავისი გაგებით: წუხს, ყვირის, სტირის, მღერის, ჩივის, კვიის ის მას... ეს მოვლენა თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში სათანადოდ აღნიშნა ა. შანიძემ „სტიროდა მას მწარედ“ ტიპის მაგალითების საფუძველზე.³¹⁵ საქმარისია ზემოაღნიშნულ ფორმათაგან ზოგიერთს სასხვისო ქცევის ფორმანტი დაერთოს, რომ მათ ფუნქციურად შესაძლოა სამი პირიც დააკავშირონ: უყვირის, უჩივის, უკვირის — ის მას მას. ამ ზმნების აღნიშნული თავისებურების გამოა, რომ ზოგჯერ ისინი გარდამავლებად მიაჩნიათ,³¹⁶ ზოგჯერ — გარდაუვალებად.³¹⁷ სინამდვილეში ამ ტიპის ზმნები კონსტრუქციიდან განყენებულად არ შეიძლება ჩაითვალოს არც გარდამავლებად და არც გარდაუვალებად; იმის მიხედვით, დასტურდება თუ არა კონსტრუქციაში პირდაპირი დამატება, თითოეული მათგანი შეიძლება იყოს გარდამავალიცა (ე. ი. ჰქონდეს მოქმედებითის ფუნქცია) და გარდაუვალიც (საშუალი ფორმის ფუნქცია): ტირიდა ის — „საშუალი“ ფორმაა, ხოლო: სტიროდა ის მას — მოქმედებითი გვარის ფუნქციის მქონე.

ამ ტიპის ზმნები, ჩანს, იმ ძველ ვითარებას გვიჩვენებენ, როცა გვარის კატეგორია ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული და კონსტრუქცია განარჩევდა ზმნებს აქტიურობა-პასიურობის მიხედვით. ეს თავისებური ანარეკლი უნდა იყოს იმ ლაბილური კონსტრუქციისა, რომელიც დღესაც დასტურდება ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში (მაგალითად, ხუნძურში).

ამ ზმნებში ასეთი ორგვარი მნიშვნელობის არსებობა უთუოდ მათი სე-

³¹⁵ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში; ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ 158-159.

³¹⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 582 (ჩივის).

³¹⁷ ქველ, ტ. 8 (ჩივის).

მანტიკითაა განპირობებული: ყვირის, ჩივის, ტირის, მღერის... შეიქლება გავებული იქნას ერთ შემთხვევაში როგორც მდგომარეობა და მეორე შემთხვევაში როგორც მოქმედება... ორივე შემთხვევაში II სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში იქნება დასმული. მოქმედებითი გვარის ფუნქციის ასე ელიერ წარმოჩენა ამ შემთხვევაში უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ამ ზმნების შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმები ქართულში ფაქტიურად კავშირით-რი ბუნებისა არიან: აყვირებს, აჩივლებს, ატირებს, ამღერებს...

ამდენად, ტირის, ყვირის, ჩივის ტიპის ზმნებში მკვეთრად არაა დიფერენცირებული მოქმედებითი გვარისა და საშუალო ფორმის ფუნქცია, არ არის დასრულებული მოქმედებითი და „მედიალური“ მნიშვნელობების ურთიერთგამოყოფა.

ზემოდასახელებულ საშუალო ფორმებთან რომ პირდაპირი დამატების გამოყენება შემთხვევითი არ არის, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს პირდაპირი დამატება შესაძლებელია ყველა პირის ფორმით იყოს წარმოდგენილი; ასე მაგალითად, ერთ-ერთ დიალექტში დადასტურებულია ფორმა: „ნუ მტირ მე, დედაო!“³¹⁸ ქართულ ლიტერატურულ და დიალექტურ ძეგლებში მსგავსი მაგალითები საკმაო რაოდენობით მოიძებნება. მაგალითად, ძველ ქართულში: „რაქელ სტიროდა შვილთა თვისთა...“ ან: „მამანი სტიროდეს შვილთა თვისთა და შვილნი სტიროდეს მამათა თვისთა...“³¹⁹ გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: „იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“. მაგალითი თანამედროვე ქართულიდან: „იჭდა მერე ასე სკვარამი კულუმბურით და ცეცხლში ერთადერთი თვალით ჩაშტერებული ფიქრობდა უკუღმართ ფიქრებს თავის კვიშატსა და ყოვლად მკვარანცხ საქმეებზე“ (დ. შენგელაია, თბილუბანი, I, თბილისი, 1968, გვ. 197). უკანასკნელი მაგალითი იმითაა საინტერესო, რომ აქ ნათლადაა წარმოჩენილი ის „გარდამავალი“ საფეხური, რომელიც ტირის, ჩივის, ფიქრობს ტიპის ზმნებს ახასიათებთ: კონსტრუქციიდან: „ფიქრობს ფიქრებს თავის საქმეებზე“ შესაძლებელია ამოვარდეს პირდაპირი დამატება (ფიქრებს) და მისი ადგილი უბრალო დამატებამ დიკავოს (საქმეებზე): ფიქრობდა თავის საქმეებზე... ამგვარი პარალელური კონსტრუქციები ქართულში მრავლად შეიძლება დაიძებნოს. მაგალითად:

ჩივის: $\left\{ \begin{array}{l} \text{(გარდაუვალი მნიშვნ.): შენს მტირ აღარავინა ჩივის?} \\ \text{სათითაოდ საიდან დავიხსოვო თქვენი საქმე და} \\ \text{გვარები.} \\ \text{(გარდამავალი მნიშვნ.): შენ რაღას ჩივი, გუგულო?..} \\ \text{პართალს ჩივი...} \end{array} \right.$

ფიქრობს: $\left\{ \begin{array}{l} \text{(გარდაუვალი მნიშვნ.) კონსტრუქციაში უკავშირდება} \\ \text{უბრალო დამატება): მონებიც ყოველთვის თავისუფ} \\ \text{ლებზე ფიქრობდნენ...} \\ \text{(გარდამავალი მნიშვნ.) კონსტრუქციაში უკავშირ} \\ \text{დება პირდაპირი დამატება): მხოლოდ არწივი არა} \\ \text{ფიქრობდა არსად წასვლას.} \end{array} \right.$

³¹⁸ ო. შანიძე, სუბექტური პრეფიქსი მეორე პირისა... გვ. 158.

³¹⁹ იქვე, გვ. 168.

- (გარდაუვალი მნიშვნ.): ზარის ხმა დანოტიებულ პაერში მწუხარედ უღრიალებდა.
- უღრიალებს:** { (გარდამავალი მნიშვნ.): კბილჩაცვინული თისპარამონია კი ამ დროს „კეე-უოკს“ ისევე ვითომდა იგრერალა თავალებულად, მაგრამ საბრალოდ უღრიალებდა (დ. შენგელია, ამბავი თიროსმანისა, გაზეთი: ლიტერატურული საქართველო, 1970, 1, გვ. 3).
- წუხს:** { (გარდაუვალი): ...ისე წუხს შენს საქმეზე.
(გარდამავალი): მე იმას ვწუხდი, რომ შვილი არა მყავდა.
- თამაშობს:** { (გარდაუვალი): ძალი ხტოდა, თამაშობდა; მეტეხის თავზე თამაშობს ქარი; მზე მხიარულად თამაშობდა კლდის თლილ გვერდებზე.
(გარდამავალი): ...ბავშვებიც სწავლის შემდეგ თამაშობდნენ ძერა-ძერას... ბიჭები კოჭსა თამაშობდნენ; ხელგაშლით ვთამაშობდით ქალაქს; თამაშობდნენ ერთ პიესას...

განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, როცა უკვე მოქმედებითი გეარის ფორმას ენიჭება გარკვეულ კონსტრუქციაში საშუალო ზმნის ფუნქცია:

1. ხურავს:

ა) ხურო სახლს ხურავს—ხურომ სახლი დახურა, — გარდამავალი, მოქმედებითი გეარისაა.

ბ) მას თავზე ქული მხურავს—მას თავზე ქული ეხურა, — გარდაუვალია, საშუალოა, სტატიკაა.

2. ბურავს:

ა) ნისლი მთას ბურავს—ნისლმა მთა დახურა, — გარდამავალი, მოქმედებითი გეარისაა.

ბ) მთას ნისლი ბურავს—მთას ნისლი ეხურა, — გარდაუვალია, საშუალოა, სტატიკაა.

3. (ს)ცემს:

ა) გაღმა ხეს ჩიჩქნის კოდალა, ნისკარტს სცემს, დააკრიალებს, (გარდამავალი, მოქმედებითი გეარისა, სამპირიანი);

მეცხვარე საწყალ ცხვრებს სცემლა დიდი კომბლით (მოქმედებითი გეარისა, ორპირიანი).

ბ) რა თმა აქვს და! კოჭებამდინა სცემს; შუქი პირდაპირ თვლებში სცემდა (გარდაუვალი, საშუალო, სტატიკა, ორპირიანი);

გული ცემს... (გარდაუვალი, საშუალო, სტატიკა, ერთპირიანი).

4. ცრის:

ა) ფქვილს ცრის, — (გარდამავალი, მოქმედებითი გეარისა.)

ბ) ...ამგვარი წვიმა ხან რამდენსამე დღეს განუწყვეტლად ცრის... — (გარდაუვალი, საშუალო, სტატიკა.)

მართალია, ამგვარი ზმნების რაოდენობა არც ისე დიდია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შემთხვევით ფორმებს, ან გამოწვევებს არ უნდა წარმოადგენდნენ.

ესენი, ჩანს, ნაშთის სახით იმ უძველეს ვითარებას წარმოგვიდგენენ, როცა გვარის ფორმათა დიფერენციაცია ჯერ დასრულებული არ იყო და ზმნის თითოეული ფორმა კონსტრუქციის მიხედვით გვარის ამა თუ იმ ფორმის ფუნქციით იტვირთებოდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზმნის ერთსა და იმავე ფორმაში გარდამავლობისა და გარდაუვალობის ამგვარი ფუნქციური ცვლილება ხშირად გავლენას ახდენს უღვლილების სისტემაზე, ე. ი. ფაქტიურად იგი ფორმითაც გამოვლინდება. შდრ.:

	გარდამავალი	გარდაუვალი:
აწმყო:	ხურავს	ხურავს
უწმვერტელი:	ხურავდა	(ხურავდა)
აწმყ. კავშ.:	ხურავდეს	(ხურავდეს) ³²⁰
მყოფალი:	დახურავს	ეხურება
ხოლმეობითი:	დახურავდა	ეხურებოდა
მყოფ. კავშ.:	დახურავდეს	ეხურებოდეს
ნამყო ძირ.:	დახურა	ეხურა
II კავშირ.:	დახუროს	ეხუროს
I თურმეობ.:	დაუხურავს	(3)ხურებია
II თურმეობ.:	დაეხურა	ხურებოდა
III კავშირ.:	დაეხუროს	ხურებოდეს

საშუალო ფორმის ფუნქციით ხურავს ზმნის ნაცვლად ზოგჯერ *ჰხურია* (ახურია) გამოიყენება; მისი უღვლილება ზუსტად იმეორებს სტატიკური ხურავს ფორმის პარადიგმებს. აქვე საჭირო ჩანს აღინიშნოს, რომ მოქმედებითი გვარის ხურავს ზმნის I თურმეობითის ფორმა ზოგჯერ (ჩვეულებრივ დიალექტებში) ასეა წარმოდგენილი: *დაუხურია*...

ზოგჯერ საშუალო ფორმის ფუნქციით გამოყენებულ ამ ტიპის ზმნებს (მოქმედებითებისაგან განსხვავებით) მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ:

აწმყო:	ერის	ერის
უწმვერტელი:	ერიდა	ერიდა
აწმყ. კავშ.:	ერიდეს	ერიდეს
მყოფალი:	გაცრის	—
ხოლმეობითი:	გაცრიდა	—
მყოფ. კავშ.:	გაცრიდეს	—
ნამყო ძირ.:	გაცრა	—
II კავშირ.:	გაცრას	—
I თურმეობ.:	გაუცრია	—
II თურმეობ.:	გაეცრა	—
III კავშირ.:	გაეცრას	—

III. ნასახელარი „საშუალო“ ფორმები

ნასახელარი „საშუალო“ ფორმების წარმოება საკმაოდ პროდუქტიულია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. საშუალო ნასახელარი ზმნები აწმყოში ძირითადად სახელის ფუძეზე თემის ნიშნის დართვით იწარმოება. ახალ ქართულში თემის ნიშნისაგან საშუალო ნასახელარი ზმნების ფორმებში გამოიყე-

³²⁰ ხურავდა, ხურავდეს ფორმები სალიტერატურო ქართულში არ იცის.

ნება -ავ და -ობ, აგრეთვე: -ებ, რომელიც ახალ ქართულში ძირითადად ფუძე-ჯაორეცეხულ საშუალ ზმნებს დაერთვის: ზანზარებს, ბიბინებს, გუგუნებს და ა. შ. ძველ ქართულში პროდუქტული იყო -ოვ სუფიქსიც. არის შემთხვევები, როცა საშუალი ფორმა იწარმოება მიმღებებზე (res). ნაზმნარ სახელებზე) ზემოაღნიშნული თემის ნიშნების დართვით.

ძველ ქართულში ზოგჯერ დასტურდება ნასახელარი ზმნების სამივე ფორმა, რომელთაგან ახალ ქართულში დარჩა მხოლოდ ორი: მოქმედებითი და ვნებითი. ასეთებია, მაგალითად, აღამალდა-აღმალდა-მალღოვინ; განამდიდრა-განმდიდრა-მდიდროვინ და ა. შ. ძველ ქართულში ჩვეულებრივია შემდეგი საშუალი ფორმები: პერ-ოვ-ინ (პერი — ქაფი, — საბა; ახლა ეს სიტყვა დიალექტებშია შემორჩენილი, მაგალითად, ხეესურულში, თუშურში); ცრემლოვინ, ბუტკოვინ (ბუტკო: „რა დაიუყუვილოს და ხილი აღმოჩნდეს“, — საბა, უდრის დაახლოვებით ახალი ქართულის ყვავილობს ფორმას); წყაროვინ, თესლოვინ და ა. შ.

სშირია ძველ ქართულში -ობ თემის ნიშნით ნაწარმოები ნასახელარი „საშუალი“ ზმნებიც. განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ ზმნებზე, რომლებიც ახალ სალიტერატურო ქართულში, ჩვეულებრივ, აღარ გამოიყენება: ჰმადლობს, ტოზიკობს, სახიობს, ჰყვარობს, მღდღობს, ეისიკოპოსობს, კათალიკოზობს, ბრძნობს (იბრძნობს), ღონიერობს, მთავრობს, დღესასწაულობს, მოქალაქეობს (იმოქალაქეობს), ზუაობს, მწირობს, კელობს, ფამობს, ანჭმნობს, ძნობს (ძნობი: შეწყობილი ხმა), არვეობს (რომელიც „ძველ ქართულში თავისებური ნეოლოგიზმია“³²¹). დასტურდება პარალელური წარმოება: მიფფობს|| მეთუფებს; ჯელმწიფობს || ქელმწიფებს...

-ავ თემისნიშნებიდან ყურადღებას იპყრობს: ჰშორავს, მიძლავს ტიპის ფორმები.

„საშუალი“ ნასახელარი ფორმები სშირია დიალექტებშიც. აქ, რასაკვირველია, იგულისხმება ის ფორმებიც, რომლებიც იშვიათია ან საერთოდ არ გამოიყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ხალხური ლექსი („თავფარავნელი ქაბუკი“. — სათაური პირობითია), რომელშიც თითქმის ყველა სართიმო სიტყვა „საშუალი“ ზმნაა (მათგან სშირია „საშუალი“ ნასახელარი ფორმაც):

თავფარავნელი ქაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასელას შიგ არა ზარობდა,
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა,
ერთი ავსული ბებერი ეაყისთვის ავსა ლამობდა,
სარკმელზე ანთებულ სანთელს აქრობდა, აბეზარობდა,
თან ამას ეუბნებოდა: — წინადაც ევა გყვარობდა,
ეაყი მიანგრავს ტალღებსა, გულ-მკერდი არა ჩამობდა,
ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, ცალ ხელით ნიავქარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი ვამოღმა კელაპტარობდა,
ღამე ჩამოღვა წყვილიადი, უკუნს რამესა ჰგვანობდა,

³²¹ ი. ქაეთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 116.

ტალა ტალაზე ნაკემი ეყის ჩანთქმასა ლამობდა.
დაჰკარგა ფონი, შეძქირდა, მორევი ბოხოქარობდა,
გათენდა დილა ლამაზი, კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრჩო ქაბუკი, ქოროხზე ეგდო, ქანობდა,
წითელი მოვის პერანგი ზევიდან დაჰფარფარობდა,
ლემს დასჯდომოლა ზედ ორბი, გულს უგლეჯავდა, ხარობდა.³²²

თავისებური „სამშუალი“ ფორმების (მათ შორის ნასახელარი ფორმების) სიმრავლე შეინიშნება ზოგიერთი ქართველი მწერლის თხზულებაში. ასე მაგალითად, ალ. ქავჭავაძისათვის ჩვეულებრივია ფორმები: იგი გტრფოდა (თხზულებანი, 1940 წ. გვ. 3), შენ თუ ვისობ, სხვა ეძიე რამინა; ცუდ მაშვრალობ... (იქვე, გვ. 9); მარქვ, ეკლოსანობ ასე რად (იქვე, გვ. 13); უძრავად ვმდუმარეობ (იქვე, გვ. 19); შენ რად შმაგობ (იქვე, გვ. 21); სამეფონი ურთიერთას მქცევლობენ, შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხეველობენ, მდიდრდებიან, რომელნიცა მძევლობენ და ყვაიილოვნებენ მდაბალთ ჩაგვრიით... (იქვე, გვ. 30); მშვილდისა წვერსა გადმოხრილობენ, მეღნის ტბათ გარე სხვანი გრილობენ, მათ გარეშეცა პინდნი ყრილობენ... (იქვე, გვ. 43); დაწვსა ჰფერობენ ვარდნი გაშლილნი (იქვე, გვ. 43); სხუულით ნაკლობ და ავ-ციბაქობ, არცა თვით გემოვნებ, სხვათა-ცა აყოვნებ (იქვე, გვ. 42); აჰა, თქვენ სატვირთოდ ქალაღდი ველობს, და ველსა მას ხუთი ერთურთ მრწყეველობს... მან გცესთ სხივნი, რომელი მნათობლობს (იქვე, გვ. 46); ვინცა გგუჰაკობს, ცუდ მუშაკობს (იქვე, გვ. 64); თუ მხენელი თითონ ვარგობს (იქვე, გვ. 130) და ა. შ.

ხშირია შემთხვევა, როცა სარითმო სიტყვებს „სამშუალი“ ფორმები წარმოადგენენ (ზემოაღნიშნული ხალხური ლექსის მსგავსად) და მათ შორის ყოველთვისაა თავისებურად ნაწარმოები „სამშუალი“ ნასახელარი ზმნა (ყოველ შემთხვევაში ფორმა, რომელიც თანამედროვე ქართულში არ დასტურდება):

ტანად სარო ხარ, ვარდებრ დაწვნი შენნი ღბილობენ,
დალალ თმაშია გიშრის ბეწვნი ხშირად ყრილობენ,
ვაჰ, ძუძუ-მეკერდი, კოკობ-ვარდნი ნაზად შლილობენ,
და შენნი მნახნი ქართველ-კახნი შენზედ ცილობენ (იქვე, გვ. 11). აღნიშნული ფორმები მიმღეობას (ნაზმნარ სახელებს) იყენებენ ფუძედ: ყრილობენ (<ყრილობს<შე-ყრილ-ი>); შლილობენ (<შლილობს<შლილ-ი>); ღბილობენ (<ღბილობს<ღბ-ილ-ი<ღბ-ებ-ა>). თავისებურია ფორმები: ჰსტრფობ, რომელსაც ახალ ქართულში ცვლის ეტრფი ფორმა: ასევე: ჰყვარობ, ზარობ („თავსა შთანთქმად აღარ ზარობ“, იქვე, გვ. 80), რომელსაც ახალ ქართულში გეზარება ფორმა ცვლის; მღერობს (იქვე, გვ. 81; ახალ ქართულში: მღერის); მჭევრობს, გარდამეტობს (იქვე, გვ. 81) და სხვა.

ამგვარი ნასახელარი „სამშუალი“ ზმნების სიმრავლე დავით გურამიშვილის პოეზიაშიც შეინიშნება: „გუფი არ მაგრობს, ამაზე ჩაგრობს, მზე-მთვარე ბადრობს, დარი კი ავდრობს...“

ძველ ქართულში დასტურდებოდა წითს, ყვიოს ფორმები. რომლებიც

³²² ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია (I: გამოცემა), თბ., 1961 გვ. 29—30; ლექსი გადაბეჭდილია კრებულში: „ხალხური სიმბრანე“, ტომი IV, 1965, გვ. 346—347.

ახალ ქართულში საერთოდ არ გვხვდება, მათ ცულის ნასახელ. რი სუფიქსიანო
უნებითის ფორმები, რომლებიც თითქმის იმავე ფუნქციით გამოიყენებოდნენ:
წითლდება, ყვითლდება. ზოგჯერ დასტურდება ძველი და ახალი წარმოების
თავისებურად კონტრამინირებული ფორმა: „ვენახე, ვარდი სწითლდა...“

როგორც ჩანს, „საშუალო“ ნასახელარი ფორმების და საერთოდ საშუალო
ფორმების წარმოება (როცა საქირო ხდებოდა მდგომარეობის, სტატივის გ-
მოხატვა) არ იყო ისე შეზღუდული, როგორც ეს ახალ სალიტერატურო ქართუ-
ლშია. ამასვე მოწმობენ ქართული ენის დიალექტები. სადაც ბუხებრივი, ჩვეუ-
ლებრივი ჩანს ისეთი ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში საერ-
ოდ არ დასტურდება. ასე მაგალითად, მოხეურში: გადასაჯადსაც კლილობს
(ქართული დიალექტოლოგია. 1. გვ.27); მთიულურში: სულ ფრინაობენ (იქვე,
გვ. 63; შდრ.: ეულგარული: კოცნაობენ); ემ ტანისამოსსა სწუნაობს (იქვე, გვ.
65); შიგნიკახურში: ხარები ბარგანაობენ (იქვე, გვ. 180); აღარ ბუობდნენ
(იქვე, გვ. 180); ქიზიურში: ცოტა ლაფობდა (იქვე, გვ. 213); ფერიდნულში:
რათი სუილობ ემასაო (იქვე, გვ. 262); ქართლურში: სახენწიფოს უფლობს (იქ-
ვე, გვ. 293); ჭავჭავურში: ხარი ბუზარაიმს (იქვე, გვ. 333) და ა. შ.

IV. „საშუალო“ ფორმების წარმოების ზოგი თავისებურება

საშუალო ფორმების წარმოება რიგ თავისებურებას ვეჩვენებს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასტურდება ერთი მხრით:
მღერის, ტირის, ჩივის, კივის, ყივის... ხოლო მეორე მხრით: ღუმს, სძულს,
სწადს, ჰსურის... ზმნები. ორივე ტიპის ზმნებს მოეპოვებათ პარალელური ფო-
რმები, რომლებიც ძველი ქართულის ან დიალექტების კუთვნილებაა:

მღერის-მღერს, ტირის-ტირს („...ტირს, იზახის ვაგლახ-ვასა...“ ...ნიდაგ-
: მცა ჩემებრ ტირასა...“) ჩივის-ჩივა (დიალექტ.), ყივის-ყივა (დიალექტ.), კივის-
კივა (დიალექტ.) და ა. შ.

ასევე: ღუმს-ღუმის, სძულს-სძულის, სწადს-სწადის, სწადია, ჰსურს-
ჰსურის და ა. შ.

შემდეგ: ბორავს-ბორავს, კენესის-კენესავს (დიალექტ.) და ა. შ.

დასტურდება სხვა ტიპის პარალელური ფორმებიც: გორავს-გორაობს
(<*გორავობს), ცურავს-ცურაობს (<*ცურავობს), ხტის-ხტუნავს-ხტუნაობს
(<*ხტუნავობს), ფრინავს-ფრინაობს (დიალექტ. <*ფრინავობს) და მისთნ.

გამოიყოფა აგრეთვე შემდეგი პარალელური ფორმები: ლიწინებს-ლაწუ-
ნობს, ჭყიპინებს-ჭყაპუნობს, ტყიპინებს-ტყაყუნობს, კრიპინებს-კრაყუნობს,
პრიპინებს-პრაყუნობს, რინინებს-რაპუნობს, ღრიპინებს-ღრაყუნობს და ა. შ.

ასევე: წვეთს-წვეთავს, ღრენს-ღრინავს, ფეთქს-ფეთქავს, გლოვს-გლო-
ვობს და ა. შ.

ყველა ფორმის ამგვარ პარალელურ წარმოებას შეიძლება დაეჭვნოს თა-
ლისი მიზეზი.

1. მღერის-მღერის, ღუმს-ღუმის ტიპის ფორმები სპეციალურ ლიტერატუ-
რაში სავანებო შესწავლის საგანს წარმოადგენდნენ. მიღებული დასკვნის თა-
ნახმად, -ი სუფიქსიანი ფორმები წარმოშობით ხოლმეობითობია, ხოლო იმის

გამო, რომ ძველი ხოლმეობითი „ფუნქციით აწმყოს მაგივრობას ეწვეა“;³²⁷ მღერის, ღუმის ტიპის ზმნებიც აწმყოდ იქნა გაგებული. მაგრამ არსებითი და სიათის ცვლილებაც მოხდა: მღერის ტიპის ზმნებს „შემორჩათ ეს სუფიქსი და პარალელური ფორმები ძირითადად დიალექტებში დასტურდება, ხოლო ღუმის ტიპის ფორმებმა იგი დაკარგეს; ახლა პირის ნიშნად III პირის ფორმაში -ა დაირთეს: სწადის-სწადია... ჩანს; ანალოგიურად უნდა აიხსნას ზორგის-ზორგავს ტიპის პარალელური ფორმებიც, იმ განსხვავებით, რომ მათ ახალ ქართულში -ავ თემის ნიშანი დაირთეს.

2. ასევე -ავ თემის ნიშანი დაირთეს წვეთს, ღრენს ტიპის ფორმებმა. ეს უნდა მომხდარიყო თანამედროვე აწმყოს მწკრივის ჩამოყალიბების შემდეგ. ეს თავისებური ანარეკლი ჩანს ის საერთო პროცესისა, რის შედეგადაც აწმყოს თემატიკით ფუძე დაუპირისპირდა ნაყოფი ძირითადის ათემმატიკურ ფუძეს. ამავე მიზეზით უნდა დართოდეს -ოზ თემის ნიშანი გლოვს ზმნას. ამის საფუძველზე ღრენს-ღრენავს ტიპის ზმნები მწკრივითა ფლექსიური წარმოებიდან აგლუტინაციურზე გადავიდნენ (შდრ.: ღრეკს-ღრეკა|ღრეკავს-ღრეკა ტიპის ფორმები).

3. გორავს-გორაოზს ტიპის ფორმები ერთმანეთის მიმართ პარალელურად შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც ყველა მათგანი „მედიუმის“ ფუნქციას გადმოსცემს და მნიშვნელობითაც ერთმანეთის ფარდნი არიან. შეინიშნება ერთგვარი შინაარსობრივი სხვაობაც. კერძოდ, -ოზ თემისნიშნის საშუალო ზმნები მდგომარეობის მეტ განზოგადებას ახდენენ, ვიდრე სხვა თემის ნიშან დართული ფორმები. და, მართლაც, თუკი გორავს უმეტესად აწმყოს ფუნქციის მატარებელია, გორაოზს (<*გორავოზს) ფორმა უფრო „ზოგად აწმყოს“ განეკუთვნება; სხვაგვარად: აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ; ხდება, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ საგნისთვის (რესპ. პიროვნებისათვის). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ფუნქცია აწმყოს მწკრივის ბევრ ფორმას ახასიათებს საერთოდ, მაგრამ ზემოაღნიშნულ ფორმებში ეს ზოგადობა უფრო მეტად ხაზგასმულია, მეტადაა წარმოჩენილი.³²⁸ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს ფუნქცია სწორედ -ოზ თემისნიშნის საშუალო გვარის ფორმებს შოგაოვება,³²⁹ რადგან ეს თემის ნიშანი თავისი ფუნქციით იმ -ოზასუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც აბსტრაქტულ სახელთა ერთ-ერთ მწარმოებლადაა გამოყოფილი: ახალგაზრდობა, კაცობა, ბავშვობა, ქართველობა და ა. შ. აღნიშნულია, რომ „ეს სუფიქსი საწყისური (მასდარული) წარმოშობისაა და რთულია“, ისევე, როგორც აბსტრაქტული სახელების მეორე მწარმოებელი -ებ-ა.³³⁰ ასე, რომ, -ოზა იწლება: -ოზ-ა, სადაც -ოზ წარმოშობით თემის ნიშანი უნდა იყოს, ხოლო -ა საწყისის მწარმოებელი ფორმანტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ -ოზა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელების უმრავლესობა ფაქტიურად ისე უპირისპირდება შესაბამის „საშუალო“ ფორმებს,

³²⁷ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 77.

³²⁸ შდრ.: ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 207—208.

³²⁹ -ოზ თემის ნიშანი მოქმედებითი გვარის ზმნებთანაა გამოყენებული, მაგრამ მას, რასაკვირველია, აღარა აქვს ის ფუნქცია, რაც საშუალო ფორმებისათვის იყო ზემოთ აღნიშნული (მაგალითად: ა-პ-ოზ-ს, ა-ღნ-ოზ-ს, გ-ოზ-ს და მისთან).

³³⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 131—132.

როგორც საწყისი (resp. მასდარი) ზმნის სათანადო პირიან ფორმებს: მხეცობა-მხეცობს, ახალგაზრდობა-ახალგაზრდობს, მეგობრობა-მეგობრობს, მტრობა-მტრობს, ვაჟყაცობა-ვაჟყაცობს, ამხანაგობა-ამხანაგობს და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ -ობა ფორმანტით ნაწარმოები სახელი უმეტესად აბსტრაქტული სახელია. ხოლო ზმნურ ფუძეზე დართული -ობა გვაძლევს საწყისს. რიგ შემთხვევაში კი სახელზეც დართული ობა აბსტრაქტული სახელის ნაცვლად საწყისს გვაძლევს; მაგალითად: მუშა>მუშაობა (მდრ.: მუშაობს). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ფორმათა ფუნქციურ (და მასთან გენეტურ) სიახლოვეზე.

4. სათანადო ყურადღებას იმსახურებს ლიწინებს-ლაწუნობს, ტყიცივნებს-ტყაცუნობს ტიპის ფორმები. შესაბამისი საწყისები იქნება: ლიწინი-ლაწუნი, ტყიციანი-ტყაცუნი... ამ ტიპის ფორმათა ფუძეში ხმოვნათა ამგვარი შენაცვლება ქართულში ერთეული და შემთხვევითი არ არის. ვარაუდობენ, რომ აქ შეიძლება აბლაუტთან გვექონდეს საქმე,³²⁷ მართლაც, არ არის გამორიცხვადი, რომ აქ სიტყვათწარმოებითი მნიშვნელობით გამოყენებული ფლექსიური მონაცვლეობა იყოს, მით უმეტეს, თუკი ზოგიერთ ამ ფორმათაგანს მოქმედებითი გვარის შესაბამის ფორმებს შევუდარებთ: ლეწ-ს — ლიწინებს-ს — ლაწუნობს-ს; ჭყეპ-ს — ჭყიპინებს-ს — ჭყაპუნობს-ს; ს-ტყეც-ს — ტყიცივნებს-ს — ტყაცუნობს-ს; კრეჭ-ს — კრიჭინებს-ს — კრაჭუნობს-ს და მისთნ. შეიძლებოდა გვეგულისხმა, რომ ჭყიპინებს, ტყიცივნებს, კრიჭინებს ფორმებისათვის შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნების II სერიის ფორმებია ამოსავალი: ჭყეპს-ჭყიპა>ჭყიპინი; სტყეცს-სტყიცა>ტყიციანი; კრეჭს-კრიჭა>კრიჭინი... მაგრამ ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება ლეწს-ლეწა-ლიწინი ტიპის ფორმები.

საქმე იქამდე მიდის, რომ მხოლოდ ამგვარი წარმოებით ხდება შესაძლებელი, რომ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ბევრ ზმნას 'შესაბამისი „საშუალო“ (სტატიკური) ფორმა ამოუღდეს გვერდით:

ბერტყს	—	იბერტყება	—	ბარტყუნობს
ბეგეაეს	—	იბეგეება	—	ბაგუნობს
რეკს	—	ირეკება	—	რაკუნობს
ჩეხს	—	იჩეხება	—	ჩახუნობს
ხეთქს	—	სკდება	—	ხათქუნობს
გლეჭს	—	იგლეჩება	—	გლიჭინობს ³²⁸
ხეხს	—	იხეხება	—	ხახუნობს
ღრეჭს	—	იღრიჭება	—	ღრაკუნობს და ა. შ.

ზოგი მათგანი (ღრაკუნობს, გლიჭინობს...) მნიშვნელობით საკმაოდ არის დაშორებული დინამიკურ ფორმებს და ფაქტიურად ცალკე ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს.

საკულისხმოა ის ფაქტი. რომ ამ ტიპის საშუალ ზმნათა ფუძეებისაგან შესაძლებელი გახდა მოქმედებითი გვარის ახალი ფორმის წარმოება:

³²⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 585—586.

³²⁸ გლიჭინობს: გლიჭინით (resp. ტლანქად) დარბის.

ბარტუნობს	— აბარტუნებას
ბაგუნობს	— აბაგუნებას
რაკუნობს	— რაკუნებას
ჩახუნობს	— აჩახუნებას
ხათქუნობს	— ახათქუნებას
გლიჯინებს	— აგლიჯინებას
ხახუნობს	— ახახუნებას
ლრაპუნობს	— აღრაპუნებას და მ-ს-ს.

ამ ფორმებს წესაბამისი ვნებითი ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ. ხოლო აუტკვეთ, ისიც დეპონენტურია. ეხაოქუნება, ერაკუნება, ეხაზუნება და საპირისპირო ი-პრეფიქსით ნაწარმოები ფორმა არ უდასტურდებათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფეთქს-ფათქუნობს, უღერს-უღარუნობს, ჩქეფს-ჩქაფუნობს ტიპის ფორმების თაობაზე. ფორმით ისინი ისევე უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ბერტყს-ბარტყუნობს, რეკს-რაკუნობს ფორმები, მაგრამ მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაცაა: თუკი რეკს-რაკუნობს ერთმანეთს უპირისპირდება როგორც მოქმედებები (დინამიკური) და საშუალი (სტატიკური) ფორმები, ფეთქს-ფათქუნობს ორივე „საშუალი“ ფორმაა, სტატიკურია და თითოეულ მათგანს მოეპოვება მოქმედებითი გვარის შესაბამისი ფორმა: ფეთქს-აფეთქებს; ფათქუნობს-აფათქუნებს... სათანადო ვნებითი მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აქვს:

აფეთქებს	— ფეთქდება	— ფეთქს (ფეთქაე.)
აფათქუნებს	— (*ფათქუნება)	-- ფათქუნობს
აულერებს	— უღერდება	— უღერს
აულარუნებს	— (*ულარუნება)	— უღარუნობს
აჩქეფებს	— ჩქეფდება	— ჩქეფს
აჩქაფუნებს	— (*ჩქაფუნება)	ჩქაფუნობს და ა. შ.

„საშუალ“ ზმნებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებსაც საწყისის მაგივრობას უწევს ამ ზმნათა სახელად გაფორმებული ფუძე: ბაბანი, ჰარბაცი, ბიბინი და ა. შ. ამდენად, სახელადობისა და ზმნურობის მიმართ ფაქტურად ნეიტრალური ფუძე სპეციალური აფიქსების საშუალებით ფორმდება ან ზმნად, ან სახელად:

რაკრაკ: $\left\{ \begin{array}{l} \text{რაკრაკ-ებს-ს} \\ \text{რაკრაკ-ი} \end{array} \right.$

ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ: ლაპარაკობს-ლაპარაკი, ბაასობს-ბაასი; თამაშობს-თამაში; ჩხუბობს-ჩხუბი ტიპის ფორმები. თუმცა ზოგჯერ შეიმჩნევა ტენდენცია, რომ გავრცელებული მოდელების საფუძველზე ზოგი ამ ფორმისთვისაც შეიქმნას ნაზმნარი სახელის სპეციალური ფორმა: თამაში-თამაშობს-თამაშობა.

ამ ტიპის ზოგიერთ ფორმაში დასტურდება -ებ და -ობ თემის ნიშნების შენაცვლების შემთხვევები: კაკანებს-კაკანობს; ხარხარებს-ხარხარობს; კისკისებს-კისკისობს; წყრიაღებს-წყრიაღობს, ჭუჭყუნებს-ჭუჭყუნობს და ა. შ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ -ება და -ობა სუფიქსების ანალოგიური შენაცვლება აბსტრაქტულ სახელებშიც შეინიშნება: ბედნიერება-ბედნიერობა; კადნიერება-

კადნიერობა; ლმობიერება-ლმობიერობა და მისთნ. საშუალო ზმნებში თემის ნიშანთა აბგეარი მონაცვლეობა სრულებით არ განსაზღვრავს შესაბამის აბსტრაქტულ სახელებში სუფიქსთა პარალელურ გამოყენებას; და პირიქით: აბსტრაქტულ სახელთა პარალელური ფორმები არ გულისხმობენ, რომ იმავე ფუძის საშუალო ფორმებისათვისაც უნდა იყოს ნიშანდობლივი იგივე ვითარება, ასე მაგალითად: გვაქვს აბსტრაქტული სახელის პარალელური ფორმები: კადნიერება-კადნიერობა, მაგრამ შესაბამის საშუალო ზმნაში უკვე გამოირჩევა აბგეარი მონაცვლეობა: გვექნება მხოლოდ: კადნიერობს; ასევე: ლმობიერება-ლმობიერობა, მაგრამ: ლმობიერობს და სხვ.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ პირველადი მასდარები (საწყისები): შრიალი, ბიზინი, გუგუნია... „წარმოშობით ესაა გაორკეცებული ან მარტივი ხმაბაძებითი ფუძეები“.³²⁹ ასეთი ფორმები ბევრია ქართულში; ყველა მათგანისაგან იწარმოება საშუალო ზმნა: შრიალებს, ბიზინებს, გუგუნებს, კისკისებს, ხარხარებს, კრაახებს, წყრიალებს და ა. შ. ამ რიგის ზმნებს განეკუთვნება შიშინებს ფორმაც, რომელიც წარმომდგარია შიშინი სიტყვისაგან და რომელიც ახსნილია, როგორც „ქონის დუღილის ხმა“ (საბა) ან: „ერთგვარი ხმა, რასაც გამოსცემს ხორცი (მწეადი) შეწვისას, ან ფაფისნაირი რამ (ფაფა, ფლავი...) გაცხელებისას“ (ქველ). ე. ი. ამ ზმნით აღნიშნულ პროცესს კავშირი აქვს წვასთან და ფაქტიურად ხმაბაძებით სიტყვადაა მიჩნეული. მაგრამ ამ ფორმისთვის შეიძლება სხვაგვარი კვალიფიკაციის მიცემაც.

შიშინი ფუძეგაორკეცებული სიტყვაა. შესაძლებელია აღვადგინოთ მისი თავდაპირველი ფორმა: *შიშინი-ი, სადაც -ინ სპეციალური დანიშნულების ბქონე სუფიქსი უნდა ყოფილიყო (შდრ.: ქვით-ინ-ი—ქვითქვით-ი: უკანასკნელში გაორკეცებულია პირველი ფორმის ქვით ძირი). ფუძე აღმოჩნდა შიშში, ხოლო ძირი — შიხ. სვანურში შიხ ნიშნავს „ნახშირს“. უღვლილებაში კი ეს ფორმა ასე გადმოიცემა: შ-შხ-ი, შ-შიხ-და (წვაგხ, წვაგდა³³⁰). ეს ფუძე გამოყოფილია სიტყვაში ნახშირი, სადაც მეტათეზისია მომხდარი; შდრ.: დიალექტური: ნა-შხ-ირ-ი, რომელშიც „უნდა იყოს პირველადი სახე რაცული“.³³¹ ამდენად, ზემოაღნიშნულ მაგალითში შესაძლებელია საქმე გქონდეს არა ხმაბაძებითობასთან, არამედ წყის პროცესის აღმნიშვნელ ძირთან, რომელიც ქართელორი ენებიდან დღესაც დასტურდება სვანურში (შიხ). ისმის კითხვა: რატომ ვახდა საჭირო ამ შემთხვევაში რედუპლიკაცია?

რედუპლიკაცია საქმოდ გავრცელებული ენობრივი მოვლენაა; იგი მეტნაკლებად ყველა ენაში დასტურდება. რედუპლიკაციას შეიძლება წარგვარი დანიშნულება ჰქონდეს. ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა, ჩანს, არის ხშირად განმეორებული მოქმედების გადმოცემა: მაგალითად, აფრიკის ხალხთა ერთ-ერთ (ევე) ენაში მას სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს: wǝǝxǝn nɣa wǝǝxǝn nɣa („მათ თქვეს სიტყვა, მათ თქვეს სიტყვა“, რაც ნიშნავს: ისინი გაუთავებლივ ლაპარაკობდნენ).³³² მაგრამ რაც მთავარია, თვით ქართული გვაწვდის ამ თვალ-

³²⁹ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 075.

³³⁰ ე. თ. ი. ფურია, სვანური ენა, I, ზნა: შრომები, I, თბ., 1967, გვ. 72, 75.
³³¹ არნ. ჩიქობავა, გარე-ქვეთი ალექტოლოგიურად, არალი, 1925, გვ. 62.

³³² Д. В е с т о р м а и, Словоиобразование в языке Эве, Африканское языкознание.

: საზრისით მეტად საინტერესო მაგალითებს: ნაწილ-ნაწილ; თითო-თითოდ; ჩქარ-ჩქარა; ნელ-ნელა; სირბილ-სირბილ; ან: ვარბი-ვამორბიან; მილაგ-მოლაგ-დნენ; მიყრილ-მოყრილან და მისთნ. ამდენად, ხშირად განმეორებული (მრავალგზისი) მოქმედების გადმოსაცემად რედუქლიკაციის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. თუ ეს ასეა, შიშხინებს ტიპის ფორმებში რედუქლიკაცია სწორედ ამ დანიშნულებისა უნდა იყოს.

ანალოგიური ვითარება უნდა დასტურდებოდეს გოგორა (ღ*გორგორა) არსებით სახელში;³³³ შესაბამისად გორგოლა, გორგოლაჭი, გორგალი არსებით სახელებშიც. ისინი უნდა უკავშირდებოდნენ გორავს „საშუალ“ ზმნას და მისი ფუძის რედუქლიკაციით უნდა წარმოქმნილიყვნენ.³³⁴ ხოლო შიშხინ ფორმაში პირუკუ პროცესია: აქ უკვე ზმნის ფუძეში ხდება რედუქლიკაცია, მაგრამ თავით გრამატიკული მოვლენის ბუნება და დანიშნულება ორივე შემთხვევაში ერთია.

³³³ გორგორა — ერქვანთ თვალი საბრუნაი... (საბა); ურმის, ეტლის და მისთნ. თვალი, ბორბალი... (ქეგლ).

³³⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 151. ფუძეგაორკეების შესახებ იხ.: ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970; F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953.

ნაწილი მესამე

ზმნის გზარის ფორმათა სინტაქსური ბუნებისათვის

1. ზოგადი მიმოხილვა

§ 1. ქართულში გამოყოფილია ოთხგვარი კონსტრუქცია:

ა) ნომინატიური,

ბ) ერგატიული,

გ) დატიური და

დ) ინდეფინიტიური ანუ გაუფორმებელი.¹

ტრადიციულად მიღებულია აღნიშნულ კონსტრუქციათა განაწილება ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით. ამ თვალსაზრისით ქართველურ ენებში შემდეგი ვითარებაა:

I. ქართულ სალიტერატურო ენაში:

ა) პირველი სერიის ფორმებთან გარდამავალი ზმნა ქმნის ნომინატიურ კონსტრუქციას, პირდაპირი დამატება მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (აკეთებს, ბარავს, აღწობს ის მას); გარდაუვალი ზმნა ქმნის ნომინატიურსა (კეთდება, იბარება, დნება ის) და დატიურ (უყვარს, ჰყავს, ემღერება, შემოეხარჩება მას) კონსტრუქციებს; ბ) მეორე სერიაში გარდამავალი ზმნა მხოლოდ ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის; მოთხრობითი ქვემდებარის ბრუნვაა. პირდაპირი დამატება სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი (გააკეთა, დაბარა, დააღწო მან ის); გარდაუვალი ზმნა ძირითადად ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის (გაკეთდა, დაიბარა, დააღწა ის), მაგრამ გარდა ამისა დატიური (ინვერსიულ ზმნებთან: შემოეხარჩა მას ის) და ერგატიული (იბიბინა, იბარა, გაიციინა მან, ან: შეხედა, აკოცა მან მას) კონსტრუქციების შექმნაც შეუძლია.² გ) მესამე სერიაში გარდამავალი ზმნა მხოლოდ დატიურ კონსტრუქციას იძლევა (გაუკეთებია, დაუბარავს, დაუღწია მას ის), გარდაუვალი ზმნა ჩვეულებრივ — ნომინატიურს (გაკეთებულა, დაბარულა, დამღწარა ის), რიგ შემთხვევაში კი (თუ ზმნა ინვერსიულია) — დატიურს (ჰყვარებია მას ის).

მაშასადამე, სერიების მიხედვით გარდამავალი ზმნა შესაბამისად გვაძ-

¹ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 3.

² დაწვრილებით ამის თაობაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

ლეს ნომინატიურ, ერგატიულ და დატიურ კონსტრუქციებს. გარდაუვალ ზნა-სთან გარკვეული მერყეობა შეინიშნება: ძირითადად საქმე სერიაში ნომინატიური კონსტრუქციაა, მაგრამ პარალელურად შეიძლება დადსტურდეს ერგატიული (II სერიაში) და დატიური (სამივე სერიაში — ზმნის ინვერსიულობის დროს) კონსტრუქციებიც.

გვარაუდობენ, რომ აღნიშნული კონსტრუქციების პარალელურად როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში დასტურდება ინდეფინიტური კონსტრუქციაც. ძველ ქართულში იგი III პირის ფორმებთანაც შეინიშნებოდა, ახალ ქართულში მხოლოდ I და II პირის ფორმებთანაა დამოწმებული.³ მაგრამ ძველ ქართულში გამოყენებული ინდეფინიტური კონსტრუქციისაგან განსხვავებით ახალ ქართულში მაინც არსებითი ხასიათის განსხვავება შეინიშნება:

ერთი მხრითა გვაქვს: 1. აბრაამ შვა ისააკ,
ხოლო მეორე მხრით: 2. შენ მშვი მე ან: შენ შვი ის

პირველი კონსტრუქცია აშკარად ინდეფინიტურია. მეორე კონსტრუქციის მიმართ ინდეფინიტურობაზე იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც I და II პირის ნაცუალსახელებს ბრუნვის ფორმა არ მოეპოვებათ და ყველა შემთხვევაში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, მაგრამ თვით ზმნა აშკარად განასხვავებს სუბიექტსა და ობიექტს. და მართლაც, თუკი კონსტრუქციაში: აბრაამ შვა ისააკ ან ისააკ შვა აბრაამ—მხოლოდ აღვიღმდებარეობა განასხვავებს ქვემდებარესა და დამატებას (შემასმენლის წინ მდგომი სახელი ქვემდებარეა, ხოლო სახელი, რომელიც შემასმენელს მოსდევს — დამატება), დანარჩენი ორი კონსტრუქციის მიმართ ამის თქმა გაძნელდება: შენ შვი ის თუ ის შვი შენ, შენ მშვი მე თუ მე მშვი შენ — შინაარსობრივად აბსოლუტურად იდენტურია.

II. სვანურში არსებითად ქართულის ანალოგიური მდგომარეობა ჩანს. აქაც გარდამავალი ზმნა სერიების მიხედვით შესაბამისად ქმნის ნომინატიურ, ერგატიულ და დატიურ კონსტრუქციებს, ხოლო გარდაუვალი ზმნა ძირითადად ნომინატიურს, ინვერსიულ ზმნებთან კი დატიურ კონსტრუქციებს.⁴

III. თავისებური ვითარებაა მეგრულსა და ქანურში: მეგრულში ერგატიული კონსტრუქცია დასტურდება II სერიის ფორმებთან მიუხედავად იმისა. ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი. ქანურში, პირიქით, გარდაუვალი ზმნის ყველა ფორმასთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო გარდამავალი ზმნის ყველა ფორმასთან ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვითაა წარმოდგენილი.⁵

§ 2. განვიხილოთ კონსტრუქციები:

1. მონადირემ (მო)-კლა ირემი
2. ირემი (მო)-ე-კლა მონადირეს
3. ირემი (მო)-ი-კლა (მონადირის მიერ)

ამ მაგალითებში ტრადიციული ვაგებით აქტივისა და პასივის დაპირისპირებაა. რასაკვირველია, ეს სწორია, მაგრამ ამ მოვლენას შესაძლებელია სხვა თვალსაზრისითაც მივუღვეთ: და მაშინ აქ იმდენად აქტივისა და პასივის დაპი-

³ ან. ჩიქობავა, დასახელებული ნაშრომი; იხ. აგრეთვე: ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 67—68.

⁴ В. Т. Топурпа, Сванский язык, Языки народов СССР, т. IV, стр. 91.

⁵ А. И. Кизиря, Завский язык, Языки народов СССР, т. IV стр. 73—74.

რისპირება კი არ გვექნება, რამდენადაც აქტივობა ორი სხვადასხვა თვალსაზრისით: პირველ შემთხვევაში რეალური სუბიექტის თვალსაზრისით, მეორე შემთხვევაში კი — რეალური ობიექტის თვალსაზრისით. თავისთავად, რა თქმა უნდა, ეს არ გამოირიცხავს წინადადების მეორე წევრის პასიურობას: პირველ შემთხვევაში ობიექტის, მეორე შემთხვევაში — სუბიექტისას.

ტრადიციული გაგებით აქტიურობა-პასიურობა სხვადასხვა სუბიექტს უკავშირდება, რადგან ყურადღება გამახვილებულია წმინდა გრამატიკულ გაფორმებაზე. გრამატიკაში ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ლოგიკის თვალსაზრისის შემოტანა აქ მეტწილად აღრევას იწვევს, მაგრამ ზოგჯერ (და ამის უარყოფა არ შეიძლება) უთუოდ გვეხმარება ფორმათა სწორ ანალიზში. ამდენად, ტრადიციულად: პირველ მაგალითში აქტიურია მონადირე, მეორე შემთხვევაში პასიურია ირემი. რა აერთიანებს მათ? გრამატიკული ფუნქცია წინადადებაში: გაფორმების მიხედვით ორივე სუბიექტია.

სხვა თვალსაზრისის მიხედვით: აქტიურია (პირველ წინადადებაში) და პასიურია (მეორე წინადადებაში) მონადირე ერთი მხრითა და, პასიურია (პირველ წინადადებაში) და აქტიურია (მეორე წინადადებაში) ირემი, მეორე მხრით. ამოსავლად ვღებულობთ იმას, რომ მოქმედებას ასრულებს მონადირე. შდრ.: 1. კაცმა დაწერა წიგნი; — 2. წიგნი დაეწერა კაცს... პირველ შემთხვევაში კაცი აშკარად მოქმედი პირია და მისი მოქმედება გადადის საგანზე (ამ შემთხვევაში: წიგნზე). მეორე შემთხვევაში აღნიშნული თვალსაზრისით ორი გაგებაა: 1. კაცს დაეწერა წიგნი, — კაცი თავად არის მოქმედი; 2. კაცს დაეწერა წიგნი ვიღაცის (ამხანაგის, მეგობრის...) მიერ — მოქმედი პირი სულ სხვაა.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, რელატიური ზმნების უღლების დროს ქართულში სუბიექტსა და ობიექტს თანაბარი ყურადღება ექცევა. ეს მორფოლოგიურად. სინტაქსურად კი ზოგ ზმნაში სუბიექტის მნიშვნელობა სჭარბობს. ზოგში კი — ობიექტისა. „ჰყავს“ და „ჰბადებს“ ზმნებს თუ შევადარებთ, მაგალითად, ერთმანეთს, ენახავთ, რომ უღლება მათ ერთი და იგივე აქვთ, მაგრამ „ჰყავს“ ზმნაში დამატების მნიშვნელობაა უფრო ძლიერი, „ჰბადებს“ ზმნაში კი — ქვემდებარისა. ამგვარივე ურთიერთობაა „უყვარს“ და „უწერს“ ზმნას შორის“.

სწორედ ის, რომ „სინტაქსურად ზოგ ზმნაში სუბიექტის მნიშვნელობა სჭარბობს, ზოგში კი ობიექტისა“, უნდა იყოს ზმნის გვარის ზოგიერთ ფორმათა წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი. იქ, სადაც „ობიექტის მნიშვნელობა სჭარბობს“, განვითარების შემდეგ საფეხურზე ვნებითის შინაარსი ვითარდება და რეალური ობიექტი სუბიექტის ფუნქციას იღებს.

მაშასადამე, ამ თვალსაზრისით: 1. კაცი წერს წიგნს... და 2. კაცს ეწერება წიგნი, — ორივე „აქტიური“ კონსტრუქციაა, მხოლოდ აქტიურობის საფუძველია სხვადასხვა: პირველ წინადადებაში — სუბიექტი, მეორეში — ობიექტი. რომ მეორე აქტიურია, თანამედროვე ქართულში ეს განსაკუთრებით იგრძნობადებოვნესებსა და ვნებითი გვარის კაუზატიურ ფორმებში: ეკვლევივნება, — აქ ხომ აშკარად ქვემდებარება (ის) მოქმედი პირი, „ის“ იწვევს მოქმედებას, მაგრამ მოქმედებას სხვა ასრულებს. ფაქტიურად იმავეს თქმა შეიძლება ვნებითის:

⁶ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი, I, გვ. 170—171.

უმრავლეს ე-პრფიქსიან ფორმათა შესახებ: სახელწიბითი დასმული ქვემდებარე იწვევს მოქმედებას, მაგრამ თვით მოქმედება სხვა პირის მიერ სრულდება. ე. ი. აქტიურა მოქმედების გამომწვევი პირი ასლა გაგებულია ენებითის კონსტრუქციის სუბიექტად, ხოლო მოქმედების შემსრულებელი პირი მოქმედებითი გუარის კონსტრუქციის სუბიექტად. ენებითის კონსტრუქციაში მოქმედების გამომწვევ პირს უბრუნდება მოქმედება: ამის გამო ანგვარ კონსტრუქციაში გაძლიერდა ენებითობის შინაარსი და შესაბამისი ფორმები ჩვეულებრივ ენებითების რიგში ჩადგა, თუმცა აღნიშნული გაება ენიანი ენებითის ბევრ ფორმას შემორჩა (იხ. ზემოთ: დეპონენსები, შესაძლებლობის, გუნების, მიწნევის ენებითები, განსაკუთრებით: ზნებლო მოქმედების აღმნიშვნელი ფორმები, ესახება ტიპის ფორმები)... ამ ფორმათა ანალიზისას შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ელაპარაკება, ეთამაშება, შემოებაჩება ტიპის ფორმები მსოლოდ იმიტომ ღება ენებითთა რიგში, რომ ფაქტიურად პასიურ კონსტრუქციას ქმნიან.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში კონსტრუქციასა და თვით ზმნის შინაარსს შორის არც თუ ისე იშვიათად შეინიშნება გარკვეული წინააღმდეგობა. ხშირია, როცა აქტიური შინაარსის მქონე ზმნა პასიურ კონსტრუქციას ქმნის (როგორც ეს აღინიშნა ელაპარაკება, ეთამაშება... ტიპის მაგალითებში) და პირიქით, როცა პასიური მნიშვნელობის მქონე ზმნა ფაქტიურად აქტიური კონსტრუქციის შემადგენელ წევრად გამოღის. უკანასკნელი ხშირად შეინიშნება ე. წ. „მედიაქტიურ“ ზმნებთან, როდესაც მოთხრობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარე დასტურდება, მაგალითად, რომელიმე იწუხა (მა5) ზმნასთან, ეს მართლაც შეიძლება აიხსნას გარკვეული მიზეზებით: ჯერ ერთი, იგი სათაულო ქცევის ფორმას წარმოადგენს, რომელიც საშუალ ზმნას უჩვენებს ნაკლებ მწკრივებს; გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, მას შეიძლება ორიპირიანი ზმნის გაებაც ჰქონდეს და ფუნქციურად მოქმედებითი გუარის ფორმას უტოლდებოდეს („მე იმას ვწუხდი...“), მაგრამ ამგვარი ახსნა არ გამოდგება იბიზინა, იციმციმა ტიპის ფორმების მიმართ: მათ შესაბამის მოქმედებითებს სათაულო ქცევის ფორმა არ მოეპოვებათ და ამიტომაც ისინი ყოველთვის გარდაუვალი არიან. მიუხედავად ამისა, ქმნიან გარდამავალი ზმნის კონსტრუქციას: I სერიაში ნომინატიურს, II სერიაში ერგატიულს, III სერიაში—დატიურს...

2. ინვერსიის საკითხისათვის

§ 1. ინვერსიას უწოდებენ იმ გრამატიკულ მოვლენას, როცა ზმნაში სუბიექტი ობიექტის ნიშნებით აღინიშნება, ობიექტი კი ზმნაში აღნიშნულია იმ ნიშნებით, რომლებიც ჩვეულებრივ სუბიექტურ პირს გამოხატავენ.

ინვერსია დასტურდება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. გარდამავალ ზმნებში ინვერსია ხდება მხოლოდ III სერიის ფორმებთან: გამოიკეთებია, გაგვიკეთებია, გაუკეთებია; გამეკეთებინა, გაემეკეთებინა, გაეკეთებინა; დამიფარავს, დავიფარავს, დაუფარავს, დამეფარა, დავეფარა, დაეფარა... მოქმედების რეალურ შემსრულებლად გვევლინება მიცემითი დასმული სახელი, რომელიც ზმნაში ირიბი ობიექტის ნიშნითაა აღნიშნული.

გარდა ამისა, გამოიყოფა სტატიკურ ზმნათა ჯგუფი, რომელთათვისაც ინვერსია აწმყოშივე არის დამახასიათებელი: მყავს, გყავს, ზყავს; მაქვს, გაქვს,

აქვს, მიყვარს, გიყვარს, უყვარს; მძულს, გძულს, სძულს; მწყურია, გწყურია, სწყურია; მესმის, გესმის, ესმის; მინდა, გინდა უნდა; მეშინია, გეშინია, ეშინია; მღვიძავს, გღვიძავს, ღვიძავს და მისთნ. ეს მოვლენა სპეციალური კვლევის საგანი ვახდა.⁷

მართალია, ჰყავს, უყვარს ტიპის გარდაუვალ ზმნათა ინვერსიულობა ზოგჯერ ექვის ქვეშა დაყენებული,⁸ მაგრამ ამ ზმნათა გრამატიკული ბუნება და, გარდა ამისა, ანალოგიური, ტიპოლოგიურად მსგავსი ფორმების არსებობა ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში, საწინააღმდეგოს უნდა მტყუყვლებდეს.

ინვერსიისა და კონვერსიის ურთიერთშეღარება საინტერესო სურათს გვიჩვენებს. ცნობილია, რომ კონვერსია ეწოდება ზმნის გადაყვანას გვარის ერთი ფორმიდან მეორეში. ერთმანეთის მიმართ კონვერსიული ფორმები: ხატავს-იხატება; აკეთებს-კეთდება; ათბობს-თბება და მისთ. ერთ-ერთი მათგანის მაგალითზე განვიხილოთ კონსტრუქციების ურთიერთმიმართება:

1. მხატვარი ხატავს სურათს
2. სურათი იხატება (მხატვრის მიერ)
3. მხატვარი უხატავს სურათს დამკვეთს
4. დამკვეთს ეხატება სურათი (მხატვრის მიერ)

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, პირველი კონსტრუქციის პირდაპირი დამატება მეორე კონსტრუქციაში გრამატიკულ ქვემდებარედ ფორმდება (ანალოგიური ურთიერთობა III და IV კონსტრუქციებს შორის), ე. ი. აქ ხდება მხოლოდ გრამატიკული ცვლილება, ხოლო ფუნქციის თვალსაზრისით კი, მხატვარი ხატავს სურათს, და: სურათი იხატება მხატვრის მიერ — ერთი შინაარსისაა.

ინვერსიის დროს ზემოაღნიშნულის საპირისპირო მდგომარეობაა: ხდება ფუნქციური ცვლილება, მაგრამ გრამატიკულად ეს არ აისახება ზმნაში.

ინვერსიული კონსტრუქციები თავისი ფუნქციით უტოლდება ენებითი გვარის იმ კონსტრუქციებს, რომლებშიც რეალურად მოქმედი პირი უბრალო დამატების სახითაა წარმოდგენილი; შდრ.:

1. სურათი იხატება მხატვრის მიერ
2. სურათი დაუხატავს მხატვარს

ორივე კონსტრუქციაში გრამატიკული გაფორმების მიხედვით ქვემდებარე არის სურათი, რომელიც სათანადო ფორმანტით აღინიშნება ზმნაში (ესაა III სუბიექტური პირის ნიშნები: -ა, -ს; შესაძლებელია ასეთი ფორმაც: იხატვის, და მაშინ ორივე შემთხვევაში პირის ნიშანი იქნება -ს). რეალურად მოქმედი პირი კი ორივე შემთხვევაში დამატების სახითაა წარმოდგენილი: პირველ კონსტრუქციაში უბრალო დამატებით, მეორეში — ირიბით.

ამდენად, როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ინვერსიულ ზმნიან კონსტრუქციაში ირიბ დამატებას აკისრია იგივე ფუნქცია, რაც უბრალო დამა-

⁷ იხ. მაგალითად, А. М. Дирр, Глагол в кавказских языках, Эргативная конструкция предложения, Москва, 1950, стр. 18 и др. Г. Шухардт. О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, там же, стр. 34.

⁸ ა. შანშიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, თსუ-ის კვლევი ქართული ენის კათედრის შრომები, 7.

ტებით წარმოსახულ პირს ვნებითის კონსტრუქციაში, კერძოდ, იგი არის მოქმედების რეალური შემსრულებელი. და ორივე შემთხვევაში გრამატიკული ქვემდებარე რეალურად მოქმედების უშუალო საგანს, ანუ რეალურ (resp. პირდაპირ) დამატებას წარმოადგენს.

თუ გავითვალისწინებთ იმ მოვლენას, რომ დატიური კონსტრუქცია როგორც აწყოში (გარდაუვალ ზმნებათა), ისე III სერიაში (გარდამავალ ზმნებათა) მხოლოდ ინვერსიულ ფორმებს ახასიათებს, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ დატიური კონსტრუქცია ნომინატიური კონსტრუქციის ინვერსიითაა მიღებული. ეს გამოიწვია ამ ტიპის ზმნათა კონსტრუქციაში მიცემითბრუნვიანობის სინტაქსური უპირატესობის, ძალის წარმოჩენამ.⁹ ინვერსიის ძალა კარგად ჩანს იმ კონსტრუქციებში, სადაც გრამატიკული ქვემდებარე ფაქტიურად დაკარგულია (აცხვებებს, აუყოლებებს, აცივებს, ეძინება, ეღვიძება... მას), დაკარგული გრამატიკული ქვემდებარე ზოგჯერ დოკუმენტურად დასტურდება (დაეძინა მას ძილი), ზოგჯერ კი აღდგენა ხერხდება აღნიშნულ ფორმათა ანალოგიითა და თვით მოცემულ ზმნათა ფორმობრივი ჩვენებით (მღვიძავს მე ის). სინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერთგვარ გრამატიკულ მნიშვნელობათა მქონე ორ სხვადასხვა ზმნასთან ერთ შემთხვევაში შემონახულია გრამატიკული ქვემდებარე, მეორე შემთხვევაში კი — არა, რეალური სუბიექტი კი ორივე შემთხვევაში დასტურდება. შდრ.:

დაეძინა მას (იგი — ძილი)

დაესიზმრა მას იგი (სიზმარი)

§ 2. ამრიგად, დატიური კონსტრუქცია ნომინატიური კონსტრუქციის ინვერსიითაა მიღებული და დატიურ კონსტრუქციაზე იმდენად შეიძლება საუბარი, რამდენადაც რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ეს ფაქტი გადამწყვეტი მნიშვნელობისა ჩანს, რადგან, საერთოდ, კონსტრუქციაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვემდებარეს (resp. რეალურ სუბიექტს) და შესაბამისად კონსტრუქციაც იმ სახისა იქნება (ნომინატიური ან ერგატიული), რა ბრუნვის ფორმითაც იქნება წარმოდგენილი გრამატიკული ქვემდებარე. ეს ფორმობრივ მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ შესაძლებელი ხდება რეალური მოქმედის როლში წინადადების რომელიმე სხვა წევრი გამოვიდეს (ჩვეულებრივ, ირიბი დამატება) და მაშინ იგი რეალურ სუბიექტად (resp. ქვემდებარედ) იწოდება. ეს კი იწვევს კონსტრუქციის ახლებურ გააზრებას, თუმცა ფორმობრივ არსებითად არაფერი იცვლება. აზრობრივი ცვლილება იწვევს მიცემითი დასმული სახელის, როგორც რეალურად მოქმედი პირის, სინტაქსური ძალის წარმოჩენას: ფუნქცია (და არა ფორმა) ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა,¹⁰ გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ქვემდებარის ფუნქცია მიიღო ირიბმა დამატებამ, რეალურად მოქმედმა პირმა, მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილმა სახელმა, რის გამოც კონსტრუქციაც დატიური გახდა.

⁹ არნ. ჩიკობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, დანართი მონოგრაფიის: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968, გვ. 278.

¹⁰ იქვე, გვ. 275.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დაისმის საკითხი იმ რეალურად მოქმედი პირის თაობაზეც, რომელიც ენებითი გვარის კონსტრუქციებში უბრალო დამატების სახითაა წარმოდგენილი. ივლისისმება კონსტრუქციები: სურათი იხატება მხატვრის მიერ, კურდღელს აცაცხავენ შიშისგან და მისინ. თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, მაშინ ამ შემთხვევაში თითქოს შესაძლებელი ხდება ლაპარაკი „გენეტიური კონსტრუქციების“ შესახებ, იმ განსხვავებით, რომ ეს ვითარება ზმნაში არავითარი ნიშნით არ აისახება. ამ თვალსაზრისით სწინტერესო ჩანს იმის გათვალისწინებაც, რომ სახელზმნებთან ზმნური კონსტრუქციის ქვემდებარე ნათესაობით ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებად ფორმდება: სურათი იხატება მხატვრის მიერ (||მხატვარი ხატავს სურათს) — მხატვრის მიერ დახატული სურათი; ძაღლი ყუფს—ძაღლის ყუფა; კურდღელს შიშისგან აცაცხავენ (||შიში აცაცხავენ კურდღელს) — შიშისგან აცაცხავენული კურდღელი და მისინ. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამგვარი საბუთიანობით გაძნელებოდა (თუ საერთოდ შეუძლებელი არ იქნება) ლაპარაკი „გენეტიურ კონსტრუქციაზე“, მაგრამ, თუკი კონსტრუქცია ჩვეულებრივ განსაზღვრულია რეალური სუბიექტის (და არა გრამატიკული ქვემდებარის) ბრუნვით, მაშინ ამ თვალსაზრისით ნათესაობით ბრუნვაში დასმული რეალური სუბიექტიც, სათანადო ყურადღებას მოითხოვს.

3. ერგატიული კონსტრუქციის საკითხისათვის

§ 1. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა კარგა ხანია სპეციალური კვლევის საგანი გახდა. მიუხედავად საკითხის ნაირგვარად დასმისა და გადაწყვეტისა, ერგატიული კონსტრუქციის შესწავლაში მაინც ხდება შესაძლებელი გამოიყოფს ორი ძირითადი თვალსაზრისი, რომელთა გარკვეულ ვარიაციებს წარმოადგენს ფაქტიურად ყველა სხვა შეხედულება ამ გრამატიკული მოვლენის თაობაზე. ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ერგატიულ კონსტრუქციაში „მონაწილეობს გარდამავალი ზმნა, მოქმედი სახელი (რეალური სუბიექტი) მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივეში) და მოქმედების საგანი (რეალური ობიექტი) სახელობითში“.¹¹ სხვა ვარაუდის თანახმად, ერგატიული კონსტრუქცია იმით განსხვავდება ნომინატიურისაგან, რომ „ნომინატიურ კონსტრუქციაში სუბიექტისა და ობიექტის გადმოცემისას განირჩევა სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვები, მაშინ, როდესაც ერგატიულ კონსტრუქციაში ერთი და იგივე ბრუნვა გამოდის როგორც ერთის, ასევე მეორის ფუნქციით... წინადადების ერგატიულ სტრუქტურაში მთავარი წევრები გამოიხატებიან არა მხოლოდ აქტიური და აბსოლუტური ბრუნვებით, ამ სინტაქსურ სისტემაში ერგატივის მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს წინადადების იმ წევრმაც, რომელიც გვევლინება რა ქვემდებარედ, გადმოიცემა არა აქტიური, არამედ ერთ-ერთი ირიბი ბრუნვით“.¹²

¹¹ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, თბ., 1961, გვ. 1.

¹² И. И. Мещанинов, Основные грамматические формы эргативного строя предложения; в сборнике: Эргативная конструкция предложения в языках различных типов, Ленинград, 1967, стр. 7—8.

ქვემოთ, ერგატიული კონსტრუქციის ზოგი საკითხის განხილვისას, ამ ტერმინში მხოლოდ მოთხრობითბრუნვიან კონსტრუქციას ვგულისხმობთ.

მოთხრობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მხოლოდ II სერიის, და ისიც ძირითადად გარდამავალი ზმნის ფორმებთან გამოიყენება, მაგრამ ქართული ენის დიალექტებში დასტურდება შემთხვევები, როცა მოთხრობით ბრუნვაშია დასმული გარდაუვალი ზმნის სუბიექტი. ვაცილებით უფრო იშვიათია შემთხვევები, როცა სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას I სერიის ფორმებთან. დიალექტებში დადასტურებულ ამ მოვლენას სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა.¹³ ქართული ენის დასავლურ კილოებში დამოწმებული ეს სინტაქსური მოვლენა ქართულშიც დადასტურდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გარდაუვალ ზმნას გარდამავალი მოსდევს: ადგა ამ კაცმა და ერთი შველი დაიჭირა.¹⁴ ამავე ვითარებაში ერგატიული კონსტრუქცია აღინიშნა მთიულურშიც.¹⁵ ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან გარეკახურშიც დადასტურდა: წავიდა ნაცარქექიამ ისევ იმ ხის ქვეშ... მაშინ გაუჭავრდა ქალმა... იმ ქაჩალმა გამოვიდა გარეთ... დევებმა შეფიქრიანდნენ. ამის საფუძველზე ვაკეთდა დასკვნა, რომ ეს მოვლენა შეინიშნება „არა მარტო გარეკახურში, არამედ მთიულურსა, ფერეიდნულსა და აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სხვა კილო-თქმებში“.¹⁶ ამას ხსნიან ანალოგიით და გარდამავალ საფხურად მიიჩნევენ კონსტრუქციებს: იმათაც ადგნენ, წაიდეს, იძახიან... ადგა ამ ხემწიფემ და მიეცა კარგი ტანისამოსები...¹⁷ აღნიშნულია, რომ „თვით ასალს ქართულში, არა მარტო დიალექტებში, არამედ სამწერლობო ენაშიაც შესაძლებელია (თუმცა იშვიათად) უმართებულოდ იქნეს ნახმარი მოთხრობითი ბრუნვა — იმან დამპირდა, დამეხმარა, შემეკითხა...“¹⁸

ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ აღნიშნული „ზმნების მნიშვნელობა“ აქტიურია. აგებულება — პასიური. ამიტომ ხდება ხოლმე, რომ მათ აორისტში სუბიექტს მოთხრობითის ბრუნვაში უსმენ ისე, როგორც ეს შეეფერება გარდაუვალ ზმნებს.¹⁹

ანალოგიური მოვლენა შენიშნულია მესხურში (შ. ძიძიგურის მიერ), გურულში (ს. ჟღენტის მიერ), აჭარულში (მ. ხუბუას, ჯ. ნოლაიდელის, შ. ნიყარაძის მიერ), ინგილოურში (გ. იმნაიშვილის მიერ). ქართული ენის უცხოელ მკვლევართაგან ამის თაობაზე აღნიშნავდა ჰ. შუხარდტი.²⁰

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რამდენადმე ანალოგიური შემთხვევა დადას-

¹³ ვ. თ. თ. რ. ი. ა, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, ჩვენი შეცნობება, 1923, № 1.

¹⁴ ვ. თ. თ. რ. ი. ა, ქართული, „არილი“, თბ., 1925.

¹⁵ არნ. ჩ. ი. კ. ბ. ა. ვ. ა, მთიულურის თაისებურებანი, ვნიკიის მოაზბე. ტ. III, თბ., 1937.

¹⁶ არნ. ჩ. ი. კ. ბ. ა. ვ. ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, გვ. 74.

¹⁷ იქვე, გვ. 74.

¹⁸ არნ. ჩ. ი. კ. ბ. ა. ვ. ა, მარტვი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 142.

¹⁹ არნ. ჩ. ი. კ. ბ. ა. ვ. ა, ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, ტფილისი. 1934, გვ. 9.

²⁰ ჰ. შ. შ. ხ. ა. რ. დ. ი. ა მ შემთხვევაში ეყრდნობა დავით ჩუბინაშვილისა და თედო ჯორდანის მონაცემებს; იხ. Г. Шухардт, О пассивном характере переходного глагола в казахских языках; в сборнике: Ургативная конструкция предложения. М., 1950 стр. 59-60.

ტრენდელეია ძველი ქალაქი (გამსჯეობისათვის სომხურადან ქართულადან-თარგმან ტრენდელეია); ნაგავილითა: „სოლო ძმან შევისმას და წახარათა შვილებ-ბმან. რომელნი მძევდალ ჰყვანეს. გრძეს მას და არა მოაყარეს იგინი ზღუ-სა, ვითარცა ებრძანა მათთვის...“²¹

ერთ სინურ ხელნაწერში აღინიშნა „ღვთაწილი სოფერთა დიდე-ქტისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ან.ლოგიის შემდეგია: ნუფაჟ მის სეცეუამან, გინა მხეტთა ველისათა მოვიდეს და განრყუნან იგი“²² აქ ის შემ-თხვევაა, როცა კონსტრუქციაში გარდაუვალ ზმნას (რომელსაც უწერა უკავშირ-დებოდას ქვემდებარე) მოსდევს გარდამავალი ზმნა (რომელსაც ამ შემთხვევა-ში უკავშირდება ქვემდებარე).

ანალოგიური შემთხვევები სოფერ დასტურდება „რუსუდანიანის“ სოფი-ერთ ხელნაწერში. გამოცემულ ტექსტში ეს ფორმები ყველგან გასწორებულია სალიტერატურო ფორმებით, მაგრამ ეარიანტების მიხედვით მაინც შესაძლ-ბელი ხდება მათი აღნუსნა:

1. ნუთუ სჯულისა გარდამავალმან შევიქმნეო (ეარიანტები, გვ. 615); ტექ-სტშია: ნუთუ სჯულისა გარდამავალიცა შევიქმნეო (გვ. 9); 2. ხელწიფენ მივი-და ზაეისა სისალომოდ (ტექსტი, გვ. 84; ეარიანტები, გვ. 622); 3. ვავიდა შათი-რმან და მოახსენა (გვ. 124; 628); 4. წავიდა დიდოფაჟაჟა (გვ. გვ. 227, 645); 5. შეიჭრა მახარობელმა (გვ. გვ. 350, 668); 6. ცხნით შენხტარმან წაეწია (გვ. გვ. 380, 671); 7. ამ სიტყვასე ღია გაჯარღა დღემა (გვ. გვ. 437, 679); 8. ესეჟა მრავალი ხელმწიფეჟი (გვ. გვ. 459, 696); 9. გამიჭნურდა აბუბეჟარმა (გვ. გვ. 593, 656).

ამის მიზეზად მიიჩნიათ ის, რომ „თხულება დასაუღლო საქარეველიშა დაწერილი...“ ამ ძეგლში გამოვლენილი დიალექტური ფორმები „ღვთაწილი გურული კილოსათვისაა დამახასიათებელი. „რუსუდანიანში“ ფიქსირებულია რამდენიმე საუკუნის წინანდელი გურულისათვის დამახასიათებელი რიგი ღია-ლექტური მოვლენა. საყურადღებოა, რომ „რუსუდანიანში“ დადასტურებული დიალექტური მოვლენები საესებით იდენტურია ღვთაწილ გურულ კილოში დატული მოვლენებისა.“²³

§ 2. გარდაუვალ ზმნასთან მოთბობით ბრუნვაში დასმული ქვემდებარე ქართული ენის დიალექტებში ძირითადად ორ პიზიციამი გვხვდება.

ა) გარდაუვალ ზმნას მოსდევს გარდამავალი ზმნა: აქ ერთი და იგივე სუ-ბიექტი უკავშირდება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს (მნიშვნელობა არა აქვს: წინადადება მარტივია, შერწყმული, რთული თანწყობილი თუ რთული ქვეწყობილი). კილოების მიხედვით ასეთი ვითარება გვექნება:²⁴

²¹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა დანქცეები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 684.

²² ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. II, გამოსაცემად მოამზადა პრ.დ. იშვილმა, თბ., 1963 გვ. 187.

²³ ი. გიგინეიშვილი, შესავალი წერილი, რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ი. გიგი-ნეიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. XXVII—XXVIII.

²⁴ ყველა მაგალითი, რომელიც ცალკე არ არის მითითებული, ამოკრებულია შემდეგი გა-მოცემადან: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფერია, ი. ქაფარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

1. გარეკახური: მოიდა ი ბიჭმა და ჰკითხა დედასა (გვ. 200); ადგა ამ ქალმა და, როცა იმ ბიჭ ეძინა, დაავლო იმ კუნძს ხელი და ცეცხლში ჩააგდო (გვ. 210).

2. ფერეიდნული: ემათა ადგეს, თოფები აიღეს (გვ. 256); წავიდა ეხლა კი კაცმა და ერთი საბელი აიღო (გვ. 258); რაქთენ დღეს უკან თაჯერი მოკდა და ენ კაცმა წავიდა და ნამა დაალაგა (გვ. 265).

3. ქართლური: დაბრუნდა ჯარისკაცმა და უთხრა (გვ. 320); დილით ცოლმა ადგა სიხარულითა, — ამაღამ ჩემმა ქმარმა ისწავლა ყველაფერი, მოვიყვანო, გაეხდეთ მდიდრები, — ამოვიდა ხილზე, ნახა, რა გაგიშვია, რას ეძებ, ვერ ნახა (გვ. 321); ადგა ბიჭმა, ახსენა ღმერთი (გვ. 324); ადგა ამ ხემწიფემა, ჩაიკვა მოჯამაგირის ტანისამოსი (გვ. 326); მივიდა ამ ბიჭმა, სანთელი უნდა აანთოს (გვ. 326).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარდაუვალი ადგა ზმნა მრავალისაგან მრავალ შემთხვევაში თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არ გამოიყენება; მაგალითად: ადგა ბიჭმა, ახსენა ღმერთი... ადგა, მივიდა ეს დედაკაცი... (შდრ.: ისიც ადგა და შეასრულა დანაქადნები...). ამდენად, თითქოს არ უნდა იყოს ვასაკვირი, რომ ამ დროს სახელი ანგარიშს უწევს გარდამავალ ზმნას, რომელიც ამგვარი წინადადების წარმმართველ წევრად გვევლინება. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამგვარი დანიშნულების გარდაუვალ ზმნასთან დგება სახელი მოთხრობით ბრუნებაში. ბევრია ისეთი მაგალითიც, სადაც გარდაუვალი ზმნა თავისი პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება და კონსტრუქცია მაინც ერგატიულია (მხოლოდ, რასაკვირველია, რეალური ობიექტი არ ახლავს): დილით ადგა ცოლმა სიხარულით; დაბრუნდა ჯარისკაცმა და ა. შ.

4. აჭარული: ეჯებმა შევდა კანცელიაში და უთხრა, რუმ ასე, ასეაო (გვ. 397); ხენწიფემ შევდა სახლში და ცოლს უთხრა (გვ. 398); ამაზე ისე გაკუჭტა ხენგინმა, რომ დაბიწყდა ყველამფერი, იძრო მაჭახელი (გვ. 401); ბალემა მივარდა დედამისან და უთხრა (გვ. 402); ადგა ამ ბაღის ანამ, დეგბურა ლჩაქი და დაპაიჩა ბერიკაცი სახში (გვ. 402); ბერმა ახლა შემუბრუნდა ამ ქალ და უთხრა (გვ. 403); აფხანაგებმა ადგენ დილასა, ჩაიკვეს ფეხზე (გვ. 405); იმ კაცმა წევდა, მისნაირი ამხანაგი მოძებნა²⁵ (გვ. 213); როცა ამ კაცმა უკვაზე მოვდა, იკითხა (საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან იდიომატურ გამოთქმაში გვხვდება; იქვე, გვ. 215); შეიკრიბენ ხალხმა და თასია წუღდგინეს ხენწიფეს (იქვე, გვ. 220); მეორე დღეს ამ ქალმა წუღდა სახენწიფო საქმიების მართვას და დაიწყო ტკიბილი ცხოვრება (იქვე, გვ. 218).

5. გურული: მიადგა ამან და ჭამა და ჭამა (ქართული დიალექტოლოგია, გვ. 419); მივიდა ცოლისძამამ და ზდრინგა და ზდრინგა ჯოხი წელძე (გვ. 419); ახლა უნცროსმა შეიღმა დაფიქრდა და უთხრა (გვ. 422); მევიდა დეკმა, გაიცინა და უთხრა (გვ. 423); გაიცინა ერთპირიანი ზმნა არის, მაგრამ ჩვეულებრივ ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის); ძალიანი შეწუხთა დევმა, მარა მისა (<მისცა) იი საყვირო (გვ. 423); ადგა დილას კაცმა და დეიძახა ხენწიფისას (გვ. 435).

6. იმერული: წვეიდენ ამ ბიჭებმა, იარეს, ვერ იშოვეს (გვ. 443); მოვიდა უმცროსმა და გაკრიფა ზურგიო (გვ. 443); წვეიდა ამ კაცმა, იარა აქეთ, იქით... (გვ. 463: იარა ზმნა თავისებურია: უზმნისწინოდ ერთპირიანია, „საშუალი“;

²⁵ შ. ნიქარაძე. ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, ბათუმი, 1961.

ზმნისწინიანი — მოქმედებითა, ორპირიანი). დაადგა თხებმა და დარეკილი ვაშლი შეკვამა (გვ. 470); ეცა ამ ძალმა, ჯერ ერთი დევი დალიტა... (გვ. 475).

7. მთიულური: ადგა მეწისქვილმა და შაჰკვამა ერთი ქაფში (გვ. 65); ადგა ი კაცმა და გათხარა საქათმის ძირი, დამარხა იქ, საქათმი ძირას (გვ. 67); მივიდენ ნეკურავებმა და უთხრეს კელმწიფეს (გვ. 67); წავიდა ქალმა და პური მიუტანა ამ ბიქს (გვ. 68); დასხდენ ერთგანა ფალანგებმა და სადილი ჭამეს (გვ. 69); ადგა კელმწიფემ და ქალი მისცა სიზმარას (იქვე, გვ. 71); მოიდა იესო ქრისტემ და ჯაჰკრა ორი მეხი (გვ. 74; მაგრამ იქვე: მივიდა იესო ქრისტე...).

8. ინგილოური:²⁶ წაუღა ბიქმა, ორ მანათა თევი იყიდა (გვ. 205); დედა-კაცმა ადგა, თევი თავი ბუხრი თავზე დადო... (იქვე, გვ. 206); რომ გათბა. კაცმა გაიზმორა, მაღლა ახედა, ბუხრი თავზე თევის თავი დაჩანხა (იქვე, გვ. 206).

9. იმერხეული: სეგებმა ადგენ, შეხედეს... (ქართული დიალექტოლოგია, გვ. 385).

ყველა ზემოდასახელებული მაგალითი თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ გარდაუვალ ზმნასთან მოთხრობითბრუნვიანი ქვემდებარე მომდევნო გარდამავალი ზმნის გავლენის შედეგია. ეს ასეც იქნებოდა, საპირისპირო მაგალითები რომ არა: არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ანალოგიურ კონსტრუქციებში გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია დასმული, მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქციაში გარდამავალი ზმნაც დასტურდება: მემრე კიდენა წამოიდა ი ბიქი, უნა მოკლას დედა (გარეკახური, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 202); ბიქები რო მოიდეს, მითხრეს... (ფერეიდნული, იქვე, გვ. 256); ეს კაცი ადგა და ხოლაქეზი უთხრა (იქვე, გვ. 263); ეგ გლეხი წავიდა, იმ წყაროში, საცა გაგებული ჰქონდა ეშმაკებისაგან, დაიჭირა ბაყაყი (ქართლური, იქვე, გვ. 320); ამოა რომ მივდა წყაროზე და გეგო თავის დებოზგან მათი ამბაეი... (აქარული, იქვე, გვ. 402); წევიდა მამაჩემი და ნახა (გურული, იქვე, გვ. 421); გამევიდა მოურავი და გოგოს უბძანა (იქვე, გვ. 426); წევიდა ეს ძმა, წეილო ნაჯახი (იმერული, იქვე, გვ. 444); ავიდა ეს ბიქი მაღალ მთაზედა, არეკა ცხორი (მთიულური, იქვე, გვ. 74); წავიდენ რკინის ოსტატები და დაახვიეეს ტყავები თავპირზე (იქვე, გვ. 76) და სხვა.

ბ) კონსტრუქციაში მხოლოდ გარდაუვალი ზმნა არის. ქართული ენის დიალექტებში ამ მხრივ შემდეგი ვითარებაა:

1. შიგნიკახური: იმ მათხოვარამ შეენუჯათ, რომ ამაღამ შემინახეთო (ქართული დიალექტოლოგია, გვ. 188).

2. გარეკახური: იმ დევის შვილმა, დევისახარმა, წყალი რო სისხლათ გადაექცა, წავიდა მოსაკითხავათ (გვ. 203).

3. ფერეიდნული: შირმა დაყაბულდა (გვ. 258); გაიზინდა ემ სახლის კეთებამ სამ-ოთხი წელი (გვ. 264); ემამაც ადგა და წავიდა თაჯერის სარვანტზე (ახირ არბაბი ყოფილიყო), ჰაყი ჰქონდა ემის კისერზე (გვ. 265).

4. ქართლური: ის ძალიან ვალარიბდა, მეორე უშვილო ძმამ ძალიან გამდიდრდა (გვ. 319 : საინტერესოა, რომ ერთ წინადადებაში ერთი ტიპის გარდაუვალი ზმნები ერთ შემთხვევაში ქმნიან ნომინატიურ, ხოლო მეორე შემთხვევა-

²⁶ გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

ში — ერგატეულ კონსტრუქციას); კაცმა დაიბანა პირი, ავალო და კაცმა გასალა (გვ. 319).

ქართულში ამ შემთხვევაში ერგატეული კონსტრუქციის გამოყენება გარდაუვალ ზმნასთან შეიძლება აიხსნას სხვა ერის წარმომადგენლების ქართული მეტყველების გავლენით, მით უმეტეს, თუ გავიფიქრებთ იმას, რომ ეს ტექსტები ჩაწერილია მარნეულისა და წალკის რაიონებში, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები.

5. იმერხეული: წეჭდა მემო თეპარ მირზამა, მიჭდა ერც ქალაქში (გვ. 381); დაწვა, ადგა ერთ თვეს ბიჭმა გოგოთან (გვ. 382); იმერხეულში სშირად ჩხმარება მოთხრობითბრუნვიანი ქვემდებარი წეჭდა, ჩეჭდა, ჩიჭდა ზმნებთან, მაგრამ იმავე ზმნებთან დასტურდება ნომინატიური კონსტრუქციაც: ბიჭიც წეჭდა (იქვე; გვ. 381); მაგრამ იქვე: გაქცა, წეჭდა კაცმა (გვ. 385).

6. იმერული: მარა სოლომანის შეიღმა არ დადგა (გვ. 472); ხომ გეეკილა ჯორს, ქალმა გეეკილა ღვდელს და უძახის... (გვ. 473).

7. აჭარული: გადარგულიდან ზოგმა გახმა, ზოგმა გეახარა (გვ. 396); განაწილებაზე ძმებმა წეჯინწლენ (გვ. 397); ხენწიფემ შეწუხდა (გვ. 398); ძმებმა გეეიდენ ვარეთ (გვ. 397); ხატომ შეეკითხა უნფოს დას (გვ. 401); ამ ამაზე ღვდებარმა სიმწრით ღვდენიდა თურმი (გვ. 402); ...წყალში ჩავარდა და დასველდა მაგ ლექე კაცმა (გვ. 408).

8. გურული: ღვდელმა ქე გამეიშიმა ჩუმათე (იქვე, გვ. 418). მიიპარა, მიფორთხთა ცეხლის პირში ამ ღვდელმა, უბერავს სულ და ჰამს ამ ნაცრიან ნაფურჩხალებს (გვ. 419); იხარდა იჩინე ივან, იხარდა, იხარდა, ჩემო ბატონო, და კი დიდი მინდორი შეიქნა (გვ. 421). მერე ყმაწვილმა წევიდა და გადიმალა მორთი დილაში (გვ. 423); მე გულმა გამიმაგრდა და გაბიეეკილე კვალს (გვ. 424); ღვდამისმა ამაზე უუხირდა (გვ. 431); მევიდა გელი, დათვმაც შევიდა, ტურამც შევიდა (გვ. 434); დაბრუნდა ამ კაცმა (გვ. 435).

როგორც ვხედავთ, ამ პოზიციამდე სშირია გარდაუვალ ზმნასთან მოთხრობითბრუნვიანი ქვემდებარის გამოყენება. ასეთი ვითარება უფრო სშირად ქართული ენის დასავლურ კილოებში დასტურდება, აღმოსავლურ დიალექტებში — უფრო ნაკლებად. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული კილოთა ურთიერთგავლენა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა თითოეულ კილოში ამ მოვლენის დამოუკიდებლად განვითარებას უფრო გვაჯარაუდინებს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა და საყურადღებო ფერეიდნულის მონაცემი. იგი იზოლირებულ დიალექტია, რამდენადაც „თითქმის საზნაზნეარი საუკუნეა. რაც ის მოწყვეტილია თავის ფუძე-კილოს... და სრულებით არ განიცდის ქართულ ცოცხალ კილოთა და სალიტერატურო ენის გავლენას“. მიუხედავად ამისა, ფერეიდნულმა „ვეოლუციის შემდეგ შეიძინა ის ახალი მოვლენები, რომლებმაც დამოუკიდებლად იჩინეს თავი რიც ქართულ დიალექტებში“.²⁷ ვ. თოფურია გარდაუვალ დინამიკურ ზმნასთან II სერიაში ქვემდებარის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით გამოყენებას (რასაც ზოგჯერ თან სდევს ობიექტის გადაყენა მიცემითი ბრუნვიდან სახელობითში) ქართული ენის სხვადასხვა (სშირად ტერიტორიულად საკმაოდ

²⁷ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 252.

დაშორებულ) დიალექტში კონვერგენციის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევს.²⁵

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრით ქართული ენის დიალექტებში გარკვეული მერყეობა შეინიშნება: ერთი და იმავე გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე ზოგჯერ სახელობითშია (როგორც სალიტერატურო ქართულში), ზოგჯერ კი — მოთხრობით ბრუნვაში.

გარდა ზემოაღნიშნული ორი პოზიციისა, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით მოთხრობითი ბრუნვა გამოიყენება კიდევ ერთ კონსტრუქციაში, რაც უკვე მხოლოდ ანალოგიით უნდა აიხსნას: იგულისხმება ერგატიული კონსტრუქციის გამოყენება I სერიის ფორმებთან: ასეა, მაგალითად, აქარულში: მან თელი დღია მუშაოფს; მარტო მან ეხმარება; მამაშენმა დღეს შიშა აპოხს; ლობიას კურდღელმა ჭამას²⁶ და სხვა.

დასადგენია ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი. მიზეზი კი, ჩანს, ფუნქციაში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ნაწილ გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი გავებულია როგორც აქტიური პირი. სუბიექტის ეს ფუნქცია ზოგჯერ გრამატიკულ გამოხატულებასაც პოულობს, როგორც ეს ზემოაღნიშნული მაგალითებით დამადასტურდა. ამგვარი გარდაუვალი ზმნების ნაწილი საშუალო გვარის ზმნებია, ნაწილი კი — ლეპონენსები, ან ლეპონენსობისაკენ გადახრილი ზმნები: მივიდა (მოვიდა, წავიდა, წამოვიდა...), შეიქრა, დაეწია, გაჩავრა, შეეხვეწა, გამიჩხურდა, ადგა, დაყაბულდა, გამდიდრდა, გასაღდა, დაწვა, გაიქცა, გახმა, დათანხმდა, გაიხარა, წაეკინწილნენ, შეწუხდა, შეენუკა, შეეკითხა. მივარდა, შემობარუნდა, გამოიშინა (— ძალიან გაღმა), მიფორთხდა, გაიზარდა, დაფიქრდა, გამაგრდა, გაუდგა, აუხირდა, გაეკიდა, ეცა, გაიკრიფა, გაურიგდა, დაპირდა, დაქორწინდა, გათხოვდა, მოკვდა, დატოლდნენ, გაჰყვა, ეპატრონა, გახდა, გაქვიმდა (გაპაქვიმდა), გადაეხვივნენ, დაეხივნენ, შეიკრება... როგორც ვხედავთ თითქმის ყველა ზმნა ფუნქციურად აქტიურ სუბიექტს გულისხმობს და ეს ფუნქციური მხარე ზოგჯერ გრამატიკულადაც ფორმდება კონსტრუქციაში. და მართლაც, შეეხვეწა, შეენუკა, შეეკითხა, დაპირდა... ზმნები სამპირიანობის გაგებასაც კი იძლევიან. ამდენად, ფუნქციურად ისინი ყოველმხრივ უტოლდებიან მოქმედებითი გვარის ზმნებს. მაგრამ იმის გამო, რომ მოდელით ისინი ენებითი გვარის ზმნებია, სალიტერატურო ქართულში II სერიის ფორმებთან (ისევე როგორც I და III სერიაში) კონსტრუქცია მხოლოდ ნომინატიური ეწევათ. სალიტერატურო ქართულის საპირისპიროდ ზოგიერთი დიალექტი, ჩანს, ფუნქციურ მხარეს უწევს უფრო მეტად ანგარიშს და ეს ხდება მიზეზი ამ ტიპის ზმნებთან ქვემდებარის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით გამოყენებისა. შესაბამისად ორ ირიბ დამატებიდან ერთ-ერთი („ნიეთისა“) პირდაპირ დამატებად გაიგება და დგება სახელობით ბრუნვაში: შეეხვეწა, შეენუკა, დაპირდა... მან მას ის (ნაცვლად ამისა: ის მას მას).

სალიტერატურო ქართული განასხვავებს მიაშურა და გაეშურა ზმნების

²⁵ ვ. თ. თ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის; მაცნე, 1965, № 2, გვ. 177—179.

²⁶ შ. ნ. ი. ა. რ. ა. ძ. ე., დასახლებული წარმოშობი, გვ. 118; შ. ც. ი. ნ. ა. ძ. ე., კრწანთ-მარაღლის მეთყველების თავისებურებანი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954.

კონსტრუქციებს (ზმნების აგებულების მიხედვით: პირველი — მიაშურებს-მიაშურა — მოქმედებითი გვარის საარვისო ქცევის ზმნაა, მეორე — ეშურება-გაეშურა-ენიანი ვნებითის ფორმაა): პირველ შემთხვევაში II სერიის ფორმებთან იქმნება ერგატიული კონსტრუქცია, მეორე შემთხვევაში — ნომინატიული. ასე ხდება იმიტომ, რომ, ვიმეორებთ, სალიტერატურო ქართული გრამატიკულ ფორმას უწევს ანგარიშს, თუმცა ფუნქციურად (ქვემდებარის აქტივობის ანუ ვალსახრისით) ორივე ზმნა ფაქტიურად ერთმანეთს უთანაბრდება. დიალექტებში კი სწორედ ეს ფუნქციური მხარეა წინ წამოწეული და ამის შედეგად II სერიის ფორმებთან ორივე შემთხვევაში კონსტრუქცია ერგატიული იქნება.

მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს სალიტერატურო ქართულში ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან არ გვხვდება, ან თუ გვხვდება, აუცილებლად სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის შემთხვევაში. სალიტერატურო ქართულშიც საკმაოდ სშირად დასტურდება ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან, რომელთაგან უმრავლესი ისტორიულად გარდამავალი ზმნა იყო და პირდაპირი ობიექტის დაკარგვის გამო ფაქტიურად გარდაუვალ ზმნებს გაუტოლდა. ყველაზე ნათლად ეს წარმოჩენილია „საშუალო ფორმების“ პარადიგმებში: იტირა, იმღერა, იბიბინა, იწუხა, იშრიალა... მან. ყველა ეს ფორმა გარდაუვალია. თქმა იმისა, რომ ერგატიული კონსტრუქცია ამ შემთხვევაში შეპირობებულია აღნიშნულ ზმნათა ფორმით. ან თუნდაც იმიტომ, რომ ამ ტიპის საშუალო ფორმები ნაკლები მწკრივების შესავსებად შესაბამისი მოქმედებითების სათავესო ქცევის ფორმებს იყენებენ, ჩანს, საბოლოოდ მაინც ვერ გააკრევეს საკითხს, რადგან არსებითად „საშუალის“ ფორმა იგივე მოქმედებითის ფორმაა თვით აწმყოს წრის პარადიგმებშიც და რომელიმე მოქმედებითი გვარის ცრის (ცრის ფქვილს) ზმნისგან საშუალო ცრის (ცრის წვიმა) ზმნა მხოლოდ ფუნქციით განსხვავდება, თუმცა ეს განსხვავება ძირეული ხასიათის ცვლილებებს იწვევს უღვინელებასა თუ ახალ ფორმათა წარმოების მთელ სისტემაში. აქედან გამომდინარე, რომელიმე იტირა, იმღერა, იბიბინა ფორმები ისევე გარდაუვალია, როგორც მათი შესაბამისი აწმყო: ტირის, მღერის, ბიბინებს... ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ამ ტიპის ფორმებს (სპეციალურ ლიტერატურაში „მედიაოქტიური ფორმების“ სახელწოდებით ცნობილთ) პარალელურად შეიძლება შეენაცვლოს როგორც მოქმედებითის (resp. „საშუალის“), ასევე ვნებითის მოდელით ნაწარმოები ფორმები (ტირის-იტირა||ატირდა), მაგრამ ამგვარი შენაცვლება განუკითხავად არ ხდება: ორივე ტიპის ფორმათა ჩანაცვლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ერთპირიანია (ტირის ის), მაგრამ იმ დროს, როცა იმავე ზმნას ფაქტიურად ორი პირი უკავშირდება (ერთი—სუბიექტი, მეორე—პირდაპირი ობიექტთან გატოლებული), მაშინ შესაბამისი ჩანაცვლებული ფორმები მხოლოდ მოქმედებითის (resp. „საშუალის“) მოდელისა იქნებიან. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს: ტირის დაკარგვა (ტირის ის მას > ტირის ის) თუ მეორეულია, მაშინ მეორეულია ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, რადგან იგი მიღებულია გარდამავალ კონსტრუქციაში რეალური ობიექტის (ან რეალური ობიექტთან გატოლებული პირის) დაკარგვით, ხოლო კონსტრუქცია, სადაც არ ტირის და არც იგულისხმება რეალური (resp პირდაპირი) ობიექტი, გარდაუვალ კონსტრუქციაა, მიუხედავად იმისა, ისტორიულად მასში ეს ობიექტი იგუ-

ლისსმებოდა თუ არა. რიგ შემთხვევაში კი (მაგალითად, იბიბინა, იშრაილა, იზუ-
ზუნა, იციმიომა... მან) რეალური ობიექტის აღდგენაც არ ხერხდება, სოლო
თუკი ზოგჯერ დადასტურდება (მაგალითად, უღრიალებს ის მას>იღრიალა-
მან ის; ის. ზემოთ), ისიც გვიან გაჩენილი ჩანს.

ზემოთ აღნიშნულ ზმნებს გვერდით სხვა ფორმებიც შეიძლება ამოვუყე-
ნოთ, კერძოდ ოდესღაც სამპირიანი მოქმედებითი გვარის ფორმები, რომელთაც
რეალური (პირდაპირი) ობიექტი დაკარგეს: აკოცა მან მას ის>აკოცა მან მას;
შეხედა მან მას ის (-თვალი)>შეხედა მან მას. თუკი გარდამავალია მხოლოდ ის
ზმნა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი მოეპოვება, მაშინ მოცემული ზმნები
გარდამავალ ზმნებად ვერ მიიჩნევა (მიუხედავად ისტორიულად სხვაგვარი ვი-
თარებისა). ამავე რიგისა ჩანს იარა (||გაიარა||შეიარა||ჩაიარა||დაიარა) ზმნაც, რო-
მელიც ასევე გარდამავალია და ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის.

თუ გვარის ტრადიციული სისტემის მიხედვით განვიხილავთ აღნიშნულ
ზმნებს, აღმოჩნდება, რომ ყველა მათგანი ან მოქმედებითი, ან „საშუალო“
გვარის ზმნაა. ზემოთ უკვე გამოითქვა ვარაუდი, ფორმის საფუძველზე ამ ზმნა-
თა ერთი (მოქმედებითი) გვარის სისტემაში მოქცევის შესაძლებლობაზე. აქე-
დან გამომდინარე, თანამედროვე ქართულში ერგატიული კონსტრუქცია იქნება
მოქმედებითი გვარის (და არა მხოლოდ გარდამავალ) ფორმათა კონსტრუქცია.
მოქმედებითი გვარის ფორმა კი, აღნიშნული ვარაუდის თანახმად, შეიძლება
იყოს გარდამავალიც და გარდამავალიც.

ჩასაკვირველია, აქ არ იგულისხმება ვნებითის ის დეპონენტური ფორმები
(დაპირდა, შეეხევაწა, დაელაპარაკა...), რომლებიც თავისი აქტიური ფუნქციის
გამო ქართული ენის ზოგ დიალექტში ერგატიულ კონსტრუქციას ქმნიან.

ფუნქციურ მხარეზე ყურადღების გამახვილება ქართული ენის დიალექტე-
ბისათვის მარტო ამ შემთხვევაში არ არის დამახასიათებელი. ანალოგიური ვი-
თარება დასტურდება ზოგჯერ რიცხვში შეთანხმების დროსაც. ასე მაგალითად,
ცნობილია, რომ კრებით სახელებთან შემასმენელი ჩვეულებრივ მხოლოდით
რიცხვში დგას. „ხალხი ტიროდა“ — ქვემდებარე ფორმით მხოლოდითი რიცხვი-
საა, მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციურად მრავალს აღნიშნავს (კრებითი სახე-
ლის თავისებურებას სწორედ ეს წარმოადგენს); მაგრამ დიალექტები ისევე
ფუნქციურ მხარეს უწევენ ანგარიშს და ხშირად გვაქვს: ხალხი ტიროდენ. უი-
ვოდენ. უამობის დროს (აქარული, შ. ნიყარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.
148); შვადამეზენ წისქვილში შამევიდენ სამი კაცები და თქვენ (იმერული-
ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 473); ეს რომ გაიგებს ორმოცმა უჩაღმა,
წამოიდენ ოქრო-ვერცხლის გახაცარცვაჲად (გარეკასური, იქვე, გვ. 29ს) და
სხვა. ანალოგიური ვითარება დასტურდება ზოგიერთი მწერლის (ა. ყაზბეგის,

წერეთლის, დ. კლდიაშვილის) ნაწერებშიც.

ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ფუნქციისა და ფორმის ურთიერთო-
ბის პრობლემას გრამატიკაში.

ქართულში დადასტურებულია შემთხვევები, როცა შეინიშნება დაცილება
ფორმასა და ფუნქციას შორის. ყველაზე მკვეთრად ეს მოვლენა იგრძნობა დე-
პონენტებში. დეპონენტური გაგება შეიძლება ჰქონდეს ყველა სახის ვნებითს:

1. პრეფიქსიანს: იმუქრება-ემუქრება, ივინება, იკბინება, ელაპარაკება, ევეღრება, ეხვეწება, ეფერება, ეზიდება...

2. სუფიქსიანს: ჰპირდება...

3. უნიშნო ვნებით: ჰყვება...

ზემოაღნიშნული ვითარებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფორმები, რომლებიც პარალელურად გამოიყენებიან, როგორც „წმინდა“ ვნებითის შინაარსით, ასევე დეპონენსურად: პური იჭრება (ვნებითი) — მეომარი მტრის რაზმში იჭრება (დეპონენს.) და მისთან. ამ ორ ფორმას შორის აშკარა ფუნქციური სხვაობის მიუხედავად სალიტერატურო ქართული მათ ფორმითა და კონსტრუქციით არ განარჩევს ერთმანეთისაგან, მაგრამ დიალექტები ცდილობენ დაამყარონ განსხვავება: პირველ შემთხვევაში ნამყო ძირითადშიც ნომინატიური კონსტრუქცია დასტურდება, მეორე შემთხვევაში — შეიძლება წარმოქმნას ერგატიული კონსტრუქცია: შეიჭრა მახარობელმან („რუსულანიანი“). ზოგჯერ ეს ფუნქციური სხვაობა იმდენად ძლიერია, რომ სალიტერატურო ქართულშიც შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია განსხვავების დამყარებისა. ეს თავს იჩენს ძირითადად რიცხვში შეთანხმების დროს. ასეთია, მაგალითად, ეკითხება ზმნა. ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ვნებითის ფორმა: სტულენტს ლექცია ეკითხება (ლექტორის მიერ), სხვა შემთხვევაში დეპონენსური გაგება აქვს: მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს. როგორც ჩანს, აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენს ირიბი დამატება: სულიერ თუ უსულო არსებით სახელს. აღნიშნულ კონსტრუქციებს შორის ამგვარი ფუნქციური სხვაობა შეიძლება მორფოლოგიურადაც აისახოს ზმნაში; კერძოდ, მრავლობითი რიცხვის გამოხატვის დროს:

1. ეკითხება ზმნას დეპონენსური გაგება აქვს; ამ შემთხვევაში ზმნაში (ახალ ქართულში) აღინიშნება მხოლოდ გრამატიკული ქვემდებარის რიცხვი:


მასწავლებელი	ეკითხება	მოსწავლეს
მასწავლებელი	ეკითხება	მოსწავლეებს
მასწავლებლები	ეკითხებიან	მოსწავლეს
მასწავლებლები	ეკითხებიან	მოსწავლეებს

2. იგივე ეკითხება ზმნა ჩვეულებრივი ორპირიანი ვნებითის ფუნქციით გამოიყენება და მაშინ ზმნაში მხოლოდ ირიბი ობიექტის რიცხვი აღინიშნება:

ლექცია	ეკითხება	სტულენტს
ლექციები	ეკითხება	სტულენტს
ლექცია	ეკითხებათ	სტულენტებს
ლექციები	ეკითხებათ	სტულენტებს.

ანალოგიური ვითარება — ირიბი დამატება რიცხვში ითანხმებს ზმნას — შეიძლება დადასტურდეს ყველა იმ ე-პრეფიქსიან გარდაუვალ ზმნასთან, რომელთაც აქვთ შესაძლებლობის, მიჩნევის, გუნების და უნებლიე მოქმედების გამოხატვის ფუნქცია:

შ ა ს		ექმება	—	ის ისინი
		ექმებიება		
		ემღერება		
		შემოგხარჩება		



ჩანს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ამ ტიპის ზმნებთან ფაქტიურად ინვერსიაა მომხდარი: ირიბი დამატებით გადმოცემული პირი აქ გაიასრება როგორც მოქმედი; ყოველ შემთხვევაში მოქმედება (მოქმედების შესრულება ან განცდა) მის მიეწერება. აღარაფერს ვამბობთ სინაფს მას— სინაფსით მათ ტიპის ფორმებზე, სადაც გრამატიკული ქვემდებარე დაკარგულია და მისი ფუნქცია ირბი დამატებაზე გადავიდა.

ძველ ქართულში ირიბი დამატება რიცხვში ვერ ითანხმებდა ზმნას. ახალ ქართულში ვითარება ერთგვარად შეიცვალა და ეს უპირველესად ინვერსიულ ზმნებთან შეინიშნება. ძველ ქართულში გვქონდა: გაქუს შენ იგი|გაქუს თქვენ იგი, მაგრამ: გქონან შენ (თქვენ) ივანი. ახალ ქართულში უკვე საპირისპირო ტენდენცია ჩნდება: ზმნას რიცხვში ირიბი ობიექტი ეთანხმება, ხოლო გრამატიკული ქვემდებარის რიცხვი ზმნაში ფაქტიურად აღუნიშნელი რჩება: გაქვს შენ იგი|იგიწი, მაგრამ: გაქვს-(ს)-თ თქვენ იგი (||იგიწი), ე. ი.სახელობითბრუნვითი ფორმა ვეღარ ამქლავნებს ძველებურ ძალას: გაქვს შენ წიგნი—გაქვს შენ წიგნები...²¹

4. სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის საკითხისათვის ზმნის გვართან დაკავშირებით

გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტისა და ობიექტების ურთიერთგამოყოფას, დიფერენციაციას. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართული ენის შესახებ, სადაც შემასწაველი ქვემდებარესა და პირმმართ დამატებებთან ერთად სინტაქსური კონსტრუქციის ბირთვს ქმნის.

სუბიექტისა და ობიექტების ჩამოყალიბება ქართულში არსებითად დასრულებულია. მიუხედავად ამისა, დასტურდება რამდენიმე მაგალითი, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია აღვადგინოთ ის პროცესი, რომელიც სუბიექტისა და ობიექტების დიფერენციაციას ახლდა თან.

§ 1. ცნობილია, რომ I სერიაში სახელობითი ბრუნვის ფორმითა წარმოდგენილი როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, ხოლო მიცემითი ბრუნვის ფორმით დასტურდება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი დამატება. განსხვავება თავს იჩენს II და III სერიაში.

თავისი ბუნებით, ფუნქციით, ცალკე გამოიყოფა სახელობითი ბრუნვით წარმოდგენილი გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერთი მხრითა და პირდაპირი დამატება და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, მეორე მხრით. შდრ.:

²⁰ თუმცა აქ ერთგვარი მერყეობაც შეინიშნება; გვაქვს ერთმანეთის პარალელურად: ემშებათ|ემწება მათ.

²¹ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968, გვ. 138.

1. კაცმა დახარჯა ფული
2. კაცი ხარჯავს ფულს
3. (კაცის მიერ) იხარჯება ფული³².

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ პირველი წინადადების პირდაპირი დამატება და მესამე წინადადების სუბიექტი თვისობრივად ახლოს დგანან ერთმანეთთან, ხოლო მეორე კონსტრუქციის სუბიექტი, მოუხედავად იმისა, რომ ისიც სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, აღნიშნული ორი ფორმისგან აშკარად განსხვავებულია. თუკი ზოგი ინდოევროპული ენის მონაცემს გაეითვალისწინებთ, შესაძლებელი ჩანს გავავლოთ ამგვარი პარალელი: პირდაპირი დამატებისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სახელობითი ბრუნვა ეფარდება ზოგი ენის აკუზატივს (ბრალდებით ბრუნვას), ხოლო შესაბამისად — გარდამავალი ზმნის სუბიექტის სახელობითი ბრუნვა — ნომინატივს... აკუზატივი, როგორც გრამატიკულად გაფორმებული ბრუნვა, ქართველურ ენებს არ გააჩნია. ამ ბრუნვის უქონლობა საერთოდ დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის.

აღნიშნულია, რომ „აკუზატივის ადგილი დაღესტნურ ენებში, ნახურ ენებში, აღიღურ ენებში სახელობითს უჭირავს. ქართველურ ენებში (ქანურის გამოკლებით) საამისოდ ხან სახელობითი გვაქვს, ხან მიცემითი... აკუზატივის უფრო უახლოვდება მიცემითი“.³³ რაც შეეხება უდიურს, აქ პარალელურად დასტურდება მიცემითისა და ე. წ. „ბრალდებითის“ გამოყენება სხვა ენების აკუზატივის ფუნქციით. ვარაუდობენ, რომ ეს „ბრალდებითი“ ბრუნვა უდიურში „წარმოდგენს იმავე მიცემითს და ამიტომ გასაგებია, რომ ის იჩენს მიცემითის საერთო თვისებებს“.³⁴

ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ ქართულის სახელობითი და მიცემითი ბრუნვები რიგ შემთხვევაში ფუნქციურად აკუზატივს უტოლდებიან. ეს უფრო სარწმუნო ხდება ზოგ სხვა ენასთან შეპირისპირებითაც: მაგალითად, რუსულში, რიგ შემთხვევაში სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვები ფორმით ემთხვევიან ერთმანეთს; ასე ხდება ზოგი უსულო საზოგადო სახელის ბრუნებისას: *писью пишется* (სახელობითი) — *пишу письмо* (ბრალდებითი). სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვების სიახლოვეზე რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული.³⁵ მათი დიფერენციაცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა: სახელობითი უკავშირდება ქვემდებარეს, ბრალდებითი — პირდაპირ დამატებას. ეს ხდება გარდამავალ ზმნებთან. გარდაუვალ ზმნებთან კი სახელობითი ბრუნვა ფაქტიურად ისევ ძველი, „სახელობით-ბრალდებითი“ სინკრეტული ბრუნვის ფუნქციით გამოდის. ე. ი. სუბიექტისა და

³² აღნიშნავენ, რომ კაცის მიერ და მისთნ. ამ ტიპის მაგალითებში ხელოვნურად ისმის, „ენებითი აუცილებლად არ მოითხოვს ამ რეალური სუბიექტის დასმას“. იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 060.

³³ არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, თბ., 1961, გვ. 4.

³⁴ ე. ფ ა ნ ჩ ე ი ძ ე. აკუზატივის გენეზისისათვის უღერ ენაში, ენიშკის შოამზე, ტ. V—VI, გვ. 138, 140, 150.

³⁵ В. В. Виноградов, Русский язык, стр. 621—622.

ობიექტის მკვეთრი ურთიერთგაპოპულარიზაცია (რაც მათი ფორმითაც აისახა) ხდება ბრუნვათა სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ. ამდენად, სუბიექტ-ობიექტის დიფერენციაციისა და ჩამოყალიბების წინაპირობა არის ბრუნვათა სისტემის წარმოქმნა. ქართულში ბრალდებითი ბრუნვა არ ჩამოყალიბებულა და მისი ფუნქცია გარკვეულ კონსტრუქციაში, როგორც აღინიშნა, აკისრია სახელობით და მიცემით ბრუნვებს. მაგრამ ეს უფრო გვიანდელი მოვლენაა, თუნდაც იმიტომ, რომ სახელობითი ბრუნვის ჩამოყალიბება ქართულში შედარებით გვიან მოხდა. მიუხედავად ამისა, ძველ ქართულში დადასტურებულია რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ნათლად წარმოგვიდგენენ ბრუნვათა სისტემის ჩამოყალიბების მნიშვნელობას სუბიექტისა და ობიექტის დიფერენციაციისათვის. ასეთებია: აბრაამ შვა ისაჲ; ხოლო პეროდე მაშინ შეიპყრა იოანე... ამგვარ კონსტრუქციაში სუბიექტისა და ობიექტის გამოყოფა მხოლოდ კონსტრუქციაში მათი რივის მინდევით შეიძლება, მაგრამ „საკმარისია, ერთ-ერთ სახელს გაუჩნდეს ბრუნვის ნიშანი, რომ მაშინვე გაიკვეს ორივეს სინტაქსური როლი რიგის გარეშეც“.³⁶ ის ფაქტი, რომ წრფელობითის ფორმა (ე. ი. წმინდა ფუძე) ძველ ქართულში ადამიანთა საკუთარ სახელებში სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციით იყო გამოყენებული, მათი გვიანდელი დიფერენციაციის ვარაუდს უნდა უჭერდეს მხარს. სწორედ ამის გამო იყო, რომ აბრაამ შვა ისაჲ ტიპის კონსტრუქციებში სუბიექტისა და ობიექტის ფორმალური განსხვავება არ ხდებოდა, მათი ფუნქცია კონსტრუქციაში მათი ადგილით განისაზღვრებოდა.

რაც შეეხება გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, ცნობილია, რომ იგი მოქმედებითი გვარის შესაბამის კონსტრუქციაში შირდაპირ დამატებას წარმოადგენს: დახარჯა ფული-დაიხარჯა ფული. გარდაუვალი ზმნის კონსტრუქციაშიც იგი რეალურად ობიექტია, მაგრამ ქვემდებარედ არის გაფორმებული ზმნაში; შდრ.: კაცი ფულს დახარჯავს-კაცს ფული ეხარჯება-კაცს ფული შემოეხარჯება. სამივე კონსტრუქციაში რეალურად მოქმედი პირი არის კაცი, მაგრამ გრამატიკულად ქვემდებარედ იგი მხოლოდ პირველ კონსტრუქციაში არის გაფორმებული; განსაკუთრებით წარმოჩენილია ეს წინააღმდეგობა მესამე კონსტრუქციაში, სადაც რეალურად მოქმედი პირი ირიბი დამატებით გადმოცემული პირია: კაცს ფული შემოეხარჯება-კაცს ფული შემოეხარჯა. უკანასკნელი კონსტრუქცია ზუსტი ფარდია მოქმედებითი გვარის კონსტრუქციისა, რომელიც II თურმეობითის ფორმასთან დასტურდება: კაცი ფულს ხარჯავს-კაცს ფული დაეხარჯა.³⁷ მაშასადამე, კონსტრუქციაში: კაცს ფული შემოეხარჯება, მიუხედავად იმისა, რომ ზმნაში სუბიექტად ფული არის წარმოდგენილი. იგი ფუნქციურად პირდაპირი დამატებაა, ე. ი. იგივე, რაც კონსტრუქციაში: კაცმა ფული დახარჯა. ამგვარი შეპირისპირებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ზოგიერთ გარდაუვალ კონსტრუქციაში გრამატიკული ქვემდებარე ფუნქციურად პირდაპირი დამატების ფარდია; ე. ი. ფაქტიურად ფუნქცია იგივე რჩება, რაც მოქმედებითი გვარის შესაბამის კონსტრუქციაში იყო. სწორედ ამგვარი კონსტრუქციები ჩანს გარდამავალი საფეხური ვნებითი გვარის კონსტრუქციებისაყენ, სა-

³⁶ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა), სასკოლო სახელმძღვანელოში: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., გვ. 032.

³⁷ თვით ვნებითის ფორმას II თურმეობითი უკვე სხვაგვარად აქვს ნაწარმოები: შემოეხარჯება-შემოხარჯოდა...

დაც სახელობითში დასმულ და ზმნაში ქვემდებარედ გაფორმებულ სახელს უკვე ფუნქციურადაც ქვემდებარის როლი ეკისრება. ეს მოვლენა განსაკუთრებით წარმოიჩენილია იმ კონსტრუქციებში, რომლებშიც შემასმენლად ე-პრეფიქსიანი ვნებითის დეპონენსური ფორმა გვევლინება: კაცი ხეს ეფარება; სადაც მოქმედების რეალურ შემსრულებლად უკვე კაცი გვევლინება. მაგრამ უკანასკნელ კონსტრუქციაში ზოგჯერ შეიძლება გაჩნდეს ქვემდებარისებრი უბრალო დამატება³⁸ და მაშინ იგივე კაცი ფორმა უკვე პირდაპირი დამატების ფუნქციით იტვირთება: შიშისაგან კაცი ხეს ეფარება; ეს კონსტრუქცია კი უკვე ფუნქციონალური და ფორმითაც ვნებითი გვარის კონსტრუქციაა.

§ 2. სუბიექტისა და ობიექტის გვიანდელი დიფერენციაციის კვალი წოგიერთი „საშუალი“ ზმნის მაგალითზეც შეინიშნება. საერთოდ, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საშუალი ფორმა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტი თვით არის თავისივე მოქმედების ობიექტი.³⁹ ამ მოვლენის დასასაბუთებლად ტირის, ჩივის ტიპის ფორმები გამოგვაღებება. ცნობილია, რომ კონსტრუქციის მიხედვით ეს ზმნები ხან ერთპირიანია, ხან ორპირიანები. მოქმედების „უკუქცევა“ (სხვაგვარად: იმის აღნიშვნა, რომ სუბიექტი თავისივე მოქმედების ობიექტია) სწორედ ერთპირიანი ფორმებისათვისაა დამახასიათებელი, რაც ფორმალურად თავს იჩენს უღვლილების პარადიგმებში: იმღერებს-იმღერა, იტირებს-იტირა, იჩივლებს-იჩივლა... აქ ისტორიულად ი-პრეფიქსი უკუქცევის თობის აღმნიშვნელია, ხოლო თვით ამ ზმნეებში ეს უძველესი ფუნქცია დღესაც შემორჩენილია, რადგან მათ მოქმედებითი გვარის სათავესო ქცევის ფუნქცია არ განვითარებიათ. შემდეგ ჩნდება პირდაპირი დამატება, მაგრამ იგი ისევ სუბიექტის თავისებურ „პერსონიფიკაციას“ წარმოადგენს (სხვაგვარად: დასტურდება ერთგვარი „გრამატიკული ტაქტოლოგია“): თავის თავსა სტირის, ჩემს თავსა ვჩივ და მისთნ. ფაქტიურად აქაც სუბიექტს უბრუნდება თავისივე მოქმედება, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გაშუალებულია, ობიექტის სახითაა „პერსონიფიცირებული“.⁴⁰

შემდეგ კი ამგვარი (შეიძლება ითქვას „ფიქტიური“) ობიექტის ადგილს იკავებს „გარეშე საგანი“ და ზმნა უკვე მოქმედებითი გვარის ფუნქციის გამოხატვისაქენ იხრება; შდრ.: სტირის თავის თავს და: რაქელ სტიროდა შვილთა თვსთა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე: ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილოვან და პატრეაქი ტიპის კონსტრუქციები. აქ უკვე აშკარად ჩანს, რომ სუბიექტს უბრუნდება იგივე მოქმედება, რასაც თვით ასრულებს, მაგრამ უკვე სხვა პირის მიერ შესრულებული, რომელიც კონსტრუქციის მიხედვით აგრეთვე სუბიექტია. ზოგიერთ ენაში (მაგალითად, რუსულში, აფხაზურში) ამ

³⁸ ტერმინისათვის იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, თბ., 1948, გვ. 34.

³⁹ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 312; ვ. ვ. ვილიკოვსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 623; Ж. М а р у з о, Слова р и л и н и с т и ч е с к и х т е р м и н о в, с т р. 296.

⁴⁰ მაშინ უნდა ეივარუდოთ, რომ ჩივის-თავის თავსა ჩივის ფორმებს შორის ახლანდელ სემანტიკური სხვაობა მეორეულია. ჩივის — ახლა უკვე ნეიტრალურ ფორმად გაივება, მასში აღარ არის ჩადებული მოქმედების სუბიექტისადმი უკუქცევის შინაარსი.

ფუნქციის მქონე ფორმებს საურთიერთო კატეგორიად გამოჰყოფენ.⁴¹ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი გარდამავალი საფეხური სუბიექტ-ობიექტის ურთიერთგამოყობისა.

სათანალო ყურადღებას იმსახურებს იძინებს, იღვიძებს ზმნების შემცველი კონსტრუქციები. ისტორიულად ეს ზმნები ორპირიანი იყვნენ და ძველ ქართულში ეს ფაქტობრივად დასტურდება: ... ძილი იგი ღიხსთა მისთა დაიძინა... დასტურდება იგი ზოგ დიალექტშიც: ... ძილ დააძინეს შავარი... (დააძინეს მათ მას იგი; აქედან: დაიძინა მან იგი, დაეძინა მას იგი). ეს მაგალითი ორნაირად არის საინტერესო: ქერ ერთი, ორპირიანი კონსტრუქცია: იძინებს იგი მას იქცა ერთპირიანად: იძინებს იგი (თუმცა გაფორმება კვლავ ორპირიანი ზმნისა აქვს), რის გამოც კონსტრუქციაში დაკარგული ობიექტის ფუნქცია ფაქტიურად სუბიექტმა იკისრა. ამგვარი ცვლილების შედეგი უნდა იყოს ის, რომ იძინებს, — მოდელით მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევა, — ფაქტიურად ისე დაუპირისპირდა შესაბამის აძინებს მოქმედებითი გვარის საარვისო ქცევის ფორმას, როგორც ერთპირიანი ვნებითი სათანალო (ორპირიანი) მოქმედებით: აძინებს (ის მას)—იძინებს (ის). საპირისპირო მდგომარეობაა ეძინება ზმნაში, რომელიც ფორმით ასევე ორპირიანია, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ერთი პირის გაგება უკავშირდება: თუკი იძინებს ზმნიან კონსტრუქციაში იყარგება პირდაპირი დამატება და მისი ფუნქცია ფაქტიურად სუბიექტს უკავშირდება, ეძინება ზმნიან კონსტრუქციაში იყარგება გრამატიკული ქვემდებარე და მისი ფუნქცია ირიბ ობიექტს ეკისრება: *ეძინება მას ის>ეძინება მას.

გარდა ამისა: აღნიშნული ფორმები საგულისხმო ვითარებას გვიჩვენებენ პირდაპირი და ირიბი ობიექტების ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ისტორიულად იყო: დააძინა მან მას იგი (resp. ძილი). ეს კონსტრუქცია შეიძლება შევუფარდოთ წინადადებას: დაასიზმრა მან მას სიზმარი, მაგრამ კონსტრუქციაში იყარგება პირდაპირი ობიექტი (ძილი), ხოლო მის ფუნქციას იძენს ირიბი ობიექტი; ამიტომ კონსტრუქცია ისევე გარდამავალი რჩება: დააძინა მან ზავშვს ძილი-დააძინა მან ზავში. პირდაპირი და ირიბი ობიექტების ასეთი „ურთიერთშენაცვლება“, რასაკვირველია, შემთხვევითი არ უნდა იყოს.

§ 3. პირდაპირი და ირიბი ობიექტების გვიანდელი დიფერენციაციის კვალი ზემოთ აღნიშნულის ანალოგიურ კონსტრუქციებში ჩანს, სადაც ერთმანეთს ენაცვლება პირდაპირი და ირიბი დამატებები. განსაკუთრებით ხელშესახებად ეს მოვლენა თავს იჩენს II სერიის ფორმებთან, რადგან პირდაპირი და ირიბი დამატებები ბრუნვებით სწორედ აქ არის განსხვავებული.

გვაქვს კონსტრუქცია: მან ფანდური დაუქრა, სადაც ფანდური ფორმა პირდაპირი დამატებაა. მაგრამ ერთ-ერთ დიალექტში დადასტურებულია ასეთი კონსტრუქცია: მან ფანდურს დაუქრა.⁴² უკანასკნელ წინადადებაში ფანდურს ფორმით ირიბი დამატებაა.

ამავე ტიპის ჩანს მაგალითები: დაჰკითხა მან ამხანაგებს|დაჰკითხა მან ამხანაგები; აღნიშნული ზმნა ზოგჯერ სამპირიანია (და-ჰკითხა მან მას ის) და მა-

⁴¹ ვ. ვ. ვინოგრადოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 607; Грамматика ахвазского языка, стр. 144—149.

⁴² ა. შანიძის დადასტურებული აქვს ასეთი მაგალითი: ფანდურს დაჰკითხა, ბერტუნდო; ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 357.

შინ პირდაპირი და ირიბი ობიექტების ამგვარი „აღრევა“, ბუნებრივია, არ დასტურდება.

აჭარულში „დაძახება“ ზმნასთან დამატება II სერის ფორმასთან სახელობით ბრუნვაშია, ნაცვლად მიცემითი ბრუნვისა: ქოსამ თავის შვილიც აღარ დუძახა... დუძახა კაცანას დამკვლელი და უთხრა... დუძახე მამადღი...⁴³ ანალოგიური მოვლენა შენიშნულია მესხურში: დუძახა ჰასან-ფაშამა ქელოღლანი...⁴⁴ ასევე ინგილოურში: დოჟუხას კიდემ ქაჩალი (დუძახა კიდევ ქაჩალს)...⁴⁵ ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში „ან ზმნა ვერ მართავს სახელს, ან ეს სახელი არ წარმოადგენს ირიბ ობიექტს...“ ჩანს, რომ აქ „ნამდვილი პირდაპირი ობიექტი დაკარგულია და მისი ადგილი ირიბ ობიექტს უჭირავს...“⁴⁶ რომელიც ამ შემთხვევაში არა მარტო ფუნქციურად ასრულებს პირდაპირი ობიექტის როლს, არამედ ფორმალურადაც მას უტოლდება: II სერის ფორმებთან დგება სახელობით ბრუნვაში. და მართლაც, აღნიშნული ზმნები შინაარსობრივად საპირისპიროა, მაგრამ ზოგჯერ პირდაპირი ობიექტი დაჩრდილულია (ან სულაც დაკარგული); განსაკუთრებით ეს ითქმის დუძახა ზმნაზე (დუძახა მან მას ია-დუძახა მან მას); კონსტრუქციაში ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვის ფორმილია წარმოდგენილი, რაც ფაქტურად იმას გულისხმობს, რომ მასთან ერთად უნდა დასტურდებოდეს პირდაპირი დამატებაც. სწორედ ამის გამოა, რომ მისი მნაშენელობა გადადის ირიბ ობიექტზე და დიალექტებში ფორმითაც პირდაპირი ობიექტის ფარდი ხდება.

ამ ფაქტის დამადასტურებელი უნდა იყოს ისიც, რომ სამპირიანი გარდამავალი ზმნის I სერის ფორმებთან ირიბი და პირდაპირი დამატება ერთმანეთისაგან ფორმალურად არ არის გარჩეული: ორივე მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: განსხვავება მხოლოდ ფუნქციურია. ცნობილია შემთხვევები: როცა „წნელება იმის დასახელება, თუ რომელია პირდაპირი დამატება და რომელი ირიბი“.⁴⁷ ასეთებია ის მაგალითები, როცა პირდაპირი და ირიბი დამატება ერთი და იგივე სიტყვაა: ფრთას ფრთას შემოჰკრავს, რომელიც ასეც შეიძლება იქნეს წარმოდგენილი: ფრთებს ერთმანეთს შემოჰკრავს და აქ უკვე ერთმანეთს ფორმა მხოლოდ „ფორმალური ობიექტის“ როლს ასრულებს (შღრ.: ფრთებს შემოჰკრავს); ფრთებს ფორმა უკანასკნელ შემთხვევაში თავის თავში შეიცავს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტის ფუნქციას. ანალოგიურ მაგალითად დასახელებულია კონსტრუქცია: ჭავრი უკლავს დედას შვილს, რომელშიც II სერიაში პარალელურად შეიძლება მოგვეცეს ორი კონსტრუქცია: 1. ჭავრმა მოუკლა დედას შვილი და; 2. ჭავრმა მოუკლა დედა შვილს.

§ 4. ძველ ქართულში I სერის ფორმებთან ირიბი და პირდაპირი (რქს). მიცემით ბრუნვაში დასმული) დამატებები ერთნაირ სინტაქსურ ძალას იჩენენ: ა) პირდაპირი ობიექტი ზოგჯერ აჩენს ობიექტური III პირის ნიშანს ზმნაში, რაც (I და II პირისგან განსხვავებით) მხოლოდ ირიბი დამატების დამახასია-

⁴³ შ. ნიქაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, 1961, გვ. 118.

⁴⁴ შ. ძიძიგური, ძივანი ქართული დიალექტოლოგიიდან. 1954, გვ. 144.

⁴⁵ გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, გვ. 139.

⁴⁶ იქვე, გვ. 139.

⁴⁷ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1965, გვ. 76—77.

ათეზელ თვისებადაა შინგული.⁴⁸ ამ მოვლენის დამადასტურებელი მაგალითები ძველ ქართულში საკმაოა: ყო იგი-ჰყოფს მას; მოკლა იგი-მოჰკლავს მას; აოვა იგი-ჰპოვებს მას და ა. შ.

ბ) ნიცემითში დასმული დამატება — ვერც ირიბი და ვერც პირდაპირი — ვერ ითანსმებდა ზნას რიცხვში: ჰკლავს მას. მათ, მაგრამ: მოკლა იგი-მოკლნა იგინი.

§ 5. ძველ ქართულში გამოიყო დამატება ტიპის ზმნები, „რომლებიც...“ დამატებას ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაში ნოითხოვენ, ხოლო უღლებით მიცემით დამატებიანი ზმნიის უღლებას მისდევენ.⁴⁹ ვარაუდობენ, რომ „ამ ჯგუფის ზმნებს ოდესღაც. ძველისძველად, დამატება ნიცემით ბრუნვაში უნდა აქონოდათ, მაგრამ შემდეგ, დროთა განმავლობაში, განვითარების გამო მიცემითის დამატება დაქარაგვიათ“,⁵⁰ და ზმნაში პირის ნიშნით ფაქტიურად პირდაპირი (ი.ე. სახელობითბრუნვიანი) დამატებაა წარმოღვენილი. ამ ტიპის ზმნებია (ნან იგი) აღმართა, დაჰვლა, დასთესა, დასთხია და მისთნ.

§ 6. ზოგიერთი გარდაუვალი ზმნა ქართულში სამპირიანი ზმნის მნიშვნელობას იძენს. ამის ტიპიურ მაგალითად შეიძლება ჩათვალოს პირდება-დაპირდა ზმნა, რომელიც „ორ ობიექტს იგუებს... ორივე ობიექტი ირიბია წარმოშობით (ერთი პირისა, მეორე ნივთისა), მაგრამ მეორე ობიექტი (ნივთისა) ამჟამად პირდაპირად არის გავებული“.⁵¹ ეს მაგალითი, ჩანს, იმაზე მიუთითებს, რომ ირიბი და პირდაპირი დამატებების თავდაპირველ დიფერენციაციას კონსტრუქციაში მათი მნიშვნელობა, მათი ფუნქციური მხარე დაედო საფუძვლად, რაც შემდეგ გრამატიკულადაც გაფორმდა. ამის დამადასტურებელია იგივე მაგალითი, რომელიც ზოგიერთ კილოში უკვე მოქმედებითი გვარის ზმნისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციას ქმნის: დაპირდა ის მას მას-დაპირდა მან მას ის, — ირიბმა დამატებამ, რომელიც კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების ფუნქციით გამოდიოდა, აქ გაფორმებაც შესაბამისი. პირდაპირისებრი, მიიღო: დადგა სახელობით ბრუნვაში. ზოგიერთ დიალექტში ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს შეეკითხა-ეკითხება ზმნაც: ეკითხება ის მას მას-შეეკითხა ის მას მას, მაგრამ დიალექტური: შეეკითხა მან მას ის. ამავე რიგისა ჩანს შეეხვეწა, შეენუცვა, შეევედრა და მისთნ.

§ 7. საინტერესო ფორმაა „აკოცა მან მას“, სადაც პირდაპირი დამატების ფუნქციით ირიბი დამატება გამოდის. დაუძახა ზმნის ანალოგიურად აქაც უნდა ვივარაუდოთ პირდაპირ ობიექტური პირის დაკარგვა (აკოცა მან მას ის-აკოცა მან მას); ეს ზმნა სხვა თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას. აკოცა ნამყო ძირითადის ფორმას ამავე ფუძისა I სერიაში მხოლოდ მყოფადის წრის მწკრივები მოეპოვება (აკოცებს, აკოცებდა, აკოცებდეს), ხოლო აწმყოში (ისევე როგორც III სერიის მწკრივები) მას იმავე ძირის, მაგრამ სხვა ფუძის კოცნის ფორმა შეეფარდება (უკანასკნელი ე. წ. „ნარიანი საწყისების“ ჯგუფს განეკუთვნება). ამიტომ კოცნის ზმნის უღვლილება ამგვარად წარმოგვიდგება:

⁴⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. გვ. 186.

⁴⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბზუღბანი, I, თბ., 1957, გვ. 174.

⁵⁰ იქვე, გვ. 174.

⁵¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 365.

აწმყო:	კონცის
უწყებელი:	კონიდა
აწმყო კავში:	კონიდეს
მყოფალი:	დაკონისს აკოცებს
ხოლმეობითი:	დაკონიდა აკოცებსდა
მყოფ. კავში:	დაკონიდესს აკოცებსდეს
ნამყო ძირ.:	დაკონს აკოცა
II კავში:	დაკონისს აკოცოს
I თურმეობ.:	(და)-უკონია
II თურმეობ.:	(და)-უკონა
III კავშირ.:	(და)-უკონოს

ამათგან კონცის-დაკონის-დაკონა მოქმედებითი გვარის ჩვეულებრივ კონსტრუქციას ქმნის: კონცისს|დაკონის ის მას-დაკონა მან ის. მაგრამ უკვე აკოცებს-აკოცა ფორმა ფაქტიურად გარდაუვალი ზმნის თვისობასაც ამქლავ-ნებს ერთი მხრით (დამატება ერთი ახლავს და ისიც II სერიის ფორმასთან მიცემით ბრუნვაშია, ე. ი. ირიბია ახალი ქართულის გაგებით), ხოლო მეორე მხრით მოქმედებითი გვარის კონსტრუქციასაც უტოლდება იმდენად, რამდენადაც ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (აკოცა მან).

აკოცებს-აკოცა ფორმები ერთგვარი გამონაკლისი ჩანს ამ ძირისგან ნაწარმოები ფორმების წყებაში. ჭერ ერთი იმიტომ, რომ (როგორც აღინიშნა) აკოცა ზოგი მწკრივის ფორმა, II სერიაში ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვის ფორმით ახლავს, მაგრამ დამატება მიცემით ბრუნვაშია დასმული. გარდა ამისა, კაუზატივიცა და ვენებითის ფორმებიც -ს სუფიქსიანი ფუძეებისაგან აქვს ნაწარმოები: აკოცინებს (...ნეფე-დედოფალს საყდარშივე აკოცინებს ერთმანეთს)... 6. ლომოური) — გოცნება (...ვეკონი მე შენს დალალებს, მაგრამ რა მეგოცნება...“ გ. ტაბიძე) — იკოცნება („ვარ გაუთლელი ლერწამის დერი, ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება“. ტ. ტაბიძე); ასევე, მხოლოდ -ს სუფიქსიანი ფორმებს მოეპოვებათ საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევები: კონცის-იკონცის-უკონცის (დაკონცა-დაიკონცა-დაუკონცა), აკოცებს-აკოცა მხოლოდ საარვისო ქცევის ფორმითაა წარმოდგენილი.

§ 8. ცალკე განხილვას ითხოვს ირიბი და უბრალო დამატებების ურთიერთობის საკითხი. რამდენიმე მაგალითი ადასტურებს, რომ მათი ურთიერთგამოყოფაც შემდეგდროინდელი მოვლენაა. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ III სერიაში სამპირიანი ზმნა კარგავს ერთ პირს (რომელიც კონსტრუქციაში ირიბი დამატების სახითაა წარმოდგენილი), რის შედეგადაც ირიბი დამატება უბრალო დამატებად იქცევა: ვუკეთებ მე მას მას-გავუყუეთ მე მას იგი-გამიკეთებია მე მისთვის იგი. თავისთავად საგულისხმო ფაქტია ირიბი და უბრალო დამატების ამგვარი შენაცვლება, მაგრამ ამჭერად სხვა რამ გვიანტერესებს, კერძოდ: „ძველი ქართული ენის ძეგლებში აქა-იქ ვხვდებით გამონაკლისებსაც: მესამე პირის ირიბი ობიექტი III სერიის ფორმებშიც (თურმეობითი I და II) მიცემითი ბრუნვის ფორმით უკავშირდება გარდაამავალ ზმნას... მიიმცემიან მე იგინი მას“.⁵² რასაკვირველია, ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს. იგი იმაზე მიუთითებს, რომ უბრალო დამატება გარკვეულ შემთხვევაში ირიბი დამატების

⁵² დ. გეგაძე, სამპირიანი ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, გვ. 469.

შემცველია, მისი ფუნქციის სკონეა. მასთან დეკავშირებით ყურადღებას აპრობს კონსტრუქცია. სადაც ირიბი და უბრალო დამატებები გარეგნულად (ფორმალურად) ერთმანეთს ემთხვევიან: ერთმა გლუვმა ფიცხლავ ქულს ხელი იტაცა... თოფიანებმა თოფებს ხელი გაიკრეს... ახალ ქართულში ჩვეულებრივ ამ კონსტრუქციებში გვექნება: ქულზე, თოფებზე ფორმები, მაგრამ ამ შემთხვევაში ირიბი და უბრალო დამატებებს ფუნქციური სიახლოვე მაინც წარმოიჩინილია, რამაც ზემოაღნიშნულ წინადადებებში ფორმალური დამსგავსებაც განაპირობა. ეს ფაქტი კარგად ჩანს მაშინაც, როცა ერთმანეთს უპირისპირდება ქვეყნის შესაბამისი ფორმები:

საარვისო: მან თოფს ხელი გაჰკრა,

სათავისო: მან თოფსითოფზე ხელი გაიკრა;

ასევე:

საარვისო: მან ქულს ხელი სტაცა.

სათავისო: მან ქულსსქულზე ხელი იტაცა.

ირიბი დამატება (ამ შემთხვევაში: თოფს, ქულს) საარვისო ქვეყნის კონსტრუქციაშიც განიციდის მერყეობას. აქაც შეიძლება იქცეს უბრალო დამატებად, თუკი წინადადებაში კიდევ ერთი ირიბი დამატება განიციდება: მან ქულს ხელი სტაცა-მან ამხანავს ქულზე ხელი სტაცა; მაგრამ შეიძლება კონსტრუქციას იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს და ქული მაინც ირიბი დამატება იყოს: ამ შემთხვევაში ამხანავი მართლი მსაზღვრელის ფორმით იქნება წარმოდგენილი: მან ამხანავის ქულს ხელი სტაცა...

§ 9. დამატებების დიფერენციაციის პროცესი კიდევ უფრო შორს მიიღის და გარკვეულ შემთხვევებში გარემოებით სიტყვებსაც უკავშირდება. ამ მხრივ საინტერესოა გაემგზავრა, დაემხო, გაება, დაემკვიდრა, დაეყუდა, დაეშენა, დაესახლა ტიპის ზმნები, რომლებიც ფორმით ორპირიანებია. მაგრამ გაება ერთი პირისა აქვთ⁵³ და მართლაც: გაება მახეში (და არა: მახეს), დაეშვა მიწაზე (და არა: მიწას), დაემხო მიწაზე (და არა: მიწას)... ნაკლები პირი ირიბი ობიექტია, რომლის ნაცვლადაც კონსტრუქციაში უბრალო დამატება დასტურდება. რაც შემთხვევაში უბრალო დამატება ფუნქციურად უახლოვდება ადგილის გარემოებას. თუ ეს ასეა, შეუძლებელი არა ჩანს, რომ გაემგზავრა, დაემკვიდრა, დაესახლა ფორმებთანაც ვივარაუდოთ ასეთი გზა: ირიბი დამატება—უბრალო დამატება—ადგილის გარემოება: ანუ სხვაგვარად: ირიბი დამატება შეცვალა უბრალო დამატებამ, რომელსაც ამ შემთხვევაში ფაქტიურად ადგილის გარემოების ფუნქცია აუისრია. ამ ვარაუდს აძლიერებს ისიც, რომ ზოგჯერ ადგილის გარემოებითი სიტყვა კონსტრუქციაში უთანდებულად არის გამოყენებული და გარეგნულად ირიბ დამატებას ემსგავსება კიდევ: გაემგზავრა ქალაქს (ქალაქში); ასეთი კონსტრუქციები განსაკუთრებით ხშირია დიალექტებში. რასაკვირველია, ახალ ქართულში ამ ფორმის (ქალაქს!ქალაქში) დამატებად მიჩნევა გამორიცხულია, რადგან მოცემულ ზმნასთან ირიბი დამატების ნაცვლად ადგილის გარემოების ფუნქციის გამოხატვა ერთადერთი გახდა. ამის გამო გაემგზავრა ზმნასთან ჩვეულებრივია ადგილის გარემოების ფუნქციით სხვა ბრუნვის ფორმების გამოყენებაც: გაემგზავრა ქალაქს!ქალაქში!ქალაქისაკენ!ქალაქიდან!ქალაქამდე...

⁵³ ა. შან იძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 321.

ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო გაემართა, გაექანა, გაეშურა ზმნებთანაც. ეს პროცესი ჯერ კიდევ ძველ ქართულში იჩინს თავს: დაემკვდრა, დაემყარა, დაეყუდა, დაეშენა ზმნებთან ირიბი დამატების ნაცვლად დაკავშირებული სახელები „სავარაუდებელია... ძველისძველად ირიბი დამატება ყოფილიყო. ენის განვითარების პროცესში ისინი ადგილის გარემოებად იქცნენ“⁵⁴ ამის შედეგად მოქმედებითი გვარის სამპირიანი ზმნები ორპირიანებად გადაკეთდნენ (დაამკვდრა, დაამყარა, დააშენა... მან იგი), ხოლო შესაბამისი ეპირფექსიანი ვნებითები — ერთპირიანებად.

§ 10. სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა ასახაშ-დაახაშ-დაახაშ ფორმები. ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა და ჩვეულებრივ ქმნის კიდევ გარდამავალ კონსტრუქციას: მან წყალი (ღვინო...) დაახაშ... მაგრამ ზოგჯერ (ზოგიერთ გამოთქმაში) სხვაგვარი ვითარება გვაქვს; ასე მაგალითად, ერთმანეთის პარალელურად დასტურდება: ცივმა ოფლმა დაახაშ! ცივი ოფლი დაახაშ; I სერიაში შესაბამისად იქნება: ცივი ოფლი დაახაშა! ცივი ოფლს დაახაშაშ. ერთ შემთხვევაში ოფლი ქვემდებარეა და შესაბამისად გარდამავალი ზმნის II სერიის ფორმასთან მოთხრობით ბრუნვაში დგება (ოფლმა დაახაშ), მეორე შემთხვევაში იგი გარდამავალი ზმნის პირდაპირ დამატებას წარმოადგენს და II სერიის ფორმასთან სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (დაახაშ ოფლი). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში დაახაშ სამპირიან ზმნასთან ერთი და იგივე სახელი (ოფლი) ზოგჯერ ქვემდებარის როლში გამოდის, ზოგჯერ — პირდაპირი დამატების. ორივე შემთხვევაში წინადადება ნაკლულია: პირველ შემთხვევაში აკლია პირდაპირი დამატება, მეორე შემთხვევაში — ქვემდებარე: კაცს ცივმა ოფლმა დაახაშ (არ დასტურდება პირდაპირი დამატება) — კაცს დაახაშ ცივი ოფლი (არ დასტურდება ქვემდებარე). იმის გამო, რომ ოფლი ამ შემთხვევაში ფაქტიურად ობიექტს უნდა წარმოადგენდეს (დაახაშ წყალი, ღვინო... კონსტრუქციის ანალოგიურად), სწორი ჩანს კონსტრუქცია: დაახაშ ოფლი კაცს, სადაც ოფლი პირდაპირი ობიექტია, ხოლო კაცს — ირიბი. მაშინ კონსტრუქციაში უნდა ვივარაუდოთ კიდევ ერთი — სუბიექტური — პირი, რომელიც ამ შემთხვევაში მოთხრობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი: მან. ე. ი. კონსტრუქცია ასეთ სახეს მიიღებდა: მან დაახაშ ოფლი მას, სადაც მოთხრობითი ბრუნვით გადმოცემული პირი დაიკარგა. მასთან ერთად დაიკარგა ამ პირის გაგებაც. მაგრამ ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა და II სერიაში ერგატოულ კონსტრუქციას მოითხოვს. ამის გამო, ჩანს, მოქმედი პირის ფუნქცია თავის თავზე აიღო რეალურმა ობიექტმა და შესაბამისად გაფორმდა კიდევ (დაღვა მოთხრობით ბრუნვაში).

§ 11. ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში სუბიექტისა და ობიექტის (ერთი მხრით) და პირდაპირი, ირიბი და უბრალო ობიექტების (მეორე მხრით) ურთიერთგამოყოფა, დიფერენციაცია, შედარებით გვიანდელი მოვლენაა და მისი კვალი ნაწილობრივ დღესაც შეინიშნება.

⁵⁴ ლ. ნ. ო. ხ. ა. ძ. ე, ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში, ივე, ტ. IX—X, 23.

სუბიექტისა და ობიექტების დიფერენციაციის შესწავლა საგანგებო კვლევის საკითხია; ზემოთ იგი მხოლოდ ზმნის გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იყო განხილული, რადგანაც ცნობილია სუბიექტისა და ობიექტების მნიშვნელობა გარღამავლობა-გარდაუვალობის წარმოქმნისა და გარჩევისათვის, აქედან: ზმნის გვარის ფორმათა ჩამოყალიბებისათვის.

ძირითადი დებულებანი:

1. ზმნის გვარის, ისევე, როგორც ყველა ენობრივი კატეგორიის, შესწავლა მოიცავს ფორმობრივ და შინაარსობრივ (ფუნქციურ) ასპექტებს, რომელთაგან თითოეული ქმნის მკაცრად დეტერმინირებულ საკუთარ სისტემებს. ამის საფუძველზე გამოიყოფა ფორმობრივი და ფუნქციური კატეგორიები, რომელთა ურთიერთდაპირისპირებაც და ურთიერთგავლენაც საკმაოდ საგრძნობია ენაში. გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნევა ფორმა, რომელიც გარკვეულ სტრუქტურულ გარემოცვაში გარკვეულ ენობრივ ფუნქციას გამოხატავს. ეს ფუნქცია ფორმის მიმართ შესაძლოა იყოს სტაბილურიც და ლაბილურიც.

2. ზმნის გვარი ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო კატეგორიაა. იგი განარჩევს უღვლილებს სისტემებსაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზმნის გვარის თითოეულ ფორმაში ფოკუსირებულია არა მარტო ზმნის დანარჩენი ფუნქციური თუ ფორმობრივი კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულება, არამედ მასში ასახულია წინადადების შემადგენელი ელემენტების განსაზღვრული ურთიერთმიმართება, ანუ: მასში აბსტრაპირებულია მთელი ენობრივი კონსტრუქციის ფუნქცია და სტრუქტურა, რის გამოც ზმნის გვარის შესწავლისას აუცილებელი ხდება ქართული ზმნის თავდაპირველი ბუნების, მისი სხვა კატეგორიების წარმოშობის, ფორმირებისა და ფუნქციონირების გარკვევაც, რადგან თითოეული სტრუქტურის, სისტემისა თუ კატეგორიის თვისობას ენაში მისი სხვა სტრუქტურებთან, სისტემებთან და კატეგორიებთან მიმართება განსაზღვრავს. ამიტომაც ენობრივი ანალიზი შეძლებისდაგვარად სრულად უნდა ასახავდეს ამ მიმართებათა „ფიზიოლოგიას“, უნდა მიეძღვნას ამ შინაგან დამოკიდებულებათა და გარდაქმნათა ანალიზს და არა ხელოვნურად გამორჩეული და გარკვეული ჰიპოთეზებისათვის მუმიფიცირებული ელემენტების პრეპარირებას.

ВОПРОСЫ ОБРАЗОВАНИЯ И ФУНКЦИИ ГЛАГОЛЬНОЙ КАТЕГОРИИ ЗАЛОГА В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(Основные положения)

1. Среди разнообразных категорий глагола особое место занимает категория залога. Залог — одна из основных категорий грузинского глагола. Необходимость изучения истории образования глагольной категории залога обусловлена и тем, что залог тесно связан с другими категориями глагола; более того, выяснение грамматической сущности некоторых из этих категорий возможно только при помощи изучения особенностей залога. Залог значительным образом влияет на систему спряжения глагола: типы спряжения в грузинском языке распределены именно по залогам.

Вышеуказанное и было причиной того, что изучением глагольной категории залога издавна интересовались языковеды. Еще в древних грамматических трудах дана попытка определить грамматические особенности категории залога. С развитием науки о языке постепенно уточнялось и понятие залога, в связи с чем ставились проблемы более широкого масштаба.

Несмотря на весьма обширную и разностороннюю литературу о глагольной категории залога, некоторые вопросы до настоящего времени пока не разработывались или же нуждаются в дополнительном изучении.

2. Весьма сложной считается грамматическая характеристика глагольной категории залога. Среди многочисленных и разнообразных определений выделяются четыре основных определения, к которым можно свести все формулировки: а) глагольная категория залога отражает отношение действия или состояния к объекту, б) залог выражает отношение действия к субъекту, в) залогом выражается отношение действия к субъекту и объекту, г) залог выражает отношение между субъектом и объектом действия.

3. Функция залога — передать специальными способами (аффиксами, флексией) определенные синтаксические отношения, а именно, взаимоотношения подлежащего и сказуемого с точки зрения активности или пассивности подлежащего в передаваемом сказуемом действии. Что касается отношения сказуемого и дополнения, то оно относится к категории переходности.

Вообще глаголы сами по себе, в «чистом виде», не обозначают никаких залоговых отношений. Они передают определенное действие или состояние, по отношению к той или иной форме залога только потому, что заключают в себе конструкцию, при помощи которой передаются различные отношения между субъектом и передаваемым действием сказуемым, с точки зрения активности или пассивности субъекта в этом действии. Так что в разных залоговых формах абстрагируется определенная конструкция, взаимоотношение между составными частями этой конструкции. Это определение приемлемо почти для всех языков, где вообще существует понятие активности и пассивности действия, что является одним из начальных и главных этапов в развитии залога. Что касается морфологического выражения в глаголе указанного синтаксического отношения, то это подтверждается только в определенной группе языков.

4. Значение залога устанавливается в предложении, контексте. Причпу происхождения залоговых форм надо искать в эволюции предложения. Залог тесно связан с происхождением и развитием других категорий глагола, а также с формированием глагола как части речи.

Категория переходности имеет ронающее значение в образовании форм залога. Первоначально не различались переходные и непереходные глаголы. В зависимости от конструкции глагол выступал то как переходный, то как непереходный. Но после значение переходности в основном закрепилось в определенных глагольных формах. В дальнейшем из переходных глаголов стало возможным образование непереходных форм, а из непереходных глаголов — переходных форм глагола. На противопоставлении вышеуказанных форм формировалась глагольная категория залога.

Особое значение в решении проблемы происхождения и формирования категории залога имеет категория возвратности. Исторически возвратность — внезалоговое образование, но в некоторых языках эта категория оказалась непосредственно связана с формами залога.

Противопоставление между формами действительного и страдательного залогов стало возможным только после окончательного выделения субъекта и объекта. Этот вопрос непосредственно связан с проблемой эволюции предложения. В связи с категорией залога особое значение приобретает вопрос об активных и пассивных конструкциях. Особо изучается роль причастия в образовании пассивных конструкций и значение каузатива в становлении некоторых форм действительного залога.

Каждое из вышеуказанных явлений более или менее принимало участие в образовании форм залога, подчиняясь при этом общим законам развития того или иного языка.

5. В картвельских языках залог в основном оформленная грамматическая категория. Если приять во внимание, что категория залога формируется на основании противопоставленных форм переходных и непереходных глаголов, окажется что в некоторых случаях язык специальными способами образует не только формы страдательного, но и формы действительного залога.

6. Специальную группу составляют в грузинском языке т. н. «глаголы среднего залога». Эти формы относятся к древнейшей формации и характеризуются дефектным спряжением. Сам термин «средний залог» является малоподходящим для обозначения каких-либо глагольных форм, так как «средний» означает только то, что эти формы не относятся ни к одному из двух (т. е. ни к действительному и ни к страдательному) залогов, но сам по себе ничем не отмечает грамматическую сущность обозначаемых этим термином форм.

7. «Средний залог» в грузинском языке не имеет особой грамматической модели и почти полностью совпадает с формами действительного залога. Таким образом, их выделение в отдельную группу залога основывается только на функции этих глаголов; формам действительного и страдательного залогов «средний залог» в основном противопоставляется как статическая форма к динамической, не имея при этом специального обозначения. Ввиду того, что в грамматике каждого языка грамматическими категориями являются только те категории, которые выражаются специальной формой, выделение «среднего залога» в грузинском языке, видимо, не находит должного обоснования, принимая во внимание и вышеуказанную неточность этого термина. В действительности эти глаголы можно характеризовать как статические, возвратные варианты (ге so- формы) глаголов действительного залога, в которых специфический показатель рефлексивности (гес р. возвратности) *o-i* выявляется главным образом в парадигмах спряжения (ცხოვრობს სხოვრობს «живет» — ცხოვრებს სხოვრებს «будет жить»), реже и в исходной форме настоящего времени (მღერის თუერის ლმღერის იმუერის «поёт»). В тех формах, где показатель возвратности отсутствует, почти всегда становится возможным восстановить этот префикс, предусматривая историю становления этих форм, а в некоторых случаях этот показатель документально подтверждается в памятниках древнегрузинского языка.

8. Таким образом, первый компонент залогового противопоставления: действительный залог — страдательный залог, делится на невозвратные и возвратные глаголы. Следовательно, действительный залог специальной формой выражает активное действие, как переходное (невозвратное), так и непереходное (возвратное, замкнутое «в самом себе»). В тех языках, где не образовались специальные формы для передачи функции пассивности (например, в русском языке), для передачи этой функции используются возвратные формы.

9. При изучении залога особо выявляется вопрос о взаимоотношении формы и содержания, структуры и функции, в связи с чем проблема выделения и разграничения грамматических и функциональных категорий приобретает весьма важное значение.

10. Функциональные категории в основном являются общими для всех языков в отличие от грамматических категорий. Например, функция активности и пассивности более или менее характерна для всех иберий-

ко-кавказских языков, но в грамматическую категорию залога оформляется только в грузинском языке, т. е. только в грузинском она имеет специальную форму и следовательно является грамматической категорией.

11. Функциональные и грамматические категории не совпадают и в системе одного, конкретного языка, чем обуславливается необходимость их различия и строгого разграничения. Одна и та же функция в языке часто выражается разными грамматическими формами (геср. разными грамматическими категориями), и наоборот, для одной конкретной грамматической формы нередко характерно выражение нескольких функций; например, функция пассивности в грузинском языке выражается четырьмя разными моделями (формы с префиксами *o-i-* и *g-e-*, с суффиксом *-d* и формы без специального показателя), каждая из которых одновременно с функцией пассивности или же, в отдельных случаях, независимо от этого, может выражать и другие функции: форма с префиксом *-g-e* — функцию непроизвольности действия (*გემოცემა* *semoc'ema* «нечаянно съел»), отыменные формы с префиксом *-o-i-* — функцию инструментальности (*ობარება* *ibareba* «копается заступом» *ბარა* *bari* «заступ») и т. п. Иногда в одном отношении функционально противопоставленные формы параллельно выражают другую, уже одинаковую функцию; например, отыменные глаголы: *აერთებს* *aert'eb's* «соединяет» (= «делает единым») — *ერთდება* *ert'deba* «соединяется» (= «делается единым») противопоставляются как формы действительного и страдательного залога, но вместе с тем оба выражают т. п. функцию «превращаемости» (термин условный), т. е. процесс превращения — активный (*აერთებს* *aert'eb's* «соединяет») и пассивный (*ერთდება* *ert'deba* «соединяется»). Передки случаи, когда одну и ту же функцию можно выразить как глагольной, так и именной формами; например, вышеуказанную функцию «превращаемости» может выражать и форма обстоятельного падежа имен существительных.

12. Сложность и многообразие вопросов, касающихся залога, обусловлены тем, что эта глагольная категория имеет решающее значение не только в формировании самого глагола и системы спряжения, но и в развитии предложения.



შ ი ნ ა რ ს ი

ნაწილი პირველი	
გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგადი საკითხები	3
შესავალი	5
ზმნის გვარის რაობისათვის	12
ზოგადი თეორიები გვარის კატეგორიის წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესახებ	30
ზმნის გვარის პრობლემა მთის კავკასიურ ენებში	31
ქართულში გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგადი საკითხები	31
ნაწილი მეორე	
ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხისათვის ქართულში	42
ზოგადი თვალსაზრისისათვის	
მოქმედებითი გვარის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში	97
კუხუხატიისა და გვარის ფორმათა ურთიერთობის საკითხები	106
მოქმედებითი გვარის ფუნქციური ზმნების წარმოების ზოგი საკითხი	108
მოქმედებითი გვარისა და „საშუალი“ ფორმების ურთიერთობისათვის	109
მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოების საკითხისათვის	111
ქვეყნისა და გვარის ფორმათა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი	114
მოქმედებითი გვარის ფორმათა პარალელური წარმოების საკითხისათვის	119
მოქმედებითი გვარის აღწერითი ფორმები თანამედროვე ქართულში	121
მოქმედებითი გვარის ზმნათა უღვლილება	121
<u>ენებითი გვარის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში</u>	123
მოქმედებითი და ენებითი გვარის ფუნქციური ურთიერთობისათვის	130
მოქმედებითი და ენებითი გვარის ფუნქციური ურთიერთობა უღვლილების პარადიგმებში	132
ე. წ. ფუნქციური ზმნებისაგან ენებითის წარმოების საკითხები	136
მესამე ტიპის (უნიშნო) ენებითი ქართულში	138
ენებითი გვარის ნასახელარი ზმნები	143
ე- პრეფიქსით ნაწარმოებ ენებითთა ზოგი თავისებურება	156
უქვეყნეთობის კატეგორია ქართულში და ინიანი ენებითის წარმოების საკითხები	166
ენებითი გვარის ზმნათა უღვლილების ზოგი საკითხი	172
ენებითი გვარის ზოგი დიალექტური ფორმის თავისებურებანი	176
„საშუალი“ ფორმები ქართულში	178
„საშუალ“ ფორმათა უღვლილების ზოგი საკითხი	195
„საშუალი“ ზმნების სინტაქსური ბუნებისათვის	198
ნასახელარი „საშუალი“ ფორმები	201
„საშუალი“ ფორმების წარმოების ზოგი თავისებურება	201
ნაწილი მესამე	
ზმნის გვარის ფორმათა სინტაქსური ბუნებისათვის	207
ზოგადი მიმოხილვა	210
ინერსიის საკითხისათვის	213
ერგატიული კონსტრუქციის საკითხისათვის	213
სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის საკითხისათვის	223
ვშირებით	223
ძირითადი დებულებანი (რუსულ ენაზე)	234

რედაქტორი პროფ. ი. ვ. ქავთარაძე
გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯანელიძე
ტექნორედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი მ. ვახეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. VI. 1975

ქალაქის ფორმატი 70×108/16

ნაბეჭდი თაბახი 21

სააღრიცხვო თაბახი 17,41

შეკვეთა 914

შპ 00645

ტირაჟი 1 000

ფასი 1 მან. 81 კპპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თბილისი — 380 028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

Издательство Тбилисского университета

Тбилиси — 380 028, пр. И. Чавчавадзе, 14

ცეკავაძის სტამბა,

თბილისი, ა. პუშკინის ქ., 3

Типография Цекавири,

Тбилиси, ул. А. С. Пушкина, 3